

წიგნი

I

ჩახრუხაძე
იოანე შავთელი
ზოთა რუსთაველი
თეიმურაზ პირველი
არჩილი
იოსებ სააკაძე

თბილისი, 1983

Г2
899.962.1—13
ქ. 279

სარედაქციო კოლეგია:

მ. ლეგანიძე
ე. მალრაძე
მ. მაჰავარიანი
შ. ნიშნიანიძე
გ. ფანჯიკიძე
ი. ქემერტელიძე
ჯ. ჩარკვიანი
ს. ცაიშვილი
ტ. ფანტურია
ო. ფილაძე

შემდგენლები:

ჯ. ღვინჯილია
მ. ფიკლაური

მხატვარი

ჯ. უავლაშვილი

К $\frac{70401-027}{М601(08)83}$ 245—82

გამომცემლობისაგან

ქართველმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი გენია ხელოვნების მრავალ სფეროში გამოავლინა, მაგრამ პოეზიას მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურში, პოეზიის ცა მაინც განსაკუთრებული სიმაღლისა და სიმკვეთრის ვარსკვლავებითაა განათებული. ამ ცაზე პირველ დიდ ვარსკვლავად „ვეფხისტყაოსანი“ აკიაფდა — ეროვნული პოეზიის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად. მერე სხვა ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ: „ქართლის ჭირი“, „ბედი ქართლისა“, „აჩრდილი“, „გამზრდელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“... ყველას თავისი მოძრაობის მიმართულება და სიკაშკაშე აქვს, მაგრამ ისინი ერთი ცის, პოეზიის დიდი ქვეყნის ცის ვარსკვლავებია, ისინი ქართველი ხალხის სულიდან იღებენ სინათლის ენერგიას.

გამომცემლობას განზრახული აქვს ხუთ წიგნად გამოსცეს ქართული პოემა. გამოცემის მიზანია აჩვენოს ის მრავალსაუკუნოვანი გზა, რომელიც ქართულმა პოემამ გამოიარა „თამარიანიდან“ დღემდე. დაიბეჭდება ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელმაც ამ დიდ გზაზე განსაკუთრებული კვალი დატოვა.

პირველ ტომში შესული პოემები იბეჭდება შემდეგი გამოცემების მიხედვით

ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე — ქება შეფისა თამარისი — მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ.

ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი — აბდულმესიანი — იქვე.

შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი — ვეფხისტყაოსანი — თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966 წ. (საიუბილეო გამოცემა).

თ ე ი მ ურ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი — წამება ქეთევან დედოფლისა. ვარდბულბულიანი. შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა. სოფლის სამდურაკი — ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., „ნაკადული“, 1975 წ.

ა რ ჩ ი ლ ი — გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. საქართველოს ზნეობანი — იქვე.

ი ო ს ებ ს ა ა კ ა ძ ე — დიდმოურავიანი — ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., „ნაკადული“, 1976 წ.

ჩახროხაძე

თამარიანი

ქება მეფისა თამარისი

შესავალი

მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!
დიონოსითგან, ვით ენოსითგან
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!
სოგრატ სიბრძნითა, სარამარ გრძნითა
ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა;
უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მიჰხვდენ შესატყვიერსა.

არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა;
ვერავინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა.
გულისხმის-ყოფად, გონება-ყოფად
მისთანისათვის მაძებნიერსა;
ვინ გული ესე სიბრძნითა სთესე,
ანუ ვის ძალ-უძს შენგან მიერსა?

ხელ-ვჰყოფ კადრებად, ქებად დარებად,
მჭვრეტთა ვაუწყო გონებიერსა:
ღაწვი მწყაზარი — ა, მულღაზარი,
უგავს ელობა კრონოს ციერსა.
ნაელვებითა, მზისა ვნებითა
ციისკროვნად ვხედავ შუქ-მოსიერსა.
აჰა, მზიანად, მიზეზიანად
მთვარესა გაჰხდი უნათლიერსა.

I

ვინ ჩნდა ეგმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ მთქმელი მისთა მთქმებულად.
თუ ვერვინ გნახის, მით ივაგლახის,
შეიქმნებოდის განცვიფრებულად;
ვერ მრავლებისა გატევრებისა,
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად!
ჩვენ ვთქვათ: „ეს რად ჰგავ? — ზეციერად ჰგავ
შვიდთა მნათობთა დაშვენებულად“.

მოუბარისა მის მდუღარისა
დილარგეთისგან აღშფოთებულად
ბროლისა ველსა, თვალ-უწდომელსა,
ინდონი ეყვნეს დამონებულად.
შუქნი კრთებიან, ემუქფებიან,
ზუალ იჩინებს დაქადებულად.
გულისა ნებო, მზეო, ინებო,
თამარ ჩანს შენად რუსხა-მკლებულად.

თუ მოვანება გწადდეს, ითნება,
ვისგან უფრო აქვს დამეტებულად,
ვის ძოწეული, ვარდ-გაწეული
ღაწვი უმწყაზრობს განბრწყინვებულად,
ვინ ჩნდეს სამყაროს, ალვა აყაროს,
ან თამარ ჩნდების განმთავრებულად,
მეშურნეობდეს, რად მიმყვანობდეს,
რომე ვინ იყოს მოშორვებულად.

ლერწამ ტანისა, საროსა ხისა
მიმსგავსებულ ხარ განკვირვებულად!
თავსა კლვად სდებდეს, ხვეჭით ეძებდეს
შენსა ნახვასა მიახლებულად.
ვინა შვენებდენ, სულთ აშენებდენ,
სამონოდ მოგცენ ერთ-უფლებულად.
ბნელი თუ უყო, ელვა განუყო,
მაშინც არ ითქმი დაბნელებულად.

მე თუ ვსტირ ოდე, ვისღა ვსტიროდე,
თუ არ შენ გჭვრეტდე დადუმებულად?
დავით მხნე, ბრძენი, რომელსა ზენი
ხდად-ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად,
ისრჯის ისარსა, — ვიტყვი: „ის არსა
ეფრემის ძირთა აღმორჩებულად,
ვინ ხრმლითა ბადრობს, უშიშ-უკადრობს
მტერთა სრვისათვის აღმართებულად“.

რომლისა ძემან, უბინდოდ მზემან,
ლაშა-ყე გიმზო წარმართებულად, —
ვიტყვი: „მას მზესა! ვინ განუწესა
ღმერთსა ღმრთისაებრ შეყვარებულად,
ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომსა,
რომელ ენატრა მისად სწრებულად,
ვითა იწადა, რა დაიბადა
სპარსთა სიმაღლე და-ცა-დებულად?“

მით ლხინი თქვენი იყვეს საშვენი
ალაბს — დამუშკოს დასულტნებულად;
მოწონეს თავი, ცნეს მათი ნავი
მაშინ დანთქმისა მიახლებულად;
სწრაფით მო, ხარკე იქმნეს მოხარკე,
თავის მმონები მით შეძლებულად.
თვით ამან დავით ქმნა, უნდოდა ვით,
ურჩ-ქმნილთა ძებნად მოწოდებულად.

ყარყუმს და არანს, მით ზედა არანს
როსტომ ებრძოდა თვით შეძლებულად.
ყოვლითვე მჯობენ სძლო დიდად მჯობენ,
ვინ ჩნდეს მას თემსა განმთავრებულად.
სხვაცა ჩანს მათი შარავანდ-მნათი
მისგან ნაოტი დამონებულად.
მონებენ ზღვანი, სიტყვაცა-მავნი:
არვინ ჩნდა თქვენად ასწორებულად.

გამოჩნდა ზვავი, მძლედ ჰქონდა თავი,
იბრდღვენდა მხეცებრ განძვინებულად.
მდედრნი და ცუდნი, ძალ-შეუზღუდნი
კაცნი რომე ყვნეს დატყვევებულად,
მათსა ძლევასა და აწ რჩევასა
გაეამაყნეს ალაღებულად.
უთხარ მთავართა ესე: „ჰავართა
მათ ზედა განმხნდენ გასახრმლებულად!“

ურიცხვი ერი, მოყმე და ბერი
წამო-ცა-ვიდეს ამხედრებულად.
არ ზარ-მოსულსა ეთქვა მოსულსა:
„ქაფარსა ნახავთ გაბასრებულად!“
იტყოდა: „ვჰკადრე, მე შევქმნე ადრე
მათი ქვეყანა მოოხრებულად“.
რა გესმა მშვიდსა, საქმესა შვიდსა
ხელ-ჰყავ სიბრძნითა არ შფოთებულად.

უბრძანე სპათა: „ლხინად ვლი სჯათა,
რომლისაგან ვჩანთ ნათელ-ღებულად!“
განამხნენ მხნენი, თავის კლვად მთნენი,
თქვენთა სჯულთათვის სისხლ-წამებულად.
დაასკვნეს ომი, წაუძღვა ლომი
დავით დავითის მიბაძვებულად,
მხნედ და სვიანად, აგარიანად;
არა განრისხდა გაზი ვსებულად.

ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ ბრძნობდეს,
იგია მისთვის შემსგავსებულად;
გინა უმიროს, გულსა უგმიროს,
ვის ძალ-აქვს ცნობა განმარტებულად,
ანუ ენოსა. მე უენოსა
რად ვინ მაბრალებს ვთქვა დაკლებულად?
მათ რომე წიგნნი გასცნეს ჟამისნი,
მცნობნი მით იქმნენ განცვიფრებულად.

მოუხდეს ზედა, რა ზედი-ზედა
ცხენს ლომი მელებრ დაჯაბნებულად,
მართ ვითა ნახეს, მით ივაგლახეს,
თავი მცდრადა ქმნეს, ცნობა-ვნებულად.
მათგანვე ივნეს, მით განიბნივნეს,
განდრკეს მეოტნი განრიდებულად,
თანა მეყოფნი წარვიდეს მსრბოლნი,
შეიქმნა შიში ზარ-აღებულად.

მან იქალაქა. აღსრულდა აქა
შენით აღთქმული თვით ქადებულად.
თქვენგანმან ოცმან, ბევრისა მხოცმან,
სძლო მათთა სპათა დამეტებულად.
არ იცის ერთ მან, ათასი ერთმან
მით წარიქცივნა მიდევნებულად.
მოჰმადის ტომნი უკრავ-უომნი
მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულად.

აღივსნეს ტყვითა, ლარ-პირუტყვითა,
არ დარჩა კაცი არ შოებულად.
ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი,
სეგორს დამქცევად ჰგავს შესწრებულად.
უარ-ყვეს თნებით: „არ მოვეთ ნებით,
ვიყავთ უნებლივ მო[ყივ]ნებულად“.
გვესმინა, სითგან იქმნეს დღესითგან
მოჰმადიანნი მოყვანებულად.

ჩვენ, ერნი შენნი, შენ მიერ შენნი,
ერთ-ხმობით ვიტყვით განმარტებულად:
„რა არს-ქმნა იყოს, ვირე თვით იყოს,
ღმერთმან თქვენცა გყვნეს ძითურთ გებულად“.
საულს მეფობა ართო, მეფობა
დავითს მიჰმადლა შეფიცებულად.
შენგან იშვების, პირველ შიშვლდების
სამოთხესავე კვალად შვებულად.

II

სიბრძნით ქმნა ღმერთმან, სამებით ერთმან,
ცა და ქვეყანა — არს მეცნიარი! —
მნათობთა დასი, სხვა ბევრ-ათასი
ჰაერი, ეტლი, ქართა მქნიარი.
დასდვა ბრძანება და ამცნო მცნება
თვისად და თვისად შესაშინარი:
„აღრაცხენ ტომნი მცთომნი, უმცთომნი,
უსიტყვ-მოსიტყვნი და მოუბნარი!“

თამარ! შენ გიძნობ, ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, შუქთ-მომფინარი!
მხიარულ იქენ! ნაქმარი გიქენ,
გესმნეს ნატიფნი და მშვიდი, წყნარი,
ელვა-ეთერი და სიტყვიერი,
დარმანის ველი, ედემს მაღნარი:
არს ცნობათ მოთხე, ვითა სამოთხე,
წყლად წყალი მრწყველი, მუნვე მდინარი.

•

სიუხვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი,
მდაბლად მოწყალე, ჭვრეტად ნარნარი,
მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი,
კედრით კედრამდის მძლედ სასმენარი —
ასეთი ესე არს ეს მოწესე,
ჯვართაცა, ღმერთო, არ მომთმინარი.
დიდსა მსაჯულსა ამტკიცებს სჯულსა,
ღმერთმან მით მოგვცა მისი საქნარ-

კაცები გმონებს და გიპატრონებს
ვეფხთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი,
არსნი მზედ გხმობენ, შვიდნი გამკობენ,
ვინცა შეგცოდა თავის საქნარი.
ვერ მიგწვდენ ქებად — სხდენ თვითვე ვნებად! —
პლატონის ენა, დავითის ქნარი.

III

თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი.
მისთვის ქნარი რა არს? — ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი.
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი
ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

IV

ვინ არს ებანი? ვინ არსე ბანი,
არა არს სათნი სახელოვნებად!
მან ცათ ამარის, მანცა თამარის
გან მზე აბნელა მაცისკროვნებად?
ადამეთ ერთა ადამ ეთერთა
დასახა სახებრ მსგავსი პოვნებად.
არსა ღაღადი: „რად არს-ღა ღადი
მზე შენგან მრთმევად უეტლოვნებად?!“

შენ არე მთენი! შენ არე მთენი
არ გგვანდეს შუქთა ჰაეროვნებად!
არა თუ ზევსი, არათ უზევსი,
არ, შენ ხარ მნათი დაუყოვნებად!
მის მიერ მისად მისმი ერმისად,
სხვათა მნათობთა მართ ბინდ-მხდოვნებად.
არს ასულ-ტანი — არსა სულტანი
არა თუ შინა სამაროვნებად.

არამედ გარე, არა მედგარე
თვით და ხალიფას გამკიცხოვნებად.
მეტყვის მით ენოს, მეტყვის: „მითენოს
წყვდიად, რომელ ჩანს ვარდი თოვნებად.
არ აქა, მანდა არ აქამანდა
არა ნარგისთა შამბი მოვნებად“.
ეგე ნათელი! ეგე ნათელი
რა ნახოს, მზესა აქვს ბნელოვნებად.

შენსა სადარსა! შენსა სადარსა
ვერა ვსჭვრეტ ცხადად და ნახსოვნებად!
თქვენა ზენათა, მზეო ზე ნათა,
თუმც ა მზე ეთერს ნამტკიცოვნებად...

V

მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი
შენთა შუქთა სძლევს შუქ-მტაცებარე,
ვინ ნახა სადა, ნასახად სად ა
შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?

ანუ ვის ესმის; ან უვის ეს მის
და არა იქმნეს განმცვიფრებარე?
მჭვრეტნი ვიტყვითა, მჭვრეტნი ვიტყვითა:
„ანუ თუ სიზმრად მაოცებარე!“
ანუ ცნა ურად, ან უცნაურად
სოფლისა წყალთა დამშვენებარე,
რადგანცა დახვალ, რადგან ცად ახვალ
ზუალი, ეტლი, მთვარე მცებარე.

რომელ ვანება, რომ ელვანება
შენ ოდენ გქონდეს მაცისკრებარე!
არა გეთნია, არ აგეთნია
მნათობნი, მით ვცნენ დამბნელებარე
მანათო ვლითა, მანა თოვლითა
ღაწვ-მულღაზარობს გამომღებარე.
ვინა ტრედია? ვინატრე, დია,
ძე ღმრთისა შენდა მწედ მწოდებარე.

ვის აქვს შენებრი დამამშვენებრი
ქცევა, გონება, სული მწლფებარე?
ვინანი, სადა ვინ ანისადა
მისთა მოყმეთა მარცხო მზღებარე?
წუხად ანელმან რა თქვას ან ელმან
დღეს მუსულმანთა მოსათნებარე? —
აგარის ერთა სალმობიერთა
სხვამცა ვინ იყო სრვად შემძლებარე?

არ მით ავნებდა, არმით ავნებდა,
რომე ჩანს ლომებრ შემძახებარე;
ოს დიდმან დავით, ოს დიდ მან დავით
ფარუხ შემუსრა წინამგებარე,
მანგლის პირითა, მანგლის პირითა
ოდენ მუნით ყო მეოტებარე,
შენ მისნი ერნი! შენ მისნი ერნი
გარნისს მოგისხნა, მით გემქებარე.

შამბთა ვით ისრი, შენგან ჩანს ნისრი
შენებასავე ძრწოლად ებარე.
გამცრობს ერაკლე: სპარსთა ერ აკლე,
მოსრენ, მოსწყვიდენ ანათებარე.
წაუღე რანი, წა, უღერანი
ყელსა დაასხენ ჩამომდებარე.
მიუშვენოდეს, მიუშვენ ოდეს
ამბერდად, რა ვთქვენ, დვინის მებარე.

თუღამე მთენი, თუ ღამე მთენი
აქილოს ჰპოვნე, მამაკლე ბარე;
ვინ ეფრემს თვისობს, სიმხნითა ისობს
მბრძოლთა სისხლითა ხმელთა მღებარე.
იგი ვარდ-გული, იგი ვარდ-გული,
ხე ედემს რგული, ნაშენებარე.
ჯავარ მოწყალე, ჯავარ მოწყალე,
თურქთა მრისხანედ შემრისხებარე.

აქა მან დავით აქამანდა ვით,
სხვამცა ვინ ჰგვანდა მეისრე ბარე?
ბერთა საჩვენი, ჭაბუკთა მლხენი,
ძმათა შვებისა მოუკლებარე,
მეჯლისთა შინა, დიდებულთ შინა
ლაშქართ სიუხვით მამთოვლებარე.
ბევრჯელ ნაყოფად არსმცა ნაყოფად
ლაშა თქვენ მიერ ნამორჩებარე.

VI

ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა, —
ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო.
მხნეო და გმირო, ბობქარ ოხრვითა
ითხრის მგოდებმან ფლასურმა ისო,
ვაი, გაუხშირო მტერთა მოსრვითა,
შენი თქვეს: „შამი, ა სურმა ისო“.
ესრე ატირო გულსა მოკრვითა,
ხრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო.

VII

ჰე, ფილოსოფნი დაწყებად მყოფნი,
გონება-ვრცელნი რიტორთა წვევად,
ელენთა შვილნი, ელადს სწავლილნი,
ენა მზეობდეს სიტყვათა რჩევად,
ფსალმუნთა მთქმენსა, შენსა სასმენსა
ათძალი ჰქონდეს ქნარ-სიტყვა რევად,
ეგრეცა მსგავსად ვერ გრძნობდეს გავსად,
ფერო ეთერსა ელვათა სრევად.

თუ ვისცა ვუქი შენი ხმა-შუქი,
ელვ ანუ მზევად, ანუ მთვარევად.
არა გაქვს ბნელი, ხარ საძებნელი
ხვეჭით და ნდომით შენამართევად.
მესმა ათენით: თქვენ გაათენით,
ცუდად გაიჭრნეს ღამეთა თევად
ზენით მნათობნი, ეტლთა მთიებნი,
არ მათად სჭვრეტენ მართ ნამათევად.

იტყვიან ფიცით: „რაც ოდენ ვიცით
თქვენგან ნარბევთა სამყაროს რბევად,
ცისკრობს მოხედვა, მოკლის, მო ხედვა
ალვისა მორჩთა რტოთა მორჩევად“.
ამხედრდეს ოდეს, სხვა ვინღა რბოდეს
ნათლისა სხივთა დაუმალევად?
გაბაონს ისო რა გნახა, ისო
ურჩთა გულებსა მახვილი ლევად.

აჯა და ლოდნა! ამით ხვდა ლოდნა
მის განძევართა ელვათა ძევად.
უბრძანა აქარს: „გაქვს! რაცა აქ არს,
სათნოა ღმრთისა მით განრისხევად“.
რა ქმნა ის აჯა, ქოლვით ისაჯა
მუნ მოხვეჭითა სახმართა ზღვევად.
განატრო ელთა: უმძიმს ტროელთა
არ შენთვის მკვდარ-ქმნა ელენთ სათნევად.

ივდითის მწყდარი არს შვიდგზის მცდარი,
რომე ჩანს შენგან არ მონაკვლევად.
სამფსონ პალატად ჩანს-ყე ღალატად,
თავი დალითას განაპარსევად.
დორიადარა რად ვთქვა შენ დარად,
ანუ დებორა გაგულქველევად?
არ ჰქონდა ნება, არცა შვენება
ნათელთა შენთა დასამსგავსევად.

იყო ეთერი, მაგრა ეთერი
არა ჰყვა მასცა სულ-ნახუთევად.
რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ
შვრებოდა ვისის ნამიჯნურევად.
ოსან ოს რეტი არს შენამჭვრეტი,
გმო თავის ბედი, თმო ნატანჯევად.
სალას სალმობად უჩნს-ყე დალმობად
სხვათათვის ხელ-ქმნა ლხინ-უნახევად.

უგავს შატბიერს, გულად ლაყბიერს,
ანალათისა რად დაშვრა ძევად?
და სტირს კაენის — ეს, ვით კაენის
ძმის მკვლელობისა დანაბრალევად.
ამან თავი რად, მართ აზავირად,
შექმნა ლეილის ნამიჯნურევად,
ნებით რად არა შენ გემუდარა,
ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად?

წყალთა არსთასა, ძალთა სპარსთასა
უძლოდ გიტყვიან, არ შეუძლევად:
ხაფად დაგესხნეს, ქმრად რომე გესხნეს,
აწ ძვალთა მათთა გაუხდეს რყევად;
ერანს მფლობელი, შეუფლობელი
ბობქარ გახადე ნაცარ-ნასხმევად,
ლომთა თავადად, თქმული ავადად
სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად.

ვიცით შარვანით, მყოფი არ ვანით,
გაშას გასული ნაგაშპასევად,
სხვანი მრავალნი, დაუთვალავნი
მდომელ-ტრფიალნი შვებისა წვევად.
უცხოთა მაგით, ჭვრეტითა შმაგით
კალიბათა სჩანს შეუსახევად,
ფერით ამო მზე, გონებად მომზე,
სწორ-უპოვარი, წყალ-ჯავარ ქცევად.

ლაღი მწყაზარი, არად დამზარი,
რაცა ხამს ურჩთა გარდასახდევად.
ითქმი ულამო, ტკბილი და ამო
მოწყალებისა ნაუფსკრულევად.
სიბრძნითა სავსი, ყოლ არ მოთავსი,
ვინცა იპოვოს ნაორგულევად.
არა მაგ ზნითა, არ ამა გზნითა
მჭვრეტნი ვინ იყოს სხვა დაუწვევად?

ი ცის კარებით იცისკარებით
შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნჩევად.
დრუნგილის ფიცრად, მტკიცედ საფიცრად
შენი თავი ჩანს შუბლ-ნაელევად.
ატევრებ თმითა, სულისა დგმითა
ანატრებ, გნახოს, ვინ განაძ ლევად.
ნაყბიერ პირსა, მზე-დანამჭვირსა,
შვენის ნარგისთა განაცისკრევად.

ა, გრძელობს ყელი, დაუნაყელი
სული ვის შერჩა მახვილ-უკრევად.
თუ გიქო ტანი, მოწმობს სულტანი,
არ დამაჩნდების ცუდ-ნაჭორევად.
ეთერთა მთენნი თქვენგან ნარცხვენნი
შენვე გეძებენ ღონისა წვევად.
ლხინი ითხოვე, თვით რაღა ჰპოვე,
გაუშვენ ჩინნი ეტლ-წანაგვრევად.

იტყვიან მნახნი, ხმა-მაღლად მზახნი:
„ილვისოს ველსა ჰგავს ნაჯუფთევად“.
ღაწვთა არესა შექნი მთვარესა,
მელნისა ტბანი დგანან მორევად.
ჰე, ნახე სახე: შამბნარისა ხე
ინდოთა ცვად ყონ ნამუხთალევად!
არ ძალ-მიძს ქება, მე დადუმება
მით აღვირჩიენ აღვირ-ნასხმევად.

თუ ძნობდეს ენოს, კვლა დაიყენოს
პლატონ მუსიკი მწყობრ-შენასხმევად;
უხმნა უმიროს, სამფსონ და კვიროს
აწ შენთვის აღძრნა გამოსაკვლევად.
იპოვნენ მცდარად და ვერ მიმხვდარად
შენის მსგავსების დასასახევად.
ნათელი უთქმან, შენვე დაგინთქმან,
თვალნი ვერ გსახვენ სხივ-შესადგმევად.

VIII

ასრე მეწყალი, რომელ თვალთაგან
ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის,
ვითა მოვკვდები, რომლის ჭირითა
მაგალითები აღარ ითქმოდის,
შენთა მოყმეთა რა ჰქმნან, რომელთა
დედა და მამა აღარა სმოდის? —
მუნ დაიხოცნეს, სადა სახელი
ქვეყანისაცა არა ისმოდის.

შენ გულსა ესე იმედად უთხარ:
„ვითამცა შორით კვლა მოვიდოდის“.
მაღრიბსა დაყვნეს ჟამნი მრავალნი,
აჰვაზს, მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის,
ანუ ხაზარეთს, ჩინთა და ხანთა
გზა მოემოკლოს, მოისწრაფოდის,
კონსტანტინპოლის ნავნი ააგენ,
ზღვა წყნარად იყვის, ტაროსი ჰქონდის.

მობაღდადენი ბარდავს მოვიდეს,
მახარობელი ჩვენთანა რბოდის;
ათი ათასი მარ-გაკვეთილი
ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის.
აქლემთა ტურფათ მძიმედ ტვირთითა
მონა-მხევლები წინა უძღოდის.
შენ გაეგებო სურნელთა კმევად,
მუჯამრი გქონდის, ალვა იწოდის.

მარა მარმარნი მკლავნი მოგხვევნეს,
სიხარულითა სული იწოდის.
მას გაუმრთელდეს გული მოკლული,
აღარა ოდეს ლახვარს ისოდის.
ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა თვისად ისმოდის,
მოჰმადის ხმობად, მიზგითად შესლვად,
თაყვანის-ცემად მას შიგან გცოდის.

IX

ვიცი, გეწყალი: დამნთქამს მე წყალი,
ნოეს ნაკადი, მოქცევი ღვარი.
რაღა კვლა მოვკვდე? თუ არა მოვკვდე,
ვაჲ, მაგალითო, მე ოდენ ვარი!
ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა,
ვის არად უჩნდის სახლი და კარი,
დამეტეს მქნელად: გაიჭრეს ველად,
სადგურად ჰქონდის ლომთა შამბნარი.

არვისად სწორად წავიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი.
ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი.
ატალას მოჰყვის, ქვეყანას მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაპოვარი.
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც გაჰყვის,
ზღვის პირით ქროდის ტაროსთა ქარი.

წავიდის ხმელსა, იონთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი.
მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი.
ამანს მოვიდის, თავი იდიდის,
რა ხამდის, მუნცა ქმნის იგ საქნარი.

მოიქცის გარე, მოძებნის მთვარე,
შიშ-ჰაერ პირი, მნათობის დარი.

მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი,
მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი.
მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი,
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათადვე სწორად მათი ლაშქარი.
მოყვასთა წინად პირი ქმნის შინად,
ჩემთვის მოჰქონდის ხმელთა ავარი.

ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.
ჰყვანდის მოყმები, მონა-მხევლები,
თვალ-მარგალიტი, სურნელ-ამბარი.
ვერა შევიგნი, მოვიდის წიგნი, —
მო-გლახ-ველოდი! დამეცის ზარი,
დამტყდიან ცანი — „ქვლა განველი ზღვანი“—
დავრჩი უსულოდ, მართ. ვითა მკვდარი.

რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი.

X

გხმობ, თამარ, მზესა, უმზესად ზესა,
მით რომელ უცხო ხარ სახილველი,
უკლებლად სათნი გცისკრობენ ღაწვნი,
გტურფობს მოხედვა, ბროლ-ვარდობს ყელი.

გაქვს არსთა წყალი, — თვით მე გეწყალი, —
მშვიდი და წრფელი მოსახვეჭელი.
განცვიფრდეს არსნი, ხმა-მაღლად მზახნი,
ამას იტყვიან: „ჰე საკვირველი!

თუ არს მთოვარე, რად მზეობს არე?
რად არა ოდეს შეიქმნა ბნელი?
ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გვღელობს,
აწ მსწრაფლ გვეწევის შარავანდელი?!“
სამყაროს სრული, ედემს ასრული
ჩანს შვიდთა მნათთა მანათობელი.
ხსნად ადამისად, შექმნად ამისად
უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ხელი.

თუ არვინ იცის, მისებრ ვინ იცის
მიწის ნაყოფი ეტლთა ამსლველი?
ბნელთა მთენოსა გკადროთ ენოსა,
ანუ უმიროს ყობადთა მცნელი.
ანუ გთქვათ ისი: არს ბრძენთა თვისი,
ასკილიპოსებრ გონება-ვრცელი!
არ გგვანდეს დარი, ხოსრო დადარი.
საამ-აქილევ, დებორა ქველი!

არცხვენ მომზეთა, მოსამომზღვრეთა
ღმრთად ზეესის ნაქვსთა ვიეთთა მთხზველი.
მათ თუ ოცნებით, შენ ღმრთისა ცნებით
ითქმი საწადად ყოველთა მთქმელი:
დადირთა მთოვნი, შენებრთა მხცოვნი
და მუსულმანთა სიმართლით მსრველი,
ურჩთა კლვად მკოდი, სულტანთა მგოდი,
ხალიფას სვისა ჯავართა მშლელი.

ბობქარ რადა რბის? — დასდვას, დვინსა რბის,
ოდესმე ლხინთა საზღვარი ბნელი.
სხვათა მძლევართა, ხარკთა მძლევართა
ზედა სხვა შიში ჰმატს საშინელი,
რომელ დღეს ტაოს მოემატა ოს,
ისპირს და შარვანს მოვლაა ძნელი.

მათ გულსა ალმით მით გაგიალმით
ქოსთავე თანა სანიჭ-საძღვნელი.

არს ლხინთა მთმობი, მართ ვითა მგმობი,
ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
თუ ქებად თქვენად ბრძნად ქმნეს მათ ენა
გამომეტყველებრ, რიტორებრ მთქმელი,
ბრძნად მაქებართა ვჭვრეტ მქიქებართა:
„მა-შამსსა ჰგავსო“ — მით გძნობდეს ელი,
ანუ რა გნახოს, რასა გასახოს
ნათლისგან კიდე სხივ-განსაცდელი?
იტყვის: „მწვავს მე ხებრ, მე მცქაფრობს მეხებრ
დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი,
წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი,
მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცმელი“.
თქვენი თქვა რიტოს: „ხმა ყოს, ვინ სჭვრიტოს:
აქვსმცა სუფევად ათასი წელი!“
სამებად ქსული საუფლო სული
მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი!

XI

მაშა, მეხელი, მაშა, მეხელი.
მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი!
ვინ აშენ ებრად, ვინ ა შენებრად
თვალთ-შეუდგამი ნათლის მ[ფ]ენ[ალ]ი?

ღმრთისაგან ეგე, ოს თამარ ეგე
ნახელოვნებად მისადენალი,
ანუ შუქითა, მსგავსად ფქითა,
ბნელთა ცისკრულად გამათენალი;
არ ავი დია, ა რავი დია
ვიცით ნახული და ნასმენალი!

ყოვლითურთ უკლი, ერთგულთა უკლი,
ურჩთა კლვად ზინდანს შემაყენალი.

მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა,
სოფლისა წყალთა დამაშვენალი.
მიეც ქადილსა, სრულ-ჰყავ წადილსა
ვახტანგს სწორებით შემას-მქენალი;
ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები,
დავითის ხრმლით ა შემარცხვენალი.
მით გააშენე, მით გააშენე,
რომელ გულითურთ მანაყე ნალი.

მე ცად ვინები: მეცა დვინები!
თქვენად ვქმნა ნებით, ვჩნდე მოხსენალი:
მბრძოლთა მხარკემან გძღვნას მოხარკემან
ელიჯად ოქრო დასატენალი.
არ ეც ნასარად, არ ეცნას არად:
ხალიფას სისხლთა რად სდის ტენალი?
ბრძნად ლამაზ ენით ვინ ითქმის ზენით
სწორუპოვარი, მძლედ სახსენალი?

მოემან გებით, მოე მანგებით
ყავ ბაღდადიცა გასაჩენალი.
არსად არსა რა? არსად არს, არა,
შენებრ უკლები და საჩენალი!

XII

გულო, აბა, მო, დაუსაბამო,
თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად,
მზეებრ სავანე, სულის სავანე
თან-განმწყოდ ძისად, სწორად მამისად!

ვძებნეთ ქნა რისთა? — დღე ბნელ ქნარისთა,
მითვე ნათლითა დღე ქმნა ღამისად.
უმსგავსო პირი, იესეს ძირი
ასულად ვიცნი აბრაჰამისად!

ცად ქმნად უცადი არს განუცადი
ღმრთივ განბრწყინვებად და კამკამისად.
მჭვრეტელთა ურჩი, ვარდი ნაფურჩი
გამცდელთა შეიქმს მსგავსად დრამისად.
სამყაროდ ისრის, უწყალოდ ისრის,
ქმნადთა მცველია წარბ-წამწამისად
ზენათ ცხებული, გამრიცხვებული,
მჯობი ყოვლისა მხნეთა მამისად.

ანათობს ის ოს, მით არცხვენს ისოს
შუქის კრთომითა შეუდგამისად.
ზნედა სჭირს ესა: არ ეტყვის მზესა:
„სამხარ მელოდე! სჩან მაღლოისად“.
არ ენა, სული არენ ასული
შემწედ მესიას აღნათქვამისად.
თვით დგას ეტლითა მსწრაფლ მომხვეტლითა
აგარის ტომთა გულსა შხამისად.

უცნი ავითა, უც ნიავითა
საუფლო სული ჟამის ჟამისად.
მწადდა-რე ძნობა, ვრცელად განბრძნობა
სამუსიკოთა შენასხამისად,
მით ვერ ვეგები, მით ვერ ვეგები
პლატონისისა შენასხამისად.
რად არ აჩნია, რა მიაჩნია,
ენა ვით სძლებდეს საქებარისად?

XIII

შენ მწუნობი ხარ მნათობთა,
არ ისასმენლებ, არიდენ;
შენ შუქნი ელვა-ეთერთა
მზისა მწვერვალთა არიდენ;

შენ სისხლთა შენთა ურჩთასა
უზღო-უმსგავსოდ არ იდენ,
არცა ნათლისა ისარი
მჭვრეტთა გულებსა არიდენ!

XIV

გვიან შენებრთა ძებნანი,
რკინისა ხამლთა შესხმანი,
შენთვის ხმდა არისტოტელი,
დიონოს წიგნთა შესხმანი,
მსგავსად აქილევ-ტროელთა
უმიროსისგან შესხმანი,
ვერცა დამეტებს სოფოკლი,
არა თუ ჩემნი შესხმანი.

XV

ვინ ჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ-მთქმელი მოსწავებულად
ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ-ვარდ-
შუბლად,

თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად.
გიწოდა შენ თვის, როკვიდა შენთვის
პირველი დავით განცხადებულად.
თვალად ძე მისი, შენ რა ემისი,
სოლომონ გხმობდა სახელდებულად:

„ასულო ჩემო, მჭვრეტთა შემჩემო,
სჩან სიკეთითა განშვენებულად!“
ფიცითა წამა, მისგან იწამა
ღამე დღის-ფერად განბრწყინვებულად.
ვამცნი მსმენელთა, მოსათმენელთა
ნიჭთა ვით მივხვდი შენთ ხელთ გებულად,

უკვირდა შენი სიკეთე, შენი
სთნდა ყოვლსა სულსა განკვირვებულად.

მოწყალე სული, მშვიდ-წრფელ ასული
გიცნა გონებით მისად ცხებულად,
მოუნდა არსთა, მიდთა და სპარსთა
ერთ-სამწყსოობა ერთ-უფლებულად.
მოგყვა, მო, ნებად, შენდა მონებად
აღძრნა ყოველნი თავდადებულად.
ვსპვრეტ ნიშსა ცხადსა: თვით გულითადსა
მისსა სახელ-სდვა მოწოდებულად.

მე ვიტყვი ფიცით: „რაც ოდენ ვიცით,
რად ვინ მაბრალობს ვთქვა დაკლებულად?
შენი სიშუქე რომელთა ვუქე,
ვითამც ვინ იქმნა მიბაძვებულად?
სცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,
მთიებნი რად ჰყვენ განქიქებულად?
აღმოშენებსა ვინ აშენებსა
მორჩსა ახალსა აღმორჩებულად?“

ნათელი დიდი რადგან დაბინდი,
ვიცი, არ ითქმი დაბნელებულად.
ედემურია, ვისცა სურია
ანუ სხვავე ჰხვდეს შეძინებულად.
მე ვიცი, რომე დავამცირო მე,
ვერავინ გბადრობს გასწორებულად!
გინა შობილი, ანუ სწრობილი
შენგან ჩანს მთვარე დასაწყლებულად.

ეჩვენებოდა, ეფერებოდა
ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად!
მე რომ თქვენ გნახე, ედემის სახე,
მართ სამოთხისა მიახლებულად,
ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენსა შუქს ეყვის დარიდებულად.

ვნახე ინდონი, ვითა რინდონი,
რომე ჩნდეს ზანგნი ალაღებულად.

ვინ მელნის ტბებად გთქვეს დასახებად.
გიშრისა სარო დანატრებულად,
სახედ გსახობდეს: „რა მზე ნათობდეს,
მაშინცა ითქმის დაბნელებულად!“
ვინ გჯობს ბედითა? რად აბედითა
მზე შენმან შუქმან დამეტებულად?
ვერვინ გიხილა, ნახვად გიხილა,
ანუ გიჭვრეტდეს გარეტებულად.

მე გული შენი ჩემად ვიშენი:
რაღა მიიქცი, ვჩნდი ზარ-ღებულად.
არ დამეტია — მომკალ მე, დია! —
ჩემი სიცოცხლე გაცუდებულად.
რომელმან ღამე-დღე ყო, თქვა: „ღამე
ჰფენს შუქსა მზეებრ განათებულად!“
მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა,
ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად!

XVI

იგავთ დამწესი და გმირთა მწესი
იესეს ძისა მით გძნობს ებანი
ერმი რა გნახა, მსწრაფლ დაიზახნა
შენგან უკუნმან კარის ღებანი.
ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა,
სელონის ეტლთა მოგირბევანი,
ნარგისნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა,
თქვა: „გწყლიანობენ შენ ლომ-ნებანი“.

ა რეა! კრონოს ენა გარდმკონოს,
ვარდთა გიდარნე ნაშვენებანი.
არ შენდა შექმნა, რაც ბრძენთა ექმნა
თქვენზედ სიბრძნისა ხელოვნებანი?
მამამან ძე ყო, ძემან უკლებ ყო,

სულმან დაგისხნა სიწრფოებანი.
წამწამთა ხრანი, ვისკენც ქმენ ცხრანი,
ცხრა ათას ექმნეს ნატირებანი.

იპოვნენ წმიდად, შეიცვენ დიდად
სწორუპოვარნი სიტკბოებანი.
გრტფიალობს ლომი აბესალომი,
ეფრემის ძირთა ვის გხვდეს თებანი.
ნებროთს სჯობს ძალად, — ვთქვა შიშით
მკრძალად,
დებორს ჰმატიან ახოვნებანი.
დანთქა აბირონ, დათან საბირონ —
ორგულთა დანთქამს ძლიერებანი.

უკლებლობს ლაღი, მბრძოლთ გულის მდაღი,
სპარსთა სისხლისა დანაკლებანი,
ბედ-დიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ავლად,
პონტოს ზღვისითგან არს უფლებანი.
უძრწის შამალი, მით თქვა: „შამ ალი!“
მის კერძ მისტაცნა მცბიერებანი,
ევლტის ხალიფა, იტყვის შარიფა;
„აწ გაგვიცუდდა სჯულის-დებანი“.

თარშით და დალბით, ეგვიპტ-ალაბით
სძღვნეს ნიჭად თვალნი და მონებანი
მცრობსა აქილევს, მბრძოლთა აქ ილევს,
რა მძლედ ა, ვიდის მოხსენებანი:
„ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო,
ააელესო, დასვენ ებანი!“
რომელსა მშვიდნი ვერ გსწორვენ შვიდნი
წყალ-ჯავარისა დაშვენებანი,

უძლე ძლიერთა, ბევრთა სძლი ერთა,
ოს ყვენ ბობქარის მეოტებანი.
ვახტანგის ტომსა, მას ვეფხვებრ მხლტომსა,
მზისა გშვენიან განშვენებანი.

არსად მოსრულნი, შენოდნად სრულნი
არა ყვნა თქვენებრ განკაცებანი,
დიდად განძებად, თქვენ მისგან ძებად
გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი.

არს უშიშ, ვითა მისითა შვითა
დაუკლებელნი სრულნი შვებანი, —
რიტორებრივცა თქვა: „ზენით ვინც ა,
სხვათა ისართა და არს ებანი“.
ენოს მწერლობდეს, უშურველობდეს,
ვერცა მან სრულ-ყვნეს თქვენნი ქებანი,
ჰე, ფილოსოფთა, გონებად მყოფთა,
ვერ შეუგნიან თქვენნი დრებანი.

XVII

ისმინეთ, არსნო! ირწმუნეთ, სპარსნო!
პირველითგანვე გვესწავა ღმრთებად:
„დასაბამითგან არ იყვნეს ცანი,
ოდენ ქვეყანა მყოფობდა ზღვებად;
მაშინ მან ერთმან, უკლებმან ღმერთმან,
ერთი ბუნება ქმნა სამად თბებად,
არ უცხოთა მით სუფევითა თვით
ხელითა იწყო, უწოდა ძებად“.
გაუწყე საქმე: „ნივთთა შესაქმე
სიტყვით ყო ხოლო თამარის ცხებად,
ნათლითა სრულ ყო, ედემს ასრულ ყო
ღამეთა ნათლად, ბნელისა ცებად“.
უკლები ესე არს გულსა მთესე
შიშისა ღმრთისა დაუვიწყებად;
მაღალი, დიდი, უკლები, მშვიდი,
წრფელი, უცრუო ცან უზაკვებად.

ჯავარ მოცალე, ტკბილი, მოწყალე
ყოველთა კაცთა განურისხებად

ურჩთა მოგვიდებს. ცითა ნაწოდებს
დავითს უწოდა მეფეთა ძებად.
ამან ეტლითა, მზის საჭვრეტლითა
მთვარესა ლები ამატა ლებად.
მან ახოვანმან, მძლედ სახოვანმან
ხელ-ყო ისლამთა ცეცხლისა დებად.

ჯაჭვ-ჭურთა მფრქველი გამოჩნდა ქველი
და აქილევთა დაუწყო ძლებად;
მიწყივ ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხნა დაუყოვნებად.
მან ათაბეგსა, ხვარაზმშა მდეგსა,
კეთილ-განრჩევით სჯულ უდვა მცნებად,
კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი,
შემძლე მელიქსა თვალთა ფერებად.

თვით ბრძენი წვართა, მით მოიწვართა
მისდა დიდებად, გასულტანებად.
მოყმე სვიანი, იესიანი
ლაშა აძებნა ლხინად და შვებად.
შიშითა მკრძალი, ვაზირთა ძალი
მოგზავნა დიდთა ცხენთა ძღვანებად;
უდრი ითხოვა, მზე მოითხოვა
ბნელისა კართა ნათელთა ცებად.

ვერა დამატონ სოგრატ და პლატონ,
ძნობდეს [ორნივე] ეფრემის წყებად.
აპეტოსესგან მოპოვნებულ არს
ქვეყნისა ზომა ქალდეველებად,
ვარსკვლავთ აღრიცხვა — ზოროასტროსგან;
ვერცა მათ ხელ-ყვეს შენდა დარებად,
არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თვით მისცა საძიებებად.

XVIII

ვთქვი შიშით მკრძალმან: საღმრთომან ძალმან
მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა;
მუნ თქმული მან ცნა, მაუწყა-მამცნა,
მისა გასწავებ და მის მიერსა.
ფილოსოფოსნი, წინასწარ მგრძნობნი,
იტყვიან ჟამსა შესაქმიერსა:
ვირე მოხვალო, წადთა მიმყოლო,
ღმერთსა თუ უნდეს სრულ-მყოფიერსა.

დასაბამს დადრკა, ცხადად არ დადრკა
რისთვის მიდრიკა მისგან მიერსა?
არამედ თვისსა ერსა და თვისსა
მიდრკა მისდამი სალმობიერსა.
ეწოდა მამა, ძე ეთამამა,
სული ეწრფელა მთავრობიერსა.
სიტყვით ყვნა წყალნი, ზეცისა ძალნი
დაბადნა ხანსა ერთ-წამიერსა.

სთნდა შექმნა ცისა შვიდ-სვეტ-მტკიცისა
ერთ-არსებასა სამ-სახიერსა.
მოსწონდა ღმრთობა, წინა-განწყობა
ღმრთისა სატანას სალმობიერსა.
ქმნა ღმერთ-მთავარმან და მეუფემან:
არ დაეფარა გულთმეცნიერსა.
ზეცით იოტნა, ამით იოტნა
მისცა ნაყოფსა მას სიტყვიერსა.

უკუნთა მთენი, მზე — მთოვარ მთენი
მნათობ-ჰყოფს ყოვლსა ქვეყანიერსა.
მითა ქმნა სწადა: ადამ მიწადა
შექმნა სახესა თვით სახიერსა.
მის თანა გვერდით ყოფად მის გვერდით
ევა უცხოვლა სულ-ცხოვლიერსა;
ამცნო: „მის ხისა განმარისხისა
შორს გქმნა ნაყოფსა მას მანკიერსა!“

იწყო მაცთურმან მტერ-უკეთურმან
წვევა ჭამადსა მოსამშიერსა.
მზაკვრებ ლაღნი მით, განქიქნა ამით,
ღმერთმან თქვენ მსგავს-გყვნა გულისხმიერსა.
მითვე გვეუფლა ჩვენ დამონება,
ცოდვისა კაცთა, ამ სოფლიერსა.
გამოგვაყენნა საშვებლისგანა,
მიგვცნა უფსკრულსა უნათლიერსა.

შემართეს მართა, ერჩდეს მათ მცთართა,
სცვალეს კურთხევა, უპოვეს ერსა,
უსმინეს მტერსა, სამოთხის გველსა,
იმოსდეს ტანსა მადლ-მოსიერსა.
ვინ შექმნა ევა, განწყრომით სწყევა,
ქვეშე ყო ხელსა ადამიერსა:
რისხვით უბრძანა: „და აწ შენც სცანა:
პურსამც შენსა სჭამ ნაოფლიერსა!“

დასწყივა მტერი, საჭმლად სცა მტვერი
თქვა: „ერთი თავსა და გველი ბრჭალსა“.
უმზირდეს მტერსა, გამოეხვნესა
სამოთხესა მას საშვებიერსა.
მაცთურმან ომად დაუწყო ცთომად
წამსა ხუთათას ხუთასიერსა.
ვინ კაცი იწყო, თვით ნანვად იწყო,
განზრახვით ის სჯის მოსპოლვიერსა.

მისისა მხნისა ქმნად კიდობნისა
ნოეს უბრძანა ქმნად, გონიერსა
იძია შური, მით მოსრნა სრულნი
არსნი ურჩებით განდგომიერსა.
წყლით რღვნისა შთვილნი კლვად შექმნეს, შვილნი
დაუკლნეს მტერსა მანქანიერსა.
მითვე წესითა დაუწესითა
მაცთურთა იწყეს საძებნიერსა.

მყოფსა სიტყვითა ტყვიან, ვიტყვითა
თავითა ყოფად აღნათქმიერსა.
წყრებოდა, თუცა დავითს ეფუცა
მისთა თესლთაგან საშობიერსა.
იწყო ნიშისა ქმნად საშიშისა,
მის კერძ ვერ მართებს ხსნა მიწიერსა:
მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი
სრულად უვნებლად საწესიერს ა.

თავს იდვა ვნება, ყო მიდევნება,
მოკლა სიკვდილი, სძლია ძლიერსა —
ადამ პირველსა, შეუჭირველსა
სუფევასავე ღირს-ყო ციერსა.
ღირს-ყვნა წარმართნი, წინა-წარმართნი
საქმესა ღირს-ყვნა, მას მადლიერსა.
ყო-ღა მოზენით, მოხედა ზენით
თამარ შუქ-მფენსა, ნათელიერსა.
მისცნა დავალნი, ხმელთა დავალნი,
სკიპტრა-მპყრობელ ყო არსთა მიერსა
სიტყვითა მრჩევსა, ელვათა მრჩევსა
სცისკრობს მოხედვა მონახმიერსა.
მტკიცედ აქვს სჯული, ჩანს მართლ-მსაჯული,
მას რომ უხმობენ ღმრთის სახიერსა.
უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა და ლმობიერსა.

ეროანე ჭავთელი

აგდულმესიანი

თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად!
გიძღვნა ქებანი: მწადს აქ ებანი,
დავითის დავით ვჰდე მუსიკობად.
მესმა ზევსური: რა ვნახე, ვსური,
რომ სიტყვა მეთხზნეს მეფისა ძნობად,
მუნ გულისხმობით თვით გულის ხმობით
კარი სიბრძნისა სულელთა ცნობად.

შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს,
ჩინეთს-მაჩინეთს, თარშის ქებულსა!
რომელნი ელნით, რომელნი ელნით
თავს სოგრატისებრ სწავლით გებულსა,
ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ
მკიცხველნო,
ვერ ძალ-გიცთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა.

ძე ადამისი მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამ-ოთხით
ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი;
აღმოსავლეთით და დასავლეთით,
სამხრით ჩრდილომდის ჰპოონ, სად არი
ზესკნელ-ქვესკნელით და გარესკნელით,
უკანასკნელით უფსკრულთ სადარი?

I

ვიწყო-ღა ქებად, ძვილ შეკადრებად,
მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი,
მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი,
ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი.
შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი,
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.

დავითისადა, დავით ისადა
ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა:
„ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი,
დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“.
ესე მისით-ა, ესე მისითა
კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა.
ა ქამით მორჩი! აქა მით მორჩი
სატუხელებრსა, ართუ არედ-ა.

არ იონათან, არიო ნათან,
ვინ ქმნა მას ზედა ზეთ-მცხებელობა;
დაცხრა, დაყუდნა, მისგან განცუდნა
უგლიმთა ბორგით ზარ-მცემელობა.
დავით ძლიერი, მხნედ საშინელი,
უფლებს და მთავრობს ურჩთ-შემწველობა.
ვგონებ მაქსიმედ: ჩემთვის მაქს იმედ —
მისგან სჯულისა დამბეჭდველობა.

ხმობს ღმერც ხალისად, ა მერცხალისად
ხმა-ტკბილ-მხმობარედ, იადონისად,
ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით,
ფინიკად ზრდილი ენგადიმისად,
ნერგად ვარდისად იერიქოსად —
სხვამც რა ვახსენე მსგავსად ამისად?
ასაფიც არი ა საფიცარი,
დამამტკიცარი წინასწარისად!

ბოლუქ-ბოლუქად, მყის სასალუქად
ბრძენი რიტორებს მისთვის სამ-ოთხით:
„მირონ-გუნდრუკად, შტახსად, კასიად,
თაფლად, მანანად, სძედ თქვეს სიპოხით,
ოქროდ სემურად, მურად ქამურად,
ალვად, კინამოდ, სარდა-სარო ხით.
ნარგიზ-ლავროტი, ია-მაკროტი
მისთვის ამსგავსეს, რომ არს სამოთხით“.

გავსილო ამით, ჰგავ, სილოამით
შეცოდებისა ბიწთა წარმღვნელად,
ვმოწმებ სულებსა დას-დასულებსა,
სამარადისოდ სჩნდე განუხრწნელად.
მხნე ხარ ასული, მჭვრეტთა ასური,
ალვის ხე-ტანი რტო-განფენილად:
გხედვენ რა ღამით, მოსრნე რაღამით,
მიწევნულ იქმნენ თვით სიკვდილ-ქმნილად.

მზრდელ არს მონათა: ზეცით მონათა
ივლისის მზემან ზედ ლომსა ჯდომით.
ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი
ადიდებდიან შვებით და ხლდომით.
არიან მხეცნი, მთანი და ბორცვნი,
მაღნარნი, ველნი მისთვის შევრდომით
შემუსრავს, შეფქვავს, თხემსა ვის ერქვას
ჭურად ჩაფხუტი, ორგულთ მიწყდომით.

თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა,
უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა,
კისკასად მქცევსა, ტანად საროსა,
მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა,
ერთგულთა ხსნილ-ჰყოფს, მტერთ ვსაროსა.
მნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო,
უფალსა ჩემსა რამც გამყაროსა!

აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით
„სიბრძნის დასაბამ — შიში უფლისა“.
ნათელი, წრფელი, უხრწნელ-მყოფელი,
შემწყნარებელი დავრდომილის-ა.
ცუდ-ყვნის მან მტერნი, ორგულთა ერნი,
სახმილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა.
მოსე და არონ თხემსა დაარონ
მას ალაბასტრი ნელსაცხებლისა.

უსწრო ხარანით, — გაიხარანით! —
მწიკვლისა მკლებ არს, არ დამმატ ის-ა,
მსგავს ა მანტისა, არ ამანტისა,
უფრო მტკიცეობს ანდამატისა.
უფალთ მთავარი, მჭერ სამთავ არი
სამსაჯულოსა სრულად მათისა;
სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა,
მთა ვერად სწორავს არარატისა.

მადლისა პური, სიბრძნის სადგური,
მხედარი ღმრთისა სამ-ხატოვნისა;
უზვერლებითა, სურნელებითა
მსგავს არს წმიდისა სამირონისა.
ყნოსა შროშანთა, მღერა შროშანთა,
ხმანი ცუდ-იქმნეს საფირონისა,
ქვეყნისა ზღვარი — ჩრდილო და ბღვარი
დავლონ, ვის ძალ-უც მისებრ პოვნისა?

ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით
სწავლა დაებმის, ბრგვნილ-ჰყოფს ენითა,
ამათ ძალითა რომ ათძალითა
ორღანო უძნო, ებან ებნითა.
უთრუთ-საამით ზაალსა ამით
განქიქებულ-ჰყოფს ძლიერებითა.
სალიმ და თური, ძლით უკეთური
როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა?

II

ძირით მისისა იესესისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად
ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა,
საქართველოსა მეფედ წოდებად,
სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად,
აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად!
ახალი ფასი ა ხალიფასი
მრავლად მოერთმის თავთა მონებად.

იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა სჩხრეკენ,
რამლს ჰკრვენ, არჩევენ ბედთა მათთაგან;
„ჩვენ რომ გვესმისა, წყაროდ გვესმისა
სამოთხის წყლისა ცხოველისაგან“.
ვთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა
მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან,
ხედვენ მზერითა: „სწორავს მზე რითა?“ —
ფიცვენ: „მიჰრიდა თვისთა სხივთაგან!“

დოვლათ-სვიანად სუფევს მზიანად,
შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა.
განათლდა არე მისით, ვით მთვარე
როს განხმულ იყვნეს ცანი ხომითა.
ხილვა მეფისა მჭვრეტელთ ეფისა —
თვალნი მაღნიტზე ფოლადობითა.
ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის,
არს მიწყივ შვებით და განცხრომითა.

მხედრად ქველობით, უძლეველობით,
სახედ უსწორო, ანაგებითა,
უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქპეტთა,
აქვს-ღა გოდოლნი ანაგებითა.
მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა
გულსა უწყალოდ ანაგებითა.
ცუდ-ჰყოფს მისანსა ტილისმისანსა
ხრიზმოსთ კითხვითა, ანა გებითა.

III

აღვძრნა ბაგენი, ბრგვნილად მაგენი
გულისხმის-ყოფით შესხმად ქებისა,
მაღლისა, მხნისა, ბრძენთა სეხნისა,
აღმოთქმად ვიწყო ნეტა რებისა?
გოლებრ მწთოლვარე, არად მკმოლვარე
სამართლად ღირსი ნეტარებისა.
არა სთნავს რისხვა. გესმის? — არი სხვა:
ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა.

ესა მართალი: ე სამართალი
ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ.
აქვს მას ტრიონი სანატრიონი
საწმისისაგან სამოსად გარედ.
აწ ესე ლომი, თვით ე სელომი
მისთვის აღეგო, კეთილ სახმარედ.
წყლად არს გეონი, ვინ ლეგეონი
პირდაყოფილ-ყო უქმად, მედგარედ.
აქვს სასოება მას, სათნოება,
სარწმუნოება სიყვარულითა.
მადლთა ტალანტი, სავსედ ბალანტი
შეუკრებიეს თვით სურვილითა.
ქველის საქმითა ვკვირობ აქ მითა,
რაც ოდენ მესმის იდუმალითა.
უსხეულონი ზეცისა ძალნი
მისთვის იშვებენ სიხარულითა.

აფთონს ბრძავს, ათენს, ესრეთ გაათენს
წყვდიადსა ნათლად სხივნი მზისანი.
კაცმან სულელმან და უსულელმან
ვერ გულისხმა-ყოს ზრახვა მისანი;
ფშვის და სურნელობს, თვით მომცემელობს
ჩვენდა სიბრძნესა მადლნი ღმრთისანი!
ვისცა შეჰრისხდა, ნამდვილვე მიჰხვდა
მას სალმობანი სიკვდილისანი.

ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:
„ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
მასთანა შორად, — ართუა შორად! —
ელია — მოსით, ესრომ — არამით.
ქველად ჭერითა, რისხვით, ჭერითა
ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
მასარ ა რითა? მას არ არითა,
ელ ია-მოსით. ეს რომ ა, რა მით?“
ვით ვუძლოთ ქებად, შესხმად, დიდებად
თქვენდა, მსაჯულო სიმართლისაო?!
ჰმთავრობ და უფლებ, ათავისუფლებ
პყრობილთა, ბრძმედო სიწმიდისაო.
მენანდარ გიცნობს, ოქრო-ხმად გიძნობს,
სამუსიკოო ზირაქისაო.
არსება გმზეობს, მის მიერ გმზეობს,
წიაღი გელის აბრამისაო.

IV

ხარ უკვდავება! ვით უკვ დავება?
რაც ძალ-მიც, ქებად ვიწყო მწადენი,
ტურფა სახითა ცხოვლად სახითა
მოყმე, მხნე, უხვი დაიბადენი.
სიბრძნისა სირად, სწავლისა სირად
გარე მოგეთხზნეს რიტორთ ბადენი.
აწა მეთავსა! აწამე თავსა
ღვაწლი, ვინ უწყის, თუ რაოდენი.

ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად, —
ჩვენ თქვენდა ქებად სიტყვა რათ ურთით? —
მსრველ — ბარბაროზთა, მძლედ — სარკინოზთა
ჩაფხუტ-ჯაჭვ-ჭურით, ოროლითურთით!
ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ,
მელქიზედეკის ლოცვით ზედა-მთით.
ესავისითა ეს ავი სით ა, —
მაუწყონ მთქმელთა, — თუცა რათ ურთით?

ვისცა უგმირეს, მისთვის უგმირეს
არს ეს ყოველთა თვით-მპყრობელთასა,
ღმრთისა სამ-მზისა, ვინ ზესთ სამ ზისა —
ეთერთ, სამყაროთ და ღრუბელთასა.
ზღუდეთა კარი, მადლთა ფუტკარი
უტკბესად სძისა გოლეულთასა.
შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს,
ასტარტის კერპსა საძაგელთასა.

მხედრობს ჰუნესა: გულად უნესა
სათნოებისა ჭური რჩეული.
ე საც ერია, მეხებრ ერია,
რაზმნი შეიქმნეს სულ-დალეული.
ქმნის რა ნავარდი, მყის განავარდი,
ფერობს, ვით ვარდი თვით დაცვარული.
იხმარნის მკლავნი, ხაფად მომკლავნი,
აღმტაცებელნი, გრიგალ-ქარული.

მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი,
მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს,
ექმნა წარმართსა და ერსა მართსა
განსახრწნელ, რომელ სრულ პყრობილ იყვნეს.
რა მარზაპანთა და სპათა მათთა
შეჰრისხდა ლომი, თვით ნანვად იწყეს.
მაშინ დავით მათ, მაშინ დავით მათ
მრჩობლად სხეულთა სული განიყვეს.

იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა
გულის-მდებელად თვისთა სპათათვის,-
გორგასლიანი, დავითიანი
დროშა იახლის მსრველად მტერთათვის.
არ ვეჰვ, ეგზომი ბრძოლა და ომი
სხვასმცა ძალ-ედვის მისგან მიმართ ვის?
მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუდნი-
ხმა როსტომით-ა უმხნე ძალთათვის.

ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო იამან ქვეყნით,
აღმოფხვრა სული — ძე და ასული:
რაც უყო თქმევად ვის ძალ-უც ენით!
ვნახეთ ა სერი: მაზედა სერი —
მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისევნით!
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით.

თვით სულ იმონა კიდე ლიმონა,
მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა:
ალაგა მითა — ა ლაგამითა
ცქაფად იხმარნეს ეტლთა მბრუნავთა.
ვინ რისხვით უხმო, უტყვ-იქმნეს, უხმო
შიშით და ძრწოლით მომრთმევად თავთა.
ბნელ-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა
ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა.

აბჯარ-ხრმალითა, ვეფხებრ მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.
მიჰხვდეს სიბრმესა, დაჰხდეს სიღრმესა
ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი.
აქარავანი ა ქარავანი
მეგობართაგან მათთვის საწოდნი.
ვადიდებ ხელსა ბრძენსა, არ ხელსა,
რომ სცა მათ ნიშნათ ბოლოდ საცოდნი.

ხარკე ისარი! ხარ კეისარი,
სიმდიდრით ლაღი ჯიმშედ-მფლობელი.
მოსიმახოსა მოს იმახოსა
მახვილი თქვენთა მტერთა მწყობელი.
ჯალაც ისეფქევ, მოსვრით ისე ფქევ,
ბრჭყალი ჰქმენ მათზედ მეოტ-მპყრობელი.
პვირ მამენდ მეხი ავად რა ჰმეხი,
ორგულთა ექმენ დასამხობელი.

კვერთხი მეფეთა, დიდ ხელმწიფეთა,
თვით გაქვს გებალით: სხვამც რად ეკვეთოს?
ჯაჰვ-საჰურველნი ძნელ-სასურველნი,
მით სარკინოზნი მყის დაეკვეთოს.
ხრმალი ლესული, მასზედ მხნე სული
ბარბაროზთ მსვრელად მყის წარგემართოს.
მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი,
რისხვით მათ ზედა რომ მოგემართოს!

შესამოსელნი, შესამკობელნი
გმოსიან ტანსა ოქრო-ნემსულნი,
გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი
ძოწეულითა თანა-შექსულნი.
გაქვს-ღა პორფირთა შთაცმა, პოდირთა
სამარაგდონი ერთგან ექსულნი
დიადიმითა: დიადი მით-ა,
ზეგარდამო გაქვნ წმიდად ექ სულნი.

ვიტყვი ხვასროსა, იმა ხვასროსა,
ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა,
პირველ მყოფისა მის მეუფისა
სპარსეთად ძელის წარმყვანებელსა!
სთქუთ-ღა ესეცა: „მსგავსად ესეცა
უღმრთოთა შეიქმს თვით-ოტებულსა.
ა მოთხე მისთვის, ამო თხემისთვის
ნათანით ვსძღნობდეთ ნელსაცხებელსა!“

V

თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი?
გალავანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი,
კართა სტოვანი, ერთა სტოლანი,
იპოდრომისა განხმულობანი,
სახმრად ლანკანთა, თანად პინაკთა,
ბადახშნით ხელ-ყვნეს — შექმნულობანი.

ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი,
სარდიონითა ხურუმზს შემკულნი,
მისაყრდნობელნი ძნელ-საცნობელნი,
სამოთხით ნაძღვნი, თვით უდნობელნი.
ოქრო-ვეცხლებრივ ბრწყინავს, ცეცხლებრივ,
კედელ-ყურენი ფიქლით ძერწილნი,
ბივრილიონნი, ლიგვირიონნი
ურთიერთობით შორის შთათხზილნი.

გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა
უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა.
ჟამი დილისა მოწმენდილისა
განბრწყინებულ-ჰყოფს წყვდიადსა ბნელსა.
მიჰხვდეს მისრულნი, მისთვის მისრულნი,
თვისთვის მისრულნი საქმესა ძნელსა.
მე თუ კვლად გაქო, ვიცი, კლვად გაქო
სხივთა ნათელი გვამსა უხრწნელსა.

VI

წყლად გთქვა ნილოსად, უსასყიდლოსად
სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად,
ოქროდ ოფასად, ძნიად საფასად
ყოვლად ყოვლითურთ ბიწშეუხებლად.
სიწმიდის ბრძმედსა თვით განსაწმედსა
გამოდნობილხარ ბიწშეუხებლად,

თვალად ალმასად, — გავნოს ალმა სად? —
საფუძველთ ზღუდედ წახნაგებულად.

ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი
გოარი მათგან დანათვალითა,
რიყე თვალისა სწორ-ნათალისა,
წყალნი მგზებარობს შიგან ალითა,
ჩანს მარგალიტი, ართუა ლიტი! —
ოდენ ბურთისა საბურთალითა.
აქვს ზარდახშანი მას, ბადახშანი
ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა.

იაგუნდისა სხვა რა უნდისა?
ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა.
იყვის ჭურჭელთა სხვათ უცხო ფერთა
სიმრავლით დება, თვით ურიცხვისა.
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი,
ზოდი ოქროსა მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა,
ხმანი ებნისა და წინწილისა.

ეგრეთ ინახის შორის ინახის,
ვით მზე სამყაროს მანათობელი,
მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით,
სხივ-მკრთოლვარებით მკამკამებელი,
ედემს დარგული სამოთხის გული,
ციერთ უმაღლე, ქვეყნის მპყრობელი, —
გვამცნებს სრულებით ღმრთისა სრულებით
ჩვენთვის მარტივად სჯულისმდებელი.

გუნდ-მწყობრი დასი მას ბევრ-ათასი
ჰყავს დიდებულთა, დიდგვართ თავადთა.
იოსებს თვალად, დიდს სამფსონს ძალად,
სჯობს ნებროთს გულად ნაყოფი მსთვადთა,
ცუდ-ჰყოფს, ვით ცვილთა ლიქნა-სიცბილთა,
მზირთ სიბორგილით, საბრხით ძმაცვადთა.
მისთვის მოვსწყდები, შევირაცხები
მსხვერპლად: ვემსგავსო ცხოვართა კლვადთა.

მზე — მთოვარითა, ცა — ვარსკვლავითა!
შუქნი მიუხვმან მის ელვისათა.
მამის ძედ არი საგზის ნეტარი,
მეტრფე საქმეთა სახელისათა.
თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი,
მეწდე სიტყვითა სიმართლისათა,
ერთა შემცველი, მტერთა შემწველი
თანად შიშითა სასჯელისათა.

სახედ ელვისა! სახედველისა
მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა.
მო, ე კალმითა! მოეკალ მითა,
რომ უქმად სდეგით ხატვად სახისა.
მისთვის წამალნი, სჯობს, რომ წამ ალნი,
თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა.
მან იოსებსა — არ ი ოსებსა! —
სიტურფე ართო, თვით მსგავსი მის-ა.

ალვის ხე-ტანი, მსგავსად შემტანი,
აქვს კოწოლთ დაყრით კვიპაროზისა.
დასწვავს სრულობით ჯავარ-სრულობით
მზეთა, სახმილად ეშყი უგზისა.
სტავრა და ნახლი, არ ბილწ-ხელ-ნახლი,
მოსიეს ტანსა მჭევრსა ზეზისა.
ვით მზე ღალიად, ეგრეთ მალიად
მორბედად შავსა ტაიჭზე ზისა.

არ გასტეხს ფიცსა, თვით დანამტკიცსა,
ჰე — ჰედ იყოსა ანუ თუ არად;
ძლევა მარჯვენით მოიმარჯვენით
უფლისა მიერ ჭურად და ფარად.
ექმნა ქუხილად, თვალთა წუხილად
რაზმთა ურიცხვთა მეხ-გრიგალ-ქარად.
ერი რჩეული, ნიჭთა ჩვეული,
მისგანვე იქმნეს კეთილ სახმარად.

VII

ვარდო უფრჭვნილო, ცვრით განბანილო,
ნერგო სვიანო, დავითიანო,
ვინ კისკასია, სურნელ-კასია,
ბალასნად კმოლავ და ვით იანო!
ვინ ხარ? ან თრაკი? — ქვეყნად ანთრაკი,
უცხოდ აგებულ-ანაქვსიანო,
გონება-ვრცელო, კვლა ცნობა-გრძელო,
მოთმინებაო იობიანო!

ბანაკად საღრმთოდ, ერ საზეპუროდ
ხარ ღმრთისმეტყველთა მათ ჭურვილთაგან.
ექმენ სახმილად: იყვნეს ახმილად
მზირნი ფარულად შორს ქალაქთაგან;
მწარედ ლმობილნი, ეგრეთ ცნობილნი
უღონო იქმნეს თვისთა სლვათაგან;
გულ-დრკუ-ხენეშნი, განმრყვნელნი ეშვნი,
აქიტოფელ ჰყვენ განზრახვათაგან.

ატიკულისა, პატრიკულისა
ხედვის უფალ ხარ სიწლოთ-სიხშოსა,
უთქვამს ებელთა მეძიებელთა
შენთვის პროკლეს და[იამვლი]ხოსა:
„არვეთა ვსებით არ ვეთავსებით
სიბრძნისა. ზღვასა თამარ-პირმშოსა!“
ზინონ, ზენანი, მოგვთა ზენანი
მეუფედ გხმობენ პერიპატოსა.

იმ ალვისა ხედ იმალვი სახედ,
მჭვრეტთა შემწველ ჰყოფ მით მოტყინარედ,
კვლა ეს ხეული არე სხეული,
ლმობით პატიჟად ექმნების მწარედ.
ეგე ენიად: ე გეენიად
ექმნა და მათ იქმს სრულ ქვე-მდებარედ.
მწირი და მსხემი, ეგრეთ დამსხემი,
ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ.

მოხველ განრომით მტერთაგან, რო მით
სიმხნითა აზმნობ მძლედ მორკინალი,
სწავლის მოძღვარი, საშვებლის ბღვარი,
გზა სიწმიდისა, ცხოვრების თვალი.
ჰყოფს ანეულსა მყოფს, ან ეულსა
არ ოდეს ბიცად ერქვნისა ძალი.
ჰხედავ: გაქვს მოხშო, ვაი, თუ მოხშო,
წყალობის კარი ტკბილად მზრახვალი!

რა მოიზარდე, თვით მოიბლარდე
ნათლითა ყოვლის მპყრობელისათა.
ეროიკ, ბოღრატ, პარმენიდ, სოგრატ
უფლად გთქვეს ზღვისა და ხმელისათა,
ფილოსოფთ რვისა გარდატვიფრვისა
მხედველ ხარ მსგავსად ებელისათა.
ექმენ ედილად ყრმათა, ე დილად,
განმბანელ შვილთა ემბაზისათა.

VIII

გიხმობ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ,
სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად.
ნათლად მნთებარე, წინამდებარე
სხივ-მომცემელობ ელვა-ცისკროვნად.
ძალ-გულად მხნეო, სვე-ბედით ქვეო,
ასპიტ-ცემულ-ჰყოფ მტერთა, ახოვნად
მყის მოამდოვრებ, მათ შეიქმ ცხოვრებ
უჯეროდ მზახთა მდელოთა ძოვნად.

ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება,
მუშკს სურნელება შენგან მიეცა;
ყანდაარს შაქარ, მაღრიბს ოქროს ქან,
ბარანს მარგალიტ-სადაფი ეცა,
ქვეყნის მნათენი, მოკამათენი,
ბაზიყად გექმნეს სურვილით რეცა,
წმიდათ მემწყობრე, მათთან მოსაგრე,
ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა.

ვხედავ მა რტოსა გაშლით მარტოსა,
გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა,
კაცთ-მოკვდავისა დამკოდავისა
შეიწრებისა არ-მომთმინოსა.
სწავლის ებგური, უცხოთ სადგური,
ნავთ-საყუდლითა სწორავ ნილოსა,
სიბრძნის უფსკრული, ენა — რიტორი,
მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა.

თქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი
არიელ-ფოტელ-გერგესეველი,
შიშველ-მართალი, ციდამტკაველი
აბაშ-შაბაში, ღვედკეც-ეველი
ბასრი, ბარანი, ვრახმან-ერანი —
გაქებს, გადიდებს ძნობით ყოველი!
არდამი ვარდა, გლახ, დამივარდა
ენა მართლის თქმად ვეღარ მგებელი.

IX

ძირმტკიცედ გოდლად, ზედ კართა ზღურბლად
ცის კამარათა სჩანხარ ზესთ მდეგად.
ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსხლავ,
ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად;
ურჩთა ედომით ცეცხლად ედო მით
შერისხვა თქვენი სრულ დასადაგად;
სახმილთ არმური სწვავს მათ, არ მური
გუნდრუკად ერთმის ოქროსა რიგად.

გვრიტთა მართვისა თვარ აქვს მართ ვისა
თქვენებრ სურვილი მეუღლობისა?
წარ-თუ-წირულ ვართ, არ განწირულ ვართ,
რადგან თქვენ გპოვეთ მზეთ უფლობისა.
მადლის მუშაკთა ექმენ ხორშაკთა
მაგრილობელად სხეულებისა.
მთა შეუძრველი, კლდე შემმუსრველი,
ლოდი ხარ მტერთა დაბრკოლებისა.

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი!
მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.

მან უცოდველმან, ყოველთ მხედველმან,
ზესთ-არსმან ზესთა თვითებისამან,
მიუწვდომელმან, დაუწყებელმან
ნათელმან ერთმან სამებისამან:
მამისა ნიჭმან, სულისა ნიშმან,
ძის თანა სწორად განსაზღვრებულმან —
გქმნა ცისკრად დღისად, მთიებად მზისად,
ვარსკვლავად ცისად, თვით უბინდომან.

ჰფუცა მონამა: ზეცით მონამა
მანანად ჩვენთვის მწყერ-მარხილებით.
გვცა სრა სრულებით, სავსედ სრულებით
თვალთ-გოვარებით, ოქროს მილებით.
მისგან ბოძება — ართუ ბოძება —
მრავლად ვიხილეთ ტკბილის გულებით,
ჩვენთვის მთმობელად, დასათმობელად
სანუკვრად ვპოვეთ ესმარ-ხილებით.

აწყა რომითა ა წყარო მითა,
ეს მოგვენიჭა ქრისტეს მიერად:
იტყვის იგავსა, ართუ იგ ავსა,
ზირაქის მსგავსსა, გულისხმიერად.
მტკიცედ და მკვეთრად, მისგან უკეთრად
ნეტარ ვინმც იქმნა, ანუ თუ დარად?
მისრულ მისრულა, მისრულ მისრულა,
გული როს მქონდა სალმობიერად.

სჭვრეტენ შეფრფინვით მნათობნი, ვინ ვით,
ხვეჭით და ნდომით, სულ-წასრულებით;
ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა:
„რადგან დაებით, ბარე სულ ებით!“
თავს აბარებდენ, არა, ბარე ბდენ,
მყის გლოვად იწყეს ალვა-რგულებით.
წამწამს ისროდის, განესისროდის
მზენი ლახვართა მისთა სრულებით.

არს შვენიერად, არ-ქვეყნიერად —
ანგელოზთ სახედ დასახებული,
მეფედ გებული, ლაღად შვებული,
თვით მხიარული, სამ-დიდებული,
მორჩი ალვათა. აკრთობს ელვათა
არეთა მთენი, ცისკრის კრებული.
მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მასცამცა
სახლად სამყოფად განჩინებული!

სჯულისა ლარი, ქვეყნის სალარი,
გამდიდრებული ფრიად ყოვლითა!
უწყნის ყოველნი ჟამნი და წელნი
შეყინვა ნივთთა ცით მომგრგვლებითა,
ქვეყნის უფალი, მჭვრეტთ სატურფალი,
საყნოსლად მათთვის სურნელებითა.
თვით ლომი გმირი: ნუთუ ეგ მირი
თქვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა?!

მტერთ არე წყალი და ნაბერწყალი
მიჰფინის ხმათა მისთა არმურმან;
განძვინვებულნი, ცნობა-ვნებულნი
მეხდატეხილ ყვნის მკლავმან ძლიერმან;
სრბით სლვა უჯეროდ, ძნელ-გასამრჯელოდ
უქმნის რისხვამან კვლავ მის მიერმან,
ეცის ვის ის რა, გულსა თვით სისრა
მყის განაწონის მან სახიერმან.

საფარველ ერთა, საძლეველ მტერთა
მარტივად ბრწყინავს თვალი სოფლისა,
გონება-ვრცელი, ყოვლ-განმხედველი,
ქრისტესთვის მთხევი თვისთა ოფლისა,
ნიჭთა მთხრობელი, წინა-მსწრობელი,
მადლით სპეტაკი უფროს თოვლისა,
მისთვისვე ქმნილი, თვით განკუთვნილი,
უფლადცა მხედი ნივთთა ყოვლისა.

ცნობისა სვეტი, ხვეჭით საჭვრეტი,
სიმაღლედ, სივრცედ, სიგრძედ და სიღრმედ,
სჯულის ფიცარი ძნელ-საფიცარი,
მადლთა ბარძიმი ერთა განსაწმედ,
მზე დაუვალი, მყის დაუვალი,
არს შვიდი მნათი მას ზედ მოწამედ.
წმიდად აქვს სული დასთა-დასული
სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ.

მისგან ვითხოვო, ართუ ვითხოვო,
რათა სცეს სწავლა თბესა მცონარსა.
თვით აუარო: არა უარო
ქვეყანათ ყოვლთა უფალთ-მთავარსა:
სამ-სახეობით, სამ-სახეობით
ჰხადის უფალსა და მაცხოვარსა.
ა ბანაკებით აბანაკებით
მკვირცხლად გვახილვებს მებრძოლთა ერსა.

ვხედავთ სფეროთა: სამისფეროთა
საქმეთა მქმნელად ვალს სიფიცხენით;
ცის საქანელნი გარდმომდენელნი
მადლისა ცვართა ექმნეს მას ზენით.
თვით მის აქაზის ნაცვლად აქა ზის
ახოვნებისა სვეტნი მტკიცენით.
ონორის დუქსა პირს ავად უქსა
მყის შერისხვითა, მსწრაფლ სიმკვირცხენით.

დრო შამოიგდო: დროშა მოიგდო,
მტერნი დახოცნის აოხრებითა,
ბუკ-ტაბლაკობით საარაკობით
მედგრად იბრძოდის გამწყაზრებითა,
განცბუნებულნი, განწბილებულნი
უღონოდ შექმნნის აბჯართ ახდითა.
გამეხებული, გამარჯვებული
იყო, იშვებდა ფუფუნებითა.

X

ვაქებდეთ, ერნო, ყმანო და ბერნო,
საუნჯედ ჩვენთვის მონიჭებულსა
ქრისტეს მხედარსა, მხნე-ახოვანსა,
პირად-პირადად განშვენებულსა,
ნათლად ბნელისა გარფენილისა,
ეთერთა ელვად დასახებულსა,
სიწმიდის ვაზად, არ ბილწად, ავზად,
ნათლის ემბაზად დაარსებულსა.

ღმერთმან და ძემან, ღმრთისა სიბრძნემან,
ყო ეს უაღრეს სულთა ყოველთა,
ნათლად ცხორებად, არ განშორებად
ზეცისა ძალთა, გუნდთა ცხოველთა.
მნედ ტარიგისად, ვითარ იგი სად
ცხორებდა ჩვენთვის ქვეყნ̣ად ქვე-ველთა,
აღაგო სახლად, სწავლის თან-სახლად
ასურვა ენა მისი მსმენელთა.

ვთქვა ფინიკელნი, არ აფრიკელნი —
მათ ქმნეს წერილთა მოგონებანი.
კატამანეთო, იამანეთო,
მისდა მყის ცუდ-ჰყვენ მოგონებანი.
გიხმობ რომელთა, გიცნობ რომელთა,
ყურნი მომიპყართ, მო გონებანი!
მისთვისღა ქებით ხარ, განქიქებით
ბიწი ვინ ჰპოონ, მოგონებანი.

ანდიბან მოგვმან, გრძნებითა მბორგვმან
მისნობით ხელ-ყო ზაკვით ზღაპრობა;
ეშმაკს ევედრა, სული შეჰვედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.
თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ — მოთხრობა.
ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად
დავით გიწოდა თვისად მკვიდრობად.

დაწერა ქვითა და წერაქვითა,
ანდამატისა ცვილ-მყოფელითა,
„მხნედ ასაკისა პავასაკ ის-ა
წმიდათა თანა მომრეწელითა“.
ტყორცა ისრისა მიკვირს, სისრისა
მერკვირისაებრ უსჯულთ ვლენითა;
სარკინოზთ ერთა სხეულთ აერთა
ოროლი მორფსა შიგან წევნითა.

არაბ აშია! არ აბაშია —
მეფე მორწმუნე, ხმელთა ნათელი
გულთა და სულთა თვით მათ დასულთა —
ებრ ბრწყინვალე ჰყოფს მადლთა სანთელი,
ალვა მოზარდი: სოგრატ, მოზარდი
ქებისა პოვნათ, ვითა სულელი.
საბასრო მის ა საბას — რომისა
მგმობარი, თავთა დრკუდ განმსწავლელი.

მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა,
ბილწად საქიქელ-საბასრობელსა,
სიძვა-მრუშებით, არა-წმიდებით,
ჩუკნა-ლირწებით სჯულთა მპყრობელსა,
თვით მეზღაპრესა, ცუდ ფეღამბრესა,
ღმრთისა არ-მართლად მქადაგებელსა
ეც მოსეს ხითა, არ მოსესხითა,
მას ღმრთისა მიერ საძაგებელსა.

თქვის სიტყვი მჭევრი, ართუ დუხჭირი,
მოსაქცეველ ყვნის წარმართთა ერნი.
მათ სატუხელნი, ძნელ-საწუხელნი;
სჯულნი შეუქმნის თავისა მტერნი.
მისცის ყოველთა, ვინც იყო ველთა,
ადიდებდიან ყრმანი და ბერნი.
მისთვის უგბილად, განსალიგებლად
შეიქმნეს მდედრად სხვანი ძლიერნი.

შვიდ წვალებითა, შეცვალებითა
იყვნეს ძველითგან შობის დღის მზმელნი
სადუკეველნი, ფარისეველნი,
მცნებათა სჯულსა არ-ქმა-მყოფელნი,
წერილთ მომპოვნნი, თვისით მომგონნი,
სხვანი დღითი-დღე ნათლის მღებელნი,
ნაზარეველნი, ხუთ-ოსინელნი
მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

მაკედონიოს, დრკუ საბელიოს
შეცდომით ჰგმობდეს სულსა წმიდასა.
მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით
გარდმოტანასა ხორცთა მისთასა,
სამუსატელსა და მომფსვეტელსა
პირს დაუყოფდა წვალებათასა.
სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი,
ღმერთმა არ ღირს-ყვნა უფლებათასა.

უცხოთ-მოყვარე, გლახაკთ-მოწყალე,
მსჯელი მსჯავრისა და სამართლისა;
აღბორგებითა, აღშფოთებითა
ძმაცვათა შორად წარმდევნელ ისა,
შვიდის კრებისა დამტკიცებისა
დამბეჭდველ გვექმნა მათგან თქმულისა.
მან ყო არიოზ და ევნომიოზ
საბელიოზით შორს ხვებულისა".

ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა
ვერვინ აღრაცხოს თან თოეულად,
ეგრეთვე ქება, მსგავსად ხსენება
მისი ვერ უძლონ თითოეულად,
სიმხნითა ბრძნობა და გულოვნობა
ამრავალწილა უსაზღვრეულად;
აღმოსავალით და დასავალით
მთანი და ბორცვნი ხმობს უფლეულად:

მაშინვე ნახი თვით ეს ვენახი,
კეთილ-განსხმული, სორექთ-მომრთმელი,
ლეღვისა, ღვისა, კუროს-თავისა
წილად მურტისა გამომღებელი,
ნამისა ცვრითა გამობუტკვითა
ნორჩთ ქანდაკებით მსთვად სასთვლებელი,
კეთილ-ნუჟრობით, ცუდ რიჟ-რაჟობით
მჭვრეტთ სატრფიალოდ დასასლბობელი".

XI

თქვა შემოქმედმან, ყოველთ მოქმედმან:
„ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა".
ღმერთმან ღმერთთამან ძველმან დღეთამან,
ვინ თანასწორად სულსა ავლენდა.
არვისგან არსმან, თვით დამაარსმან,
სამებით სრულმან თვით იმოქმედა,
ნამდვილ ღმრთაებით საბაოთებით
ნივთთ შექსულობით წარმოადგენდა.

მისცა ყოველი; არ უყო ველი,
თვით მის მიერვე დაემონოდეს.
უბრძანა ხისა კეთილ-სახისა
დაცვად ნაყოფი, ჭამად არ ოდეს.
უწყოდა ღმერთმან, მან სახიერმან;
თუ ჭამდეს, თვალნი აეხილვოდეს.
ურჩ-ექმნეს ღმერთსა, უსმინეს მტერსა;
მათ მზე წყვდიადად შეეცვალვოდეს.

როს ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი,
საზრახველ იყო სულთა ყოველთა —
ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა,
ბერძენთა, სპარსთა, აგ-მაგუგელთა,
მაშინ-ღა ნებროთ ჭკვით სამისებროთ
გოდოლი ხელ-ყო შენებად ველთა,
თვით გარდმოიჭრა, სული გაიჭრა,
სატანჯველთ მიჰხვდა სასტიკთა, მწველთა.

მცხინვარებითა ღმრთაებისითა
ფერი იცვალა თაბორს დიდებით:
ელია მოსით ნათელ-შემოსით
იახლნეს, სხვაც-ა სიმტკიცის კლდებით.
ძრწოლით ხედვიდეს, განიზრახვიდეს,
ვითარცა შეჰგავს მონათ რიდებით,
ხმა ზეგარდამო, მყის ყოვლად ამო,
მამისგან ესმა ძედ საწოდებით.

ერთ აღიფრტვინვეს, თვით დაიდრტვინვეს,
უმადლოდ ექმნეს ქველის-მოქმედსა.
აღბორგნეს ჯერკვლად, აღშფოთნეს ჯერ კვლად,
კიცხვით ბასრობდეს მას შემოქმედსა.
ვინ იბანს ხელსა, მე ვგონებ ხელსა!
ღმრთის სისხლსა წყლითა ვინ განიწმედსა?
სულისა საღსრად დასული სახსრად
ღვაწლს აღასრულებს წინასწარედსა.

როს მესა მესით, თვით მესამე სით,
დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა,
ოხრვიდენ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი,
ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა შემწველთა,
მსწრაფლად-ღა სტვირი ძნელ-დასაყვირი
წარმოადგენდეს სულთა ყოველთა,
მაშინ გალხინოს, თვით მიგავლინოს
თქვენ უოხჭნოთა მათ საშვებელთა.

ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა
განწმედით ქმნილსა, განბრწყინვებულსა?
თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა,
პირველვე შენთვის სახლად გებულსა,
სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა,
საფუფუნებლად თქვენთვის დასხმულსა
ვხედავ ჯეროვნად, მარად სამოვნად
შენდა განკუთვნით განმზადებულსა.

XII

თუცა ვიტყოდი, უწყი: ვიტყოდი,
ენამცა ბრგვნილად დამეყბედოსა.
ვის უთხრნე ჭირნი, ძნელ-დანამჭირნი,
ანუ სხვა ვინმცა მეიმედოსა?
შეგეფეროდა, გმირო, ქველო-და,
სრულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა!
მა ლეგეონსა მალე გეონსა
დაანთქემდ უყსა საუფსკრულოსა.

შენ, გონიერო, გულისხმიერო,
თვით მეცნიერო, მეფევ ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწვდომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
განათლებულო, განახლებულო,
განბრწყინებულო, მზეო ციერო,
გალაღებულო, გალომებულო,
კვლა გოლიათო, გულ-ლმობიერო!

მე, მონა შენი — მე, მონა შენი,
ვგონენ ყოველნი შენთვის შექმნულად.
ნეტარ ხარ ყოვლად წმიდად და ცხოვლად,
ძალად და გულად, თვით არ დაგულად.
ნესტორად მძლეობ, არათუ ლეობ
დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად.
აწე რისხვითა აწ ერი სხვითა
გზით წარევლინოს უკუნ-ქცეულად.

მე, გლახ, რა გიძღვნა? თქვენგან წარირღვნა
ყოველი ბიწთა მომახველობა.
ვინა იშვების, სად აღიზრდების,
რომ ჰქონდეს თქვენებრ ჭკვა-მხედველობა?
მოიმუშაკენ, ღვაწლით მოიმკენ
სათნოებათა მჭელეულობა.
ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი,
სულისა ქნარი, ღმრთის მხილველობა.

მეფევ მაღალო, ქცევა-მდაბალო,
ლომისა მსგავსო ძალად და გულად,
ალვისა რტოო, ყოვლად მარტოო,
მჭვრეტთ სასურველო მოსარხეველად,
ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო,
ქმნილო სურნელთა მოსაფრქვეველად,
შუქთა მფენებო, თვით განმთენებო
ზე-სამყაროსა, მერმე ქვე-ველად!

თქვენთვის დიდებით, ცუდ მიდ-მოდებით
სიტყვა შევკრიბე უნდო რამ ენით:
ხამს შემეწია, თვით შემეწია
მუსიკ-მგოსანით, მესტროლაბენით,
არ მექმნა გული ესრეთ დაგული
ცრემლთა ნაკადთა მიწყივ დადენით,
სიბრძნის არდაგი, სახმილთ არ დაგი,
წელთა მომერტყა სწავლის ბადენით.

პირველ წერანი და საწერანი
პალამიდისგან მოპოვნებულ არს.
სიტყვის-მგებლობა, ძნელ-საგებლობა
ზინონისაგან შემოღებულ არს.
ტილისმ-მოგვობა, არ-ცუდ-მბორგობა
აპოლონისგან დამტკიცებულ არს.
მასთან ასკლიპოს ვეღარ მუსიკობს,
თვით ქებად თქვენდა განლიგებულ არს.

წიგნნი — მეფეთა, ქება ქებათა,
ეკლესიასტე, სარამა გრძნისა,
დავით-იგავნი, — ვინ თქვა იგ ავნი?
სიბრძნე დიდისა სოლომონისა,
ლევიტელთ, რიცხვთა, მსაჯულთა, ნეშტთა,
ეზრა — ეზდრასი და ზირაქისა,
მათთან ვრახმანი გრძნობდეს რვა ხმანი,
ვერა დამატონ ქება ძალისა.

ცეცხლი ბნელისა გარესკნელისა,
და წამლიანი მატლი ღრჭენისა,
მოსრვა ნეფხვითა, ძნელთა სეტყვითა,
თოვლით, წვიმითა ღვარ-ნაფშვენისა
ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს!
ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა,
ღელე გლოვისა ექმნას გლოვისა,
ჟამნი მოუხდეს ცრემლთა დენისა!

ტურფად შვენება, გამოჩვენება
თქვენი დააჭნობს ყოველთ ყვავილთა,
გიხმობს ენა მით სწავლის ენამით
წყლად წყაროდ მრწყველად ბორცვთა და ველთა
ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.

ვფიცავ მე მაღლით, რომ თქვენის გაყრით
ჰკლებოდეს ჟამსა დღეთა ჩემთასა.
სულნი და გვამნი და ძვალნი ჩემნი
ქარქვეტებრ ჰქმნოდეს ძალთა მისთასა.
მექმნა გლახ-გული, ყოფა და სული
მძაფრ მწყდრად-მდებარე მორფ-სხეულთასა,
ვერ ვაგებ თქმითა, რომ ვარ სულთქმითა
უსიტყველითა უფროს სხვათასა.

ხელ-ვჰყავ საქმესა, ძნელსა რასმესა,
უგუნურობით, თვით სულელობით,
ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა,
ვერ ვუძლე, ვიქმენ ენა-ბრგვნილობით.
შესხმა-მკობანი, მუსიკობანი,
ვუწყი, ვერ გიძღვენ თქვენ საფერობით,
მაგრა, ვით წვლილნი ქრისტეს მითვლილნი,
მექმენ მადლობის შემწირველობით.

შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

დასაწყისი

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ვის შვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
— მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა, —
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, —
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები.

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა.
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა...

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი,
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლოს ვითა ჯორი.

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.

მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, —
მისგან კიდე ნურა უნდა, — მისთვის ენა-მუსიკობდეს.

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია:
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა; გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.

არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამქღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის“ ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს?
ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს.
რათამეღა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს?
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს!

მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:
ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარი, მისთვის წყლულსა?!
თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?!
ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;
სიარული, მარტოობა შვენის, გაჭრად დაეთვლების;
იგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების,
არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლების.

ამბავი
როსტევან არაბთა მეფისა

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.

მისი სახელი — თინათინ, არს ესე საცოდნარია!
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.
მეფემან უხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.

უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:
რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა უთენაროსა.

„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა:
მისივე მეტობს ყვავილთა სული და ტურფა ფერობა.
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!

„მაგას ნუ ჰბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია,
თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია;

ხმდა განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია:
სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.

„თუცა ქალია, ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;
მას თინათინის გონება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა.

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად;
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!

რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;
თქვა: „ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემის ფერ-გამქრქალისა!“

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:
ავთანდილ პირ-მზე სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა.

უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა.
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა.

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამეესებოდა“.

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენია მართ მონდობილი.
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!“

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.

მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა“.

უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!“
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
მას ტაიჭსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა,
რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა.

დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.
„ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ — შექმნეს ამისი ცილობა.

თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია,
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია;
ვაზირი ბერი სოგრატი თვით მასთანავე მჯდომია.
თქვეს, თუ „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?“

თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“.
ავთანდილ თქვა: „სოგრატ, ვჰკითხოთ, გვითხრას, რადმცა შეგვეცილა?
ვჰკადროთ რამე სალაღობო, რასათვისმცა გაგვაწბილა?“

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა,
თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა,
წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინარითა.
ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო.
მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო;
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო?“

რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა,
გაუკვირდა: ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?!
„კარგა ჰქმენო, — დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა, —
ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა!

„ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.

„ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, — ვარ საწუთროსა თმობითა, —
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

ყმა მეფისა ბრძანებასა ლაღი წყნარად მოისმენდა,
თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,
თეთრთა კბილთათ გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
მეფე ჰკითხავს: „რას იცინი ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდა?“

კვლა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რად დამგმეო?“
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფარმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო,
არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო“.

უბრძანა: „რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“
ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრება საუბნარისა:
ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა

„მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე ყმანია;
მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნიღა უკუთქმანია.
გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“

— „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა.
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,

კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“

ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიდეს,
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს,
ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:
„ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს!“

მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით“.
ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდით და მოიჯარენით“.
გაყარეს სმა და ნადიმი. მუნ ამოდ გავიხარენით.

როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი.

შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს;
მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად გარე შემოჰკრვიდეს;
ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაჰფარვიდეს,
ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს.

უბრძანეს: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!“
დაიწყო მოსლვა ნადირმან ყოვლთა მინდორთა კიდითა.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწვდომელი:
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლად მხტომელი.

მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჰვრეტადმცა სჯობდა რომელი!
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს.
მიხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს,
რა ისარი დაელივის, მონანი-ყე მიართმიდეს.
მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,
ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს.
ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“.

იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განარბენია,
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა ტყენია.
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია.
იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია.

ერთმანერთსა, თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს.
მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყვებოდეს,
უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არა გვთნებოდეს“.

მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცთარებით;
მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისად დარებით,
აწეცა დაგვხოც, ვერა ჰგავ, — ვერათ ვერ მოგეხმარებით, —
ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი ვერ წაღმა წარებით.

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,“
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია:
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი გაგვიხოცია“.

მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსლვა დარდისა.

იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა.
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა.
ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა.
თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა.

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.

წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად,
თავ-ჩამოგდებით მტირლისად, არ ჭვრეტით მოლიზღარისად, —
მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად, —
ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.

ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,
დიდხან უჭვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაგარდა;
მოახსენა: „გიბრძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუწყნარდა.
იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა.

მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი,
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი,
უცხოდ რასმე ამოსკვნიდა გული ცეცხლთა ნადებარი,
ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაგუბარი.

სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან.

რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა,
როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა;
თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა,
ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მუნ, და-“.

მეფე გაჰკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე;
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე“.

მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა ჩხარია;
მაშინღა შეკრთა იგი ყმა, ტირს, მეტად გულ-მდუღარია,
თვალნი მოარნა ყოველგნით, ნახა ლაშქართა ჯარია,
ერთხელ ესე თქვა: „ვა მეო“, სხვად არას მოუბარია.

თვალთა ხელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ხრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,
ცხენსა შეჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა! —
სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა.

მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.
მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰკრა ერთმანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად,
ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.

მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა;
მან მდევართა მიწევნამდის არ უჭვრიტნა, არცა ნახნა,
რაზომნიცა მიეწივნეს, ყოვლნი მკვდართა დაასახნა,
კაცი კაცსა შემოსტყორცა, როსტან ამად ივაგლახნა.

შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად.
იგი ლაღი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად,

ტაიკი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად,
შეიგნა. მისლვა მეფისა მისად უკანა მდეველად.

რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა.
მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა,
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა;
ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.

კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ-პოვნა ნაკვალევისა,
აგრე კვალ-წმიდად წახდომა კაცისა, ვითა დევისა;
ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვს წყლულთა ხვევისა.
მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“.

ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქამდისი ჩემი შვება,
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანავღლება,
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება.
მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“.

ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა,
არცალა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა;
ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მხეცთა სრვიდა;
ზოგთა თქვეს, თუ „მართალია“, ზოგი, ღმერთო, უზრახვიდა.

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩს ვითა შვილი.
ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი.
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი.

თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა,
ადგა და კარსა მივიდა, ჰქონდა მზისაცა ცილობა,
მოლარე უხმო, უბრძანა: „ძილია, თუ უძილობა?“
მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა.

„ერთიღა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა;
უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამით-ა“.
თინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესლვა არ ჩემგან ჟამით-ა,
მიკითხოს, ჰკადრე: იყო-თქო აქა ერთითა წამითა“.

ხანი გამოხდა, იკითხა: „ნეტარ, რასა იქმს ქალიო,
ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწყაღა ფერ-ნამკრთალიო,
დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.

უბრძანა, თუ: „წადი, უხმე! უმისობა ვით გავსძლეო?
მოახსენე: «რად დაჰბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,
გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო»“.

თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა,
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა.
მამამან გვერდსა დაისვა, აკოცებს ნება-ნებასა,
უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?“

ქალმან ჰკადრა: „ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს!
თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს!
კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“.

უბრძანა „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,
მომქარვებელი სევდისა, მართ ვითა მუფარახია.
ვეჭვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია.

„უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე,
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე.
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე;
ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე.

„მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა.
შესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დამიხოცნა,
ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა,
ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა.

„აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული!
მან დამიხოცა ლაშქარი, ადინა სისხლი ღვარული.

კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული?!
უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული.

„ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ვეღარავინ მინეტარნეს,
სადამდისცა დღენი მესხნენ, ვეღარამან გამახარნეს!"

ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:
ჰე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?

„მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი,
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი.
გაგზავნე კაცი, ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი,
ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი".

მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა,
უბრძანეს: „წადით, პატიჟთა თავიმცა რად დარიდეთა?
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლიდეთა,
მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა"

კაცნი წავიდეს, იარეს მართ ერთი წელიწადია,
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა დია,
ვერცა თუ ნახეს ნახული ღმრთისაგან დანაბადია,
ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია.

მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით,
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,
მისსა მნახავსა სულ-დგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით,
ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რა მოიგვარენით".

მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო,
გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო".

ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა.
მგოსანი და მუშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა.
დია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა.
მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაბადა!

თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად

ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი.
შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი,
მოახსენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.

ავთანდილს მიხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა,
ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ჭრელისა;
უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა.
ამოა ჭვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!

ავთანდილ ლაღი, უკადრი მივა, არვისგან რცხვენოდა,
მას ნახავს, ვისთა ვამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა;
იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შვენოდა,
მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა.

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,
შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი.

დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა,
ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა.
მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა.
პირის-პირ პირსა უჭვრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა.

ქალმან უბრძანა: „ზარი მლევს მე ამისისა თხრობისა;
მწადდა არა-თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა:

მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა,
რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა?“

ყმამან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმაღა ვით იქმნების?
მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ჭნების;
აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების,
თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“.

ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად, არ დუხჭირად;
იტყვის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად,
მიკვირს, მოგხვდა წამის ყოფად საქმე შენგან საეჭვი რად,
მაგრა გითხრა პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად.

„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა?
მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა,
შენ გენუკეე მონახვასა, კიდით კიდე მოლახო ცა.

„აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,
ვიცი, რომე გაუწყვედლად თვალთათ ცრემლი გისეტყვია,
შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.

„შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე,
გულსა გარე საიმედო იგ მორგე, ვარდი ყარე,
მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე.

„სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებნარი;
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბნარი;
ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი;
კოკობი და უფურჭვნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი.

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.

მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე?
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა-, მე!“

კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა;
მე რომ თქვენგან მოვისმინენ წყალობანი, მედიადა.
ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფად-ა“.

კვლა შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი,
გასალდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ხშირი.
გაადვილდა, აქანამდის გარდეხადა რაცა ჭირი,
თეთრთა კბილთათ გამოჰკრთების თეთრი ელვა ვითა ჭვირი.

ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბალახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის, თუ „შენთა მჭვრეტთა თავი ხელი, ა, სად აგეს!
ცეცხლთა, შენგან მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“.

ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა,
უკუღმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა,
ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა,
გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა.

თქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,
ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესად-რე.
მაშინ რაღა ვქმნა ვერ-ჭვრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძესად-რე!
ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე“.

საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;

რა მილულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიჟი ეოცების.

მოშორვება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ღაზოდ,
ცრემლსა ვითა მარგალიტსა სწვიმს ვარდისა დასანაზოდ,
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭვრეტთა სალამაზოდ,
ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.

დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:
ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონია,
აწ თუ სჯობს, ესე ამბავი ცნან, რაცა გარემონია.

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,
მორჩილ-ქმნილთა გავახარო, ურჩი ყოვლი ავატირო,
ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო“.

მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა,
ებრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამდრეკელობა,
აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა.
წა, მაგრა მომხვდეს, რაღა ვქმნა, თუ სიშორისა გრძელობა!“

ყმა შევიდა, თაყვანის-სცა, მადლი რამე მოახსენა:
„ხელმწიფეო, მიკვირს, ქება რად იკადრეთ ჩემი თქვენა?!
აწ ნუთუ კვლა სიშორისა ღმერთმან ბნელი გამითენა,
პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კვლა მიჩვენა!“

მეფე ყელსა მოეხვია, გარდაკოცნა ვითა შვილი.
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი!
ყმა ადგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი;
როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი.

გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლაღად მავალი.
ოც დღე იარა, ღამეცა დღეს ზედა წართო მრავალი.
იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი.
არ მისცილდების თინათინ მისი მას, ვისგან სწვავ ალი.

რა მოვიდა, სიხარული შიგან გახდა სამეფოსა.
მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდეს იეფოსა.
იგი პირ-მზე არ მოსცთების სიარულსა სასწრაფოსა.
მიხვდეს მყოფნი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა.

ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ ზღუდესა უქვიტკიროსა.
ყმამან მუნ დაყო სამი დღე ამოსა სანადიროსა,
გაზრდილი მისი შერმადინ დაისვა სავაზიროსა,

უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენიან,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან,
მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი მდენიან!
მე ვისგან მქონდეს პატიჟნი, აწ მასვე მოულხენიან.

„მე მოვუკლავ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საიმედო, ამად მხედავ მხიარულსა.

„მიბრძანა: «მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ვქმნა მაშინღა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვდეს ხისაცა რგულისა!»
მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.

„პირველ, ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად, —
ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად, —
მერმე, ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად.
ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად.

„ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა,
ამისთვის გნუკეთ სმენასა შენ ამა ჩემთა ხმათასა:
ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა,
ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობისა სხვათასა.

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი;
დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,

წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი,
აქა სადმე არ-ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე,
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭნა ხე,
არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე.

„მაშინღა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალია,
აცნობე ჩემი სიკვდილი, — იყავ მართ ვითა მთვრალია, —
მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალია.
გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია.

„მაშინ უფრო მომეხმარე, ამისგანცა უფრო მხნედ-რე,
ნუთუ ადრე დამივიწყო? მახსენებდი ზედა-ზედ-რე!
მეტად კარგად დამიურვე, სული ჩემი შეივედრე,
ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდედრე“.

რა მონამან მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა,
თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა,
მოახსენა: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა!
ვიცი, რომე არ დასდგები, მაგრა გიშლი ამად არა.

«ჩემად ნაცვლად დაგაგდებო», — ესე სიტყვა ვით მიბრძანე?
რაგვარა ვქმნა პატრონობა? რამც გიფერე, რამც გიგვანე?
შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე!
სჯობს ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანე!“

ჯმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად:
რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად.
მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად.
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად.

„ვისმცა ვუთხარ ხვაშიადი? შენგან კიდე არვინ ვარგა,
უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?
სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა!
კვლა ნუთუმცა შემოვიქეც, ღმერთმან სრულად არ დამკარგა.

„განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი;
აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი;
წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდეს, ვინცა იყოს ჩემი ხასი“.

წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა

დაწერა, თუ: „ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო,
ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა გამოცდილნო,
თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნო, ვითა ჩრდილნო,
წიგნი ჩემი მოისმინეთ, ყოვლნო ერთგან შემოხდილნო!

„მიწაცა თქვენი ავთანდილ, ისმინეთ, გიწერ მე რასა:
თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა,
ცოტასა ხანსა ვარჩიე გაჭრა სმასა და მღერასა,
პურად და საჭმლად მიევნდევ ჩემსა მშვილდსა და ცერასა.

„საქმე რამე მიც თავისა ზე სადმე გარდსახვეწელი,
დავყო მარტოდ და ღარიბად ესე წლეული მე წელი,
გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი.

„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს,
სიკვდილსა და სიცოცხლესა სადამდისცა ჩემსა სცნობდეს,
ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს,
შემცოდესა ყველაკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს.

„თქვენცა იცით, გამიზრდია ვითა ძმა და ვითა შვილი.
ამას ასრე მორჩილობდით, არის ვითამც ავთანდილი,
ბუკსა იკრას, აქნევინეთ ყოვლი საქმე, ჩემგან ქმნილი;
მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, არ სიცილი“.

ესე წიგნი გაასრულა წყლიანმან და სიტყვა-ნაზმა,
წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ შეეკაზმა,

ბრძანა: „მინდორს შევჯდებიო“, ლაშქარიცა დაერაზმა;
მასვე წამსა წამოვიდა, შინა ხანი არა დაზმა.

ბრძანა: „წადით ყველაკაი, აქა მომხრედ არვინ მინა“.
მონებიცა მოიშორვა, თავი გაითავისწინა,
მარტო გარე შემობრუნდა, შამბი შიგან გაირბინა,
მიწყივ მისად საგონებლად მისი მკლველი თინათინ-ა

იგი ველი გაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა.
ვინმცა ნახა სულიერმან, ანუ ვინმცა წაეკიდა?
ვის მახვილი ვერას ავნებს, მისი მკვლელი გაეკიდა,
მისგან ტვირთი კაეშნისა ტვირთად ვარგად აეკიდა.

რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს,
იგი პირ-მზე ვეღარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს,
მათსა დიდსა სიხარულსა სიმძიმილი ანაცვალეს,
ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს.

„ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად სხვასა ვისმცა დანერგვიდეს!“
დარბოდეს და სხვაგნით სხვათა მოამბეთა მოასხმიდეს;
ვეღარა ცნეს მისი საქმე, გაიარა აქათ კიდეს,
მისნი სპანი გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გარდმოჰყრიდეს.

შერმადინ ერთგან შეყარნა ხასნი და დიდებულები,
უჩვენა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები.
რა მოისმინეს, ყველაი დარჩა გულ-დანაწყლულები,
თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები.

ყოვლთა ჰკადრეს: „თუცა ყოფა ჩვენ უმისოდ გვეარმისცა,
უშენოსა საჯდომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა?
განაღამცა გმორჩილობდით, თუ გვიბრძანო რაცა ვისცა!“
იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანი-სცა.

ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასლვა

ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს:
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს.
ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს,
იგი სადმე გაღარიბდეს, საყოფთაგან იაბეზროს.

ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა,
დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;
თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არა“.

ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა;
მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა;
თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა,
მოვშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა!“

ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა,
გულსა უთხრის, თუ: „დათმეო“, ამად არ დია ბნდებოდა.
უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა,
მგზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა-ემოყვრებოდა.

მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად.
უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად.
თქვის: „საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა ვისად?
შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“.

ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,
ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა,
მაგრა იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა.
ამას შიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა.

მიხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა,
თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას შვილსა ადამისსა,
იგი ჭირი არ უნახავს, არ რამინს და არცა ვისსა,
დღე და ღამე იგონებდის საყვარელსა მასვე მისსა.

მას მიხვდა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა,
გამოჩნდა მუნით მინდორი. სავალი დღისა შვიდისა.
მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი ხიდისა,
ორგნითვე ტყესა შეეკრა ნაპირი წყლისა კიდისა.

ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს;
თვენი ესხნეს ორანილა, ამად სულთქვამს, არა იშობს;
„ვა თუ საქმე გამიმჟღავნდეს! — კვლა ამისთვის გულ-მოშიშობს, —
ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

საგონებელი შეექმნა, დადგა საქმისა მრჩეველად,
თქვა: „თუ დავბრუნდე, ეზომი ხანი რად დავყეე მე ველად?
ჩემსა რა ვჰკადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა მლეველად,
მისი ვერა ვცნა ჭორადცა, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად?

„თუ არ დავბრუნდე, საძებრად დავყვნე სხვანიცა ხანანი,
რომელსა ვეძებ, ვერა ვცნნე ამბავნი მე მისთანანი,
დრო გარდაუწყდეს შერმადინს, მიხვდენ ღაწვისა ბანანი,
მივიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი.

„უამბოს ჩემი სიკვდილი, თვით ჩემგან დავედრებული,
მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებული,
მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხვაგან სადმე რებული!“
ამას იგონებს ტირილით გონება-შეიწრებული.

იტყვის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?
მე ეზომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ,
გულით ჩემით სიხარულნი აჰფხვრენ, ჭირნი დააბუდენ?
დღეთა ჩემთა ცრემლნი ჩემნი ვერაოდეს დავიყუდენ“.

კვლაცა იტყვის: „დათმობა სჯობს“, და თავსავე ეუბნების:
„დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების,
უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების,
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების.

„ყოვლნი არსნი ცათ ქვეშეთნი ერთობ სრულად მომივლიან
მაგრა საქმე მის კაცისა ვერასადა შემიგნიან;

უღონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან.
აწ ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლნი რასა მდიან?“

მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია,
მინდორს აცორვებს ტაიჭსა, შეეღრენით მონაწყენია.
გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია,
ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია.

მობრუნვება დააპირა, სულთქვნა, მერმე ივაგლახა,
მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოსახა;
თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა,
მხეცნი იყვნეს საშინელნი, მაგრა არა შეუზახა.

თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოსკვნით და კვნესით-ა,
ეგრეცა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა,
ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე წვადი შეიწოდეს:
ექვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკენ მოვიდოდეს;
თქვა, თუ „ჰგვანან მეკობრეთა, თვარა კარგი რამც იცოდეს!
აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არაოდეს“.

ხელთა ჰქონდა ისარ-მშვილდი, მათკენ მივა მხიარული.
ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწვერული,
თავსა იყო დაკოდილი, შეებნიდა სისხლსა გული,
ტიროდეს და იჭირვოდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული.

უყივლა, თუ: „ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა დაგამსგავსენ!“
მათ მიუგეს: „დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლნი ავსენ,
ვერა გვარგო, მოგვიმატენ, ჭირნი ჭირთა მოგვისავსენ,
სატირალნი მოგვიტირენ, ღაწვნი შენცა დაიმხავსენ“.

ავთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულ-მდუღარეთა;
მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:
„ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდ̇ენთ ცრემლთა მწარეთა,
დია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა.

„კარგი გვესმა სანადირო, ნადირობას წამოვედით,
გვყვეს ლაშქარნი უთვალავნი, წყლისა პირსა გარდავხედით,
სანადირო მოგვეწონა, თვესა ერთსა არ წავედით,
ვხოცდით მხეცსა უზომოსა მინდორით და მთით და ქედით.

„ჩვენ სამთა ძმათა ჩვენთანა მესროლნი დავაწბილენით,
მით ერთმანერთსა სამნივე ჩვენ კიდე დავეცილენით:
«მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო», სიტყვანი ვავაქილენით:
ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.

„დღეს ავყარენით ლაშქარნი, სავსენი ირმის ტყავითა,
ვთქვით: «გავაჩინოთ მართალი, ვინ ვსჯობთ თავისა მკლავითა,
თავსა ვეახლნეთ მარტონი, დავდგეთ მართ ოდენ თავითა,
თვით დანახულსა მოვჰკლვიდეთ, ნუ ვესრვით დამნახავითა».

„ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია,
ლაშქართა წასლვა ვუბრძანეთ, მით არას მოაზრენია,
მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია,
დავხოცეთ მხეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგვფრენია.

„ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშავია,
ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — მერანი რამე შავია, —
თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია,
ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია.

„ვუჭვრიტეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გავიცადენით,
ვთქვით, თუ: «მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ენით!»
მისი მოგვინდა შეპყრობა, ვჰკადრეთ და შევეცადენით,
ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისაცა დენით.

„მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დავსთხოვე ქენებით;
ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით;
ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ვუალლეთ ჩვენ ნებით,
მივმართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შვენებით.

„ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა,
იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა,

არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა, ყოლა არად ამოგვკრიფნა,
მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!

„უმცროსსა ძმასა მივეცით, უფროსნი დავეზიდენით;
ხელი მოჰკიდა, «დადეგო!», ესეცა ჰკადრა კიდ ენით;
მან ხრმალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამად დავერიდენით,
თავსა გარდაჰკრა მათრახი, ვნახეთ სისხლისა კი დენით.

„მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაჰფრიწა,
ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა,
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,
თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა-!

„აღარ დაბრუნდა, წავიდა წყნარად და აუჩქარებლად,
აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარებლად“.
შორს უჩვენებდეს ავთანდილს მტირალნი გაუხარებლად.
ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად.

აჰა, მიხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით ار-დათოვნა,
რათგან ცუდად არ წაუხდა მას ეზომი გარეთ ყოვნა.
კაცსა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.

უთხრა, თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა,
მე იმა ყმისა საძებრად მოვშორდი საგაზრდილოსა,
აწ თქვენგან მივხვდი საქმესა ყოლა არ-საადვილოსა,
ღმერთიმცა ნურას ნუღარ იქმს თქვენსა დასაღრეჯილოსა!

„ვითა მე მივხვდი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა,
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა!“
უჩვენა მისი სადგომი: „მიდითო ნება-ნებასა,
ჩრდილსა გარდასვით მაშვრალი, მიეცით მოსვენებასა“.

ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა,
ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა,
ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა.
დაივსო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზეზითა.

მიეწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს:
„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ-სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.

„რათგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭვრეტად,
მივეწევი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ჟლეტად,
ანუ მოვჰკლავ, ანუ მომკლავს, დაიმალვის მეტის-მეტად“.

ავთანდილ იტყვის: „ეზომნი ჭირნიმცა რად ვაცუდენი?
რაცალა არის, არ არის, თუმცა არ ედგნეს ბუდენი;
სადაცა მივა, მივიდეს, რაშცა მოვლიდეს ზღუდენი,
მუნაღა ვძებნნე ღონენი ჩემნი არ-დასამრუდენი“.

წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი,
დღისით და ღამით მაშვრალნი, არ საჭამადთა მჭამენი,
არსადა ხანი არ დაყვეს, ერთნი თვალისა წამენი.
მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი.

დღისით ვლეს და საღამო-ჟამს გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,
ხე დიდრონი, თვალ-უწდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი.

მან ყმამან ქვაბსა მიმართა, გავლნა წყალნი და კლდენია;
ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახნა დიდნი ხენია,
მას ზედა ჭვრეტად გავიდა, ძირსა დააბა ცხენია,
მუნით უჭვრეტდა, იგი ყმა მივა ცრემლ-მინადენია.

რა ტყენი გავლნა მან ყმამან, მოსილმან ვეფხის ტყავითა,
ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა,
ატირდა მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა,
იგი ყმა ცხენსა გარდახდა, ყელსა მოეჭდო მკლავითა.

ყმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს:
ველარ მივხვდით ჟამიერად, ჩვენ ვისნიცა ცეცხლნი გვწვიდეს“.

ესე თქვა და მკერდსა ხელნი იკრნა, ცრემლნი გარდმოსწვიმდეს.
ქალი შებნდა, მოეხვია, ერთმანერთსა სისხლი სწმიდეს.

იგი ტევრი გაეხშირა დანაგლეჯსა მათსა თმასა,
ერთმანერთსა ეხვეოდეს: ყმა ქალსა და ქალი ყმასა;
იზახდიან, მოსთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა.
ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა-ზმასა.

სული დაიღო მან ქალმან, დათმო გულისა წყლულობა,
ქვაბს შეიყვანა ტაიჭი, მოხადა აკაზმულობა,
მას ყმასა შეხსნა, შეიღო აბჯრისა წელ-მორტყმულობა;
შინა შევიდეს, მას დღესა გარდახდა გამოსრულობა.

ავთანდილს უკვირს: „ამბავი ისი თუ ვცნაო მე რითა?!“
გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერითა,
შავსა აუდვა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერითა,
შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერითა.

მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურმე არას ეჯდა.
ქალი ტირს და მკერდსა იცემს, თმისა ტევრსა გაიგლეჯდა;
ერთმანერთსა მოეხვევნეს, აკოცა და ცხენსა შეჯდა;
ასმათ, აგრე დაღრეჯილი, კვლა უფრორე დაიღრეჯდა.

ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისივე, კაცისა,
ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო, „ნუთუ მზეაო, თქვა, ცისა?“
ეყნოსა სული ალვისა, ქართაგან მონატაცისა;
ასრე უჩს მოკლვა ლომისა, მართ ვითა ლომსა — ვაცისა.

მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა,
შამბი გავლო, გაეშორა, თავი მინდორს გააგარა;
ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით, მალვით ხესა მოეფარა,
თქვა, თუ: „ღმერთმან ესე საქმე მეტად კარგად მომიგვარა.

„აწ ამას ჩემთვის ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვაჯობინო?
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო,
ჩემიცა ვუთხრა ყველაი, მართალი გავაბრჭობინო,
მას ყმასა ხრმალი არა ვჰკრა, არც მისი დავისობინო“.

ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან

ჩამოვიდა, ცხენი ახსნა, მისგან ხესა გამობმული,
ზედა შეჯდა, გაემართა, ქვაბი დახვდა კარ-განხმული.
მუნით ქალი გამოიჭრა გულ-მდუღარე, ცრემლ-დასხმული,
ეგონა, თუ: დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული.

ვერ იცნა, — სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა, —
ფიცხლა გაიქცა, მიმართა ზახილით კლდესა და ხესა;
ყმა გარდაიჭრა, დაბა, ვითა კაკაბი მახესა;
ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ-სახესა.

მას ყმასა თავი არ მისცა, ჭვრეტადცა ებილწებოდა,
ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა,
ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა,
ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა.

ეტყოდა: „სულე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი,
უფერო-ქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი,
მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი?
სხვად არას გიზამ, ნუ გეშის, ნუ ჰყივი აგრე ხმიანი“.

ქალი ეტყოდა ტირილით, სარჩელი უგავს ბრჭობასა:
„თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა!
აწ მეტად ძნელსა საქმესა მნუკევ ადვილად თხრობასა;
ცუდად ნუ სცთები, ნუ ელი მაგა ამბისა მბობასა!“

კვლა ეტყვის: „ყმაო, რა გინდა, ანუ მენუკევ მე რასა?
მაგა საქმესა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა.
შენ ერთხელ იტყვი, «მითხარო», მე ასჯერ გითხრობ «ვერასა»,
ვითა სიცილი ტირილსა, ვაგლახი მიჯობს მღერასა“.

„ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან,
ოდითგან ვეძებ ამბავთა, ესე არვისგან მსმენიან;
შენ მიპოვნიხარ, სიტყვანი ჩემნი რაზომცა გწყენიან,
ვერ დაგეხსნები, მიამბე, ჩემგან ნულარა გრცხვენიან!“

ქალმან უთხრა: „რას შეგესწარ, მე ვინ ვარ და ანუ შენო?
მზე არ მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!
გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგახსენო:
ვერასათვის ვერ გიამბობ, რაცა გინდა, იგი ქმენო!“

კვლაცა ჰკითხა ზენარობით, მიუყარნა მუხლნი წინა,
მაგრა ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა,
პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა,
ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა.

ეგრე უთხრა: „მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო?
რაგვარა თუ ამატირო, ცრემლი ცუდად დამადინო?
გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო,
თვარა, ღმერთმან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვდინო!“

ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:
თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი.
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი?
კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი“.

კვლა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო?
ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!
მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლვევინო,
ვითა უსტარი ბედითი ადვილად დაგახევინო.

„ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია,
მით რომე დამხსნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია;
ჩალად მიჩს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია.
ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია?“

ყმამან თქვა, თუ: „არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა,
სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა.“
გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,
ქალსა უთხრა: „გაგარისხე. აწ, არ ვიცი, ვით დავრჩე, ვა!“

ქალი დაუჯდა კუშტ-გვარად, ქუშობს, ჯერთ არ დამტკბარია:
ავთანდილ ქვე ზის ტირილად, აღარას მოუბარია:

ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია.
კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულ-ნალმობარია.

ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცრემლნი ცხელნი ღვარნა,
მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა;
ყმამან ცნა, თუ: „გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა“.
ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა.

უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგხარ შენ აწ ჩემად დასადობლად,
გაგარისხე, დარჩომილვარ ღარიბად და ამად ობლად;
აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიც შენთვის დასანდობლად,
ამად რომე შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობლად.

„თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე,
მიჯნურისა შებრალება ხამს, ესეცა გაიგონე;
სხვაგნით ყოვლგნით უღონო ვარ, არვინ არის ჩემი ღონე;
სულთა მოგცემ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე!“

რა ქალსა მიხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება,
გულ-ამოხვინჩვით დაიწყო ას-კეცად ცრემლთა დინება,
კვლა გაამაღლა ზახილით ტირილი, არ-გაცინება.
ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა, გულისა ლხინება.

იტყვის, თუ: „ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალების,
ვისთვისმე ხელი უცილოდ, მას ცრემლი ემალმალების“.
კვლა უთხრა: „დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალების;
ესეცა იცი, სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალების.

„ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად,
ჩემმან მზემან გამომგზავნა საძებარად იმა ყმისად;
ღრუბელიცა ვერ მიხვდების, მე მისრულვარ სადა, მი-სად!
გული თქვენი მიპოვნია, მისი შენად, შენი მისად.

„მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე,
მისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე.
ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე-მქმენ ანუ მააზატე“.
ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე“.

ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი:
„ეგე სიტყვა მოიგონე დია რამე უკეთესი.
წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი,
აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი.

„მაშა რათგან მიჯნურობა შენად ღონედ მოიგონე,
არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე,
არ შენ მოგეც თავი ჩემი, დაგაბნიე, დაგაღონე;
შენთვის მოვკვდე, ამისებრი მემცა საქმე რა ვიღონე!

„აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,
რასაცა ეძებ, მიხვდები უცილოდ, არ ასცილდები;
თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა ცრემლსა მილდები,
მოგხვდების მდურვა სოფლისა, მოჰკვდები, გა-ცა-სწბილდები“.

ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა,
ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იზახის ვაგლახ-ვასა.

„ეგრე უთხრა: «ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე»;
მას ქვეშეთსა გაეცინნეს, გაუკვირდა მეტად კიდე,
შემოჰყივლა: «არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?»

„აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,
სხვად უღონოა უშენოდ ჩემი აპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარა ვისმც ექმნა გვარლითა შეკრვა თავისა მრთელისა!“

ქალმან უთხრა: „მომეწონა, ყმაო, შენი ნაუბარი,
ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი;
ხარ ვინათგან აქანამდის მაგა ჭირთა დამთმობარი,
რაცა გითხრა, მომისმინე, გიპოვნია საძებარი.

„იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვების;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების;

მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების.

„გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა:
ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა;
მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა,
სულთქმა სულთქმისა ბევრისა, მაშა თუ არ ერთხელისა.

„ამის მეტსა ვერას გითხრობ მე სიტყვასა ამისთანსა:
ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა,
ვჭამ, გლახ მარტო ნადირისა მისგან ხორცსა მონატანსა,
აწვე მოვა, არა ვიცი, თუ დაჰყოვნის დიდსა ხანსა.

„ამას გვედრებ, მოიცადო, თავი სხვაგან არსად არო;
რა მოვიდეს, შეეხვეწო, ნუთუ ვით რა მოვაგვარო;
ერთმანერთსა შეგამეცნნე, თავი შენი შევაყვარო,
თვით გიამბოს საქმე მისი, საყვარელსა გაახარო“.

ქალსა ყმამან მოუსმინა, დამორჩილდა, დართო ნება.
ამას ზედა მოიხედნეს, ხევით ესმა ჩხაპუნება:
მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოვანება,
უკურიდნეს, აღარა ქმნეს მუნ ხანისა დაყოვნება.

ქალმან უთხრა: „ყმაო, ღმერთმან მოგცა ჟამად, რაცა გინა,
მაგრა თავი უჩინო ქმენ, დამალული იყავ შინა:
იმა ყმისა მეუნებლე ხორციელი არავინ-ა;
ნუთუ ვით რა მოვაგვარო, შენი ნახვა არ ეწყინა“.

ავთანდილ ქვაბსა დამალა ქალმან მალვითა მალითა.
იგი ყმა ცხენსა გარდახდა, შვენოდა კაპარჭ-ხრმალითა:
ატირდეს მაღლად ცრემლითა, ზღვათაცა შესამალითა,
ავთანდილ სარკმლით უპვრეტდა ჭვრეტითა იდუმალითა.

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან.
დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შეხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან:
დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშერისა ღანამან.

ავთანდილ სარკმლით უპვრეტდა, ტყვე, საკნით ნააზატები.
მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები;
მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთქვამს ჭირ-მონამატები,
სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები.

მან ქალმან ხელ-ყო კვესითა გზება ცეცხლისა ნელისა,
ეგონა ჭამა ხორცისა შემწვრისა, შეუქნელისა:
მიუპყრა, ერთი ახლიჩა, ქმნაა საქმისა ძნელისა,
ძალი არ ჰქონდა, დაუწყო გამოყრა უცოხნელისა.

ცოტად მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი;
შეკრთა, დიდნი დაიზახნა, წამოიჭრა ვითა რეტი,
იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი.
ცალ-კერძ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენაპვრეტი.

„რად დაჰბრუნდი? — მოახსენა, — მითხარ, რაცა წაგეკიდა!“
მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა,
ჰყვეს ლაშქარნი უთვალავნი, ბარგი მძიმედ აეკიდა,
იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი, და —

„სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიალე,
არ მივეო ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე,
მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე“.
თქვა: „ნუთუმცა უკუმრიდა, რა გათენდეს, წავალ ხვალე“.

ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა ას-ნაკეცი, ბევრის-ბევრად;
მოახენა: „მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად,
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად;
მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?

„ყოვლი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?
გეახლოს და არ გაშმაგდე, თუცა ჭირი არ გაკლია;
შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია?“

უბრძანა: „დაო, ეგეა მსგავსი შენისა გულისა,
მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!
ვის ძალ-უც პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა?
ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა.

„ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი რად დაბადა
სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მეწადა!
ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი ანუ ვინმცა შეეცადა?
შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა“.

ქალმან ჰკადრა: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია;
რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია,
ვერ დავმალავ, უკეთესი რაცა საქმე გამიცდია.
არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიხდია“.

ყმამან უთხრა: „რას მენუკევ, არა ვიცი, გამიცხადე..
კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე!
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!
განაღამცა გავნადირდი, თავი ასრე გავიხადე“.

ქალმან კვლა ჰკადრა: „გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,
მაგრა თუ კაცი მოგგვარო, მოგყვეს თავისა ნებითა,
იგი გეახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა,
ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არ-სავნებლისა ვნებითა“.

ყმამან უთხრა: „თუ მიჩვენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ,
სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ.
არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ;
რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შევიყვარებ“.

შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა

ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად;
„არ ეწყინაო“, უამბობს, არს მისად მაგულვანებლად,
ხელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთვარე მოსავანებლად;
იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად.

გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,

რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყო ხედ არად,
ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად!

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდეს,
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს,
ყელი ყელსა გარდააჭვდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

მობრუნდეს, ყმამან ავთანდილს ხელი შეუპყრა ხელითა,
ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა.
ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა:
„თავთა ნუ დახოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა“.

ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული;
ყმასა უთხრა: „მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული,
ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სად მოსრული?
მე სიკვდილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა განწირული“.

ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია:
„ლომო და გმირო ტარიელ, ვის თავი გინაზებია,
მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია,
მიჯნურობითა დამწვარვარ, ცეცხლი უშრეტი მგზებია.

„მე პატრონისა ჩემისა ასული შემყვარებია;
თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავ-მაგრებია.
თუცა არ მიცნობ, გინახავ, თუ ვითა გიაზრებია,
გახსოვსცა, ოდეს დახოცე მონები არ-საპყრებია?

„შენ მინდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ ზედა გარდგეკიდენით,
პატრონი ჩემი გაგიწყრა, ჩვენ ხაფად წაგეკიდენით,
გიხმეთ, არ მოხვე, ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით,
შენ ველნი წითლად შეღებენ სრულად სისხლისა კი დენით.

„ყველაკასა მათრახითა თავი უხრმლოდ გარდაჰკვეთეთ.
მეფე შეჯდა, დაგვეკარგე, კვალი შენი ვერ მოვკვეთეთ,
ვითა ქაჯი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ,
ამან უფრო დაგვაშმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ.

„ჰმუნვა შეექმნა, თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია.
მოგნახეს, გძებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია,
ვერ ნახეს შენი მნახავი ვერცა ყმა, ვერცა ბერია;
აწ გამომგზავნა, რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია.

„მიბრძანა: «მიცან ამბავი მის ყმისა წახდომილისა,
მაშინ ვარ მქმნელი საქმისა, მის შენგან მონდომილისა».
სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა.
არ გიკვირს, გავძელ ვერ-ჰვრეტა მისისა მე ღიმილისა?!

„აქანამდის მნახავიცა კაცი შენი არ მენახა;
თურქნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემკვახა;
მათრახითა ჩამოგეგდო ერთი, მკვდართა დაგესახა;
მათ მასწავლეს, ძმა რომელთა სულ-მობრძავი სამე, გლახ, ა“.

ტარიელსცა აეხსენა ომი მათი მაშინდელი,
იტყვის: „მახსოვს ეგე საქმე, თუცა არის ადრინდელი;
ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი;
მით ვტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი.

„რას მაქნევდით, რა გინდოდათ, ერთმანერთსა რითა ვჰგვანდით?
თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით.
რა მონანი შესაპყრობლად მომწიენით, გაჰგულვანდით,
აწ ვეჰვ, რომე ჩემად ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით.

„მოვიხედენ, მომეწია რა პატრონი შენი, ვნახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზრახე!
ჩემი ცხენი უჩინოსა ჰგავს და სხვასმცა რას ვასახე!

„კაცმან ვერ ასწრას თვალისა დაფახვა, დაწამწამება,
მას გავექცევი, ვისგანცა ჩემი არა ვცნა ამება;
მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება,
ავად შვენოდა მორევნა და ჩემი დათამამება.

„აწ ვაშად მოხვე. მეამა ნახვა შენისა პირისა!
ტანად სარო და პირად მზე. მამაცად მსგავსი გმირისა,

მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა:
ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა!“

ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა?
მაგისად ნაცვლად რამც გიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!
სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა,
რათგან ვერ შეგცვლის პატიჟი ეგზომთა ცრემლთა დენისა.

„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“

ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალების;
მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალების!
მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების,
შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რათ გენაცვალების!

„წამოსრულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად;
ღმერთმან ქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად.
მაგრა ჩემსა რა გიამბობს, გამოჭრილვარ ასრე თუ რად!
მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემიქმს ალად, მურად.

ასმათ უთხრა: „ლომო, ცრემლით მაგა ცეცხლსა რა ერგების!
მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების!
ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,
ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების.

„მეხვეწებოდა, ლამობდა ჩემგან რასამე სმენასა;
ნუ უყოს ღმერთმან, გაძლება მემცა ვით მივეც ენასა!
თუ რას სცნობს, ვეჭვობ ამისგან თქვენსა რასამე ლხენასა.
არს უკეთესი რაცაღა სწადს განგებასა ზენასა“.

ამას დაყმუნდა ტარიელ, დამწვარი, დაავლებული;
ასმათს უბრძანა: „მას აქათ შენ ხარ ჩემთანა ხლებული;
რად არა იცი, უწამლო არს ლები ესე ლებული!
კვლა ესე ყმა მწვავს მტირალი, ცრემლითა დავალებული“.

ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს;
ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!
შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“.

ასმათს უთხრა: „მოდი, მოჯე, თანა წყალი მოიტანე,
დაბნედილსა მაპკურებდი, გული მითა გარდამბანე;
მკვდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე,
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“.

ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა;
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა;
ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა,
მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა.

მოსთქვამს: „ჰაი, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,
ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო?!“

ტარიელისაგან თავის ამგის მგოგბა, ოდეს ავთანდილს უამგო

ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა,
საუბართა და საქმეთა ვითა ძლივ ვათქმევ ენასა!
იგი, ვინ ხელ-მქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი:
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,
ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.

„მამა-ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი;

ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერც ცხადი, ვერცა მპარავი;
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი.

„ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები.
თქვა: «წამიღია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,
ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები»;
ბრძანა: «წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები».

„ფარსადანს წინა დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა,
შესთვალა: «შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა;
აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა».

„ფარსადან შექმნა ზეიმი ამა ამბისა მცნობელმან.
შესთვალა: «ღმერთსა მადლობა შევსწირე ხმელთა მფლობელმან,
რათგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მპყრობელმან.
აწ მოდი, ასრე პატივ გცე, ვითა ძმამან და მშობელმან».

ერთი სამეფო საკარგვად, უბოძა ამირბარობა.
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა.
მეფედ რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმწვდარობა;
სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა.

„თვით მეფემან მამა-ჩემი დაიჭირა სწორად თავსა.
თქვა: «ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავსა!»
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევდიან მტერნი ზავსა.
მას არა ვჰგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა.

„ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,
ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა,
ვა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!
მეფემან თქვა: «შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა».

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად.

„ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიხდილისა,
მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: «მსგავსია ედემს ზრდილისა».
აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.

„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“.
ესე რა თქვა, ყმამან სულთქვნა, ცრემლით ბრძანა: „შობა ქალი“.
დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი;
თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი!

„ქება არ ითქმის ენითა, აწ ჩემგან ნაუბარითა.
ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმითა და ზარითა;
ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალ-გვარითა.
საჭურჭლე გასცეს, აივსნეს ლაშქარნი საბოძვარითა.

„საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა.
მართ მაშინვე ჰგვანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა.
ვუყვარდით და სწორად ვუჩნდით მეფესა და დედოფალსა.
აწ ვახსენებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული ალსა!“

ყმა დაბნდა, რა სახელისა ხსენებასა მიეწურა;
ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა მურა;
ქალმან სულად მოაქცია, მკერდსა წყალი დააპკურა.
თქვა: „ისმენდი, მაგრა ჩემი სიკვდილისა დღე დასტურ-ა.

„მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად ხმობილი.
შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი,
მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ-შეფრობილი;
მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული ალმასი, წთობილი!

„იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესლვა ომსა;
მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა,
მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა;
ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.

„მეფემან კოშკი ააგო, შიგან საყოფი ქალისა:
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,

პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;
იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა!

„დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი;
ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი.
დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი.

„სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა;
ვერვინ ვხედევდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა;
ასმათ და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის ნარდითა;
მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა.

„თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

„მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან;
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან;
შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან;
აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბალახშეულმან!

„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა, ვიშისა;
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა;
მათ გაეხარნეს, ვის ზარი დალევდის მისგან შიშისა;
ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება იშისა.

„მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცუდებული,
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულ-დაღებული:
გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,
ებრძანა: «შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული.

«ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა».
ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა.
ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა:
«შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა».

„ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა;
უკანის გამომიყვანეს ხასთა მათ წინა-მდგომელთა;
გამოსვლისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა,
შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

„მათ საჯდომთა ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს ძისა დარად,
მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად;
ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად.
არ მომეშვნეს, დავმორჩილდი, თაყვანის-მცეს ამირბარად.

„ალარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია;
გიამბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!
ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქნელია,
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწველია“.

ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა

ქვლა დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანი მოიტირა:
„დღესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით, გვენადირა;
მიბრძანა, თუ: «ქალი ვნახოთ», ხელი ხელსა დამიჭირა.
მის ჟამისა მხსენებელი მე სულ-დგმული არ გიკვირა?

„მეფემან ახმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა,
გამოვუხვენ და წავედით ჩემად სადებლად ალისა;
მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა.
ალმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა!

„ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა:
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.
კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა.

„ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა,
მე გარე ვდეგ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა;

ვერას ვხედევდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა.
ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირბარისა.

„ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა;
ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა.
მოვიდა, მივსცნე დურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა.
ვამე, მას აქათ სახმილსა დავუწვავ ნიადაგულსა!

„აწ წახდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი!“
მისი ვერ გასძლო ხსენება, დაბნდა და სულთქვნა მწარენი;
ყმა და ასმათი ტიროდეს, ხმას სცემდეს იგი არენი,
ჴმუნვით თქვეს: „მკლავნი ცუდ ქმნილან, ვა, გმირთა მემუქარენი!“

ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია,
დიდხან ვერა თქვა, სევდამან გული შეუპყრა, დარია;
დაჯდა და მწარედ სულთ-ითქვნა, ცრემლი მიწასა გარია,
თქვა: „ჩემგან მისი ხსენება, ვამე, რა დიდი ზარია!

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.
ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ღა-მრჩებიან.

„დურაჯნი მივსცენ, გავიღე სხვა ვერა გზაღა თავისა,
დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა,
რა სულად მოვე, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა:
გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა.

„შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,
ზედ დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა,
პირსა იხოკდეს ხელითა, ღაწვისა გამპობელითა.
მუყრნი მოახსნეს, სენითა მთქვეს გამაბელზებელითა.

„მე რა მნახა თვალ-ახმული, მეფე ყელსა მომეხვია,
ცრემლით მითხრა: «შვილო, შვილო, ცოცხალ ხარ-ღა? სიტყვა თქვია!»
მე პასუხი ვერა გავეც, ვითა შმაგი შევკრთი დია,
კვლა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია.

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან;
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან.
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.

„აქიმნიცა იკვირვებდეს: «ესე სენი რაგვარია?
სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია».
ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცთარი წამერია.
დედოფალი, ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია.

„სამსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკვდარი;
მერმე ცნობა მომივიდა, მიეხვდი რასმე მიუმხვდარი;
ვთქვი, თუ: «ჰაი, რაშიგან ვარ მე სიცოცხლე-გარდამხდარი!»
თმობა ვსთხოვე შემოქმედსა, ვჰკადრე სიტყვა სამუდარი.

„ვთქვი, თუ: «ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შეისმინე,
მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვითა აღმადგინე,
აქა ყოფა გამამქღავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწვინე!»
მანვე ქმნა და მო-რე-ვჯობდი, გული წყლული გავარკინე.

„ზე წამოვჯე. მეფისასა კაცი დია მოვიდოდა.
ახარებდეს: «წამოჯდაო», დედოფალი გამორბოდა;
მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა,
იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი უჩუმოდა.

„იქით და აქათ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია;
მე მოვახსენე: «პატრონო, გული აწ უფრო მრთელია;
ცხენსა შეჯდომა მწადიან, ვნახნე წყალნი და ველია».
ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯე, მეფე ჩემთანა მველია.

„გამოვედით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა;
ჩემსა მივე, დავაბრუნვე, მეფე მომყვა სახლთა ძირსა.
შინა მოვე, უარ გავხე, სხვა დამერთო ჭირი ჭირსა;
ვთქვი, თუ: «მოვკვდე, ბედი ჩემი ამის მეტსა არას ღირს-ა!»

„ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,
გული უფრორე დამიჭრა ათიათასმან დანამან.
საწოლის მეკრე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;
ვთქვი, თუ: «რა იცის ამბავი, ნეტარ, ან იმან, ან ამან?»

«მონაამ ასმათისი». — «რა იცისო, — ვარქვი, — ჰკითხე».
შემოვიდა, სააშიკო წიგნი მომცა, წავიკითხე;
გამიკვირდა, სხვად ვითამცა ვქმენ გულისა მწველთა სითხე?
მისგან ეჭვი არა მქონდა, სევდად მაწვა გულსა მით ხე.

„მე გამიკვირდა: «სით ვუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა?
მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,
ჩემგან იმედსა გარდასწყვედს, მერმე დამიწყებს გმობასა».
დავწერე, რაცა პასუხად მართებდა აშიკობასა.

„დღენი გამოხდეს, მე გული უფრორე დამწვეს კვლავ ალთა,
ვეღარ ვუპვრეტდი ლაშქართა, მინდორს თამაშად მავალთა;
დარბაზს ვერ მივე; მკურნალთა დაიწყეს მოსლვა მრავალთა,
მაშინ დავიწყე გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა.

„მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა,
სხვამან ვერავინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა;
სისხლი დამწამეს; მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა.
გავიხსენ ფარვად პატიჟთა, არვისგან საეჭველისა.

„ხელ-გახსნილი, სევდიანი, საწოლს ვიყავ თავის წინა;
ჩემი მონა შემოვიდა, შევხედენ, თუ თქვას, რა მინა.
«მონაამ ასმათისი». შემოყვანა ვუთხარ შინა.
გულსა შინა დავუზრახე: «რა მპოვაო ანუ ვინ-ა?!»

„მონამან წიგნი მომართვა, მე წავიკითხე ნებასა;
წიგნსა შევატყვე, ლამოდა შეყრისა მოსწრაფებასა;
პასუხად გავეც: «ჟამია, მართალ ხარ გაკვირვებასა;
მოვალ, თუ მიხმობ, მე ნუ მეჭვ მოსლვისა დაზარებასა».

„გულსა ვარქვი, თუ: «ლახვარნი ეგრე ვით დაგაღონებენ?
ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ;
აზრად შეიქმან, საქმესა ათასჯერ შეაწონებენ,
თუ შეიგებენ, მე მათთა არეთა არ მარონებენ».

„კაცი მოვიდა მეფისა: «სწადსო ამბისა სმინება».
მოყვანა ვუთხარ; ებრძანა: «ქმნაცა სისხლისა დინება?»
მე ვჰკადრე: „ხელი გავიხსენ, დამიწყო მოჯობინება,
წინაშე მოვალ, ამისთვის კვლა უფრო მმართებს ლხინება».

„დარბაზს მივე. მეფე ბრძანებს: «ამის მეტსა ნუ იქმ აბა!»
ცხენსა შემსვა უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა,
შეჯდა, ქორნი მოუტივნა. დურაჯები დაინაბა,
შვილდოსანნი გასაგანნა, იტყოდიან: «შაბა, შაბა!»

შინა დავსხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი;
მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნეს სულ-დაღებულნი;
მეფემან გასცნა მრავალნი თვალნი, ღარიბად ქებულნი.
აუვსებელნი არ დარჩეს მას დღესა მათნი ხლებულნი.

„ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად;
ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად;
ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავჯე, მთქვიან ალვად.
შევქმენ სმა და ნადიმობა პატიჟთა და ჭირთა მალვად.

„მოლარემან შინაურმან ყურსა მითხრა ნაუბარი:
«ქალი ვინმე იკითხავსო: «ინახვისცა ამირბარი?»
ზეწარითა მოუბურავს პირი, ბრძენთა საქებარი»;
ვარქვი: «საწოლს წაიყვანე, ჩემგან არის ნახმობარი».

„ავდეგ, მსხდომნი ნადიმობად აემზადნეს ასაყრელად;
შართი ვუთხარ: «ნუ ასდგებით, მოვალ ხანსა დაუზმელად»;
გამოვე და საწოლს შევე, მონა მოდგა კარსა მცველად.
გული მივეც თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად.

„კარსა შევდეგ, ქალი წინა მომეგება, თაყვანის-მცა;
მითხრა: «მოსლვა თქვენს წინაშე კურთხეულ არს, ვინცა ღირსმც-ა!»
გამიკვირდა, მიჯნურისა თაყვანება ექმნა ვისმცა?
ვთქვი: «არ იცის აშიკობა; თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა!»

„შევე, დავჯე ტახტსა ზედა; ქალი მოდგა ნოხთა პირსა,
ჩემსა ახლოს დასაჯდომლად თავი მისი არ აღირსა;
ვარქვი: «მანდა რად ზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?»
მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის ჰგვანდა სიტყვა-ძვირსა.

„მითხრა: «დღე ეგე სირცხვილად, მედების გულსა ალობა:
გგონია ჩემგან წინაშე მაგისთვის მომავალობა,

მაგრა აწ მიდებს იმედსა შენგან ცდისაღა მალობა.
ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა წყალობა».

„ადგა მითხრა: «თქვენს კრძალვასა ჩემთვის ცნობა უბნევია;
ნუ მეშვ, რაცა პატრონისა ბრძანებასა უთქმევია,
ეზომ დიდსა შემართებად გულსა მისსა უთნევია,
ამან წიგნმან გაგაგონოს, ჩემთვის ვისცა უქნევია»".

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი პირველი

წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა;
მოეწერა მზისა შუქსა: «ნუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა;
მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნედა ცუდი მძულსა.
აწ ასმათი მოგახსენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსა.

«ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!
ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია!

«შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია,
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია,
ძოლან ხელ-ქმნილსა გიშვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია,
მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია.

«მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე;
გიჯობს, ცუდად ნუღარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე?
მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე!»

„ასმათი მეუბნებოდა უშიშად, არ მეკრძალვოდა;
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რა დამეთვალვოდა!
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალვოდა;
მით პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალვოდა".

წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი

თვალთა დავიდევ უსტარი მე მისგან მონაწერია.
პასუხად ვსწერდი: «მთვარეო, შენმცა მზე ვით მოგერია?
მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია!
სიზმრად მგონია, დარჩომა ჩემი ვერ დამიჯერია».

„ასმათს ვუთხარ: «მე პასუხსა ამის მეტსა ვერ მივხვდები;
ესე ჰკადრე: «რათგან, მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოხდები,
აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ ვბნდები,
რასაცალა სამსახურსა, ვტყუი, თუღა ვერიდები».

„ასმათ მითხრა: «მე მიბრძანა, ესე ვქმნათო, ესე სჯობდეს:
ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს,
ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს;
და-ცა-მვედრა: ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს».

„მეკეთა ესე თათბირი, სიბრძნე გულისა მისისა,
მისი, მზესაცა რიდება ჰქონდის ნახვისა ვისისა;
მისგან მომეცა მოსმენა არ საუბრისა მქისისა,
ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგვანდის სინათლე დღისისა.

„ასმათს მოვართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა;
მან მითხრა: «არა არ მინდა, ვარ გამაძღარი ამითა».
ერთი აიღო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა:
«ესე კმა ნიშნად, სავსე ვარ სხვად ხელის შესაბამითა».

„ქალი ადგა, წამოვიდა; მე ლახვართა გულსა მრიდეს,
ლხინმან ბნელი განმინათლა, დაშრტეს, ცეცხლნი რომე მწვიდეს;
შევე, დავჯე ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა სმიდეს,
მხიარულმან საბოძვარი გავეც, ზამი გაადიდეს“.

წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა

გავგზავნე კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემ-მაგიერი:
მივსწერე: «მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი!
მათი ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი,
ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ-მადლიერი.

«ჩვენნო ძმანო და პატრონნო, თქვენგან არ გავიმწარებით;
ესე რა ნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით.
თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით.
სჯობს, რომე გვნახნეთ, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით».

„კაცნი გავგზავნენ, მე გულსა უფრო მომეცა ლხინები,
დარბაზს ვიშვებდი, დამევსო ცეცხლი წვად მოუთმინები;
მაშინ სოფელმან საწუთრო მიუხვის, რაცა ვინები,
აწ ხელ-მქმნა, რომე საახლოდ მხეცთაცა მოვეწყინები.

„პირველ გაჭრისა პირება, მერმე დაწყნარდეს ცნობანი;
ჩემთა სწორთაგან იყვნიან ჩემს წინა ნადიმობანი,
მაგრა დამშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი;
ზოგჯერ შემცვიან სევდათა, ვთქვნი საწუთროსა გმობანი“.

ნესტანისაგან ტარიელის ხმობა

დღესა ერთსა საწოლს მოვე მეფისა სრით წამოსრული,
ვჯე და მასვე ვიგონებდი, არ მიეცა თვალთა რული;
წიგნი მქონდა საიმედო, ამად ვიყავ მხიარული;
კარის მცველმან მონა უხმო, უთხრა საქმე დაფარული.

«მონაო ასმათისი», საწოლს ვუთხარ შემოყვანა.
მოეწერა: «გიბრძანებსო», ვისი მესვა გულსა დანა.
ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭვთა მანა,
წავე, მონა წავიტანე, რამცა ვუთხარ ამისთანა!

„ბაღჩა შეევლე, არა დამხვდა კაცი ჩემი შოუბნარი;
ქალი წინა მომეგება მხიარული, მოცინარი,
მითხრა: «ვაშად ამოგიღე, არ გასვია გულსა ნარი,
მოდი, ნახე ვარდი შენი უფრეკვნელი და დაუმჭნარი».

„ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა კუბო შემკული ბალახშითა და ლალითა;
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა,
მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა.

„დიდხან ვდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა;
ასმათ უხმო, მოიუბნეს; ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
«აწ წადიო, ვერას გითხრობს», მე კვლა მიმცა ალმან მურსა.

„ასმათ გამომყვა, წამოვე, ფარდაგი გამოვიარე,
ვთქვი: «საწუთროო, ვის წელან გული დარმანთა მიარე,
მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე?»
გულმან გაყრისა სიძნელე კვლა უფრო დამიტია-რე!

„ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარეთ შიგან ბაღი;
მითხრა: «ეგრე წასლვისათვის ნუ გაჩნია გულსა დაღი,
სიმძიმილთა ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი;
სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა ჰკრძალავს ლაღი».

„მე ვუთხარ: «დაო, შენგან ვეჭვ ამა გულისა წამალსა;
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ ალსა,
ჩემთანა წიგნსა ნუ გასწყვეტ შენ ზედა-ზედა მავალსა;
თუ რას სცნობ ჩემთვის, არა ვეჭვ მე შენგან, არ, დანამალსა».

„შევჯე, წამოვე, მდიოდა ნაკადი ცრემლთა მილისა;
საწოლს შემოვე, ხელ-ქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა,
ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა;
ღამე მერჩია, მეწადა არ-გათენება დილისა“.

წიგნი ხატაელთა მეფისა ტარიელის წინაშე მოწერილი

ხატაეთს მყოფნი მოვიდეს, მათგან მოსლვისა დრონია,
სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:
«არც რამე ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია,
ვინ არის თქვენი ხელმწიფე? ჩვენზედა რა პატრონია?»

„მოეწერა: «რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიერსა,
გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა!
რაგვარა თუ მანდა გეხმე, ვინ ვჰპატრონობ ბევრსა ერსა?
ამის მეტსა ნუმცა ვნახავ კვლაღა წიგნსა შენმიერსა“.

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია.
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია,
შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკე მონასხპანია,
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია.

„ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნა მათ შინა ხან-დაზმულობა;
აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯართა ხვარაზმულობა.

„ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა,
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა,
თავსა ვსტიროდი, ვიტყოდი ბედითა მეტად ავითა:
«მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა!»

„შინა მოვე, დაღრეჯილსა გულსა სევდა მიიეფდა,
თვალთათ, ვითა საგუბარით, ცხელი ცრემლი გარდმომჩქეფდა.
«ბედი ჩემი უბედური, — ვთქვი, თუ, — ჯერთცა ვერ გამეფდა!
ხელმან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ მოჰკრეფდა?»“

ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა

მონა შემოდგა, მივეცი საქმესა გაკვირვებულსა;
ასმათის წიგნი მომართვა მე, მეტად შეჭირვებულსა,
ეწერა: «გიხმობს შენი მზე შენ, მისთვის მოსურვებულსა,
მოდი, სჯობს მანდა ტირილსა, საქმესა ბედით ვებულსა".

„ვითა მმართებდა, ეგზომი რამცა ვით გავიხარეო!
შეღამდა, წავე, ბაღისა მე კარი შევიარეო;
სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო,
სიცილით მითხრა: «წამოვლე, მოგელის ლომსა მთვარეო».

„შემავლო სახლი ნაგები, კეკლუცად ბანის-ბანითა;
გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა,
ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა,
საკრძალავი და ღარიბი, უცხო პირით და ტანითა.

„შევე, წავდეგ ნოხთა პირსა, მე დამიწყო ცეცხლმან შრეტად,
გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ლხინი ადგა სვეტად.
მას ბალიში შემოეგდო, მზისა შუქსა სჯობდა მეტად,
ჩემგან პირსა იფარვიდა, აიხედნის წამის ჭვრეტად.

„უბრძანა, თუ: «მოახსენე, ასმათ, დაჯდეს, ამირბარსა!"
მან ბალიში დამართებით დადვა მას მზედ საქებარსა.
დავჯე, მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამგმობარსა;
მიკვირს, სულნი რადღა მიდგან, ვიტყვი მისგან ნაუბარსა!

„მიბრძანა: «ძოღან გეწყინა გაშვება უუბარისა,
მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა:
დაგსჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა,
მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა.

«თუცა მართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა,
მაგრა მეტად უარეა არა-თქმა და ჭირთა მალვა:

მე თუ ზე-პირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა;
ძოღან ქალი გამოვგზავნე, ვქმენ მართლისა შემოთვალვა.

«ერთმანერთისა, მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა,
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა;
ამას შესჯერდი დიდითა ზენაარით და ფიცითა.
გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!

«წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე;
ღმერთმან ქმნას და გაგიმარჯვდეს, მორჭმულიმცა ჩემ კერძ ირე!
მაგრა რა ვქმნა, კვლაცა ნახვა მომხვდებოდეს შენი ვირე?
გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიჭირე!»

„მოვახსენე: «არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად,
მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლველად,
შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე, მზეებრ სანახველად,
აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად.

«აწ რასაცა მე მაღირსებ, ხორციელი არა ღირს-ა;
მოწყალება იჩქითია, ღმრთისა ამად არა მკვირსა;
შენთა შუქთა შემომადგამ, ბნელსა გულსა ზედა მჭვირსა,
შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა».

„ზედა წიგნსა საფიცარსა შევჰფიცე და შემომფიცა,
მისგან ჩემი სიყვარული ამით უფრო დაამტკიცა:
«უშენოსა მოწონება ვისიმცაო გულსა მიცა,
ღმერთი მომკლავს, ამას იქით თავსა ვეტყვი, ამას ვსწვრთიცა».

„დავყავ ხანი მას წინაშე, ერთმანერთსა ვეუბენით,
ვჭამეთ ამო ხილი რამე, სიტყვანიცა ტკბილნი ვთქვენით,
მერმე ავდეგ წამოსავლად ტირილით და ცრემლთა დენით.
მისთა შუქთა მშვენებანი ნათლად მადგეს გულსა ფენით.

„მეძნელებოდა სიშორე მისი, ბროლ-ბალახშ-მინისა.
მე გამიახლდა სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა;
ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა,
აწ მიკვირს, მისსა გამყრელსა გული მიც კლდისა ტინისა!“

ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა
და დიდი ომი

დილასა შევჯე, ვუბრძანე: «ჰკარით ბუკსა და ნობასა »
სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა.
ლომმან მივმართე ხატაეთს, ვერვინ მიზრახავს ხრდლობასა,
უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს გზობასა.

„დავაგდე ზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია;
რამაზის კაცი მემთხვია, ვინ ხატაეთის ხანია,
მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია:
«ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ თქვენნი, ინდოთა თხანია».

„მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი,
«გითხრობს, გკადრებს: «ნუ ამოგვწყვედ, არის შენგან არ-საქმნელი,
ზენაარი გამოგვიღე, მით გვაბია ყელსა წნელი,
მოურბევლად მოგახსენნეთ თავნი, შვილნი, საქონელი.

«რაცა შეგცოდეთ, შეგვინდევ, თვით ჩვენვე შეგვინანია;
თუ ღმრთულებრ შეგვიწყალებდეთ, აქა ნუ მოვლენ სპანია;
ქვეყანა ჩვენი არ ასწყდეს, რისხვით არ დაგვტყდენ ცანია;
შენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყვნენ ცოტანი ყმანია».

„გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით;
მითხრეს, თუ: «ხარო ყმაწვილი, ბერნი მით გკადრებთ, გლახ, ენით:
არიან მეტად მუხთალნი, — ჩვენ ერთხელ კვლაცა ვნახენით, —
არამცა მოგკლეს ღალატად, არამცა ვივაგლახენით!

«ჩვენ ამას ვარჩევთ, წახვიდე კარგითა მართ მამაცითა,
ლაშქარნი ახლოს გეკიდნენ, სცნობდენ ამბავსა კაცითა;
გულ-მართლად იყვნენ, მიენდევ, აფიცე ღმრთითა და ცითა,
არ დაგმორჩილდნენ, შერისხდი რისხვითა კვლა და კვლაცითა».

„მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები;
შევსთვალე: «რამაზ-მეფეო, ვცან შენი დანაპირები;

სიკვდილსა გიჯობს სიცოცხლე, დაგვიდგამს ვერ ქვიტკირები;
ლაშქართა დავყრი, ცოტათი წამოვალ, შენ კერძ ვირები».

„მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი,
თანა წამომყვეს, წა-ცა-ვე, დავყარენ სპანი ყველანი,
დაევედრე: «სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი,
ახლოს მომდევდით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მინდენ შველანი».

„სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა.
კვლა ეძღვნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა,
ებრძანა: «მწადსო სიახლე შენ ლაღისა და ჯანისა,
რა შეგეყარო, მაშინ სცნა კვლა ძღვნობა ამისთანისა».

„კვლაცა ეთქვა: «მართალია აზომ ჩემი მონახსენი,
მე თვით წინა მოგეგებვი, მესწრაფების ნახვა შენი».
მოვახსენე: «დია, ღმერთო, ბრძანება ვქმენ მეცა თქვენი,
ტკბილად ვნახოთ ერთმანერთი, ვიყვნეთ ვითა მამა-ძენი».

„მუნით წასრული ჩამოვხე ტევრისა რასმე კიდესა;
კვლა მოციქულნი მოვიდეს, სალამად არ დამრიდესა;
წინა ტურფათა ტაიჭთა ძღვნად ჩემთვის მოზიდვიდესა;
«შენსა ნახვასა მეფენი, — თქვეს, — მართლად ინატრიდესა».

„მითხრეს: «მეფე მოგახსენებს, მეცა შენ კერძ ვიარები,
სახლით ჩემით წამოსრული ხვალე ადრე შეგეყრები».
მოციქულნი დავაყენენ, ხარგა დავდგი, არ მაზრები,
მეტად ამოდ ვუალერსე, ერთგან დაწვეს ვით მაყრები.

„კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების:
ერთი კაცი უკმო-რე-სწყდა, მოდგა, მალვით მეუბნების:
«დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიხდების,
გაწირვა და დავიწყება ჩემგან თქვენი არ იქმნების.

«მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტაი განაზარდი.
თქვენი მესმა საღალატო, საცნობელად გამოვვარდი;
მკვდარი მიმძიმ სანახავად ტანი მჭევრი, პირი ვარდი;
ყველასავე მოგახსენებ, გამიგონე, დამიწყნარდი.

«რომე ცუდად არ მოღორდე, ისი კაცნი გღალატობენ,
ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ;
კვლა სხვაგან გითქს სამი ბევრი, ასრე ფიცხლად მით გიხმობენ,
აწვე თავსა არ ეწევი, ფათერაკსა შეგასწრობენ.

«მეფე ცოტათა გეგებვის, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან;
მალვით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო მით გეთნევიან;
კვამლსა შეიქმან, ლაშქარნი ყოველგნით მოგეხვევიან.
რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან».

„მას კაცსა ამოდ ვეუბენ და მადლსა გარდვიხდიდია:
«რომე არ მოვკვდე, შემოგზღო, შენ ამას ინატრიდია;
აწ ამხანაგთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა მიდია,
თუ დაგივიწყო, უთუოდ მემცა ვარ განაკიდია!»

„არვის გავანდევ სულ-დგმულსა, დავმალე ვითა ჭორია.
რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია!
მაგრა სპათაკე გავგზავნე კაცი, გზა თუცა შორია,
შევსთვალე: «ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია».

„მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შევუთვალე:
«რამაზს ჰკადრეთ: მოგეგებვი, მოდი, მოვალ მეცა მალე»
ნახევარ დღე სხვა ვიარე, ჭირსა თავი არ ვაკრძალე.
განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავიმალე?!

„ქედსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტვერი დავინახე;
ვთქვი, თუ: «მოვა რამაზ მეფე; ჩემთვის უდგამს თუცა მახე,
ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე».
მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუსახე.

„ვთქვი, თუ: «ძმანო, ისი კაცნი ჩვენ ღალატსა გვიდგებიან,
მკლავთა თქვენთა სიმაგრენი ამისთვისმცა რად დალბიან?
ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.
აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალნი ცუდად რას გვაბიან?»

„ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა;
დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა,

რაზმი დივაწყევ, მივმართე, წავე დიდითა სწრაფითა,
მას დღესა ჩემი მებრძოლი ჩემმანვე ხრმალმან დაფითა.

„მივეახლენით, შეგვატყვეს მათ ტანსა აბჯარ-ცმულობა;
კაცი მოვიდა, მომართვა მეფისა მოციქულობა;
ეთქვა, თუ: «ჟამად გვაჩნია ჩვენ თქვენი არ-ორგულობა,
აბჯრითა გხედავთ, შეგვქმნია აწ ამად გულ-ნაკლულობა».

„შევსთვალე, თუ «მეცა ვიცი, რაცა ჩემთვის გაგიგია;
თქვენ რასაცა სთათბირობდით, არ იქმნების, არ, იგია!
ბრძანეთ, მოდით, შემებენით, ვითა წესი და რიგია,
მეცა თქვენად დასახოცლად ხელი ხრმალსა დამიგია».

„რა მივიდა მოციქული, კვლამცა რადღა გამოგზავნეს!
კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღავნეს;
სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს,
შექმნეს რაზმი მრავალ-კეცი, თუცა, ღმერთო, ვერა მავნეს.

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;
საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად.
მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.

„ახლოს მივე, შემომხედნეს, «შმაგიაო», ესე თქვესა.
მუნ მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!

„შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი.

„ერთობილნი მომეხვივნეს, მგრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;
ვჰკრი რასაცა ვერ დამიდგნის, სისხლსა მჩქეფრსა ამოვღვრიდი;
ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი.
სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შეჰქმნია ჩემი რიდი.

„საღამო-ჟამ დაიზახნა ქედით მათნან დარაჯამან:
«ნუღარა სდგათ, წაედითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან:
მოვა მტვერი საშინელი, შეგვაშინნა ამად ამან,
ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან სპამან».

„ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,
რა ეცნა, წამოსრულიყვნეს, ღამე-წამორთვით ეარა;
ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა,
გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გააზეარა.

„იგი ნახეს, გასაქცევლად გაემართნეს, შევჰკივლენით;
ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავვლენით.
რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით,
მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით,

„უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა;
ძილისა მიხვდა ნაცვალი ძილ-მკრთალთა, ღამე-თეულთა,
ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა კვნესა, მართ ვითა სნეულთა.

„მას ადგილსა ნაომარსა გარდავხედით მოსვენებად.
ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მიჩნდა, არ-ნაღებად;
ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან; ვერ მიმხვდარან ქებასაცა მოხსენებად.

„ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;
ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს;
რომელთაცა გავეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს,
ჩემგან ხრმლითა განაკვეთნი ნახნეს, მეტად გაუკვირდეს.

„გავგზავნენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე,
ერთობ სავსენი მოვიდეს, თავი ავალაღებინე,
სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევაღებინე,
არ ვჰბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე.

„რამაზს ვარქვი: «შემიგნია საქმე შენი სამუხთალე,
აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე,

სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა მომათვალე,
თვარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად წავსთვალე?»

„რამაზ მითხრა: «აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე,
ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაპატრონე,
ციხოვანთა გავუგზავნო, საუბარი გამიგონე,
ხელთა მოგცემ ყველაკასა, განაღამცა შენ გაქონე!»

„მივეც ერთი დიდებული, თანა სპანი წავატანენ,
ციხოვანნი ერთობილნი ჩემს წინაშე მოვიყვანენ,
ხელთა მომცნეს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,
საჭურჭლენი სიმრავლითა რასმცა ვითა დავაგვანენ!

„მაშინღა შევე ხატაეთს მოვლად და მოსათვალავად;
კლიტენი საჭურჭლეთანი მომართვნეს დაუმალავად;
ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: «იყვენით თქვენ უკრძალავად,
მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ გაუგვალავად».

„საჭურჭლენი გარდავნახენ თავის-თავის, კიდის-კიდე.
უცხო ფერთა საჭურჭლეთა, დავშვრები, თუ მოვსთვალვიდე;
ერთგან ვნახე საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე,
თუმცა ნახე, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე!

„ვერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად!
ვისცა ვუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად;
სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად.

„იგი საძღვნოდ მისად დავსხენ, ვისი შუქი მანათობდა;
მეფისათვის დავარჩიე, საარმაღნოდ რაცა სჯობდა:
ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, — ყველაკაი წვივ-მაგრობდა, —
დატვირთული გავუგზავნე, ამბავსაცა კარგსა სცნობდა".

წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა

წიგნი დავწერე: «მეფეო, სვემცაა თქვენი სვიანად,
მე ხატაელთა მიმუხთლეს, — თუცა მათ ეცა ზიანად, —
ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად;
მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად».

„რა ყველაი დავიურვე, ხატაეთით გავემგზავრე,
წამოვიხვენ საჭურჭლენი, სახელმწიფო დავიავრე,
ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე,
მოვირჭვენ და მოვივლინე, რაცა მწადდა, აგრე ვყავ-რე.

„ხატაეთისა ხელმწიფე მომყვანდა შეპყრობილია.
ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილია;
რა ქება მითხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია!
ხელი გამიხსნა, შემომკრა მან სახვეველი ლბილია.

„ედგნეს ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა,
საუბრისა და ჭვრეტისა ჩემისა მას მონდომილსა.
მას დღესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდახდომილსა;
მიალერსებდა, მიჭვრეტდა წინაშე ახლოს ჯდომილსა.

„მას ღამით ვსხედით ნადიმად, მუნ ამოდ გავიხარენით,
დილასა ქალაქს შევედით, მოედნით ავიყარენით;
მეფემან ბრძანა: «ლაშქარნი უხმენით, შემოჯარენით,
დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემომგვარენით!»

„რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე;
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე,
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტისმეტი სიგულვანე!

„მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უალერსა,
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.
ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა ლმობიერსა:
«შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?»

„მე ვჰკადრე: «ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,
უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა».
რამაზს უბრძანეს: «იცოდი, გაგგზავნით შეწყალებულსა,
მაგრა ნუ განახავთ კვლაცაღა ჩვენს წინა გაწბილებულსა!»

„ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია,
კვლა ხატაური ათასი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია.
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია.

„ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,
მოახსენა: «ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა.
თუღა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!»
წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა.

„მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანაღამია;
ებრძანა: «რა შენ გაგყრივარ, მას აქათ თვეო სამია.
მინდორს მოკლული ისრითა ნადირი არ მიჭამია,
არ დამაშვრალხარ, წავიდეთ, თუცა დაშვრომის ჟამია».

„შევეკაზმე, დარბაზს მივე, დამხვდა ჯარი ავაზისა,
შავარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა,
მეფე ქვე ჯდა შეკაზმული, შვენებითა მსგავსი მზისა;
გაეხარნეს მისლვა ჩემი, ტურფისა და ლამაზისა!

„იდუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია:
«ომით მოსრული ტარიელ საჭვრეტლად სასურველია,
მან განანათლოს მჭვრეტელთა გული, რაზომცა ბნელია,
რაცა დაგვედრო საქმნელად, ქმენ, არა საზოზნელია.

«აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:
რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელ-დებული,
ვინცალა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხე, ედემს ხებული,
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შვებული».

„მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა;
იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა.

ადრე დავბრუნდით, ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა.
ალარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა.

„ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი.
ომ-გარდახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი;
ფერმიხდილ-გვარად ვშვენოდი ვარდი, ცრემლითა ნაბანი,
ვინცა მიჭვრეტდის, ბნდებოდის, — მართლად არს, არ კაბანი.

„რიდენი რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა,
იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა.
მეფე გარდახდა, დარბაზსა შევედით ჩემთა მზრდელთასა,
შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღაწვთა მზეებრ ნათელთასა.

„მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის-ფერნი ჯუბანი,
ზურგით უთქს ჯარი ხადუმთა, დას-დასად, უბან-უბანი;
სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი,
მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი.

„ნაომარსა, დაკოდილსა ხელი ყელსა ჩამომება.
დედოფალი საჯდომთაგან ადგა, წინა მომეგება,
ვითა შვილი გარდამკოცნა, ღაწვი ვარდი დამილება,
მითხრა: «ნუ ეჭვ ამას იქით, თუღა მტერი შე-ღა-გება».

ახლოს დამისვეს ადგილსა, მუნ, სადა მეამებოდა.
პირის-პირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა.
მალვით ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა, სხვად არად მეუბნებოდა;
თვალნი მოვსწყვიდნი, სიცოცხლე ამითა მეარმებოდა.

„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა;
სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა!
ჯამი და ჭიქა — ყველაი ფეროზისა და ლალისა.
არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთრვალისა.

„მე მუნა მყოფი მივეცი შვებასა მეტის-მეტასა.
რა შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლმან დამიწყის შრეტასა;
კაცთა კრძალვასა ვაწვევდი გულსა შმაგსა და რეტასა.
რა უამეა პირის-პირ საყვარელისა ჭვრეტასა!

„დააგდეს მღერა მუტრიბთა, «სულეთო!», თავი ხარიან;
მიბრძანეს: «შვილო ტარიელ, ვით გითხრათ, ვით გვიხარიან?!
ნეტარძი გვაქვსო, მებრძოლნი მით ჩვენნი ვაგლახ არიან;
მართალან შენნი მჭვრეტელნი, არ ცუდად იმკვეხარიან.

«აწ თუცა გვმართებს შემოსა, ვის მორჭმით მოგივლენიან,
არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, ტურფად გშვენიან;
აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქნი მოგიფენიან,
თვით შეიკერე, რაცა გწადს ჩვენგან ნუღარა გრცხვენიან».

„მომართვნეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;
თაყვანის-ვეც და დავლოცენ დავლანი მათთა სვეთანი;
მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი მზენი მზეთანი,
რა გასცეს, ზომნი ვით გითხრნე ლაშქართა სისავსეთანი!

„კვლაცა დაჯდა მხიარული, მოიმატა სმა და მღერა;
კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ჟღერა.
დედოფალი წამოვიდა, შეეყარა მწუხრსა დღე რა.
ძილ-პირამდის სიხარულსა სიხარული ჰგვანდა ვერა.

„ავიყარენით, მიგვჭირდა სმა დოსტაქნისა მეტისა.
საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ ვითა რეტისა.
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე ამა ცეცხლთა შრეტისა.
მეგონებოდის, მალხენდის გონება მისგან ჭვრეტისა“.

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი

მონა მოვიდა, მიამბო ამბავი მან მართალია:
«თქვენსა ამბავსა იკითხავს აჯიღოსანი ქალია».
მაშინვე ვიცან, ავიჭერ, ჩქარ-ჩქარად გულ-გამკრთალია;
მოვიდა, ენახე ასმათი ჩემთანა მომავალია.

„მე ვისთვის ვკვდები, მეამა ასმათის ნახვა მე მისად.
აღარ მივუშვი, ვაკოცე, ქმნადღა თაყვანის-ცემისად;

ხელი მოვჰკიდე, დავისვი ახლოს ტახტისა ჩემისად,
ვჰკითხე, თუ: «ნეტარ, მისრულა მორჩი ალვისა ხე მისად?

«მიამბე მისი ამბავი, სხვად ნურას მეუბნებია!».
მითხრა, თუ: «გკადრებ მართალსა, აწ ჩემგან არ-სათნებია,
დღეს ერთმანერთი გინახავს და ტურფად მოგწონებია,
აწ კვლაცა ცნობა ამბისა მას ჩემგან უბრძანებია».

„წიგნი მომართვა, ჩავხედენ, პირისა თემთა მთენისა.
ეწერა: «ვნახე სიტურფე წყალ-ჯავარისა შენისა.
ომ-გარდახდილი შვენოდი, შენატევები ცხენისა,
არ-ავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა.

«ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,
შენთვის მკვდარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა,
მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა!

«თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარ იდენ, გულსა ჭირნი არიდენო;
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო;
რომე წეღან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო.

«იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წეღან გშვენოდეს,
რა მნახო, შენცა გეამოს, შენეულითა მშვენოდეს;
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-ღა-გვლენოდეს,
ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს»“.

ტარიელის ტირილი და დაბნედა

აქა მხეც-ქმნილი ტარიელ ტირს, ჭირი ეათასების;
თქვა: „მე მაქვს სამხრე, რომელი კვლა წინას მკლავსა მას ების!“
იგი შეიხსნა, მოიღო, თვალვით არ დაიფასების,
პირსა დაიდვა, და-ცა-ბნდა, ქვე მკვდართა დაედასების.

ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა,
ორგნით ჩანს ლები მჯიღისა, მართ გულსა გარდნაკარისა.
ასმათს სდის ღვარი სისხლისა, ღაწვთაგან ნახოკარისა,
კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ხმა ისმის მუნ წკანწკარისა.

ავთანდილცა სულთქვნა მწარედ, დაბნედილსა შემოსჭვრიტნა;
ასმათ ვანი გაამრავლნა, ცრემლმან მისმან ქვანი ხვრიტნა;
მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა;
თქვა: „ცოცხალ ვარ? საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი ხვრიტნა!“

ზე წამოჯდა ფერ-მიხდილი, აყოლებდა თვალთა რეტად.
ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად.
დიდხან მათად არა სცალდა საუბრად და არცა ჭვრეტად,
დარჩომა და არ-სიკვდილი მას უმძიმდა მეტის-მეტად.

ავთანდილს უთხრა: „ისმენდი, ცნობა მიც თუცა ხელისა,
გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხველისა:
ლხინად მიჩს შეყრა მოყვრისა მის, შენგან შეუყრელისა.
მე მიკვირს ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა მრთელისა!

„ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დად საესავისა.
წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე საბამი მკლავისა.
მკლავსა შევიბი მაშინვე, მოვიხსენ რიდე თავისა,
იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა“.

წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი

მივუწერე: «მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი,
გულსა მეცა, გამიცუდდეს სიჩაუქე-სიალფენი;
ხელმან შენნი გავიცადენ სინატიფე-სიტურფენი,
სულთა ნაცვლად სამსახურნი რამცა ვითა გიმუქფენი?!

«მაშინ, ოდეს დამარჩინე, სულთა სრულად არ გამყარე,
აწცა ჩემთვის ესე ჟამი მასვე ჟამსა დავადარე;

სამხრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე,
რომე მმართებს სიხარული, ეგზომიმცა რა ვიხარე?!

«განაღამცა ვიწინაშე, აჰა რიდე, რომე მთხოვე;
ყაბაჩაცა ასეთივე, ამისებრი ვერა ვპოვე;
დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, მოვე;
სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შეეპოვე!»

„ქალი ადგა, გამეყარა. დავწევ, ამოდ დამეძინა,
მაგრა შევკრთი, საყვარელი ჩემი ვნახე ძილსა შინა;
გამეღვიძა, აღარა მყვა, სულ-დგმულობა მომეწყინა,
ღამე ასრე გავათენე, მისი ხმაცა არ მესმინა“.

აქა რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა

დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა;
ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, წასლვა ვქმენ მითვე წამითა;
ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა,
რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა.

„გვიბრძანეს, თუ: «ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, და-ცა-გვლია;
ჟამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,
ყმისა არ-სმა არად გვგავა, ამად ზედა წაგვითვლია.

«აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ».

„ვთქვით: «თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების,
მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების;

ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების,
სხვამცა რა გკადრეთ! თვით იცით, მაგას რა მოეგვარების».

„დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია;
ვთქვი: «ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ-საქმნელია!»
მეფემან ბრძანა: «ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრი არ-რომელია».

„რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;
ერთმანერთსაცა უპვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა.
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.

„დედოფალმან თქვა: «ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი,
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!»
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი!
მოწმობა დავრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი.

„გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი;
შესთვალეს: «გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი;
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოელი,
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი».

„კაცი მოვიდა, აევსო ჯუბაჩითა და რიდითა,
გახარებოდა ხვარაზმშას სიხარულითა დიდითა;
ებრძანა «მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა!
თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვხდიდითა!»

„კვლა გაგზავნნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად,
დავედრეს, თუ: «ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად».
მე მაშვრალი, ნაბურთალი საწოლს შევე მოსვენებად,
გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად".

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა

მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად.
ასმათის მონა შემოდგა, მე ვჯე ლაღი და ჯანი სად,
წიგნი მომართვა, ეწერა: «ვინ სჩან ალვისა ტანისად,
ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად».

„შევჯე, წავე, ბაღჩას მივე. ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!
ბაღჩა შევვლე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით;
ვნახე, ვსჭვრეტდი ნატირებად, ცრემლი აჩნდა ღაწვთა წთომით,
დამიმძიმდა, არა ვჰკითხე; ჩემი სჭირდა მისლვა ნდომით.

„იგი ვნახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა.
ვითა წინას შემომცინის, აღარ ეგრე გამიღიმდა.
ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა,
ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაქიმდა.

„ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა,
შინა კოშკად შემიყვანა, ფარდაგსაცა ამიზიდნა.
შევე, ვნახე იგი მთვარე; ჭირმან ყოვლმან უკუმრიდნა,
გულსა შუქნი შემომადგნა, მაგრა გული არ დამიდნა.

„იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი;
ებურა მოშლით პირ-ოქრო, მე მივეც რიდე რომელი;
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი,
ცრემლისა ღვარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხვი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.

„მიბრძანა: «მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი-, ცისა!»
ვჰკადრე: «რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?»

„ვთქვი: «პასუხსა ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მართალსა:
რა შეგცოდე, რა მიქნია უცნობოსა, ფერ-ნამკრთალსა?»
კვლაცა მითხრა: «რას გეუბნა მტყუანსა და შენ მუხთალსა?
დიაცურად რად მოვღორდი? მე დავუწვავ ამით ალსა.

«შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,
ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცუდად შენი ხელოვნება!

«გახსოვს, ოდეს «ჰაის» ზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს,
მკურნალნი და დასტაქარნი წამალთა-ყე მოგიტანდეს?
მამაცისა სიცრუეთა, ნეტარ, სხვანი რამცა ჰგვანდეს!
რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!

«ამას ვბრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოს ვლიდენ, თუნდა გზეთსა!
ეგე აგრე არ იქმნების, წა, მომცთარხარ მოსაცეთსა,
აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ აგეთსა!

«ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!»"
ესე სიტყვა დაასრულა, ყმა ატირდა, სულთქვნა, აჰ-ყო.

თქვა: „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტის-მეტად,
კვლა მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა ეგრე ჰვრეტად.
აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?
ვა, სოფელო უხანოო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?!

„შევხედენ, ვნახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,
ავიღე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე,
ვჰკადრე, თუ: «მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე,
რათგან არ მომკალ, პასუხი ერთაი გკადრო მე ბარე.

«რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია,
ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია!

თუ მაღირსებ განკითხვასა, ავი არა არ მიქნია.
მან მიბრძანა: «რაცა იცი, თქვიო», თავი დამიქნია.

„კვლაცა ვჰკადრე: «მე თუ, მზეო, თქვენთვის ფიცი გამეტეხოს,
ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს!
ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს,
მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს?

«მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა.
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.
დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;
თავსა ვუთხარ: «მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა».

«მემცა დაშლა ვითა ვჰკადრე, რათგან იგი ვერ მიმხვდარა?
არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?
ტარიელ არს მემამულე, სხვასა მართებს არად არა,
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?

«ვთქვი: «ამითა ვეღარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვიგვაროო»;
თავსა ვუთხარ: «ნუ მოგიცავ, გონებაო, მრავალ-გვაროო!»
მედვა გული მხეცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვაროო,
ვისმცა მივეც თავი შენი, შენვე რად მე არ წამგვაროო?!»

„სულთა ვჰყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა;
იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდი აზრა;
ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა.
მიბრძანა, თუ: «ეგე საქმე მემცა მართლად რად მეაზრა?!

«არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა, ორგულობასა,
უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ მადლობასა;
იაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა!
მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძე-სძლობასა».

„მოლმობიერდა, მომიტკბა გამწყრალი, გამქისებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული;
ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არ-ღირსებული;
მეუბნებოდა, დამივსო ცეცხლი ამითა გზებული.

„მიბრძანა, თუ: «გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!

«კვლა თუ სიძე შემოუშვა, მე შემირთოს, იყოს ასდენ,
ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გაგვიფლასდენ,
მათ მორჭმულთა მოიკლინონ, ჩვენ პატიჟნი გაგვიასდენ,
ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ».

„მე ვჰკადრე: «ღმერთმან აშოროს მის ყმისა შენი ქმარობა!
რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,
ვუჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა:
ასრე დავხოცნე, შეეძლოს აღარას არ სახმარობა!»

„მიბრძანა, თუ: «ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად:
რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად.
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

«ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დახოც, ზრუხათა, ვითა ვირთაო, —
დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?

«იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,
ჰკადრე, თუ: «სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა!»

«ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნუცა ნდომა,
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა;
ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვდომა,
ხელთა მოგცემს თავსა ჩემსა, შეგვფერობდეს ერთგან სხდომა».

„ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა,
ჩემთა მტერთა დავაცადე დასახოცლად ხრმლისა ქნევა;

მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვევე წვევა,
მწადდა, მაგრა ვერ შევმართე შეჭიდება, შემოხვევა.

„ხანი დავყავ, გავეყარე, მაგრა გავხე ვითა ხელი.
ასმათ წინა ჩამომიძღვა, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი.
ჭირი ბევრჯელ ვაათასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი,
მერმე წასლვა არა მწადდა, ამად მივალ არ-ფიცხელი».

აქა ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა

მოვიდა კაცი: «სასიძო მოვაო», მოსლვა გვახარა,
მაგრა თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა,
მეფესა მიხვდა სიამე, არ სიტყვა ივაგლახა რა,
მიბრძანა, ახლოს მიმისვა, «მოდიო», თავი დახარა.

„მიბრძანა: «ჩემთვის ესე დღე ლხინი და სიხარულია.
გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ვითა დასა, სრულია;
კაცნი გავგზავნნეთ, მოვიღოთ ყოვლგნით საჭურჭლე სრულია,
უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია».

„მე გავგზავნენ ყოვლგან კაცნი საჭურჭლეთა წამომხმელნი;
სასიძოცა მოგვივიდა, იყვნეს ხანსა არ-დამზმელნი;
შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ მოდგეს ხვარაზმელნი;
მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტევდეს ვერცა ხმელნი.

„მეფემან ბრძანა: «მოკაზმეთ კარვითა მოედანია,
გამოისვენოს სიძემან, დაყოს ცოტაი ხანია;
მუნ მისად ნახვად გავიდენ უშენოდ სპანი სხვანია,
შენ აქა ნახე, კმარიან იქა ნახვისად ყმანია».

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა,

შეიქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.

„მე დავშვერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა;
შინა წამოვე, მაშვრალსა ქმნა მომნდომოდა ძილისა;
მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტკბილისა:
«ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა».

„ცხენისაგან არ გარდავხე, წავე ფიცხლად, დავმორჩილდი;
ქალი დამხვდა ნატირები, ვჰკითხე: «ცრემლსა რასა მილდი?»
მითხრა: «შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი?
გაუწყვეედლად ვით გამართლო? რაგვარადმცა გავვაქილდი?!»

„შევედით, ვნახეთ ბალიშსა ზედა წარბ-შერჭმით მჯდომარე;
მზე ვეღარას იქმს მის მეტსა, მას განენათლა რომ არე,
წაედეგ, მიბრძანა: «რასა სდგა? დღე მიგიჩს წინ საომარე!
ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცთომარე?!»

„მე მეწყინა, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი.
უკუვჰყივლე: «აწ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა ვუნდი!
ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!»
შინა მოვე, მოკლვა მისი დავაპირე, არ დავყმუნდი.

„ასსა ვუბრძანე მონასა: «საომრად დაემზადენით!»
შევსხედით, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.
კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით,
უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით.

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.
წინა მწოლთა დაიზახნეს, გლოვა მიხვდა საარაკე;
ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე; ჯაჭვი მეცვა საკურტაკე.

„ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი;
წამოვე, წევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მდევარი.
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი!

„ქაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
«აქა მომმართეთ, ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შველასა».
არ გაწყდა მოსლვა მდევართა ღამესა დია ბნელასა,
ჩემი რა ცნიან, სცვიდიან თავებსა მათსა მრთელასა.

„ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილად,
ვნახენ სამნი დიდებულნი, მეფისაგან მოგზავნილად;
ებრძანა, თუ: «ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?

«ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე!»

„მე შევუთვალე «მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!

«იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! —
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ მოგხდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია!

«ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!

«შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე,
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!»“

ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა

ესე კაცნი გამეგზავნნეს, გონებასა გავეშმაგე.
რომე მისი ვერა მეცნა, ამას უფრო დავედაგე.
მას ზღუდესა გარდავადეგ, მინდორთაკე რომე ვაგე.
მესმა საქმე საშინელი, თუცა თავი ვერ წავაგე.

«გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, მე მივეგებე წინა-რე.
ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანმცა, თუ მოღმა ვინ არე:
თავ-გაგლეჯილი ასმათი, პირსა სისხლ-ჩამომდინარე,
აღარ მიყივლა ღიმილით, არცაღა გამიცინა-რე.

„იგი ვნახე, დავებნიე, გონებანი გამიშმაგნა;
შორით ვუხმე: «რაშიგან ვართ, ანუ ცეცხლმან რად დაგვდაგნა?»
მან საბრალოდ შემომტირნა, ძლივ სიტყვანი გამოაგნა,
მითხრა: «ღმერთმან სიმგრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა».

„ახლოს მივე, კვლაცა ვჰკითხე: «რაშიგან ვართ? თქვი მართალი!»
კვლა საბრალოდ ამიტირდა, კვლა მოედვა ამით ალი,
დიდხან სიტყვა ვერა მითხრა, მისთა ჭირთა ნაათალი,
მკერდსა წითლად უღებვიდა სისხლი ღაწვთა ნაწვეთალი.

„მერმე მითხრა: «მოგახსენებ, ესე რადმცა დაგიმალე?
მაგრა ვითა გაგახარნე, შენცა აგრე შემიწყალე:
ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე,
დამხსენ ჩემსა საწუთროსა, ღმერთსა შენსა მიავალე!»

„მიამბო: «ოდეს სასიძო მოჰკალ და ხმა დაგივარდა,
მეფესა ესმა, აიჭრა, მართ მისგან გასატკივარდა,
შენ დაგიზახნა: «მიხმეთო», ხმა-მაღლად გახმამყივარდა;
მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს, მით მეფე გამოჩივარდა.

«ჰკადრეს: «აქა აღარ არის, კარნი სადმე გაუვლიან».
მეფე ბრძანებს: «ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან:
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან,
რა ნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან.

«აწ, თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!
მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!
მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?
თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო! მისად პატიჟად მზად ეს-ა».

„მის მეფისა წესი იყო: თავი მისი ძვირად ფიცის,
და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე წამსა დაამტკიცის.
«ესე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის,
მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის.

«დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:
«თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან».
მან აგრე თქვა: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან!
ვისგან მოვკვდე, ვისთვის მოვკვდე, მიიხვედროს იგი ვერ მან».

«პატრონი ჩემი აგრევე იყო, წამოხვე შენ ოდეს;
შენეულნივე რიდენი ებურნეს, ტურფად შვენოდეს.
დავარ მოსთქმიდა სიტყვათა, რომელნი არა მსმენოდეს;
«ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ? ვეჰვ, შენცა არა გლხენოდეს!

«როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?
ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე?
არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი. რა გიყავ, რა გაქნევინე?
აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიხვდე, ვის ესე დააშლევინე!»

«ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა.
მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულთქვნა, ოდენ უშნა,
ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა.

«რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დალურჯებითა,
წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა.

«ზღვითკე გაავლნეს სარკმელნი; მაშინვე გაუჩინარდა.
დავარ თქვა: «მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და!

ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა».
დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა.

„რად არ მიკვირვებ ცოცხალსა, მე ლახვარ-დაუსობელსა!
აწ იგი მიყავ, რა მმართებს ამისსა მახარობელსა!
ზენაარ, დამხსენ სიცოცხლე სულთადგმა-დაუთმობელსა!»
საბრალოდ ცრემლსა ადენდა უკლებსა, დაუშრობელსა.

„მე ვუთხარ: «დაო, რად მოგკლა, ანუ რა შენი ბრალია? —
რამცა ვქმენ ნაცვლად, თვით რომე მისი ჩემზედა ვალია! —
აწ თავსა მისად საძებრად მივსცემ, სად კლდე და წყალია».
სრულად გავქვავდი, შემექმნა გული მართ ვითა სალია.

„მეტმან ზარმან გამაშმაგა, მომიკიდა ცხრო და თრთოლა;
გულსა ვუთხარ: «ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა,
გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა.
აჰა ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა!»

„შევე, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენსა შევჯე შეკაზმული;
ას სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა თანა ხან-დაზმული,
წამომყვა და წამოვედით კართა გარე დარაზმული,
ზღვის პირს მივე, ნავი დამხვდა, მენავემან მნახა ზმული.

„ნავსა შევჯე, ზღვასა შევე, ზღვასა შიგან გავალაგდი,
არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავაგდი;
მოველოდი, არა მესმა, შმაგი უფრო გა-ვე-ვშმაგდი,
რომე სრულად მომიძულვა, ღმერთსა თურე ასე ვსძაგდი.

„რომე დავყავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა,
მაგრა მისი მნახავიცა სიზმრივ კაცი არ მეოცა;
თანა-მყოლი ყველაკაი ამომიწყდა, დამეხოცა,
ვთქვი, თუ «ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა».

„ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოვე ზღვისა პირსა,
გული სრულად გამიმხეცდა, არ ვუსმენდი არც ვაზირსა;
ყველაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაცა ჭირსა.
კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე, მისგან განაწირსა!

„ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი,
ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემაგონანი.
მისნი ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა დრამისა წონანი,
ტირილი მიჩნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი“.

ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შეეყარა

ღამით მევლო, მოვიდოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი;
ჰგვანდა, ქალაქს ვეახლენით, ცალ-კერძ იყვნეს კლდეთა ნაღნი;
არ მეამის კაცთა ნახვა, მიდაღვიდეს გულსა დაღნი;
მუნ გარდავხე მოსვენებად, დამხვდეს რამე ხენი ლაღნი.

„ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა ჭამეს პური;
მერმე ავდეგ სევდიანი, მიღამებდა გულსა მური:
ვერა მეცნა ეგზომ გრძელად ვერ ჭორი და ვერ დასტური,
ველთა ცრემლი ასოვლებდა, თვალთა ჩემთა მონაწური.

„ზახილი მესმა. შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,
შემოირბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკიოდა;
ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.

„ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, აწ ესე მე მითქს რომელი,
მართ ვითა ქარი მოქროდა გაფიცხებული, მწყრომელი;
მონა მივსწიე, მისისა შეყრისა ვიყავ მნდომელი;
შევსთვალე: «დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს, რომელი?»

„მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა;
ფიცხლა შევჯე, ჩავეგებე, მე ჩავუსწარ, ჩავე წინა,
ვუთხარ: «დადეგ, გამაგონე შენი საქმე, მეცა მინა!»
შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა.

„გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: «შენ ასეთნი ხენი ვით ხენ!»
მერმე მითხრა: «მოგახსენებ, აწ სიტყვანი რომე მკითხენ:

იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,
უკაზმავსა მიღალატეს, საჭურველნი ასრე ვითხენ».

„მე ვუთხარ: «დადეგ, დაწყნარდი, გარდავხდეთ ძირსა ხეთასა;
არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა».
თანა წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა.
მე გავეკვირვე ჭვრეტასა მის ყმისა სინაზეთასა.

„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვივნა,
ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკივნა.
მერმე ვჰკითხე: «ვინ ხარ ანუ მკლავმან შენმან ვისგან ივნა?»
საამბობლად დამირიგდა, თავი მისი გაამჩივნა.

„პირველ მითხრა: «არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?
ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო?
რამან შეგქმნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე რგავსო?
ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო?

«მულღაზანზარის ქალაქი, ახლოს მე მაქვსო რომელი,
ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი;
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,
ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგნით სიკეთე-მიუწდომელი.

«მამის ძმა და მამა-ჩემი პაპა-ჩემმან გაყვნა ოდეს,
ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს,
თვით ბიძასა ჩემსა მიხვდა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს;
მათვე დარჩა სანადირო, არ მივსცემდი, მომერჩოდეს.

«დღეს გამოვე ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე,
ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკალი არ ვახშირე;
სპათა ვუთხარ: «მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა ვირე!»
ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დავიჭირე.

«ნავითა გავე, ზღვისაგან შტო რამე გამოვიდოდა.
არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დავრიდო, და-?
დამეძაბუნნეს, სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდა,
ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდიდოდა.

«მართლად იჯავრეს, წუნობა მათი თუ ესე ხმდა ვითა!
გამომაპარნეს ლაშქარნი, გზანი შემიკრნეს ნავითა,
თვით ბიძაძენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,
ჩემთა გაუხდეს ლაშქარნი ომად თავისა მკლავითა.

«მათი მესმა, დავინახე ზახილი და ხრმალთა ელვა,
ნავი ვსთხოვე მენავეთა, მით ვიყივლე მე ერთხელ ვა,
ზღვასა შევე, მომეგება მეომარი ვითა ღელვა,
სწადდა, მაგრა ვეღარა ქმნეს ჩემი ზედა წამოქელვა.

«კვლა სხვანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწეოდეს,
იქით და აქათ მომიხდეს, ერთგნით ვერ მომერეოდეს,
არ მომწურვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს,
ხრმალსა მივენდევ, გამიტყდა, ისარნი დამელეოდეს.

«მომეჯარნეს, ვეღარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხლტუნვე,
ზღვა-ზღვა ცურვით წამოუვე, ჩემი მშვრეტი გავაცბუნვე;
თანა-მყოლნი ყველაკანი დამიხოცნეს, დამრჩეს მუნვე,
ვინცა მდევდა, ვერ შემომხვდა, მივუბრუნდი, მივაბრუნვე.

«აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღმრთისა წადილსა!
ვეჰვ, ჩემი სისხლი არ შერჩეს, ძალი შესწევდეს ქადილსა!
ოხრად გავუხდი ყოფასა მათ საღამოსა და დილსა,
ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ ხადილსა!»

„ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა.
მოვახსენე: «აჩქარება შენი ყოლა არა უნდა,
მეცა თანა წამოგყვები, დაიხოცნენ იგი მუნ, და-!
ჩვენ ორთავე მეომარი განაღამცა შეგვიძრწუნდა!»

„ესეცა ვუთხარ: «ამბავი ჩემი არ გაგეგონების,
უფრორე წყნარად გიამბობ, თუ ჟამი ჩვენ გვექონების».
მან მითხრა: «ლხინი საჩემო მაგას არ შეეწონების!
დღედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების».

„მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა;
გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმიდეს მისთვის ოტასა,

პირსა იხოკდეს, გაჰყრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტასა.
ეხვეოდიან, ჰკოცნიან ხრმალსა და სალტე-კოტასა.

«კვლა მოვეწონე, ვეტურფე მე მისი გარდნაკიდარი;
შემასხმიდიან ქებასა: «მზეო, შენ ჩვენთვის იდარი!»
მივედით, ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი,
ყველასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიდარი".

შველა ტარიელისაგან ფრიდონისა

მოჯობდა, ომი შეეძლო, ხმარება ცხენ-აბჯარისა;
დავკაზმეთ ნავი, კატარღა და რიცხვი სპათა ჯარისა;
კაცი ხმდა, მისთა მჭვრეტთათვის ღონემცა ეაჯა რისა!
აწ გითხრა ომი მოყმისა, მებრძოლთა დამსაჯარისა.

„მათი მესმა დაპირება, ჩაბალახთა ჩამობურვა;
ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, შვიდი თუ რვა.
ფიცხლა ზედა შეეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა;
ქუსლი ვჰკარ და დავუქციე, დაიზახნეს დიაცურ ვა!

„კვლა სხვასა მივე, მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა,
ზღვასა დავანთქენ, დავხოცენ, ომიმცა რაღა აგესა!
სხვანი გამექცეს, მიმართეს მათ-მათსა საქულბაგესა;
ვინცა მიჭვრეტდეს, უკვირდა, მაქებდეს, არ მაძაგესა.

„ზღვა გავიარეთ, გავედით, შემოგვიტიეს ცხენია,
კვლა შევიბენით, შეიქმნნეს ომისა სიმარცხენია.
მუნ მომეწონნეს ფრიდონის სიქველე-სიფიცხენია:
იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია.

„თვით ორნივე ბიძაძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა,
ხელნი წმიდად გარდეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარნა,
მოიყვანნა მხარ-დაკრულნი ერთმან ორნი, არ დაყარნა,
მათნი ყმანი გაამტირლნა, მისნი ყმანი ამაყარნა.

„მათნი ლაშქარნი გაგვექცეს; ვეცენით, გა-ცა-ვფანტენით.
ფიცხლად წავუღეთ ქალაქი, არ თავნი გავაზანტენით;
ქვითა დავლეწეთ წვიეები, ჩვენ იგი გავაანტენით.
მომკალ, თუ ლარი დალიოთ ან აკიდებით, ან ტენით.

„ფრიდონ ნახნა საჴურჴლენი და ბეჴედნი მისნი დასხნა.
თვით ორნივე ბიძაძენი დაპყრობილნი წამოასხნა.
მისთა ნაცვლად სისხლნი მათნი მოღვარნა და ველთა ასხნა!»
ჩემი თქვეს, თუ: „ღმერთსა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა!»

„მივედით, მოქალაქეთა ზარი ჩნდა რომე ზმიდიან,
აჯაბთა მქმნელნი მჴვრეტელთა გულსა მუნ დააბმიდიან;
მე და ნურადინს ყველანი ქებასა შეგვასხმიდიან,
გვითხრობდეს: «მკლავთა თქვენთაგან ჯერთ მათნი სისხლნი მიდიან!»

ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ-მეფობით,
თვით თავსა მათსა — მონად და ჩემსა — ყველასა სეფობით;
დაღრეჯით ვიყავ, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდთა მკრეფობით,
ჩემი ვერ ცნიან ამბავი, მუნ იყო არ-იეფობით“.

ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა

დღესა ერთსა მე და ფრიდონ ნადირობას გამოვედით,
ზღვასა ზედა წაწურვილსა ქედსა რასმე გარდავედით;
ფრიდონ მითხრა: «გითხრობ რასმე, — ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით,
ერთი რამე საკვირველი მე ვნახეო ამა ქედით».

„მე ვჰკითხევდი, ფრიდონ მეტყვის მართ ამბავსა ესოდენსა:
«დღე ერთ მწადდა ნადირობა, შევჯე ამა ჩემსა ცხენსა, —
ზღვათა შიგან იხვსა ჰგავს და ხმელთა ზედა შავარდენსა, —
აქა ვდეგ და თვალს ეუგებდი ქორსა, იქით განაფრენსა.

«ზოგჯერ ზღვისკე მივიხედნი, წავსდგომოდი ამა გორსა;
ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორსა.

ეგრე ფიცხლა სიარული არას ძალ-უც მისსა სწორსა,
ვერად ვიცან, გონებასა გავეკვირვე ამად ორსა.

«ვთქვი: «რა არის, რას ვამსგავსო, მფრინველია ანუ მხეცი?»
ნავი იყო, გარ ეფარა სამოსელი მრავალ-კეცი;
წინა კაცნი მოზიდვიდეს; თვალი ამად დავაცეცი,
მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა ვეცი.

«ამოძვრეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი.
ქალი გარდმოსვეს, სისხონი ვნახენ მისისა თმისანი.
მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი!
მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი!

«სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, და-ცა-მლეწა,
იგი ვარდი შემიყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა;
დავაპირე შეტევება, ვთქვი: «წავიდე მათკე მე, წა-,
ჩემსა შავსა სულიერი რამცა ვითა გარდეხვეწა!»

«ცხენი გავქუსლე, იქმოდა შამბი ხმასა და ხრიალსა,
ველარ მივუსწარ, გამესწრნეს, რაზომცა ვსცემდი წრტიალსა.
ზღვის პირსა მივე, შევხედენ, ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა,
გამშორვებოდეს, წამსლვოდეს, ამისთვის დავეწვი ალსა».

„ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე,
ცხენისაგან გარდავიჭერ, თავი სრულად გავიკიცხე,
ჩემთა ღაწვთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიცხე.
ვუთხარ: «მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე!»

„ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, უცხოდ ეუცხოვა,
მაგრა მეტად შევებრალე, ტირილითა მესათნოვა;
თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა,
ვითა შვილი დამადუმა, მემუდარა, შემეპოვა.

«ვაგლახ მეო, რა გიამბე ფათერაკად, მცთარმან, შმაგად!»
მოვახსენე: «ნურა გაგვა, ნუ ინაღვლი მაგას მაგად!
იგი მთვარე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი მდაგად;
აწ გიამბობ, რათგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად».

„ფრიდონს ვუთხარ ყველაკაი ჩემი, თავსა გარდასრული;
მან მითხრა, თუ: «რას ვიტყოდი მოცთომილი, გაბასრული!
შენ, მაღალი ინდოთ მეფე, ჩემსა რადმე ხარ მოსრული,
სახელმწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა სრული».

„კვლაცა მითხრა: «ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს,
მას ლახვარსა მოაშორვებს, თუცა პირველ გულსა უხებს,
იგი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,
ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, არაოდეს შეგვაწუხებს».

„წამოვედით ნატირებნი, სრას დავსხედით თავის წინა;
ფრიდონს ვუთხარ: «ჩემი შემწე შენგან კიდე არავინ-ა,
ვითა ღმერთმან შენი მსგავსი სოფლად არა მოავლინა,
მაშა რათგან შეგემეცენ, ამის მეტი რად რა მინა?

«არ ავი გესვა მოყვარე, ჟამი თუ მომხვდეს ჟამისად,
ენა, გონება მახმარე გამოსარჩევლად ამისად:
რა მოვაგვარო, რა მიჯობს სალხენლად ჩემად და მისად?
თუ ვერას ვარგებ, ვიქმნები ვერ-დამყოფელი წამისად».

„მან მითხრა: «ბედი ღმრთისაგან მიჯობსღა ამას რომელი?
მოსრულხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთს მჯდომელი;
მემცა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე მნდომელი?
ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი.

«ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა,
შემომკრებელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა;
აქა მოგესმის წამალი, შენ რომე დაუწვავ ალთა.
ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდახდა მაგ შენთა ჭირთა და ვალთა!

«ჩვენ გავგზავნნეთ მენავენი, რომელთაცა კვლა უვლია,
მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ჭირი არ გვაკლია;
მუნამდისცა მოიჭირვე, — გონებამან არ დაგლია.
ყოლა ჭირი არ ეგების, თუმცა ლხინმან არ დასძლია».

„კაცნი იხმნა მასვე წამსა, ესე საქმე დავიურვეთ,
უბრძანა, თუ: «ნავებითა წადით, ზღვა-ზღვა მოიცურვეთ,

მოგვინახეთ, საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ;
თავთა ჭირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთ?»

„აჩინნა კაცნი, სადაცა სადგურნი ნავთა სჩენოდეს;
უბრძანა: «ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი გსმენოდეს».
მოლოდნა მიჩნდა სალხინოდ, პატიჟნი მო-რე-მლხენოდეს,
უმისოდ ლხინი მინახავს, ამა დღისათვის მრცხვენოდეს!

„ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა,
მითხრა, თუ «მცთარვარ აქამდის, ვერ მივხვდი გასაგონოსა:
ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!
ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა?!»

„რას ვაგრძელებდე! მოვიდეს ყოვლგნით ამბისა მცნობელნი,
ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დამაშრობელნი;
ვერა ვერ ეცნა, ვერ იყვნეს ვერას ამბისა მბობელნი,
მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლა ცრემლნი შეუშრობელნი.

„მე ფრიდონს ვუთხარ: «ესე დღე ვითა მესაზაროების,
ამისად მოწმად ღმერთი მყავს, სათქმელად მეუცხოების;
უშენოდ მყოფსა ღამე და დღეცა მესაღამოების,
დახსნილვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოების.

«მაშა მე მისსა ამბავსა რათგან აღარას მოველი,
ველარ ვიქმნები, გამიშვი, ვარ ფარმანისა მთხოველი!»
ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი,
მითხრა, თუ: «ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველი!»

„თუცა დია მოიჭირვეს, ვერცა ეგრე დამიჭირეს;
მისთა სპათა მუხლ-მოყრილთა თავი მათი ჩემ-კერძ ირეს,
მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს:
«ნუ წახვალო, დაგემონნეთ, სიცოცხლეა ჩვენი ვირეს!»

„ეგრე ვუთხარ: «თქვენი გაყრა მეცა დია მეძნელების,
მაგრა ლხინი უმისოსა ჩემგან ძნელად გაიძლების;
ჩემსა ტყვესა ვერ გავსწირავ, თქვენცა დია გებრალების,
ნუვინ მიშლით, არ დავდგები, არცა ვისგან დამეშლების».

„მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი ცხენი,
მითხრა: «ხედავ პირი მზისა, თქვენ საროსა ეგეც ხენი,
ვიცი, მეტი არა გინდა, ძღვენნი რადმცა გავკიცხენი?
თვით ამანვე მოგაწონოს სახედრობა, სიფიცხენი».

„ფრიდონ გამომყვა, წავედით; ორთავე ცრემლნი ვღვარენით;
მუნ ერთმანერთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით.
სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით.
გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით.

„ფრიდონისით წამოსრულმან, წავე ძებნად, კვლა ვიარე,
რომე არა არ დამირჩა ხმელთა ზედა, ზღვათა გარე,
მაგრა მისსა მნახავსაცა კაცსა ვერას შევეყარე;
გული სრულად გამიშმაგდა, თავი მხეცთა დავადარე.

ვთქვი, თუ: «ჩემგან აღარაა სიარული, ცუდი ცურვა,
ნუთუ მხეცთა სიახლემან უკუმყაროს გულსა ურვა!»
მონათა და ამა ასმათს სიტყვა ვუთხარ შვიდი თუ რვა:
«ვიცი, რომე დამირჯიხართ, დია გმართებს ჩემი მდურვა.

«აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,
ნულარ უჭვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთათ მონადენთა!»
რა ესენი მოისმენდეს საუბართა ესოდენთა,
მითხრეს: «ჰაი, რასა ჰბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა!

«უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა!
ნუთუ ღმერთმან არ გაგვყარნეს ცხენთა თქვენთა ნატერფალსა!
თქვენ გიჭვრეტდეთ საჭვრეტელსა შვენიერსა, სატურფალსა!"
თურე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ არ-ღაფალსა.

„ვეღარ გავგზავნენ, სიტყვანი მესმნეს მონათა ჩემთანი,
მაგრა დავყარენ არენი მე. კაცრიელთა თემთანი;
სახლად საყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი.
გავიჭერ, სრულად დავტკებნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი.

„ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს,
შემომებნეს, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს,

მათ მონანი დამიხოცნეს, ჯაჭვნი ავად მოექაფნეს.
საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს.

„აჰა, ძმაო, მაშინდითგან აქა ვარ და აქა ვკვდები;
ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები,
ესე ქალი არ დამაგდებს, — არს მისთვისვე ცეცხლ-ნადები, —
ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები!

„რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;
ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს;
რათგან თავი არ მომიკლავს, ხრმალი ცუდად მომიმახავს.

„მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები;
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენები;
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრვე მხსენები;
სხვად არას ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები“.

პირსა იცა, გაიხეთქა, ღაწვი ვარდი აიხეწა,
ლალი ქარვად გარდიქცია, ბროლი სრულად დაილეწა;
ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა-;
მერმე ქალმან დაადუმა, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა.

ტარიელ უთხრა ავთანდილს, ასმათის დადუმებულმან:
„შენ ყველაკაი გაამე მე ვერას ვერ ამებულმან;
გიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან,
აწ წადი, ნახე შენი მზე ნახვისა მოჟამებულმან“.

ავთანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების;
თუ გაგეყრები, თვალთაგან ცრემლიცა დამედინების.
მართალსა გითხრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების,
შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების.

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,
მას უამბობს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

„რაცა გითხრა, მომისმიხე, ბრძენი გეტყვი, არა ხელი:
ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის, არ, ერთხელი;
კარგად ვერას ვერ მოაელენს კაცი აგრე გულ-ფიცხელი.
აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი.

„იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო;
მოვახსენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო;
შენ გენუკვი, შემაჯერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო,
ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო.

„რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემეპირო,
მეცა ფიცით შეგაჯერო, არასათვის არ გაგწირო,
კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო,
ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ გატირო“.

მან მიუგო: „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?
გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი;
რაგვარამცა დაგივიწყე, რაგვარამცა უკუმქარდი!
ღმერთმან ქმნას და კვლაცა გნახო ალვა მორჩი, განაზარდი.

„პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს,
გული მინდორს არ გაიჭრეს, არ იირმოს, არცა ითხოს;
თუ გიტყუო, მოგაღორო, ღმერთმან რისხვით გამიკითხოს!
შენმან ჭვრეტა-სიახლემან მომაქარვოს სევდა, მითხოს!“

ამაზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი,
იაგუნდნი ქარვის-ფერნი, სიტყვა ბრძენნი, ცნობა-შმაგნი;
შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყივ გულსა დაგნი,
მას ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი.

ავთანდილცა მასვე თანა ტიროდა და ცრემლი ღვარა;
რა გათენდა, წამოვიდა, აკოცა და გაეყარა;
ტარიელს თუ ვით ეწყინა, რა ქმნას, ამას ვერ მიმხვდარა;
ავთანდილცა ჩატიროდა, შამბი შიგან ჩაიარა.

ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა,
მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხვეწებოდა,

ადრე მოსლვასა ვედრებდა, მართ ვითა ია ჭნებოდა;
მან უთხრა, „დაო, უთქვენოდ სხვა რამცა მეგონებოდა!

„ადრე მოვალ, არ გაგწირავ, არას დავზამ შინა ხანსა,
ოდენ სხვაგან არ წავიდეს, ნუსად არებს იმა ტანსა;
აქათ ორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა,
შეიგენით, მიცემულვარ ჭირსა რასმე თანისთანსა“.

ამგავი ავთანდილისა არაბეთს შეჭცევისა

იგი მუნით წამოსრული სევდამანცა განა მოკლა!
პირსა იხოკს, ვარდსა აზრობს, ხელი მისი გაამხოკლა;
სისხლსა, მისგან დადენილსა, მხეცი ყოვლი გაამლოკლა;
მისმან ფიცხლა სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა.

მუნ მივიდა, სადა იგი მისნი სპანი დაეყარნეს.
ნახეს, იცნეს; რაგვარაცა მართებს, აგრე გაეხარნეს.
შერმადინსცა ახარებდეს, ფიცხლა კაცთა თავნი არნეს:
„მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ლხინნი გაგვემწარნეს!“

გაეგება, მოეხვია, ზედა დასდვა პირი ხელსა,
აკოცებდა, სიხარულით ცრემლსა ღვრიდა ველთა მრწყველსა;
ესე თქვა, თუ: „ნეტარ, ღმერთო, ცხადსა ვხედავ ანუ ბნელსა?
მე ვით ღირს ვარ ამას, რომე თვალნი ჩემნი გჭვრეტდენ მრთელსა!“

ყმამან მდაბლად მოიკითხა, ზედა დასდვა პირი პირსა;
უბრძანა, თუ „ღმერთსა ვმადლობ, შენ თუ ჭირად არა გჭირსა!“
დიდებულთა თაყვანის-სცეს, აკოცებდეს, ვინცა ღირს-ა,
ზარსა სცემდეს, უხაროდა უფროსსა და თუნდა მცირსა.

მოვიდეს, სადა საყოფად სახლი დგა მუნ აგებული.
მოვიდა ნახვად ყოველი მის ქალაქისა კრებული.
მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლაღი, შვებული.
ენა მის დღისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული.

შერმადინს უთხრა, უამბო ყოველი მისგან ნახული,
ანუ ვით პოვა იგი ყმა, მისგანვე მზედ დასახული.
ავთანდილს ცრემლი უყოფდა, უბნობდა თვალ-დაფახული:
„უმისოდ მყოფსა სწორად მიჩს ჩემთვის დარბაზი და ხული“.

მან ამბავი შინაური ყველაკაი მოახსენა:
„შენი წასლვა არვინ იცის, რაცა მითხარ, აგრე ვქმენა!“
მას დღე მუნით არ წავიდა, ინადიმა, გაისვენა,
ცისკრად შეჯდა, გაემართა, დღე რა მზემან გაათენა.

არცალა დაჯდა ნადიმად, არცალა ქმნად ხალვათისა;
შერმადინ მახარობელი წავა მისლვისა მათისა,
ფიცხლა წავიდა, სავალი სამ დღე ვლო დღისა ათისა,
მას ლომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა.

შესთვალა: „მეფე უკადრი ხარმცა მორჭმით და დიდობით!
ამა საქმესა ვიკადრებ შიშით, კრძალვით და რიდობით:
მის ყმისა ვერას ვერ მცნობი ვუხმობდი თავსა ფლიდობით,
აწ ვცან და გაცნევ ყველასა, მოვალ შვებით და მშვიდობით“.

როსტევან — მეფე უკადრი, მორჭმული, შეუპოველი!
შერმადინ მოციქულობა თვით მოახსენა ყოველი:
„ავთანდილ მოვა წინაშე, მის ყმისა ვისმე მპოველი“.
ბრძანა: „ვცან ჩემი ღმრთისაგან სააჯო და სათხოველი“.

თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა;
ავთანდილ მოვა წინაშე, გკადრებს ამბავსა ამოსა“.
იგი მით აკრთობს ელვასა, მზისაცა უთამამოსა,
მას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა.

მეფე შეჯდა, გაეგება ყმასა, მუნით მომავალსა;
ამას პირ-მზე მეფისაგან ივალებდა ვითა ვალსა.
მიეგება, მოეგება მხიარული გულ-მხურვალსა,
დიდებულთა ჯარისაგან ზოგი ჰგვანდა ვითა მთრვალსა.

რა მიეახლა, გარდახდა ყმა, თაყვანის-სცა მეფესა;
აკოცა როსტან, მიმხვდარმან ნიშატთა სიიეფესა;

გულ-მხიარულნი, შეებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა;
მის ყმისა მოსლვა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფესა.

მას ავთანდილ თაყვანის-სცა, ლომთა ლომმან მზეთა მზესა.
მუნ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა.
პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა,
სახლ-საყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა!

მას დღე დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჭამა;
ყმასა მეფე ასრე უპვრეტს, ვითა შვილსა ტკბილი მამა.
მათ ორთავე აშვენებდა, ფიფქსა — თოვნა, ვარდსა — ნამა.
უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა დრამა.

სმა გარდახდა, თავის-თავის გაიყარნეს მსმელნი შინა;
დიდებულნი არ გაუშვნეს, ყმა დაისვეს ახლოს წინა;
მეფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს, რაცა ჭირი დაეთმინა,
მერმე მისი, უცნობოსა, რა ენახა, რა ესმინა.

„მას ვახსენებდე, ნუ გიკვირს, თქმა მჭირდეს მიწყივ ახისა!
მზე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა,
ვინ უნახავ-ქმნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა;
ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ახ, ის-ა!“

რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,
ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან,
ავთანდილ, მისმან ხსენებმან, ღაწვი ცრემლითა მინამან,
წვრილად უამბო ამბავი მან, მისმან მონასმინამან:

„ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს დევთა სახლები,
საყვარელისა მისისა ქალი ჰყავს თვით ნაახლები,
ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩს სტავრა-ნახლები,
აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწვავს ახალ-ახლები“.

რა დაასრულა ამბავი, საქმე მისისა ჭირისა,
ნახვა მის მზისა ნათლისა, მის თვალად არ დუხჭირისა,
ეამა ქება ვარდისა, ბროლისა განაჭვირისა:
„ეგე კმა სიმხნე სიმხნისად, რადღა ხარ მომხვეჭი რისა!“

გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა.
მას დღე·იხარებს სმისა და ჭამისა არ-მოწყენითა,
კვლა საწოლს დახვდა მის მზისა მონა სიტყვითა ბრძენითა:
მისლვა ებრძანა, ეამა, თქმა არ ეგების ენითა.

ყმა წავიდა მხიარული, ლმობიერი, არ გამწყრალი,
ლომი მინდორს ლომთა თანა მოარული, ფერ-ნამკრთალი,
ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი,
მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი.

მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ-ნადევრი,
წყლად ევფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა მჭევრი;
ბროლ-ბალახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრი,
მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!

ყმა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა;
სხედან სავსენი ლხინითა, ორთავე შესატყვისითა;
უბნობენ ლაღნი, წყლიანნი არა სიტყვითა მქისითა;
უთხრა: „ჰპოვეა, პატიჟნი ნახენ ძებნითა ვისითა?“

ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა.
ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყლითა რწყულისა,
მუნ პირი, მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ-ნაკლულისა.

„მუნ სარო, მგავსი ვარდისა, ვნახე, მისჭირდა, მი-, ნები;
იტყვის: «დავკარგე ბროლი და სადა რთავს ბროლსა მინები».
მით ვიწვი, რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწვავს მოუთმინები“.
მერმე კვლა ჰკადრა ამბავი მან, მისგან მონასმინები.

სიარულსა მისგან ძებნად, სრულ პატიჟთა მოსთვლის, ჭირსა;
მერმე ჰკადრა, საწადლისა ღმერთმან პოვნა ვით აღირსა:
„საწუთრო და სოფელს ყოფა, კაცი უჩსო, ვით ნადირსა,
ოდენ ხელი მხეცთა თანა იარების მინდორს, ტირსა.

„ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო, ჩემგან რა გაგეგონების?
მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების;

თვალი მჭვრეტელი, ვით მზისა ციაგსა, დაეღონების;
ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონების!“

წვრილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახულად, რა ნასმენად:
„ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად;
ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად“.
ვა, სოფელმან სოფელს მყოფი ყოველი დასვა ცრემლთა დენად!

ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა,
განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა;
იტყვის: „რა ვუთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა,
რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“

ყმა ეტყვის: „ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?
მან ჩემთვის დაწვა თავისა დადვა, არ-დასაწვავისა;
დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა,
მზე შემიფიცავს თავისა ჩემგან მზედ სახედავისა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,
აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!“

მზე ეტყვის: „მომხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა:
პირველ, შენ მოხვე მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,
მერმე, ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგულისა,
ვპოვე წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა!

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
აქამდის ჭირი ჩემზედა, აწ ესე ლხინი უხვდების,
რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უიცისა,
ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი-, ცისა?“

ყმამან ჰკადრა: „სიახლითა შევრთე ჰირი შვიდსა მე რვა,
ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა,
ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა,
თუ გეახლო, ერთხელ ვა და, რა მოგშორდე, ათასჯერ ვა!

„ვა თუ გავიჭრე, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ-ალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკლავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი;
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი!

„მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე, რაცა ჰბრძანე!
ვარდსა ქაცვი მოაპოვნებს, ეკალთამცა რად ვეფხანე!
მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე!
სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე!“

ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი;
ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-ქმნა მისი საწადელი,
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!

რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს,
მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ-მჭვრეტსა ავაგლახიოს!
ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, ახი ოს!

მათ მიხვდა ლხინი ყოველი ერთმანერთისა ჭვრეტითა.
ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა.
მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის-მეტითა.
იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი, ვა, სისხლთა ჩემთა ხვრეტითა!“

ყმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად ილებს,
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს;
რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს,
მის მოყვრისა მოშორვება კვლა აბინდებს, არ ადილებს.

სისხლმან და ცრემლმან გარეევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად;
იტყვის: „მზე ჩემგან თავისად კმა დასადებლად აღარად;

მიკვირს, თუ გული ალმასი შავმან წამწამმან დაღა რად!
ვირე ვნახვიდე, სოფელო, მინდი სალხინოდ აღარად!

„ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია,
დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია,
დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა, მახია.
აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია!“

ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს, ათრთოლებს და აწანწარებს,
გულ-ამოსკვნით, ოხრვა-სულთქმით მიხრის ტანსა, მიაწარებს.
საყვარლისა სიახლესა მოშორვება გაამწარებს,
ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს!

ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა, ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების,
მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა, არ მოსწყდების;
ვით მწვანვილსა თრთვილისაგან, პირსა ფერი მოაკლდების.
ხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების!

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული — ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო ლხინთა მნდომელი,
გული — ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!“

რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულისონი,
მან მარგალიტნი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი,
მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი,
პირი დასდვა და აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი.

რა გათენდა, კაცი მოვა მომკითხავი, დარბაზს მხმობი.
ყმა წავიდა ლაღი, ნაზი, ნაღვიძები, ძილ-ნაკრთობი.
ერთმანერთსა ეჯარვიან, დგას მჭვრეტელთა ჯარი მსწრობი;
მეფე მინდორს ეკაზმოღა, მოემზადა დაბდაბ-ნობი.

შეფე შეჯდა, მაშინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა!
ქოს-დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა,
მზესა ქორნი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მიდამოდა;
მას დღე მათგან დანაღვარი სისხლი ველთა მოესხმოდა!

ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი;
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი,
ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი!

ჟმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა;
ბაგეთა გასჭვირს ბროლ-ლალი და კბილთათ ელვა ჰკრთებოდა.
ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა,
უტარიელოდ ხსენება არვისგან იკადრებოდა.

ჟმა მივიდა გულ-მოკლული, ცრემლი ველთა მოედინა.
შართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.
ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რადმცა დაეძინა!
რაცა აჯა დათმობისა გულმან ვისმცა მოუსმინა!

წევს, იტყვის: „გულსა სალხინო რამცაღა დავუსახეო?
მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო,
შენთა მჭვრეტელთა ნიშატო, ვერ-მჭვრეტთა სავაგლახეო,
ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრივ გნახეო!“

ამას მოსთქმიდის ტირილით ცრემლისა დასაღვაროთა;
კვლა გულსა ეტყვის: „დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა.
არ დავთმოთ, რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა?
თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა“.

კვლა იტყვის: „გულო, რასდენცა გაქვს სიკვდილისა წადება,
სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება,
შაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დება,
ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!“

დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი

რა გათენდა, შეეკაზმა, ყმა გავიდა ადრე გარე;
იტყვის: „ნეტარ, მიჯნურობა არ დამაჩნდეს, და-მცა-ვფარე!“
დათმობასა ეაჯების გულსა: „შენ რა მოუგვარე!“
ცხენსა შეჯდა, წამოვიდა ვაზირისა სახლსა მთვარე.

ვაზირმან ცნა, გაეგება: ჩემსა მზეა ამოსრული,
ამას თურე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული!“
მიეგება, თაყვანის-სცა, ჰკადრა სრულსა ქება სრული,
ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული.

ყმა გარდასვა მასპინძელმან, არ ღაფალმან, ავმან, უქმან;
ფერხთა ქვეშე ხატაურსა უფენენ და მიწად უქმან.
ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან;
თქვეს: „სურნელი სული ვარდთა დღეს მოგვბერა ქვენა ბუქმან“.

დაჯდა, მისთა შემხედველთა გული მათი მართლად ხელეს,
მისთა მჭვრეტთა მისთვის ბნედა თავისათვის ისახელეს,
სულთქმა ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს.
გაყრა ბრძანეს, გაიყარნეს, ჯალაბობა გაათხელეს.

რა ჯალაბი გაიყარა, ყმა ვაზირსა ეუბნების,
ეტყვის: შენი დამალული დარბაზს არა არ იქმნების;
რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნების,
გაიგონე ჭირი ჩემი, მკურნე, რაცა მეკურნების.

„მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს მისისა მწველისა;
მკლავს სურვილი და ვერ-ნახვა ჩემისა სასურველისა;
მას ჩემთვის სულნი არ შურდეს, შეზღვა ხამს შეუზღველისა;
ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა.

„მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,
მუნვე დარჩა, დათმობაცა მასთანავე დაება, და-;

რათგან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაებადა,
მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო და ებადა.

„ოდეს წამოვე, შევჰფიცე ფიცითა საშინელითა;
«კელა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა;
შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა»;
ჟამია ჩემგან წასლვისა, მით მწვავს ცეცხლითა ნელითა.

„ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყვასა საკვეხელსა.
მიმელის და ვერ მისრულვარ, ესე მიდებს ცეცხლსა ცხელსა;
ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,
რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!

„რაცა გითხრა, ჩემ მაგიერ როსტანს ჰკადრე, მიედ სრასა;
თავმან მისმან, ფიცით გეტყვი შენ, ვაზირსა, ოსტასრასა:
არ შემიპყრობს, არ დავდგები, თუ შემიპყრობს, მაქნევს რასა?
მიშველე რა, გული ცეცხლმან არ დამიჭრას, არცა სრასა!

„ჰკადრე: «ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ-მეუზრახემან!
ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა სახემან!
მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვაო, ალვისა ხემან,
გული წამსავე წამიღო, ვერათ ვერ შევინახე, მან.

«აწ, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების;
გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი რა მეხდების?
თუ რას ვარგებ, პირველ ხვალმე თვით სახელი თქვენ მოგვხდების;
ვერას ვარგებ, გულსა დავსდებ, ჩემი ფიცი არ გატყდების.

«წასლვა ჩემი გულსა თქვენსა არ ეწყინოს, არ დაჭმუნდეს;
თავსა ჩემსა გაგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს;
მანვე ქმნას და გაგიმარჯვდეს, თქვენი თქვენკე და-ვე-ბრუნდეს.
არ მობრუნდეს, თქვენმცა სუფევთ, მტერი თქვენი დაძაბუნდეს!»“

«კელა პირ-მზე ეტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა შევამცირეო,
წა, ესე ჰკადრე მეფესა, შე-ვინ-ვიდოდეს ვირეო;
მიაჯე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირეო,
ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“.

ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია!
შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაგიჩენია.
მაგას რა ვჰკადრებ მეფესა, რაცა აწ თქვენგან მსმენია,
ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება არ-საწყენია.

„თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჰვ, წამიცა არ წამაროს!
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს;
მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს!
არ ითქმის და ვერცა ვიტყვი, რა გინდა ვინ მისაგმაროს.

„გზა არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე, გლახ, ვით გათნიო?
ამიკლებს და ანუ მომკლავს: «ეგე სიტყვა ვითა სთქვიო?!
რად არ მუნვე გაიგონე, რად ხარ შმაგი აგეთიო?»
სჯობს სიკვდილი აკლებასა, ამას თავსა აწვე ვსწვრთიო.

„თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოღორდენ!
რად გაგიშვან, რად დაღონდენ, ანუ მზესა რად მოშორდენ?
შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ.
ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ“.

ყმა ატირდა, ცრემლით უთხრა: „ხამს, თუ დანა გულსა ვიცი;
ჰე ვაზირო, შეგეტყვების, სიყვარული არ თურ იცი,
ანუ სხვაცა არ გინახავს მოყვრობა და არცა ფიცი,
თუ გინახავს, უმისოსა ჩემი ლხინი ვით ამტკიცი?!

„მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზესა რამცა დააბრუნვებს!
აწ ვუშველოთ, გვიჯობს, იგი ნაცვლად დღესა დაგვითბუნვებს,
ჩემი ჩემებრ არვინ იცის, რა მამწარებს რა მატკბუნვებს;
ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნვებს.

„მეფე ანუ მისნი სპანი, ნეტარ, ხელსა რასა მხდიან!
აწ ვითამცა უცნობოსა გაუწყვედლად ცრემლნი მდიან.
სჯობს წავიდე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან;
ჭირნი, მისგან უნახავნი, დია, ვისმე გარდუხდიან?

„აწ, ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?
რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს, გაცვილდეს, არ გატინდეს;

ვერ გარდვიხდი ცრემლთა მისთა, ჯეონიცა თვალთა მდინდეს,
მომეხმარე, ნუთუ ჩემგან მოხმარება შენცა გინდეს.

„არ გამიშვებს, გავიპარავი, წავალ მათგან შეუგებლად;
ვითა მნუკევს ეგრე დავრთო გული ცეცხლთა მოსადებლად.
ვიცი, ჩემთვის არას გიზამს, თუ არ უნდი გასაძებლად;
თქვი, რა გინდა წაგეკიდოს, თავი დადევ საწამებლად!“

ვაზირმა თქვა: შენი ცეცხლი მეცა ცეცხლად მომედების,
ვეღარ ვუჭვრეტ ცრემლთა შენთა, სოფელიცა გაქარდების;
ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.
ვიტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდების!“

რა ვაზირმან ესე უთხრა, ადგა, დარბაზს გაემართა.
მეფე დახვდა შეკაზმული, პირი მზეებრ ეწაღმართა.
შეუშინდა, საწყენლისა მოხსენება ვერ შემართა,
დაყრით დადგა, იგონებდა არ საქმეთა საომართა.

მეფემან ნახა ვაზირი დაღრეჯით, დაყმუნვებული,
უბრძანა: „რა გჭირს, რა იცი, რად მოხვე შეჭირვებული?“
მან ჰკადრა: „არა ვიცი, მართ ვარ თავისა ვებული,
მართალ ხართ, მომკლათ, რა გესმას ამბავი გაკვირვებული.

„ჩემი ჭმუნვა ჭირსა ჩემსა არცა მატს და არცა სდიდობს;
მეშინიან, თუცა შიშსა მოციქული არ დარიდობს.
აწ ავთანდილ გეთხოვების, მოაჯეობს, არ წამკიდობს,
უმისყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს“.

რაცა იცოდა, ყველაი ჰკადრა მოშიშრად ენითა,
კვლა მოახსენა: „რამცა სცან სიტყვითა ესოდენითა;
თუ რაგვარ მყოფი მინახავს, თუ რაგვარ ცრემლთა დენითა!
მართალ ხართ, თუმცა რისხვანი ჩემთვის იანაზდენითა“.

რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა,
ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა;
შეუზახნა: „რა სთქვი, შმაგო, მაგას სხვამცა ვინ მითხრობდა!
ავსა კაცსა ურჩევნია, ავსამცა რას ადრე სცნობდა!

„ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად.
მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ღადრად!
შმაგო, ენა ვით იხმარე აწ მაგისად ჩემად კადრად!
აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგხარ ერცა სხვად რად!

„ხამსცა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს,
ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცრულად დაიყბედნეს?!
მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს!
შენ თუ მოგკლა, სისხლნი შენნი ჩემმან ქედმან მიიქედნეს!“

კვლა უბრძანა: „თუმცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი,
თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი!
წა, უკუდეგ, ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“

დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა;
დააცთუნნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა:
„ვით მიამბე წასლვა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა!“
ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ღაწვნი თეთრნი აახეწნა.

ვაზირმან, გლახ, გამორიდნა, მართ ვეღარას ვერ იძრწივნებს;
გამოძრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკივნებს;
შეის ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყივნებს,
მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.

თქვა: „ცოდვათა ჩემთა მსგავსი ღმერთმან მეტი რა მიჩვენოს?
რად მოვღორდი, რად დავბნელდი, ნეტარ, ვინღა გამითენოს!
ვინცა კაცმან კადნიერად პატრონსა რა მოახსენოს,
ჩემნი დღენი მასმცა ადგან, რაძი ვითა გაისვენოს!“

ვაზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა;
ავთანდილს უთხრა დაღრეჯით, პირითა გამქუშავითა:
„მადლი რა გკადრო, აწ თქვენგან გავხასდი მე ბაშა ვითა,
ვა, კარგი თავი უებრო დავკარგე დავაშავითა!“

ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს:
— მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს! —

„ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმდურვებს,
თქმულა: «ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს».

„ვით გამხადა, რა მიბრძანა, არ ეგების ჩემგან თხრობა:
რა სიავე, რა სირეგვნე, რა შლუობა, რა შმაგობა!
მე თვით კაცად აღარ ვარგვარ, აღარა მიც თავსა ცნობა;
ესე მიკვირს, რად არ მომკლა, მისცა თურე ღმერთმან თმობა.

„მეცა ვიცოდი, რაცა ექმენ, ცთომით არ წამკიდებია;
ვიაზრე, გამიწყრებოდა, ჭმუნვა მით გამდიდებია;
განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დარიდებია!
შენთვის სიკვდილი ლხინად მიჩს, ჭირი არ გამცუდებია“.

ყმამან უთხრა: „აღარ წასლვა არ ეგების ჩემგან აროს.
იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს.
ხამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოვლგან აროს,
ვერ უპოვოს, რა ქმნას ანუ გული რითა დაიწყნაროს!

„უმისოდ მყოფი ვერ გავსძლებ ჯდომასა, ვერცა წოლასა,
მართ ნადირთაებრ გაჭრასა ვირჩევ, მათთანა რბოლასა;
ასრე გასრულსა რად მნუკვეს მისთა მებრძოლთა ბრძოლასა?
სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა.

„მოვახსენებ ერთხელ კვლაცა, აწ რაზომცა მეფე წყრების,
ნუთუ გაბრჭოს, გული ჩემი ვით იწვის და ვით ენთების;
არ გამიშვებს, გავიპარვი, რა იმედი გარდმიწყდების,
მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელიმცა გარდიფხვრების!“

მოიუბნეს. ვაზირმან ქმნნა ჭამა-სმანი მათნი ფერნი,
უმასპინძლა, ძღვენნი უძღვნნა შვენიერსა შვენიერნი,
მისნი მყოლნი ა-ვე-ავსნა, მოყმენი და თუნდა ბერნი.
გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი.

შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,
სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმცთარომან,
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვდარომან.
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.

შესთვალა, თუ: „რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო,
ვალთა შენთა გარდსახდელად რა ნაცვალი მოვიგონო?
თუღა დავრჩე, შენთვის მოვკვდე, თავი ჩემი დაგამონო,
სიყვარული სიყვარულსა შეგიცვალო, შეგიწონო“.

მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი;
ასრე უნდა მოხმარება, გავიდოდეს ვისცა ვისი.
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი

შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი:
„ესე დღე არის იმედი, ჩემის გულისა მლხენელი,
შენგან თავისა შენისა საჩემოდ გამომჩენელი“.
მქებრად ამბისა მათისა ხამს მკითხველი და მსმენელი.

იტყვის: „როსტან არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა;
მან არ იცის, რათა, ვინა და სულ-დგმული ვისგან ვინ-ა;
უმისომცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა!
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!

„თუცა მისი არ-გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს,
გული, მისი უნახავი, ტირს და სულთქვამს, ვაებს, უობს,
კაცსა არას არ იახლებს, ერიდების, ჰკრთების, ქსუობს.
ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს.

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

„რადღა ვაგრძელებ სიტყვასა, ყამია შემოკლებისა!
აწ გაპარვაა წამალი ამა გულისა ლებისა.

რასაცა გვედრებ, ისმენდი, ვირე დრო გქონდეს ხლებისა;
შენ გაამაგრე დაჭირვა ჩემისა ნასწავლებისა.

„აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,
სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე;
სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე,
სამსახური აქამდისი, კვლა გავლენა გააკვლადე.

„მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების,
ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების!
შემოვიქცე, შენი ჩემგან ვალი კარგად გარდიხდების;
პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების“.

ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდი;
მოახსენა: „მარტოობით ჭირსა რადმცა შევუშინდი!
მაგრა რა ვქმნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი!
წამიტანე სამსახურად, მოგეხმარო, რადცა გინდი.

„ვის ასმია მარტოსაგან ღარიბობა ეგზომ დიდი!
ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი!
დაკარგულსა გიგონებდე, რა ვიქმნები აქა ფლიდი?“
ყმამან უთხა: „ვერ წაგიტან, რაზომსაცა ცრემლსა ღვრიდი.

„შენგან ჩემი სიყვარული ვითამც არა დამეჯერა,
მაგრა საქმე არ მოხდების, ჟამი ასრე დამემტერა!
ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე ვინმც მეფერა?!
გული დადევ, დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!

„თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად;
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?
გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!
ასრეა ესე სოფელი, შესჯერდი კვლა შეჯერებად!

„რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს;
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად ბრმიმონდეს.
ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს.
მძულს, რა კაცსა საუგო საქმე არა არ შესწონდეს.

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რად!
მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ვეღარ დავსთმობ ვისსა ვერად?

„აწ ანდერძსა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დაწერილსა;
შენ შეგვედრებ, დაგიჭიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა.
მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა,
ამაზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა“.

ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა

დაჯდა წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად:
„ჰე მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისად;
ვერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად;
შემინდევ და წამატანე მოწყალება ღმრთაებრისად.

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
«სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა».

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

„წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
«სიყვარული აღგვამაღლებს», ვით ეჭვანნი, ამას ღელენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეეჯერენ!

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად;
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.
მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების;
თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვდინების;
მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

„რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა;
აწ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა,
სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!

„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

„რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;
თქვენვე გნახნე მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად;
მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.

„მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუთუ წასლვამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა!

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!

კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!

„მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად.

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, —
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლმობელმან.

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!
შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად.

„ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გკადრებს, არ გეთნევის,
არას არგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევის,
შემინდევ და შემიეედრე, მკვდარსა რაღა გარდმეხდევის!

„გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა, —
ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეულსა, —
ნუგეშინის-ეც წყალობით, ჩემგან წყალობა-ჩვეულსა,
ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა.

„გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა.
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა.
ნუ სჰმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა,
სუფევითმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალველითა!“

მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა,
შენ დაგამეტებს ვერავინ მსახურებითა ვერითა“.
მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერითა.

ლოცვა ავთანდილისა

ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესსა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!

„ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე, გამარიდე!
თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე“.

რა ილოცა, ცხენსა შეჯდა, მალვით კარნი გაიარნა,
შერმადინცა დააბრუნვა, საბრალომან ცრემლნი ღვარნა;
მონა ტირს და მკერდსა იცემს, სისხლმან მისმან კლდენი ღარნა;
პატრონისა ვერა-მჭვრეტმა ყმამან რამცა გაიხარნა!

ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა

აწ ამბავი სხვა დავიწყო, — ყმასა წავჰყევ წამავალსა.
არ შეექმნა დარბაზობა მას დღე როსტანს გულ-გამწყრალსა,
რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს, თუ ადენს პირით ალსა,
ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა.

რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული,
როსტან უთხრა: „არა მახსოვს გუშინდელი შენგან თქმული.
მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხან სული,
აზომ რომე გაგათრიე შენ, ვაზირი გულის-გული.

„თუღა გახსოვს, რა უნდოდა, ისრე ავად რად გაგხადე?
მართლად უთქვამს მეცნიერთა: „წყენაარ ჭირთა ბადე»;
ესეგვარსა ნუოდეს იქმ, საქმე ხოლე გაიცადე,
აწ მითხარ, თუ რას იტყოდი, თქვი და სიტყვა გააკვლადე“.

კვლა მოახსენა ვაზირმან სიტყვა ნაგუშინდელევი,
რა გაიგონა, შესთვალა პასუხი არ-ნაგრძელევი:
„შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი!
კვლა მაგის მეტად ნუ მასმენ, თვარა მე სრულად გელევი!“

რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნა, ვერ პოვნა მინანი,
მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი, ცრემლთა მდინანი.
მან თქვა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მახსოვან დღენი წინანი,
ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს; რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“.

რა ვაზირი არ შევიდა, კვლა მეფემან კაცი გზავნის;
კაცმან ცნის და გარეთ დადგის წასლვა ვერვინ გაამჟღავნის;
როსტანს ეჭვი შეუვიდა, ჭმუნვა ამით გაათავნის;
თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა ავნის“.

თავ-დადრეკით იგონებდა, გულსა ჰქონდა ჭმუნვა დიდი,
უში ქმნა და აიხედნა, უბრძანებდა მონას: „მიდი,
მოვიდეს და აწ მიამბოს, შემოვიდეს იგი ფლიდი!“
რა ვაზირი შემობრუნდა, ფერი ჰკრთა და ჰქონდა რიდი.

კვლა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არ-მმხიარულად;
მეფემან ჰკითხა: „წასრულა მზე დაუდგრომლად, მთვარულად?“
მან მოახსენა ყველაი, ვით წასრულიყო და რულად:
„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად!“

რა მეფემან მოისმინა, დაიზახნა მეტის-მეტნი;
მოსთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო, ველარ გნახვენ თვალნი რეტნი!—
პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკვირვნა მისნი მჭვრეტნი, —
სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი?

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები,
მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართებს სენები!
გამაღარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები?
შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები!

„ოდეს გნახავ მხიარულსა, ნადირობით შემოსრულსა?
ველარ გიჭვრეტ ნაბურთალსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარ სრულსა,
ველარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა,
აწ უშენოდ რა, გლახ, ვუყო, საჯდომსა და სრაჯსა სრულსა?

„ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები,
მაგრა, თუ მოვკვდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები?“

ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა,
იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა;
თქვეს: „ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რათგან მზე მიგვიდრკა ცისა!“

რა მეფემან დიდებულნი ნახნა, სულთქმით შემოსტირნა,
უთხრა: „ხედავთ, მზემან ჩვენმან შუქნი სრულად დაგვიძვირნა!
რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ, რად დაგვყარნა, რად გაგვწირნა!
სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმცაღა ვით დაგვიჭირნა?“

ყოვლნი ტიროდეს, მოსთქმიდეს, მერმე დაწყნარდეს გვიანად.
მეფემან ბრძანა: „იკითხეთ, მარტოა ანუ ყმიანად?“

მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად,
ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად.

მოახსენა: „საწოლს ვპოვე ესე მისგან დანაწერი;
დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლიჯა თმა და წვერი;
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი.
მე თუ მომკლათ, მემართლებით, სიცოცხლე მჭირს შეუფერი!"

რა ანდერძი წაიკითხეს, კვლა იტირეს დიდი ხანი;
მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი,
ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,
შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცნეს ღმერთმან გზანი!"

წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ

მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება გაანათლებს,
რა ეახლოს, შუქი დასწვავს, გაეყრების, ვერ იახლებს,
მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს,
ჩვენ ვერ-ჰვრეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა გაგვიახლებს.

აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავლობასა:
მივა და მიტირს გულ-მდუღრად, ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა,
წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა,
უჰვრეტდის, თვალი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა.

რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ-ყვის გაძრვად ენისად,
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჯლისა დენისად,
ზოგჯერ დაბრუნდის, იჰვრეტდის ღონედ პატიჟთა თმენისად,
რა გაემართის, არ იცის მას თუ არბევდის ცხენი სად.

თქვა: „ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს,
რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს,

თვალთა მტირალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს.
სჯობს, საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს!

„მე რა ვქმნა შენად შეყრამდის, ანუ რას ვეჰვდე ლხენასა?
თავსა მოვიკლავ, მე თუმცა შენგან არ ვეჰვდი წყენასა,
მაგრა შენ გაწყენ ჩემისა, არ-სიცოცხლისა სმენასა,
შოდი და მივსცნე ცოცხალმან თვალნი ცრემლისა დენასა!“

იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უყამოსა ყამისად,
ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჰვნი მაბიან, რკინანი!
ბროლ-ბალახშისა მძებნელმან სათნი დავკარგენ, მინანი;
მაშინ ვერ გავსძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“.

ამას მოსთქმიდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის,
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა ეამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჰვრეტდის, ეუბნებოდის.

მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ღმრთისა შენისა!
შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა,
მიაჯე შეყრა პირისა, შენ გამო შენებრ მშვენისა!

ღამე ალხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასლვასა მზისასა;
რა წყალი ნახის, გარდახდის, უჰვრეტდის ჭავლსა წყლისასა,
მას თანა-რთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,
კვლა გაემართის, ისწრაფდის წავლასა მისვე გზისასა.

მარტო მოსთქმიდის, ტიროდის ტანად ალვისა ხიანი,
შინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დახვდის კლდიანი,
შეწვის, ჭამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი,
იტყვის: „დავყარენ ვარდნი და, აჰა მე, ვაგლახ, იანი!“

აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა.
მიუბნობდის, რას მოსთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ გვარსა
ზოგან თოვლი გაეწითლის ვარდსა, ბრჭყლითა ნახოკარსა.
ქვაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა.

რა ასმათმან დაინახა, მოეგება, ცრემლი სწვთების,
ვით ეამა, სიხარულსა მართ ვეღარას ვერ მიხვდების;
ყმა გარდახდა, მოეხვია, აკოცებს და ეუბნების.
კაცი კაცსა მოელოდეს, მოსლვა დია ეამების.

ყმა ქალსა ეტყვის: „პატრონი, ნეტარ, სად არის და ვითა?“
ქალი ატირდა ცრემლითა, ზღვათაცა შესართავითა,
ეტყვის: „რა წახვე, გაიჭრა, ქვაბს ყოფა მისჭირდა ვითა;
აწ მისი არა არ ვიცი არ ნახვით, არ ამბავითა“.

ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა;
ქალსა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა!
იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუე, ვით მეცრუა!
ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!

„მე უმისოდ სოფელს ყოფა რათგან ჩირად არ მიღირდა,
რად დავვიწყდი, რა მივსცილდი, რად ვერ გასძლო, რა მისჭირდა?
მან გატეხა ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?
მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!“

კვლა ქალი ეტყვის:„ მართალ ხარ მაგისსა დამძიმებასა,
მაგრა რა გავბრჭო მართალი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა:
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?
იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა.

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდიან.

„შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა,
მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვითა გიამბო ცნობილსა!
ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეელმის ლმობილსა,
ამას მით ვაზრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა.

„ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია:
არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია,
დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია;
თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ ხართ: სხვა სხვისა ომსა ბრძენია.

„მას წამავალსა ვჰკითხევდი, დამწვარსა, ცეცხლ-მოდებულსა:
«მოვიდეს, რა ქმნას ავთანდილ? მისსა დამვედრე დებულსა“.
მიბრძანა: «მო-ღა-მნახვიდეს მე, მისთვის გაცუდებულსა,
ამათ არ დავჰყრი არეთა, არ გავსტეხ მას ქადებულსა.

«მას ზენაარსა არ გავსტეხ, მას ფიცსა არ ვეცრუები,
მას პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები;
თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოს, თქვას ვაგლახი და უები,
ცოცხალი დავხვდე, უკვირდეს, სიცოცხლე არს სათუები».

«ჩემთვის გარდახდა მას აქათ გაყრა მზისა და ქედისა;
ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა.
მსჯის გამრავლება ხელ-ქმნილსა სულთქმისა ზედა-ზედისა,
დავვიწყებივარ სიკვდილსა, ნახეთ ნაქმარი ბედისა!

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
«ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია».
აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია;
თუღა მონახავ, მონახე, ქმენ, რაცა შენი ფერია“.

ყმამან უთხრა: „უმართლე ხარ, არ მამართლო მდურვად მისად,
მაგრა გაბრუე, რა მიქნია სამსახური ტყვესა ტყვისად:
გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად,
მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ვლისად.

«ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის-ფერსა სცვენ და ჰბურვენ,
მას მოვშორდი, ვერ ვეახელ, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ,

გამოპარვით წამოსლვითა ღმრთისა სწორნი მოვიმდურვენ,
ნაცვლად მათთა წყალობათა გულნი მათნი შევაურვენ.

„პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი,
მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი,
მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი.

„ესე ყველაი ასრე მჭირს, დაო, ბედითა მისითა,
არ ვუტყუე და მოსრულვარ მგზავრი ღამით და დღისითა;
აწ იგი სადმე წასრულა, ვიწვი ცეცხლითა ვისითა,
ცუდ-მაშვრალი და მტირალი ქვე ვზი პირითა მქისითა.

„დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გავადადრო;
წავალ, ვძებნი, ანუ ვპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო,
თვარა ბედი აზომ თურმე მიკვეთს, ღმერთსა რაღა ვჰკადრო!“

ამის მეტი აღარა თქვა, ატირდა და წამოვიდა,
ქვაბი ჩავლო, წყალსა გახდა, შამბი გავლო, ველს გავიდა;
ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის-ფერსა ვარდსა ზრვიდა;
„რად მიმეცო ამა ჭირსა?“, ბედსა ამას უზრახვიდა.

იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა,
რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა?
ერთი ორთა მგონებელი ვარ საქმესა წარსაწყმედსა,
მოვკვდე, თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა!

„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა,
იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა;
მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,
სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა“.

კვლა იტყვის: „მიკვირს ნავღელი კაცისა ჭკუიანისა.
რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?
სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა,
აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლერწამ-ტანისა“.

ყმა გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი,
ეძებს, უზახის, უყივის, დღეებრ ღამეთა მთეველი;
სამ დღემდის მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი;
ვერ პოვა, მივა მჭმუნვარე, ვერას ამბისა მცნეველი.

იტყვის: — „ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე?
რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე!
გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე,
დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირი ამით გამილხინე!“

პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა

მივიდოდა, მიუბნობდა ყმა მტირალი, ფერ-შეცვლილი,
ქედსა რასმე გარდაადგა, ველი აჩნდა მზიან-ჩრდილი;
ნახა, შავი შამბთა პირსა დგა სადავე-უკუყრილი;
თქვა: „უცილოდ იგიაო, არა უნდა ამას ცილი“.

რა შეხედნა, ყმასა გულმან გაუფეთქნა, გაუნათდა,
აქა ლხინი დაღრეჯილსა უათასდა, არ უათდა;
ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა,
ვით გრიგალმან ჩაირბინა, არ მოსცალდა ჭვრეტად მათდა.

რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაეღრიჯა:
ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,
საყელონი გარდეხივნეს, თავი სრულად გაეგლიჯა,
მას აღარა შეესმოდა, სოფლით გალმა გაებიჯა.

ერთ-კერძ უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ-მოცხებული,
კვლა სხვაგნით — ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვე-დანარცხებული;
მას წყაროსაებრ თვალთაგან ცრემლი სდის გაფიცხებული.
მუნ აგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე, ცხებული.

თვალთა ახმადცა ზარ-ედვა, სრულად მიხდოდა ცნობასა,
მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორვებოდა ნობასა.

ყმა სახელ-დებით უყივის, ლამის სიტყვითა კრთობასა,
ვეღარ ასმინა, გარდიჭრა, ძმა გამოაჩენს ძმობასა!

ხელითა ცრემლსა უწურავს. თვალთა ავლებდა სახელსა,
ახლოს უზის და უზახის მართ სახელ-დებით სახელსა;
ეტყვის: „ვერ მიცნობ ავთანდილს, შენთვის გაჭრილსა და ხელსა?"
მას არა დია შეესმის რეტსა, თვალ-დაუფახელსა.

ესე ყველაი, ასრეა, რაცა აწ ჩემგან თხრობილა.
ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტად-რე მოაცნობილა.
მაშინლა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმობილა.
ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა!

უთხრა: „ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაცა შემოგფიცე,
გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე;
აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავსა ვიცე.
მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მივიცე".

ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა?
ვის უქნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა?
რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

„ვარდსა ჰკითხეს: «ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?»
მან თქვა: «ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად:
ოდეს ტურფა გაიეფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად».

„რათგან ვარდი ამას იტყვის უსულო და უასაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?
უბოროტო ვის ასმია რაცა კარგი საეშმაკო,
რად ემდურვი საწუთროსა? რა უქნია უარაკო?!

„ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა,
ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, რად მეშვ რასაცა თნებასა!“

მან უთხრა: „ძმაო, რა გითხრა, ძრვაცა არ ძალ-მიც ენისა,
ძალი არა მაქვს ხელ-ქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა;
რად ადვილად გიჩს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?
აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.

„ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით,
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!

„საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!
მისკენ მივალ მხიარული, მერმე იგი ჩემ კერძ იროს,
მიეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს.
ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!

„მართ გარდაწყვეტით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა:
სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაღა დავჰყოფ მცირასა;
არ ცოცხალ ვიყო, რაჰს მაქნევ? რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა?
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა.

„რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად ამისად,
სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად;

აწ გამიარმდა სიცოცხლე მეტად ყოვლისა ჟამისად,
შუნ მეცა მივალ, ცრემლისა მიწად სად გამდის ლამი, სად.

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა;
ვარდი ვერ არის უმზეოდ; იყოს, დაიწყებს ჭნობასა;
მაწყენ, დამეხსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა“.

კვლა ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალ-ფერითა,
ეტყვის: „რა მოჰკვდე, გერგების სიტყვითა რა ოხერითა?
ნუ იქმ, არა სჯობს საქმითა, ნუ ხარ თავისა მტერითა!“
ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა, ვერა, ვერითა.

მერმე უთხრა: „აჰა, რათგან არ მომისმენ არას, არა,
აღარ გაწყენს ენა ჩემი, აქამდისცა ცუდად მცთარა;
თუ სიკვდილი გიჯობს, მოკვე, ვარდი დაჭნეს, და-ცა-მჭნარა!
ერთსა რასმე გეაჯები, მიყავ!“ — ცრემლი ამდუღარა.

„სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა,
მას მოვეშორვე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითა;
ვერ დამიჭირა მეფემან მშობლურად საუბარითა,
შენ არ შემიყრი, გამიყრი, აწ ჩემი ლხინი ვთქვა რითა?

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი;
მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!“

ეხვეწებოდა: „შეჯეო“, აჯას ხვეწნითა არვებდა,
იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა,
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა.
დაიმორჩილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.

ცხადად უთხრა: „შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა“.
მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;
მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა,
ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.

შეაქცევს და ეუბნების საუბართა შვენიერთა,
მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის-ფერთა,
მისი სმენა გააყმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა;
მოიშორვა კაეშანი, დათმობავე შეაერთა.

რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან,
განანათლა პირი-ვარდი სიხარულმან დაუსახმან,
ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხრვა-ახმან;
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან.

შე-რასმე ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ-მალული:
„ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული:
ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დავიღო მერმე სული“.

მან უთხრა: „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა!
ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“.

ავთანდილ უთხრა: „ვლამოდი მართ მაგისისა თქმევასა;
აწ რათგან გითქვამს, პასუხსა გკადრებ და ნუ მეჭვ თნევასა:
სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა,
ამად არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა.

„სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი.
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი;
აღარად გინდა ასმათი, — ნახე მართალი ბრჭობილი! —
პირველ, გლახ, მისი ნაჭვრეტი, თვით მერმე შენი დობილი.

„თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნახმობი დობისა,
თქვენი შემყრელი მსახური, შენგან ღირს-ქმნილი ხმობისა,
მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიხდილი ცნობისა,
გლახ, დაგიგდია, არ ნახავ, შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“

მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, უმართლე ხარ მეტის-მეტად:
საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭვრეტად;

მე სიცოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად,
რათგან, დავრჩი, გვალე, ვნახოთ, თუცავე ვარ ჯერთცა რეტად“.

დამორჩილდა. გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი.
ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:
კბილნი — ვითა მარგალიტნი, ბაგე — ვარდი ნაპობარი.
გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

ამას ეტყვის: „შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა,
მაგრა შენცა ნუ აგრე ხარ, ნუ იწყლულებ ახლად წყლულსა;
არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?

„არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგებისl
არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების?
მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჭნების.
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“.

მოახსენა: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს, —
გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს, —
მაგრა რა ვქმნა, რაგვარ გავსძლო, მეტის-მეტი რა მიმჭირდესl
შენცა გჭირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდეს?

„ცვილსა ცეცხლის სიმხურვალე უგავს, ამად აენთების,
მაგრა წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს, და-ცა-შრტების;
რაცა ვისცა საქმე თვით სჭირს, სხვათათვისცა ევარგების,
თავიდაღმა რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნების!“

რა წამეკიდა, ყველაი წვრილად გიამბო ენითა,
მერმეღა გაბრჭევ მართალი მაგა გულითა ბრძენითა;
შენ მოგელოდი, მიმჭირდა მოლოდინითა შენითა,
ქვაბს ვეღარ გავსძელ, მინდორთა მოვლა მომინდა ცხენითა.

„იმა ქედსა გარდავადეგ, შამბნი ისი მომეარნეს;
ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს,
ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს,
მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს.

„პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დარიდნეს;
გამორიდნა ვეფხმან გული, — დედათამცა განარიდნეს! —
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს.

„ლომსა დავუგმე ნაქმარი, ვარქვი: «არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!»
ხრმალ-გამოწვდილი გავუხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავხსენ სოფლისა თმობასა.

„ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭკალითა სისხლთა მღვრელითა,
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.

«რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
გავგულისდი, მოვიქნიე, ვკარ მიწასა, დავაწყვიდე;
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე;
სულნი სრულად არ ამომხდეს, რად გიკვირს, თუ ცრემლსა ვღვრიდე!

„აჰა, ძმაო, მითხრობია ჭირი ჩემი, რაცა მჭირდა;
სულთა დგმაცა არა მმართებს, ასრე გასლვა რად გიკვირდა!
სიცოცხლესა გავეყარე, სიკვდილიცა დამიძვირდა“.
ესე სიტყვა დაასრულა, ყმამან სულთქვნა, ა-ცა-ტირდა.

ავთანდილცა მასთანავე ტიროდა და ცრემლსა ღვრიდა;
უთხრა: „დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭრი, და-!
ღმერთი მაგას მოწყალეობს, თუცა ჭირმან არ გაგრიდა;
თუმც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა.

„სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანავღლებს,
მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს:
მიჯნურობა საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს,
გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს“.

აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა

იტირეს და გაემართნეს, ქვაბისაკენ თავნი არნეს;
რა ასმათმან დაინახა, განაღამცა გაეხარნეს!
მოეგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი ღარნეს,
აკოცეს და ა-ცა-ტირდეს, კვლა ცნობანი ააჩქარნეს.

ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა, აღგვავსებ მზეებრ ფენითა;
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-საქებელო სმენითა!
დიდება შენდა, არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა!“

ტარიელ ეტყვის: „ჰე დაო, მით ცრემლი აქა მდინია,
საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია.
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია.
ვა შენი ბრალი და, თვარა სიკვდილი ჩემი ლხინია!

„სწყურიოდეს წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?
მე თვალთა ჩემთა მით მიკვირს, რად ვარ ცრემლითა ლტობილი!
უწყლობა ჰკლავს და წყალი სდის, აროდეს არ გახმობილი!
ვა, წახდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილი!“

ავთანდილსცა მოეგონა მისი მზე და საყვარელი;
იტყვის: „ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი?
შენ არ გახლავ, ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი,
გითხრამცა ვინ, რა მჭირს ანუ რა ცეცხლი მწვავს, როგორ ცხელი!

„ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს, არ დავჭნეო,
ანუ ჩვენ, გლახ, რა გვერგების, რა ჩასვენდეს გორსა მზეო?
გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო,
ნუთუ მოგხვდეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დალეო“.

სული დაიღეს, დადუმდეს, ორთავე ცეცხლი სდებოდა;
ასმათი შეჰყვა, შევიდა, მათებრ სახმილი ჰგზებოდა;
დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლა მიწყივ ჰგებოდა;
ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ ეამებოდა.

წვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,
მუნ უპურობა პურობა, არ-სიდიადე ჯამისა,
მას შეეხვეწნეს: „ჭამეო“, ძალი არ ჰქონდა ჭამისა,
გასცოხნის, ლუკმა გასტყორცის, წონა ძლივ ჩანთქის დრამისა.

ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს!
მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს,
ცოტად ეგრეცა დაუვსებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს.
დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.

მას ღამესა ერთგან იყვნეს იგი ლომნი, იგი გმირნი,
იუბნეს და გააცხადნეს თავის-თავის მათნი ჭირნი.
რა გათენდა, კვლა დაიწყეს საუბარნი სიტყვა-ხშირნი;
ერთმანერთსა გაუგონნეს ფიცნი პირველ დანაპირნი.

ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა?
რაცა შენ ჩემთვის გიქნია, ღმერთი მზღველია ვალისა;
ქმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთრვალისა,
არ-დავიწყება, მოყვრობა მოყვრისა წარმავალისა.

„აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა;
შე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა,

ვერ დაშრეტ, შენცა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა.
წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სით-ა.

„ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,
ვისცა გესმის, გაიგონეთ, მით გაჭრილვარ ხელი ველად;
რაცა მართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მქმნელად,
აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად“.

ავთანდილ ეტყვის: „რა გითხრა პასუხი მაგა თქმულისა?
შენვე სთქვი ეგე სიტყვაო კაცისა ბრძნად სწავლულისა:
ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა?
იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა!

„ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაებადენით,
აღარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დადენით!
სდევს ფათერაკი მიჯნურსა, გაქვრიტეთ, გაიცადენით,
თქვენ ერთმანერთი არ მოგხვდეს, მე სულნი ამომხადენით!

„ნეტარ, მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს, რაცა ჭირია!
ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!
ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია,
რასცა მიწვრთიხარ, იწვართე; გკადრო, უწვრთელი ვირია.

„თუ რა გესმის გაიგონე, ესე კმარის სწავლა სწავლად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად,
მოვახსენე: «რათგან ჩემი შეუქმნია გული ავლად,
არას ვარგებ, არ დავდგები, სხვა ვიუბნო რაღა მრავლად?»

„მან მიბრძანა: «მადლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად,
შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად».
მისით კითხვით წამოსრულვარ, არ-მთრვალი და არ-მახმურად,
მივბრუნდე და რა ვუამბო, რად მოვეო ჯაბან-ხრდლურად?

„მაგ საუბარსა ესე სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი:
მქმნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი;
ვერას ვერა იქმს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ ჭნობილი.
შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!

„სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა,
გწადდეს — გულითა ბრძენითა, გწადდეს — ცნობითა შმაგითა,
მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა,
ოდენ გამაგრდი, არ მოჰკვდე, არ დასდნე ცეცხლთა დაგითა.

„ამის მეტსა არას გნუკევ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა
აქა ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა,
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა.

„ამა დროსა გარდავსცილდე, აქავ ქვაბსა არ მოვიდე,
ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, ულონიოდ მოვკვე კიდე;
ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ღვრიდე,
მაშინ გწადდეს — იხარებდი, გწადდეს — ჭმუნვა გაადიდე.

„აწ რაცა გკადრე, ამისთვის ნუთუ შენ იყო მჭმუნავი!
მოგშორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი;
არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი,
არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყივ მბრუნავი“.

მან უბრძანა: „აღარ გაწყენ, არცა სიტყვა გამეტადდეს,
არ მომისმენ, რაზომიცა საუბარი მიდიადდეს;
თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადდეს,
ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.

„არ დაიჯერო, მაშინ სცნა ჩემთა საქმეთა ძნელობა;
ჩემთვის ყველაი სწორია, გაჭრა და გაუჭრელობა:
შენ რაცა გითქვამს, მაგას ვიქმ, მრჯის რაზომ გინდა ხელობა,
უშენოდ მომხვდეს, რაღა ვქმნა, არ დია დღეთა გრძელობა!“

საუბარი გარდასწყვიდეს, დააპირეს ესე პირი;
ცხენსა შესხდეს, მოიარეს, თვითო მოკლეს ველს ნადირი;
შემოიქცეს, აატირეს გული, კვლაცა ანატირი,
ხვალ გაყრისა გონებამან სხვა უმატა ჭირსა ჭირი.

ლექსთა მკითხველო, შენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია!
გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!

მოშორვება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!

დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს.
ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი დალამნეს;
სამთავე ღაწვთა ალამნი არღავნის ფერად ალამნეს,
მათ ლომთა, მიწყივ მხეც-ქმნილთა, თავნი მხეცთავე ალამნეს.

ქვაბი ჩავლეს და წავიდეს ზახილით ცრემლთა მდენანი,
ასმათ ტირს, მოსთქვამს: „ჰე ლომნო, ვისნი ვით მოგთქმენ ენანი!
მზემან დაგწვნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი,
ვა ჭირნი ჩემნი ეზომნი! ვა სიცოცხლისა თმენანი!“

მათ ყმათა, მუნით წასრულთა, იგი დღე ერთგან იარეს,
ზღვის პირს მივიდეს, მუნ დადგეს, არ ხმელთა არე იარეს,
არ გაიყარნეს მას ღამე, კვლა ცეცხლი გაიზიარეს,
ერთმანერთისა შორს ყოფა იტირეს, იმგლოვიარეს.

ტარიელს ეტყვის ავთანდილ: „რუ გახმა ცრემლთა დენისა!
რად მოიშორვე შენ ფრიდონ, მომცემი მაგა ცხენისა?
მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა ლხენისა,
აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად-ფიცისა შენისა“.

ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა ფრიდონის გზისასა,
მართ გააგონა, რაც ოდენ შეეძლო ძალსა თქმისასა:
„აღმოსავლითკენ წადიო, პირსა იარე ზღვისასა,
თუ ნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“.

თხა მოკლეს და მიითრიეს, ცეცხლი შექმნეს ზღვისა პირსა,
სვეს და ჭამეს, რაცა ჭამა შეჰფერობდა მათსა ჭირსა;
მას ღამესა ერთად იყვნეს, ერთგან მიწვეს ხეთა ძირსა.
ვჰგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა.

ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანერთსა მოეხვინეს;
მაშინ მათგან ნაუბარნი, დადნეს, ვინცა მოისმინეს;
თვალთათ, ვითა წყაროს თვალი, ცრემლი ველთა მოადინეს,
დიდხან დგანან შეეედილნი, მკერდი მკერდსა შეარკინეს.

გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით;
ვირე უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბღნეჯით;
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მისით ღრეჯით.

წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა

ვა, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, მისწვთომია ხმა ცამდის,
იტყვის, თუ: „ღვარი სისხლისა კვლაცა მდენია, კვლაცა მდის;
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა და-ც-ამდის.
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს სისხლითა მუნ ნატირითა;
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;
კვლა თინათინის გონება ავსებს უფრორე ჭირითა;
ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.

ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა;
იტყვის, თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დაგაგდე, მზეო, და-!“

მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთად და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ-დამცთარად,
მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად?

„თუ ერთისა მოშორვება მზისა ზამთრის გაგვამცივნებს,
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს?

მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ იმტკივნებს;
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს ანუ გაამსივნებს“.

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

„მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უთხარ, თუ: «ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა».

„ჰე მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთულსა,
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!
მართალი ვარ, გამიკითხე! რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა?

„მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,
შე-ცა-მღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა.

„მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა,
ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.

„ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა.
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა, წვრილსა ვითა თმასა.

„მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ ვწვლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგვარ ვბნდები,
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან,
მას გააგონნენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“.

აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,
რას გარგებს მოკლვა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია;
მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!

„თუ დავრჩეო, ესე მიჯობს, — სიცოცხლისა იტყვის თუსა, —
ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყივ უსა“.
მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყვეედდის ცრემლთა რუსა,
მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

ავთანდილისაგან ფრიდონისას მისლვა, ტარიელს რომ გაეყარა

ყმა მტირალი სამოცდათ დღე ზღვისა პირსა მივა გზასა;
შორით ნახა, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა;
მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქვენ ამისსა გნუკეე თქმასა,
ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილობს ვისსა ხმასა?“

მათ მოახსენეს: „ტურფაო სახით და ანაგებითა,
გვეუცხოვე და გვეკეთე, მით გეუბნებით ქებითა;
აქამდის ზღვარი თურქთაა, მოზღვრეა ფრიდონ ზღვრებითა;
ჩვენცა ვისნი ვართ, გიამბობთ, თუ ჭვრეტით არ დავბნდებითა.

„ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა,
მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა;

ვნება არავის არ ძალ-უც მის მზისა ოდნად მშვენისა,
იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი ცით შუქთა მფენისა“.

ყმამან უთხრა: „ძმანო ჩემნო, კარგთა კაცთა გარდგეკიდე;
მე მეფესა თქვენსა ვეძებ, მასწავლეთ, თუ სით წავიდე,
რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქვს რა სიდიდე?“
მენავეთა უწინამძღვრეს, არ დააგდეს გზამდის კიდე.

მოახსენეს: „ესე გზაა მულღაზანზარს მიმავალი,
მუნ დაგხვდების მეფე ჩვენი შვილდ-ფიცხელი, მახვილ-ხრმალი;
აქადაღმა ათ დღე მიხვალ ნაკვთად სარო, ფერად ლალი;
ვა, რად დაგვწვენ, უცხომ უცხო რად მოგვიდევ ცეცხლებრ ალი!“

ყმამან უთხრა: „მიკვირს, ძმანო, რად ხართ ჩემთვის გულ-მოკლულნი,
ანუ ეგრე ვით გეკეთნეს ზამთრის ვარდნი ფერ-ნაკლულნი!
თქვენმცა მაშინ გენახენით, ლაღნი ვდეგით, არ საპყრულნი!
თქვენნი მჭვრეტნი დავაშვენნით, ჩვენგან სხდიან მხიარულნი“.

იგი წავიდეს; დაბრუნდა ყმა გზასა თავის-წინასა,
ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი გული — რკინასა;
მიაცორვებს და მიუბნობს, მოსთქვამს მისსავე ლხინასა,
ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა.

ვინცა გზას ნახნის უცხონი, მსახურებდიან, ჰყმობდიან,
მოეხვივნიან საჭვრეტლად, მას ზედა სტრფიალობდიან,
ეძნელებოდის გაშვება, გაყრასა ძლივ დასთმობდიან,
გზის ყოლაუზი მისციან, ჰკითხის რა, უამბობდიან.

მულღაზანზარს მიეახლა, ადრე დალევს გზასა გრძელსა;
მინდორს ნახა სპა ლაშქართა და ნადირთა ჰგვანდეს მსრველსა,
ყოვლგნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა,
ისრვიან და იზახიან, მხეცსა სჭრიან ვითა მჭელსა.

კაცი ემთხვია; მას ჰკითხა ამბავი მის ლაშქარისა,
უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა?“
მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა,
იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა“.

ძათ ლაშქართაკე წავიდა მით უსახოთა ქცევითა,
გამხიარულდა; შვენება მის ყმისა ვთქვიმცა მე ვითა!
მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწვავს მზე ვითა,
ნახვა მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა.

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;
ყმამან ცხენი შეუტია, გაამაყდა, არ შეშინდა,
შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ აქშინდა.

იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს,
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს,
იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,
ვერცა ჰკადრებდეს: „ვინ ხარო“, ვერცა რას ეუბნებოდეს.

მინდორსა შიგან გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა;
ღირსი მას თანა სროლასა ორმოცი კაცი ხლებოდა;
მუნ დაემართა ავთანდილ, მას თანა ყოლბი ჰყვებოდა.
ფრიდონს უკვირდა: „რა ქმნესო“, მისთა სპათათვის წყრებოდა.

ფრიდონ მონა გამოგზავნა: „წა, ნახენო ისი სპანი,
რა ქმნეს, ალყა რად დაშალეს, სად წადიან ვითა ბრმანი?“
მონა ფიცხლა მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი,
დადგა, თვალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყვის თქმანი.

ავთანდილ ცნა, თუ: „ისია მოამბედ ჩემად რებული.
— წა, ჰკადრე შენსა პატრონსა ეს ჩემი დაევედრებული:
ვარ უცხო ვინმე ღარიბი, საყოფთა მოშორვებული,
ძმად-ფიცი ტარიელისი, თქვენს წინა მომგზავრებული“.

მონა წავიდა ფრიდონის თხრობად ამბისა მისისად,
უთხრა: „მზე ვნახე მოსრული, ჩანს მანათობლად დღისისად;
ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად;
«ვარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის მქისისად»“.

რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს ჭირი უსუბუქდა,
თვალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა,

მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა;
შეიყარნეს, ერთმანერთი მათგან იქო, არ გაუქდა.

ფიცხლა იგი ქედი ჩავლო, ჩაეგება ფრიდონ წინა;
რა შეხედნა, მან ესე თქვა: „თუ არ მზეო, ისი ვინ-ა?“
მას მეტობდა, რაცა ქება.მონისაგან მოესმინა;
ერთმანერთსა გარდაუხდეს, ლხინმან ცრემლი აფრქვევინა.

მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ;
თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ;
რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ,
მომკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა ანუ ყიდონ.

ფრიდონისებრნი მოყმენი ვინმცა ვით ვინ ეგებიან!
მაგრა მას ახლვან ქებანი, მართ მეტნი არ მიხვდებიან;
მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან,
დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან.

ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა მიელენ სრასა.
დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მხეცთა სრვასა;
ავთანდილის ჭვრეტად სპანი იქით-აქათ იქმან ჯრასა,
თქვეს: „ასეთი ხორციელი შეუქმნია, ნეტარ, რასა?“

ყმა ფრიდონს ეტყვის: „ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,
გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ლამი ცნობასა,
ანუ სით ვიცნობ ,ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა,
იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა.

„მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,
დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ ავთანდილობით,
ძე დიდებულთა დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით,
საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით.

„დღესა ერთსა მეფე შეჯდა, ნადირობას გამოვიდა;
მინდორს ვნახეთ ტარიელი, ცრემლთა ,ღვრიდა, ველთა რწყვიდა,
გაგვიკვირდა, გვეუცხოვა, ვაწვიეთ და არ მოვიდა,
ჩვენ გვეწყინა, არ ვიცოდით მას თუ ცეცხლი რაგვარ სწვიდა.

„მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა;
მან უპირველად დახოცნა, ომი არ მისჭირდებოდა,
ზოგსა მხარ-თეძო დალეწა და ზოგსა სული ხდებოდა;
მუნლა ცნეს, ეტლი მთვარისა რომე არ დაბრუნდებოდა.

„მათ სპათაგან ვერ-შეპყრობა ცნეს მეფეთა მეტად მწყრალთა,
თვით შესხდეს და შეუტიეს ,ამაყთა და არას მკრთალთა.
რა ტარიელ მეფე იცნა, მუნლა დაჰკრთა მათთა ხრმალთა,
ცხენსა მისცნა სადავენი, დაგვეკარგა ,წინა თვალთა.

„ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავსწამეთ ეშმაურობა.
მეფე დაჭმუნდა, დაშალა სმა, ნადიმობა, პურობა.
მე ვეღარ გავსძელ მისისა ამბისა არ-დასტურობა,
გამოვიპარე საძებრად: მწვიდა ცეცხლი და მურობა.

„იგი ვძებნე წელსა სამსა, არ ვიამე არცა ძილი.
მათ მასწავლეს, ხატაელნი ვნახენ მისგან დაკოდილი;
ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი,
შემიტკბო და შემიყვარა, ვითა ძმა და ვითა შვილი.

„ქვაბნი წაუხმან დევთათვის, სრულად გამესისხლებია;
მუნ ასმათ ახლავს მარტოსა, სხვა არვინ უახლებია;
მას მუდამ ძველი ცეცხლი სწვავს, არ ახალ, არ ახლებია,
ვა მართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ხლებია.

„ქალი მარტო ქვაბსა შიგან ზის მტირალი, ცრემლ-ნაწთომი;
ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკვსა ვითა ,ლომი,
მიართვამს და აგრე არჩენს იგი ერთგან ვერ-დამდგომი,
მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი.

„მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა,
მითხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა.
რა ჭირნი ,დასთმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა,
ჰკლავს სურვილი და ვერ-ჭვრეტა მისისა დამმარხველისა.

„ვითა მთვარე დაუდგომლად იარების, არ დადგების;
მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდახდების;

არას ნახავს პირ-მეტყველსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების.
ვა მე, მისსა მგონებელსა, ვა მას, ვინცა მისთვის კვდების!

„მის ყმისა ცეცხლი მედების, ვტირი ცრემლითა ცხელითა,
შემებრალნეს და გავშმაგდი, გავხე გულითა ხელითა;
მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა და ხმელითა;
შევიქეც, ვნახენ მეფენი, მყოფნი გულითა ბნელითა.

„დავეთხოვე და გამიწყრა, მეფე მიეცა ჭმუნვასა.
დავყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იზახიან მუნ ვასა;
გამოვიპარე, დავეხსენ სისხლისა ცრემლთა წურვასა,
აწ ვეძებ მისთა წამალთა, ვიქმ იქით-აქათ ბრუნვასა.

„შენი მან მითხრა ამბავი, მისგან ძმობისა შენისა,
აწ მიპოვნიხარ უებრო შენ, საქებელი ენისა;
გამომირჩიე, სით მიჯობს ძებნა მის მზისა ზენისა,
მისთა მჭვრეტელთა ლხინისა, ვერ-მჭვრეტთა ამაზრზენისა“.

აწ ფრიდონ იწვის სიტყვითა მის ყმისა ნაუბარითა;
ორნივე სწორად მოსთქმიდეს მოთქმითა საქებარითა,
გულ-ამოსკვნილნი გულითა ტირან ვერ-დამთმობარითა,
მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა.

ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა,
ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა.
ფრიდონ ტირს, მოსთქვამს ხმა-მაღლად, გაყრილი წლისა შვიდისა:
„უხანობა და სიცრუე, ვა, საწუთროსა ფლიდისა!“

ფრიდონ მოსთქვამს: „რა შეგასხათ, ვერ-საქებო, ვერ-სათქმელო!
ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო,
მოახლეთა სალხინოო, სიცოცხლეო, სულთა მდგმელო,
ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო!

„რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მომძულებია;
თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურვებია;
შენ უჩემობა ლხინად გიჩს, მე დია მიმჭირვებია,
ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია!“

ფრიდონ თქვნა ესე სიტყვანი მოთქმითა შვენიერითა;
სული დაიღეს, დადუმდეს, მივლენ არ თურე მღერითა.
ავთანდილ მჭვრეტთა აშვენებს ტურფითა აერ-ფერითა,
მელნისა ტბათა მიჯარვით ჰბურავს გიშრისა ჭერითა.

ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა;
მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს რულითა!
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულ-წასრულითა.

შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი:
იქით-აქათ დიდებულნი წარიგებით ათჯერ ათი;
თვით ორნივე ერთგან დასხდეს; ვითა ვინ თქვას ქება მათი!
ბროლ-ბალახშსა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი.

დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს მახალსა,
უმასპინძლებდეს ავთანდილს, ვითა მზახალი მზახალსა,
მოიღებდიან ჭურჭელსა ტურფასა, ახალ-ახალსა,
მაგრა მის ყმისა მჭვრეტელთა გული მიეცა, გლახ, ალსა.

მას დღე სვეს, ჭამეს გარდახდა ნადიმი მსმელთა დასისა.
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ ატლასისა,
შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევრ-ათასისა,
შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუდებელი ფასისა.

ყმამან დაყვნა დღენი რამე, თუცა ყოვნას ვერა სთმობდა,
ფრიდონს თანა ნადირობად გავიდის და თამაშობდა.
სწორად ხოცდა შორს და ახლოს, თუ რას ხელსა მიაპყრობდა,
მისი სროლა მშვილდოსანსა ყველაკასა აწბილობდა.

ყმა ფრიდონს ეტყვის: „გესმოდეს ჩემი აწ მონახსენები:
მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩს და მით თავსა ვევნები,
მაგრა არა მცალს დღე-კრულსა, ცეცხლი მწვავს მოუთმენები,
გზა გრძელი, საქმე სასწრაფო მიც, დია დავეყენები.

„მართალ-ა, შენი გამყრელი თვალი თუ ცრემლსა ღვრიდესა,
დღეს წაუვალი ვერა ვარ, მით ცეცხლი სხვაცა მწვიდესა;

დგომა მგზავრისა ცთომაა, კარგსა იქმს, თავსა სწერთიდესა;
სადა გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა“.

ფრიდონ უთხრა: „დასაშლელი ჩემგან არა არ გეთხრობის;
ვიცი, რომე აღარა გცალს, შენ ლახვარი სხვა გესობის:
წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, შენი მტერი დაემხობის,
მაგრა თქვი, თუ უშენობა ჩემგან ვითა დაითმობის?

„ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასლვა შენი;
თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი,
აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი, ერთი ცხენი.
არ წაიტან, გაირჯები ღაწვი-ვარდი, ცრემლთა მდენი“.

მოასხნა ოთხნი მონანი, მისანდობელნი გულითა,
სრული აბჯარი საკაცო ქაფითა, საბარკულითა,
სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ-ნაკლულითა,
ერთი ტაიჭი უებრო მით უნაგრითა სრულითა.

ერთსა ჯორსა წვივ-მაგარსა საგებელი აუკიდა;
წავიდა და ფრიდონ შეჯდა, მასთანავე გამოვიდა.
აწ გაყრისა მომლოდნესა ედებოდა ცეცხლი, სწვიდა,
მოსთქვამს: „თუმცა მზე გვეახლა, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზრვიდა“.

ზარი მის ყმისა წასლვისა გახდა, მიეცნეს წუხილსა.
მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ვინ ჰყიდდა თუ ხილსა;
ხმა ზახილისა მათისა ჰგვანდა აერთა ქუხილსა,
იტყოდეს: „მზესა მოვშორდით, მო, თვალნი მივსცნეთ წუხილსა!“

ქალაქი გავლეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღვისასა,
მაშინ ფრიდონის ნახულსა, ნასაჯდომევსა მზისასა,
მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,
ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყვისასა:

„აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა,
კბილ-თეთრი, ბაგე-ბალახში, სახედავითა შავითა;
ცხენი გავქუსლე, გავაგე წაგვრა ხრმლითა და მკლავითა,
შორს მნახეს, ადრე გამექცეს, ნავი მფრინვალე ჩნდა ვითა“.

მოეხვივნეს ერთმანერთსა, გაამრავლნეს ცრემლთა ღვრანი,
აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წვანი,
გაიყარნეს გაუყრელნი ძმად-ფიცნი და ვითა ძმანი,
ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა მკლველი ტანი.

წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ჭარავანთა შეყრა

ყმა მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მთვარისა სრულისა.
არს თინათინის გონება მისად სალხენად გულისა;
იტყვის: „მოგშორდი, სიცრუე, ვა, საწუთროსა კრულისა!
შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელებელი წყლულისა.

„რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გმირსა სამს ალებისა?
რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა?
არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლებისა,
შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა“.

ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონითა,
წამალსა ტარიელისსა ეძებს ყოვლითა ღონითა,
დღისით და ღამით მტირალი იღვრების ცრემლთა ფონითა,
ჩალად უჩს ყოვლი ქვეყანა, მისვე ჩალისა წონითა.

სადაცა ნახნის, ეუბნის, მგზავრნი ზღვის პირსა რებულნი,
ჰკითხის მის მზისა ამბავი; დღენი ვლნა გაასებულნი.
ქედსა გარდადგეს, აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულნი.
მოქარავნენი ზღვის პირსა დაყრით დგეს, შეჭირვებულნი.

მუნ ქარავანი ურიცხვი იდგა მის ზღვისა კიდესა.
შეიჭირვებდეს, ჭმუნვიდეს, ვერცა დგეს, ვერცა ვლიდესა.
ყმამან სალამი უბრძანა, ქებასა შეასხმიდესა,
ჰკითხა, თუ: „ვინ ხართ, ვაჭარნო?“ — მათ საუბარი ჰკიდესა.

უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი.
მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი.
ჰკადრეს: „მზეო, სიცოცხლე და შენ ამოხე ჩვენი მლხენი,
ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“.

გარდახდა. ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი,
მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისმან მაჭარნი,
ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმონაჭარნი,
საქონელ-სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვქონან ნაჭარნი.

„ჩვენ აქა ვპოვეთ ზღვის პირსა კაცი უსულოდ მდებარე,
ეუშველეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამომგებარე;
ვჰკითხეთ, თუ: «ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მძებარე?»
გვითხრა: «თუ შეხვალთ, დაგხოცენ; კიდე ცოცხალ ვარ მე ბარე?!»

„თქვა: «ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერითა,
ზღვასა შევედით ტვირთულნი ლარითა მრავალ-ფერითა,
შუნ მეკობრეთა დაგვხოცენ ძელის სახნისის წვერითა;
ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოსრულვარ მე რითა!»

„ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა,
დაბრუნვებითა გვეცემის ზიანი არ-საზომისა;
შევიდეთ, ვა თუ დაგვხოცნენ, ძალა არა გვაქვს ომისა,
ვერცა ვდგათ, ვერცა წასრულვართ, ღონე წაგვსლვია რჩომისა“.

ყმამან უთხრა: „ვინცა ჭმუნავს, ცუდია და ცუდად სცთების!
რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცთების;
მე მივინდობ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, და-ცა-მწვთების,
ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცვთების“.

მოქარავნენი აივსნეს სიხარულითა დიდითა,
თქვეს: „ყმა ვინმეა ჭაბუკი, არა ჩვენებრვე რიდითა,
აქვს თავისაგან იმედი, ვიყვნეთ გულითა მშვიდითა“.
შეევიდეს, ჩასხდეს ხომალდსა, გამართეს ზღვისა კიდითა.

სიამოვნისა დარითა იარეს, არ სიძნელითა.
მათი ბადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა.

გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,
მას ნავსა ნავთა სალეწლად სახნისი ჰგია ძელითა.

კიოდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰკრესა;
შეუშინდა ქარავანი მათ ლაშქართა სიდიდესა:
ყმამან უთხრა: „ნუ იშიშვით თქვენ იმათსა სიალფესა,
ანუ დავხოც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი დღეს-ა.

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებმენ ხმელთა სპანი;
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი;
ვერ დამხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი.
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი.

„თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი;
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომნი მხარნი!
მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახნეთ მონაღვარნი“.

ჩაიცვა ტანსა აბჯარი ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა.
მას ხელთა კეტი რკინისა ჰქონდა ხელითა ცალითა;
ნავისა თავსა გულითა წადგა შიშ-შეუვალითა,
ვითა მშვრეტელნი ჭვრეტითა, მტერნი დახოცნა ხრმალითა.

კიოდეს იგი ლაშქარნი, ხმა მათი არ გაწყდებოდა,
აძგერეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა;
ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე დგა, არ თურე კრთებოდა,
კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, სხვით არათ არ მოსტყდებოდა.

ძელი მოსტყდა და ავთანდილ დარჩა ნავ-დაულეწელი;
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდსახვეწელი;
ვეღარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო მლეწელი;
არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრეწელი.

მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ხოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა;
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა;
დაკოდილნი მკვდართა შუა იმალვიან, მალვენ ხმასა.

გაუმარჯვდა ომი მათი, ვითა სწადდა მისსა გულსა.
ზოგთა ჰკადრეს ზენაარი. „ნუ დაგვხოცო, შენსა სჯულსა!“
არ დახოცნა, დაიმონნა, დარჩომოდა რაცა წყლულსა.
მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი!
არას გარვებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი,
ღმერთი გფარავს სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი.

მუნ ავთანდილ საუურჭლენი მათეულნი დიდნი ნახნა,
ნავი ნავსა შეატყუბა, ქარავანსა დაუზახნა.
უსამ ნახა მხიარულმან, — გაეხარნეს, არ იახნა,
ჰკადრა ხოტბა ქებად მისად, სასახავნი დიდნი სახნა.

ავთანდილის მაქებელთა ათასიცა ენა ენდა!
ვერცა მათ თქვეს, ნაომრობა რაგვარ ტურფად დაუშვენდა;
ქარავანმან იზრიალა, თქვეს: „უფალო, მადლი შენდა!
მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვითენდა“.

მოეგებნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერხთა, ხელსა;
ჰკადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელსა,
ვისი ჭვრეტა გააშმაგებს კაცსა ბრძენსა, ვითა ხელსა:
„შენგან დავრჩით ჩვენ ყველანი ფათერაკსა ეზომ ძნელსა“.

ყმამან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა,
იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა;
ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწევნადსა.

„ღმერთმან სულსა ეგოდენსა თქვენ გათნია სისხლი თქვენი.
მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცუდი; თავით ჩემით რამცა ვქმენი?
აწ დავხოცენ მტერნი თქვენნი, გავასრულეთ, რაცა ვთქვენი;
ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძღვენი“.

ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გამარჯვებოდეს,
ამხანაგთათვის ეჯობნოს, ვინცა მას თანა-ხლებოდეს,

ძიულოცვიდეხ, აქებდეხ, ძათ აგრე ძყოფთა სხებოდეს,
შვენოდეს დაკოდილება, ცოტაი რამე ვნებოდეს.

იგი ნავი მეკობრეთა მას დღე ნახეს, არ ახვალეს,
მუნ დებულთა საჭურჭლეთა ამარიმცა ვით დათვალეს!
მათსა ნავსა გარდმოიღეს, ნავი სრულად გარდმოცალეს;
დალეწეს და ზოგი დაწვეს, შეშა დრამად არ გაცვალეს.

ავთანდილს უსამ მოართვა ვაჭართა შემოთვლილობა:
„შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა;
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
რასაცა მოგვცემ, გვიბოძე, გვიქნია აქა ყრილობა“.

„ყმამან შესთვალა: „ჰე ძმახო, წელანცა მოგისმენია,
ღმერთსა შეესმა, ნაკადი რაცა თქვენ თვალთა გდენია,
მან დაგარჩინნა; მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომილხენია!
რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!

„მე თუმცა რაცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი,
ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, უსახო ლარ-საგებელი;
რას ვაქნევ თქვენსა რას გინდა? ოდენ ვარ თანა-მხლებელი;
სხვაგან რამე მიც სხვა საქმე თავისა წასაგებელი.

„აწ რაცა აქა ვიშოვე საჭურჭლე დაუთვალავი,
რაცა ვის გინდა, წაიღეთ, არვისი ვიყო მლალავი,
„ერთსა ვიაჯი, მააჯეთ საჯო არ-საკრძალავი:
საქმე რამე მიც თქვენშიგან თავისა დასამალავი.

„ყამამდის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა,
თვით თავადია ჩვენი-თქვა, ნუ მიხმობთ ჭაბუკობასა.
მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა;
თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!“

ესე საქმე ქარავანსა გაეხარნეს მეტად დია;
მოვიდეს და თაყვანის-სცეს, ჰკადრეს: „ჩვენი იმედია.
რაცა აჯა ჩვენ გვმართებდა, იგი თქვენვე გიაჯია,
მას ვმსახურობთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია“.

მუნით წავიდეს, იარეს, არ თურე ხანსა ზმიდიან,
მიხვდეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლიდიან;
შეჰფრფინვიდიან ავთანდილს, ქებასა შეასხმიდიან,
მას მარგალიტსა მას ყმასა, კბილთავე ფერსა, სძღვნიდიან.

ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისლვისა

ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მჭევრითა.
ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი ფერითა ბევრის ბევრითა.
მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო მევ, რითა!

მათ ბაღთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა;
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვნა, დაჯდა სკამითა;
მოასხნეს კაცნი მზიდავნი, დამიზდებულნი დრამითა;
იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა.

მოვიდა მისი მებაღე, ბაღსა ეახლნეს რომელსა,
მას ყმასა უჭვრეტს შეფრფინვით პირსა, ელვათა მკრთომელსა;
ავთანდილ-უხმო, ეუბნა კაცსა არ სიტყვა-მცთომელსა:
„ვისნი ხართ, ვინ ხართ, რა ჰქვიან მეფესა აქა მჯდომელსა?

„წვრილად მითხარ ყველაკაი, — ყმა მას კაცსა ეუბნების, —
რა ლარია უფრო ძვირად, ან იეფად რა იხსნების?“
ჰკადრა: „ვხედავ, პირი შენი მზისა პირად მემეცნების;
რაცა ვიცი, მართლად გკადრებ, მრუდი არა არ გემცნების.

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა საველითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა;
მელიქ სურხავი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა.

„აქა მოსლვითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,

ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები;
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინ-ა მტერები.

„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ.

„მე ვარ მებაღე უსენის, ვაჭართა უხუცესისა;
ესეცა გკადრო ამბავი, საქმე მისისა წესისა:
თვით ესე ბაღი მისია, თქვენი სადგომი დღესისა;
პირველ მას მართებს ჩვენება ყოვლისა უტურფესისა.

„რა შემოვლენ დიდ-ვაჭარნი, მას ნახვენ და ძღვენსა სძღვნიან,
უჩვენებენ, რაცა ჰქონდეს, სხვაგან ლარსა ვერ გახსნიან,
უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან;
მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სწადდეს, დაჰყიდიან.

„თქვენებრთა საპატიოთა მას მართებს გამოსვენება;
დამყენებელთა უბრძანებს, მართებდეს ვის დაყენება.
აწ იგი აქა არ არის, რას მარგებს მისი ხსენება!
გამოგებვა და წაყვანა მას მართებს, თქვენი ქენება.

„ფატმან ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,
პურად კარგი მასპინძელი, მხარული, არ თუ მქისი;
მას ვაცნობო მოსლვა თქვენი, წაგიყვანოს ვითა თვისი;
წინა კაცსა მოგაგებებს, ქალაქს შეხვალ ნათლივ, დღისი“.

ავთანდლ უთხრა: „წადიო, აგრე ქმენ, რაცა გწადიან“.
მებაღე მირბის, იხარებს, ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან
ხათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამიქადიან,
ყმა მოვა, მისთა მჭვრეტელთა შუქნი მზედ გაიცადიან.

„ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარავნისა დიდისა,
საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა;
შვენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა რიდისა.
მე მიხმო, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდისა“.

ფატმან ხათუნს გაეხარნეს, გააგება მონა ათი,
მოუკაზმნა ქარვანსრანი, დააყენა ბარგი მათი.
შემოვიდა ღაწვი-ვარდი, ბროლ-ბალახში, მინა-სათი;
მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა — თათი.

ზარი გახდა, შემოაკრბეს ქალაქისა ერნი სრულად,
იქით-აქათ იჯრებოდეს: „ვუჭვრიტოთო ამას რულად!“
ზოგნი ნდომით შეჰფრფინვიდეს, ზოგნი იყვნეს სულ-წასრულად;
მათთა ცოლთა მოიძულვნეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად.

ფატმან, ცოლი უსენისი, გაეგება კართა წინა,
მხიარულმან უსალამა, სიხარული დაიჩინა;
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა;
ფატმან ხათუნს მოსლვა მისი, შე-ვით-ვატყვე, არ ეწყინა.

ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი;
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

მას ღამესა ფატმან ხათუნ უმასპინძლა მეტად კარგა.
ყმამან უძღვნა ძღვენი ტურფა, მიმღებელთა თქვეს, თუ: „ვარგა“.
ფატმანს მისი პასპინძლობა უღირს, ღმერთო, არ დაკარგა;
სვეს და ჭამეს, დასაწოლად ყმა გავიდა ღამით გარ, გა-.

დილასა ლარი ყველაი უჩვენა, გაახსნევინა,
ტურფანი სეფედ გარდასხნა, ფასიცა დაათვლევინა.
ვაჭართა უთხრა: „წაიღეთ, — აჰკიდა, გააწევინა, —
თქვენ ვითა გინდა, ვაჭრობდით, ნუ გამამყღავნებთ, მე ვინა“.

ყმა ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას მისსა.
ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა;
ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა მქისსა;
ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისი ვითა ვისსა.

ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანაზდად გიღალატებს, გაჰკვეთს, რაცა დაესობის,
მით დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის.

ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა,
სიყვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცხლებრ სწვიდა.
დამალვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ მალვიდა,
იტყვის: „რა ვქმნა, რა მერგების!", აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა.

„მიღმა ვუთხრა, ვა თუ გაწყრეს, შეხედვაცა დამიძვირდეს!
თუ არა ვთქვა, რაგვარ გავსძლო, ცეცხლი უფრო გამიხშირდეს.
ვთქვა და მოვკვდე, ანუ დავრჩე, ერთი რამე გამიპირდეს;
მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს!"

წიგნი ფატმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო

დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,
მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი,
მისთა მსმენელთა გულისა შემძრველი, შემარხეველი,
უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი:

„ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,
მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,
მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩს, დასაქადებლად.

•

„შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!

შენი შვენება ყვავილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებიან,
სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან.

„ღმერთი მყავს მოწმად, ვიშიშვი თქვენსა ამისსა თხრობასა,
მაგრა რა ვირგო დღე-კრულმან, სრულად გავჰყრივარ თმობასა!
გული ვერ გასძლებს ნიადაგ შავთა წამწამთა სობასა,
თუ რას მეწევი, მეწიე, თვარა მივხდები ცნობასა!

„მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს,
ვცნობდე, გინდოდე საკლავად, ან ჩემი რა გაგვიდოდეს,
მუნამდის გავსძლო სულთა დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს,
სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს, ნეტარძი, ოდეს!“

ფატმან ხათუნ დაწერა და გაუგზავნა წიგნი მისი.
ყმამან ასრე წაიკითხა, და ვინმეა ანუ თვისი;
თქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიკობს, ვისსა ვისი,
რომე მიმიჩს სამიჯნურო, რათ ვამსგავსო მე მას ისი!“

თქვა: „ყვავი ვარდსა რას აქნევს ანუ რა მისი ფერია!
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა;
მერმე იტყვის: „ჩემგან კიდე ჩემი შემწე არავინ-ა;
რასათვისცა გამოჭრილვარ, მისი ძებნა რათგან მინა,
რათამცა ვით ვჰპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა!

„ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა;
მივჰყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავ ალთა,
ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა“.

თქვა: „დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა კრულსა;
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა,
მიჯობს, მივჰყვე, განღა სადმე ვსცნობ საქმესა დამალულსა“.

კვლა იტყვის: „ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების;
მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების;
ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდდების,
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“

წიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მიწერილი

მიუწერა: „წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება.
შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მეცირს ცეცხლთა დება;
შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლად შენი ხლება,
შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნება“.

ფატმანისსა ვერ გიამბობ, მოემატა რა სიამე!
მიუწერა: „კმარის, რაცა უშენომან ცრემლი ვლამე,
აწ ვიქმნები თავის წინა, აქა მპოვე მარტო სამე,
მომისწრაფე შეყრა შენი, რა შეღამდეს, მრდი ღამე“.

მას ღამითვე საწვეველი რა მიართვეს წიგნი ყმასა,
შეღამდა და წა-ცა-ვიდა; სხვა ემთხვია მონა გზასა:
„ამას ღამე ნუ მოხვალო, ვერა მპოვებ შენთვის მზასა“.
მას ეწყინა, არ დაბრუნდა, თქვა, თუ: „ჰგავსო ეგე რასა!“

წვეული აღარ დაბრუნდა კვლა ზევე უკუწვევითა.
ფატმან ზის წყენით, შევიდა ავთანდილ მარტო ხე ვითა,
დიაცსა წყენა შეატყვა, ნახა შესლვითა, შე-, ვითა,
ვერ დაიჩინა შიშითა და მისითავე თნევითა.

ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი;
შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი,
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა მონა ხრმალ-დარაკიანი,
დაჰკრთა, რა ნახა ავთანდილ: ჰგავსო, თუ გზაა კლდიანი.

ფატმან რა ნახა, შეშინდა, ძრწის და მიეცა ძრწოლასა.
მან გაკვირვებით უპვრიტა მათსა ლაღობა-წოლასა;

უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთოლასა,
გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა!

„გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდევ გასათრეველად,
მაგრა სცნობ ხვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად:
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველად,
დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელიღა ვრბოდე მე ველად!“

ესე თქვა და კაცმან წვერთა მოიზიდნა, გავლნა კარნი;
ფატმან შექმნა თავსა ცემა, ღაწვნი ესხნეს ნახოკარნი;
ცრემლთა მისთა მონაღვართა წყاროსაებრ ისმნეს წკარნი;
თქვა: „დამქოლეთ, მოდით, ქვითა, მომადეგით მომაკარნი!“

მოსთქვამს: „მოვკალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი შვილნი,
იავარ-ვყავ საქონელი, უსახონი თვალნი თლილნი,
გავეყარე საყვარელთა, ვა გამზრდელნი, ვა გაზრდილნი!
ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა, სიტყვანია ჩემნი წბილნი“.

ამას ყველასა ავთანდილ ისმენდა გაცბუნებული;
უბრძანა: „რა გეჭირს, რას იტყვი, რასთვის ხარ აგრე ვებული?
რას დაგექადა იგი ყმა. რა ნახა შენგან კლებული?
დადუმდი, მითხარ, ვინ იყო ანუ რად საქმედ რებული?“

დიაცმან უთხრა: „ჰე ლომო, ხელი ვარ ცრემლთა დენითა,
ნურას ნუ მკითხავ ამბავსა, ვერცა რას გითხრობ ენითა;
დავხოცენ შვილნი ხელითა, მით ვარ აღარას ლხენითა.
თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა.

„ესეგვარი დია მიხვდეს სიტყვა-მცთარსა, ენა-მეტსა,
ხვაშიადთა ვერ-მმალავსა, უჭკუოსა, შმაგსა, რეტსა;
ვაგლახითა მეწიენით, გეტყვი ყოვლსა ჩემსა მჭვრეტსა,
მკურნალმანცა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლის მხვრეტსა.

„ორისაგან ერთი ქმენით, ამის მეტსა ნურას ლამით:
მო-ვითა-ჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით ღამით,
მე და სრულად სახლი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით!
მოხვალ, გითხრობ ყველაკასა, მო-ვით-გითხრა ცრემლთა ლამით.

„თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მი-, რითა.
ვეჰვ, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჭირითა,
თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაჭმევს პირითა“.

რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა, ბუნება-ზიარსა,
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა!
„ამა საქმისა ვერ-ცნობა, — თქვა, — ჩემი სიძუნტე არსა“.
ნუ ეჰვ სულ-დგმულსა მისებრსა, სხვა არცა მისებრი არსა!

ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც მასწავლელად, წინამძღვარად,
გზასა მართლად წამიყვანოს, თვარა მეშვლად მინდა არად;
იმა კაცსა ვერა ვხედავ მეომრად და ჩემად დარად,
რაცა ვუყო, მოგახსენებ, მომიცადე, იყავ წყნარად“.

მას მისცა მონა დიაცმან წინამძღვრად, წა-ცა-მყვანებლად,
კვლავე შეჰყივლა: „ვინათგან ცეცხლი აწ ცხელია ნელად,
თუ მო-ვითა-ჰკლა იგი ყმა ჩემად გულისა მფხანელად,
ბეჰედი ჩემი აცვია, მას გვედრებ მოსატანელად“.

ავთანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა;
ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ-მწვანითა,
ქვეშეთკენ სრითა ტურფითა, კვლა ზედათ ბანის-ბანითა,
დიდროვანითა ტურფითა, მრავლითა თანის-თანითა.

მუნ მიჰყავს პირ-მზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა;
ხმა-მდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ეძებ რომელსა“.
უჩვენებს, ეტყვის: „ხედაო, ბანსა ზე და ქვე მდგომელსა?
იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა“.

კარსა წინა დარაჯანი ორნი უწვეს მას, გლახ, ყმასა.
ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე ხმასა,
თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ხდასა,
თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა.

იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა;

ველარ აესწრა, იდუმალ მოკლა, ვერცა თუ ვცანითა,
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა.

მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია.
ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელს მიწათა გარია,
ზღვისაკენ სარკმლით გასტყორცა, ზღვისა ქვიშათა დარია,
მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია.

ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით არა.
წამოვიდა ვარდი ტკბილი, რასამცა ვით გაემწარა!
ესე მიკვირს, სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა!
რომე წელან წამოევლო, გზა იგივე წაიარა.

რა ფატმანისსა შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი,
უბრძანა: „მოვკალ, მან ყმამან დღე ველარ ნახოს მზიანი,
თვით მონა შენი მოწმად მყავს, ფიცი აფიცე ღმრთიანი,
აჰა თითი და ბეჭედი, და დანა მაქვს სისხლიანი.

„აწ მითხარ, თუ: რას იტყოდი, რას გაშმაგდი ისრე რეტად?
რას გექადდა ისი კაცი? მესწრაფების მეტის-მეტად“.
ფატმან ფერხთა მოეხვია: „არ ღირს ვარო პირსა ჭვრეტად,
გამიმრთელდა გული წყლული, აწყა დავჯე ცეცხლთა შრეტად.

„მე და უსენი შვილითურთ აწ ახლად დავიბადენით;
ლომო, ქებანი შენნიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით!
ვინათგან სისხლთა იმისთა დაღვრავე დავიქადენით,
თავითგან გითხრობ ყველასა, თქვენ სმენად დაემზადენით“.

აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა

ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა;
ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმასა, ლამაზობასა,
დიდსა შეიქმან მეფენი პურობა-დარბაზობასა.

„ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა,
მათ საბოძვრისა ბოძება მართებს მსგავსისა ჩვენისა;
ათ დღემდის ისმის ყოველგნით ხმა წინწილისა, ებნისა,
მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა.

„ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა წაუძღვების, უსენ, წინა,
მათთა ცოლთა მე წავასხამ, მაწველელი არად მინა;
დედოფალსა ძღვენსა ვუძღვნით, მდიდარი თუ გლახა ვინ-ა,
დარბაზს ამოდ გავიხარებთ, მხიარულნი მოვალთ შინა.

„დღე მოვიდა ნავროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენით;
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავავსენით, ავივსენით;
ჟამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით,
კვლა დავსხედით გახარებად, უნებურნი არ ვიყვენით.

„ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე ჟამსა,
გავიტანე ხათუნები, — მათი ჭმევა ჩემგან ხამსა, —
მომყვებოდეს მომღერალნი, იტყოდიან ტკბილსა ხმასა,
ვიმღერდი და ვყმაწვილობდი, ვიცვალებდი რიდე-თმასა.

„იქ ბაღსა შიგან ტურფანი, სახლნი, ნატიფად გებულნი,
მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი,
მუნ შევიტანენ ხათუნნი იგი, ჩემთანა ხლებულნი,
კვლა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შვებულნი.

„ვაჭრის ცოლთა მხიარულმან ვუმასპინძლე ამოდ, დურად;
სმასა ზედა უმიზეზოდ გავხე რადმე უგემურად,
რა შემატყვეს, გაიყარა, სხდომილ იყო რაცა პურად,
მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად.

„უკმოვახვენ სარკმელნი და შევაქციე პირი გზასა,
ვიხედვიდი, ვიქარვებდი კაეშნისა ჩემგან ზრდასა;
შორს ამიჩნდა ცოტა რამე, მოცურვიდა შიგან ზღვასა,
მფრინველად ვთქვი ანუ მხეცად, სხვას ვამსგავსე მემცა რასა!

„მაშორვიდა, ვერად ვიცან; მომეახლა, იყო ნავი;
ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი;

იქით-აქათ მოსდგომოდეს, ახლოს უჩნდა ოდენ თავი,
გამოვიდეს, გამიკვირდა იგი უცხო სანთავი.

„გამოზიდეს იგი ნავი, გამოიღეს ბაღსა წინა,
მიიხედნეს, მოიხედნეს, ვინ გვიჭვრეტსო, სადა ვინ-ა,
ვერა ნახეს სულიერი, ვერცა რამან შეაშინა;
მე იდუმალ ვიხედვიდი, სულ-ღებული ვიყავ შინა.

„მით ნავიდაღმა მათ რომე გარდმოსვეს კიდობანითა,
ახადეს, ქალი გარდმოხდა უცხოთა რათმე ტანითა,
თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა,
მზესა სიტურფედ ეყოფის, იყოს მისითა გვანითა.

„რა მობრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხივნი კლდესა,
ღაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ხმელთ და ზესა;
დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა,
უკმოვიხაშ კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა ვერა ცნესა.

„მოვიხმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი,
ვუჩვენე: «ხედავთ, ინდოთა ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი?
ჩაეპარენით, ჩაედით წყნარად, ნუ ჩქარად მხლტომელნი,
მოგყიდონ, ფასი მიეცით, რასაცა იყვნენ მნდომელნი.

«თუ არ მოგცენ, ნუღარ მისცემთ, წაჰგვარეთ და დახოცენით,
მოიყვანეთ ისი მთვარე, ქმენით კარგად, ეცადენით!»
ჩემნი ყმანი ზედადაღმა ჩაეპარნეს, ვითა ფრენით,
დაევაჭრნეს, არ მოჰყიდეს, შავნი ვნახენ მეტად წყენით.

„მე სარკმელთა გარდავადეგ. რა შევიგენ, არ მოჰყიდეს,
შევუზახენ: «დახოცენით!», დაიპყრნეს და თავსა სჭრიდეს;
იგი ზღვასა შეასრივნეს, შემოადგეს ქალსა, სცვიდეს;
ჩავეგებე, გამოვჰგვარე, ზღვის პირს ხანსა არ დაზმიდეს.

„რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!
ვფიცავ, რომე იგი მზეა, არა მართებს მზესა მზობა!
ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა!
მე თუ დამწვავს, აჰა მზა ვარ, აღარ უნდა ამას მზობა!“

ესე სიტყვა დაასრულა, ფატმან იკრნა პირსა ხელნი;
ავთანდილსცა აეტირნეს, გარდმოყარნა ცრემლნი ცხელნი;
ერთმანერთი დაავიწყდა, მისთვის გახდეს ვითა ხელნი,
ღვარმან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელნი.

მოიტირეს, ყმამან უთხრა: „ნუღარ გასწყვედ, გაასრულე“.
ფატმან იტყვის: „მივეგებე, გული მისთვის ვაერთგულე,
გარდვუკოცნე ყოვლი ასო, თავი ამად მოვაძულე,
ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, შევეკვეთე, გავესულე.

„ვჰკადრე: «მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შვილი ვისთა ტომთა?
იმა ზანგთა სით მოჰყვანდი შენ, პატრონი ცისა ხომთა?»
მან პასუხი არა მითხრა მე სიტყვათა ესეზომთა,
ას-ნაკეცი წყარო ვნახე ცრემლთა, მისთა მონაწთომთა.

„რა მივაჭირვე კითხვითა, მეტითა საუბარითა,
გულ-ამოხვინჩვით ატირდა მით რამე ხმითა წყნარითა;
ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა;
მისი მჭვრეტელი დავიწვი, გავხე გულითა მკვდარითა.

„მითხრა: «შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,
რას აქნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;
თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა!»

„ვთქვი: «უჟამოდ არ წესია მოყვანა და მზისა ხმობა:
მომყვანელი გაშმაგდების და წაუვა ერთობ ცნობა;
ხმობა უნდა ჟამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა.
რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უჟამობა?»

„ავიყვანე იგი პირ-მზე ნაქები და ვერ ვთქვი უქი;
სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალე მისი შუქი,
ჩამოვჰბურე მრავალ-კეცი სტავრა მძიმე, არ-სუბუქი;
ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი.

„მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით,
მოვუკაზმე სახლი ერთი, შიგან დავსვი მეტად მალვით;

არვის ვუთხარ სულიერსა, შევინახე ფარვით, კრძალვით,
ერთი ზანგი ვამსახურე. მე შევიდი, ენახი ხალვით.

„ვით გიამბო საკვირველი მე, გლახ, მისი ყოფა-ქცევა,
დღე და ღამე გაუწყვეტლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!
შევეხვეწი: «დადუმდიო», წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა.
აწ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!

„შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,
შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები.

„ეამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან,
თუმცა მეკითხა: „ვინ ხარ და ეგრე გასრული — რისაგან?»
მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან,
მას ხორციელი რა გასძლებს სხვა, კიდეგანი ქვისაგან!

„არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა,
მიწყივ იყვის რიდითა და მით ერთითა ყაბაჩითა,
მკლავი მისი სასთაულად მიიდვის და მიწვის მითა,
ძლივ ვაჭამი ცოტა რამე ათასითა შეხვეწითა.

„სხვა გიამბო საკვირველი რიდისა და ყაბაჩისა;
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა,
მაგრა მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგვარ რისა:
სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე — ნაჭედისა.

„მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი;
ვერ გავანდევ ქმარსა ჩემსა, შესპენისა მქონდა რიდი;
ვთქვი: «თუ ვუთხრობ, ვიცი, დარბაზს გამამჟღავნებს ისი ფლიდი».
ესე მეყო საგონებლად, კვლა შევიდი, კვლა გავიდი.

„ვთქვი: «თუ არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოეგვარების?
არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოეხმარების;
ქმარი რა მიგრძნობს, მო-ცა-მკლავს, ვეღარა მომეფარების;
ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაედარების?!

«მე, გლახ, მარტომან რა ვუყო, მიმატებს ცეცხლთა დებასა!
მო და გავანდო, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა;
არ გამამჟღავნოს, ვაფიცო, თუ მომცემს იმედებასა,
სულსა ვერ წასწყმედს, ვერა იქმს ფიციისა გაცუდებასა».

„მივე მარტო, ქმარსა ჩემსა ველაღობე, ველაციცე,
მერმე ვუთხარ: «გითხრობ რასმე, მაგრა პირველ შემომფიცე,
არვის უთხრა სულიერსა საფიცარი მომეც მტკიცე».
ფიცი ფიცა საშინელი: «თავიცაო კლდეთა ვიცე!

«რაცა მითხრა, სიკვდილამდის არვის ვუთხრა სულიერსა,
არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა».
მერმე ვუთხარ ყველაკაი უსენს, კაცსა ლმობიერსა:
«მოდი, მომყევ აქა სადმე, მო, გიჩვენებ მზისა ფერსა».

„ადგა, ამყვა და წავედით, შევვლენით კარნი სრისანი.
უსენ გაჰკვირდა, გა-ცა-კრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი;
თქვა: «რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ, რისანი?!
თუ ხორციელი არისმცა, თვალნიცა მრისხვენ ღმრთისანი!»

„ვთქვი, თუ: «არცა რა მე ვიცი ამისი ხორციელობა,
რაცა არ გითხარ, მის მეტი არა მაქვს მეცნიერობა;
მე და შენ ვჰკითხოთ, ვინ არის, ვისგან სჭირს ისი ხელობა,
ნუთუ რა გვითხრას, ვეაჯნეთ, ქმნას დიდი ლმობიერობა».

„მივედით, გვქონდა ორთავე კრძალვა მისისა კრძალისა;
ვჰკადრეთ, თუ: «მზეო, სახმილი გვედების შენგან ალისა,
გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა?
რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა?»

„რაცა ვჰკითხეთ, არა ვიცი, ესმა ანუ არ ისმენდა:
ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა;
გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბაღი შელმა შე-რა-შენდა,
მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვითენდა!

„ვერა დავჰყარეთ პასუხი ჩვენ საუბრითა ჩვენითა:
ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა.

კვლაცა ვაწყინეთ, ატირდა მჩქეფრად ცრემლისა დენითა,
«არა ვიცი, მიმიშვით!» ეს, ოდენ გვითხრა ენითა.

„დავსხედით და მას თანავე ვიტირეთ და ცრემლი ვლამეთ,
რაცა გვეთქვა, შევინანეთ, სხვამცა რაღა შევიწამეთ!
ძლივ ვიაჯეთ დადუმება, დავადუმეთ, დავაამეთ,
ჩვენ მივართვით ხილი რამე, მაგრა ვერა ვერ ვაჭამეთ.

„უსენ იტყვის: «ბევრ-ათასნი ჭირნი ამან ამიხოცნეს;
ესე ღაწვნი მზისად ხმანან, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს!
უმართლეა, ვერ-მეკრეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს,
მე თუ შვილნი მირჩევნიან, ღმერთმან იგი დამიხოცნეს!»

„მას ვუჭვრიტეთ დიდი ხანი, წამოვედით სულთქმით, ახით.
შეყრა გვიჩნდის სიხარულად, გაყრა დიდად ვივაგლახით.
ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით,
გულნი ჩვენნი გაუშვებლად დაეტყვევნეს მისით მახით.

„რა გარდახდა ხანი რამე, გამოვიდეს ღამე-დღენი,
უსენ მითხრა: «არ მინახავს ძოღანდითგან მეფე ჩვენი.
მივაზირებ, წავალ, ვნახავ, ვუდარბაზო, ვუძღვნა ძღვენი».
მოვახსენე: «დია, ღმერთო, ბრძანებაა ეგე თქვენი!»

„უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და თვალები.
დაევედრე: «დარბაზს დაგხვდების დარბაზის ერი მთრვალები;
ამა ქალისა ამბავსა, მომკალ, თუ არ ეკრძალები».
კვლა შემომფიცა: «არ ვიტყვი, თავსაცა მეცეს ხრმალები!»

„უსენ მივიდა, ხელმწიფე დახვდა ნადიმად მჯდომელი,
უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი,
წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი.
აწ ნახო მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი.

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლა შესვეს და კვლა აუვსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი.
დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!
მართლად თქმულა: «არა მართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი».

«უთხრა დიდმან ხელმწიფემან უჭკუოსა უსენს, მთრვალსა:
«დია მიკვირს, საძღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თვალსა,
მარგალიტსა დიდროვანსა, უმსგავსოსა ჰპოვებ ლალსა?
ვერ გარდვიხდი, თავმან ჩემმან, ძღვენთა შენთა ნაათალსა».

„თაყვანის-სცა უსენ, ჰკადრა: «ჰე მაღალო ხელმწიფეო,
ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენელო არსთა, მზეო!
რაცა სხვა მაქვს, ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო?
დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო.

«ამას გკადრებ, თავმან თქვენმან, არა გმართებს მადლი ძღვნისა;
სხვა რამე მითქს საძღვნო თქვენი, შესართავი თქვენის ძისა;
მას უცილოდ დამიმადლებთ, ოდეს ნახოთ მსგავსი მზისა,
მაშინ მეტად გაამრავლოთ თქვენ ბრძანება ნეტარძისა».

„რას ვაგრძელებდე! გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა,
უამბო პოვნა ქალისა, მჭვრეტთაგან მზედ სახულისა.
მეფესა მეტად ეამა, მიეცა ლხინი გულისა,
უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულ-ქმნა უსენის თქმულისა.

„მე აქა ჩემსა ამოდ ვჯე, მუნამდის არ მიკვნესია.
შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,
თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია,
მოვიდეს; დია გავჰკვირდი, ვთქვი: «რამე საქმე ზესია».

„მისალამეს, «ფატმან, — მითხრეს, — ბრძანებაა ღმრთისა სწორთა:
დღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მსგავსი მზეთა ორთა,
აწ მოგვგვარე, წავიყვანოთ, ვლა არ გვინდა გზათა შორთა».
ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა.

„მე გაკვირვებით კვლა ვჰკითხე: «რა ქალი გინდა, რომელი?»
მათ მითხრეს: «უსენ შემოსძღვნა პირი ელვათა მკრთომელი».
არას მარგებდა, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი,
ავთრთოლდი, ავდეგ ვეღარა, ვერცა ქვე ვიყავ მჯდომელი.

„შევე, ვნახე იგი ტურფა მტირალად და ცრემლ-დასხმულად,
ვჰკადრე: «მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ხედავ, რულად!

ცა მობრუნდა რისხვით ჩემკენ, იავარ-მყო, ამფხვრა სრულად,
შემასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ ამისთვის გულ-მოკლულად».

„მან მითხრა: «დაო, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა ძნელია!
ბედი უბედო ჩემზედა მიწყივ ავისა მქმნელია.
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია».

„თვალთათ ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი ხშირი,
ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხვი იყო ანუ გმირი,
ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრეთვე ჭირად ჭირი.
მთხოვა, გარე აჯილითა მოიბურა ტანი, პირი.

„შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა,
თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამელებოდა,
თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა,
მივე, მას წელთა შევარტყი, შავ-გული ვისთვის კვდებოდა.

„ვარქვი: «ჩემო, განღა სადმე გეხმარების ესეგვარი».
მათ მონათა ხელთა მივეც იგი პირი, მზისა დარი.
ცნა მეფემან, მოეგება; ჰკრეს ტაბლაკსა, გახდა ზარი;
იგი მივა თავ-მოდრეკით წყნარი, არას მოუბარი.

„ზედა მოატყდა მჭვრეტელი, გახდა ზათქი და ზარები,
ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ-სიწყნარები;
იგი რა ნახა მეფემან, სარისა მსგავსი ნარები,
გაკრთომით უთხრა: «ჰე მზეო, აქა ვით მოიგვარები?»

„ვით მზემან, მისნი მჭვრეტელნი შექმნნა თვალისა მფახველად;
მეფემან ბრძანა: «გამხადა ნახული მე უნახველად,
ღმრთისაგან კიდე ვინმც იყო კაცი ამისად მსახველად!
მართებს ამისსა მიჯნურსა, ხელი თუ რბოდეს, ახ, ველად!»

„გვერდსა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბარითა:
«მითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსრული ვისთა გვარითა?»
მან არა გასცა პასუხი პირითა, მზისა დარითა;
თავ-მოდრეკილი დაღრეჯით ქვე ზის ცნობითა წყნარითა.

„არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა,
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა;
ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აღებდა,
მჭვრეტნი მისნი გააკვირვნა, რასამცა ვინ იაზრებდა!

„მეფე ბრძანებს: «რა შევიგნათ, გული ჩვენი რათ იხსნების?
ამა ორთა კიდეგანთა აზრი არა არ იქმნების:
ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,
მისგან კიდე არვისად სცალს, ვეღარცა ვის ეუბნების.

«ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.

«ღმერთმან ქმნას, შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული,
მე დავახვედრო ესე მზე, და-, მისთვის დამზადებული;
მან ათქმევინოს ნუთუ რა, ჩვენცა ვცნათ გაცხადებული,
მუნამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული».

„ხელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა,
უებროსა ზნედ და თვალად, შვენიერსა პირსა, ტანსა;
მაშინ ლაშქარს წასრულ იყო, მუნ დაჰყოფდა დიდსა ხანსა,
მამა მისთვის ამზადებდა მას, მნათობთა დასაგვანსა.

„მოიღეს, ტანსა ჩააცვეს შესამოსელი ქალისა,
მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თვალისა,
დაადგეს თავსა გვირგვინი ერთობილისა ლალისა,
მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამჭვირვალისა.

„მეფემან ბრძანა: «მოკაზმეთ საწოლი უფლის-წულისა!»
დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მაღრიბულისა;
ადგა თვით დიდი ხელმწიფე, პატრონი სრისა სრულისა,
მას ზედა დასვა იგი მზე, ლხინი მჭვრეტელთა გულისა.

„უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისად;
ხელმწიფე დაჯდა ნადიმად, მსგავსად მათისა გვარისად;

უბოძა უსენს უზომო მუქფად მის მზისა დარისად.
სცემენ ბუკსა და ტაბლაკსა მოსამატებლად ზარისად.

„გააგრძელეს ნადიმობა, სმა შეიქმნა მეტად გრძელი,
ქალი პირ-მზე ბედსა ეტყვის: «რა ბედი მიც ჩემი მკლველი!
სადაური სად მოსრულვარ, ვის მივხვდები ვისთვის ხელი,
რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი!»

„კვლაცა იტყვის: «ნუ დავაჭნობ შვენებასა ვარდთა ფერსა,
ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!»

«ხადუმნი უხმნა, უბრძანა: «ისმინეთ, მოდით ცნობასა!
მოღორებულხართ, დამცთარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
დამცთარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ლამის სძლობასა,
ჩემთვის ბუკსა და ტაბლაკსა ცუდად, გლახ, იცემს, ნობასა.

«არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდეგანია;
მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო-ტანია!
სხვასა რას მნუკევთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია!
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია.

«უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;
ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,
მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწყებთ ნანასა».

„შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი,
მოიხადა გვირგვინიცა გამჭვირვალი, ერთობ ლალი;
მისცა, უთხრა: «გამომიღეთ, გეაჯები გულ-მხურვალი,
მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ თქვენი ვალი».

„მონათა მიხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა,
დავიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა.
ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა,
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

„რა ხადუმთა აუსრულეს საქმე მისი საწადელი,
ერთმან ტანსა აიხადა, მისცა მისი ჩასაცმელი,
სხვანი კარნი გამოარნეს, იჯრებოდა დარბაზს მსმელი.
დარჩა მთვარე გველისაგან, გავსებული, ჩაუნთქმელი.

„მონანიცა გარდიხვეწნეს, გაიპარნეს მასვე თანა.
ქალმან კარსა დამირეკა, ფატმანობა ჩემი ბრძანა.
გავე, ვიცან, მოვეხვიე, გამიკვირდა მეცა განა!
შინა ყოლა არ შემომყვა: «რად მაწვეო», შემანანა.

„მიბრძანა: «თავი ვიყიდე მოცემულითა შენითა,
მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწყალებითა ზენითა,
ვეღარ დამმალავ, გამიშვი, ფიცხლა გამგზავნე ცხენითა,
სადამდის სცნობდეს ხელმწიფე, კაცთა მომწევდეს რბენითა».

„შევე ფიცხლად საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი,
შევუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ მოკვნესი;
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი.
წახდა ჩემი ჭირნახული, ვერ მოვიმკე, რაცა ვსთესი.

„დღე მიიყარა, ხმა გახდა, მოვიდა მისი მდევარი,
მოიცვეს შიგან ქალაქი, შეიქმნა მოსაწევარი;
მე მკითხეს, ვარქვი: «თუ ჰპოვოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი,
მეფეთა ვიყო შემცოდე და მათთა სისხლთა მზღვევარი!»

„მონახეს, ვერა შეიგნეს, შეიქცეს დაწბილებულნი,
მას აქათ იგლოვს ხელმწიფე და ყოვლნი მისნი ხლებულნი.
დახედენ დარბაზის ერთა, შევლენ ისფრითა ღებულნი!
მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე-კლებულნი.

„მის მთვარისა სადაობა კვლა-გიამბო, საქმე კვლაცი;
აწ უწინა ესე გითხრა, რას მექადდა ისი კაცი:

მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.
კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი.

„მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი.
ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი;
ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი,
ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი!

„ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად:
ჩემსავე მოსლვა მის მზისა და გაპარება მელურად.
გამქღავნებასა მექადდა არ მოყვარულად, მტერულად,
აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვიხსენ მე რულად!

„დამექადის, რაზომჯერცა წავიკიდნით თავის წინა.
ოდეს მეხმე, არ მეგონა მე იმისი ყოფა შინა;
მოსრულიყო, მოსლვა ეთქვა; შენცა მოხვე, შემეშინა,
ამად გკადრე: «ნუ მოხვალო», მოგაგებე მონა წინა.

„აღარ დაჰბრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩემთვის არენით;
შეიყარენით ორნივე, ჩემზედა დაიჯარენით;
ამად შევშინდი, ღონენი ვეღარა მოვაგვარენით,
იმას, გლახ, ჩემი სიკვდილი გულითა სწადდა, არ ენით.

„თუმცა ისი არ მოგეკლა, მისრულიყო დარბაზს ვითა,
შემასმენდა ჯავრიანი, გული ედვა ცეცხლებრ წვითა;
მეფე მწყრალი გარდასწმედდა სახლსა ჩემსა გარდაგვითა,
შვილთა, ღმერთო, დამაჭმევდა, დამქოლვიდა მერმე ქვითა!

„მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს! — მადლსა გკადრებდე მე რასა, —
რომელმან დამხსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა!
აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა,
აღარ ვიშიშვი სიკვდილსა, ჰაი, ჩავიჭერ ქვე, რასა!“

ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, წიგნსაცა აგრე სწერია:
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია;
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია.
ნუღარ იშიშვი იმისგან, აწ იგი მკვდართა ფერია.

„იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაგზავნე შენ ოდეს,
რალაცა გეცნას ამბავი, ანუ რა მისი გსმენოდეს“.
კვლა იტყვის ფატმან ტირილით, კვლა თვალთა ცრემლი სდენოდეს:
„წარხდესო შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს!“

ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა

ვა, საწუთროო, სიცრუით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?
მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი, სად არე!

ფატმან იტყვის: „მომეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა,
სიცოცხლე და სულ-დგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა;
მას უკანით გაუწყვედლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა,
ვერ გავახმე წყარო ცრემლთა, თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა.

„სახლი და შვილი მომძულდა, ვჯდი უგულოთა გულითა,
მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის ლულითა;
უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩს უსჯულოთა სჯულითა,
ვერ მიმიახლოს საახლოდ კრულმან პირითა კრულითა.

„დღესა ერთსა, საღამო-ჟამ, ჩასლვა იყო ოდენ მზისა,
წავდეგ წინა დარიჯაგთა, კარი მიჩნდა ხანაგისა;
ვიგონებდი, სევდა მკლვიდა მისისავე გონებისა,
ვთქვი: «კრულია ზენაარი ყოვლისამცა მამაცისა».

„მოვიდა სითმე ღარიბი მონა მოყვსითა სამითა,
მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა;
სასმელ-საჭმელი მოიღეს, ქალაქს ნასყიდი დრამითა,
სმიდეს, ჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარულნი ამითა.

„მე ვუყურებდი, ვუჭვრეტდი; თქვეს: «ამოდ გავიხარენით,
მაგრა ჩვენ აქა მოყვასნი უცხონი შევიყარენით,

არცა რა ვიცით, ვინ ვინ ვართ ანუ სით მოვიარენით,
ხამს, ერთმანერთსა ამბავი ჩვენიცა ვუთხრათ ბარ ენით».

„მათ სხვათა მათი ამბავი თქვეს, ვითა მგზავრთა წესია:
მონამან უთხრა: «ჰე ძმანო, განგება რამე ზესია:
მე მარგალიტსა მოგიმკი, თქვენ ქვრიმი დაგითესია,
ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან უკეთესია.

«მე ვარო მონა მეფისა მაღლისა, ქაჯთა მფლობლისა;
მათ მიხვდა ცემა სენისა, მათისა დამამხობლისა:
მოგვიკვდა შემწე ქვრივისა, შემწყნარებელი ობლისა,
აწ შვილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი მშობლისა.

«დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია,
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია;
მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია, —
აწ იგი ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე ზის, მორჭმული სწოდია.

«გვესმა ამბავი, ზღვათ იქით სიკვდილი დისა მათისა,
შეიჭირვებდეს ვაზირნი, დაშალეს ქმნა ხალვათისა,
ვითა ვჰკადროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა?!
როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრ-ათასისა.

«როშაქ ბრძანა: «მო-ცა-ვინ-მკლას, მე ტირილსა არ დავხვდები.
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,
შინა მოვალ შოებული, ადრე ზედა მოვესწრები,
მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ცა-ვჰყვები».

«გვითხრა მისთა ხელისათა: «წავალ, თანა წამომყევით!»
წაგვიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩეით.
დღისით, მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით;
დია ვლეწეთ ქარავანი, ლარი ჩვენკენ გარდმოვდევით.

«მინდორ-მინდორ მოვიდოდით ჩვენ ღამესა დია ბნელსა,
დიდნი რამე სინათლენი გამოგვიჩნდეს შუა ველსა;
ვთქვით, თუ: მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა ხმელსა!
დაბნეულნი მივეცენით გონებასა ჩვენსა მსჯელსა.

«ზოგთა ვთქვით: არის ცისკარი; ზოგთა თქვეს: არის მთვარეო;
მას დარაზმულთა მივმართეთ, ახლოსმცა ვნახეთ ბარეო!
შორს მოვუარეთ, მივედით, შემოვადეგით გარეო;
მით ნათლიდაღმა გამოხდა ხმა, ჩვენი მოუბარეო.

«გვითხრა: «ვინ ხართ, ცხენოსანნო? თქვენ სახელნი თქვენნი თქვენით;
გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით!»
ესე გვესმა, მოვადექით, ალყად გარე მოვერტყენით,
პირ-მზე რამე ცხენოსანი გავიცადეთ თვალით ჩვენით.

«ვუპვრიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მაელვარებსა;
მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა;
ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებსა,
კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა.

«კვლა ვეუბენით მას მზესა ტკბილ-მოუბრითა ენითა.
არ მონა იყო, ტყუოდა, ჩვენ ესე შევიგენითა;
როშაქ შეატყო ქალობა, გვერდსა წაუდგა ცხენითა,
აღარ გავუშვით, დაჭირვა ვჰკადრეთ ხელითა ჩვენითა.

«კვლა ვჰკითხეთ: «გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა,
ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?»
მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა.
რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა!

«არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი,
არა არ გვითხრა, ვინ იყო ან ვისგან ნამუხთალავი,
ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა კუშტი, თავისა მკრძალავი,
ვითა ასპიტი, მშვრეტელთა მისთა თვალითა მლალავი.

«როშაქ გვიბრძანა: «ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არ-სათქმელია,
ამისი საქმე უცხოა, საამბობლადცა ძნელია;
ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია,
მით რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია.

«ესე ღმერთსა მისაგვრელად მისად ჩვენთვის მოუცია,
მივუტანოთ არმაღანად, დაგვიმადლებს მეტად დია.

თუ დავმალავთ, დავმჟღავნდებით, მეფე ჩვენი ამაყია,
პირველ — მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია».

«მივემოწმენით, თათბირნი არ კიდე გავაკიდენით;
დავბრუნდით, ქაჯეთს მივმართეთ, მას წინა მოვეკიდენით,
არცა რა ვჰკადრეთ ხელდახელ, არცა თუ წავეკიდენით;
იგი ტირს, ღაწვსა გულ-მდუღრად ჩარცხის ცრემლისა კი დენით.

«მე როშაქს ვჰკადრე: «გამიშვი კვლა ადრე თქვენი მხლებელი;
აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი»
მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მიც წასაღებელი,
თანა წავიტან, წა-ცა-ვალ მე მათი ზედა-მსწრებელი».

„მათ კაცთა დია ეამა ესე ამბავი მონისა.
მე გავიგონე, შე-რე-მშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა,
მენიშნა, ყოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა.
ცოტაი ლხინი მომეცა, მსგავსი დრამისა წონისა.

„მოვიყვანე იგი მონა, ახლოს დავსვი ჩემსა წინა,
ვჰკითხე: «მითხარ, რას იტყოდი? გაგონება მეცა მინა».
მან იგივე კვლა მიამბო, რაცა მუნით მომესმინა,
ამ ამბავმან გამაცოცხლა, სულ-მობრძავი დამარჩინა.

„მე ორნი შავნი მონანი მყვანან სავსენი გრძნებითა:
უჩინოდ მივლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა;
მოვასხენ, ქაჯეთს გავგზავნენ, ვარქვი, თუ: «ნუ დასდგებითა,
მაცნობეთ მისი ამბავი თქვენითა მოქმედებითა».

„სამ დღეს მოვიდეს, მიამბეს, ფიცხლა ებიჯა გზისადა:
«მიუგვრიაო მეფისა, ზღვას იქით წამავლისადა,
ვერვის შეუდგმან საჭვრეტლად თვალნი, მართ ვითა მზისადა,
ქვე დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა ყმისადა.

«როსანს შევრთოთო, — დულარდუხტს მეფესა უბრძანებია, —
ჯერთ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია;
შემოვიქეცვი, შევისძლობ, ვინ ცისა მზედ ნაქებია».
ციხეს დაუსვამს, ხადუმი ერთაი უახლებია.

«ყოვლი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია,
მით რომე გზაა საჭირო, მტერნი საომრად მზანია;
ქვე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია,
დაეყოვნების: წასრულა, ჯერეთ ცოტაი ხანია.

«ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შუა გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია,
მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.

«გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები,
ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები,
ქალაქის კართა სამთავე — სამათას-სამათასები.
გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და, გლახ, რას ები!»"

ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან, მაგარ-ვადამან,
რა მოისმინა, ეამა, სხვად არა გაუცხადა მან,
შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან დანაბადამან:
„ამბავი ჩემი სალხინო მითხრაო ვისმანღა დამან!"

ფატმანს უთხრა: „საყვარელო, კმა ხარ ჩემგან სასურველად,
მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირ-ბნელად,
მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად,
ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?

„მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიდებს ალსა,
მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!"
ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა,
არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.

„იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,

ვითა ხმელსა გაირბენენ წყალსა, წმიდად დააშრობენ,
სწადდეს — დღესა ბნელად იქმან, სწადდეს — ბნელსა ანათობენ.

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.
ავთანდილ მადლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცხელანი,
დიდად მეამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინდელანი“.

გულითა ღმერთსა ადიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი;
თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი;
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩვენი გარდმომფენელი!“

მის ამბისა ცნობისათვის ცრემლით ღმერთსა ადიდებდა.
ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამად ცეცხლსა კვლა იდებდა;
ყმა ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა;
ფატმან ყელსა ეხვეოდა, პირსა მზესა აკოცებდა.

მას ღამე ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა;
ყმა უნდო-გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა,
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა,
გული მხეც-ქმნილი გასჭრია მხეცთავე თანა რბოლითა.

ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად,
შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი სად;
იტყვის, თუ: «მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდია ვისად,
უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად!“

მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრი აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მას ზედა იხარებს მართ ვითა იადონია.
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.

გათენდა. ბანად წავიდა მზე, სოფელს შუქ-ნაკიდები;
დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები,
მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმიდები:
რაცა გწადდესო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდები“.

ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა!“
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა;
მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა,
მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა.

ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის საწვეველად;
ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ პირ-ბნელად;
ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა უმოსელად,
შემოსცინნა: „აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად“.

ფატმან მისსა შვენებასა მეტის-მეტად ჰკვირდებოდა.
მან პასუხი არა გასცა, თავის წინა ღიმდებოდა:
„შეეტყვების, არ მიცნობსო, ეგრე ვითა ყოვნდებოდა!“
თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა გაჰვიდოდა.

პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა მივიდა მისსა შინა,
ღვინო-სმული, მხიარული დაწვა, ამოდ დაიძინა;
საღამო-ჟამ გაიღვიძა, შუქი ველთა მოაფინა,
ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“.

ფატმან მივიდა, ავთანდილს ხმა ესმა მისგან ოხისა;
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა, მო-, ხისა!“
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნოხისა,
ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა.

ავთანდილ ბრძანა: „ჰე ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველ-ნაკბენია,
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია,
ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია.

„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა.
მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-ზარადხანისა.

„შენ გიცი კარგი მოყვარე, ერთგული, მისანდობელი.
შათ უვის ერთი ასული, მზე ხმელთა მანათობელი,

იგია ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი,
მან გამომგზავნა, დავაგდე პატრონი, მათი მშობელი.

„რომე შენ ქალი გყოლია, მე ძებნად მისვე ქალისად
მივლია ყოვლი ქვეყანა მის მზისა მონაცვალისად;
მისთვის გაჭრილი მინახავს, წევს ლომი ფერ-ნამკრთალი სად,
გამცუდებელად თავისად, მის გულისა და ძალისად“.

ავთანდილ ფატმანს ყოველი უთხრა ამბავი თავისა,
ამბავი ტარიელისა, შემოსა ვეფხის ტყავისა;
უბრძანა: „შენ ხარ წამალი ჯერთ შენგან უნახავისა,
ლონე წამწმისა ხშირისა, ყორნის ფრთებრ ნაფუშავისა.

„მოდი და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მათსა რგებასა,
ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა;
ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ქებასა,
ნუთუ კვლა მიხვდენ მიჯნურნი ერთმანერთისა ხლებასა.

„მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნოთ იგივე მონა გრძნეული,
ქალსა ვაცნობოთ ყველაი, ამბავი ჩვენგან ცნეული;
მანცა გვაცნობოს მართალი, ვქმნათ მისი გამორჩეული,
ღმერთმან ქმნას, ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძლეული!“

ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს, მო-, რანი,
დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!“
მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი;
უბრძანა: „ქაჯეთს გაგგზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი!

„აწ გამოჩნდების სახმრობა ჩემთვის შენისა გრძნებისა,
ფიცხლა დამივსე სახმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა.
მას მზესა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა“.
მან უთხრა: „ხვალე მოგართვა ყოვლი ამბავი ნებისა“.

წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი

ფატმან სწერს: „აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორს მყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრზენაო,
სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო,
ბროლო და ლალო — ოროვე კვლა ერთგან შენათხზენაო!

„თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენიე,
მე ეგრეცა ვცან მართალი, მით გულსა მოვალხენიე;
შენთვის ხელ-ქმნილსა ტარიელს ამბითა მოალხენიე,
ორნივე მიხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე.

„მოსრულა შენად საძებრად მისი ძმად-შეფიცებული,
ავთანდილ, მოყმე არაბი, არაბეთს შიგან ქებული,
სპასპეტი როსტან მეფისა, ვერვისგან დაწუნებული;
შენ სწერდი შენსა ამბავსა, ლაღი, ბრძნად გაგონებული.

„ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა,
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?
მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა:
ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ-ა?

„რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე;
მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რამ გაუგზავნე!
შენი ყველა აქამდისი ჭირი ლხნისა გაათავნე,
ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესაფერნი შეგაზავნე!“

ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა:
„ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასაგვანსა!“
მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა.

წავიდა ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეხდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა.

უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა,
მას მზესა ჰკადრა ამბავი მისისა სასურველისა.

ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანი;
იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი,
შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაჟვარდის-ფერად — იანი.

ზანგმან უთხრა: „ვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაჰბნდები?
მე ვარ მონა ფატმანისა, თქვენს წინაშე ნამგზავრები;
ამა წიგნმან გამამართლოს, არ ტყუილად გეუბნები,
მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, ადრე ნუ დასჭნები!“

პირ-მზე გაჰკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა,
ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა.
მას იგი წიგნი მონამან მისცა თავისა ხელითა;
სულთქვამს, იკითხავს უსტარსა, ალტობს ცრემლითა ცხელითა.

მონასა ჰკითხა: მიამბე, ვინ არის ჩემი მძებნელი?
ანუ ვინ მიცის ცოცხალი, მიწასა ზედა მტკებნელი?“
მან მოახსენა: „ვიკადრებ, რასცა ოდენ ვარ მცნებელი,
რა წამოსრულ ხარ, მას აქათ შენგან ჩვენია მზე ბნელი.

„ფატმანის გული მას აქათ ლახვართა შენახევია;
მას რომე ცრემლი სდენია, ზღვათაცა შენართევია;
მე ერთხელ შენი ამბავი მისთვის კვლა მიმირთმევია,
ღმერთსა ვიმოწმებ, მას აქათ ტირილი არ დალევია.

„აწ ვინმე მოყმე მოვიდა შვენიერითა პირითა,
მან უთხრა წვრილად ყველაი, თქვენ ხართ რათაცა ჭირითა.
იგია შენი მძებნელი მკლავითა ვითა გმირითა;
მე გამომგზავნეს, დამვედრეს სწრაფა სწრაფითა ხშირითა“.

ქალმან უთხრა: „მემართლების, ყმაო, შენი ნაუბარი!
ფატმან ჩემი რა იცოდა, ვიყავ ვისი წანაგვარი?
უღონიოდ არის სადმე ჩემი ცეცხლის მომდებარი,
მე მივუწერ, შენცა ჰკადრე, ვარ ვითამცა გულ-მდუღარი“.

პირ-მზე სწერს: „აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!
მისგან ტყვე-ქმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ხედაო?
მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჟთა სხვაცა დამერთო ზედაო,
აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო.

„შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები,
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები,
ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!

„სხვად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგიწერე:
ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე,
მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფე-რე,
რასა ჰქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე!

„ვინცალა ჩემი მძებნელი, მოსრულა, ცუდ-მაშვრალია,
იჭირვის, იწვის, ენთების, ჩემი სწვავს ცეცხლებრ ალია,
მაგრა მას ვნატრი, უნახავს მზე, ამად არ-დამზრალია,
უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია!

„შენ ამბავი არ გიამბე, მაშინ ამად დაგიმალე,
ვერ იტყოდა ენა ჩემი, თავი ჭირთა გავაკრძალე;
გეაჯები, საყვარელსა შემახვეწე, შემაბრალე,
ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შე-ცა-სთვალე.

„მე რომ მჭირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:
მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა.
ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჭორითა,
არ დაგმორჩილდეს, დამქოლე შავისა ქვისა ყორითა.

„გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე განამქღავნია,
მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია;
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,
თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია“.

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი

აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდა ვის ალი!
დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი.

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნავღელსა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

„ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!

„ხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან?
ვეღარ განახე საყვარელი მხიარული მხიარულმან,
ნეტარ, რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე.

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად.

„სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.
ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების!
აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!

„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

„ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: სხვათა მიხვდაო იგი ალვისა ტანითა.
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი.

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა განახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;

მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

„წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა მოშორვებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.
შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად,
ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად.

„აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“.

ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.
თავ-მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,
ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი.

იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მიმავალი,
წამ-ერთ მიხდა ფატმანისსა, დღე იარა არ-მრავალი.
რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი,
ხელ-აპყრობით ღმერთსა მადლობს ცნობა-სრული, არა მთრვალი.

ფატმანს უთხრა: „გამისრულდა ჟამად საქმე საწადელი,
დიდი შენი მოჭირვება ჩემგან არის გარდუხდელი,
წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა შარშანდელი,
ფიცხლა ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსპობ-ამწყვედელი“.

ხათუნმან უთხრა: „ჰე ლომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების,
მოეშორვების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების;
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, ხელი ეგრეცა ხელდების,
თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების“.

ყმამან ფრიდონის მონანი უხმნა, მასთანა ხლებულნი,
უბრძანა: „მკვდარნი აქამდის აწყა ვართ დაცოცხლებულნი,
რაცა გვინდოდა, მისითა სმენითა გაახლებულნი,
ჩვენთა მტერთანი გიჩვენნე წყლულნი მით, ვაგლახ, ლებულნი!

„მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ-ნაცქაფავი;
მე ვერა ვნახავ, ვისწრაფი, გზა ჩემი არს ნასწრაფავი,
მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი,
თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნაალაფავი.

„ჩემსა ზედა დიდი არის ვალი, თქვენგან დანადები;
მადლსა სხვაებრ გარდავიხდი, თუღა ფრიდონს შევეყრები;
აწ წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანაღები,
ამის მეტსა ვერას მოგცემ, ვიცი, ამად გეძუნწები.

„სახლი არ მახლავს, არ ძალ-მაქვს გაცემა საბოძვარისა“.
მისცა მართ სავსე ხომალდი, რიცხვი ტურფათა ჯარისა,
უბრძანა: „წადით, წაიღეთ, გზა წავლეთ მისვე არისა,
ფრიდონს მიართვით უსტარი ჩემგან, ძმად-ნაფიცარისა“.

წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი

დაწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო!

„ჭირნი ვნახენ და მო-ცა-მხვდა ნაცვალი ჭირ-ნახულისა,
კარგა მოხდომა საქმისა ჩემისა გაზრახულისა;
მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა,
დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დამარხულისა.

„იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია.
მუნ მისლვა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია.

ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია,
ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია.

„გულ-მხიარული ვიხარებ, ამად არ ცრემლი მმილდების,
სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების;
რაცა მოგინდეს, უცილოდ იქმთ, იგი არ აგცილდების,
არ თურე კაცმან დაგიდგნა, ვეჭვ, კლდეცა გაგილბილდების.

„აწ შემინდევ, ვერა გნახე, შორს ამისთვის წაგიარე,
გზა-გზა ყოვნად აღარა მცალს, პატიმრად-ა იგი მთვარე:
ადრე მოვალთ მხიარულნი, ჩვენი ნახვა გაიხარე,
ამის მეტი რაღა გკადრო, ძმასა ძმურად მოეხმარე.

„ამა მონათა ჩემზედა გარდაუხდელი გულია:
ამოდ მმსახურეს, თქვენიმცა გული ამათთვის სრულია!
ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენთანა ხან-დაზმულია?
მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.

ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-ხვია მან,
მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და თმითა იამან;
შესთვალა ზეპირ, რაცა ხმდა სრულად, მართ ვითა ჰგია, მან,
მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან.

მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა,
გამოემართა იგი მზე პირითა სავსე მთვარისა,
მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულ-მწუხარისა;
მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა.

ფატმან, უსამ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა,
იტყვიან: „მზეო, რა გვიყავ? დაგვწვენ ცეცხლითა მწველითა!
რად დაგვაბნელენ შენისა მოშორვებისა ბნელითა!
და-ცა-გვმარხენო ხელითა, ჩვენითა დამმარხველითა“.

წასლვა ავთანდილისა
გულანშაროთ და ტარიელის შეყრა

გამოვლნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა რათმე ნავითა,
პირ-მხიარული აცორვებს მართ ოდენ მარტო თავითა;
მას შეყრა ტარიელისა უხარის მით ამბავითა,
ხელ-განპყრობილი გულითა არს ღმრთისა საესავითა.

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.
სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.

აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა;
უბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა“.

რა მოეგონოს მოყვარე, სდინდიან ცრემლნი მწარენი.
ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი,
უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი,
სადაცა ნახნის, დახოცნის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი.

ქვაბნი გამოჩნდეს, ეამა, იცნა, თქვა: „იგი კლდენია,
სადაა ჩემი მოყვარე და ვისთვის ცრემლი მდენია;
ღირს ვარმცა, ვნახო პირის-პირ, ვუამბო, რაცა მსმენია,
არ მოსრულ იყოს, რაღა ვქმნა, ცუდ ჩემი განავლენია!

„თუ მოსრულა, უღონიოდ შინა ხანსა არ დაზმიდა,
მინდორს სადმე წავიდოდა, მხეცისაებრ ველთა ვლიდა;
სჯობს, თუ შამბ-შამბ წავიარო“, — იგონებდა, იხედვიდა,
ესე თქვა და მიუქცია, მინდორთაკე წამოვიდა.

მიაცორვებს და იმღერის მხიარულითა გულითა,
მართ სახელ-დებით უყივის ხმითა მით სახარულითა.
ცოტაი წავლო, გამოჩნდა მზე სინათლითა სრულითა:
შამბისა პირსა ტარიელ დგა ხრმლითა მომახულითა.

ტარიელს ლომი მოეკლა, მით ხრმალსა სისხლი სცხებოდა;
შამბისა პირსა ქვეითი დგა, ცხენი არა ხლებოდა;
ყივილი ავთანდილისი ესმოდა, ეოცებოდა,
შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკე მირბოდა, ხლტებოდა.

ხრმალი გასტყორცა ტარიელ, მიმართა მისსა ძმობილსა.
ყმა ცხენისაგან გარდიჭრა, ჰგვანდა ეტლისა სწრობილსა.
მათ ერთმანერთსა აკოცეს, ჰგვანან ყელ-გარდაჭდობილსა,
ხმა შაქრის-ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა.

ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მჭევრები:
— სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა ტევრები,
ალვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები, —
„რათგან შენ გნახე, რა მგამა, პატიჟი მჭირდეს მევ რები!“

ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა;
გაღიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა;
ეტყოდა: „ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა,
აწ გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჭნებოდა“.

ტარიელ უთხრა: „ჰე ძმაო, კმა ᲐᲐრს, დღეს რაცა მლხენია,
ყოველი ჩემი სალხინო მინახავს, — ნახვა შენია;
სხვად ნუ ყოს ღმერთმან წამალი, არცა რა მოგისმენია:
კაცმანმცა სოფელს ვით პოვა, რაცა რა საქმე ზენია!“

რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დაწყნარდა.
მის ამბისა დაყოვნება ვეღარ გასძლო, აუჩქარდა,
გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთათ ვარდი ვარდა.
რა ტარიელ ნახა, იცნა, გამოუღო, შემოვარდა.

წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გა-ცა-შალა მან,
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერითა მკრთალამან,
სულნი გაიქცეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან.
მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან.

ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს, უსულოდ ქვე-მდებარესა,
შეფრინდა, შველად მიმართა, მას, ტკბილად მოუბარესა,

ვერა ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადებარესა,
მისთა ნიშანთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა.

ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შვენიერითა,
ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა;
გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა,
მუნით წყარონი გამოხდეს, ძოწსა ვამსგავსენ ფერითა.

პირსა იხოკს, ღაწვთა სისხლი ჩასდიოდა მისსა მჭვრეტსა!
„რაცა ვქმენო, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა;
წყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა!
ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა.

„მე მოვკალ ჩემი მოყვარე; რა მმართებს გაწბილებულსა?
თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა!
ცრუ კაცი კარგად ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა,
თქმულა: «სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!»

უცნობო-ქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად ნატუსალისად.
ავთანდილ ადგა, გამოვლნა შამბნი საძებრად წყალისად,
მან პოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად,
მკერდსა დაასხა, გა-ვე-ხდა ლაჟვარდი ფერად ლალისად.

ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა;
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა,
თვალნი აახვნა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა.
ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრთომისა.

ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, —
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან.

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!

ტარიელ ნახა ნაწერი კვლაცა მკვლელისა მისისა,
იკითხავს, თუცა აშეთებს კითხვა წიგნისა მისისა;
დაუყვის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისისა.
ავთანდილ ადგა, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა.

იტყვის, თუ: „ნაქმრად არ ვარგა კაცისა გასწავლილისად,
აწ რადღა გვმართებს ტირილი? ხამს, დავსხდეთ ქმნად ღიმილისად;
ადეგ, წავიდეთ საძებრად მის მზისა წახდომილისად!
ადრე მიგიყვან, მიყვანა არს შენგან მონდომილი სად.

„ვითა გვმართებს გახარება, პირველ აგრე გავიხარნეთ,
მერმე შევსხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,
ხრმალნი ჩვენნი ვიწინამძღვრნეთ. მათნი ზურგით დავიყარნეთ,
უპირველნი შემოვიქცეთ, იგი მძორთა დავადარნეთ“.

მერმე ტარიელ ამბავსა ჰკითხავს,აღარა ბნდებოდა.
შეხედნის, თვალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა,
მართ ვითა ლალსა მზისაგან, მას ფერი ეზარდებოდა;
ვინ ღირს-ა, თუმცა წყალობით ცა მიწყივ მობრუნდებოდა!

ავთანდილს მადლი უბრძანა, ქმნა უყო საუბარისა:
„მე შენი ქება ვითა ვთქვა, ბრძენთაგან საქებარისა!
ვითა ზე-მთისა წყარომან, მორწყე ყვავილი ბარისა,
დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა.

„მე ვერა გიყო, ნაცვალსა ღმერთი გარდიხდის ციერი,
ზეგარდმოთ მისით შემოგზღოს მუქაფა ჩემ-მაგიერი!“
შესხდეს და შინა წავიდეს, მათ ლხინი ჰქონდა ძლიერი;
აწ გა-ვე-აძღო სოფელმან ასმათ, ადრითგან მშიერი.

ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ-ბარგოსანი.
შეხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი, —
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი, —
მაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი.

აქამდის მიწყივ ენახა ქვაბს მისლვა მოტირალისა,
აწ გაუკვირდა დანახვა სიცილით მომღერალისა.

ზარ-აღებული ავარდა, ცნობა უც ვითა მთრვალისა,
არ იცის სმენა ამბისა ჯერთ მისგან სასურვალისა.

მათ რა ნახეს, შემოჰყივლეს სიცილით და კბილთა ჩენით:
„ჰე ასმათო, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით:
ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწადდა, იგი ვქმენით,
აწ გავხედით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჭირთა ლხენით!“

ავთანდილ ცხენსა გარდახდა ასმათის მოსახვეველად;
მან მიჰყო ხელი ალვასა, შტო მოჰყვა მოსარხეველად,
ყელსა და პირსა აკოცებს, არის ცრემლისა მფრქვეველად:
„რა სცანო, რა ჰქმენ, მიამბე, ვტირ შენი მოაჯე ველად“.

ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა ზრდილისა,
ალვისა შტო-დამჭნარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა;
უთხრა, თუ: „ნახე ნაწერი მის პატიჟ-გარდახდილისა;
მზე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშორვება ჩრდილისა“.

ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,
გაკვირდა, ზარმან აიღო, ათრთოლებს, ვითა ხელობა,
ტერფით თხემამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა;
იტყვის: „რა ვნახე, რა მესმის? არსმცა ამისი მრთელობა?!“

ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

ინდოთ მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა;
ერთმანერთსა ეხვეოდეს, სიხარული ატირებდა;
ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპკურებდა:
კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა.

ღმერთსა მისცეს დიდი მადლი, თქვეს: „გვიყოო, რაცა სჯობდა;
აწყა ვცანით, უარესსა პირი თქვენი არ გაბრჭობდა“,
ინდოთ მეფე მხიარული ხელ-განპყრობით ამას ხმობდა.
ქვაბს შევიდეს მხიარულნი, ასმათ რასმე მასპინძლობდა.

ტარიელ ეტყვის ავთანდილს: „ისმინე სიტყვა ასები,
გიამბობ რასმე ამბავსა, მოამბედ ნუ გენასები:
მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე დევთა დასები,
მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები.

„მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მნდომია;
მოდი და გავხსნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია,
ეამა, ადგეს ორნივე, არცა ქვე ასმათ მჯდომია,
დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია.

პოვეს საჭურჭლე უსახო, კვლა უნახავი თვალისა,
მუნ იდვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა საბურთალისა;
ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა!

იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი.
პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი;
მუნ აბჯარი ყოვლი-ფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი,
შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდული, არ-გახსნილი.

ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი ხრმალი ბასრისა, მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!
უმისჟამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო“.

კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი, —
ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი.

თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდიან,
ჯაჭვ-მუზარადსა, აბჯარსა მართ ვერა ვერ მოჰკიდიან;
ხრმალი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან,
მათ უღირს ყოვლად ქვეყანად, შევატყვე, არ გაჰყიდიან.

თქვეს: „ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა;
ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმოთ მონახედითა“.

აიღეს იგი აბჯარი თავის-ცავისა ქედითა,
თვითო მათ, ერთი ფრიდონის საძღვნობლად შეკრეს ღვედითა.

ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები;
გამოვიდეს, გამობეჭდეს ორმოცივე საჭურჭლები.
ავთანდილ თქვა: „ამას იქით დავამაგრო ხრმალსა ნები,
ამას ღამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დავდგები“.

ტარიელისა და ავთანდილისაგან წასლვა ფრიდონისასა

რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა,
ნურადინის ქვეყანამდის შეისვიან მათ უკანა;
მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა;
ავთანდილ კმა ყოლაუზად, სხვამცა ვინღა წაიტანა!

იარეს და ზედა შეხდეს ნურადინის მეჯოგეთა;
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა.
მუნ ავთანდილს ინდო ეტყვის: „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა,
მოდი, ფრიდონს ველაღობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა!

„ჯოგი წავუღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წაღებად,
გამოემართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად,
ანაზდად გვიცნობს, გაკრთების, გულსა შელამის დაღებად, —
ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად“.

დაუწყეს პყრობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა.
მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექმნა, ეკრა კვესებსა;
უყივლეს: „ვინ ხართ, მოყმენო, ვინ იქმთ საქმესა ზესებსა?
ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხრმალსა, არ აკვნესებსა“.

მათ მშვილდები დაიწვადეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს.
მეჯოგენი მიიზახდეს, ხმანი მათნი გაადიდნეს:
„გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვწყვიდნეს!“
ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დარიდნეს.

შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა.
ხმა შეიქმნა, შეიყარნეს, რაზმი ველთა დაჰფარვიდა.
იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზრვიდა;
დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა.

რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ვნახეო, ვინცა მინა“.
მუზარადი მოიხადა, გაიღიმნა, გაიცინა;
ფრიდონს უთხრა: „რასა ლამი, ჩვენი მოსლვა რას გეწყინა?
პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა!“

ფრიდონ ფიცხლა გარდაიჭრა, დავარდა და თაყვანის-სცა, —
იგინიცა გარდაუხდეს, მოეხვივნეს, — აკოცისცა.
ფრიდონ ღმერთსა ხელ-აპყრობით უსაზომო მადლი მისცა;
დიდებულნი აკოცებდეს, იცნობდიან იგი ვისცა.

ფრიდონ უთხრა: „რასა სდეგით? მოგელოდი უწინარე,
მე მზა ვარო, სამსახური თქვენი რამცა დავიზარე!“
ჰგვანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე,
ერთმანერთი დააშვენეს, გაემართნეს, იქცეს გარე.

ფრიდონის სახლსა გარდახდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ახლოს დაისვამს ავთანდილს, მისსა ძმად-შეფიცებულსა;
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო-გარდაგებულსა;
მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა.

უთხრეს: „ჯერთ ჟამად არა გვაქვს სხვა შენთვის არმაღანია,
მაგრა ტურფანი მრავალნი ქვე სამე გვისხენ სხვანია“.
მან დასდვა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია:
„ჩემთვის ამისი ბოძება არს თქვენი შესაგვანია“.

გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა;
აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა,
დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა,
თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა.

უთხრა, თუ: „ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა,
ჰგავს, მომწყენოდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა ვითა ხელისა,

მაგრა აწ ყოვნა არ ვარგა, წავლა სჯობს გზისა გრძელისა,
თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა.

„დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგნი გვინდან და ცოტანი;
სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი;
ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი,
მას ადრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგვკლავს ალვისა, მო-, ტანი.

„ქაჯეთს ერთხელ კვლაც ყოფილვარ, ნახავთ, თქვენცა გემაგრების;
ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების;
თუ იდუმალ არ შეუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების,
მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვყვების“.

იგინიცა დაემოწმნეს ამა მისსა ნაუბარსა.
მუნ დააგდეს ქალი ასმათ, ფრიდონ მისცემს საჩუქარსა.
თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა დარსა.
ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა.

ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან ძმად შეფიცებულთა;
ფრიდონ გზა იცის, იარეს, დღისით და ღამით რებულთა.
ფრიდონ თქვა: „ვახლავთ არეთა ჩვენ, ქაჯეთს მიახლებულთა,
აქათგან ღამით ვლა გვინდა მით არას გამჟღავნებულთა“.

ამა ფრიდონის თათბირსა სამნივე ერთგან ზმიდიან:
რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცხლად ვლიდიან;
მივიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან,
გარე კლდე იყო, გუშაგთა ხმა ჯარვით გაადიდიან.

გვირაბის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია.
მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია;
თქვეს: „ვითათბიროთ, ვითა ვქმნათ, აწ გამორჩევა ძნელია;
ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“.

თათბირი ნურადინ-ფრიდონისა

ფრიდონ თქვა: „ვიტყვი სიტყვასა, ვეჭვ, ჩემი არ დამცდარია:
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ ჟამი საკვეხარია,
ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია.

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

„აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტყორცა საგდებელისა,
მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა,
მას ზედა გავლა ასრე მიჩს, ვითა გარბენა ველისა,
თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა.

„აბჯრითა გავლა არად მიჩს ჭირად, გატანა ფარისა;
შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა,
ლაშქართა დავხოც, გავახვამ, ნახოთ გაღება კარისა!
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“.

თათბირი ავთანდილისა

ავთანდილ უთხრა: „ჰე ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან:
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივიან;
სთათბირობ ძნელსა თათბირსა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან!

„რა გახგიდოდე, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოკსა მოჰკვეთენ, ამისი ხამს დაჯერება;
წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდიღა ფერება,
ეგე თათბირი არ ვარგა, სხვაებრ ვქმნათ თავის ტერება.

„სჯობს, დადეგით დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,
ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა,
სავაჭროთა შეეეკაზმვი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა,
ერთსა ჯორსა გარდავჰკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა.

„სამთავე შესლვა არ ვარგა, თუ გვიგრძნან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შეეტყუები,
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები,
ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!

„შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად,
თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი მსგავსად გმირისად;
კლიტეთა დავლეწ, გავახვამ, დამიდგამს ვერ ქვიტკირი სად.
თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩევლად ამა პირისად“.

თათბირი ტარიელისა

ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,
თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა;
ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმალთა ღირობა,
კაცმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაჭირობა.

„მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
ესე მე დამსერის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.

„მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები:
გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
სამთავე სამგნით მივმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენები;
მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცეთ მძლე ნები.

„ფიცხლა შევებნეთ, შეესჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა,
სამთაგან ერთი შეუვალთ, სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა,

მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა,
ხელი კვლა ვხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლედ ნახმარებსა“.

ფრიდონ უთხრა: „შემიგნია, გამიგია, ვიცი მე რა:
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრებენ კართა ვერა;
ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,
თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა“.

ფრიდონ ლაღი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა.
ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა,
ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა, მათთა მშვენთა,
გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

კვლა ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვახები,
დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები:
გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები,
ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა;
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა;
ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა;
დალიენეს მტერნი ომითა, ვითა მშვრეტელნი ჭვრეტითა.

ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა წვიმდენ ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწვდომნია,
მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია;
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია.
აწ იყურებდით, მსმენელნო, გესმნენ ფიცხელნი ომნია!

სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიმართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები.

პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,
მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულ-ხმიერად;
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად,
მიდგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურნეს ჟამიერად.

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა.

კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირი არ ნახეს კაფისა,
რა ქალაქს შეხდეს, შეიქმნა სიხარკე ციხეს სწრაფისა.

ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი მათნი მოეღვარნეს,
უყიჳლეს და ერთმანერთი ნახეს, დიდად გაეხარნეს,
თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად ჴვრეტად თვალნი არნეს.

ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიერისა.
ციხისა კარსა მიმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა;
მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა,
ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა.

ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული,
თავით ფერხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული,
ცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული“.

გზანი დახვდეს შეკაზმულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,

მუზარადი მოეხადა, შვენის აკრვა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეკდო ყელი ყელსა.

ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს,
აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხარნეს.

მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაკდობილნი.
კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბაგეთათ პობილნი.
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი.

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წყნარითა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა,
ორნივე ერთგან უბნობდეს ამოთა საუბნარითა..

ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს;
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი იშვლეს, ითხეს.

სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა;
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრა ერთ-კერძ უხაროდა;
მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა,
რომე პოვნეს საჭურჭლენი, აწმცა თვალვით ვით ითქმოდა!

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები,
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

სამოცი კაცი დააგდეს ქაჯეთს ციხისა მცველია,
წამოიყვანეს იგი მზე, მათიღა წაგვრა ძნელია;
ზღვათა ქალაქსა დამართეს, თუცა გზა მუნით გრძელია,
თქვეს: „ფატმან ენახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუხდელია“.

ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა

ზღვათა მეფესა წინაშე გაგზავნა მახარობელი,
შესთვალა: „მოვალ ტარიელ, მტერთა მძლე, მოსრვით მსპობელი;
ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი;
მწადიან, გნახნე პატივით, ვითა მამა და მშობელი.

„აწ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადებია;
მეფეო, კარგი ყველაი მე თქვენგან წამკიდებია;
ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია,
ამისად მუქფად რა გიძღვნა? მძულს ცუდი ნაქადებია.

„მოდი, გვნახენ, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე,
სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი, ჩემგან შეიწირე,
კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიპირე,
მე ვისწრაფი, ვერა გნახავ, შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე.

„თქვენ უბრძანეთ ჩემ მაგიერ უსენს, ქმარსა ფატმანისსა,
გამოგზავნოს, ეამების ნახვა მისი ხსნილსა მისსა;
მისგან კიდე ინატრიდა ჭვრეტასამცა სხვადღა ვისსა,
ვინ მზესაცა უნათლეა, ასრე ვითა ბროლი ფისსა!“

რა კაცი ტარიელისა ესტუმრა ზღვათა მფლობელსა, —
წესია, გული გაჰკრთების ამბავსა გასაკრთობელსა, —
მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრჭობელსა,
მაშინვე შეჯდა, არ უნდა მისლვა სხვასაღა მხმობელსა.

ბარგი აჰკიდა, გააგო ქმნა ქორწილისა მათისა,
მას მიაქვს რიცხვი ტურფათა, არ-სიდიადე სათისა;
ფატმან ჰყავს თანა, იარეს სავალი დღისა ათისა;
უხარის ნახვა ლომისა და მზისა, ხმელთა მნათისა.

შორს გაეგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა,
გარდახდეს, მდაბლად აკოცეს, გა-რე-სწყდეს ჯარსა სპათასა;
შეასხეს ქება ტარიელს, მან მადლი გაუათასა,
ქალი რა ნახეს, სტრფიალობს შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა.

ფატმან ხათუნს, მისსა მჭვრეტსა, ედებოდა ცეცხლი ნელი,
მოეხვია, გარდუკოცნა ხელი, ფერხი, პირი, ყელი;
იტყვის: „ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლდა რათგან ბნელი!
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“.

ქალი ფატმანს ეხვეოდა, ტკბილად იტყვის, არ გამწყრალი:
„ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გა-ცა-მწკრალი,
აწ აგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი,
მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ-დამზრალი“.

ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა.
ქაჯეთიცა დაუმადლა, არ გაუშვა დღესა შვიდსა;
უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა,
პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთენ ვითა ხიდსა.

მუნ იდვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა;
ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა,
კვლა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ ხალასისა.

ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა, შემკული თვალითა,
იაგუნდითა წითლითა, ბალახშითა და ლალითა,
დასხდეს ორნივე ქალ-ყმანი პირითა ელვა-მკრთალითა,
მათნი მჭვრეტელნი დაიწვნეს ცეცხლითა მართ ახალითა.

ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი:
ძვირფასისა უნაგირი, უკეთესი თვითო ცხენი,
თვითო კაბა თვალიანი, უცხო ფერთა შუქთა მფენი.
მოახსენეს: „მადლი რა ვთქვათ, სვიანმცა-ა დავლა თქვენი!“

ტარიელ მადლსა გარდიხდის ტურფა სიტყვითა, ენითა:
„დიდად ვიამე, მეფეო, პირველ, ნახვითა თქვენითა,
მერმე, აგვავსენ მრავლითა ტურფა ფერითა ძღვენითა,
ვიცი, შორი-შორ არ-ჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ვქმენითა“.

ზღვათა მეფე მოახსენებს: „ხელმწიფეო, ლომო, ქველო,
მოახლეთა სიცოცხლეო, ვერა-მჭვრეტთა შორით მკლველო,

მსგავსი თქვენი რამცა მეძღვნა, შვენიერო საწახველო!
რა მოგშორდე, რა მერგების, საკვრეტელად სასურველო?!“

ტარიელ ფატმანს უბრძანა: „მე თავი შენი მიდია;
დავ, გული შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დიდია;
აწ რაცა ქაჯთა საკურკლე ქაჯეთით ამიკიდია,
მომიცემია, წაიღე, არ კიდე მომიყიდია“.

ფატმან ხათუნ თაყვანის-სცა, ჰკადრებს მადლსა მეტის-მეტსა:
„მე, მეფეო, ნახვა შენი მიდებს ცეცხლსა დაუშრეტსა;
რა მოგშორდე, რა ვიქმნები? მე დამაგდებ ვითა რეტსა.
ახ, ნეტარძი მოახლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა-მკვრეტსა!“

ზღვათა მეფესა ეტყვიან ორნივე შუქთა მაფენი,
კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი:
„უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშატნი საჩანგ-დაფენი,
მაგრა გაგვიშვენ, წავიდეთ, ჟამია, ვართ მოსწრაფენი.

„შენ იყავ ჩვენი მშობელი და ჩვენი საესავიო,
მაგრა ამასცა ვიაჯით, გვიბოძო ერთი ნავიო“.
მეფემან ბრძანა: „არა მშურს სამიწოდ თქვენად თავიო,
რათგან ისწრაფი, რა გკადრო? წა, გიწინამძღვრდეს მკლავიო!“

მეფემან ნავი-ხომალდი მოკაზმა ზღვისა კიდესა.
გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა,
თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა,
ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა.

გამოვლნეს ზღვანი სამთავე, ერთგან ძმად შენაფიცართა,
კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა, მათ პირველ დანამტკიცართა;
შვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უიცართა,
ბაგეთათ შუქი შეადგის ზედან ბროლისა ფიცართა.

მუნით კაცი ასმათს თანა მათ გაგზავნეს მახარობლად,
კვლა ფრიდონის თავადთასა — ნაომართა მათთა მთხრობლად:
„მანდა მოვა, მოიმაღლებს მზე მნათობთა მამაგრობლად,
ჩვენ, დამზრალნი აქანამდის, აწ გავხედით დაუზრობლად“.

იგი მზე შესვეს კუბოსა, იარეს გზა ზღვის პირისა,
მიუმაწვილობდეს, უხარის მათ გარდახდომა ჭირისა;
მიეიდეს, სადა ქვეყანა იყო ნურადინ გმირისა,
მოეგებნიან, ისმოდის ხმა სიმღერისა ხშირისა.

მუნ მიეგება ყოველი ფრიდონის დიდებულები.
ასმათი, სავსე ლხინითა, ვის აღარ აჩნდა წყლულები,
ნესტან-დარეჯანს მოეჭდო, რომე ვერ გახსნის ცულები,
აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულები.

ნესტან-დარეჯან ეხვევის, პირსა აკოცებს პირითა;
უბრძანა: „ჩემო, ვაგლახ მე, შენცა აგავსე ჭირითა,
აწ ღმერთმან მოგვცა წყალობა, ვცან, მისი არ-სიძვირით-ა;
მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიხდი რითა!“

ასმათ ჰკადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ-დაზრულნი,
ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი,
სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩს, ოდეს გნახენ მხიარულნი“.
სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი.

დიდებულთა თაყვანის-სცეს, მოახსენეს დიდი ქება:
„რომე ღმერთმან გაგვახარნა, კურთხეულ არს მისი ღმრთება!
ჩვენ გვიჩვენა პირი თქვენი, აღარა გვწვავს ცეცხლთა დება,
წყლულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე ძალ-უც განკურნება“.

მოვიდეს და პირი ხელსა დასდვეს, აგრე გარდაკოცნეს.
მეფე ეტყვის: „ძმათა თქვენთა თავნი ჩვენთვის დაიხოცნეს,
იგი შვება საუკუნოს ცხადად პოვეს, არ იოცნეს,
ერთსა მიხვდეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს.

„თუცა მე მათი დახოცა მტკივის და სატიკვარია,
მაგრა მათ მიხვდა უკვდავი მუნ დიდი საჩუქარია“.
ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია.

მუნ ატირდეს ყველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს,
რაცა ვისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით, სულთქმით ახეს;

დადუმდეს და მოახსენეს: „რათგან ბრძენთა მზეებრ გსახეს,
თქვენთა მჭვრეტთა მღერა მართებს, რასათვისმცა ივაგლახეს!

„ვინ ღირს-ა თქვენსა ეგზომსა ტირილსა, შეჭირვებასა!
თქვენთვის სიკვდილი დია სჯობს მიწათა ზედა რებასა".
კვლა ფრიდონ ჰკადრა მეფესა: „ნურათ იქმ გამწარებასა,
ღმერთიმცა მუქფად მოგიზღავს ათასსა გახარებასა!"

ავთანდილცა მიუმტკივნა, ეტყვის დიდსა სიმძიმილსა;
მათ შეასხეს ქება, უთხრეს: „თავნი მივსცნეთ აწ ღიმილსა,
რათგან მიხვდა დაკარგული ლომი მზესა წახდომილსა,
აღარა ვსტირთ სატირალსა, აღარ დავსდებთ თვალთა მილსა".

მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მულღაზანზარია;
სცემდეს ბუკსა და ტაბლაკსა, გახდა ზათქი და ზარია,
დაბდაბისა და ქოსისა ხმა ტურფად შენათხზარია,
მოატყდეს მოქალაქენი, დააგდეს მუნ ბაზარია.

შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია;
შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვს მათ აბჯარია;
მოიჯრებოდეს ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია,
მათად საჭვრეტლად მიშვება მუნ მათგან ნააჯარია.

გარდახდეს ფრიდონისასა, სრა ნახეს მოსაწონები.
გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა მონები,
ფერხთა საფენლად ოქსინო მართ მათგან არს ნაქონები,
თავსა აყრიდეს ოქროსა, ხვეტს ჯარი მუნ ნარონები.

ჭირწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან

მათ ქალ-ყმათათვის საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული,
წითელ-ყვითლითა თვალითა ზედა კეკლუცად ფრქვეული;
ავთანდილისთვის — ყვითელი და შავი ერთგან რეული;
მოვიდეს, დასხდეს; მჭვრეტელი ვცან მათი სულ-დალეული.

მგოსანნი მოდგეს, ისმოდა ხმა სიმღერისა ტკბილისა;
ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვნობა ლარისა ლბილისა
ფრიდონის, პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა;
ნესტან-დარეჯანს უშვენის ღიმილი, ჩენა კბილისა.

მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატისა,
ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა,
კვლა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა,
მას წინა ღამით ძალ-ედვის მხატვრისა ხატვა ხატისა.

კვლა უძღვნა თვითო ფარღული, გარდასაყრელი ყელისა,
მგრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა მრთელისა;
კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭირავი ხელისა,
ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა.

იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხვილითა.
ავთანდილს უძღვნა ყველაი არა სიტყვითა წბილითა.
აივსო სახლი სტავრითა და ოქსინოთა ლბილითა,
ტარიელ მადლი უბრძანა, ლაღმან სიტყვითა ტკბილითა.

ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა;
ყოვლთა დღეთა მიართმიდის უფასოსა ძღვენსა მზასა;
დღე და ღამე არ გასწყვეედდის ჩაღანა და ჩანგი ხმასა.
აჰა, მიხვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.

ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე-ერთ სიტყვები გულისა:
„არს გული თქვენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა,
არ გემუქფების სიცოცხლე, არცა მოცემა სულისა,
მე თქვენგან ვპოვე მოკვდავმან ჩემი წამალი წყლულისა.

„ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,
აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება:
შენ მიდი, ჰკითხე, რა უნდა, მან ქმნას ამისი ცხადება,
ვითა დამივსო სახმილი, ეგრე მისიცა კმა დება.

„უთხარ: «ძმაო, რა გარდიხდის შენგან ჩემსა ჭირ-ნახულსა!
ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!
თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის გაზრახულსა,
არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა.

«აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარები?
ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები;
ტკბილით სიტყვითა გავმართოთ და ხრმლითა საომარები.
თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები»“.

რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინნეს, გაღიმდა, შვენოდა მხიარულობა;
თქვა, თუ: „მეშველი რად მინდა? მჭირს არავისგან წყლულობა!
ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა.

„ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჭმული ღმრთისა ნებითა,
საკრძალავი და უკადრი, ლაღი, არვისგან ვნებით-ა,
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,
მას ზედა შველა რად მინდა, რად მეჭვ რასაცა თნებითა?

„რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომივლენ გულსა სახმილთა ლხენანი;
მაშინღა მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი;
უმისჟამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენანი.

„მიდი და ჰკადრე ტარიელს პასუხი, ჩემგან თხრობილი:
«მადლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ლმობილი?
ვარ მუცლითგანვე დედისათ თქვენად სამონოდ შობილი,
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი.

«გებრძანა: «შეყრა მწადიან საყვარელისა შენისა».
ეგე არს მსგავსი გულისა ლმობიერისა თქვენისა;

მუნა მე ხრმალი არ მიკვეთს, არცა სივრცელე ენისა,
მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა.

«ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:
ინდოეთს განახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
გვერდსავე გიჯდეს მნათობი, პირი ელვათა მკრთომარე,
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნენ, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე.

«რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინლა მივალ არაბეთს, მომხვდენ მის მზისა ხლებანი;
ოდესცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი.
სხვად თქვენგან არა არ მინდა, მძულან რასაცა თნებანი»".

რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვანი ყმისანი,
მან ბრძანა: „მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი.
ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისანი,
ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი!

„მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან არ-ნათნები:
«მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები.
ვეჰვ, მრავალი დამეხოცოს მონა, მისგან საყვარლები,
ვითხოვ ხოლე შენდობასა, ეგეთიღა მოვბრუნდები».

„ესე უთხარ: «ამის მეტსა მოციქულობ ნურას ნუო,
ხვალე წასლვა არ დაეშალო, არცა საქმე გავათუო;
მე არ მიზამს არაბთ მეფე, რომე სიტყვა გავაცრუო,
ამოდ ვსთხოვო ქალი მისი, შევეხვეწო, შევაგუო»".

უამბო ფრიდონ ავთანდილს ტარიას მოციქულობა:
„არ დადგებისო, ცუდია შენგან ცდისაღა თქმულობა".
მას დაუმძიმდა, მოედვა კვლა გულსა კვამლ-ალმულობა.
ასრე ხამს რიდი მეფეთა, ყმათაგან მოკრძალულობა!

ავთანდილ მივა მუხლ-მოყრით ტარიას შესახვეწელად,
ფერხთა ეხვევის, აკოცებს, აღარ შეხედავს ზე წელად,
ეტყვის: „კმა, რაცა შევსცოდე როსტანს წლეულად მე წელად,
კვლა ნუ მიქმ ერთგულობისა გამტეხლად, და-ცა-მლეწელად.

„რასაცა ლამი, არ მოგცემს მას ღმრთისა სამართალია,
გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკადრო მე საქმე სამუხთალია!
მე მისთვის ხელი ვით გავძრა, ვინ ჩემთვის ფერ-ნამკრთალია!
ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია!

„ეგე საქმე მე და ჩემსა საყვარელსა შეგვამდურვებს,
ვა თუ გაწყრეს, გაგულისდეს, კუშტი გულსა შეაურვებს,
ამბავსაცა დამიძვირებს, ჭვრეტისათვის მომასურვებს,
შენდობასა ხორციელი კაცი ვერა დამიურვებს“.

ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან შუქ-ნაფენამან,
ხელი მოჰკიდა ავთანდილს, ამართა, ააყენა მან:
„მიყოო კარგი ყველაი მომართებამან შენამან,
მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლხენამან.

„დია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდობა,
მძულს გაუწყვეტლად კუშტობა და სულ-მძიმობა, დიდობა;
თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემკენ მონაზიდობა,
თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდის-კიდობა.

„მე ვიცი გული საშენოდ შენისა საყვარელისა,
არ ეწყინების სტუმრობა შენისა მე შემყრელისა,
რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხრობა რასაცა ჭრელისა!
ოდენ ნახვისა მათისა ნატრა მაქვს სანატრელისა.

„ამას ოდენ მოვახსენებ მუდარით და შეპოვნებით,
რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით.
რათგან ბოლო შეყრავეა, სიშორესა ვით ეთნებით?
დააშვენეთ ერთმანერთი, თავის-თავის ნუ დასჭნებით“.

რა ავთანდილ ტარიასგან ცნა, წასლვასა არ დაშლიდა,
არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა რთვიდა;
ფრიდონ კაცსა დარჩეულსა სათანაოდ გარდასთვლიდა,
თანა წაჰყვა, განაღამცა მათთანავე გზასა ვლიდა.

სამთაგანვე ქვაბსა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს.

ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი,
თანა მიჰყავს პირი მზისა, ქალი მჭვრეტთა ამაზრზენი,
ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დანათხზენი,
მუნ ბალახშსა აშვენებდეს სინატიფე-სინაზენი.

იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს;
მინადირობდეს, ნადირსა მუნ სისხლსა დაადინებდეს;
სადაცა დახვდის ქვეყანა, მჭვრეტელთა მოალხინებდეს,
მოეგებნიან, სძღვნობდიან, აქებდეს, არ აგინებდეს.

მას ჰგვანდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა;
იარნეს დღენი მრავალნი ლაღთა, ბრძნად მოუბარეთა;
შიგან მათ დიდთა მინდორთა, ყოვლგნით კაც-მიუმხვდარეთა,
სად ყოფილიყო ტარიელ, მიხვდეს მის კლდისა არეთა.

ტარიელ ბრძანა: „მე მმართებს დღეს თქვენი მასპინძელობა;
მუნ მივალ, სადა ყოფილვარ, მჭირდა სადამდის ხელობა;
მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მას უც ხორცისა ხმელობა,
მე რომე გიძღვნი ტურფათა, აქოთ ლარისა ჭრელობა“.

მივიდეს, შიგან გარდახდეს ქვაბსა მას დიდთა კლდეთასა.
ასმათს უც ხორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა-კვეთასა.
ამხანაგობდეს, ლაღობდეს წასლვასა მათ საქმეთასა,
ღმერთსა მადლობდეს შეცვლასა ლხინად ჭირისა დღეთასა.

მოიარეს ქვაბოვანი, თამაშობდეს მხიარულნი,
პოვნეს იგი საჭურჭლენი, ტარიასგან დაბეჭდულნი,
ვერცა ვისგან დანათვალნი, ვერცა ვისგან შეგებულნი;
არ იტყვიან, არა გვაქვსო, იგ ამისთვის გულ-ნაკლულნი.

უბოძა ტურფა მრავალი მათ-მათი შესადარები,
კვლა ფრიდონისნი აავსნა, სპა ჰყვა თუ სპასალარები.
აივსო კაცი ყველაი, მაშინ მათთანა ნარები,
მაგრა ძეს რომე საჭურჭლე, ჰგვანდა კაც-დაუკარები.

ფრიდონს უთხრა: „ვალი შენი ჩემგან ძნელად გარდიხდების,
მაგრა თქმულა: «კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების»;
აწ საჭურჭლე რაზომიცა აქა ძეს და ან იდების,
შენი იყოს ყველაკაი, შენ წაიღე, ვითა გხვდების“.

ფრიდონ მდაბლად თაყვანის-სცა, ჰკადრა მადლი მეტის-მეტი:
„მე, მეფეო, რად გგონივარ უჭკუო და აგრე რეტი?
მტერი ყოვლი ჩალად გიჩანს, ვინმცა იყო ვითა კეტი,
ჩემი ლხინი მუნამდის-ა, ვირე ვიყო შენი მჭვრეტი!“

ფრიდონ კაცნი დააბრუნნა მოსასხმელად აქლემისად,
სახლსა მისსა მისაღებლად მის ყველასა საჭურჭლისად;
აწ მუნითცა გაემართნეს არაბეთით მივლად გზისად,
ავთანდილ-ა გალეული შესაყრელად მთვარე მზისად.

მიხვდეს არაბთა საზღვარსა, რა ვლეს მრავალი ხანები.
დახვდა სოფლები, ციხები, ხშირ-ხშირად, თანის-თანები,
მუნ შიგან მყოფსა ემოსა ტანსა ლურჯი და მწვანები,
ავთანდილისთვის ყველაი ცრემლითა არს ნაბანები.

ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფესა,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, სურვილთა სიიეფესა;
მე მოვალ, მეფე ინდოთა, დარბაზსა თქვენსა სეფესა,
გიჩვენებ ვარდსა კოკობსა, უფრჭვნელსა, მოუკრეფესა“.

„მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა,
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა;
მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა,
დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა.

„აწ ამად მოვალ წინაშე, დავყარენ ჩემნი გზანია,
შემინდოთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნნეთ გაწყრომისა კმანია.

ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია,
ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია“.

რა მიუვიდა მეფესა მახარობელი ჟამისა,
ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა;
თინათინს ღაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა,
ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა.

ტაბლაკსა ჰკრეს და გაისმა სიცილი თქართქარებისა.
ლაშქარნი რბოდეს მი და მო, ქმნა სწადდა მათკე რებისა.
დაიწყეს მოსხმა ცხენისა, მოღება უნაგრებისა,
შესხდა სიმრავლე მოყმისა მკლავ-ფიცხელ, გულ-მაგრებისა.

მეფე შეჯდა, გაეგებნეს თავადნი და სრულად სპანი.
ვისცა ესმის, მოვიდიან მას წინაშე სხვაგნით სხვანი.
ყველაკაი ღმერთსა მადლობს, გაამაღლნეს მათნი ხმანი,
თქვეს: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!“

რა ერთმანერთი აუჩნდა მიგებულ-მოსაგებავთა,
ავთანდილ ეტყვის ტარიელს სიტყვათა დანაზებავთა:
„აგერა ხედავ მინდორთა, მტვერითა შენაღებავთა?
ამად მედების სახმილი, გულსა ეცხელა, ებავთა.

„ისია ჩემბ გამზრდელი და თქვენდა მოგებებულა.
იქი ვერ მივალ, მრცხვენიან, გულსა სახმილი დებულა,
ჩემად არაკად სულ-დგმული კაცი არ გაწბილებულა,
რასაცა მიზამთ, თქვენ იცით, ფრიდონ თქვენდავე ხლებულა“.

ტარიელ უთხრა: „კარგსა იქმ შენ პატრონისა კრძალვასა.
აწ დადეგ, იქი ნუ მოხვალ, იქმცა უჩემოდ ხალვასა.
მე მივალ, ვუთხრობ მეფესა შენგან თავისა მალვასა,
ვეპვ, ღმრთითა ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად ალვასა“.

მუნ დადგა ლომი ავთანდილ, დაიდგა მცირე კარავი.
ნესტან-დარეჯან მუნვე დგას, იგია მჭვრეტთა მზარავი,
მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი,
წავიდა მეფე ინდოთა მისრული, მიუპარავი.

ფრიდონ წაჰყვა. განაღამცა გავლეს ველი დიდსა ხანსა,
ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა, მოხრის ტანსა;
გარდახდა და თაყვანის-სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა,
სდებს პატივსა ინდოთ მეფე, მართ მამისა შესაგვანსა.

ტარიელცა თაყვანის-სცა, მივა კოცნად, სასალამოდ;
მეფე ყელსა აკოცებდა მართ ბაგისა დასაამოდ,
გაკვირვებით ეუბნების, არის მისგან სათამამოდ:
„შენ მზე ხარო, შენი გაყრა არის დღისა შესაღამოდ“.

გაეკვირვა მეფე მისსა თვალადობა-სიტურფესა,
პირსა უმვრეტს გაკვირვებით, უქებს მკლავთა სიალფესა;
კვლა ფრიდონცა უსალამა, თაყვანის-სცა მან მეფესა,
მას მეფესა, ავთანდილის ნახვისათვის მოსწრაფესა.

მეფე ტარიას ქებასა დაჰკრთების, დაეღონების.
ტარიელ ეტყვის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების;
მიკვირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების!
რათგან ავთანდილ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების?

„ნუ გიკვირს მისი ვერ-ნახვა და დაყოვნება ხანისა!
მოდი და დავსხდეთ, მეფეო, ამოა კორდი მწვანისა,
გკადრო მიზეზი მისისა თქვენს წინა ვერ-მოტანისა,
ვიაჯი რასმე, აწ მმართებს მოთხოვა მე ფარმანისა“.

დასხდეს მეფენი, მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა.
ტარიელს პირსა ციმციმი ათქს, უნათლესი ბაზმისა;
ჰვრეტა ახელებს მჰვრეტელთა ყოფა-ქცევისა და ზმისა;
დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა, ბრძნად ნაკაზმისა.

„მეფეო, თავი მემცრობის მე მისად მოსახსენებლად,
მაგრა მოსრული თქვენს წინა ვარ შემომხვეწლად, მქენებლად;
თვით იგი იაჯს, რომელი ჩანს მზეებრ შუქთა მფენებლად,
ვინ არის ჩემად სინათლედ და ჩემად გამათენებლად.

„აწ ამას გკადრებთ ორნივე ხვეწნით და შემუდარებით:
ავთანდილ დამდვა წამალი მისგან თავისა დარებით,

დაპვიწყდეს, რომე პატიჟნი სჭირდეს ჩვენთავე დარებით;
არ გაწყენ, გრძელი ამბავი არს ჩვენგან მიუმხვდარებით.

„თქვენთა უყვარს ერთმანერთი, ქალი მას და იგი ქალსა,
მით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერ-ნამკრთალსა;
მუხლ-მოყრილი გეაჯები, ნუღარ აწვევ იმათ ალსა,
რომე მისცეთ ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-ფიქალსა.

„ამის მეტსა არას გკადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა“.
ამოიღო ხელ-მანდილი, მოინასკვა იგი ყელსა,
ადგა, მუხლნი დაუყარნა, ეაჯების ვითა მზრდელსა.
გაუკვირდა ყოვლსა კაცსა, მის ამბისა მომსმენელსა.

რა ტარიელ მუხლ-მოყრილი ნახა, მეფე შეუზარდა,
შორს უკუდგა, თაყვანის-სცა, ქვე მიწამდის დაუვარდა,
მოახსენა: „ხელმწიფეო, ლხინი ყოვლი გამიქარდა,
თქვენმან აგრე სიმდაბლემან ნახვა თქვენი ჩამადარდა. .

„ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს,
ანუ მშურდეს ქალი ჩემი, საკლავად და ტყვედცა გინდეს;
გებრძანამცა სახლით თქვენით, ცრემლი არცა მაშინ მდინდეს;
სხვა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს!

„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა;
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა;
ვარდი ახლად იფურჭვნების, მე ყვავილი დამებერა,
რადმცა ვჰკადრე შეცილება, რასცა ოდენ იგი ჯერ-ა!

„თუ შეგერთო ერთი მონა, თქვენთვის არცა მაშინ მშურდა.
ვინმცა გკადრა შეცილება, უშმაგომცა ვინ მოგმდურდა!
თუ ავთანდილ არ მიყვარდა, ასრე მისთვის რად მომსურდა?
დია, ღმერთო, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა“.

რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა,
დადრკა, მდაბლად ეთაყვანა, პირსა ზედან დაეფინა.
კვლა მეფემან თაყვანის-სცა, წამო-რე-ვლო, წადგა წინა,
ერთმანერთი მოიმადლეს, მართ ერთსაცა არ ეწყინა.

ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა,
ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა!
წავიდა და წამოუძღვა, მოიყვანა, მოჰყვა თანა,
მაგრა ირცხვის მეფისაგან, შუქი ბნელად მოევანა.

მეფე ადგა, მოეგება; ყმა გარდახდა, რა მივიდა;
ხელთა ჰქონდა ხელ-მანდილი, პირსა მითა იფარვიდა.
მზე ღრუბელსა მოჰფარეოდა, ქუშდებოდა, ვარდსა ზრვიდა,
მაგრა მისსა შვენებასა რამცა ვითა დაჰფარვიდა?!

მეფე კოცნასა ლამოდა, აღარა ცრემლნი სდენიან;
ავთანდილ ფერხთა ეხვევის, შუქნი ქვე დაუფენიან;
უბრძანა: „ადეგ, ნუ ირცხვი, შენ ზნენი გამოგჩენიან;
რათგან მერჩიო, ნუ მერცხვი, გაე, რასაღა გრცხვენიან!“

მოეხვია, გარდუკოცნა მას პირისა არე-მარე:
„დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არ ემარე;
ვინ გიშერი დააჯოგა და წამწამი არემა-რე,
გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკე არე, მარე“.

მეფე ყელსა ეხვეოდა მას ლომსა და ვითა გმირსა,
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უჭვრეტს პირსა;
იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიხვდა, ვითა ღირს-ა.
მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა.

ყმა მეფესა მოახსენებს: „მიკვირს, სხვასა რად რას ჰბრძანებ!
რად არ გინდა ნახვა მზისა, ანუ რადღა აგვიანებ?
მიეგებვი მხიარული, სახლსა თქვენსა მოიყვანებ,
შემოიმოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოივანებ“.

ტარიელსცა მოახსენა; შესხდეს, ქალსა მიეგებნეს,
მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად ღაწვნი ღებნეს,
მიხვდეს მათსა საწადელსა, იგი პოვეს, რაცა ძებნეს,
ხელი ხადეს ხრმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს.

მეფემან ქალს უსალამა, მან შორით გარდახდომილმან.
დაუყვნა თვალნი ელვამან, მისთა ღაწვთაგან კრთომილმან;

გამოეგება, აკოცა კუბოსა შიგან ჯდომილმან,
დაუწყო ქება მეფემან, თვით ვერას ვერ-მიხვდომილმან.

ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,
მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო,
თქვენ საჭვრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო“.

გაჰკვირდეს ყოვლნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა;
ვით მზემან, დაყვნა მჭვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა;
მისგან დამწვარნი მისცნიან გულნი ჭვრეტითა ლხენასა,
სითცა გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი მუნითკენ რბენასა.

შინა წავიდეს ყოველნი, შესხდეს თავისა დარებად,
ჰქონდეს შვიდნივე მნათობნი მის მზისა დასადარებად,
არ მიიხვდომის სიტურფე, არს მათგან მიუმხვდარებად,
ადრე მივიდეს მეფისა სახლად საყოფად, არებად.

შევიდეს, ნახეს თინათინ, მჭვრეტთა მიმცემი ჭირისა;
სკიპტროსან-გვირგვინოსანსა შვენოდა ცმა პორფირისა,
მოსრულთა პირსა შეადგა ელვა მისისა პირისა;
შევიდა მეფე ინდოთა, იგი მზე, მსგავსი გმირისა.

ტარიელ და ცოლმან მისმან ქალსა მდაბლად უსალამეს,
მოეგებნეს, აკოცეს და საუბარი დააამეს,
იგი სახლი გაანათლეს, არ ნათელი შეაღამეს,
ბროლ-ბალახში გააღაწვეს და გიშერი აწამწამეს.

თინათინ ზედა აწვივნა ტახტსა მეფეთა ზეთასა,
ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე, სწადიან ბრჭეესა ბრჭეთასა,
დღეს ტახტი შენი შენ გმართებს მეტად ყოველთა დღეთასა,
მე ლომი ლომთა დაგისვა გვერდსა შენ, მზესა მზეთასა“.

ორთავე ხელი მოჰკიდეს და დასვეს ტახტსა თავისსა,
გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა;
უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოვლსა სანახავისსა,
ნუ ეპვ მიჯნურთა მათებრთა ნუცა თუ რამინს და ვისსა.

ქალსა შესწბა, გაუკვირდა ავთანდილის გვერდსა ჯდომა,
ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე- და გამო- გულმან კრთომა.
მეფე ეტყვის: „შვილო, ჩემგან გაქვს სირცხვილი თუ რა ზომა,
ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა.

„აწ, შვილო, ღმერთმან თქვენ მოგცეს ათას წელ დღეთა გრძელობა,
სვე-სვიანობა, დიდობა, კვლა ჭირთა გარდუხდელობა!
ცამცა ნუ შეგცვლის, მოგხვდების თვით მისებრ შეუცვლელობა!
თქვენით ხელითა მეღირსოს მიწათა შემომყრელობა!“

მართ მეფემან სპათა ბრძანა ავთანდილის თაყვანება:
„ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე — სიბერე ვითა სნება,
ჩემად სწორად მსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება!“

ლაშქარნი და დიდებულნი დადრკეს, მდაბლად ეთაყვანნეს,
მოახსენეს: „მიწად ვექმნნეთ, ვინცა მიწად მიგვიყვანნეს,
მორჩილ-ქმნილნი დაგვადიდნეს, ურჩნი მკვდართა დაგვაგვანნეს,
მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს, გულნი ჩვენნი აგულვანნეს“.

ტარიელცა უთხრა ქებით იმედისა გადიდება;
ქალსა ეტყვის: „შემიყრიხართ, აღარა გწვავს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმაა ჩემი, ეგრევე მწადს თქვენი დება,
ორგულთა და შემცილეთა თქვენთა მე ვქმნა გაფლიდება“.

ჭორწილი ავთანდილისა
და თინათინისა არაბთა მეფისაგან

მას დღე ავთანდილ პატრონად ზის და ხელმწიფე ზენია,
მასთანა მჯდომსა ტარიელს შვენიან სინაზენია;
ნესტანჯარ ახლავს თინათინს, მჭვრეტელთა ამაზრზენია,
ჰგავს, თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ოთხნი მზენია.

დაიწყეს მორთმა პურისა ლაშქართა მის მესავსისა,
ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი მხავსისა,

შეიქმნა ძღვნობა ძღვენისა, მათისა შესამსგავსისა,
მათ ყოვლთა შუქი ანათობს პირისა მზისა მსგავსისა.

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები,
კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები.
მის ქორწილისა მაქები კაცი ბრძენთაგან იქები,
მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, იქ ები!“

მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით, ისმოდის ხმა წინწილისა;
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბალახშისა თლილისა;
მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,
ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა.

არა დარჩა უსაბოძვრო არ კოჭლი და არ საპყარი;
მოდიოდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი;
გაბედითდა წასაღებლად ატლასი და ოქრო მყარი.
სამ დღე იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით მაყარი.

ხვალისა მეფე არაბთა კვლა პურობს, არ ღაფალია;
ტარიელს უთხრა: „შენი მზე საჭვრეტლად სატურფალია.
მეფე ხარ ყოვლთა მეფეთა და ეგე დედოფალია;
ხამს, ყურსა გვეგდოს საყურად ჩვენ თქვენი ნატერფალია.

„აწ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“.
სახელმწიფო საჯდომი და სხვა დაუდგა ტახტი შორად.
ქვემოთ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი მათად სწორად.
პირველ ძღვენი ტარიასთვის მოიღიან, იდვის გორად.

არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არიფობასა,
ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ იხმობს ხელმწიფობასა,
გასცემს და უქებს ყველაი უხვობა-იეფობასა,
ფრიდონ ზის ახლოს ავთანდილს, ჩვეული თვით მეფობასა.

მეფესა ქმრითურთ პატივი ჰქონდა ინდოთა ქალისა,
სიყვარული და ჩუქება, ვით სიძისა და სძალისა;
რომე სძღვნა, არა ეგების თქმა არცა ნაათალისა, —
თვითო სკიპტრა და პორფირი და გვირგვინები თვალისა.

კვლა უძღვნა ძღვენი ორთავე, მსგავსი მათისა ბედისა,
ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა,
კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა,
ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მსგავსი ქედისა.

ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავ-შედგმული,
ცხრა ტაიჭი, ძვირფასისა უნაგრითა შეკაზმული.
ინდოთ მეფე თაყვანის-სცემს ლაღი, ბრძენი, არ მახმული,
მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღვინო-სმული.

რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი.
თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი.
ტარიელს სძღვნიან უცხონი თვალნი ლალისა ქვისანი,
მათ ყოვლთა მათნი ელვანი ჰფარვენ მართ ვითა მზისანი.

ტარიელ ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად,
ავთანდილ როსტანს წინაშე გაგზავნა დასათხოველად,
შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად.

„უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან.
ვეჯვ, მოგცეს თქვენცა დაღრეჯა ჩემმან რასაცა ვნებამან;
წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან,
ადრე კვლა გნახნე მორჭმულნი, ინებოს ღმრთისა ნებამან“.

როსტევანს ეთქვა: „მეფეო, რად ხართ რასაცა რიდითა?
რაცა გიჯობდეს, იქმოდით, გასჭვრეტდით, გაიცდიდითა,
ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა,
თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, და-ცა-სჭრიდითა“.

ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები.
მან უთხრა: „გაე, ნუ უბნობ, შეცევ ბროლისა ყორები,
ახალ შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშორები?“
ავთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მოვიღორები.

„არ, დია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩემად მზრახავად!
«ცოლი უყვარსო, გამწირა», იყო ამისად მსახავად;

მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მევაგლახავად?
კაცსა მოყვრისა გაწირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად!“

ტარიელს უგავს სიცილი ბროლისა, ვარდთა ფრქვევასა;
უბრძანა: „ვიტყვი უშენოდ შენისა უფრო მე ვასა,
რათგან გწადიან, წამომყევ, დამწამებ ნურას თნევასა“.
ავთანდილ ბრძანებს ლაშქართა ყოვლგნით მის თანა წვევასა.

შეყარნა სპანი არაბეთს, აღარა ხანსა ზმულია,
კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია.
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია.
არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნავღელ-ჭმულია.

ერთმანერთისა გაყრილნი ქალნი ორნივე, დობილნი,
ერთმანერთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი,
მკერდითა მკერდსა შეკრულნი, ყელითა გარდაჭდობილნი,
ტიროდეს; მათთა მჭვრეტელთა გულნიცა ესხნეს წდობილნი.

მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა-შეესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ, მოშორდეს, მოეშოროსა;
არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა,
მათად საჭვრეტლად მჭვრეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა.

მათადვე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან,
იგივე გაჰყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან,
ვარდსა სწებვენ და აპობენ, ტირან და ცრემლნი ჩადიან.
მათთა გამყრელთა ყოველთა სიცოცხლე არ იქადიან.

ნესტან-დარეჯან თქვა: „ნეტამც ყოლა არ შემოგმცნებოდი,
მზისა გამყრელი გაყრითა აწ ასრე არ დავჭნებოდი.
ამბავსა სცნევდი, მაცნევდი, წიგნითა მეუბნებოდი,
ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, აგრევ შენ ჩემთვის სდნებოდი“.

თინათინ უთხრა: „ჰე მზეო, შენთა მჭვრეტელთა ლხინებო,
რადმცა გაგწირე, თუ ვითა გაყრასა მოვითმინებო!
ღმრთისაგან დღეთა თხოვისა ნაცვლად სიკვდილი ვინებო,
აგრემცა მივი, რაზომსა მე ცრემლსა დავიდინებო!“

კვლა აკოცეს ერთმანერთსა, გაიყარნეს იგი ქალნი;
ქვე დამდგომმან წამავალსა ვერ მოსწყვიდნა ყოლა თვალნი;
იგი იშვრეტს უკუღმავე, ედებოდეს ამით ალნი.
რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნაათალნი.

როსტან მათითა გაყრითა ხელთაგან უფრო ხელდების,
ათასჯერ იტყვის ვაგლახსა, არ სულთქმა უერთხელდების,
ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქვაბი ცხელდების;
ტარიელ არის დაღრეჯით, ფიფქი ნასდების, თხელდების.

ტარიელს ვარდსა დაუტყლეყს მეფე ხვევნით და კოცებით;
იტყვის, თუ: „თქვენი სიახლე მიჩს აქამდისცა ოცებით;
რათგან მოგშორდი, დავრჩები პატიჟთა გაასოცებით,
შენგან მოგვეცა სიცოცხლე, შენგანვე დავიხოცებით“.

ტარიელ შეჯდა, მეფისა გამყრელი, გამომსალამე;
სრულად ლაშქართა სდიოდა ცრემლი, მინდორთა სალამე:
„მზე შენ გელისო საომრად და თავი შენ მას ალამე“.
უბრძანა: „თქვენთვის მტირალსა ყოლა რად მიჩნდეს სალა მე!“

გაემართნეს და წავიდეს დია სპითა და ბარგითა
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თავითა მეტად კარგითა,
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა,
მივლენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა.

სამ თვე ვლეს, — ღმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ დაბადოსა!
მოეგებნიან, მტერობა ვერავინ დაიქადოსა!
მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა,
ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.

ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა

ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი —
შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი.
მათ პატიჟთა დაავიწყებს ლხინი ესე აწინდელი,
ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი.

თვით ორნივე ერთგან მსხდომნი ნახნეთ, მზეცა ვერა სჯობდეს;
ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს, ქოსნი ხმასა დაატკბობდეს;
მისცა კლიტე საჭურჭლეთა, თავთა მათთა მიანდობდეს.
„ესეაო მეფე ჩვენი“, — იზახდეს და ამას ხმობდეს.

ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტნი დაამზადნეს, —
ზედა დასხდეს ხელმწიფურად, — დიდებანი უდიადნეს;
ღმერთმან სხვანი ხორციელნი მათებრნიღა რა დაბადნეს!
ამბობდიან ჭირთა მათთა, ყველაკასა გაუცხადნეს.

სმა, პურობა, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს;
ვითარიცა ქორწილობა ხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს.
მათ ორთავე თავის-თავის ძღვენსა სწორად მიართმიდეს,
გლახაკთათვის საბოძვარსა საჭურჭლესა ერთგან ჰყრიდეს.

სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხადოდიან:
„თქვენგან გვჭირს კარგი ყველაი“, — მართ ამას მოიტყოდიან,
ვითა პატრონსა სჭვრეტდიან, რაც სწადდის, მას იქმოდიან,
სადარბაზობლად ნიადაგ მათ წინა მოვიდოდიან.

ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს, მისსა შეკვდომილსა:
„რაცა შენ ჰქმენ, არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა,
ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა.

„ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე;
მუნიდაღმა გვმსახურებდი, თავი შენი დაგვამონე!“
ასმათ ფერხნი გარდუკოცნნა: „შენგან-აო ჩემი ღონე,
მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?“

ერთგან სამთავე ძმობილთა დაყენეს ცოტანი დღენია;
თამაშობდიან, უსახო მიუდიოდის ძღვენია:
რა მარგალიტი ღარიბი, რა უკეთესი ცხენია!
მაგრა ავთანდილს სურვილმან დაღრეჯა დააჩენია.

ტარიელ ცნა, ამა ყმასა ცოლისათვის მოესურვა.
უბრძანებდა: „გული შენი განაღამცა მომემდურვა;
აწ ვაგლახ მე, ჭირი შენი გონებამან შვიდით ურვა,
მოგშორდები, საწუთრომან ლხინი ჩემი დამიშურვა“.

კვლა ფრიდონცა დაეთხოვა: „წავიდეო სახლსა ჩემსა,
ზედა-ზედა დავსტკებნიდე დარბაზსა და ამა თემსა;
სამსახურსა მიბრძანებდი, უხუცესი ვითა მრწემსა,
შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“.

მასცა უბოძა ფარმანი: „წა, სახლი მოიარეო,
მე ნუ გამწირავ, მნახევდი, ადრე მობრუნდი გარეო“.
ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცა ვით გავიხარეო?
რათგან ისწრაფი, ნუ გაგვა, მიგელის ლომსა მთვარეო!“

როსტანისთვის წაატანა ძღვნად ტურფები ჯუბაჩები,
კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჩამჩები:
„ჩემ მაგიერ მიუტანე, წაო, ნურას მეურჩები“.
ავთანდილ თქვა: „არა ვიცი, მე უშენოდ ვით დავრჩები!“

ქალსა ქალმან გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე,
რომე ჩაცმა-დაბურვასა ვინ ღირს იყო მათგან კიდე!
ერთი თვალი, — წამღებელმან ვერა თქვას, თუ: «ცუდად ვზიდე», —
ღამე მზეებრ განანათლის, ჩნდის, სადაცა შეხედვიდე.

ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა;
იგი ორნივე გაყრისა დაწვნა ცეცხლისა ალამა;
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა;
ავთანდილ იტყვის: „მომკლაო სოფლისა მე სამსალამა“.

ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი;
გზამან გაყარნა, წავიდეს თავის-თავ ანატირენი;

კარგად მოუხდეს მათ მათნი საქმენი დანაპირენი;
ავთანდილ მიხდა არაბეთს, ნახნა არ ცუდნი ჭირენი.

გამოეგებნეს არაბნი, სამეფო დააშვენა მან;
ნახა მზე მისი, მირიდა მისთა სურვილთა წყენამან;
მის თანა ტახტსა და-ვე-ჯდა, ალხინა მჭვრეტთა ლხენამან;
გაახელმწიფა გვირგვინი ზეცით მოსრულმან ზენამან.

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყლულდეს,
მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა.

ქართველთა ღმრთისა დავითის ვის — მზე — მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

დავითის ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

თეიმურაზ პირველი

წაევგა ქეთევან დედოფლისა

ღმერთო ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო,
ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო,
ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელო, გარდამაქცეო,
არამცა მიმცე სოფელსა, მტყუანია და მაქცეო.

ფათერაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს ცილის წამება,
ფრფინვა ვისცა აქვს შვებითა, ბოლო მისთვისცა წამება.
ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამად არ მექმნას წამება.

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი ადიდოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა,
უხვებით მისცეს გლახაკთა საუნჯე, შეიწყნაროსა,
უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა.

ჰეშმარიტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯული გაათასე,
ჰრელად ენა შეურიე, იგი გაყვენ დასად-დასე,
ჰკვიანი და გონიერი ერთმანერთსა გააბასე,
ჰმუნვით ქებას მით შეგასხამ, მეცნიერთა მწყობრთა დასე.

იესოვ, შენ გეველრები, მარიამ ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია — ამაზედაო,
ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!

ღმერთო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა,
შენ განაწესე ყოველი გული სიღრმითა თმენითა,
მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,
ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა.

ეს ამბავი მისი არის, ვის უხმობენ დედოფლობით,
თავი მისი ქებით წერეს, ოდეს იყო ხმელთა ფლობით,
აწლა ბოლო შემოკლდების, გავერივე მეცა ფლობით,
ღმერთო ჩემო, გეველრები, მაწერინო ხელ-უფლობით.

ოდეს მიენდო შაჰ-აბაზს კახეთის დედოფალია,
ვით მარგალიტი უსახო და უსასყიდლო თვალია,
ადრითგან ქებით შემკული, ნათქვამი ბროლ-ფიქალია,
მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია.

მან უძღვნა ძენი ტურფანი ალექსანდრე და ლევანი,
კვლა ძენი თავადებისა, მზეს მათგან ატყდეს ლევანი,
რომ შეეწყნარა კახეთი, არ ექნა მათზე ძლევანი,
არ გაუგონა, ეწადა მათი სისხლისა ლევანი.

იგი ყველაი წაუხვნა, აო იყო მადლთა მძლეველი,
გაწყრომით იყო დიადად, მოტკბობას აღარ მოველი,
ბრძანა შესხდომა, აივსო ლაშქრით მინდორი, ტყე-ველი,
გაუშვეს, ყოვლგნით დაფანტეს მეალაფე და მრბეველი.

დაარბივეს, ამოწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი,
შირაზ-შირვან-ხვარასნელი შიგ ჩაუშვა მან ლაშქარი.
სადაც ვინმე გარდეხვეწა, ან მოურჩა, მგონ, აქ არი,
სხვა დახოცა, დაატყვევა, წამოვიდა, ვითა ქარი.

ხელ-შეპყრობილი დააგდო იგ განჯას პატიმარია,
სადა ჰყვა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია,
რომ მის მცველებზედ ეხმარა თავისი საკვეთარია,
ბორკილიდაღმე აეხსნა იგ ყოვლთა საქებარია?

კვიპაროზისგან უმაღლე თავს ხედავს ამა ყოფითა,
უნივთო ნივთსა შეეხო ნივთისა კიდე ყოფითა;
მან ცრემლთა მომატყვებელი საქმე ქნა განაყოფითა,
ვითა მეყვისსა შეყროდეს, არ ხანი დანაყოფითა.

არ დააჯერა ამასა მძლავრმან უწყალომ მეფემან,
ქრისტიანეთა მტანჯველმან უბრალოს სისხლთა მჩქეფემან,
ეროდიას წილ მჯდომელმან, არ ლმობიერმან სეფემან,
მან არ შესცვალა მცნებანი სურვილთა მოიეფემან.

რაღას ვაგრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა,
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისასა,
თვალთა სინათლის სანაცვლოდ, შვილებსა სჭვრეტდა მისასა,
ეგვიპტეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა.

არა საქმე არა ჰქონდა, იგი ზარდა წელსა ხუთსა,
მსახურებდის, ვით საწუთრო ხელმწიფესა დანახუთსა.
მათის ჭვრეტით იბრუნევდის სულსა ყელში დანახუთსა;
სხვას წამალსა არ ეძებდის, არ ფაზარსა დანახუთსა.

ხელმწიფისაგან შეესმა ბრძანება უფრო წყრომითა:
„აქა მომისხით ორნივე, მან არ იხაროს რომითა“.
ვარსკვლავნი უკუეყარნეს, მთვარე შეიქნა ცხრომითა,
უნდოდა თუცა ეშოვნა გზა ქვესკნელს ჩასაძრომითა.

მე ვითა ვთქვა უებრომა მონადენთა ცრემლთა ხრანი,
პირსა ხოკით, ღაწვთა გლეჯით, იქით-აქეთ ხელთა ხრანი!
გულსა სევდა შემოაწვის, ამოკვნესით აოხრანი,
იტყვის: „ღმერთო, ეს რა მიყავ, მომივლინე აწ, ახ, რანი?!“

ორთა საფლავთა დასძახდა, მიუჯდა ცრემლით ახავი:
„არ გებრალები, ხვარამზე, გამდელო, ამ დღის მნახავი?
მიწყივ ცრემლ-შეუშრობელი, ჭირსა ჭირზედა მსახავი,
ამ სოფლისაგან გარჯილი, ნიადაგ მისი მძრახავი!

ვა, თქვენ იყვენით აქამდის ჩემის გულისა მდებელნი,
წახვედით, მარტო დამაგდეთ, სულ ქვეყნის ცეცხლთა მდებელნი!
თვალთა წამართვეს სინათლე, დაბნელდეს ცადა მდებელნი,
არ დარჩა სოფლის სასჯელი ჩემზედა მოუდებელნი.

აწ, წავხე, აწ დავიკარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა,
აჰა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა,
სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ, სხვისასა,
ვა, ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭვრეტსა ლევანისასა“.

მას უკანის აღარ უნდის მთვარისა და მზისა ნახვა,
ხელთა ჰქონდის გაუწყვეტლად ტირილი და მუდამ ახვა.
ილოცვიდა, იმარხვიდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა,
ღვაწლი გარე მოიზღუდა, ეშმაკისა არ ჰყო ზრახვა.

რაჟამს შეიქნა უმანკო მუშაკი სათნოებისა,
ნესტვსა ეყნოსა დუმილით საზომი სიწრფოებისა,
სვინდისი თვისი განწმინდა, კდემა არ ეპოებისა,
ამად ამ წიგნსა სახელად ემპლასტროს ეწოდებისა.

დღე და ღამე გაასწორის, ლოცვა ჰქონდის, წიგნის კითხვა,
ევედრების შემოქმედსა, უნდა მისგან განაკითხვა,
არ შესცვალის სჯული მისი, მოიგონის განაკითხ, ვა,
შვილთ ამბავი ენატრების, არა უნდა მას სხვა კითხვა.

„სამას სამოც და ხუთი დღე რა ერთ დღედ შეიყაროსა,
საყვირთა ისმას მაშინ ხმა, სამკვდრეთი აიყაროსა,
სული ყოველთა იქ შეკრბეს, სოფელმან გაიყაროსა,
სულსა რას ვაქნევ, თუ შვილსა მაშინც ვერ შეეყაროსა.

ჰო მე, რა ცუდათ დამაშრო ზრუნვამან ამ სოფლისამან,
ჰო მე, რაღა ვქნა გარჯილმან, ნატრულმან სამოთხისამან,

ჰო ჯოჯოხეთის მლოდნელმან, შიშმან და ზარმან მისამან,
ჰო მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამომიხსნას ისამან?

კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მისთანაც არსა,
კერპობა, ზაკვა, მრუშობა, სიძვანი მისთანაც არ სა?
კვლავ სარეცელსა ალტობდეს, მოზელდეს მითა ნაცარსა,
კრულია მწიკვლის მოყვარე, ვა, რა იქს მისთა ნაცვალსა".

მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელი,
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი,
ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი,
აწღა ისმინეთ სხვაცა ვთქვა ხელმწიფის შემონათვალი.

რა შაჰ-აბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ-ხანსა:
„შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა,
ვირ არ შევსვამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა,
წელსა ათად გავათავებ, მოვიგონებ ხანდის-ხანსა.

თუ მუსურმანი შეიქნეს ეგე ლაღი და ჯანია,
მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია,
მე მურთუზალი მიფიცავს, არ უყო ისკანჯანია,
არა გმოს იესო ქრისტე — მიეცით დიდი რჯანია".

იმამ-ყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია?
ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია,
თეიმურაზის დედასა ვით ეკადრო უკადრონია?"

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,
ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი,
სამს თვესა არ გაუცხადა, ამისი ჰქონდა ჩენანი.

„ვით უამბო, ვით შევკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა,
მე მინდოდა სამსახური, არ უძახდი განაბარსა,
არ ვისმინო, რაღა უყო ხელმწიფისგან დანაბარსა?"
მოციქული გაუგზავნა, არ უვლიდეს მთას და ბარსა.

უბრძანა, თუ: „იახელით, მოახსენეთ მზისა პირსა,
არ იქნების, თუ არ გიზამთ ხელმწიფისა დანაპირსა,
ნუ გძულს რჯული მაჰმადისა, იგი მოგცემს ენა-პირსა,
მორევშიგან ჩანაჭერი, გაგიყვანოს შენ ნაპირსა.

რჯული ეს არის, გვიჭირავს მაჰმადის დანაწესია,
შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწ ესია,
სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია“.

მაშინღა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა
ბრძანა: „თუ რჯული დავაგდო, რას მიმუქფებენ დარესა,
პატივსა ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა,
ან ვინმე ჩემსა სამკვიდროს მომიშვებს, მიმაკარებსა?“

ილოცავს: „ღმერთო, შენ გიცნობ უცნაურ, უხილველსაო,
სასწაულებსა, ნიშებსა ვერ ვიტყვი საკვირველსაო;
ჰე, ბრძანებითა შენითა შესძრავ კლდეთა და ველსაო,
შეარყევ სრულად ხმელეთსა, არ შესცვლი საფუძველსაო“.

„გეევედრები სამებასა, ერთარსსა და თანაარსსა,
შენგან კიდე საესავი არა ვიცი სხვა რა არსა,
სული ჩემი შეიევედრე, ხორცი უწყი სადა არსა,
აწ გაბრიელ მომივლინე, სულთა მცველი, განა არსა!“

„ძლიერო, გიღაღადებენ ორღანოთა და ებნითა,
ძნობითა ინდაურითა, სიტყვითა ბერძნულებნითა,
ძლევით გაქებენ ქადაგნი, რომელ ებრაელებნითა,
ძალგიც შენ ათას სახელი, შენ რა გაგივა ქებითა!“

„უცხოდ რამ შევშინებულვარ მძლავრთა ჰაერის მცველთაგან,
ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველთაგან,
ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ განმიშორებ ხელთაგან,
წამებულნო და წმინდანო, გამომიხსენით ბნელთაგან“.

„ჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,
ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით დგომასა.

იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმაბარე თომასა,
დედაო მაცხოვრისაო, მიმწიე ჩემსა ნდომასა“.

„ვარ ჭეშმარიტად მოსავი შენის უბიწოდ შობისა,
შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა,
ანასებრივი ნაყოფი ვერამ სულდგმულმან შობისა,
აწ შემიწყალე მორწმუნე აღდგომისა და შობისა“.

„ხამს, ღმერთო, ყოვლმან სულდგმულმან ცოდვა შენ აღგიაროსა,
აღსარებითა გადიდებ, მართ დაგივიწყებ აროსა,
რაჟამს განახენენ წერილნი, აღარა დაგეფაროსა.
მაშინ მომხედე წყალობით, რა შიშით დაგეფაროსა“.

„ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლების ენითა,
ჩქერითა არ შესწორდება მდინარე, არცა დენითა,
ჩემს მეტს მოსავსა ნუ უყოს, მე ვარ რასაცა სენითა.
ჩემი განკურნე წყლულება, უფალო, მიხსენ ლხენითა“.

„აქამდის სოფლის ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მეკარსა,
აწ ტვირთი შენი სუბუქ არს, სმენაცა შენი მეკარსა,
სარწმუნოებით ვეძიებ, პეტრეე, სამოთხის მე კარსა,
რომე წყალობით გამიღო, ამისთვის ვირეკ მეკარსა“.

„რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა“.

რა ესე თქვა, შეემთხვია, ქრისტეს სისხლსა ეზიარა:
„მეუფეო, გათათრება ჩემი იყო წესი არა,
გევედრები სული ჩემი ეშმაკს მისცე ესი არა“,
პირსა ჯვარი დაისახა, გავიდა, თქვა მეტი არა.

მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია,
ყოლ არად უჩნდა სასჯელი, თუმცა არს დიდი ჭირია,
ბრძანა: „მოვიდენ მტარვალნი, მათა ჰყონ ერთი პირია,
რომ ჩემი სისხლი იძებნოს, ღვთის წინა ამას ვტირია“.

მივიდეს მაშინ მტარვალნი დედოფლის დანაბარები,
მოიღეს ქალფათინები, შამფურები და ბარები,
ვა, მაშინდელი სასჯელი ვითა ვთქვა საუბარები?
ხორცი ცეცხლთ მისცა, სული აქვს ანგელოზთ მინაბარები.

პირველად ცეცხლი დააგზნეს, მაშიგ ჩაყარეს რკინანი.
მაშინ რაღაცა მოეხვნეს საწველნი სისხლთა მდინანი.
უთხრეს, თუ: „რჯულზედ მოიქეც, დააგდე იგი წინანი,
თვარე სასჯელი ეს არი, რა ნახო, შენცა ინანი“.

რა ეს ნახენ, აუტირდეს ხელი-ერთად მოახლენი,
ყველა ფერხთა ეხვეოდა, პირსა ხელი მოახლენი:
„ნუ გასწირე თავი კარგი, ჯერ უებრო, მოახლენი,
ნუ გაგვყარე მზისა შუქსა, ბნელს ნუ ჩაგვსხი მოახლენი!“

მზემან მხლებელთა უბრძანა: „ეამ ერთ აწ ეწამენითა,
ქრისტეს იესოს ღვთის მადლსა, მოდით, თქვენც ეწამენითა,
თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითა“.
ვა ქალალდისა მოთქმანი ვითა ვთქვა აწ ამ ენითა.

მოთქმიდა: „ნორჩო ალვაო, ტანად ზრო, განა თვალითა,
ხელმწიფობითა გაზრდილო, ტურფაში განათვალითა,
მარგალიტითა შემკულო, მოხდომით განათვალითა,
აქამდი შენმა მჭვრეტელმან რა ვნახე განა თვალითა!“

„ვა არსად გახლავს ლაშქარნი, ჯალაბნი თავადებისა,
თავს გადგენ, ნახონ პატიჟი, სასარჯლოდ ცეცხლი გზებისა,
ახ, ვინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა რა მოხდებისა,
ესდენი რკინა მხურვალე ვის გულსა დაედებისა!“

„სულო, გაუშვი ალაგნი, თვალნო, დააგდენ ბუდენი,
გულო, საძირკვლით აღმოხე, მოირღვენ გარე ზღუდენი,
ტანო, ზე ნუღარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,
ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავი არ სამრუდენი“.

მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოსა ყოფითა,
ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა,

ფარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა,
მოსე ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა.

მაშინ თურმე შესულიყო იგ თინათინ თვალის წამსა,
უბრძანა, თუ: „აქ დამიხვდით, აჰა, ღმერთი ვისაც გწამსა“.
მან შეჰკივლა, ხელი იკრა თავსა, პირსა თვალ-წამწამსა.
რაზომ სხვანი გააკვირვა, ვერ მოშალა: „იგი გვრწამსა“.

მხედართ ხელი ჰკრეს, გააგდეს კარიდაღმ თავშიშველია,
სხვა ღონე ვერ ქმნა, მოივლო მან გარეშემო გველია;
წინ გივი შემოეყარა, იქ თურმე მიმავალია,
წელთა მოიხსნა, მოხვივა თავს შალი საფარველია.

შესტირა: „ვაი რა ვნახე, ეს რა დღე მოვინახია?“
შეიპყრეს ხელთა მნათობი, იგი უებრო სახია,
წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერვინ თქვა სიტყვა მჭახია,
მე ასრე გარ გამომაგდეს, შენ რომე დამინახია.

ასმათი თავ-გაგლეჯილი, მკერდამდი სისხლთა მღვრელია,
რაჟამს გააგდეს თინათინ შემცდარი, ვითა ხელია;
ნობათი მოხვდა, მონახეს მერმე გიორგი მღვდელია,
პოვეს, აჩვენეს ყოველი მას იგ, რაც სატანჯველია.

მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები;
ლახვარნი ანუ სამსჭვალნი, ლურსმანი, რაცა შიშები,
შეკრთა, ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები,
გულსა ჩაეხმო, ვერა ქმნა სასარჯლო ანგარიშები.

შეუზახა: „იმერელო, რად დაგერთო აგრე თრთოლა,
აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა,
განა არვის გარდახდია სასჯელი და ასრე წოლა?
ვინ დარჩება ქვეყანაზედ? — ბოლო გვიჯობს ასრე რბოლა“.

„იცი ხომ, ქრისტეს რა უყვეს, მას სასწაულსა ღვთისასა,
ლერწამი ფრჩხილსა დაავლეს დამხსნელსა ადამისასა,
ლურსმითა ძელსა მიაკრეს, ჰყოფენ ნებასა მისასა,
რად არ იჭირვი, ეღირსო საქმესა წამებისასა?“

რა სასჯელს ვერვინ შემართა, ვერცვინ ქმნა მის ოდნობანი,
რა ხელი ჰყვიან, შეიქნის, თავით ფერხამდინ დნობანი,
რა ქრისტეს ზურგი აქციეს, ქმნეს მაჰმადისა ნდობანი,
რა ესე ჰკადრეს მას მზესა, ვეღარ დაატყვეს ნდობანი.

ახედნა, ერთი სიტყვანი მაშინღა ბრძანა ახითა:
„თქვენც იცით ყოვლი დედანი ვართო ერთისა სახითა,
აუგი არის კაცთათვის, რაც ჩვენ გვეწრფების ნახითა,
მაზედა რაცა ისაჯეთ, ჰქმენით, არა ვარ ზრახითა“.

მერმე გაუბეს ხელ-ფერხი, გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლიჯეს ძუძუნი, დადვეს მხურვალე საჯები,
ბარები შუბლსა შემოსდვეს, ყველა ქმნეს მათი აჯები,
აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა, თქმითა აქ ვისაჯები.

ვა მე, იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი!
მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი,
მე ავაზაკი, შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააპეს ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაყარეს ხორცთაგან ტყავი წინანი,
მაგრა არ გაწყდა ტანჯვისა გულზედა დასაწვინანი.

ჯიღად ქვაბი, ყამჩად ბარი, ამბარჩებად საჯებია,
ვარდად ცეცხლი, ქინძისთვებად შამფურებით ირჯებია,
ჩქიფად გაზი, ბუნბულ-საბნად ლურსმის წვერი ჯაჯებია,
ყოლ ბაღებად გაძაბული თოკით ჰქონდა მაჯებია.

დედობრივისა ბუნებით თავს იდევ ესე ჭირები,
ჰპოვე უკვდავი ცხოვრება საცვიფრო, განსაკვირვები,
მე მამაკაცი, მხნე ვაჟი ასე ამრიგად ვირები,
ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!

მან წმინდამან მას ჟამს იქით არა ყოვნა წამსა ერთსა,
სული თვისი მიაბარა მეუფესა, მისსა ღმერთსა,

სამოთხეში მიელიან ქალწულებში შენაერთსა,
ირინე და მარინეო, იქმენ მათში განაერთსა.

ზეცით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო,
იესო ქრისტე ადიდეს, სრულ ყმაწვილმან და ბერმანო,
გვარჯასპისშვილმან მსახურა, არ ხუცესმან და ბერმანო,
ვისმან მკვლელმან ქმნა მას აქეთ კარგი, ვერც არა ვერმანო.

წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,
სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო მკვდარია,
თქვეს: „ფრანგნი მოიპარავდეს, თუ სად დაეცათ დარია".
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.

ამა წმინდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებოდა,
ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა,
თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა,
არავის მისცა შაჰ-აბაზ, ცოდვითა აივსებოდა.

მალვით მონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარებსა,
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიმროზელთ მწიგნობარებსა,
ლუსკუმაშიგან ჩაიდვეს, უკმევდეს მუშკ-ამბარებსა,
იგი ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუდგის კარებსა.

მათ აწამეს წმინდა ესე სეკდენბერსა ათორმეტსა,
შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა,
საქართველო აღებულა წელს ნაჭამი ათერთმეტსა,
მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი ნათლი სვეტსა.

ღვთისა მიერ მორჩილობა თურე იყო გულსა მათსა,
ამად იყო უვნებელი, დაყოვნებით წელსა ათსა,
მას სიკვდილი ვერ მოჰკლევდა, ღვთის ტრფიალსა მინა-სათსა,
ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა კიბისასა.

ვითარცა ყოვლი საჩინო, ნებროთს გმირობით უხმობენ,
სამისოდ ფილოსოფოსთა და ბრძენთა ენა უხმობენ,
რიტორნი მრავალ-მეტყველნი რა მივლენ, ნახვენ, უხმობენ,
ვერ შეიგნებენ ქებასა, არიოპაგელს უხმობენ.

ვით ითქმის ქება მეფისა, ღვთივ დაცულ, დაფარულისა,
აწ დაუმკვიდრდა დოვლათი ეტლითგან არ ფარულისა,
მას მიენიჭა უფლება ამ საწუთროსა სრულისა,
მოშორება აქვს ვეშაპსა ღრუბელთა მოარულისა.

წერს, იტყვის: „ვა, დავემარხე მე სიკვდილისა წინარე,
ტყვექმნილი, შეჭირვებული, ვიგონებ თვალთა წინარე,
ორისაგანვე გარჯილი გუბე მიდგს ცრემლთა, წინ არე.
ტრედო, მიმიძეღ სიონად, წამიძეღ, შენვე წინ არე".

ესე დღე აღსასრულისა ჟამთა და წელთა ჩემისა,
ვერ განვიწმინდე ცოდვანი სულთა ნუგეშის ცემისა,
ძვირის ვნებითა ვნებული, გინება მისდა ცემისა,
სულთა და ხორცთა გაყრაში, რაღა ვთქვა მის დაცემისა!

ოდესმე წავდგე შიშველი, ქედ დახრით დაყმუნებული,
ოდიდგან ცოდვით მოსილი, არ მადლით გაბრწყინებული,
ორგნითვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკნელ წარდგინებული,
მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღტყინებული.

ჯერ, ღმერთო, არა ვარ ღირსი თვალთა მე ზეცად ახილვად,
ჯეროვნად მზისა, მთვარისა, მაღლისა ცისა დახილვად,
რაჟამს მოვიდეს გაბრიელ ცოდვათა ჩემთა დახილვად,
მას თვალნი ვეღარ შევადგენ, ვიყო კვლავ დაღმა დახილვად.

აწ ესე მიკვირს, რამცა ვქენ საქმენი გასაჩინელი,
მე ვკადრე ხელის მიყოფა, იყო ბრძენთ გასაჩინელი,
თუცა მსუროდა, სევდითა ვიყვენით ცრემლთა მდინელი,
თვარე მას უხმდეს მეტყველად თვით იოვანე სინელი.

თქვენ, გონიერნო, მკითხველნო და ლექსთა შემამკობელნო,
ძნელისა გამომგებელნო, სიტყვათა შემაწყობელნო,
რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნო,
თქვენ შეათავეთ მის მადლსა, მართლისა გამთარგმებელნო.

ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავი,
თქმული ჩემი ვინც შეცვალოს, კარგი იყოს, თუნდა ავი,
რჯულისაგანც შეიცვლების, რისხავს მისი საესავი,
მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს, სულ ეს არი ბოლო თავი.

ვარდ ბულბულიანი

(მესამალი)

ჰე, არსისა შემოქმედო! შენგან არი ყოვლიფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი,
ვერვის ძალუც ხორციელსა ქება შენი შესაფერი,
შენმცა მრისხავ, მოწყალეო, თუ ტყუილად მოგეფერი!

ვიწყო რამე სიტყვა მცირე, ბრძენმან ვინმე ყურად იღოს,
გულისაგან საუნჯისა ვის რა ედვას, გამოიღოს;
ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს.

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა,
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა — წამლად გულისა;
მე გამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,
სოფლისა ავად ბრუნვამან მე ერთობ გამაგულისა.

ფილოსოფოსთ ელენთ სიბრძნე შვიდი არის, გან ექვსული!
ერთი არის რიტორობა, სიტყვათ შეთხზვნა განექსული;
ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას ჩემებრ რამე განლექსული,
უკვდავი ხარ — ცნობა გმართებს, პირუტყვად გაქვ გან ეგ სული?

ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჭობა არ ასმოდეს,
მას იამოს ეს ამბავი, თუ ვისთვისმე ხელი რბოდეს;
ვის მახვილი გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწთოდეს,
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს.

გააუბნა ერთმანერთსა მოლა აჯამ ბრძენთა-ბრძენმან
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული სიტყვა ტკბილი, ენა გრძელმან,

სალხინო და სალაღობოდ, სხვად არასმე შესაძემან;
მიჯნურთათვის გულსა ლახვრად ჭირსა ლხინზე დასაძემან.

შევიწიო ძალი ღვთისა, მე დავიწყო თარგმანობა,
გაზაფხულზე დაიწყების აწინდელი სიტყვის თხრობა;
მზე კირჩხიბზედ გარდაჯდების, შეიქნების ქვეყნად თბობა,
ფრინველთაგან შემღერება, ჭიკჭიკი და ამო ხმობა.

ზღვა დაწყნარდა ღელვისაგან, შეიცვალა ქარ-კეთილად,
ვითა გული გამწყრალისა, დამშვიდდა და იქმნა ლბილად;
მკსინვარება ზამთრისა და ყინვა დადნა, ვითა ცვილად,
ხეთა იწყეს შემოსადვე პირველისა დანაწყილად.

ჰაერიცა შეიცვალა, ჟამ კეთილმან მოაბერა,
მანვე მიწა განაახლა, ვინცა პირველ მოაბერა;
მაქებარად ხელოვნისა გამოჩნდების მოამბე რა,
გამისინჯეთ ლექს ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა!

წელიწადის მოქცევამან მიწის პირი განაახლა,
იგ ოსტატი ხელოვანი პირველ იყო, განა ახლა?
ქარი, მიწა, ცეცხლი, წყალი, ერთმანერთსა თან აახლა,
ცა ყინვაზე, მიწა წყალზე ადრიდგანვე დაასახლა.

გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ჟანგიანი მიწა რეცხოს,
ხენი ხილთა გამომღებლად მიდგომილი დააკვერცხოს,
ამაუბნა ჭიკჭიკითა — ლამის მეცა გამამერცხლოს,
მელექსემან ხამს, თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს!

ვითა ტურფა ახალ-რძალი საწუთროსა დანაზრობდა,
წყლისა პირსა ალვა ნორჩი ტურფად რასმე ტანად ზრობდა;
ყვავილნი და მწვანე მოლნი თავსა მიწით დანაზრობდა,
მზისა შუქთა მომლოდნელი იგ არვისგან დანაზრობდა.

ჯერ ვადიდო, რაც ძალ მედვას, შემოქმედი მისგან ქმნილმან,
მაგრა რა ვქნა — სოლომონცა მცირე რამე უთხრა ძლივ მან;
აწ მოვიქცე პირველსავე ამბავზედან სიტყვა-მცირმან,
საქებელად ძალსა მისსა აღმოხეთქა ნერგთა ძირმან.

დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან,
მოგვართვა სული სურნელი, იგ საყნოსელმა იამან;
თავმოდრეკილმან სიმდაბლით არ თავი გაიზვია მან,
ტკბილად შეხედნა თვალმან და გულისა კარმან ღიამან.

სურნელი და პირად თეთრი გაიშალა იასამან,
ვთქვი: ესე სჯობს ფერად, სულად, დამამდურვა იასა მან;
მას ვერა სჯობს ე რ თ ი რ ა მ ე, ვერ უდარებს, ი ა ს ა მ ა ნ;
ვერ მიუველ მოსაკრეფლად, ვის დაუსვამს ია სამან?

ზამბახმან პირი გაშალა, იგ თავი სრულ მან დახარა,
აგვავსო სურნელებითა, ზედ ყოვლმან სულმან დახარა;
ვთქვი: ჩემთანც მოდი საწოლსა — ბაღშიგან სულ მანდა ხარა,
ვფიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა, ან, ჩემმან სულმან, და ხარა.

რა მოვიდა დრო მოსვლისა, სუმბულიცა მოვა სითმე,
ნახა ვინმე პირად მზემან, თქვა: „ვსჯობვარო ნეტა რით მე!“
უსუნა და თქვა: „ეზომი მე სიტურფე ვით დაგითმე?
შავი ხარ და სულ-ამბარი, ზილფად მინდი, ან დაგით მე!“

ნარგისი მოვა შვენებით, ყვითლითა შემოსილაო.
არ ვიცი, ვის ჰგავს, სით მოვა, ვისი გვარი და სილაო;
მისითა სურნელებითა წალკოტი სულ ავსილაო,
გამდიდრებულა ბაღი და მებაღე არ დავსილაო.

ყაყაჩო და ალღავანი ერთმანერთსა ეუბნების:
— „სიტურფით და შვენებითა, ფერად ვერვინ გვედარების;
სურნელობით გვაჭარბებენ — გული ჩვენი ამით ჭკნების,
მივიდეთ და გავერივნეთ, მათში ნურვინ გამოწყდების“.

სოსანმან უთხრა რეჰანსა:„ ქუფრი გაქვს, თალხი ფერები,
გიგავს რამ მგლოვიარესა, გული ჩანს დანაბერები;
შენ სული გიდის სურნელი ტურფად რამ მონაბერები,
უსული მაქვს და შვენება, მათთან მეც შევეფერები“.

ვით გიამბო რიცხვი, ზომი მათ ყვავილთა გარეგანთა,
სურნელნი და მრავალფერნი, არ თუ მგზავსი ეკალ-ნართა;

თქვეს: მოველით უკეთესსა, მოვა, საქმე წაგვემართა,
ჰფერობს ჩვენი ხელმწიფობა, რად დაყოვნდა, არ მოგვმართა?“

თქვეს: „რა გვექნების უმისოდ ვარდისა მომლოდინესა?
ჩვენ თავი დაგვიც სამონოდ მისთვის, გლახ, ცრემლთა მდინესა“.
მოვიდეს, ნახეს გაშლილი, თქვეს: „ეგზომ ტურფა ვინ ესა?“
თაყვანი სცეს და შეიტკბეს, გაღიმდეს, გაიცინესა.

მათ შუა დასვეს ხელმწიფედ, იგი მისებრივ შვენოდა,
ეგზომი მათი სიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა;
მეფე, გლახა და მდიდარი იშვებდენ, არ მოსწყენოდა,
იგ, მისთვის ხელი, ბულბული თავს ევლებოდა, მღეროდა.

ბაღი, ბაღჩა და წალკოტი შეამკო, დააშვენა მან,
იგ მონად შექმნა ყოველნი თეთრ-წითლად შუქთა მფენამან;
სრულ საყნოსელი აავსო სურნელებისა დენამან,
ვეღარა ქნა რა სევდამან, შეჭირვებისა წყენამან.

ყველამ მომართა სალხინოდ, იგ ვისცა სცალდა, ვის არა,
რცხვენიან ჭირისუფალსა, თვარ შეჭირვებით ზის არა;
შელეწეს ზღუდე, კარები, ღობემან ვეღარ ისარა,
რაღა იციან ღამისა, ან მზისა ამოსვლისა რა?

ბულბულისა რაღა გითხრა მრავალგვარად ყეფა, მღერა,
მისმან ეგზომ ხელობამან ყოვლი სული შეაჯერა;
იგ სულისა დაუღებლად ზახილი და ცრემლთა დენა,
ვარდმან ნახა, ითაკილა, შეუვიდა გულსა წყენა.

მან ერთ-დღე იხმო მებაღე ხალვათად თავის წინარე,
თქვა: „გკითხავ რასმე, მიამბე, თვარე გყო ცრემლთა მდინარე;
ბევრ-მრავალ-გვარად მხმობელი, მითხარ, ეგ ჩიტი ვინ არე?
კვდების, იწვის და იძახის, არვის უნახავს მძინარე“.

„რა მე მოვსულვარ, მას აქეთ ბრუნავს ამ ჩემსა არესა,
დაფრინავს სრულა ხედახე, იძახის, კვნესის მწარესა;
რა გამეღვიძოს, აქ ვნახავ ჩემზედან დამბრუნვარესა,
პირს არ შეიღებს, არ გავლის გარე ბაღისა კარესა“.

„ბევრჯერ მინახავს უსულოდ ეკალთა ძირსა მდებარე,
გავბედავ უთხრა: „დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებარე“.
იტყვის: „ცოცხალვარ, რად მმარხავთ? — გულსა ცეცხლი მწვავს
მდებარე!“
აწ მითხარ: — მე და ეს ბაღი შენს ხელთ ვართ, შენ მოგებარე“.

მებაღე ჰკადრებს: „ტურფაო თვალად, ფერად და სულადო!
იხარებს ყოვლი ქვეყანა, რა მოხვალ კარგ-უსულადო,
მე შენი სამსახური მაქვს ჩემად სიცოცხლედ, სულადო,
მე ვხედავ ამა საწყალსა ჭკვისაგან გარდასულადო“.

„მიბრძანე, მითხარ მართალი — თვარ ვიკადრებდი მე რადო!
შენთვის იწვის და ენთების, პირისპირ გიზის მზერადო;
თავსა გევლების ხელქმნილი, ზედ დაგჩიკჩიკებს მღერადო,
აწ შენცა ჰკითხე, გიამბოს, უბრძანე — „დამკვნეს მე რადო?“

„რა წახვალ, დაიკარგების, რა მოხვალ — მოვა ესეცო,
გაკვდების თავგანწირული, ხედავ, ლახვარსა ეს ეცო!
უსახლკარო და ღარიბი, ცოტა რამ ტანსა ეს ეცო,
რას გერჩის, თვარემ შენ იცი — გავაგდებინო ესეცო!“

„თუ რასმე მკითხავ — დაეხსენ, იყოს ამ შენსა არესა,
ამოა, ტკბილი მხმობელი, ნუ მოშლი ბაღის კარესა,
ბრალია, აქ არ იძახდეს, კაცმან გააგდოს გარესა!“
არ დაიშალა, ბულბულსა სიტყვასა ეტყვის მწარესა.

აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მქისე რამე, არ თუ ტკბილი:
„სადა მე და ან ვინ შენა? — ხელი ხარ და, ან შეშლილი,
ჰყეფ, იძახი დღივ და ღამე, გამიკრთების თვალთა ძილი,
საქმე ხელად აგიღია, ერთობ ძნელი, არ ადვილი“.

რა ბულბულს ესმა, იამა ვარდისა გაუბნებაო:
უზომოს სიხარულითა ვეღარ ზის, ზე-ქვე ხლტებაო:
— „ჩემისა სიკვდილისაგან, მითხარ, თუ რა გერგებაო?
თუ გაგეყრები ცოცხალი, მე სული ამომხდებაო!“

„რად ეგრე უცხოდ გამხადე, ბრძანებ: — „შენ ვინ და მე ვინა?“
ცეცხლსა უშრეტსა უწყალოდ სხვამან ვინ დამაწვევინა?

შენი შეიდი ბულბული კარში რამ გაგაწვევინა?
ნეტარძი, დამხსნა სურვილსა, ცოცხალს არ გამაწევინა!“

ვარდმან უბრძანა ბულბულსა: „უჭკო ვინმე ხარ ხელადო,
იგ შენი ვინმე საფერი სჯობდა აგეღო ხელადო;
უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაჭრილი ველადო,
ხელმწიფეთ სატრფიალოსა რად გამხდი საკიცხველადო?“

ბულბულმან უთხრა: „პირ-მზეო, რად აგრე მომიშორეო?
ეგრე მწარისა სიტყვითა გულში ლახვარი მორეო,
შენს ახლოს ყოფნას არ ვღირსვარ, ეკალში გამაგორეო,
აქ შენს წინ თავსა მოვიკლავ, თუ კიდევ მეტყვი „შორეო!“

ვარდმან თქვა: „შენი სიტყვები მე გულში მეცა დანადო,
მიჯნური უნდა საფერი, — ვინც ნახონ — თვალად, ტანადო,
მე ვარ ყვავილთა ხელმწიფე, ვის ხედავ ჩემისთანადო?
დამეხსენ, თვარ გაცემინებ, სიგრძე მოგეცეს განადო!“

ბულბულმან უთხრა: „საკვდავად მე თავი გამიწირაო,
მე შენი შეკვეთილი ვარ, არ სხვა ფრინველი, ირაო;
მომკლავ, დამარჩენ — მე შენმან სიტურფემ გამაკვირაო,
შენად საფერად დაგმღერი, არ ავად რასმე ვყვირაო“.

ვარდმან უბრძანა: „ღვთის მადლსა, დამეხსენ, გამეცალეო,
გვერც მახლავნ ტურფა ყვავილნი, ამათთვის მომაცალეო;
სტუმრად ვართ, ცოტა ხანი გვიც, ეს ბაღი დაგვიცალეო.
სხვაგან ქენ შენი ბუნაგი, ადგილი გარდიცვალეო“.

აწ გაახშირებს ბულბული ტირილსა, სულთქმა, უშებსა,
იგ სისხლის ფერად ნაღებსა, გლახ, ცრემლებს გარდმოუშვებსა,
ეტყვის: „სად მაგდებ, საწყალსა ტყვესა აწ შენგან უშვებ სა?
მეც ვიცი, შენი შვენება კაცს ცოცხალს არ გაუშვებსა“.

„არ გაგეყრები, ცოცხალი რომ წვრილად დამახევინო,
შენსა ეკალსა ავეცმი, სხვა შტო არ ვიცი, ხე ვინო;
ფეხთ ქვეშ მოგიკვდე, ჩემზედან საყელო გარდგახევინო,
ჩემისა სიბრალულითა სიცოცხლე დაგაწყევინო!“

ვარდმან უბრძანა: „ბულბულო, ვერ გხედავ ჩემსა ფერასა,
ვიც გაწყენ, მაგრამ არ ღირსხარ პირისპირ ჩემსა მზერასა,
სხვაც არის ტურფა ყვავილი, ჩამომეკიდე მე რასა?
ნახე, თუ ჩემისთანასა ალმოანორჩებს მზე რასა“.

„მე თავის ქება მრცხვენოდა, აწ არ დამეხსენ — ვიქებო:
მიწის ნაყოფსა ყოველსა სიტურფით გავაქიქებო;
თასს მოვუხდები სავსესა, ჭიქასა მე ვაჭიქებო,
მჭვრეტელნი გულსა ეტყვიან: „ესე სჯობს, მასთან იქ ებო!“

„მეფენი და ხელმწიფენი ნატრით თავსა გარდმიყრიან,
რა მე მნახვენ, გულისაგან შეჭირვებას გარდიყრიან,
დაიმონის სულმან ჩემმან, ბაღით არსით გამიყრიან,
სხვა ტურფა რამ სანახავი ჩემგან კიდე აი, ყრიან!“

„ხელნი ხელქმნილსა მადრიან, მიჯნურნი — სამიჯნუროსა,
ჩემზედ შეითხზვნენ რიტორნი სიტყვასა მათებუროსა;
ვინ თავს დამირჭობს, არა მშურს გვირგვინი მათ ებუროსა,
ნახე, სული და წამლობა თუ ვინმე გამომწუროსა!“

„კეკლუცნი ღაწვთა მნათობსა შემირჭმენ, ზედან მიდებენ,
უნდათ, რომ იყვნენ ჩემთანა, მითვისტომებენ, მიდებენ;
მაგრა ცუდია — მნახავნი უტურფესობას მიდებენ,
„გვავს, მაგრა კიდევ შენ სჯობო“, — მე ამით გულსა მიდებენ“.

„აშიყ-მაშიყნი რა ჟამად ერთმანერთს შეეყრებოდეს,
ხელთ უჭირავარ ორთავე, წოლად რა წაეყრებოდეს;
უჩემოთ არცერთი ვარგა, რა დაწვნენ და ეყრებოდეს,
მათსა საწოლსა, საჯდომსა ქვეშ სხვა ვინ წაეყრებოდეს?“

„ქალნი ტურფანი, კეკლუცნი ჩემთვის წალკოტად მორებენ,
დამკრეფენ ბროლის თითითა, ეკალსა მომაშორებენ;
სურნელს უბესა ჩემითა ავსებენ, ამოყორებენ,
ჩემს მიდამოსა ლხინობენ, თამაშობენ და გორებენ“.

„არ ჩამომეხსენ, მე თავი, მგონია, მაქებინეო,
შენ არ იცი და მე ვიცი, სადაური ვარ, ვინეო;

სად იყო ჩემი სამყოფი, პირველ.სად მოვილხინეო,
შე ბრძანებითა ღვთისათა სამოთხით მოვივლინეო“.

ბულბულმან უთხრა ტირილით, ცრემლით აავსო გობანი:
„დია გმართებს და გშვენიან ყოვლითურთ ქება-მკობანი:
მაგრამ წესია კეკლუცთა მიჯნურზედ ამაყობანი,
ყმობაცა აღარ მაღირსე, არ თუ ამხანაგობანი!“

„აწ მიწაშიგან ჩამაგდე, დიაღ, ცად გაიწიეო,
მე გვარად ინდოური ვარ, შენთვის აქ მოვიწიეო;
შენისა სიყვარულითა, ხედავ, რომ დავიწვი, ეო,
ცემა მიქადე, გაგდება, გვერცა არ დამიწვიეო“.

უცხო ვარ, უამხანაგო, არ ცუდი ვინმე ჩიტია,
იადონი და მერცხალი — ვერა ხმობს ჩემთან — გვრიტია,
ფერად-ფერადი ჩემი ხმა ვერც სასმენელმან იტია,
აწ მომკლა შენმან სურვილმან, საკვდავად შემომიტია“.

„მე სახაფიფო ყოველთა სათქმელად გამოსულია,
უწყალოდ შორს დაჭერითა მე ამომართვი სულია;
საჭვრეტლად აღარ მიმიშვი, არცა მკარ შენი სულია,
შენად საქებრად მხმობელი ვერც მაშინ დამასულია!“

„ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა, მოშაირეთა,
სპარსთა, ინდოთა, ქართველთა — ცნობილთა, არ თუ ვირეთა —
შენად მიჯნურად დამწერეს ჩემთვის არ დამაძვირეთა,
თუ არ გფერობდი, რისთვის გთქვეს, მათ ვინ დაუყოფს პირებთა?“

„შენც იცი — ჩემი ამბავი არ ახალია, ძველია,
შენი ქება და დიდება ვიძახი — არ დამელია;
შემოგფრინავ და შემოგმზერ, გლახ, გული გარდამელია,
ამდენი უსამართლობა გეკითხოს — მე მოველია!“

„რა გნახეს, გიხმეს ყოველთა ყვავილთა უტურფესადო,
შენად უფერად მიჯნურად, ნეტარ, დამწერეს მე სადო?
ეგზომ მოთქმა და ზახილი, მგონი, მეყოფის კენესადო,
დამწვი, გამხადე აბედად, შენ იქმენ ჩემად კვესადო!“

ტირილით ხმობდა: „მარგეთ რა, მოდით, მიჯნურნო, მორებით,
წყლული მინახეთ ულხენი, იგ რომ თქვენცა გჭირსთ სწორებით;
ჩემგან ისწავლეთ ხელობა ახლო, ნუ ერთობ შორებით,
ვერა მარგოთ რა — დამმარხეთ, საფლავად მიმაგორებით“.

„ეს ვის ასმია სულდგმულსა — ხელს უთხრას: „ნუ ხარ ხელიო!
ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა — ნუ დაგეწვების ყელიო,
გატირებ სისხლის ცრემლითა — ღაწვნი ნუ გაქვან სველიო,
წადი და სხვათა უჭვრიტე — ჩემთან ხარ ნუ მომსველელიო“.

„მე წამეკიდა ეს ჭირი სხვათა მიჯნურთა მეტადო,
ვისთვის მოვკვდი და ვეწამე — აღარ მიმიშვა ჭვრეტადო;
მე ამას დავჯერებულვარ — პირსა გიჭვრეტდე რეტადო,
ისწრაფი ჩემსა სიკვდილსა ნაცვლად ცეცხლისა შრეტადო“.

თქვა: „ნეტარ, მომკლა, როდესცა მაჯა ვერ მცემდეს და მარა,
საკაცეზედან დამაკრა — ეს ბაღი ისე დამარა;
ეკალთა ძირსა დამმარხა, მე დამძრა იქიდამ არა,
ვერ მომეხმარნეს მოყვასნი — ძმამან რა მარგო, დამა რა?“

ვარდმან თქვა: „მესმა, ბულბულო, შენის სიტყვისა მიგება,
მეწყალვი, ვნახე, გლახ, შენი ჩემთვის ლახვარზე მიგება;
მაგრამ არ გმართებს შენ სხვათა მიჯნურთა თვალის მიგება,
შენსა ულირსსა საქმესა წინა მისწრობა, მიგება“.

„მე ერთი ტურფა, უებრო ვარ ყოვლთა საქებარადო,
მთას ავყვავდები მას უკან, როდეს მომკრეფენ ბარადო;
თეთრი ვარ ბროლის უთეთრე, ყირმიზი — ლალის გვარადო,
საჭვრეტლად შვენიერი ვარ, სურნელი მუშკ-ამბარადო“.

მერე ეს ჰკადრა: „აწ შენი სიკეთე გამაგონეო,
ამისად შესადარებლად შენც თავი მომაწონეო,
შენი და ჩემი საქმენი გასინჯე და აწონეო,
თუ ჩემს თავს არა ღირს იყო, დამეხსენ, ჩემო ღონეო!“

ბულბულმან სულთქნა საბრალოდ, ამოიკვნესა მწარენი,
ცრემლი დასთხია თვალთაგან სისხლის ფერისა დარენი;

მისის სულთქმისა კვამლითა სრულ დაწვა იგი არენი,
ვითამც თქვა სიტყვა ამაყი, იგ არ თუ სამუდარენი!

უთხრა თუ: „თავი არ მომაქვს მე შენად საკადრისადო,
ერთიცა არ დამცდომია, მანდეთ ლახვარი მკრი სადო;
ხამს სიბრალული გაქონდეს შენთვის უწყალოდ მკვდრისადო,
ბრძანე, თუ ფილოსოფოსთა შენთვის არა მთქვეს, ვისადო?“

„ვითა შენ სხვანი ყვავილნი, ვერ მედარების მე ჩიტი,
შენზედ ვილოცავ, არ ვიცი მაქა, მადინა, მეჩიტი,
შემოგფრინავ და შემოგმზერ, პირდაპირ ჩამოგეჩიტი,
შენთვის ვიძახი, შენს მეტი სხვა გზა არ ვიცი — გეჩიტი“.

„შენმან სურვილმან დამლია, თვალ-ტანად დამანასაო,
თვარე ფრინველსა ათასსა მე ვჯობვარ არ თუ ასსაო!
დავსწყევლი ჩემსა მშობელსა, მამასა, იმ ანასაო,
შენ სიკვდილისა სასმელსა, ვიცი შემასვამ თასსაო!“

„ყვავილში შენ ხარ ღარიბი, ფრინველში — მე ვარ, მგონია,
დაგვწერეს აშიყ-მაშიყად, მგონი, თქვენც გაგიგონია;
ესეოდენი უცხო ხმა შენს ეშყზე მომიგონია,
შენს ეშყზე მოვკვდე, წავეგო — იგ ეგრე მო იგონია!“

„მკვრელნი, მთქმელნი და რიტორნი, მგოსანნი, მოშაითენი,
„ვარდ-ბულბულს“ გაიძახიან ყოველი სული იმთენი;
აწყა დამიწყე წუნობა, გამცრიცე, გამაყვითენი,
შენი ბრალია, შემშალე, თეთრ-წითლად პირი მითენი“.

ვარდმან უბრძანა ბულბულსა: „შენს ლაყაბს ვინ აუაო?
ხმა და უსული კარგი გაქვს, არა ხარ ხარაბუაო,
შენმან ეგზომმან ზახილმან მე ერთობ დამაყრუაო,
თუ ერთხელ წავიკიდებით, ვინ ჩამოგვივა შუაო?“

„მელექსეთაგან ნათქვამი სიტყვა მოიღე პირადო,
დაგწერეს ჩემად მიჯნურად — არ მიმაჩნიხარ ჩირადო;
რუსთველმანც მაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო,
შორს წადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რადო?“

„იგ ახლოს მყოფთა მიჯნურთა ზრახვა არ დააკლდებაო,
შენ ვერას ირგებ, შემრჩება მე ცუდი მოყიენებაო;
არ შეადგების სააოდ იგი, ვინ ვისთვის კვდებაო,
წადი და იყავ მშვიდობით, გეყოფა ცეცხლთა დებაო!“

ბულბულს რა ესმა, ცრემლთაგან დააყენებდა მორევსა,
— „რად მეტყვი, სულთა წამღებო, სიტყვასა მოსაშორევსა?
„სხვა გიყვარდესო“ — ეგ სიტყვა გულში ლახვარსა მორევსა,
შენსა ეშყსა და სურვილსა სხვისა ვისიმცა მორევსა?“

„ეგზომს ხანს შენი ხელქმნილი სხვაგან სად უნდა წარევდეს?
ხამს, თუმცა სხვათა მიჯნური შენს სიტურფესა წარევდეს;
შენი მძებნელი, გლახ, შენთვის თავს უნდა გაიმწარევდეს,
შენისა მოკრეფისათვის ხელსა ეკალში წარევდეს“.

ესე თქვა, დაბნდა, უსულოდ ეკალში დანამცემობდა,
მას უბედურსა, საწყალსა გულზედან დანა მცემობდა;
ვარდს შეებრალდა, რა ნახა, თვალს ცრემლი გარდმომცემობდა,
წყალსა ასხემდა გულზედან, ძლივ ჭკუას მონამცემობდა.

უთხრა: „რად შემიქ, ბულბულო, შენის სისხლისა მზღვეველად?
სხვანიც ყოფილან მიჯნურნი არ შენებრ დასაწვეველად,
არ ჩამომეხსენ, არ ვიყავ შენი მე აქა მწვეველად,
მოჰკვდები, — ცოდვა მომხვდების, — ვიცი, თუ გაგაგდო ველად!“

„ნება დამირთავს, აწ იყავ ბაღისა ამ მიდამოსა,
მას ადიდებდი, ყვავილნი ვინც ასე ტურფად დამოსა;
გაიცდიდ და სინჯევდი თეთრ-წითლად, ყვითელ-მწვანოსა,
შენიმც ბრალი აქვს, ვინც შენი გაგდება შეიწამოს!“

ბულბულს რა ესმა, გაცოცხლდა, უძრავად აღარ ბნდებოდა,
სიკვდილისაგან დახსნასა, სიცოცხლეს იმედებოდა;
სისხლისა ცრემლი შეაშრა, ცეცხლი არ ისრევ სდებოდა,
ვარდსა დაუწყო ყველაი — მის შესაფერად მქებობდა.

თქვა: „შენ მან მოგცეს მუქაფა, ვინ ეგრე ტურფად გშენაო,
სალხენად ყოვლთა სულდგმულთა შეგამკო, დაგაშვენაო;

სიკვდილს შომტაცე, სიცოცხლე მიბოძე იგ აქ შენაო,
დამწყვიტე დენა ცრემლისა, სულთქმა, კვნესა და ქშენაო!“

„შენით შვენის და იხარებს წალკოტი, ბაღჩა ბაღადო,
ღმერთმან დაგბადა ყვავილთა თუ არ ხელმწიფედ, რაღადო?
შენი გაყრა და შორს ყოფნა აღარ დამასვი დაღადო,
მუსიკთა ყოვლთა უტკბოსად მე შენი ქება ვღაღადო!“

„რომ არ გამწირე სიკვდილად, აღარ გამაძე გარე მე,
შენს მიდამოსა მამყოფე, იგ არ გაჭრილი მარე მე,
არ მომიშორე, თუცაღა ახლო ბრ მიმიკარე მე,
ფერი, სული და სიტურფე ვეღარას შეგიდარე მე!“

„დაგბრუნავ, თავსა გევლები მე შენი ყურბან-სადაღა,
შენ შემოგწირე საკვდავად გული დამწვარი, სადაღა,
შენთვის მკვდარი და ტყვექმნილი, ნეტარ, წავიდე სადა ღა?
შენთანა ჩემად პატრონად, ნეტარ, ვიშოვნო სად აღა?“

„რამდენს ხმას ვიცვლი, ეგზომსა შენს სიტურფესა ვთვალაო,
შენთვის ხელქმნასა, დაწვასა ვიძახი, არ დავმალაო;
გაშლილსა გნახავ — დავიწვი, რა პირსა გაილალაო,
ხმა-მაღლა შენსა მქებელსა გარეგან რასთვის მლალაო?“

„გავცოცხლდები ერთ-წელ-მკვდარი, რა დრო მოვა შენი ფასლი,
თავს დაგიწყებ შემოვლასა, სულს ამოსვლას აღარ ვაცლი;
უსულსა და ტკბილსა ხმასა საქებარად შენზედ დავსცლი,
შენს ჭვრეტაზედ სამოთხეში ყოფასაცა მე არ გავსცვლი“.

„დღე დამელევის მაშინვე, ოდეს დაიწყებ ლევასა,
გული ვერ გაძლებს ქვაქმნილი შენის გაყრისა ლევასა;
მაშინ დაიწყებ უძღებად ჩემის სისხლისა ლევასა,
მე დამიმკვიდრებ გულისა სევდასა, იგ მალე ვასა!“

„წავალ და დავიკარგები, შიგან ჩავჯდები ყანასა,
თუ ხელს მოვჰკიდებ, უცილოდ ზედ დავეხევი დანასა;
ვეცადო, არვინ მაღირსებს შენ-თანა წამოტანასა,
არ მოვინდომებ უშენოდ იქიდამ ამოყვანასა!“

„თვალით არას დავინახავ, შევიქნები უტყვი, მუნჯი,
ვირ არ მოხვალ, მე სოფლისა სიყვარულსა არ ვიუნჯი;
მე ბულბულად ველარ მიცნობს თათარი და ვერცა გურჯი,
სიკვდილისა მონატრესა მიწა მინდა ერთი ბღუჯი“.

ვარდმან უბრძანა პასუხი ტკბილი და არ გამწყრალები:
„სიტყვა იხმარე მსმენელთა საბრალოდ, შესაწყალები;
მიჯნურად ერთობ კარგი ხარ, გულსა გჭირს დასაბრალები,
მთქმელი ხარ ერთობ უებრო, ხმა გაქვს არ დასამალები“.

„ვითამც თქვეს ფილოსოფოსთა, საქმე რამ შეგიდარესა,
ერთს საქმეს ვერ ვემოწმები იგ მათგან ნაუბარესა;
მხედავ სადაც ვარ — ვაშვენებ იგ ყოვლსა არემარესა,
ამას კი ვიტყვი, ვერ გხედავ თვალ-ფერად ჩემსა დარესა“.

ბულბულმან მისი პასუხი ველარ თქვა, ენა დაება,
სიახლოვითა ეფონა ცოტა რამ ჭირი და ვება;
ამა სიტყვაზედ გარდაწყდა მათი ბრძოლა და დავება,
მეც მომეწყინა ტყუილი ეს ცუდი გალაყბაება.

თქვას, თუ ვინმე: — „რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა?“
ესეც მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?
რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?
რაც მასმოდა მათგან, მეც ვთქვი, ლექსი არსად დამეხვანჯა.

ჰე, ღმერთო, დაუწყებელო, უკვდავო, დაუბერაო,
არარსის არსად მომყვანო, უსულოთ სულთა მბერაო,
ვინ უწყის — მოსეს, ელიას მთაზედან უამბე რაო?
ცრემლნი პეტრესნი მომმადლენ, იუდად ნუ გამბერაო!

შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი,
რომელმან ცითა უწვიმე და დარი მოეც მზიანი;
ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხვა იცი გვიანი,
ვაიმე, ცუდის ლაყბითა, თუ სული დავაზიანი!

შედარება გაზაუსულისა და შეთოდგოლმისა

ღმერთო, რომელსა გაქვ ბენ ზეცისა ძალთა კრებული,
ქვე კაცნი — სამოელისგან სამოთხით გამოძებული;
მამა ხარ, სული ცხოველი, ძე თანაარსი ქებული,
სიტყვა უქმისა პატიჟად ცეცხლი არ მომხვდეს გზებული.

ენა ლოცვაზედ დამეშრო, სჯობდა ცუდ მიდ-მოდებასა!
წამდაწუმ ღმერთი ვადიდო — ეს დამხსნის ცეცხლთა დებასა;
„ყოველი კაცი ცრუ არსო“ — დავით წერს „ფსალმუნებასა“.
ცოტას ხანს ყურსა აამებს — ეს ზნე სჭირს რიტორებასა.

ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა ამ უსარგებლო თქმულებსა,
განქარვებადსა, უნდოსა, იგ სამღთოდ მოკიცხულებსა,
სულსა სხვა უჯობს და ხორცნი სხვას რასმე განიგულებსა,
სრულად სოფლისა მოყვასთა ის მოატყუებს წყლულებსა.

მქონდა რამე სამღთო სიბრძნე მე ღვთისაგან ბოძებული,
სწავლით სულთა ამაღლებად, სიტყვა შედგმად ბოძებული,
იგ მოსწრაფე სმენად მისად ვერვინ ვნახე მოძებული,
დალპეს ბევრი სამღთო წიგნი მიწაშიგან მოდებული.

არვის უნდა სახარება, არცა „წიგნი მოციქულთა“,
არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა?!
განკითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს გულთა,
უნახავთა არას მიკვირს — ბრძენთა მიკვირს მონახულთა.

ყველა სოფელს დაემონა — დიდი იყო, გინა მცირე,
სიზმრისაგან უფრო ცუდსა ესე მეტად გავიკვირე,

ღრმა რამე ვთქვი — დამეკარგა, იგი ვერვის მოვასმინე,
აწ მეც მივყევ ლაყაბებსა — ეგებ ამით მოვალხინე.

კაცმან უნდა კაცს უამბოს სიტყვა მისგან გასაგონი,
პირველ ცნობა გაუსინჯოს, მიხდომისა ჭკვა და გონი,
რუსთველმანც თქვა: „ნურვინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახდომი!“
ეგების რამ აწ მეცა ვთქვა ცოტა რამე მოსაწონი.

მითხრას ვინმე: „რად დააშრევ ცუდ საქმეზედ ენა შენი?“
— ამ სიტყვითა დამიკოდოს გული ლახვრით ე ნაშენი —
სხვაც ბევრი ვთქვი უმრავლესი ქვეშისაგან ე ნაშენი!
აწ ესეცა საკამათოდ ნახოთ ჩემგან ე ნაშენი!

წამლად რამე მოვიგონე სევდის ფიქრთა გამქარვებლად,
თვარ ამაზედ რადმცა ვიყავ მე სიტყვათა რასმე მკრებლად,
ამას წინად მათ მიჯნურთა სიტურფეთა ვიყავ მქებლად,
იგ ვინ ვისთვის ხელქმნილიყო, ან მოედვა ცეცხლი მგზებლად.

მინახავს ამ საქმეზედა ქეჩ-ბაზობა და ცილობა:
— „არ ესე სჯობსო, არ ესე!“ — შუღლი, ყარყაში, ყრილობა,
ვერ შემოწმება სიტყვისა, ვერც არას გაადვილობა,
ორთავ რაც სჭირდა, ყველა ვთქვი, თქვენ ქმენით გამოწვლილობა.

მას დიდება, ვინცა სიბრძნით ოთხი ნივთი შეაზავა,
იგ სხვადასხვა შეაერთა, არ წაჰკიდა, შეაზავა,
ზღვა ხმელეთსა დაარიდა, მისგან ცალკერძ შეამზღვავა,
ზაფხულ-ზამთარ გაარიგა, იგ მალ ერთწამ შეამზავა.

აწ მითხარ, თუ: რომელი სჯობს გაზაფხული, შემოდგომა?
მართალი ვთქვათ, არა გვმართებს ერთმანერთზედ შემოდგომა,
სიტყვანი ვთქვათ, ვერ გავბედოთ საზრახავად შემოდგომა,
სიბრძნის ზღვასა შევსცურვილვარ, წყალსა მართებს შემოდგომა.

სიტყვა გაზაფხულისა

გაზაფხული ამას იტყვის: სამოთხე ვარ ამ სოფლისა,
ვითამც ვიყო ამხანაგი შემოდგომა, ანუ სთვლისა?
სიტურფეს და შვენებასა ჩემსა ენა ვერ მოსთვლისა,
სიკეკლუცე რადმცა ჰქონდეს მასმცა ჩემის ნაათლისა?

ჩემს დროში მიწა-მდელონი ზურმუხტად გარდიქცევიან,
ხე-ხილნი ტურფად გაშლილნი მას ზედან მოექცევიან,
ტურფა, უებრო ქალ-ყმანი მას ქვეშე შეექცევიან,
გულსა სევდა და ნაღველი წაუვლენ, გაექცევიან.

თვით მას ჟამსა ყოვლი სული მიისწრაფის ბაღჩა-ბაღად,
მოეგონოს ხელს ხელმქნელი, დააჩნდების გულსა დაღად,
ხელთ თასი აქვსთ მათ, წალკოტსა შემოავლებს თავ-სადაღად,
იგ ლხინობენ მათ გუნებად, გაიღებენ თავსა აღად.

აჭიკჭიკდების ფრინველნი, ყველა იქნების ხმოსანი,
იგ ალხინებენ მსმენელთა, ვითა მუტრიბნი, მგოსანი,
ვით ქალი ჯვარობაშიგან, ველნი ყვავილით მოსანი,
ფრინველნი ყველა მობუდრობს, მხეცნი იქნების ხბოსანი.

პასუხი შემოდგომისა

შემოდგომა ამას იტყვის: ერთობ თავსა მაქებარობ!
მართალია, აღყვავდები, კიდეც შვენი, კიდეც დარობ,
ამხანაგად არ მახსენე, არცა ჩემთან მეგობარობ,
სწორი გყავს და არ ისწორებ, იგ ამითა მიუმხედარობ.

რით ვერა ვარ შენისთანა? ეს მითხარ, თუ მჯობხარ რითა?
ყოვლსა კაცსა გავაგონოთ, ჩვენ ვიუბნათ სამართლითა,
ჩემგან უკეთ რითა ჰშვენი, ბარითა თუ, ანუ მთითა?
მე რაც ზნე მჭირს — თვითო-თვითო მართალი ვთქვა ყველა თვლითა.

აგვისტონი დაილევის, იგ ჩემი დრო მაშინ მოვა.
რა ხაზალმან ყოვლი ფერი შეჰყარა და მოიშოვა,
წითელ-ყვითლად, ნარინჯ-თურინჯ მწვანე-თეთრი დაიგროვა,
შენ რას უბნობ? თვალმან, გულმან შვება-ლხინი მაშინ პოვა.

შენს დროში ტყეთა სხვა ფერი იგ მწვანის მეტი რა აქო?
რა ათას ფერად ყვაოდეს — იგ თუ არ აქო, რა აქო?
აბა თქვი, სხვა რა უწოდო, თუ არ სამოთხე დაარქო?
თვალნი ფოლადად მიიკრას, მართ ვითა მაღნიტმან მაქო.

პასუხი გაზაფხულისა

აწ გაზაფხული პასუხობს, ვარდი თან ახლავს, ია რა,
შემოდგომაზედ გამწყრალმა სალაპარაკოდ იარა:
მე უმაწვილი ვარ, შენ ბერი — ამით გისწორებ მე არა,
ახალსა ძველმან წამსვლელმან საქმე ვით გაუზიარა?

სხვა ვერა მოგიგონია, გითქვამს ფოთოლთა ქებანი,
ჩემი დრო-ფასლი ჰაერი, სევდათა მაქარვებანი,
ველთა გავლი, თუ მინდორთა — ფშვის ყველგან სურნელებანი,
სრულ ყვავილითა სავსეა ქვეშე სახლი და ზე ბანი.

მაშინ გაიხმენ მეფენი მინდორად ოთაღ კარავსა,
მუტრიბთა ჯარნი, მგოსანნი ლხინსა გამართვენ არ ავსა,
ბედაურთ ცხენთა გააბმენ მინდორთა დასაფარავსა,
გარდაიხდიან მეჯლისსა, ლხინსა არ გასამწარავსა.

ჩემს ჟამშიგან გაირცხების ჟანგიანი მიწა-რკინა,
მომწვანდების ტურფად რამე, ზედან ია მოეფინა,
ყვავილითა აივსების სავსე თასი, ჭიქა, მინა,
იგ ნაზამთრმან ყოვლმან სულმან ჩემს ჟამშიგან მოილხინა.

პასუხი შემოდგომისა

შემოდგომამ უპასუხა: კარგად რასმე სიტყვა პრტყელობ,
სასარგებლო არა გჭირს რა ყვავილი, თუ ანუ მდელობ,
ჩემი საქმე დაგანახო, რამდენ გვარად ესარგებელობ,
გაიგონებს ყოვლი სული: ვტყუი რასმე, ანუ ვტრელობ.

მითხარ, თუ: შემოდგომისა ბაღი რად არ ბაღებულა?
ენკენისთვეს სალხინებლად კარი რათ არ გაღებულა?
გიამბო, მის დროს ყვავილნი ფერად-ფერადად ღებულა,
მათ უტურფესი მიწითა სხვა არა გამოღებულა.

ნარგისი მოვა მას ჟამსა, ყვითლით აშვენებს არებსა,
სხვასა ყვავილსა ვერ ვხედავ მე მისსა მემუქფარებსა,

თვითან შვენის და მოგვადენს სურნელებისა ქარებსა,
იგ თუ მას ჰკითხავ, სიტურფით არცა ვის დაიდარებსა.

ყარამფილისა ყვავილი ვარდსაცა სჯობს და იასა,
მისი სიტურფე, შვენება ერთი არ არის, იასა,
ნახე, ბალს როგორ აშვენებს, რა კარსა შევლი ღიასა,
თვალ-პირი უგავს ლალსა და ტანს იცვამს ნარინჯიანსა.

ნეტარ, ხაშხაშის ყვავილი გენახოს ეგების არა,
რა დრო მოუვა, აყვავდეს, მოეწონების ვის არა?
რიანმან ვაშლი წითელი ზღუდედ გარ შემოისარა.
თუ მასთან ლხინი ვარგოდეს, გულსამც გეცემის ისარა.

ჩემს დროს ასხია ხეზედან ნარინჯ-თურინჯი, ბიაო,
ბროწეული და ყურძენი; არც ერთი დაჰკლებიაო,
ჰკრეფენ და სჭამენ, სავსე აქვსთ კალთები, უბებიაო,
ამისი ფასი შენ რა გჭირს? გვითხარ და გვიამბიაო.

ჩემთვის გებრძანა ბერობა და ადრე წამავალობა,
მინახავს მოდღეენებულმან ქალს დაუკარგოს ქალობა,
— „მე რასთვის დავჯე მასთანა?“ — თავსა დაუწყოს ბრალობა.
„მე ქალი ვარ და ჩემს უფრო უშვენის ღაწვთა ლალობა“.

პასუხი გაზაფხულისა

გაზაფხულმან თქვა: გებრძანა თქვენ სიტყვა ერთობ მკვახები:
„სილამაზით მე გჯობო“, — აბა ეგ არის ჩმახები!
გაყვითლებული ფოთოლი ვის გევხარ, ვის ემსგავსები?
გოგრაც თქვენს დროში იქნების, გაათლევინე კვახები.

ვაგლახი შენსა ყვავილსა და შენსა სილამაზესა,
დასტურად კომში და ვაშლი ღვინოში დაიმაზესა,
ჩვენს შუა განყოფილება რამდენი არის, რა ძესა?
ეგ შენი შემოდარება მე საყვედურად მაძესა.

ერთს რასმე ჩემს დროს მოსულსა შენ სრულად ვერ უდარუა,
ვარდსა ყვავილთა მეფესა რა მოსდგომოდეს დარუა,

წალკოტს გაშლილი ყვაოდეს, სიკეთე მოუხვდარუა,
აწ მისთვის ხელმან ბულბულმან თუ როგორ ცრემლი დარუა!

ჩემს დროში იქნას ვარდი და ზედან ბულბულთა ხელობა,
ერთს — ათასფერი შვენება, მეორეს — დანამჭრელობა,
ერთისა უებრობა და მეორის ხელქმნა დელობა,
იგ მაზედ ტკბილად მღერა და ხმაათასფერად ჭრელობა.

ბაღად მირბოდენ მიჯნურნი, ბულბული ნახონ მყეფარე,
ხტოდეს ხე-და-ხე დამწვარი სრულად ცეცხლისა მგზებარე,
— „ლახვარი მჭრისო საკვდავად, ზედ ვინმე გადმომეფარე“.
მათ მოეგონოს მოყვარე, თვითც იქმნან ცრემლთა მჩქეფარე“.

თვალმან რა ნახოს უტურფე, ან საყნოსელმან ყნოსანი?!
ზედ დამღეროდეს ბულბული, იგ ათასფერად ხმოსანი,
იგ მისგან უტკბო რამც იყოს მუტრიბნი, ანუ მგოსანი?
ამათი მგზავსი მიჩვენე შენის ჟამისა დროსანი!

პასუხი შემოდგომისა

შემოდგომა ამას იტყვის: ეგ აგრეა, არ თუ ჭორად,
იგი ნახნეს, — არვის უნდა თვალნი მათთვის მოსაშორად,
ზედ ბულბული დამღეროდეს, ქვეშ ეყაროს ვარდი გორად,
აწ ჩემიცა მოისმინე, მეცა გითხრა მისად სწორად.

ხესა კაკრა გასცვივნოდეს, თესლსა ჰკვნეტდეს იადონი,
რუსთველმანცა ერთობ აქო მისი სტვენა მოსანდონი,
მთას გაჭრილი იძახოდეს, ხმა იცვალოს თუ რამდონი!
იგ არ არის ბულბულს უარ, არცა მისგან გასავრდონი.

არ ვიცით ვისთვის გაჭრილა, თვარ იგიც ხელად თქმულაო,
ბულბულისაგან ის უფრო ამ სოფლით შორს გასულაო,
მთასა და ტყესა დაფრინავს, იგ მოსთქვამს კარგ-უსულაო,
მის ხმისა სიტკბოს თუ ვითმცა იანგარიშებს ნულაო!

ვერასფერითა ვერ მჯობხარ, ყველათ ვარ შენი დარეო,
ჩემსა კარგსა და შენს ავსა ერთმანერთშიგან არეო,

ათასი რამე ილაყბო, მე ვერ გამაგდებ გარეო,
ეს კმარა, სხვა-რიგად გიქო აწ ჩემი არე-მარეო.

რა უამეა მას დროსა, — არც ცხოდეს, არცა ციოდეს,
ყოვლის კეთილით აივსნეს, გაძღენ, აღარვის შიოდეს,
შენ ბალი მოგაქვს და მარწყვი, ზედან ფრინველნი ჟღიოდეს,
მას სჭამენ პურ-დალეულნი, ყველას მუცელი სტკიოდეს.

შენს დროში არ თუ ღარიბნი, მეფენიც ვერ გაძღებიან,
ხისა, მიწისა ნაყოფნი ჩემს ჟამში მოისთვლებიან,
სიცხე წავა და ცხელება, უძლურნი დამრთელდებიან,
მაშინ სუქს ყოვლი პირუტყვი, შენში სრულ სიმჭლით კვდებიან.

ალხობა, სიმჭლე, შიმშილი შენ ერთად შეგიყრიაო,
შემოდგომაზე საჭმელი ფერხთ სალახავად ყრიაო,
ყველა ლხინობს და თამაშობს, გულს არვის შემოჰყრიაო,
შენი მწვანე და ყვავილნი გაგცრცვიან, გაგიყრიაო.

პასუხი გაზაფხულისა

გაზაფხული გაგულისდა, საუბარი ესმა მკვახე:
როდის იყავ ჩემი სწორი? — რა ილაყბე, რა მოსჩმახე,
ქვეყანაზე რაც რამ მოვა, შენს თავზედან გამოსახე,
ყველა შენ რად დაიმონე, მით ლახვარი გულსა მახე.

გაზაფხულზე დაარსდების ყოვლი სარჩო-მოსავალი,
ნაყოფს იწყებს გამოსხმასა აღმოსავალ-დასავალი,
შენს დროშიგ რომ მოიწიოს, რად ვარ შენგან დასავალი?
რას მიჰქარავ, რას მოჰქარავ, ხელი ხარ თუ, ანუ მთვრალი?

ქვეყანა, რომლით გაძღების: ცხენის ზურგით, თუ ნავითა?
დიდნი ქალაქნი, შაარნი, ტახტი მეფეთა, სრა ვითა,
გაზაფხულ შექნან მგზავრობა, ხომალდმან ქარ-ნიავითა,
შენს დროში უღირსი ძიხარ, ვერ მორჩენ დაუნთქმავითა.

რას უბნობ, ბეჩავ, საწყალო, შენ ვისთან იწვდი ფეხსაო?
თავს იქებ, მე კი მაძაგებ, შენ ღმერთი დაგცემს მეხსაო,

ვინც გაიგონებს, დაგცინებს: — „ტყუილად რასთვის კვეხსაო?“
რა თრთვილმან დება დაიწყოს, შენ ზურგსა იგ მოგტეხსაო.

ჩემის დროს ქარნი, ნიავნი უკვდავებასა ედარა,
დაშიშვლდებიან: „გვარგებსო“, — ტყავს წამოისხმენ ზედ არა,
არ გაცხელდების ჰაერი, იგ ტკბილად რამე ზე დარა,
დასწვიმს და გარცხის მწვანეთა ხანდახან ზედი-ზედარა.

მაშინვე ცუდად წაგიხდეს, წახვალ და გავლი კარებსა,
რა გინდ რომ ბევრი ილაყბო, ჩემთან ვინ დაგადარებსა?
არავინ არ დაგიჯერებს საქმესა მიუმხვდარებსა,
ბერთან ყმაწვილსა ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალთან მკვდარებსა?!

გამხმართა, ხმელთა ანედლებს, ასრე შეუცვლის ზნეთაო,
შენს ნიავს ერიდებიან: „გაგვახმობს, ვითა ხეთაო“,
რა შენი ქარი ადგების, სრულ დააშიშვლებს ტყეთაო,
მერმე სიცივე მოგასწრებს, ფიცხლავ წაგართმევს დღეთაო.

სრულ გაახლდების ქვეყანა, გაყმაწვილდების ძველები,
ყველა მწვანესა შეიმოსს: კუნძი, დამპალი ძელები,
შეუმსუბუქდეს ყველასა ზამთრის ტკივილი ძნელები,
წყლის პირნი მოცინარობდეს, ყვავილოვნობდეს ველები.

პასუხი შემოდგომისა

შემოდგომამ თქვა: ნათქვამი შენი მამესმა მრუდები,
არა გრცხვენიან, შექმნილხარ სრულ ტყუილისა ბუდები?
მე ვარ და ჩემი ჰაერი სიმართლის ნავთსაყუდები?
გაზაფხულს სუსტობს ყოველი, ჯოხს უნდა მისაყუდები.

ეს ასრე არის, რომელმან დაგვბადა მისმან ძალებმა,
შენ თქვი, თუ ხორცსა რა ერგოს, არ მოისვენის ძვალებმა,
სარჩოდ, სალხინოდ მე გჯობვარ, — ეგ ოსმანც იცის, დვალებმა,
ჩემს უამესი რა ნახოს, მაშინ ყოველთა თვალებმა!

კვლავ ჩემი ქება გიამბო, იგ სხვაცა დანარჩომია:
რა სთლობა შექნან ყოველგან, იგ ერთობ მოსანდომია,

ყოველი საქმე გააგდონ — ნადირობა და ომია,
დიდთაგან ანუ მცირეთა იგ ლხინი თუ რაზომია!

მაშინ შვენოდენ ვენახნი წითლოსან-ნარინჯიანი.
მრავლად ეკიდნეს მტევანნი, — ნუმც არის მათი ზიანი!
ჰაერი შეზავებული, არცა თუ სიცხით მზიანი,
წითელს ღვინოსა ასხემდენ, ქვევრები გარეცხიანი.

მარნები გამდიდრდებოდეს, ქარახს მზადებენ, თასებსა,
ვის ვისთან ლხინი ეწადოს, — რა სჯობს არიფთა დასებსა!
იგ ამღერებდენ მგოსანთა, მუტრიბთა ბევრ ათასებსა,
ნუ სტყუი, ვერას მიამბობ იგ შენ ამისსა ფასებსა.

მაზად იხმევდენ, ზედ ესხას წითელი ვაშლი, ბიანი,
ყველას უწითლობს ღაწვები, რომ იყოს ფერ-ყვითლიანი,
მაჭრისა ფერსა არჩევდენ, იგ ტკბილად რასმე სვიანი,
მას ჟამსა სევდის ლახვარი გულს არვის დაესვიანი.

პასუხი გაზაფხულისა

გაზაფხულმან ეგრე უთხრა: ცუდი ამბე ეგ ამბები,
შეგირცხვინოს ქარახსი და ეგ უგვარო საქებლები,
შენ იუბენ უთავბოლოდ, იყო რამე ნატრელები,
მე გიამბო უმჯობესი, — გული ერთობ დამილები.

გაზაფხულს გაიჭრებიან მინდორად მობურთალები,
მათ უებროთა მოყმეთა ჭვრეტად ვერ მოხსნან თვალები,
ბურთობენ კვირით-კვირამდი, ცხენთ აღარ შერჩეს ნალები,
იგ მათად ჭვრეტად გავიდენ ტურფა, კეკლუცნი ქალები.

მუნ იყოს გამოჩვენება, გარდანაქსოვთა კიდება,
— „მე დაგაჭარბებ“, — „მე გჯობო“ — ლაღობა, არ წაკიდება,
ჯობნა, ნაძლევთა წაღება, იგ სათავისოდ კიდება,
—„მე უკეთ მოვეწონეო“, — ვისგან სჭირთ ცეცხლთა კიდება.

ბედაურს კვიცთა ჰხედნიდენ, კარში არბევდენ ცხენებსა,
უკუიყრიდენ სევდასა, იგ კაეშნისა სენებსა,

ყვავილთა ქვეშე დასხდიან სალხინოდ განსასვენებსა,
ქარნი სძრევდენ და უყრიდენ თასშიგან ჩასადენებსა.

დაღამდეს, ხენი მოსანთლონ, იქმოდენ ჩირახონებსა,
დაივიწყებდენ ჭირსა და სევდასა დასაღონებსა,
მოიგონებდენ ხელმქნელსა, მათსა სულსა და ღონებსა,
ესე სჯობს მღვრიეს მაჭარსა, იგ შენსა მოსაწონებსა.

პასუხი შემოდგომისა

შემოდგომამ ეგრე უთხრა: სტყუი ერთობ შარა-შარა,
სთლობის დრო სჯობს ყოვლსა დროსა, მართალია იგ მაშ არა?
ყველა ვინმე გაგამტყუნებს, — რა იუბენ წარა-მარა!
რა ყურძენმან ქარვის ფერმან სისხლი წითლად გარდმოღვარა.

აწ ამასაც დამიწუნებ, კვლავ გიამბო უკეთესი,
ენკენისთვე გაშუალდეს, — რა ინახვის უამესი!
დაიუნჯვის ყოველივე: დანერგული, დანათესი,
ისარ-მშვილდი მოიმარჯვე, მეთოფემან — ტალი, კვესი.

რა გახშირდეს მყვირალობა, გამრავლდეს ნადირობანი,
ყველას ქარქაში მოეწყოს, ჯერგათა შეყრილობანი,
დღე-ღამე არვის გააჩნდეს — დრო, ანუ უდროობანი,
მაშინ სიმრავლე ნიშატთა, — არ იყოს ვარდთა ზრობანი!

კარზედ მიჰგვრიდენ მეფეთა ქორ-ბუდიანსა ხარებსა,
ვერ მორჩენ, ვერ გაატანონ იგ მაგრა განაკარებსა,
წითლად ღებევდენ ველსა და იქით და აქეთ კარებსა,
შენი რომელი უდარებს მას დღესა გასახარებსა?

მოქონდეს, იყოს დარება ჯარის რქებსა და თავებსა,
უკეთესს წინა იდებდენ, გარე გაჰყრიდენ ავებსა,
უყურე წითლად სავსესა მაზე თასისა დგმაებსა,
მუნ მაშინ მათსა ნიშატსა მბობით ვინ გაათავებსა!

ერთი სხვაც გითხრა, მუნ ჟამად იგ ერთობ მოსაწონები:
მოჰკვანდეს ზარში ნაჯდომი იგ ბედაური ქორები,

სხვადასხვაგვარი, მრავალი, არ თუ ერთი და ორები,
სდევდენ ხოხობთა, დურაჯთა, არ უჩანსთ ახლო-შორები.

ამ საქმესა და ამ დროსა შენიმც რამ შეუდარეო,
ტყუილსა ნურას იკადრებ. ნურცა ცუდმადსა, წარეო;
ნადირობდენ და ფრინვლობდენ, — ყველა ველს იყოს გარეო,
უსიციო და უსიცხო მაშინ მათ ჰქონდა დარეო.

პასუხი გაზაფხულისა

გაზაფხულმან თქვა: ვისმინე თქვენი სიტყვები, თქმულები,
ჩემოდნობაზედ ირჯები, მან დამიწყლულა გულები,
შენც უგვარო ხარ და შენი საქებრად გამოთქმულები,
ბედაური და ტურფა ვარ, მე მხედავს ყოვლი სულები.

ვაგლახ შენ, ერთი რამც ჰგვანდეს მაისში მუტრუკობასა,
მინდორსა ანუ ჯერანსა, ენა ვით შესძლებს მკობასა,
თუ ამას რასმე შეუდრი, სრულ მოსთხრი შენსა მბობასა,
შამბში ძრომასა ესე სჯობს, დაეხსენ ტუტრუკობასა.

რა დადგეს გიორგობისთვე, კარგად ის გეპასუხება,
რა თოვლმან წამოგაყაროს, მაშინ შეგექნას წუხება,
პურადობასა იკვეხი, გაგვარდეს შენი უხვება,
შვენება სრულად წაგიხდეს, თვალმან დაგიწყოს ჭუხება.

მაშინვე წაჰხდე, გაცუდდე, წახვალ და გავლი კარებსა,
რაგინდ რა ბევრი ილაყბო, ჩემთან ვინ შეგადარებსა!
არავინ არ დაგიჯერებს სათქმელსა მიუმხვდარებსა!
ბერზედან ყმაწვილს ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალზე მკვდარებსა?![1]

პასუხი შემოდგომისა

შემოდგომამ თქვა: რაც რომ ვთქვი, ვითამ ეგ იყოს, ეს არა,
შენის ცუდისა ლაყბითა მე მივხვდი სიამეს არა,
თუ მე ზამთარი წამახდენს, ზაფხული შენ დაგესარა,
ჭიჭინას დროსა რაღას იქ, თავ-პირი ჩამოგესვარა.

* * *

ეს არის მათი ონარი, — მათგან თავისა ქებანი,
თქვენცა სთქვით, თუ რომელი სჯობს, ან ნუ გაქვსთ მათი თნებანი,
უსაქმოს, მოწყენილისა მეტყობის ცუდ-ლაყბებანი,
სევდასა, შეჭირვებასა არ დაეფანტა მცნებანი.

მე ვიყავ უცხო ღარიბად რაჯა ჰქვიან, თუ აგარა,
იგ რამდონ რიგად სოფელმან გული ცეცხლითა დაგა რა,
პირველითგან და ბოლომდე საქმე მომირთო რა გვარა,
გულსა ლხინი და ნიშატი სრულად სამკვიდროს წამგვარა.

გათავდა მათი ცილობა, შუღლი, ყარყაში, დავება,
სიტყვა ცუდი ვთქვი, კანონად, ვაი, თუ სასჯელს დავება!
სულის უკერძოს საქმეზედ ეშმაკი მომედავება,
ჩემი ბრალია, სხვათ ვისნი, — ჭირნი მომხვდეს, თუ და ვება!

თავი და ბოლო იგ არი — ღმერთი ვახსენოთ ცხოველი,
ვინ არის ბრძენი, ჭკვიანი მისი მძებნელი, მპოველი?
ვერსით ვერ მორჩეს ჯოჯოხეთს იგ მისი შეუპოველი,
მისითა მოწყალებითა მეც სინანულსა მოველი.

ქრისტე გვიბრძანებს ოთხთავში პირითა უტყუველითა:
— „სოფელი თქვენთვის შევამკე ტყითა, წყლითა და ველითა“.
ამით ვიშოვეთ სამოთხე, იგ არ თუ სამოველითა,
ეს წავა, ის ხომ არ გვინდა, მითხარ, თუ რას მოველითა?

თვით გვიბრძანებს და ყოველი მისთა წმინდათა კრებული,
წინა გვიც წერილთ სიმრავლე, წიგნები გამოკრებული,
უკვდავებასა გვაძლევენ — ჩვენ ვიყვნეთ იმედებული, —
რად გვსურის სატანჯველთათვის, რად გვინდა ცეცხლი გზებული?

თუ საღმთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდა,
რა ეს ლაყაბი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა:
— „არა ესე სჯობს“, — „არ ესე“ — სიცილით ყველა ყბედევდა,
ეგების სხვაც რამ ვასმინო, — მე ესე მეიმედევდა.

ეს უსარგებლო გათავდა, აწ სხვა დავწეროთ ბოლოსა,
სრულ ნუ მივჰყვებით სოფელსა, ცეცხლი არ მოგვებოლოსა,
სატანას ხელში ჩავცვივდეთ, დაგვამხოს, დაგვაბოლოსა,
თუ ჩემიც ცოტა ისმინოთ, სულსა არ დაებრკოლოსა.

თვით ღმერთი ბრძანებს, რომელი ამტკიცებს ოთხსავ ყურებსა,
თვალს არ უნახავს მისებრი, არცა შესვლია გულებსა,
ჩანს, სიკვდილისა სასმლითა არვის უშვებენ ულებსა,
ხორცნი აქ წინად გარდიქცეს, ზეცას წაგვისხმენ სულებსა.

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოაწივე,
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მოვკვდე, — მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მო, აწი, ვე!

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიკვდინედ? შენ მაღირსე არ დარჩენა!
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა.

შე ვხედავდი ლხინსა ჩემსა სრულად ჭირად გარდაცვლითა,
ეგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა,
მივემგზავსე მე ფრინველთა, იგ მხარ-ბოლო დანაცვინთა,
მედებოდა ცეცხლი ცხელი, ვიწვებოდი მზგავსად ცვინთა.

ბედი ანუ სვე დოვლათი იგ ბოლო ჟამ გამეშალა,
ვთქვი: გავშიშვლდე სოფლისაგან, ტანსაცმელად მამე შალა,
ყველა აქა ვერ დავწერე, რომლის საქმით დამეშალა,
წამლად ვიწყე მარტო სევდით, არამც ჰკუა ამეშალა.

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, — სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად,
რომ ხმელეთსა ანათობდეს, ბოლოდ იქმნას იგ აჩრდილად,

ნაცვლად ბროლთა-მარგალიტთა მოგვეცემის ქარვა კბილად,
გრაკის ხესა დავემზგავსნეთ პირველ ნორჩი, ალვა ზრდილად.

ვა, თუ მიწყინოთ ყოველთა სოფლისა სიყვარულითა,
იგ სოფლიონი ბრძენნი და ან ვინც უბნობდა სულითა,
ყველა სწუნობდა სოფელსა, არ გასაზრახოდ, — გულითა,
არ ვიტყვი: სრულად გაუშვით, ნუ გიყვარსთ სულ-წასულითა.

სიცრუე ანუ სიცქაფე სხვაცა ვთქვა ერთი მისი და,
მუხთლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი და,
ზეცად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაცა იყოს, მისი და,
ანაზდად, მოულოდნელად ბნელად ქნას შენი დღისი და.

შოთამ თქვა სწორად მიდგომა მზისაგან ვარდთა, ნეხვისა,
მისგან ბოლომდი გატანა — თქვას — ვინცა დაიკვეხისა!
ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,
მას დაუდუმდეს ბაგენი, ვეღარვის შეუჭეხისა.

ტახტი იმ?ას არ ღირსიყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი,
იგ ანაზდად გარდმოაგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი,
მისად ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი,
სკორემანცა დაიწუნოს ზედ საჯდომლად ამოზრდილი.

ამდონად როგორ გვიყვარდეს ჩვენთვის ამგვარად მტერები,
ბოლოს გააგდებს ყველასა, რაზომცა ზედ ეკერები,
მარტო რას გვარგებს ხორცნი და თუ სულსაც არ ეტერები,
იგი დაადგრეს უკვდავად, ჩვენ ვიქმნათ მონამტვერები.

ან ადრე დაგვხოცს უდროოდ ახალსა მოუწევარსა,
ვარდსა დაგვიჭკნობს უფრჭკვნელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა,
ვერ მოურჩებით მართ, ვითა კურდღელი მალსა მწევარსა,
ვხედავთ და არ გავტეხილვართ იგ მისგან მოსაწევარსა.

თუ გრძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს, თვალ-წინ დაგვიხოცს სულთაგან უკეთესებსა,
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებსა,
ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჭირთა და სულთქმა, ვაება, კვნესებსა.

ამას გვიზამს, და სხვაცა ვთქვა ‘ისგან ჩვენზედა ქმნულება,
ესრეთ მოგვშლის და წაგვახდენს, — არ გინდეს სულთა დგმულება,
იგი უებრო, უსწორო, უშვერ ჰყოს ქმნულ-კეთილება,
იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლულო, ულება.

ან სიკვდილს მიგვცემს ანაზდად, ან სიბერესა ძნელებსა,
პირსა თვალურებრ გავსილსა არმურსა დაგვდებს ბნელებსა,
ეგრე უებრო მნათობსა ვერ ექოს ბრძენთა ენებსა,
ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქმს მოსაწყენებსა.

თვალთა დააკლებს ნათელსა სოფლისა მაშენებელსა,
წარბთა მშვილდულებრ მოხრილსა, მიჯნურთა მახელებელსა,
შავთა წამწამთა ნარგისთა, მჭვრეტელთა გულსა მხებელსა.
გააყრევინებს, წაახდენს მნახველთა ცეცხლთა მდებელსა.

პირსა დაუჭკნობს მნათობსა უთეთრეს ზამბახისასა,
ღაწვისა ფეროვნებასა ვარდულებრ გაშლილისასა,
წახრის და მოსდრეკს ლერწამსა ტან-სარო ალვის ხისასა,
დაადუხჭირებს ჯავარსა სანდომად უსულისასა.

ბაგეთა მოჰშლის ეგეთსა — უკვდავებასა ღიმობდეს,
კბილთა წაახდენს — მასთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,
თმას ამბრის ფერთა კოჭამდი, რომ გიშრის ტევრად ხშირობდეს,
გაუსპეტაკებს თოვლურებრ, იგ ვეღარ ამბრად ძვირობდეს!

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები;
აწ ამაშიგან ვითმც იქნას გული არ დასაკოდები?
ერთ დღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალ-ჟამ ვიყოთ მგოდები,
ბოლოჟამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები.

ჩვენთვის დაბადა სოფელი მან, ყოვლთა არსთა მბადემან,
ესეც ჩვენ მოგვცა, სიმართლით მუნცა კეთილთა მზადემან,
სრულ ვერ გვიშოვნოს წარწყმედად ბოროტთა მოსაწადემან,
ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადემან.

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთიარები,
ესრეთ ვიხმაროთ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები,

არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქარვები,
ოდეს ეს ხელთა გაგვარდეს, მუნ არ დაგვეხშას კარები.

ეგ ღმერთმან იცის, თქვენთვის ვწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად,
არ ვიტყვი მე, რომ კარგი მჭირს თავისა გასაზვიანად.
გვიბრძანებს: „ჩვენი სავაჭრო დადევით სარგებლიანად“,
არ ვიქმნე მონა მედგარი, განხდილი დასაწვიანად.

ზოგი დავწერე სახუმროდ სალხინო საკამათენი,
ბოლოს ცოტა რამ საწვრთნელი სულისა გასანათენი,
მცირე, რაც მქონდა, მიძღვნია, არა ვარ ბრძენი ათენი,
ყველამ შენდობა მიბრძანეთ, წყალობა მიყავთ ამთენი.

ღმერთო, რომელი უმჯობეს იქ თვითვე შენგან ქმნულებსა,
რისხვას აყოვნებ ამისთვის, მოაქცევ წარწყმედულებსა,
ნუმცა მეწევის ბოროტი მას დღესა დაუსრულებსა,
იგ მოტყინარე მახვილი კარსა ნუ დამიგულებსა.

სულის საედარავი

ღმერთო, რომელი შენ ჰსუფევ ჰაერთა თანა ცაშიგან,
შენ ხარ სავსება ყოველთა, რაც არის ქვეყანაშიგან,
ეშმაკთა გუნდსა დასთრგუნავ, წარვლენ ცეცხლისა ალშიგან,
ისრაილთაცა ლტოლვილთა შენვე გაუძეღ ზღვაშიგან.

არსებით მპყრობო, შენ გაქებს, რაცა სად მონა შენია,
შენგან იზრდების სულდგმული, ყოველი მონაშენია.
ვინ სულისათვის იღვწიდეს, დააგდოს მონაშენია!
მას აღარ მიხვდეს უწყალოდ კვერთხითა მონაშენია.

ღმერთო, ხსნისათვის ჩვენისა ქვეყანაზედან მოსულო,
ვინ მიწა კაცად შეგზილა, იმას შეუვრდი, მო სულო!
როს ანგელოსნი უწყალოდ გქენჯნიდენ, აწ ამო სულო,
ან ცოტვა ცრემლით შეინდევ, ან თავი აწამო სულო.

ჩვენ ღმერთი ქებით ვადიდოთ, ცრემლითა შევსძრათ მორევად,
ის უხილავი ეშმაკი ჩვენზედ არ იყოს მორევად,
ჯოჯოხეთს შიგან არ აღძრას კუპრი მან ჩვენთვის მორევად,
ცთომასა არსად წავადგეთ, თავი არ შეგქმნათ მორევად.

მე მეშინის რისხვისაგან, ვა თუ, მეხი დამეცესა,
ღმერთსა ამას სულთქმით ვჰხადი, ამცილდეს და არ მეცესა,
მიჯობდა, თუ სულისათვის სინანული დამეწესა,
მემუშაკა, მეწაღმართა, ცრემლი ველად დამეთესა.

ჩემს ცოდვას ვით ღა შევინდობ, ცრემლიც რომ შეგქმნა მე ღვარად?
ნაკადად მდინდეს თვალთაგან, ღაწვი გამიხდეს მე ღარად,

აწ მიწა რად არ ჩადრკების, ზედან მიყენებს მე ღა რად?
ჩემი ამ სოფლის სიცრუვე აქ მოვიხმარო მე ღარად.

სულო, ნიადაგ წვლილდები, ლხინი ოროდეს მოგეცა,
ტანჯვისა მზა არს ლახვარი, საკრავად გულსა მო გეცა,
გიჯობდა ეკლესიისა კარი ნიადაგ მოგეცა,
ცრემლითა მოლი მოგერწყო, ტანს მუდამ ძაძა მოგეცა.

სულო წყლულო, დაკოდილხარ, ჭირნი რაღათ მოანელი?
რთვილი გაზრობს, მზე გაცხუნებს, ზოგჯერ ქარი მოვა ნელი,
ხელი რატომ არ. გაჭრილხარ, ნეტარ რასღა მოანელი?!
ვერა ჰკურნებს ჭირსა შენსა, რომ შემოკრბეს მოანელი.

შენ, ცოდვილო სულო ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი?
ჯოჯოხეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი,
შენთვის ყოვლგან ღრუბელია, მზემანც დაგკრას, — მოელოდი,
კერპთ-მსახურთა განვეშორნეთ, არსად გვხადოს მოელოდი.

შემაშთო სოფლის ზრუნვამა, ვამე, რაღა ვჰყო აწა მე?!
— განაგდე შვება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწამე!
უფალსა შენსა ჰმსახურე, გულითა მასცა აწ ამე, —
მიგელის მძაფრი სასჯელი, მაშინ რაღა ვჰყო, აწამე!

უწყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავდების,
პირველად ამოდ შეიტკბობს, საყვარლად დაუამდების,
აღარ გაჰყვების, ბოლოს ჟამ უმუხთლებს, გაუავდების,
მე მას ვჰგმობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინმც დაუზავდების.

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია,
ვინ რომ დაიპყრა ქვეყანა, დღე მასცა ასთავებია,
სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად დაებია?!

სოფელს მყოფნო, სოფლის საქმე გასინჯეთ და გაიგონეთ,
ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!
აწ სად არის ხელმწიფენი, პირველნიცა მოიგონეთ,
აწ განაგდეთ სოფლის შვება, სინანული მოიქონეთ.

ვერ მოვურჩებით სოფელსა, სრასა სამყოფსა, დაბასა,
სულმან იწადა ვედრება და ხორცმან იგი დაბასა,
სოფელმან ჭირი ჩვენზედა ოთხმოც-და-ათი აბასა,
განვაგდოთ ქრთამის მიღება; სული მან არ დააბასა.

სოფლის მპყრობელნო, სოფელი მე ამად არა მიქია,
მსაჯულად დაჯდეს მესია, პირველ ქადაგა მიქია,
ცოდვანი ჩვენნი გვემხილნენ, მაშინ რაღა ვჰყოთ იქია!
კაცს არ მიინდობს ბოლოს ჟამს, ამისთვის გამიქიქია.

სოფელმან თავის სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,
მაკვდინებელი წამალი მე მასვა, მან არ დალია,
ჯურღმულსა შიგან შთამაგდო, შიგან დამიხვდა და ლია,
ტყავისა ნაცვლად სუდარი მომცა, არ მიკლავს დალია.

თუცა კაცი დარჩებოდეს სოფლისაგან გარდუვალად,
მუნ სასჯელი აღარ მიხვდეს, არცა სწვიდეს ცეცხლი ალად,
ვინ დარჩების სოფელს მყოფი, არ მომდურდეს სოფელს მალად,
ბოლოს არვის გაუთავებს, შეექმნების მას სამსალად.

ნეტაი ყველამ იცოდეთ, სოფელი როგორ მქნელია,
კაცსა მიინდობს ღალატად, მცბიერი — ვითა მელია,
ანასდად გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია,
„მას არვინ უნდა მიენდოს“, — ესე ნათქვამი ძველია.

ჩემმა ცოდვამ სინანულად დრო არ მომცა დანაცალი,
კაეშნისა ტვირთი მკიდავს, იგ შემქნია დანაცალი,
მუნ მეშინის, ოდეს შექმნას სულმან ხორცის დანაცალი,
ჯოჯოხეთად ჩვენთვის მზა ჰყოს სახმილი და დანაც, ალი.

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა,
ძილი არ მომცა მართალთა, არც სადა მითხრა მან ნანა,
როს ისრაელთა უწვიმა ღმერთმან მწყერი და მანანა,
მოხუცებულსა იოკიმს ასული უშო მან ანა.

მე აჯად ვითხოვ ღვთისაგან, — არ წამიწყმიდოს სულია,
მუნ გამომიხსნას ტანჯვისგან, აღარ დამაჩნდეს წყლულია,

ზოგნი ღამეთა ათევენ, — თვალთ არ მოუვათ რულია,
ზოგთა გვაქვს შვება სოფლისა, — ამისთვის დაგვიძს გულია.

უნდა, რომ კაცმან იხმაროს მისი ჭკუა და გონება,
ევა ურჩ-ქმნილი ცთომითა ჯოჯოხეთს შიგან, მგონ, ება,
სამოთხეს ყოფა ვის სურის, სმენა იქ გაიგონება,
ვის სწადის შვება მას შიგან, ადვილად მოიგონება.

სამებით ერთსა ვაქებდეთ, ხსნად ადამისთვის მოსულსა,
ვის ჰკიდავს ცა და ქვეყანა, — ქებას ვერ ვიტყვი მოსულსა,
ნუ ვემგზავსებით ფარაოსს, მისის რისხვითა მოსულსა,
სულსა რას არგებს შვენება ხორცთაგან არ ამოსულსა?

შენ, ღვთისმშობელო, კაცთათვის მანათობელი მზე ხარა,
პირველ ბჭედ საშუალ გცნობდეს, — ანგელოზისგან გეხარა,
ღმერთი წიაღთა იტვირთე, სხვა კაცი არსად გეხარა,
ქრისტიანეთა ნუ წარსწყმედ, შენ გისმენს, — ვისთან სდგეხარა.

არჩილი



გაგაასვბა თქვენ ეარაზისა და რუსთველსა

შესავალი

სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანერთს არ შემდგომისო,
მამავ, მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო,
ერთხელმწიფებავ, ერთნებავ, სამხატო, ერთ-ღვთაებისო,
ყოველთ მოწყალევ სიუხვით, უფრო შენთ მონდობილისო.

შენ სიტყვა-დაუსაბამო, რომელ აღმოთქვა მამამა,
ძეო, როს ეშევ ქალწულსა, იდუმა წმასნილობამა,
სულო, მესამე გაგგვამა ღვთისაგან გამოვლენამა,
განმიხვენ თვალნი გონების, დამიბრმო ჩემა ცოდვამა.

კადნიერება არა მაქვს მე თხოვად საწადელისა;
„აფფო“ ვიზახდე, დავჰკრევდე, ელისე ვით ხალენისა.
ჩემთა ცოდვათებრ ნუ დამსჯი, მრჩობლთავე მე მოსენისა,
სულთა და ხორცთა კურნება, შენ წყალობა ყავ ჩემისა.

აღვახვენ ბაგე მწიკვლითა სავსე, არ მქონე წმიდებით,
შენ, გიაჯ, მომცე სიბრძნენი, თორ ვიქმნე გარ-გან-კიდებით.
ცოდვის მოყვასნი მადლისას, მიკვირს, რად წავეკიდებით!
ის სასუფეველს იშოებს, ჩვენ ცეცხლსა წავეკიდებით.

ღმერთო, შენ შეჰქმენ სიბრძნითა კაცი ხატებად შენადა,
ადამისითგან ყოველთა ძმა შეათვისე, შენა და.
განამრავლე და განსთესე, ქვეყანა მით ჰქმენ შენადა,
ზოგთ მიეც ყოვლი საწადი, ზოგთა ლახვარი შენადა.

შენ ხარ, რომელსა ვერ მიგწვთა ანგელოზთ დასი კაცებით,
ქვეყანა, ზღვა და უფსკრული, ვით შეჰქმენ არსი ოცებით.
ზოგთ ვისმე რამე უჩვენე, ცხადი იყო თუ ოცნებით,
მაშინც არ იქნა, სრულ ვერ გთქვეს, ვის სიბრძნე ჰქონდა ოცებით.

კურთხეულმცა ხარ შენ, ქრისტე, მამის სწორო და სულისა,
ვის ანგელოზნი ვერ გაქებს სრულ ყოფით ცხრად ასულისა,
შენ, მზეო სიმართლისაო, აროდეს არ-დასულისა,
მომეც მე შენის ნებისა ყოფა ხელთ მქონდეს სულისა.

უქმის სიტყვისა მიცემად თანაგვაც მაგიერისა,
არ შერაცხს უქმად, დაჰფარავს წყალობა შენმიერისა.
ნუგეშინის მეც, იმედი მომეც სიმართლის მზერისა,
შენ ხარ მოწყალე ერთბამად — ყრმათ, ჭაბუკის და ბერისა.

ხამს სიბრძნესა იუნჯებდეს, ვინ არ მიჰყვეს ამოებას,
საღვთო სრული, საკაცობო ერთმანერთზედ ა მოებას,
ყოვლი ავი განიშოროს, კარგს საქმეს ზედ ამო ებას,
განარჩევდეს დაღრმობილსა, ვინ ერთმანერთს ამოებას.

პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმან გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ გაჰყაროს,
სასოება უეჭველი, ყოლე იჭვი არ შეჰყაროს,
სიმდიდრესა არ დამონდეს, გლახაკთ მისცეს, ან საპყაროს.

სიბრძნესა ვითხოვ, მან მოშცეს დაუშრომელი ენა და,
გულსა ლახვარი მარიდოს, თვალთ ცუდი ცრემლთა დენა და,
მნებავს ამ ამბის დატკბობა, ყურნი მამიპყრნან სმენადა,
კვლავ მძლეველი მყოს მას ზედა, თუ ვინ გამომყვეს დგენადა.

შენ არ გებოძა სადგურად, ვინ მომიყვანდა ამ ოსა?
მონა უხმარი, უდები, ვერ მივებაძო ამოსა.
მით შემიწყალე, ვერას ვიქმ საქმესა შენს საამოსა,
შეჰრისხდი, ქრისტე, ვინ შენი ღვთაება არ იწამოსა!

არ ძალმიც, რაზომ ვირჯები, სიბრძნისა კართა გაღება,
არც არას აქა ქონება, არც არას სხვაგან წაღება,
შეთხზვნა სულნელთა ყვავილთა, წალკოტ-ქმნა, ანუ ბაღება,
სანოვაგეთა შეკაზმა საგემად ვისმე დაგება.

რადგან მარწმუნე ტალანტი, არ მიხმდა დამემალა მე,
მაგრამ დავჰფარე ბოროტმან, სიმედგრე დამე მალა მე,
აწ სინანული მომმადლე, ცრემლს ქვეშე დამემალამე,
შენ უსასყიდლოვ მკურნალო, მეწამლე და მემალამე.

ვეჰვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი,
არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი.
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად გასაგონარი.
ესევ ვარჩივე დუმილსა, წაწყმდაო ყოვლი მცონარი.

სწორად უნდა ლექსი ვინ თქვას, მართლად სცემდეს, განა გაჰკრას!
თავი კარგად მან აუღოს, ბოლო უხამს ზედ მოაკრას,
ვით ხუთძალსა გამართულსა ქვეიდამე ხელი აჰკრას,
ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაჰკრას!

ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაპანმა კაცი აბას,
გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,
ერთი რამე სალაღობო ზედ ხუმრობა წამოაბას,
მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე, ა ბას.

კიდევ ვისმე დიდებასა მისცემდეს და აამაღლოს,
კვლავ სოფლისგან ნაღვლიანი მიწამდისინ დაამდაბლოს,

დედ-მამასა აყოლებდეს, უემოდ მათგან დაარბლოს,
ლხინი ჭირად შეუცვალოს, ემდურვიდენ მას საგმობლოს.

თვალად ტურფას სანახავსა მდარეც ვინმე შეურიო,
შვენიერთა შეამკობდეს, დუხჭირთ სახე შეურიო,
ლამაზებში შენ რასა იქ, არა გრცხვენის შე ურიო?
იმათ ფასსა ვინ იშოვნის, შენი არის შაურიო.

სალხინოს და სათამაშოს თუცა ჭირი ზედ აბია,
ხილნარი და ბაღ-წალკოტი, ღვინო, ვაშლი, მაზედ ბია,
ნათესავნი შემოჰყაროს, მოყვასნი და ასაბია;
ბრძენნი სხედან სიბრძნის ქებად, ყმაწვილებო, რას დარბია?

სხვაგან იყოს, ვით მორევი, არ ადვილად გასასვლელი,
ქვეით ბაგეს შემოადგეს, არ ქოჩრამდის დასასველი.
ბევრი ადვილ ვით თოხარიკს შარა ედვას წასასვლელი,
ვინ ამ სიტყვას არ შემჯერდეს, სასიკვდილოდ დანას ველი.

მინახავს მელექსებისა შედრაზედ დიდი ცილება,
ზოგს მართლა დაიწუნებდენ, ზოგისა იყოს ცილება;
მოდი ყველანი ვახსენოთ, ვჰყოთ მათი შემოყრილება,
ვის კარგად ეთქვას ვაქებდეთ, ზოგს ჯაჭვს ვით ჰქონდეს ყრილება.

ვით სიბრძნით ხელყოს ფუტკარმან დატკბობა გოლეულისა,
ყვავილთ ნაყოფი შაქარსა ამზგავსა გარეულისა,
მის გამო მეც რამ დავატკბო, მოდგმა მაქვს გვარეულისა,
ბრძენთაგან მოსაწონარი, არ ცნობად არეულისა.

ძველთ და ახალთ საქართველოს მელექსეთა

სხვას ლექსით ჩახრუხაძემა შეამკო მეფე თამარი,
არ მებრალების საქებრად თამარი, მისი ამარი.
ვა ამით, რომე სრულ ვერ ჰყო, ადრე უთხარეს სამარი.
მუდამ სხვას წიგნებს ვიკითხავთ, მაგრამ ისიცა სამ არი.

ر ო ს ტ ო მ ი ა ნ ი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა.

დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცუდად ძეს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.

ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია!
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია.

ჯაგლაგსა ფავნელისშვილსა არვინ ათხოებს ყურსაო, •
მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ვეღარ დაუყურსაო.
სულ მელექსენი შევჰყარე, მაგრამ ამ ორთა მშურსაო,
რა დავაბრალო ჯაგლაგსა, ვერ მიჰყვეს ბედაურსაო.

ქაიხოსრომან შიგ-ჩართვით ლექსად თქვა ო მ ა ნ ი ა ნ ი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჭვისცმა მაემნიანი.
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვი მისი ზიანი,
ყვავილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი.

ფარსადანის-ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ბ ა რ ა მ-გ უ რ ი ს,
შვიდთ იყლიმთა ხელმწიფეთა ხოტბა სრული, არა გურის,
თვალნი თლილნი მოაფრქვივნა, გარევა ყო არ აგურის.
მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხამს კარგა ყურის.

ჩოლაყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რაებია,
კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა, რა ე ბია.
ესევე სჯობს, რაც მასმია, მისგან მონახსენებია,
გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია.

სულხან ვინ თანიაშვილი, მეც მახსონს, იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწამობდენ ჩემობას,
ამირან-დარეჯანისძეს უქებდა გამოჩვენობას,
კარგად თქვა, მაგრამ ვერ გვიზამს რუსთველის თქმულთანა ჩვენობას.

ბარძიმ ვაჩნაძემ ს ა ა მ ი ს წ ი გ ნ ი გალექსა ოდიშსა,
სხვას მელექსესთან ჯდომაში უხამს იხდიდეს ბოდიშსა!
თუ არ შეეძლო, რასთვის თქვა, რად შეიქს საამბოდ იშსა?
ვეპვ თუ არ ეთქვა, მით უთქვამს, საქმეს უზემდენ საშიშსა.

აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი,
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი.

ფეშანგი ფაშვი-ბერტყასძემ ახლა თქვა ფ ი რ მ ა ლ ი ა ნ ი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ, სიმძიმით ვით ლიტრიანი;
გებრალებოდეს საბრალო ცხვირ-მოჭრით, თვალ-ცრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი.

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დვალიძესა,
არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა?!
რუსთველმან თქვა: კაცის-კაცად საქმე რამე დიდი ძესა,
ხედავთ ვარსკვლავთ სიმრავლესა, ვერ ედრება შუქით მზესა.

ვისცა ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ,
კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მო დაბაქეთ,
ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარდმობძანდეს ასე აქეთ!
მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ!!

ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,
რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს — ალვისა ნამორსა.
ერთმანერთს რად ვაბაასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა!
სრულად იტყვიან უკლებლად ამბავსა სპარსთა ნაჭორსა.

ბევრჯელ მასმია ცილება, ამბობდენ, სჯობსო ეს მასო.
შედარებასა ნუ მოვშლით, უნდა თუ მათცა ესმასო,
ლხინსა გვიჩვენებს ამოსა და გაგვიკეთებს ე სმასო,
ჭირთა უკუგვყრის, სევდასა, გულთა ლახვართა ეს მასო.

ვინ ლალთან დადვა აყიყი, მის წყალ-ფერ გამომცემელი,
ან ტკბილ-მეტყველსა ენასა უდრის გესლ-გამომცემელი,
ეგრეთ ვერ მივჰყვე რიტორთა, უცები, ბრძენთ-საცემელი,
ბრძენო, გენუკავ, ტარიგსა არა ხამს გამომცემელი.

რად ხამდა, ეგზომ მუსიკთა მელექსეთ თავსა შევრევდე,
მათ მარგალიტთა ნაფრქვევთა ღორებრ ვჰსთრგუნვიდე, შევრევდე,

ან ვარდის ბაღსა ბულბულის ნაყეფსა გავატევრევდე,
მაგრამ ამად ვჰქმენ, სევდასა დავსცემდე, მიწყივ მოვრევდე.

მელექსენი ასე ითქვა, ბოლოც მმართებს შეუთაო,
ბატონი კი შეუდარო, სხვათ რუსთველი გაუთაო.
კარგადა ვთქვა ყველაკაი, არ მგონია ვნანუჩაო!
კიდევ რამ ვთქვა, რასა ბძანებთ, თუ ამაზედ გავათაო?

სიბრძნის მცდელნო, ხელის-მყრელნო, გაიგონეთ, განა გესმისთ?
ორთა ბრძენთა მუსიკობა გულს გაამებსთ განა აგ, ეს, მისთ!
ტკბილად არის შესახვრეტი, სამსალებრივ განა გესმისთ?
სიტყვა-შაქართ იადონთა მელექსობა განაგეს მისთ.

იცით, სიბრძნეს არა მალავს მეფე, არცა დიდებული,
გულსა შინა დაფარული ამოიღეს მიდებული,
მიჯნურობა მრავალგვარად თქვეს სახმილებრ კიდებული,
ზოგნი მსიძავთ შეუდარეს, ზოგნიაო კი დებული.

ყური მიპყართ წადიერად, ნურსად წარხვალთ, აქა ვებით,
მას უბძანა თამარ მეფემ, ბატონმა თქვა თავის ნებით.
ბევრი რამ თქვეს მათ ამბავი, გარდალექსეს თარგმანებით,
ამას უკან თქვენც მოგინდეს, მაგრა მევე დამანებით.

მეფე ბევრს რასმე შემოჰკრებს მიჯნურთა ერთად მკობასა,
არ დასწყვეტს სიბრძნის წყაროსა, ენისა მუსიკობასა,
აქებს შვენება-სიტურფეს, სიფიცხე-კისკასობასა,
თუმცა ეწყალვის, მაშინცა არ აკლებს ლახვარსობასა.

რუსთველი მოკლის სიტყვითა მზესა ვით ათინათინებს,
მეფე თეთრს ცრემლსა ღაწვზედა ფერად რად ათინათინებს;
შოთა ზის სიბრძნის ეტლზედა, თავსა მით ათინათ-ინებს,
ბატონი სჩარხავს სიტყვასა, ავს კარგთქმად ათ-ინათ-ინებს.

თვალს მიჯნურობით დაბმულსა უნატრის ახლად ჩენასა,
უმზერდეს მიუცილებლად უწყვეტლად ცრემლთა დენასა,
ენას ხმარულობს, მუსიკობს, შეუძნდენ ყურნი სმენასა,
მეც მათებრ მაქონ მსმენელთა, ვიტყოდე მათ ოდენასა.

ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღდელო და საერიო,
სამღდელოსა მცოდინარე საეროსა მოერიო:
ამათ ორივ სცოდნებიათ, დაუჩაგრავს მით სწორიო,
თქვენც მოგსურდესთ მათი სიბრძნე, თუ ვინ ორშივ გაერიო.

აწ თქვენ გასინჯეთ, რომელსაც რომელი უკეთ სცოდნოდეს,
სამღდელო ანუ საერო, მის-მის დროს რომელს მოჰქონდეს,
ენას მსუბუქად ტკბილადრე, არ მობტყოდ მძიმედ მოსწონდეს.
ამის შეტყობა მინდოდეს, ნუ მზრახავთ ეს მომნდომოდეს.

ენათა სწვეთენ გოლეულს, ბაგეთა აშაქარებენ,
ხელქმნილსა ხელქმნილისადა საძებრად სადმე არებენ,
მიჯნურთა მოტრფიალეთა მხეცებრ აგარეგანებენ,
კვლაცა მებრძოლთა ძლიერთა დევთა სრვად ალაშქარებენ.

ვინა ვიწყო მათი შედრა უდარებდე კარგსად ავით,
თუცა ვიჯდე სიბრძნის ეტლსა, ვიხმარებდე კარგ სადავით,
რად ხამს ბრძენთა არ ხსენება, ვინ აჯობა ქიშპსა დავით?
მნათობთ შუქი არ მოაკლდეს, დუხჭირთ ექმნას ტურფადა ვით.

მათ დაურჩათ ბევრი რამე, სიბრძნეს ბოლო არ მოეღოს,
მეც რამ ვიცი, არ დავჰფარავ, ცოდნას კარი არ მოეღოს.
აწ გასინჯეთ, თქვენს წინაშე ლექსი ტკბილი არ მომეღოს?
მაგრამ მაშინც ამას ბძანებთ, მათგან რამე გარდმომეღოს.

გასინჯეთ, სიბრძნის ტრფიალნო, კარგად მითქვამს, თუ არ ავად,
მინდა თქვენ გამოგამჩვენო, არ მინდა დასაფარავად.
ერთხელ ყოვლისა საქმისა ქარი მიქროდა არავად,
ბოლომდის არვის გაუშვებს სოფელი გაუმწარავად.

მე ეს ბაასი მასმოდა, შემრჩა ერთს გულის ყურესა,
ვინ ბაასობდეს, ღვინოს სმენ და მე კი მამაწყურესა.
ოდენ შემოვრჩი ოსეთსა, მათ აღარ მომიყურესა,
მარტო ლექსის თქმას დავსჯერდი, მე მისთვის მამასურესა.

ამას ის სჯობს ღვთის შიშზედა საფუძველი კაცმა აგოს,
სიწმიდითა შეიყვაროს, სასოება არ გარდაგოს,
მტკიცედ ჰქონდეს სარწმუნება, ამ სამსავე ზედ დააგოს,
მერმე საქმე მისის ნებით წარემართოს, რაც გააგოს.

გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზეზით [იქმნა], რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს.

მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვითმნახავათა და თან-ნაახლთ მის ჴმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტბა — არამედ მართალი; რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდენ, ვჰკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს. და როდეს კახეთით იმერეთის დასაჭერად წამოველ, სამ წელ არა მცირე სარჯელი ვნახე, და მეოთხეს წელს დავიჭირე ენკენისთვეს; და თიბათვეს ხვანთქარმა სუაზს აქეთი ლაშქარი გამომისია, და მეფე და გურიელი წინ მიეგებნეს და ზოგნი იმერელნი დარბაისელნი. და ყაენმა ადრიბეჟანის ლაშქარი ქართლსა და კახეთს პირს მოუყენა. რომელიც იმერელნი მე მახლდენ, ზოგთ იმათაც იქით ირჩიეს; და დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქივ იმერეთს ჩაველ. და რვას თვეს ჩხერს ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ, და იქიდამ ოსეთს ფაიქომში გარდმოველ, და ერთს წელიწადს იქ ვიდექ.

ვითაც მოწყენილის კაცის წესია, რაგინდარას მოგონება და ჯავრის დაუმორჩილებლობა, სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად; და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების მეტი, საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა; ვითაც ამჟამად ასე სახელის მძებნელი კაცი არ გამოსულა, რომ მეფე თეიმურაზ, და მისი სახელი და სარჯელი არ დავჰკარგე და ბევრისაგან უმცირესი ვთქვი; მიზეზად ბატონი და რუსთველი გავაბაასე და ორისავ ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესი. აწ ამაში ბევრი დასახედავი და ავისა და კარგის გასარჩევი სიტყვები, ვეჭობ, შემოხდა საქართველოს ბატონებზედ და დარბაისელზე, და ვინ რომელი აღირჩივოს, ის იქნას.

ამის ქორონიკონს ქვემორ ლექსად მოგახსენებ, როდის ითქვა. კიდევ ქვემორ ერთი ლექსი სხვა არის, ის გაუწყებსთ. იმ ლექსს ზემოთ ორი გალექსული ამბიკო რომ თავბოლო ლექსად არის, ერთის ანბანთქებით რომ ცხრა ლექსია, ოსეთს და დვალეთს მითქვამს ორს თვესა. და იმას ქვემოთს აწ ამთარხანს ვამბობ. ეგება მოცლით ყოფას მიაჩემოთ, მაგრამ არ ვიყავ უსაქმოდ, ოღონდ ნამუშაკევი ეს გამოჩნდა, სხვა არა.

ბაასი შოთა რუსთველისა მეფისგან თემურაზისა,
მათთა ენათა სიტკბონი ვსცან მამმშვიდებლად ბრაზისა,
არ-მოკლე სასაბრძნობელი, უგრძეა ბევრ მარაზისა,
მათებრ მეფე და ან მონა ბძანეთ, თუ სადღა რა ზისა?

მე მოვახსენებ მეფეს და რუსთველს წინაშე მჯდომარსა,
ვცდილვართ და სრულ ვერ მიმხვდარვართ თქვენ სიბრძნით მოსაგონარსა.
ღარიბთა ლექსთა შეწყობას ბრძენთაგან მოსაწონარსა,
ვინ სიბრძნეს ვეძებთ, გადარებთ, დავჰგმობთ უდებს და მცონარსა.

ბევრი რამ გითქვამს სამზღვარი თქვენს შუა რამდენი რამ ძეს,
ვინ ერთი ერთსა მოგიდგეს, დაემდურება მამა ძეს;
დიდი იქნება ცილება, ზოგ-ზოგი კარსაც განაძეს,
გიაჯ, თქვენ გარდაიწყვიტოთ, მე სათხოვარი მიბოძეს.

თვით შეექნათ მათ ცილება, სხვათ მელექსეთ არ ირევენ,
სიტყვას ღრმასა ბრძნად სასმენსა შეაწყობენ, არ ირევენ,
სწორს აასხმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ,
მათსა პირსა ტკბილი წყარო წმინდათ მოსდის, არ ამღვრევენ.

ნახეთ, რუსთველი მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს,
ესათნება, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს,
არა ჰყრის თავსა სამონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს,
ასრე სწადს, მუდამ გვერც ახლდეს, არც წამ არ გაეყრებოდეს.

პასუხი პირველი მეფისა:

რუსთველო, ყური მამიპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენ ა ო,
ხან კიდეც გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო,
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო.

პასუხი პირველი რუსთველისა:

მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ,
ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი მოიარონ:
გრძნებაც რამ ქნან, ცა ღრუბლითა შეპყრობილი მოადარონ,
სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღდელი არონ.

პასუხი მეორე მეფისა:

სრულ მელექსეთ უფროსობა რასთვის ბძანე, არ გმართებდა,
არ მეც მათთან დამატანე, ეგ მე ჯავრით ამანთებდა,
ვით ჩამოხვე, გითავმდაბლო, ჩემ კერძ მყოფთა ვერ ვავებ და,
სხვას ვის გინდ რომ ეუფროსო, ბოლოს მოსულს არ ეძებ და.

არც მე მინდოდა ბაასი, მითქვამს, აქებდეთ რუსთველსა,
მას ხარბად ენა-მეტყველსა, ვით ტკბილი მოსდის თვე სთველსა.
მაგრამ თიატრონს ავსებენ, ასპარეზსა და კვლავ ველსა,
ბაასობენ და გვადრიან, ვხედავ ხანდახან თვალ-სველსა.

არ მეც მათთან ჩაგიგდივარ ლექს(ს) ვინ ამბობს, შაირებსა,
ზოგნი რასმე ამსგავსებენ, ზოგნი სადმე ცუდად რებსა.
მოცილეს გავს მოსატყუვრად, ვინ არ ხედავს მართლა მზღვრებსა,
მე რომ მართლა ცა შევამკო, შენ მრევ, ვინცა მოავდრებ სა.

პასუხი რუსთველისა:

თქვენ ნუ აჰყვები, იუბნან, ვინც უნდა თქვას რა გინდა რა,
ზოგთ თქვენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგვიბინდარა.
თუ კიდევ ბაას მიბრძანებთ, მე აღარ მოვალ მანდ, არა.
ჩემსა დამეხსენ, მეფეო, და თქვენი არა მინდა რა.

ცუდად ლაყბობენ, შენმა მზემ, ვინ შეადარა ბატონს ყმა?
თქვენ ყურს ნუ უგდებთ, რაზომცა იძახოს ტბაში ბაყაყმა.
სიტყვა-მცდარმან და უცებმან ცუდი თქვას, სიტყვა ამაყმა,
მათ რომ იუბნან, ჩვენ რა გვრჯის, ვინცა დაათროს არაყმა?

პასუხი მეფისა მესამე:

რაღას უშველის, ამბობენ სიტყვასა ამისთანასა,
ზოგი ხმამაღლა ბაასობს და ზოგი იტყვის ბანასა.
ზოგთ ჯავრი ამოატირებს, ღაწვთა შეიქმენ ბანასა,
აწ შენი მქები უფროა, ბოლოს ღროს ჰყოფენ ნანასა.

პასუხი რუსთვლისა:

სანამდის გავსძლებ პასუხის შენახვა-უთქმელობასა?
ვიდრე დარევდეს სიფიცხე გულსა მი-და მო ლმობასა,
მანამდი პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს სალმობასა,
მერმე მეც ვიტყვი პასუხსა, შევსწირავ ღმერთს მადლობასა.

პასუხი მეფისა მეოთხე:

რუსთველო, სხვათ მელექსეთა თუცა შენ გაგითავესა,
მე არც გისწორებ, არ იცი, კარგა მჭირს ან თუ ავ ესა,
მე ჩემი ჯობნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდავესა.
ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა.

ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაცა სთქვი — იძულებითა,
თამარ მეფემან გიბძანა, ძალი გიყო თუ ნებითა.
მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა?
შენ არ გასტყდები მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა.

პასუხი რუსთვლისა:

ჯობნა გონი არვინა თქვას, თქვენ რომ თქვენით თავს იმკობდე,
ჩემი გმართებს სათნოობა, სხვათ მელექსეთ ამაყობდე.
მაშინც ისრევ მე მაქებენ, რაზომ გინდა მუსიკობდე;
თავსა არათ არ დაგიდებ გასწყრე გულით, ან სჯავრობდე.

მეფევ, სამართლით ბძანებდე, ხარ რაზომ შეუპოვარი,
მეც რამ ცოდნა მაქვს, თქვენც იცი, არ პირუტყვი ვარ მძოვარი,
ვსთქვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი,
თქვენ რა იშოვნე თქვენის თქმით, ბევრი ვჰქენ მე საშოვარი!

პასუხი მეფისა მეხუთე:

ვერ გედარო, რით იქნება, როგორ იტყვი, ჰაი ამას?!
ერთის ამბის გარდალექსვა არ მოჰხდება სჯობდეს ამ ას.
სჯობს გამიტყდე, ჩამომეხსნა, თვარემ მოგგვრი თვალთა ნამას,
არ თუ მჯობდე, ვერც მედრები, დავიფიცავ ჩემსა მამას.

ერთი კაცი ძალის საქმით კარგს იქმოდეს ანუ ავსა,
მას იმდენად ვინ ჩაუგდებს, ვინ მისცემდეს ნებით თავსა?
რა გასინჯავ ჩემს საქმესა, ველარ ითხოვ აგრე დავსა.
რა შარვანდი მზისა მოვა, სხვა მნათობი ყველა დავსა.

ასრე არ გარდაგვიწყდება რაზომ გაგრძელდეს ბაასი,
შინაგან მგელ-მტაცებელო, გარ ცხვრის გმოსია დაბასი.
ნაძლევი დავდვათ, გაჯობო, მომცემი იყო დაბასი,
ვერ გაგიტეხო, ტვირთითა ფლური გიბოძო, აბასი.

პასუხი რუსთველისა:

მეფევ მოწყალევ, თქვენს წიგნში მგონ ჩემი ქება სწერია,
ხელმწიფევ სიბრძნით სავსეო, მეც რამ ვსთქვა მოსაფერია,
თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერია.
არ დაიმადლებ ამ სიტყვას, მაშ, ძალი გამოერია!

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს,
მხიარულად წაიკითხვენ, მასზედ თვალნი არვის უწუხს,
ნუ გასწყრები, ხელმწიფეო, მოგახსენებ კიდევ პასუხს.

მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზედ შენობს,
ამას ზედან რასთვის სწუხხარ, პირად მზეო, იკრავ შენ ობს.
ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს?
ნუ ეჭვ მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბ შენ ნობს.

პასუხი მეფისა მეექვსე:

ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
ვეჭვ, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა,
თორემ ვჰკითხოთ ქორანიკონს გაგიჩნდების შენი ბასა!

ერთი ვინმე ერთს საქმეზედ მოიცლიდეს, იყოს მაზე,
რად დაღონდეს მისსა ქნასა, ოდენ იყოს მონახაზე.
კაცს რომ საქმე დაბლა ჰქონდეს, ვინ დააგდო მონახაზე?
ვერ გაგტეხო, სისხლი ჩემი ხვრიტე, ხორცი გაიმაზე.

თუცა შენ იყავ აქამდის უმჯობეს მელექსეთასა,
მთიები ციისკრის მასკვლავი შუქს მიჰყვეს ვითა მზეთასა,
მეხუთძლეს ვინ შეადარებს ვინ მასთან ჰკრევდეს სეთასა?
მე ნუ მედრები, მიყვარხარ უფრორე ჩემთა ყმათასა.

სჯობს გამიტყდე, მართალი სთქვა, ისომ გჯობვარ, რას უარობ?
მე შენ გჯობდე, რა იქნება, სხვათ შენ სჯობხარ, არ უარობ.
გული ამას დააჯერე, ნულარ სჭმუნავ, ნუ მწუხარობ,
ვეჭობ, ეჭვი შეგივიდა, პირველუმურად ველარ ხარობ.

პასუხი რუსთველისა:

მადლი რა გკადრო, თუცაღა გარსევანს ვსჯობდე, ან ბარძიმს,
ჩოლაყასშვილს და ვაჩნაძეს .რადგან მადარებ, არ მიმძიმს,
ერთს კოჩივარდას მქებარსა, მეორე აქებს მაშ თუ ღიმს,
ნუ ბძანებ, გაგემარჯვება, თორემ მსმენელსა გააღიმს.

სწყლიანობ, მეფევ, ჯობნასა არ ჰბრძანებ მართლის გულითა,
ერთი მე შეგრჩი არიფი, სხვა ყველა ა ნაბულითა.
თუ ვინ მაქებდეს, რა გაგვა, არ ვიყო დაკარგულითა,
მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ, ბძანე არაბულითა!

ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექნას რამე,
ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე,
ჩემი თქმული სახედ გქონდა მით რამ იტკბე, მით რამ ამე,
სხვათ მელექსეთ უმჯობესო, თუ არ სწყრები, მე კი დამე.

პირველ ხელყოფა საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად,
სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველნი იქმნეს მუნ ბნელად.
შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თქვენცა მობრძანდით თუ ნელად,
მე ვთქვი სრული და უკლები, თქვენ მოგეც შესაძინელად.

რაც კარგია მის ქვეყნისა, ვიცი მეფეს მიერთმისა,
მაგრამ ამას ვერ მოგართმევ, არც სამართლით წამერთმისა.
არ მანებებ, ჰი, გლახ, რა ექმნა აღმოფხვრა არს წამწამ-თმისა,
შემარჩინეთ, თუცა თქვენგან ჯავრი სხვას არ დაეთმისა.

პასუხი მეფისა მეშვიდე:

ვერ წაგართვამ, გაგიჩნდება რა ჩემს საქმეს ვიტყვი ყველას,
არა გდიო შესაპყრობლად, შავარდენმან ვითა ძერას.
რა სიტყვაა, ან ვინ იტყვის, დაუჩაგრავს ლომი მელას!
ფეხზე ხელი არ მოგკიდო შენ, სოროში შემძრომელას.

ერთ ქვეყანას არ იყო და ვირს დაარქვეს მ თ ვ ა რ ი ს ა ხ ა რ,
თუ სცოდნოდათ მოახლობა და ენახათ ან ისახარ,
ვირსა რადღა დაარქვემდენ, აგრე ბრიყვი რასთვისა ხარ?
სხვა არ იყო, შენ გაქებდენ, რაზე პირჯვარს დაისახავ!

ერთსა უმეფოს ქალაქსა რა მოურავი დაჯდესა,
მას აქებდენ და მონებდენ, ყოველნი მას იაჯდესა,
დარბოდეს მისგან წარგზავნით, გზირი თავს გაისაჯდესა,
პატრონი მივა, დასჩაგრავს, ტახტიდამ ვირსა გაჯდესა.

პასუხი რუსთველისა:

მეფე დიაღ ამიჩქარდა, თოფი მკარით, ან გამისრეთ,
შემომკარით ხმალი თქვენი, ფრანგული და ან გამისრეთ.
რასთვის ჩავჰყევ ბაასშიგან, არ ვჰგონებდი იმას ისრეთ,
რამან კაცმან შემიბრალოთ, მტერთაგანმცა თქვენ მოისრეთ.

გავს შედრასა არ სჯერდება, ასე რიგად ამიჩემა,
მტერი ამას ვერ მიზემდა, მე რომ საქმე მიყო ჩემა.
სხვათ მელექსეთ არ შეხედავს, ასრე სულ მე დამეჩემა,
ან მე რაღას მოვახსენებ, მიკვირს, რა სთქვი და მეჩემა.

უთქვამს ვისმე, ძველს შარას და ძველს მოყვარეს ნუ დააგდებთ,
ძველითგანვე მელექსეთა მაძმობილებთ და მე მადებთ.
რაც კარგი სთქვათ თქვენის ნებით, ისრევ თქვენვე მე დამადებთ,
უწინ ყველამ მე მითავეთ, ახლა როგორ გარდამაგდებთ?

სხვა ჩემებრივ არ ნახულა, თუცა ბევრჯელ მონახულა,
წყალობითა შენახულა, არ თუ რისხვით დამარხულა.
ხმალი შენ გაქვს სისხლის მღვრელი, მაგრამ ჩემზედ არ მახულა,
ბევრს დიდს დარბაზს აჯობინეს მონახაზეთ მონა-ხულა.

შემძლე ცხენი იმას ჰქვიან, მალ მივიდეს მანძილამდის,
თვარამ ზანტმაც წყნარა-წყნარა მიაწიოს მან ძილამდის.
აქა-იქი შეჰკრებ რასმე ყვავილებსა ენძალამდის,
იოსების ქებაშია ბებიასა გაზდილამდის.

პასუხი მეფისა მერვე:

ღმერთმან იგი შენ დაგმართოს, რასაც ჩემთვის განიგულავ,
შენ ანჩხლობ და სჯავრიანობ, მე მიძახი: განი გულავ,
გულის კარი საორგულოდ გაგიღია, განგ იგულავ,
თუმცა უწინ შენ გაქებდენ, აწყა ჩემგან დაკარგულავ.

გაიგონე, შენც გასინჯე, მე ამათგან არ მეცალა,
ბევრგნით საქმე გარდმეკიდა, ერთგნივ სიბრძნე ამეცალა.
არას საქმით არ მამშორდა, არც ცოტადრე გამეცალა,
ჩემა მზემა, მთვარეს ლები დააჩნივა, ა მეც ალა.

სად მეცალა ლექსისათვის, ჭირსა შინა გული იობს,
სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდახდა, არ თუ იობს!
ის მოიცლის საშაიროდ, ვინ არ ჭმუნავს, ვინ არ იობს.
ჩემს ჯობნასა ვეჭვ რუსთველი გულს აჯერებს, განაგიობს.

ვინ მოსთვლის ჩემსა სარჯელსა, ანუ ეგზომსა ჭირებსა,
ხან ადვილ გამარჯვებასა, ხან ძნელად გასაჭირებსა,
განსაცდელისა საკრველთა იგ ძნელად მონაჭირებსა,
ჩემთა საყოლთა დახოცას, ბროლ-მინა განამჭვირებსა.

მე და შენ ვინ შეგვადარებს, სად ჩემი საქმე, სად შენი?
თუ ჯობნა შენი ვინმემ თქვას, სიტყვაა არ მოსასმენი!
სიყმაწვილითგან სიკვდიდმდე საქმე მჭირს თავსა საშენი,
ამოსწყდა ჩემი ქვეყანა, ოხერი ვერ ავაშენი.

პასუხი რუსთველისა:

მეფევ, დასწყნარდი, ნუ სჯავრობ, ყური მამიგდე, გონია,
არ ხელმწიფობით მაჯობო, სხვითა ნურათი გგონია,
ნიადაგ ჩემის ლექსისა ქება თქვენც გაგიგონია.
მე ათინას ვარ გაზდილი, შენ სამ-წელ გქონდა გონია.

ათინას თქმულა სიბრძნისა მოპოვნა-მოშოებანი,
ჩემი ნათქვამი წინწილად, ტკბილ-გასაგონად ებანი,
მაღლა მოგძახისთ მელექსეთ, ეს კმარა თუცა ებანი.
მაგ საქმით თუ მედარები, სხვა გიჯობს ღონისძებანი.

თქვენს წიგნში დაგიწერია, ჰგულისობ ჩემსა ქებასა,
სხვა მელექსენი, მეფეო, თქვენს მეტი ვერვინ მებასა.
არ ჩამოგივალ მაშინცა, ყელსა საბელი მებასა,
თუ ვინ თქვას შენი ჯობნება, ნუ დამხსნი ცეცხლთა დებასა.

მო, ასრე ვთქვათ, თქვენი თქმული ჩემისთანა ვითამ არის,
შევინახოთ საუნჯეში, მობარებით ვით ამარის.
მგონი წყრომა აღარ გმართებს, მიბრძანებდე ვით [თ] ამარ ის,
უშვერი და შეუფერი სად რა მითქვამს, ვითამ ა რის?

პასუხი მეფისა მეცხრე:

მე მიზრახე ქვეყნის მოვლა, არ გმართებდა გეთქვა შენით,
მართალია ბევრი ვნახე ოხერი და მერმე შენით,
სოფლის საქმით შექცეულნი სიმთელით და ზოგნი სენით,
ერთის ამბის გარდალექსვა რა ძნელია ბევრის ენით?

ქრისტე ბძანებს, შენც გასმია, დევნულთათვის ნეტარებას,
სხვა თუ რამე დავაშავე, მისთვისა ვიქმ მე ტარებას.
თუმცა მქონდეს, არას ვირცხვი, ცრემლთა მილის კარკარებას.
მისთვის მიყვეს, რასთვის მიგმობ სიარულსა, კარ-კარ რებას.

რაც ენაა ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა,
ყოვლი არსი შეგიყრია, დაბალი და მაღალიცა.
რა გინდ ბევრი ცოდნა გქონდეს, ვერ აჰყვები ვინცა ოცა.
არ დასდგები, დაგარისხებ ვინ ეგვიპტე გააბიცა.

მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული,
თათრულიც გამირევია, მიქია მათი არსული.
ამ სამის მეტი თუ ნახო, გინახავსმც ყმა-გაპარსული.
ბაასის სთველი წაგიხდა და დაგისეტყვა მასული.

პასუხი რუსთველისა:

ჯაბანია იგი მოყმე, ვინ ქიშპისგან ადრე იძლევს,
ხარბის კაცის წესი არის, თვით არ მისცემს, სხვისგან იძლევს.
ნუ გამიწყრეს მეფე ჩემი, ვერ იშოვნი მაგით ნაძლევს.
ჩემს ლექსს თავი გასწყობია, ბოლოს თარგმანს ტანი აძლევს.

დავითის ნათესავი ხარ, წართმა გასწავლა სხვისა მან,
ვის ერთი ჰყვანდა, წაგვარა პატრონმან ბევრის სხვისამან,
მაგრამ მან შეანანია, უჩვენა ცა რისხვისა მან.
რას მერჩი, რას გარდმეკიდე, სამართალი ქნას ისამან.

ვერცხლი არ არის, ტრფიალი ვერცხლისა გაძღა არაო,
რას მეცილები, შენ ღმერთმა მეფობა მოგაბარაო,
უსამართლოსა მოცილეს, კარგა ქნა, მან წაგვარაო.
მე ვამეხსენ და შეგამკობ, ვიტყვი, მელექსედ კმარაო.

თამარ მეფით აქანამდის ვიმატე და და ვიკარგე,
რა მამხდარა მაგისთანა, ახლა როგორ დავიკარგე?
ტანი ზროდ ვსთქვი, ვის ვაქებდი პირი მათი გაუმანგე.
თუ გამაგდო მელექსეთგან, შენ სამკვიდრო ლეღვი დარგე.

პასუხი მეფისა მეათე:

რას მიზრახავ უსამართლოს, მითხარ, ვის რა გამოვართვი?
ვინც დამმონდა, დამმორჩილდა, მათ ბევრი რამ არ მოვართვი?
ძალად მივსცემ არვის არას, გაიგონე, არ ხარ დათვი.
ბირთველმაც თქვა ჩემი ძვირი, ენა ძირში ამოვართვი.

მე რუსთველი ვეღარ მომყვა, სჯობს სხვა ღონე მოინახოს,
თვითან მარტო ვეღარ ბედავს, სრულ მელექსე მო ინახოს.
თუ ტყუილათ შემეჩემოს, მობრძანდეს და მოინახოს,
ლექსის ყანა მგონ წაუხდა, აწ მოჰკაფდეს მთაში ახოს.

ნუ მოჰკვდები, ამას იქით ვერ დავშველდეთ შუამავლით,
შენ დაშავდე შენის ენით, ვით მიმინო მხარზე მავლით.
გარდმეხვეწო ვერსად ვერა, სიარულით აგრე მავლით,
კიდევ გული ჰამიბრუნდა, მოდი, თავსა შემომავლით.

ამ სიტყვასა ტკბილად გითხრობ, გაგეხარდეს, არ გეტყვი ზარს,
თუ შენ მჯობხარ, გრემს მოგცემ და ზედ დაგიდებ მერმე ბაზარს;
თავსა ჯიღით აღგიმაღლებ, წამოგასხამ განა მაზარს!
ბერი ხარ და ლიტრით მოგცემ სიჭაბუკის შენა ფაზარს.

პასუხი რუსთველისა:

შენ არა გაქვს, მე რას მამცემ, მაგ ნაძლევით არ იქნება,
მერმე ორივ ოხერია, ძნელი არის აშენება.
მე ეს მინდა, მიჯობინო და ჩამომყვე, დამრთო ნება,
სხვამც რა მინდეს მოსაცემი, ჩემი გული მისთვის დნება.

აღარ მინდა საშოვარი, გული ასრე შემიწუხდა,
ერთხელ მქონდა დარი მზითა, ცა რისხვითა არ მიქუხდა,
მამაძულვე ჩემი ყოფა, თვალნი მზერად დამიწუხდა,
შენამდისი სხვა მელექსე რუსთველს ბრძოლად ვინ მოუხდა?

აქანამდის არვის უთქვამს, შოთას ლექსსა შეუდარებ,
ეს არა სჯობს ცილებასა, მე ვიტყვი და თქვენ გაბარებ,
თუ რას ვიტყვი საგულისოს, მამკლავ, ვიცი, მას უდარებ,
აქ აღარსად დამაყენებ, გარ გამაძებ, ცუდად მარებ.

ვიცი, ავად ჩამომართმენ, რადგან სწორი სიტყვა გკადრე,
მაგრამ რაღას გამოვჩნდები, თუ მელექსეთ დაუვარდე?
ვაქკაცები ვასახელე, ქალებს ღაწვი გაუვარდე,
მაშინ სცნობენ ჩემს ბაქებსა, თუ სხვას ვისმე გაუვარდე.

პასუხი მეფისა მეთერთმეტე:

შენ ასეთი სად რა გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად?
ომი მისთვის არ გავლექსე, მე თვით ვექმენ მტერთა კვნესად.
უცხოდ გიჩნდა, შენ მისთვის სთქვი მოუმკალი დანათესად,
ჩემთვის კვეხნად არ ჩაგეგდო, მაჯობებდი მაგით მე სად?

გამისინჯე, სად მმართებდა გუნებისა შემოკრება,
თუცა მინდა გასაძებლად, მაგრამ სიბრძნე არ მეყრება.
მამაგონდეს ჩემი საქმე, ბევრჯელ გულს შემომეყრება.
არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვიდი კრება.

პასუხი რუსთველისა:

ვეღარ გავსძლებ მუქარასა, არ ვიყურებ ამბობ ტო რას.
მარჯანი ვარ, მამიტიო და მადევნო ჩიტსა ტორას,
სხვაგნით სითმე გარდგივარდე, ვეღარ დამკრავ თავსა ტორას.
ყმანი ყველა გაგეცლებით, გაგიჩნდების იქ მარტო რას?

რაც არ გონია, ის იქნას, ძვირ იქნას მოგონებული,
სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა გაგონებული.
პატრონის ყმისგან ურჩობას, უკეთეს დამონებული.
მაშა, სოფელმან დამაგდო მოწყლული, საარებული.

პასუხი მეფისა მეთორმეტე:

ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე,
ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე!
ძოღან დიაღ მაწყენინე, მხიარულსა დამიმძიმე,
სიტყვის უქმსა რადგან ცუდი სიტყვა წაგცდა, ნეტარძი მე!

უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა,
რაღას გელაყბო ჯავახსა, ღარიბსა, შე უპოვარსა,
ტურას მძორისა მჭამელსა, ზროხას ბალახის მძოვარსა,
ყბედსა, გულ-დიდსა, მტერობა აქლემისებრი მხსოვარსა.

პასუხი რუსთველისა:

რასთვის ჩამოგყევ ბაასში, რად შევსცდი, რა დამეფეთა?
ხმალიც მოგეკრა საკვდავად, გლახ, ხორცი ჩემი გეფეთა.
სხვა მონა ვინ შეედარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა?!
ყვავმა-ყორანმა დამძახა, მო, ძაღლნო, თქვენც დამყეფეთა!

მეფეო, გიხამს დიდება, მუდამ ქვეშ ფენა ნახლისა,
შენმან მტერმან და ორგულმან თავი მიწასა ახლისა!
საღვთოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გიახლისა,
თვით უწყი, სადა სწერია ძველი უმჯობეს ახლისა.

პასუხი მეფისა მეცამეტე:

მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,
ახლა ჩემმა დააჭარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა.
მთვარე ღამეს გაანათლებს, მერმე ჰფარავს შუქი მზისა,
ჩემმა წიგნმა დააჭარბა, შენს წიგნს ვინც სწერს, ცუდათ ზისა.

ჰე, რუსთველო, მოიცადე, დადეგ, სიტყვა შეინახე,
საღვთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე.
მაღალს საროს ვერ შესწვდები, გლახ, დაბალი მოი ნახე,
ქრისტე არის მართლმსაჯული, მოციქულნი მოინახე.

პასუხი რუსთველისა:

მეფეო, არ იყო სათქმელი წიგნის წახდენა თქვენგანა,
ჯავრითა ბძანებ მაგ სიტყვას, თვარა არ იცი შენ განა?
მე ეს მერჩივა მაგ სიტყვას, თავს გარდმოგეკრა დაგანა,
თქვენგან არ იყო სათქმელი, არ მიკვირს უპკოთაგანა.

შენ უკეთ იცი, მეფეო, პტოლემეოსის ნაქნარი,
ვეზირთ უბრძანა: „მირჩიეთ საქმე რა ჩემგან საქნარი,
ყველა წახდეს და იგი არ, ვით დავითს ებან ან ქნარი.
ერთი რამ მინდა დავაგდო, სოფლისგან არ-დასანთქნარი“.

ვეზირთ ჰკადრეს: „ხელმწიფეო, ერთობ ძნელი საქმე გვკითხე,
ერთს რჩევასა მოგახსენებთ, თქვენცა გული გაიკითხე,
ისრაელთა წიგნებისა ბერძნულ ბრძანე წასაკითხე,
თუ ვინ უკეთ მოგახსენოს ის ლომ ქმენ და ჩვენ კი გვითხე.

არ დარჩეს დაურღვეველი ნაშენი ქვა ქვაზედაო“.
მადლი უბძანა მეფემან: „მეც აგრე დამეხედაო,
მე თქვენი კითხვა კარგად ვჰქმენ, არ ცუდად დამეყბედაო“.
დასჯერდა მეფე რჩევასა, დაასკვნეს ამაზედაო.

მოიხვნეს ყოვლი წიგნები წინასწარ-თქმულნი შესაქმით,
გამოსვლათ, მეორეს რჯულთა, მსაჯულთა, ნეშტთა, ეზრაქით
წარმავალს ცოდნას რას მისდევთ, წარუვალია, ეს აქით.
დიდი საუნჯე დაუგდეს, ბერძენთა დარჩა მას აქით.

დაუყვეს ყოვლი წიგნები მწიგნობრებს სიბრძნით ქებულსა,
მისცემდეს თვითოს ყველასა მუნ მდგომთა ჩარიგებულსა,
გამოაჩენენ განმარტვით აქამდის ცუდათ დებულსა,
წილად ხვდა ესაიასი სვიმიონ მოხუცებულსა.

იკითხა, პოვა ეს სიტყვა, შეიქმნა განცვიფრებული:
აჰა, მიუდგეს ქალწული, შვას ძეო. — განკვირვებული
გაუჩდა, ჩხრეკა დაუწყო: „არ იყოს ასო კლებული,
თვარე ვინ ნახა, ვინა თქვა უნივთო განივთებული?

ამ სიტყვასა ვერ ვირწმუნებ, წავიკითხო ათასჯერა,
ვით ქალწულმან ქალწულებით ძე შობოსო, არა მჯერა.
ევმანოელ თარგმანებით ღმერთი არის, ვით მაჯერა?
ხმამაღალმან ესაიამ რად დაწერა, გამაჯერა“.

მას მოუხვდა ანგელოზი: „რად არა გრწამს, რად მიზეზე?
დაწერე და, ვირ არ ნახო, შენ არ მოჰკვდე, იყო ზეზე,
ქვაბსა იშვას ბეთლემისას, სად მიუშვან ხარი ბზეზე,
შემოქმედი ხორცით ნახო, აღარ ჰქონდეს თვალი მზეზე“.

ირწმუნა, გარდმოსთარგმნიდა, დაეხსნა ამ დავებასა,
იშვა ძე, ღვთისა ცხოველი, სოფელი დახსნა ვებასა.
სამოთხით გამოძებულნი ამად ვიქთ იქივ შვებასა.
უძლურმან მკლავთა მიირქვა, ევედრა განტევებასა.

თუ წიგნები წახდებოდეს, მაშ პტოლემოს ცუდად შვრება.
ერთობ ასრე შემაწუხე, მამინდება სხვაგან რება,
ერთხელ კიდევ გამაგონებ, ხორცსა სული გაეყრება,
ნუღარ ბძანებ მაგ სიტყვასა, შენი ჭირი შემეყრება.

ამასაც ვიტყვი, მეფეო, თუ თქვენი ყური ინებსა,
მონანი შენნი ერთგულნი, რად გამოგართმენ სიგლებსა?
თხელს ქაღალდს დაიწუნებენ, ეტრატზედ სწერენ წიგნებსა.
თუ კიდევ ბძანებ წახდენას, საქმეს იქ დასაკინებსა.

თქვი, რაც გინდეს საბრძანებლად, გარდამიწყდეს ერთხელ რამცა,
მას ვჰმადლობდე, ვინ ქვეყანა დაამყარა, შექმნა რამ ცა.

თუ ავად ვთქვი, თამარ მეფემ საჯილდოო რასთვის მამცა?
ვინ შენს თავსა მაბაასებს, მიღალატა, დანა დამცა.

პასუხი მეფისა მეთოთხმეტე:

ბოლოს საღვთო შემოიღე, არ გიჯობდა მაგისი თქმა
პასუხს მოგცემ ბაასისას, გაქნევინო ვეჭობ აღთქმა,
საღვთოთ მაშინც უეჭველად შემიძლია შენი დანთქმა.
შენ ტალანტი დაგიმალავს, მოვიპოვო ჩემი დრაქმა.

მართალია, არ წახდება ეგ წიგნები არაოდეს,
წყეულია იგი კაცი, არა სწამდეს, მაგას ჰგმობდეს,
ანუ მართლა არ ესმოდეს და მუცლითა მოზღაპრობდეს,
არ ემთხვიოს სასოებით, ავად ხელსა მიაპყრობდეს.

ზოგი ახლავ აღასრულეს მაგ წიგნებმან თვისი თქმული,
სხვანი არის აღსასრულად, თუმც ჯერ არის დაკარგული.
რქა დონისაც არ წახდების, არც იოტა არს დანთქმული,
მთქმელთ იშოვნეს ცხოვრებისა წარუვალი მუნ მამული.

კვალად მოვიდეს იესო მუნ აღსასრულსა ჟამისა,
ანგელოზთ დასი მოჰყვება, ვნახოთ დიდება მამისა,
მისთა დამსჯელთა წყეულთა ნიში ეჩვენოს ჯვარისა,
მაშინ ტიროდენ ურგებად, დადენა იყოს ღვარისა.

სახარებას ხელთ დაიჭერს, ჯვარსა წინა მოიძღვანებს,
საყვირსა ჰკრავს ანგელოზი, შემოქმედი რა უბრძანებს;
ყოვლნი მკვდარნი აღდგებიან, ვინ იგლოვს და ვინ იხარებს,
ცეცხლის ალი საშინელი ცოდვილთ მწარედ ამწუხარებს.

მაშინ დასხდენ მოციქულნი ათორმეტსა საყდარზედა,
ორ-ექვს ტომთა ისრაელთა მუნ განკითხვად მართალზედა,
მუნ ცოდვილთა თვალუხვავად ემხილება ზედი-ზედა.
სხვათაც ჰკითხე, ვინც იცოდეს, თუ გავმტყუვნდე ამასზედა!

წინასწარმეტყველთ ექნება წიგნები მათი ხელთაო,
ეს ამისთვის ვსთქვით, გერწმუნათ რად არ ირწმუნეთ ხელთაო,

სხვა რამ სიბრძნისა წიგნები არ გამოჩნდების ხელთაო,
ცოდვილთ რაღა თქვენ მის მეტი: ვაი დამწვარო ხელ-თაო.

ზოგთ გონია, ცა-ქვეყანა ორივ წახდეს, განქარდესცა,
ორივ იქნას ახალიო, ესაიამ თქვა ესეცა.
დავითც ამას ემოწმების, ესრეთ სწერენ და მოსეცა,
ცეცხლისაგან გამოხურდეს, შეიცვალოს უმჯობესცა.

შენ მარტო ეგ გისწავლია, მე გიამბობ თითო-თითოს,
უკეთა ვსთქვა, ყოვლმა კაცმა შენმან მჭვრეტმან მოითითოს;
ასრე ჯობნა დაგაჩნიო, შეგანატრო ცოდნით თვით ო [ს],
გამოგაძო სამყოფთაგან, სხვამ აღარვინ შეგითვისოს.

ათ-ათს გეტყვი მოსეს თქმულსა მცნებასა და წყლულებასა,
ძველთ წიგნთა და აწ ახალთა ერთადა ვიქ კრულებასა,
შვიდს მადლს სულის წმიდისასა გათავებით უკლებასა,
ოთხთა ნივთ თა სოფლისასა იგ არსამდის დგმულებასა.

პირველი წიგნი შ ე ს ა ქ მ ე იტყვის არსთ დაბადებასა,
ცისას, მზისას და მთვარისას, ვარსკვლავთა ცეცხლებრ დებასა,
ზე სამყაროსა, წყალს ქვეშე ზღვებს ქვიშით გარ მოდებასა,
მიწისგან შექმნას კაცისას სამოთხეს შიგან დებასა.

მეორე გ ა მ ო ს ვ ლ ა თ ა ა ძეთაგან ისრაილისათ,
მაშინ ქმნილს საქმეს მოგითხრობს მისვლამდე მთისა სინისათ,
ვითარ წიაღხდენ მეწამულს ფარაოს დასანთქამისათ,
ანუ თუ პირველ რა იქმნა შემდგომით-შემდგომისისათ.

კვალად მესამე რ ი ც ხ ვ თ ა ა, მუნ დათვლა ისრაილისა,
მათ ტომთა იტყვის თვის-თვისად, ვინ ვიზედ მთავრებულისა,
სიმშვიდეს, ხოლო სიცოფეს, ან ვინ-ვინ გააგულისა,
სახელის თქმაცა მწადიან არც მეტად, არც ნაკლულისა.

მეოთხე არის სახელით წოდებით ლ ე ვ ი ტ ე ლ ი ა,
ლევითგან ჩამოვიდოდეს ყოველი მაშინ მღდელია,
ვით უხმდა მათ მსახურება, სიწმინდით მისი მთქმელია.
ზოგნი სავსენი მადლითა, ზოგნი განმრყვნელი მელია.

შეხუთე არის სხვა კიდევ წიგნი შ ე ო რ ე ს ს ჯ უ ლ ი ს ა,
გამოსვლით ვიდრე მთით სინით მეტყველი მოკლედ თქმულისა.
მაგრამ სჯულს ვრცელად მოგითხრობს, მთქმელია არ-ნაკლულისა
ამ ხუთთავ წიგნთა უწყოდე მოსესად რწმუნებულისა.

მეექვსედ აწ ეს ჩააგდე მუნ თქმული ი ს ო-ნ ა ვ ი ს ა დ,
ისრაელთ ვითარ შეიყვანს მთით სინით ქვეყნად აღთქმისად.
მოწაფე არის მოსესი და სწორი მისვე ძალისად,
ვინ მზეს აყენებს გაბაონს, მთვარეს ველს იალონისად.

კიდევ სხვა არის მეშვიდე მ ს ა ჯ უ ლ ა დ სახელდებულნი,
ვით დაემკვიდრნეს ქვეყანად აღთქმისად გამოძებულნი,
ვინ დააყენეს მსაჯულნი სჯად მათდა გარიგებულნი,
ამათ მოგითხრობს განმარტვით, არ არის მიდ-მოდებულნი.

ამის შემდგომად მერვეა წიგნი მოთხრობა რ უ თ ი ს ა,
ხილვადაც კმარა, სიბრძნედაც, მდინარედ იყოს რუთ ისა,
დედაკაცობად ეყოფის, არ არის ხედვად ბრუთისა,
დედა არს იობედისა მეფსალმუნისა პაპისა.

რ უ თ ა თ მით ითქმის, მოვიდა ისრაელთ შიგა მოაბით,
თუ ვით მოვიდა ეს ქალი, ან რა ქნა თქვა რამ მოამბით.
მე ეს მითქვამს და აწ შენ თქვი, ცხენით მოვა თუ მოაბით,
კიდევ სხვას გეტყვი წიგნებსა და თქვენ ამაზედ მოაბით.

ორნი არიან მ ე ფ ე თ ა, ათს ჰყოფენ შესრულებულად,
ე ზ რ ა ს ი უკანასკნელად, შემდგომად ნ ე შ ტ წოდებულად,
ნ ე შ ტ ი ნარჩომთა აღწერა, მიზეზი არ დაკლებულად,
რამეთუ ხუთი სხვა არის, სახელით ეს მოდებულად.

პირველ ღვაწლი იობისა და მეორე დავითისა,
შენც გასმია გოლიათსა ვით მძლე ექმნა დავითს ისა,
ან ვით ამკობს გალობასა, ან ახსენა დავით ისა,
მამად ექმნა შემოქმედსა, იტომა ღა დაითვისა.

სამია სოლომონისა ე კ ლ ე ს ი ა ს ტ ე, ი გ ა ვ ი,
ქ ე ბ ა-ქ ე ბ ა თ ა მაღალ არს ხედვითა, არ თუ იგ ავი,

წვრთილება სიბრძნის ტრფიალთა და სწავლა განარიგავე,
ამოებს ამოებათო სოფელში ცუდად მბორგავი.

წინასწარმეტყველთ სხვა ხუთი თვით სახელებსაც გიამბობ,
ესაია და დანიელ, მე თუ არ გეტყვი, შენ ვერ მბობ,
მო ეზეკიელს ვაქებდე, იერემიას შეგიმკობ,
ოთხი ეს არის თვის-თვისად, შენ რასაც ამბობ, არაკობ.

კვლავ ერთ წიგნად ჩაგდებულა ათერთმეტთა რაც თქმულია,
ოსე, ამოს და აბდია იოველმებრ ქებულია,
იონა, ნაომ მიქია, ამბაკომ ხმა-მაღალია,
მალაქია და ანგია, ზაქარია ვით ვმალია.

ძველი წიგნი ოცდაორ არს, ვით ებრაელთ ანბანთ ასო,
წინასწარ თქვეს სულის წმიდით, ხილვის ერთით არ გაასო,
მუცლად ღება, შობა, ნათვლა, ჯვარცმა, ძმრის სმა, ვინ ჯვარს ასო,
სერობასა მოციქულთა ხორცს აჭმევდა, სისხლი ასო.

მოციქულთ ეს შეიწყნარეს, მღვდელთმოძღვართა დაამტკიცეს,
სხვა რაც ძველი წიგნი იყო, ეკლესიას არა მისცეს.
სიკვდილს არ ჰრიდეს ქრისტესთვის და ლახვარი ხორცს გაიცეს,
ქვე-მეთრევთა მიწის ნაშობთ სუფევანი მათ გაიცეს.

სხვა არის ახლის რჯულისა, იმასაც გეტყვი, მაცალე,
წვრილად მოგითხრობ წიგნებსა, თუ თავი არ გამაცალე.
მე სხვაც რამ ვიცი ბევრი რამ, რაც გქონდა, შენ კი დასცალე,
მოდი, ეგ შენი ნათქვამი ჩემს თქმულზედ სართით გაცვალე.

ოთხი თავი სახარება სად დასწერეს, თუ იკითხავ,
მე არ გითხრობ, შენ არ იცი, ანუ სხვასღა ვისღა ჰკითხავ.
თვით ს ა ქ მ ე ს ა ც მ ო ც ი ქ უ ლ თ ა ს კათოლიკეთ წაგიკითხავ:
ძნელ საქმესა შეეჭიდე უმეცრულად, წლილო, ვით ფხავ.

პირველად მათემ საღვთომა აღწერა ჰურიასტანსა,
სცან, იტალიას მარკოზ სწერს, ვიტყვი იმასთან მომტანსა.
ლუკა აქიას დაიწყო, სიბრძნესა სულ შიგ ატანსა,
იოვანემა პატმოს თქვა, ნეტავი იმის მამტანსა.

ერთი კიდევე ესე ვსთქვა, საქმე ბრძენთ მოციქულთანი,
მათ შვიდთა კათოლიკეთა არ უზის ბოლოს სულ თანი,
განუყოთ პეტრეს, იაკობს, იონეს იუდასთანი,
შემდგომ რიტორის პავლესი ეპისტოლ ათოთხმეტთანი.

ერთია იაკობისა ქრისტეს ძმად წოდებულისა,
ორი პეტრესი თხემისა, მოციქულთ უმწვერვალისა,
სამია მისი ნათქვამი, ვინ არის ძე ქუხილისა,
მხოლოდ იუდა მოშურნის ყოვლთათვის მიწდომილისა.

ეს არის ახლის აღთქმისა წიგნები დამტკიცებული,
იონეს გამოცხადებით ერთად გაცამეტებული,
მთქმელი და აღმსრულებელნი არ-ჭმუნვით მყოფი, ვებული,
ახლა შენ ბძანე, რუსთველო, რად ჰყოვნი გაოცებული.

წყლულებანი ეგვიპტისანი:

მეგვიპტელთა რად ვერა ცნეს შემოქმედის რისხვა დიდი,
წყალი სისხლად გარდაექცათ, დღე შეიქნა მათთვის ბინდი,
მათ გულ-ზრქელთა უცნობოთა არ შეუშვეს მისი რიდი.
შენც თუ მათებრ არ გეშინის, მო, წაბძანდი, მათთან მიდი.

ბურნაკთა მიერ მოიცვა ჰაერი, მიწა და ველი,
მათ მყვარი აღმოეცენათ ბოროტი მუნ მოსასრველი,
ანაზდათ მწერი ძაღლისა გამოჩნდა ფრენით ფიცხელი,
ფანქალი კაცთ სხეულზედა სიმძიმე ჰქონდა მებრ ძნელი.

ოთხფერხთა ზედან ეწია სრულ ერთად მოსასრველია,
წვიმას და სეტყვას საშუალ ცეცხლი აეგზო მწველია,
მკალთაგან წარწყმდა მწვანვილი, მოიმკო მუნ ყოველია,
კვლაცა პირმშოთა სიკვდილი მეათე სატანჯველია.

წყალი სისხლად გარდაექცათ, ისრაელნი წყლადვე სმიდენ,
ვეღარც ახლოს გაუვლიდენ და ვერცა ვის შიგ ჩასმიდენ,
ღამედ ექმნათ მათ მზის შუქი, ისრაელნი დღედ ხედვიდენ.
შეანანა მოწყალემან, ვეღარ ისრე ხელს დასხმიდენ.

ათი მცნება მოსესი:

პირველ ღმერთი სხვა არ იცნა, იმას პატივ-ეც მხოლოდა,
არა აღმართო მსგავსება ცუდი, უსულო ძელო და,
ამაოდ არ ჰყო ხსენება სახელი ღვთისა ძნელო და,
შაბათთა დაიმარხევდე, მღვდელნი გყვეს სანატრელოდა.

მშობელთ პატივ-ეც, ევლტოდი საქმესა კაცის კვლისასა,
უცხოს საწოლსა ერიდე, გული ნუ გითქვამს სხვისასა,
რაც შენი გქონდეს დასჯერდი, ნუ ხელჰყოფ მოპარვისასა,
ცილისწამებას დაეხსენ, ნაბერწყალს სიკვდილისასა.

ოდეს დასხმიდა ამ მცნებას უფალი ქვის ფიცარზედა,
ის არის, სხვა არ სცოდნოდათ, ვინ რომ ზის ქერობინზედა.
მიკვირს, შემოქმედს რად სცვლიან მომცროსა ხბოსა თავზედა!
ჩვენ დავიწეროთ გულებსა, თვალნი გეჭიროს მაზედა.

შვიდი სულის-ფვინდის მადლი:

შვიდს მადლსაც აგერ მოგითხრობ, სხვაგან ნუღარ ჰყოფ ძებასა,
მადლი სიბრძნისა იოტებს კაცთა უგუნურებასა,
მადლი გულისხმისყოფისა განსდევს უგულისხმებასა,
მადლი ზრახვისა დაჰფარავს გულის განმკითხველებასა.

ძლიერებისა მხნედა ჰყოფს და ძალს მისცემს უძლურებას,
მეცნიერთა მადლი ვის აქვს, უჩინო ჰყოფს უმეცრებას.
მადლი ღვთისმსახურებისა განაქარვებს საცთურებას,
შიში ღვთისა ცოდვას დახსნის, მართლის გზისკენ აქნევს რებას.

რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემიპყრიხარ გაჭრამდი,
შემედარე და ვერა ჰქმენ შენ შემოწდომა ბეჭამდი.
ლომი მკვდარს ნადირს არა სჭამს დიდითგან მცირეს გოჭამდი,
აწ მკვდარს რა გიყო, თვარემ და, თუ ცოცხალ იყო, შეგჭამდი.

ათინას გაზდა იჩემე, სთქვი რამე ათინურია,
რას ენით ლაპარაკობენ, სხვა აქვთ თუ ლათინურია?
ეს შენ მითხარ და მე გეტყვი ბერძენთა-ელინურია,
ან სიბრძნე მათი რა არის, საჩინო, უჩინურია.

ელენთა სიბრძნის წიგნები ესე და სიცბილიასი,
ბირგვილიონი, ღალინოს, უმიროს, სიბილიასი,
არისტოტელის, პლატონის, ასკილპოს მკვდართ მისნობასი,
იანესა და იამბრეს, ევსები კვლავ სავსებასი.

ესე არის სიბრძნე ბერძენთ, პირველ ფილასოფოსობა,
მკურნალობა, რიტორება, მერმე ღრამატიკოსობა,
ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთრიცხვა, სიტყვის შეთხზვნად მუსიკობა,
ბრძოლის წესი ხელოვნება, ძნელია ნივთთ მეტყველობა.

ეს გარდარჩა ოთხს სტრიქონსა, თორმეტისგან მგონ ორი ეს,
ბუნებათამეტყველებას სიბრძნე არ დაუშორიეს;
აგრე რიცხვთმეტყველებამან თავი სხვათ ბრძენთა მორიეს,
ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სრულ სიბრძნე დაუმორიეს.

ათინელთ სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული, შეტმასნილია,
ბერძენთ აქვს თორმეტი სიბრძნე მუნ ერთად შენათხზნილია,
არ მათებრ საგონებელი, საღვთო აქვთ განბრძნობილია.
ეს უნდა კაცმან მოიმკოს, იმათგან დათერძილია.

რაც რამ კაცს დაემართება, ავი თუ უკეთესი რამ,
ვარსკვლავს და ეტლს აჩემებენ, ვინ თქვა ესე, თუ არ ვირამ?!
სულსა კარგი ვერვინ უყოს, თუ არ ღვთისა შენამზირამ,
რადგან სულსა ვერ იცნობენ, მაშ გაუშვან, ვითა სირამ.

ცუდი არს მათი სიცოფე, ყოვლი არს ღვთის ბრძანებითა,
მრავალი სული იშვების ერთქამ და ერთ წამებითა;
ზოგ-ზოგნი დიდად იშვებენ, ზოგნია გამწარებითა,
ერთი დაჯდება ხელმწიფედ, სხვა ბევრი მის მონებით ა.

ესრეთ მწამს, უფალი აგებს საქმეთებრ კაცად-კაცადსა,
თუ მორჩილნი ვართ, ნუ ვიტყვით საქმესა ავ დასაცადსა.
ვინ ჭირს დავებათ, ვიქმოდეთ მისვე წყალობის მოცდასა,
მხნედ მოვითმენდეთ, უდრტვინვლად განსაცდელთაგან განცდასა.

იტყვიან ვისმე სახელით პასიფს, ასულსა მინოსა,
ეს ქალი იქმნა სიცოფით ზროხის ტრფიალი კუროსა;

გამოუცხადა ბრძენს ვისმე ხელოსანს დედლოხუროსა,
მან ასეთი რამ შეჰმზადა, ვით კურომ ფურსა დედლოსა,

შეშისაგან ფური შექმნა, გარედამე არ მოყავროს,
დახატაო ზროხის სახედ, განა გარ არ შემოსტავროს.
შიგ შევიდა პასიბიო, კურო გავა და შეშჩაროს.
მათგან იქმნაო, იტყვიან, სახელით მინაუტავროს.

ორფევი ჰკრავსო ებანსა, სიტკბოთ ჰყო ქვა შენაძრავი,
რით ირწმუნება ეს სიტყვა, ნივთი აქვს ქვასა უძრავი?
ყველა ზღაპრული ცოდნა აქვთ, მართალთან არ შესართავი,
მუდამად ხელთა უჭირავს ტ ყ უ ვ ი ლ ი ს მათ მოსართავი.

რუსთველის ნათქვამი ზანდუკს ჰგავს მორთულსა ოქრო-თვალითა,
იაგუნდით და ალმასით სავსესა ჩანათვალითა.
კახის ბატონის-მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვალითა,
არასფერითა სავსესა, არც ქ ვ ი თ ა, არცა სალითა.

პასუხი რუსთველისა:

სხვისგან ჩემს ქებას წყინულობ, მე ვითღა გაგაგულისო?
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთ, ან მარგე სულისო!
შვიდის სარწმუნოს კრებისა, ნიშები სასწაულისო,
მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის, ჩემგან დანერგულისო.

თუცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყის,
სადმე ჰპოონ ავად თქმული, ანუ წყალი ვინ დანაყის?
ბრძენი მიქებს ენის სიტკბოს, ხორხისა და მერმე ამ ყის,
აელვარებს მიჯნურთ ქებას, ვით მელანსა შერთვა სამყის.

მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო, მითხარ, ვით მოე კიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტვირთად, ვით მოეკიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ცეცხლო და მოეკიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო იფრდე ან მო ეკიდე.

ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დამემართა,
სპარსთ შეტმასნილი ამბავი მე ლექსად არ დამემართა?

ასრე ვით გამომიმეტე, ჯობნას მიპირებ მე მართ ა?
ნუღარ მიბრძანებ ჯობნასა, შუამავლად მყავს მე მართა.

ორსავ, მეფევ, ნუ წამართმევ, შეჭირვებულს ლხინ მიბოძე,
შენ გაქებდე, შენ გნატრიდე, ხოტბა გკადრო, შეგიმკო ძე,
მეომართა შეთხზვნა ლექსთა ჩემთვის დასვი მაგრა ბოძე,
საღვთო შენთვის დაიჭირე და საერო მე მიბოძე.

პასუხი მეფისა მეთხუთმეტე:

ჩემი საქმე ყველაკა ვსთქვა, კვეხნაშიგან ჩამეგდება,
მაგრამ შენი დადუმება სხვის საქმითა არ იქნება.
რა გასინჯო, შენც ჩამომყვე, პასუხის თქმად არ ეგება.
თვარ ხმალ ხე ტარმოტეხილსა, სხვა პირიმცა ნუ ეგება.

ბრძენთა ჯობნა ვათქმევინო, სხვა მის მეტი რამცა გიყო?
გაწყენინო ასე, ვით მე გულს ლახვარი ვითამ გიყო.
მე ვარდსა ტკბილეფ გაუფრჩვნელსა, შენ ზამბახი გაგიდიყო,
სულმობრძავსა დაგამსგავსო, რა გინდ რომე კარგად იყო.

პასუხი რუსთველისა:

ხლართავ ლექსსა ასულს რათმე, მე რომ ვხედავ კიდეც დამას,
არ უშურვებ, ა სულს დასდებ, მისგანც ელი ნაცვალს და მას;
აჰა უპვრეტ ასულს ნორჩად, შენ საყვარლად აჰა და მას,
ესრეთ გიღირს, ასულს არჩევ და დააცლი, მისცემ დამას.

ჩემს ზამბახსა რა დააჭკნობს, არ გაუწყვეტ მუდამ ნამსა,
მიჯნური ვარ, მის მნათობნი ვერ ურჩ-ექმნნეს ვერცა წამსა,
დაუჭრია გული ლახვარს შავთა რაზმთა წარბ-წამწამსა,
ვით შემიქმნა მე ზამბახი, დიყად ვინ რომ სულს მიდგამსა.

თქვი რაც გინდა საბრძანებლად, გარდამიწყდეს ერთხელ რითმე,
ისიც ავად ჩამომართვეს, რომ აქამდი არ დაგითმე.
ასრე მმართებს ფერხთა გბანდე, გარმორტყმული არდაგით მე,
ერთხელ ფხად სთქვი ჩემი ცოდნა, ახლა ბძანე გინდა სითმე.

ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს,
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს;
თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყევით, თუ ვინ დასცემს!

ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და
მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა
რიტორისა და ფილოსოფოსისა მეფისა თეიმურაზისა,
რომელი სიყმარწვილით, გაზრდით, ვაჟკაცობით, სიბერით
სიკუდილამდის ეშრომა და გარდაჰხდოდა

პასუხი მეფისა მეთეძვსმეტე:

ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმითგან ვით ვზი გოდებად,
სიბერით სიკვდილამდისი სამუდმოდ ცეცხლთა მოდებად, —
მართალი არ თუ ტყუილი, არ მიზეზისა მოდებად.
რაც მახსოვს, ყველას გიამბობ, არ მინდა სხვაგან მოძებად.

პაპა ჩემი ჯდა ხელმწიფედ კახეთს ღვთისაგან წყალობით,
მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რჯულზედან ერთობ მკრძალობით;
ქვრივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზედ ძალობით,
კვლავ მშვილდოსანი უსახო, ცხენ-მალე, მშვილდ-ფიცხელობით.

პაპის ჩემისა ქებასა ვერ ვიტყვი მე ერთხელადა,
ღვთის მოშიში და მორწმუნე, იგ არ თუ იყო ხელადა;
მტერთა მძლეველი, ძლიერი, ლომი მიაჩნდა მელადა,
მუდამ მას ჟინად ნადირთ-სრვა აეღო ერთობ ხელადა.

ოთხი შვილი ჰყვა, იმათი აწ მოგახსენო სახელი:
დავით, ერეკლე, გიორგი, იყვნეს სიკეთის მსახველი.
მეოთხე კოსტანტინია, სხვეფ კარგი, ჭკუა-ნათხელი,
გულჯავრიანი, ამაყი, შეუპოვარი და ხელი.

მამაჩემსა საპატრონოდ ჭკვას უქებდეს, მერმე ბაქეს,
ერეკლესა სიუხვესა უწონებდეს, დიაღ აქეს.
გიორგისას მას უბნობდეს: იქ ტარიელ იყო, აქ ეს.
როსაც არის მასცა გეტყვი, კოსტანტინეს ბოლოს საქმეს.

იგიმც დღე დაიწყევლება, როს მამამ მისცა ყაენსა,
იგ მან ეშმაკმან გაზარდა, მით დაამსგავსა კაენსა.
ბოლოს გიამბობ თუ ღვთისას საქმეს იქს როგორ საწყენსა,
მთქმელთა და გამგონთ ორთავე სანაღვლოს ცრემლთა სადენსა.

ერეკლე სტამბოლს წავიდა, მამას შემოსწყრა თუ ძმასა,
დიაღ ეწყინა მეფესა, დიდსა ჩავარდა ჭმუნვასა,
თეთრს წვერს იგლეჯდა, გაჰყრიდა, იტყოდა სოფლის მდურვასა,
დედოფალს ვინ შეჰკადრებდა ამბავსა მის საკრულავსა!

ამხანშიგან ქამთა წავლით ალექსანდრე მოცაბერდა,
მას წინანდელს მისის ქმისას სიკეთესა ვინმც აღწერდა!
ბერნი, მღვდელნი პატივით ჰყვეს, სრულად ჯარი შეყრით, ერ და,
მაშინ მისის ხელმწიფობით მხიარული ყველა მღერდა.

რა შვილებმან მამა ნახეს სიბერისგან დანავარდნი,
ბეჭწახრილი მოყვითანოდ, იქით-აქათ განავარდნი,
დრო მოუხდათ ავი რამე ერთმანერთზედ შენავარდნი,
სოფლის ქარმან აღიტაცნეს, მათ შეექმნათ განა ვარდნი?

ორნივ ძმანი წამოვიდეს ქართველთ მეფის შესაყარად,
თან იახლნეს დიდებულნი დაკაზმული ვით მაყარად,
წამოიღეს ორთავ ბევრი, მრავალი რამ იქ საყარად,
ბორკილი აქვს თან უმცროსსა უფროსისთვის შესაყარად.

მივიდნენ, გაესალამნეს ძმისწული მამიდაშვილსა,
მოიკითხევდენ ერთმანერთს, ღიმილით იჩენდეს კბილსა.
კარავს ჩამოხდეს ნადიმად, ლხინსა ნახევდენ მუნ ტკბილსა,
გათენებამდინ ზედწართვით მოინდომებდენ არ ძილსა.

ახლა მეფე გამოვიდა, ბიძაშვილებს უდარბაზა.
ხილზედ დასხდეს, მოიტანეს უცხოები ბევრი მაზა,
ღვინოს სმიდეს მანაურსა, უკეთეს რომ ეგავაზა.
ასრე დახვდენ ორნივ ძმანი, ვით მამისგან ეანდაზა.

ცოტა ხანი ამით წავლეს, ზედ მოაბეს ლხინი და ზმა,
დაღამდა და მოიტანეს სანთლები და მერე ბაზმა;

ლხინი ნახეს დიაღ კარგი, არ მოსწყინდათ ხანთა დაზმა,
დილაზედა ძღვენი უძღვნეს, რაც მათ მისთვის მოეკაზმა.

მათ ისაქმეს მათი საქმე ფარული თუ ანუ, ცხადი,
კვლავ მეფემან დაჰპატიჟა, ლხინი მაქვსო დასაქადი.
გიორგიმ თქვა: „აწ არა მცალს, კვლავ მე წავალ, აწ შენ წადი!“
ჰაი, ძმაო, ძმის ღალატზედ შემოქმედსა რასთვის ხადი?

მას ჰქონდა ესე თათბირი ადრიდგან გამორჩეულად,
საქმე ერჩივა ბოროტი ეშმაკსა მას მისეულად;
ყმათ განდობოდა, ბევრი ჰყვა ბარამით მას მისეულად,
ბარამ დავითთან ამხილა: „თავს ვერ ვიქ შენგან ეულად“.

რა მამაჩემს ესე ესმა, მიზმენ მაგას ვით ვითაო?
მტერი მოუკვდეს დავითსა, გიორგი იპყრას ყმითაო.
აგრე ჯაბანი ეგონივარ, უმცროსი მე გავითაო?
რასა იქ, კარგო გიორგი, რას ვთესავთ, მოვიმკითაო!

ლხინით ადგა, წამოვიდა ჯავრიანი, გულით ბრაზი,
მოვიდა და შეუზახა: „ჩემო ძმაო, მანდა რა ზი?
შენ მე როგორ დამიჭერდი, ბიჭი ვიყავ თუ ხაბაზი?“ —
თვით შეიპყრა პატრონ-ყმიან, არ წაირთვა ტახტ-დარბაზი.

წამოვიდა მასვე წამსა, თუცა ბარგიც არ დაყარა.
მათ რომ მისთვის შესაპყრობლად მშვილდს ჩაეგდო, გარდუყარა,
ძმა ციხეში დაატყვევა, ყმანი კლდესა გარდმოყარა,
მამას ტახტი გამოართვა, მაგრამ ღიდხანს ვერ ემყარა.

საქმე ეს ქნა ღვთის საწყენი, ეშმაკისგან ის იძლია,
მამას ბერსა ხელმწიფესა ბატონობა გამოსძლია;
გიორგისა სამართლით ქნა, არ მეფობა შეაძლია,
მამაზედ არს დამნაშავე, თვარამ ძმაზედ უმართლია.

ექვსს თვეს კარგად ბატონობდა, ნადირობდის მოისრითა,
მერმე მოკვდა, მისნო მტერნო, მისგან აღარ მოისრითა!
ის სოფელმან გაისტუმრა, მოვალა როს, მო ის რითა?
ისრევ ბერმან ხელმწიფემან დააშვენა ტახტი სრითა.

ცოტა დავრჩი მე ობოლი, თუმც არ ვჰყვანდი ისრევ ძიძას,
პაპამ მასთან დამაყენა, დამანება მე არ ბიძას.
მახაფიფა ნებიერად, ჩამაცმევდა ხამს, არც ძაძას;
ჩემნი სწორნი ყმაწვილები ვერ შვრებოდენ ჩემსა ბაძას.

ამბავი საზარელი და სათქმელად საძნელო, და სასმენელად საძაგელი,
მეორეს ქაენისა და ლამეჭის შვიდგზის გამოვრდომილის კონსტანტინესი,
რომელმან ესევითარი განზრახვა გულს იდვა და მოკლა
ღვთისმოყვარე ხელმწიფე-მამა ალიქსანდრე და ძმა თავისი
გიორგი. უყურეთ მანქანებასა გელიარისასა!

ეს ამბავი ყაენს ესმა, კარგა წვრილად გაიგონა;
ამას ზედა ეშმაკისა საქმე იმან მოიგონა.
კოსტანტინეს დაუძახა, ამით თურე წაიგონა,
აწყა დაგრჩა კახეთიო, მეც შენ მოგცე მგონი, მგონა.

გამოგზავნა მან კახეთსა, ბოროტს საქმეს აბარებდა,
მამისა და ძმის სიკვდილსა უეჭველად აბარებდა:
ალექსანდრეს ლალა-ფაშის ძველს საქმესა აბარებდა,
რად იამა ულურსიძსა, ჩქარად მოვა, აბა რებდა!

მან ხალათი გამოგზავნა საქმისათვის არ სააზროთ:
მას სიბერე მორევია, გიორგია მართლა საზროთ,
ორთავ ხიშტით დაუშინეთ, შიგავ დარჩეს, არ დააზროთ.
თუ გიყვარვარ, მაგას ნუ იქთ, ვარდი ადრე არ დააზროთ!

წამოვიდა, მოახლოვდა, მეფეს ესმა შვილის მოსვლა,
ერთი მკვდარი მოაგონდა და მეორის სხვაგან წასვლა.
დაუკაზმეს ბედაურნი, მარქაფები რახტით ასლა.
გაზაფხულის ჟამი იყო, მაგრამ ჯერ ვარდს არ ეფასლა.

რა გრემიდამე წაბძანდა და ჩაეგება ბაზარსა,
გულმხიარული, შვებული, თან არ იახლებს მოზარსა:
შვილს ვჰპოებ მე დაკარგულსა უკვდავებისა მაზარსა!
გამოვბრუნდები ალავერდს და წამოვისხამ მაზარსა!

მივიდა და შეიყარნეს მხიარულად, უცხოდ რამე.
მეფე იტყვის: „სახარების მამაგონდა ბძანება მე,

აწ უძღები შვილი ვპოვე, ამეხილა თვალთა ბამე,
ზვარაკს დავჰკლავ ჭამებულსა, მეგობარნო, თქვენცა ამე“.

პაპაჩემი ბედნიერი სიბერისგან უძლურობდა,
მხეცთა მსვრელი მონადირე, ველთა ისრე ვეღარ რბოდა.
ვინ ბიძად მყვა მხნე, ძლიერი, იგ პირად მზე, ტანად ზრობდა.
შვილისაგან მამა და ძმა სიკვდილს ვითმცა იაზრობდა?!

მეფემ ჩაიცვა ხალათი, ცხენს შეჯდა მისავსეულსა,
ვერას დააზრდა საქმესა შვილს მაზედ გამოსეულსა.
მოვიდენ, დარბას გარდახდეს ქვეშსაფენ ოქროქსეულსა.
არა ჰკვირ, მოჰკლავს მამასა და კახეთს გაჰხდის ეულსა.

მოიგონა, დასუბავდენ, საქმე მაქვსო არ საჯარო.
მისი ჯარი გარეთ იდგნენ ერთმანერთზედ დასაჯარო.
ნიშნად თურმე ესე მისცა, მისნი ყმანი გამოვყარო,
შემოდით და დაუშინეთ თქვენ ხლმებით და მე ვხანჯარო.

მეფეს შერჩა რუსთველი და იმისი ძმა ყორჩიბაში,
სხვანი სადგომს წამოვიდნენ, კახნი იყვნეს თუ აბაში,
შევიდნენ და დაუშინეს, შიგ დაჩეხეს მის კაბაში,
მამა და ძმა ორივ მოკლა, ერთად ჩადვეს მოაბაში.

რუსთველი და აბელ, ძმანი, ორნივ თავსა დააჩეხეს.
ვის უქნია ამისთანა, ცა რისხვითა მოაქუხეს!
მას ანგელოზს ხელმწიფესა ასრე ხელი ვით შეახეს?
მაგრამ იგი ეშმაკისას გაათავებს დანამკვახეს.

რა ესე ქნა, ადვილად სჩნდა მას ურწმუნოს ყოელი ავი,
მოინდომა დედაჩემი უცხო რამე შესართავი.
მოციქული გაუგზავნა, შეაძლია თურე თავი,
შეეთვალა: „არ შემირთავ, ძალად გშოებ, მითქვამს დავი!“

რა მივიდენ მოციქულნი, მოახსენეს შიშით, ძრწოლით:
„ეშმართლე ხარ თუ დაგვხოცო, რასთვის იქ არ დავიქოლით,
მაგრამ რა ვპქნათ, მან ურწმუნომ გამოგვგზავნა დიდის ძალით,
ქრისტიანეთ არ საქნელი, ნასწავლი აქვს იმას მოლით“.

გაიგონა დედაჩემმა, ბძანა: „ესე ვით დავითმე,
ვინმცა მკადრა უკადრისი, დავივიწყო ან დავით მე?
ვინ ჩიქილა შემირცხვინოს, ან სუმბული რომ დავითმე,
ღმერთმან მისის რისხვით მკითხოს, შემოუშვა იქვი სითმე“.

შეუთვალა: „ღვთის მგმობარო, მამის მკვლელო და ძმისაო,
ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ ულირსო სულთდგმისაო,
ყოვლის კაცის საძაგელო, სულ მოქმედო ავისაო,
ღვთით ადრე, ვეჰვ, შეგანანო ჩემი თხოვნა დავისაო!“

მოციქულთა მიუტანეს მას ეს საქმე, დააჯერეს.
კიდევ ცდასა აპირებდა, მაგრამ სიტყვით შეიჯერეს.
მწვე გაჯავრდა, თათრებიან ჯავრით გული გაიჯერეს.
სხვას ამბავსა ჩამოვეხსნათ, გავათაოთ მოდი ჯერ ეს.

ამ საქმეებს, წინასხნითვე დედამ ყაენს შემახვეწა,
აქ გიორგის შეუშინდა, ამად მისკენ გარდამხვეწა,
მან შემიტკბო ვითა შვილი, არ თუ შიშით მე დამხვეწა.
გამეხარნეს მასთან მისვლა, ღაწვი ცრემლმან არ მიხეწა.

მე შერმაზან თან გამომყვა ზნეობისა სასწავლებლად,
მწვრთნიდის საღვთო-საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსავლებად:
ჭირსა შინა გამამაგრის, გული ჰქონდის ვით სალებად,
მაამის და მსახურებდის, ღაწვთა მწკეპდის არ სალებად.

კოსტანტინეს თან ხლებოდეს შირვანელნი და ყაჯარი,
ბაზარს იდგა, წამოვიდა ეშმაკისგან დასაჯარი;
აქათ იმას შეეყარა თვისნი ყმანი, კახთა ჯარი,
შებმულ იყვნენ, მოცაეკლათ, თუმც ეხმარა ხმალ-ხანჯარი.

ჩვენცა გვესმა ეს ამბავი, რაც ქმნილიყო და რაც არა.
ყაენს ვეხმე, მიმიყვანეს, მიმატანეს დანაც არა.
შერმაზან თქვა სახლთხუცესმა: „გითქვამს ცოდნა არამც არა,
შენ ამათი დაგრეხილი საბელიო დაგეცა რა“.

შემომზახა: „მირზავ, იცი კახეთს ქმნილა დიდი ძალა!
შებმულან და კოსტანტინე მათ მოუკლავს მგონი მალა“;
მეც მიამა, კარგა ქმნილა, მოინდომა რასთვის რძალა?
ავის მქნელსა გარდაჰხდია, რა იქნება, ჩემი ნალა.

მიბრძანა, თუ: „აქამდისცა მე მინდოდა შენთვის კარგი,
მოდი, მადლი გარდიხადე, ეს წყალობა მტკიცედ დარგი,
რადგან შენი სამკვიდროა, ან მე რასთვის დაგიკარგი?
ჩქარად წადი, მალ მიბძანდი, თუნდა კიდეც დაგრჩეს ბარგი!“

ბატონის თეიმურაზისა ყაენისაგან ტკბილად საუბარი,
წყალობის ნიჭისა და მრავლის იმედის დაპირება
და ქადება, გამოსტუმრება და გრძელისა გზისა მოსწრაფებით
სიარული, და შემოკლება და მათგან უგრძნობლად ქისიყს მოსვლა

გამომისტუმრა, წამოველ, მიბოძა ბედაურები,
ცხენები ოქროთკაზმული, არ იყვნენ უსუსურები;
შესამოსელი სალუქი, მნახველთგან მოსასურები,
სუფრისა გაწყობილობა, მურასა თასებ-სურები.

წამოვედით მადრიელნი, მხიარულნი დიდად მისგან;
სიარულსა არ ვითმენდით, რა განათლდის ღამე მზისგან.
შევამოკლეთ გრძლად სავლელი ისრე ფიცხლად ჩვენის სვლისგან
უეჭველად პატრონობა დავიჭირე მაღლის ღვთისგან.

ქისიყს მოველ ერთს სოფელსა უმეცარად, შეუტყობრათ,
ერთი კაცი მოგვეგება, მართ ვეგონეთ ჩვენ მეკობრათ;
რა გამიცნა, თაყვანისმცა, ენა იწყო შესამკობრათ,
შადლი ჰკადრა შემოქმედსა: „ნეტარძი ჩემს ამ დროთ მოყრათ!“

დაიძახა: „მე საბრალო არას ვლირსვარ პატრონისას,
მოვახსენო, მობრძანდების ჩემსა ვითა სართულისას.
ჩამოხდებით, არას დავჰკლავ, თავსა ვფიცავ შენის მზისას,
შეფეე, უწყი, ისერებდა ქრისტე სიმონ კეთროვნისას!“

მან შერმაზანს სახლთხუცესსა უთხრა: „შენ ხარ ჩემი ღონე,
მოახსენე ერთი სიტყვა, უფრო ნულარ დამაღონე,
თავი, სახლი, საქონელი ყველა თქვენს წინ მოვიძღონე,
ერთი ღვინო დამილივეთ, ხვალ წინ მეფე წამიძღონე!“

ვსთქვი თუ, რაღა გაეწყობა ასრე გულით მოპატიჯეს,
მო, ვეწვივნეთ მხიარულსა, ნურას უზამთ საპატიჯეს.

გარდავჰხე და კარს შეევედით, ღობეს ვერვინ გარდაბიჯეს.
დავჯე, გარე შემომისხდეს, ვგვანდი მთვარე ბაკით იჯდეს.

ღმერთს თურე წყალობა ექმნა, აღარ იღებდა ვახშ[ს]მითა,
ბევრი რამ ჰქონდა მზას თურე, არ გვიკეთებდა ხაშმითა;
უცხოდ დაგვიხვდა მებეგრე მცირეს თავისის ვახშმითა,
მან ადრე აღარ გაგვიშვა ღვინითა ერთ სახაშმითა.

მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკვნებითა შიგ ჩაკრული,
„ვიცი არას არ შეიძღვნი ძღვენი გიძღვნა თუცა სრული,
სრულამც თქვენა გენაცვლების დედმამიან თქვენთვის სრული
შენის ჭირის ჩვენ სანაცლოდ სული გვქონდეს ამოსრული!“

დილა გათენდა, ხმა გაჰხდა ყოველგან მოსვლის ჩემისა,
მუნ სიხარული შეიქმნა გულით არ შესაჩემისა.
ვინცა მნახევდა მჭვრეტელნი, ნახვამან გააჩემისა,
სხვანი ნახულნი ჩემთანა უკვირდის, არ ეჩემისა.

პირველ კაცი გამოვგზავნე დედაჩემთან მახარობლად:
ღმერთსა დიდი მადლი მიეც, აღარა ხარ საწყალობლად,
შეგვიბრალა ვით გვხედავდა შენ ქვრივად და მე, გლახ, ობლად
ჩემი აქეთ გამოგზავნა არ შეგექნა საბრალობლად!

მახარობელი მისლოდა, ბევრი რამ მას ებოძა და,
მამული ანუ სასახლე, ქვიტკირი, არე ბოძადა;
კვლავ ტურფა შესამოსელი ცუდ-მუდი არ ეძონძა და,
მას სიუხვითა სხვა ქალი ვერსად ვერ შეებაძა და.

თუმც ვაცნობე, ჩემი მოსვლა ასრე ადრე არ ეგონათ, —
წყნარად მოვა, შექცევითო, სხვის ვისგანმე გაეგონათ;
სრულად კახნი გრემს მიეხმო დიდებულად ჰყვა, ან მონათ,
თვარ აქ უნდა დამხდომოდა გამჩვენებით, მოსაწონათ.

დედაჩემსა მოახსენეს ჩემი მოსვლა ისრე სწრაფად,
მას ენაღვლა, ვერ დავხვდიო ვით მინდოდა კარგად აფად,
კახნი ამად მოვაწვივე, მიმეგება, გამყვა სეფად.
მოურავი მამაგება სხვად დიდად და თუმც არ მეფად.

აქა სრულ ერთპირად კახთ სიხარული და ბედისა და ეტლისა ნატრა
თავისის მემკვიდრის ხელმწიფის შვილისათვის. კარგისა და ცხენაქეთილ
იარაღ-მარჯვეს კაცით ფინ მიგებება. მეფისაგანც მზგავსიერად
გახარება, ლხინი და მოუწყენელი უპირველად მხიარულება

მასვე წამს თვით მოურავი თამაზ სულ მისის დროშითა,
სხვა მოხელენი შინაყმით მოვიდენ კრძალვით, შიშითა,
თქვეს: „ვწუხთო აქ არ დამხდომნი, სხვაფერ არა ვართ იშითა,
მე უალერსო მათშიგან, კაცი დავაგდე იშ ვითა!“

მოვიდენ და ხელს მაკოცეს, ზოგნი თავსა მევლებოდეს.
შენი მტერი ამას იქით შენის ხლმითო მძლეველებლობდეს,
თავს ათასჯერ განაცვლითო, დაჩაგრულსა ვინმც ბგონებდეს!
შენ გასინჯე ამას იქით, თუ გრემს არ მიმესვლებოდეს!

ხუთს დღეს იქივ მოვისვენე შორის გზითა დაღალულმა,
თავი კარგად მამაწონეს ჩემს წინაშე მათ მოსრულმა;
მაშვრალობა განგვაშორვა ზედიზედმან თვალთა რულმა.
დიაღ კარგნი ყმანი დამხვდეს მეტის-მეტად, ჩემა სულმა!

გაღმა გაველ, ენისელთა იქ დამიხვდა მოურავი,
სრულ თავისის დროშის კაცით სიმრავლითა უამრავი;
კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა, იდგნენ ვით ტბა საცურავი,
რა მოვიდენ, ტკბილად დავხვდი, მათ არ უთხარ სამდურავი.

ასე ვსთქვი, თუ: ერთს ბატონსა ამის უფრო რაღა უნდა?
თავადნი და დიდებულნი მოვიდიან ბუნდა-ბუნდა,
ანგარიში ძნელი იყო, დამთვლელს გული დაუჭმუნდა.
ისინიცა თან ვიახელ, ვინც გვერც მახლდა, არ დაბრუნდა.

დილას ავდექით წასავლად, ცოტადრე წავიარენით,
ალავერდელი დიდებით მობძანდა, ითქმის არ ენით,
მშვიდად ამბორი უყავით, შეყრა არ გავიმწარენით.
მერმე სხვათ უთხრა: „მობძანდით, აწე თქვენ შეეყარენით“.

მამიკითხა: „აჰა, ბრძენო, თქვენ ამბავი თქვენი გვითხარ,
შორის გზისგან დაღალულსა შემოგხედავ, ლომივით ხარ,

ღვთის შიშსა და სიყვარულსა უეჭველად ვიცი მზა ხარ;
ის აკურთხა, შენ რომელი მოხველ და კვალად მოსვლად ხარ“.

ჰიაურითგან წარსრულნი იმ ღამეს არბუხს დავდექით,
წმინდის თევდორეს საყდარსა ვილოცეთ, ცისკრად ავდექით;
ღმერთსა ვმადლობდით წყალობას, ხვეწნითა ცუდად არ ვდექით,
ავიყარენით, მივხარობთ, იქიდამ წინარ წავდექით.

მუნით წავედით გრემისკენ, აწყა რუსთველი მოვიდა,
სრულ ნაპირისა ლაშქრითა წითელი ეცვათ, მოვი და;
მათს ანგარიშსა დამთვლელი დათვლითა ვინ აუვიდა?
თუ მტერს მიადგენ ესენი, ვთქვი, ამათ საღ წაუვიდა?

მოვიდეს და მესალამნეს, თაყვანისმცეს დას-დასებით,
დიაღ ბევრნი შეყრილიყვნენ სიმრავლითა ათასებით.
მხიარული სიტყვა უთხარ, შევიქმოდი ლხინთა ვსებით,
სიხარულით ენთებოდეს, სიმწუხარე დანავსებით.

რუსთველმან თქვა: „ვით ბრძანდები, ღვთის წყალობით შენ მოსრულო?
სახლთა შენთა სიმაგრეო, საძირკველო არ დაძრულო,
ვარდო ახლად გაფურჩქნილო, თრთვილისაგან არ დაზრულო,
თვალად მზეო, ძალად ლომო, ნორჩო, ედემს ამოსრულო!“

დედის ნახვა მწვედ მინდოდა, თუმც გავფრინდე ვით გავაზი.
მომახსენეს: „რად დავაგდოთ ჩვენ ულხინოდ აქ გავაზი?“
დაუჯერე, გარდავხედით, მოუწონეთ, უქეთ ვაზი.
მათ ბევრი სვეს, მე წვრილად ვსვი, ვაშლი ზედა გავამაზი.

მეორეს დღეს გრემს მივედით, ჯარი დამხვდა ქალაქისა.
ჩვენი ყოფა, ერთგულთ ლხინი ორგულმანცა მალ აქისა.
ფიანდაზსა მიფენდიან, ხორა იდგის ნაქსოვისა.
თქვეს: „მზე არის ქვეყნიერი, ნეტარ გავსო ესე ვისა?“

სრას მივიახელ, გარდავჰხე, დედოფალი დგა ქალებით,
მუნ ბანოვანთა სიტურფე ჯარად დგეს ბროლ-ფიქალებით;
ღაწვი — ბრწყინვალე ვარდები, არ ჰქონდა ცემა ნალებით.
ტან-ალვა, ნაზნი, ზარიფნი, მდედრნი, არ გულად სალებით.

დედა წინ წამომეგება, ღიმილს ცრემლსა ატანებდა.
მამეხვია, გარდამკოცნა, პირ-ყელ მკერდსა ატანებდა.
მერმე მითხრა წავიდეთო, ხელ-ხელს წამომატანებდა.
შინ შევედით ქალებიან, სხვას ჯარს არ შემატანებდა.

მიბრძანა, თუ: „შვილო, მადლი ვის შენ მაგ დროთ მოუყრიხარ,
ღვთით, მგონია, არა გჭირს რა, მე რომ გატყობ აგრე ვით ხარ?
შენიმც ჭირი შემეყრება, შემოგხედავ, დიდად ვიხარ,
სხვა საარჯელი არ გაჩნია, ცოტად პირზე შეუხრიხარ“.

გრძლად არ ვიტყვი მაშინდელსა შვებასა და გახარებას,
დიდთაგან თუ მცირეთაგან შეჭირვების ცეცხლთა ვსებას,
დედისაგან ხელის წყობას, ნებიერად მოსვენებას.
მალ აღარვინ მოელოდა სოფლისაგან შეჩვენებას.

ორს კვირასა დედოფალი ყოველს დღესა მასპინძლობდა,
მაშინ ჭირს და მწუხარებას ათას წილად ლხინი სჯობდა;
მას ჩემგმეტი არვინ შერჩა ძე, ასული, არც ვინ რძლობდა,
მაგრამ ბედს არ ემდუროდა, რა მე მიველ, ღმერთს მადლობდა.

აჟა მეფის თეიმურაზისაგან სრულ ერთპირად კახთა ალავერდლით, ეფისკოპოზ, სალთოთ კაცთ და დარბაზის ერის შემოყრა. მცხეთას მოსვლა, კათალიკოზ, მთავარეპისკოფოზ და სულ ქართველთ შეყრა. მეფედ კურთხევა, ნირვა, ლხინი და მრავლის გაცემა

ამავ ხანში მცხეთას მიველ და მეფედა დავეკურთხე.
გამოველ და პალატს დავჯე, ვინ მაღირსა, ის ვაკურთხე;
მამა-პაპათ დანარჩომი დავიჭირე ოთხივ კუთხე,
უსამართლო არვის უყავ, ქვრივნი ობლით გავიკითხე.

წამოდგენ, მამილოცევდეს, თავი მანაცვლეს, სულები.
მოყარეს ოქროს ნალბაქნი და ზოგნი მოყვითლულები,
სხვა სურა, თასი, ჯამები, ყოვლფერი ვერცხლეულები,
ათი გოდორი აიღეს მას დღესა იქ დადგმულები.

ამათ გარ გამოზიდვიდეს, ივსებენ ფლურით ხელებსა,
მესამედს კათალიკოზსა მისცემდეს, არ მოხელებსა;

ორს წილს სუფრაჩსა, ერთპირად სულ ერთად ჩემს მოხელებსა.
იქ ცუდ-მუდს ვერას ჰპოებდი იარაღს განათხელებსა.

წამოველ გვირგვინოსანი, პორფირცმულ, ხელ-სკიპტრიანი,
გამდიდრებული, სვიანი, მაშინ არ ვიყავ მტრიანი;
შეუპოვარი ღმერთს გარდა, არვისგან მქონდა ზიანი.
მოველ და დავჯექ ტახტზედა ნათელმოსილი, მზიანი.

ცამეტის წლისა შევიქენ, რა ესეები იყო და,
ვნადირობდი და ვიშვებდი, სხვა საქმე არ შევიტყო და;
საპატრონოსა საქმესა სრულ დედოფალი იტყოდა,
სრულად გააგის სამეფო და ურჩი მალ დაიტყოდა.

აჭა დედოფლისაგან გურიელთან მოციჭულეგის გაგზავნა და
მეფის თეიმურაზისათვის ქალის თხოვნა. მათგან დიდად
გახარება. დიდის სიმდიდრითა და ზითვით გამოსტუმრება.
მოყვანა, გვირგვინის კურთხევა. მოლოცვა, ქორწილი
და მხიარულება, სიმღერა, ბურთობა და სროლა ყაბახისა

ამხანშიგა მოვიწიფე, სხვას ქებასა ვიტყვი არა,
მაგრა სხვანი მას უბნობდეს: „მზემ ღრუბელი მოადარა;
მისმან მზემან, ხმელეთზედა ვერვინ პოოს ამის დარა,
თუ ეს არის ამისთანა, იქნებისო ამის და რა?“

დედაჩემი თვისად სასძლოდ დაემძახლა გურიელსა.
მალ მამგვარეს შესართავად, არ უხანეს მას ნათელსა.
შემომყარეს ყამიერად, მხიარულსა, ლხინთა მზმელსა.
ეს სოფელი ვეღარ შეიქს სხვას მისებრივ სულიერსა.

ენა ვით იტყვის მაშინდელს ჩემსა ლხინსა და შვებასა?
ორმოცს დღეს ქორწილობასა, სიხარულ, არ თუ ვებასა.
სრულ გათავებით არ ითქმის, ზოგთა ვიქ გარდაშვებასა,
მაგრამ სოფელი მიპირებს ჩემთ სისხლთმსმელთ ზედ მოშვებასა.

თორღას ვიდექით ოდეს ვქენ ქორწილი, გამოჩვენება.
ცხადათ არ დაიჯერება, თუ იყო ძილ-მოჩვენება!
მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება,
ბურთობა, ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ენება.

დილას შევსხდით, ვინადირით, შუადღისას შემოვიქცით,
აწ ბურთობას ხელი მივჰყვით, მუნ საძილოდ არ გავიქცით;
მერმე დავსხდით ერთაჭამად, ლხინი ლხინზედ ზედ დავიცით.
ვზემდით, ვმღერდით, ღვინოს ვსვამდით, ვირემდისი გარდავიქცით.

ძლივ ითქმის მაშინდელთ კაცთა სიკეთე, სიბევრენია,
სიმდიდრე, დიდებულობა, სიმძიმით ვითა ბრპენია,
ქება არ ითქმის ადვილად, არც მსუბუქ მოსასმენია,
აწ ვაი მათსა მგონესა, რა ბევრჯელ ცრემლი მდენია!

სიმრავლით იყვნენ მრავალნი თავადნი, დიდებულნია,
კვლავ აზნაურნი მათ მსგავსად მასზედან მოკიდულნია,
შინაყმანი და მონანი ბევრ-ბევრად, დს-დასულნია,
სხვათ ვინ აუთ სათქმელათ გარეშეთ ვინ მოსულნია?

ბანოვანთა სიტურფესა ვით შეუძლოს ენა მქებად?
ღვთის მოშიშნი, რჯულ-მტკიცენი იესოსა ქრისტეს ნებად,
იქ მოდიან ერთად შეყრას, დუხჭირთ გარე გამოძებად,
ჩარიგდიან მის-მის ალაგს, მთვარე ქმნიან განქიქებად.

ზეითა ვთქვი რიცხვი დღეთა, ვირე იყო ქორწილობა,
აწ გათავდა მისი საქმე, გაიყარა შეყრილობა;
მაყრეზიცა გავისტუმრე, ბევრი მიხვდა ლართ-წილობა,
დატვირთულნი საბოძვრითა, არ შეექნათ მათ წბილობა.

ვინ მამგვარა დედაჩემმა ის რებეკა, თვითან სარა,
ტბა-მელნისა უცხოდ რამე, გარ გიშრითა მოესარა;
ბაღთა შიგან ვყმაწვილობდით, სად რომ გვედგა ტურფა სარა.
ვა გაარმდა ეს სოფელი, ჩემთვის შემრჩა დიდხანს არა.

სხვა ქება ვით ვთქვა, თუ არის აუგი ჩემგან სათქმელად,
არა ვსთქვა, მთვარე ვით შევქმნა ვეშპისა გლახ-ჩასანთქმელად?
ვსთქვა და სირცხვილად დამადვან, არ იყო მისგან საქმნელად,
ვითა დავმალო მთიები, ჟამი დილისა ვყო ბნელად?!

არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება, არ თუ ცუდი ხოტბა:
პირად-ბროლი, ბაგე-ძოწი, თვალებია გიშრის ხო ტბა,

ხმა-ბულბული, საფირონი, შაქრისაგან უფრო მოტკბა.
მე არ მითქვამს ნაათალი, ბრძენთა უხამს იქ შემოკრბა.

სოფელს კარგად დაუწყნარდი, სამეფოსა გავაგებდი,
ერსა ვსჯიდი სიმართლითა, საბოძვარს ზედ წავაგებდი,
ეკლესიას დარღვეულსა საძირკვლითგან აწ ვაგებდი,
ვიშვებდი და ვიხარებდი, ცუდ-მუდს არას შეეიგებდი.

კარი: მეფისაგან თავისის სიმდიდრისა, ნადირობისა და ლხინის ამბავი

ამის მეტი სხვა რა არის წლის ბრუნვა და ანუ თარი,
ოთხი არის, ვით ნივთია, მიწა, ცეცხლი, წყალი, ქარი,
გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.
ამათ გამო იხარებენ, მიწის არსნი რაც რამ არი.

პირველ გაზაფხულს გიამბობ, სხვის დროსგანც უკეთესია,
ამით იხარებს ყოველი დანერგულ-დანათესია,
ნადირობა და ბურთობა, ლხინიც აქ უკეთესია,
ვარდზედან დაჰყეფს ბულბული, აღარვის ახსოვს ესია.

რა მარტი დადგის, მოვიდის, შეიქნის ირაობანი,
ჩიტებმან შექნის გალობა, სიმღერა, ჭიკჭიკობანი.
შეაწყვის მაღალ-დაბალი მობანემ მობა ობანი;
ალონი დაშვენდებოდა, მჭვრეტთ ვიწყით მისი მკობანი.

იქ მოვა ყოვლი მფრინველი ხმელს მჯდომი, წყალში მცურავი:
სონღული, ბარი, გავაზი, შავარდნით მოსასურავი;
ვადევნებდით და ვხარობდით საწუთრო მოუმდურავი,
ბაზიერთხუცესს უმცროსით უბოძი დასაურავი.

ფიცითა მითქვამს, არ ვიცი მე რიცხვი ბაზიერისა,
ბაზიერთ შიგა მდგომელი ოთხმოცი ანაწერისა,
თავადნი, აზნაურშვილნი, არ ჩოხა ამოწერისა,
ერთი ბაზიერთხუცესი, სიდიდის მქონე ბევრისა.

ასრე ჰყვანდათ დამართული მათ მფრინველები კაამყოლი,
ზოგს იქვე დაიჭერდეს, მაღლა ამსვლელს თან ამყოლი,

კელავ მზე

მოვახსენეთ: „დედალს ადრე დაიჭერენ ეს მფრინველები,
ზეით იმათ არ აუშვან, დავახვედროთ ძირს ძაღლები“.

მეფემ ბრძანა: „მე ეს მინდა სულ ცოცხალი დავიჭიროთ,
შევინახოთ, მოვაშენოთ, ლხინად გვყავდეს, არ საჭიროთ.
მო, ასე ვქნათ, გარეშემო შემოვერტყნეთ, მოუჭიროთ,
აწ მფრინველები მოუტიოთ, ვეჭვ ეს გვმართებს დავაპიროთ“.

დავემოწმეთ ამ თათბირსა, ჯარი გარე შემოარტყა,
უბრძანა თუ: „სასიკვდილოდ ჯოხი არვინ არ დაარტყა“.
მინდორს ისხდეს გამოჩენით, არ უნდოდა ტყეთა ბერტყა,
იპეპლვიდეს მათს დედლებსა, თან არ ახლდათ წვრილი ბარტყა.

გავაზები და ბარები გავჰყარეთ, მაღლა აუშვით.
მეფე შავარდნით ცხენფიცხად მიუხდა, ჩვენცა მიუშვით.
მიბრძანდა, ზოგნი მივჰყევით და ზოგი ტბაში შეუშვით.
დაფრინდეს, მოუტივაცა, შესძახა, ვა, თუ გაუშვით!“

შავარდენი მასვე წამსა დედალს მოხვდა, შეცაიპყრა,
სხვა მფრინველებიც დედლებს იჭერს, მამლებს უწყეს ძირს ჩამოყრა,
მეფე მისდევს სიცილითა, მისაშველად იწყო წაყრა.
წაეხვივნეს, დაიჭერდეს, ჯარმანც იწყო იქ შემოყრა.

გალანამც გამხიარულდა, მეფეს შეექნა შვებაო,
იცინის, ლაღობს, „კარგად ვჰქმენ ამათი არ გაშვებაო“.
ბაზიერთხუცესს უბრძანა: „დღეს ბევრი გეშოვებაო.
ამისგან უკეთ შექცევა არ ოდეს არ ეგებაო“.

მას აქეთ კახეთს მომრავლდა, ოდიშსაც აქათ მოშენდა,
ქალს გაატანა ზითევად: „მოგართმევ, იყოს მო შენდა“.
არა აკლდა რა მას მეფეს, ესეც წყალობით მოშენდა.
ძმანო, იყურეთ, გიამბობ, ისმინეთ, მოდით მო შენ და.

ᲙᲐᲠᲘ: ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲙᲪᲔᲕᲐ-ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ

იცია, ირაობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება,
მაშინდელს ნადირობასა სულ წვრილად ვინღა მოჰყვება?
ზოგი რამე ვთქვა, უფროსი დამრჩება, გარდამეშვება.
თუმცა არ მინდა სათქმელად, მელექსე არ მომეშვება.

ქოჩობის სიხარულითა ყველა ბოძლები მოლესა,
მშვილდსა უგდებენ ფიცხელსა და ცხენი მოიმალესა;
ქვეყანას გახარებულსა, ვსჭვრეტდით ახალსა მოლესა,
ბერნიცა გაჭაბუკდიან, არ თავი მოემოლესა.

ალონს ვიწყით ნადირობა და ქვემოთრე ჩავჰყვებოდით,
უკეთ სროლის ბაასითა ერთმანერთსა ავჰყვებოდით;
მუნ ნადირი ვინც ვერ დავსცით, შორს აღარვინ გავჰყვებოდით.
მოვიდით და ლხინად დავსხდით, ვინ ვის რასმე ვლაყბებოდით.

რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით,
მუნ განსვენება სად იყო, იმუშაკებდა ნადი რით?
ტყეებსა ვრეკდით ყოველდღე შამურით, ბედიყრის თითრით.
გაზაფხულისა აერი შვენოდა კარგა მუნ ნირით.

მცირე ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოდ, სათამაშოთა,
ჩვენის ბაასის ჯობნაზედ ნუ ჰგონებთ მალ დამაშოთა!
სად მამეცალა სალექსოდ, მიბძანე, ბრძენო ფაშოთა!
კიდევ ბევრს რასმე უამბობ, ხელიდამ არსად უშოთა.

მაისი დადგის — ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,
ველნი ყვავილით შეიმკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა,
ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭვრეტდით სულდანაღებსა.
მე ვინ მნახევდის იმ დროსა ულხინოდ, სუფრა ნაღებსა?

იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი კაცები,
მოკრძალვით გულ ხელმოჭდობით, მშიშრად, ვით ცხვართა ვაცები:
ფეშქაშსა მოცაზიდვიდეს, ვერ რბევით რას მომტაცები.
აწ ნახე სოფლის სიმუხთლე, ჩემზედა კვლა-და-კვლაცები!

მინდორს ბალახი მომაღლდის, ხბოს დამალევდის ნადირთა,
იმ წამს მიმართის ირემმა შამბს მალეით მუნ დანაპირთა;
ჩვენც თანა გავჰყვით სიმრავლით, გაწყობით, არ მებოძირთა,
ალაზანს გავხდით ნავითა, სასროლად ზედ მინაშურთა.

ერთი თამაშა არ სჯობდა ჩვენს მაშინ ნავით გასვლასა,
ბაზრიდამ აყრას დიდებით, სამინდოროსა წასვლასა.
კაცი ვერ იტყვის ენითა, ვერცა იქს თავის ასვლასა.
დილით მწუხრამდის მხეცს სრვიდეს, ვინ ელის მზისა დასვლასა!

ოთხმოცს ყათარსა აქლემსა, ცხენს, ჯორსა, აზავერს გარდა,
კარვებს მის მოფენილობით ჰკიდებენ, იდვის მუნ გორ და,
ტყუილი ნურვის გონია, მართალი არის, არ ჭორ და.
ნუზლიც მრავალი ვიახლით, მინდვრები სოფლებს გაშორდა.

შვიდს-რვას დღეს თუ ნავს გავიდით, რაზომ მალე ვისწრაფდითა,
გამოღმართსა ჯერგას გარეთ, ოდენ ისრევ გაღმა მხრითა,
აქათურიც ნავზედ დამხვდის, ნაპირელნი კვეჯნაქითა.
გვიან ვერვინ მოვიდოდა, მისთვის რომე დავბაქითა.

ჯარის სიმრავლე რა გითხრა დიდებულთა თუ მცირეთა:
ახალ-ვაჟკაცთა სიმრავლე ვარსკვლავთა გვანდა ციერთა.
ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა!
ვაი, რაზომი სხვა კარგი სოფელმან გაწამიერთა!

მუნ იყვის ბედაურთ ცხენთა შეკაზმა, გამოჩვენობა,
შესამოსელთა კეკლუცთა შემოსა, ტურფად ჩვენობა,
ქარქაშის გაწყობილობა, ისარს ორბის ფრთით შვენობა,
ვაჟკაცებისა ხუმრობა, მუნ ჩვენს ხელთ იყო ჩვენობა.

ასე დადგიან კარვები, კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა,
იყვნიან შვებით, მშვიდობით, ვერვინ ვერავის აწყენდა,
მესისხლე ჰყვანდა ვინ ვისმე, მუნ სისხლსა ვით დაადენდა?
ღვთის წყრომით მოჰხდა, თვარემ და მათ ეგრე. რა წაახდენდა?!

თორმეტი არის მინდორი სხვებისგან უკეთესების:
ირმის, ჯერნისა, დათვისა, ღორის, ტურის და მგელების,

აფთრისა, შვლისა, ფოცხვრისა, კურდღლის, მაჩვისა, მელების.
ბევრს ჯარს რომ მოინდომებდა, მათ სახელები ეს ების.

წინა მინდორი შირაქი და ორივ ტარბანაები,
ორი ელიდრის მინდორი, ჯერან ჩუღურში დაები,
ყაჯირლუხ, ბაიდიგოლი, სამგორი, ჩადივარები.
ყარაიაზე დაშვრიან მესროლნი კარგ-სადავები.

მივიდით, მინდვრებს მივადგით, დაუწყით ჯერგას რიგება,
შუაღამისგან უწინვე ნადირთ ვერ ექნა შეგება;
ასრე შეკრიან სამგნითვე, მხეცნი მათ ვერ გარდეგება,
დაიწყის მოსვლა კარზედა, პირს ვერვინ ვერ შეეგება.

დილა გათენდის, შეიქნის დაწერით დაკარებანი,
ვინ არ ვიახლი ჩემთანა, ვერა ქმნის მოკარებანი.
შეიქმნის სროლა უცდური, დანაცდენთ ძვირად ძებანი.
კარგ-სადავენი მომხრედ ვჰყვი, ავისა შორს გაძებანი.

ასრე უნდა მშვილდოსანი, არა ჰკრევდეს ყოვლსა ასოს,
მართალს მხარსა შუასა ჰკრას, წინ-გარდამხტალს — თეთრს დაასოს.
მხეცი სადგომს წამოიღოს, მწყურვალს მინდორს სისხლი ასოს,
ერთს გაზაფხულს თიბათვემდის ოთხმოცისგან უფრო ასოს.

ნადირზე ასე მივიდეს, ეგონოს შეეძგერაო,
მერმე სადევეს გამოჰკრას, რას ჰქვიან გულის ძგერაო?
ხარსა და კაცსა მოჰკლევდეს, ცუდია მელა-ძერაო,
მოუწონებდეს სიფიცხეს, ინატრონ მისი მზერაო.

რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეყრებოდით,
მუნ მოყვარულნი ქალ-ყმანი ერთმანეთს შევეყრებოდით;
ვარდი დაგვიხვდის გაშლილი, ვჰკრეფდით და შიგ ვეყრებოდით,
ასე გვიამის იქ მისვლა, მალ აღარ გავეყრებოდით.

გრემსა იყო ბევრის ქვეყნის უცხოები იქ მოსული,
ბაღებშიგან კვიპაროზი, ალვის ხითა ამოსული,
ფშოდა სული სულნელისა, ყვავილთაგან ამო სული,
მისის ნახვით გაყმდებოდა სიჭაბუკის ძალწასული.

ერთი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიეფისა;
ყოვლი ყვავილი, ხეხილი გარმოცულიყო სეფისა,
განცვიფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

საზაფხულოს ალაგებისა და შექცევა-სიამოვნისა ამგავი

ბალობა იქავ მოვისთვლით, მერმე მივმართით ზეგანსა,
ბარშიგან დაცხის ამა დროს, მზე წამოვიდის ზე განსა.
ჰოედ ჩააგდე ეს ლექსი და მოგახსენებ ზეგ-ანსა,
არას დავაგდებ უთქმელად, ბანზედ მოვაბამ ზე განსა.

უწინ შუამთას მივედით, ცოტას ხანს იქ დავდგებოდით,
რა დაცხის უფრო და უფრო, ზედარე შეუდგებოდით;
ორს კვირას გომბორს ნამყოფი საერწოდ ავიყრებოდით,
ემწყერაობდით და ვკურდღლობდით, სტუმარს წინ მივეგებოდით.

ერწოა კაი საკურდღლე, მწყერიც მრავალი დაჯდება,
ჩალებში წერო ბევრი სხედს, საკვერცხედ უნდა დადება.
წვრიმალს ტყეებში ნადირი ბევრს ჯარს არ უნდა მოდება.
მერმე თიანეთს ვინც მივა, კალმახით იქ გაჯერდება.

თიანეთს სხვა მთის ალაგი ვერ შეადარონ მას შურით,
სალხინოთა და საბურთლად ერწოდამ იქ მივაშურით,
კალმახი დაულევნელი ბადებითა თუ წყალწურით.
ლხინებს ვნახევდით ასეთსა, შორსმყოფთ იქ მოსვლა ვასურით.

ლეკს ზეით სხვა მთის კაცები იქ მოვიდიან, ვინც მყმობდა,
დიდონი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი ვერ მეკობრობდა,
ქისტი, ღლიღვი და ძურძუკი ერთპირად ძღვენს შემამძღნობდა,
ჩოხა-ნაბადსა დალისას ფეშქაში არ უნახლობდა.

თიანეთს ეს სჭირს სიკეთე — დიდია, მერმე გაშლილი,
მოედანს მწვანით მოსილსა მობურთალი ჰყავს შეშლილი.
მწყერაობაში რას ვარგა უსეფქო კაცი, მოშლილი?
ქალები მკიან ტან-წვრილნი, პირ-თეთრი, შავ-თმა ჩაშლილი.

ერთი წყალი საკალმახეთ იორს არსად შეედრება,
სხვა არა სჯობს იმ დროს რამე, იმის წურვას გახარება;
მოწყენილმან კაცმან ნახოს, ჯავრი სხვაგან გაეყრება.
მთიდამ ნადირს მოიტანენ, გორა ხორად დაეყრება.

შემოდგომისა და მყვირალობის, ნადირობისა და შეჭცევის ამბავი

აგვისტოსი იქ გათავდის ლხინითა და უკუყრითა,
მერმე კახეთს წავიდოდით, გარიგებით, მუნ აყრითა,
მხიარულად ჩავიდოდით, მექორწილე ვით მაყრითა.
აწ მზადება დაიწყიან სამყვირალოს შემოყრითა.

ღვთისმშობლობასა შუამთას მივიდით, იქ გარდვიხადით,
შევეხვეწით სასოებით, ძის მეოხად იმას ვხადით.
მოძღვართ-მოძღვარს მასპინძლობა იმ დღესა აც ქვევრთა ახდით,
ჩვენა ვართო ამ ყოფასა, მტერნო, აბა თქვენ კი წახდით!

ჯვართამაღლებას ალავერდს ჩავიდით, იქ ავამაღლით,
ფილიპე ალავერდელი ლხინით ვერავინ მოვღალით,
მან საჩუქრითა აავსის მუნ მყოფნი მდაბალ-მაღალით,
ნაზარხოშევნი ვიყვენით არ მთვრალნი, ღვინო მამბალით.

ერთს სიტყვასა ის იტყოდა, არ ვარ სხვისგან განაგონათ,
ასრე იტყვით, საქონლითა ვერ გავძღებით, ვჰყავართ მონათ,
ამდენი მაქვს, აღარ მინდა, ოქრო მიჩანს ჩალის წონათ.
ბევრი გასცის უცხო ფერად, იყვის ყოვლთა მოსაწონათ.

მაგას ნუ ეჭვ, რასაც კაცსა ძალად რამე გამოართვის,
ასრე მე ის საშენდობოდ არ მინახავს, არ მომართვის;
მან მამცის და მე რაც მივსცი, კიდევ სხვა რამ ზედ დაურთვის.
ლოცვა ჰქონდის წესისაებრ, მერმე ჯარის ლხინის წართვის.

მოკლედა ვჰთქვა, მყვირალობა ალონს ვიწყით მისვე წესით,
უპირველად ვნადირობდით, სენით ვიყვით არა კვნესით.
ჭაკს ცხენს ზიხარ ჯავახურად, წოტს ხარზედა მოაწევ სით?
ეს თვეც წავა კაის ყოფით, აწ ზამთარი მოაწევ სით.

მოვიარით ტყეები და რაც მინდვრები გითხარ პირველ.
ვირ დრო მქონდა, სიხარულსა ხელი ვჰყარე, მწვერვალს აველ,
მყვირალობა გავათავე, აწ საჯერნედ ჩინდვრად წაველ,
ყარაიას მივადეგით, გარეჯიდამ მტკვრის პირს დაველ.

იქ ჯერგას არ წავიტანდი ქვეითს, თუ არ ცხენოსანსა,
ქისიყით წამოიყვანდენ თორმეტჯერათას ოსანსა,
სრულ კარგს ულაყზედ მჯდომელსა, ვინ ნახავს მათ ჭაკოსანსა?
მარტო იმ სოფლით იტყოდეს შვიდასსა ჭარმაგოსანსა.

ერთის სოფლით ეს მოვიდის, ნახე თუ სხვა რამდენია?
შვიდს წელიწადს ასრე ვიყავ, სათქმელი რამ არ მწყენია,
უტკივრად და უჭირველად, ცხვირთა სისხლიც არ მდენია,
ბოლოს საქმე გამისინჯე, რაზომნი ავნი მსმენია.

პირველს ღამესა დიდს-ვარცლას მივიდით სრულად ჯარითა,
დაუწყით ჯერგას რიგება ერთმანეთს დასაჯარითა.
მაშინ იქ მყოფმან ჯერგამან თავი არ გასაჯა რითა?
გათენებისა მომლოდნემ იქ ძილი იაჯა რითა?

ალიონმა აიზიის, შევსხდით ცხენსა დაუკარდით,
წყნარა-წყნარა მივჰყვებოდით, ცუდ-მუდს არას გაუვარდით;
ვისაც ჯოგი მოგვივიდის, კარგ სადავეთ ზედ მივარდით,
სრულითა და სიკვდილითა დავიღალით და დავარდით.

სულ დიდი ჯოგი მოვიდის, ანგარიშს ვერ ავიღებდით,
ვირ არ მოვიდით ნადირზედ, მშვილდს აქ არ ამოვიღებდით;
მივესროდით და მივჰხოცდით, მინდორს სისხლითა მივღებდით,
ამდენი მოკვდის ნადირი, სრულ თან ვერ წამოვიღებდით.

მაშინდელთ კარგ მშვილდოსანთა ამად არ ვამბობ სახელებს.
საბატიოთა კაცთა და ვაჟკაცთა ბევრს ასახელებს,
ვაცთა შიგ რჩევით მოჰკლევდეს, ვერ მომკვლელთ მგონ ეს ახელებს,
ზოგს უქებ მშვილდოსნობასა, უცოდნსა დასდებს სახელებს.

სხვა მინდვრები ირმით სავსე, ყარაიას ჯერანია,
კარგს მშვილდოსანს გაახარებს, გულის გასაჯერანია;

ვერვინ სრულყოს ჯოგთა რიცხვი, ესე დასაჯერანია.
თუ იმდონს ჯოგს შეეყარო, მოვლე კახი, ჯერ რანია.

ზოგნი იტყოდეს: აქა ვჰკრავ, მიყურეთ, უსაცილოდა.
სხვამ თქვის, თუ: იმ ვაცს მე მოვჰკლავ, შევღებო ისრის კილო და,
კვლავ ამ დიდს ჯოგში ხუთს მოვჰკლავ, სროლა არ ვითაკილო და;
ძალიანს მშვილდსა მოზევდე, მკლაო, არ ისარ-წერილოდა!

მაღალს აკრევდენ ფრთეებსა გრძელს ისრებს მათთა მკლავთასა,
იტყოდეს, ახლოს ესე სჯობს, უკეთ იქს ხორცთა ფეთასა;
შორს სროლა რა სადავეა, ახლო სჯობს, ეს უკეთასა!
ბევრჯელ მინახავს, იქმოდეს მსხვილ ბარკლის სულ მოკვეთასა.

ყმაწვილები არ არჩევდეს არც კვრასა და არც ნადირსა,
თუ სადგომსა ბევრს მოვიტანთ, ოსტატობას ჩვენ რა გვრჯისა!
დასულებულს ვინ ნახევდა სიცილითა იმათს პირსა?
ის დრო იყო, რომ წავიდა, სხვა ვეღარვინ ვერ ეღირსა.

მინახავს ბევრჯელ მინდვრებში მოკლული უფრო ათასი,
ჩემს მოკლულს სხვანი გეტყვიან, მე მოგახსენო სხვათასი;
ერთს ზაფხულს ზამთრის პირამდის ჩემი თქვან, ვეჭობ, სხვათ ასი,
ლხინსა ვნახვიდით ამოსა, ზოგთ ჯამითა სვეს, სხვათ თასი.

ერთს დიდმარხვაში ნაგებს ვდექ, რომელ არს ბოსტან-ქალაქი,
აღდგომაც იქ გარდვიხადენ, ჩვენი ახალი პასაქი.
რას აქნევ ინდსა, არაბსა, ესე სჯობს, შენცა ეს აქი!
ვეღარ თამამად ბაასობ, დაყუჩდა ცილების ბაქი.

ამ აღდგომის დღის ლხინები ძნელია გამოსათქმელად,
საღვთო წესი და რიგები ნათელ არს, არ დასაბნელად.
ბურთობა, ყაბახის სროლა, გაცემა მქონდა არ ძნელად.
თუმც კიდევ ბევრჯელ მინდოდა, აღარ დამცალდა საქნელად.

კურმუხელთ კახთა სიმრავლე ამათ გასინჯე კუხოსი,
ყაბახს ესროდეს ოთხმოცი მარტო ჩერქეზი და ოსი.
მე არ გაუშვი იმ დღესა ჩემი ყმა მუნ შეუმოსი,
ხილზედა ვსვემდი გავაზურს, ხვრეტა არ იყო იქ დოსი.

ამ დღეს გავეც სხვას გარდაის ასი ჯიღა, ასი ტყავი,
კვლავ ცხენები ბედაური, არ თუ ზურგზედ განატყავი,
ამას გარდა აბრეშუმი სამოცს აქლემს ნატვირთავი,
არ დავაგდე უბოძვარი, ღარიბები მოურთავი.

მანამდის არ ჩამომეხსენ, არ მათქმევინე მე ვირ ეს,
მიქებდეს მეტად სიუხვეს, არ მიზრახევდეს სიძვირეს.
კაცი ამ ყოფის პატრონი რად შეგედარო მევირეს?
ჩამოგიყარე ყურები ჯობნისა შენ დანაპირეს.

თუმც არის წელიწადშიგან ესე დღეც გასახარონი,
აივსებიან ყოველნი ჭურნი და ბეღელ-ხარონი,
შიმშილისა და წყურილის არვის აქვს თავის ხარონი,
სიმსუქნე სჭარბობს სიმჭლითა, არვინ არს შენაზარონი.

სულ გაძღებიან ღარიბნი, გლახა და მუნ მდიდარია,
თავსსაყრელად აქვსთ მთხოვართა მათ მათი სამუდარია,
ანგაართაგანც მიიღონ წყალობა-სათხოვარია.
ამ სიკეთესა მოუსწრო, მერმე ზამთარმა დარია.

ვით წესია ამ თვეების, მის-მის დროსა ხელსა ვჰყრიდით.
მყვირალობა რა წავიდის, ქორებს ზარში გამოვჰყრიდით.
ვირემ წყალი არ გაყინის, ვერ მოგვყონდა სიცხის რიდით.
რა აცივდის, მოვიყვანით, ფრინველზედა ხელს წაჰყრიდით.

აწ ზამთარი შემოვისწრით თოღასა და ბოეთანსა,
შამურსა და ღარნეხშიგა სხვას ვინ ნახავს იმისთანსა?
ყოვლნი რამე სანადირო ასრე ახლავს ინი თანსა.
მაშინ მე რას ვახსენებდი ხანებსა და ან სულთანსა?

სრულ წვრილად ვთქვა, ვერ გაუვალ, არც ვინ მართლა დაიჯერებს,
თვარემ ვიტყვი ბევრს ასეთსა კაცისაგან გასაჯერებს:
ცრუი არის ეს სოფელი, ბოლომდისი არ მაჯერებს.
ფიცით მითქვამს, დამიჯერე, მცილეს ფიცი დააჯერებს.

რაც მინდოდა, ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაძე.
მუნ სიმრავლე სპა-ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოვლგნით ვაძე:

ჩემის სახლის მეფეებსა წარვემატე, არ წავბაძე,
ეს კი მაკლდა, მართლად გითხრობ, ძმა არა მყვა და არცა ძე.

ჩემის სახლისა ჩემს მეტი კახეთს არ მოიძეოდა,
მოწყალემ მომცა ორს წელსა ყმა-შვილი ორი ძეო და,
შემექმნა ლხინ-სიხარული, ვთქვი, დავდეგ ახლა მეო და,
მათის იმედის ქონება, ვა, ადრე დამელეოდა!

მაშინდელს მახარობლობას, სრულ კახთა იქ შემოყრასა,
მათ გახარება — ლხინებსა, იმათს იმდრომდი მოყრასა,
მოსალოცავთა ტურფათა, თვალ-გუართ თავს გარდაყრასა,
ძეობა, ღამის-თევასა, ძილად არვისგან წაყრასა.

მომეზარდნეს ორნივ შვილნი, ხუთის წლის და მეოთხისა,
ტურფანი და ჭიკჭიკანი, ორნი ნორჩნი სამოთხისა:
ძლივ ვლირსიყავ, გამეზარდნეს ტანად ნაკვთნი სამოთ-ხისა,
ცხენს სხდებოდეს ყინჩიყურით, ცრემლი ღაწვს არ დაენთხისა.

ვით წესია სოფლისაგან, ლხინს არავის გაუთავებს,
ჯერეთ მამყვა, მწვეთ მაამა, აწ საქმესა მიზამს ავებს,
ლხინთა ნაცვლად გლოვასა და სიმღერისა მუქფად მავებს,
ლხინს შემიცვლის გლოვა-ფლასად, წითელ-ყვითელს გამიშავებს.

მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება

ქამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა, შემექმნა გულს ურვა, თვალთა წუხილი,
ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,
ნადიმი აღკრბა, სერობა, ვეღარ მაჭამეს წუ-ჩილი.

მოვსთქვემდი: მზეო, დამაგდე, ცეცხლი მომიდევ, წამ ალი,
მე, გლახ, უშენოდ ოხერმან შენი ვერ ვჰპოვე წამალი,
ბროლი და ლალი შეთხზულნი, მიწათა შიგან წა მალი,
სუფევა ჰპოვე უკვდავი, წმიდათა თანა წამალი.

წამწამთა რაზმმან დაფარა თვალნი გიშრისა. დალულა,
მშვილდი თავისა კემუხტით, შემოსით ვით მოზეულა,

თმა ამბრის ფერი შეწმასნით მიწამდის ჩამოწეულა,
ვითარ ვსთქვა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულა!

ბაგეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყვითლებულად,
მას შიგნით თეთრსა კბილებსა სადაფ-მარგალიტებულად,
ენასა შაქრის უტკბოსსა ვხედავ უძრავად დებულად,
ჰაი ვაიმე, რაღა ვქნა, აქა ვზი ცეცხლ-მოდებულად.

ცხვირს ზომიერად ჩამოწვდილს სული ფშვის სურნელებისა,
პირი ერთპირად შექმნილი, უალოდ გამთვარებისა,
რომელმან ენამ აღმოთქვას სინაზე მკლავ-ხელებისა,
ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნალებისა.

ვაიმე წახდა, ვის ჰქონდა, ყელი ბროლისა სურათა,
ვერ გამოხატოს მხატვარმან ჩინელმან მისი სურათა,
მჭვრეტელთა სატრფიალოა, უნახთა მოსასურათა.
ვა, რად გამხადე უბრალო სისხლის ცრემლ გასაცურათა.

ვა, რად მიეც შავს მიწასა პირი ვარდი, ბროლ-ფიქალი,
ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ეთერი ფერ-გამქრქალი,
შენს საქციელს ვერ აიღებს ბევრის ცდითა სხვაღა ქალი,
შენ გამხადე დასაწვავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი.

რად დააგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნიეთი?
სახელმწიფო, ქმარი, შვილნი რად გაჰხადე ოხრად ვითი?
სამუდამო ლოცვა-წირვა, ფსალმუნება, ან დავითი?
პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგრე ადრე რად წაირთვი?

მე გამწირე, საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად?
ალექსანდრე ნებიერი, ვით დამიგდე მე ეს ობლად?
შენ უდროოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქ საბრალობლად,
მე გამხადე მტერთ გულისად ბედისა და სოფლის მგმობლად.

გვირგვინის ნაცვლად ჩაჩს მბურავ, სკიპტრად მამაძლევ შავს ჯოხსა,
პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა,
გამაბედითე, დამაგდე, ვჰკვირვარ მე გუშინ დამნახსა,
უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა.

ვით წესია, გარდვიხადე ᲒᲚᲝᲕᲐ დიდი, ᲡᲣᲚᲗ წესები,
სულთქმა, ახი სამუდამო და ტკივილი საკვნესები,
ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები, ნათელ შრეტით დანავსები.
ნაღველს ვსვემდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.

ორმოცამდისი ბნელს ვიჯე, სინათლეს ძვილ სად ვნახევდი,
თავსა ვიცემდი, ვსტიროდი, ცრემლითა ღაწვთა ვიხევდი,
შენც შემიბრალე, არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი,
ნუგეშინის მეც სიტყვითა, ღონეს რას მომინახევდი!

მეფის თეიმურაზის ყაენისაგან დაპატიჟება და მგლოვიარობიდამ გამოსვლა

მე მგლოვიარე ყაენმა მიმიხმო, მიმიპატიჟა,
თუ გლოვით გამოსასვლელად კვლავ უფრო გამიპატიჟა:
ახდა მიბრძანა შავისა, ხორციცა მან დამპატიჟა,
უარი არ მათქმევინა, არც ხანი დამიდარიჯა.

ვით მართებდა, მასთან მისვლა მე და ჩუმსა სიდიდესა,
ყოვლიფერი თან ვიახელ, ვინ იცის რა მამინდესა!
მას ვმეტობდი გარიგებით, ვინ რომ დავარ მამიდეს Ა,
მე რჯულმტკიცედ შეზღუდვილი, იმათ თავი გაინდესა.

წაველ, მიველ, მომაგება ომარები კარისკაცნი
ბედაურის ცხენებითა, არ იახლა მათ საკაცნი.
სიმრავლესა ჯარისასა წინ უძღოდეს, ვითა ვაცნი.
გაეკვირვნეს სიკეთესა, ხელთა ჰქონდა მალ-მალ ტკაცნი.

მიველ, ვნახე, მიალერსა ხელმწიფემან ვითა შვილსა,
მიბრძანა თუ: „მწოვედ მიმძიმს, გხედავ აგრე შემოსილსა,
მაგრამ რა ვჰქნა, რა გავაწყო ღვთის ბრძანებას ვინ მოშლისა?
გლოვაზედა რად წაბაძე შენ, ჭკვიანმან, სხვათ შეშლილსა?“

დაჯდა ნადიმად უცხოდ რამ, მის ლხინს რა გაეწყობოდა!
მუნ რამდენფერი საკრავი ერთმანეთს შეეწყობოდა.
გაყრას ვინ მოინდომებდა, გული იქ დაეტყვებოდა.
მას დაფარული მტერობა მაშინ არც შეეტყობოდა.

გათენებამდი ნადიმად იჯდა და არც მე გამიშო,
მიბრძანა: „გამხიარულდი, ჩემგან არა ხარ საშიშო,
ბევრს კარგსა გიზამ, იცოდი, საქმე არ გიყო საიშო,
გულსა სევდა და ნაღველი უკუიყარე, მოიშო!“

პირველი ნახვა გათავდა, მერმე მიმიხმო ხალვათათ,
მითხრა: „ლუარსაბ მეფესა გამოყვრებ მალე ამლათათ,
ორნივ მეფენი გაერთდით, ის შენთვის იყოს, შენ მათათ,
ჩემიცა ქვისლი იქნები, საქმე არ დარჩეს სახლათათ“.

მოვახსენე: „ხელმწიფეო, ეგ ჩვენს რჯულში არ მოხდება,
ახლო არის ნათესავი, საკანონო დაჰედება,
თუ შეკირთო ნათესავი, საბოლოო წამოხდება“.
უარი არ გამიგონა: „ცუდიაო მიდ-მოდება.

არ იქნება, დამიჯერე, ქართველთ მეფის უმოყვრება,
სხვას უკეთესს ვერ შეირთავ, მეც მასმია დიაღ ქება,
ზურგად მე გყვე, ის მოყვარედ, ვისღა ძალუც შენი ვნება?
მე მწადს, მერმე თქვენ მოგხვდებათ ლხინით შეყრა, ერთად ხლება“.

კიდევ რამე მოვახსენე: „მე ეგ საქმე არ მექნება“.
არაფერი არ გავიდა უარისა მოხსენება.
კვლავ მიბრძანა: „ნუღარ იტყვი, თუ არა იქ, არ იქნება“.
რადგან ისრე მოინდომა, რაღა მექნა, დავრთე ნება.

შააბაზ უაენისაგან აბელის-შვილის ადამის თხოვნა და არაკის მგობა

მერმე მითხრა: „აბა მამეც აბელის-ძე კარგი ადამ,
თუ არ მამეც, არ იქნება, ვერ დაიხსნას მაგისმა დამ“.
გამიჭირდა მისაცემლად იქ მისვლით და მერმე ხადამ.
ჩემს სიტყვასა დააჭარბა ხელმწიფისა მოსაწადამ.

მოვახსენე: ვერ მოგართვამ, ნუ მიბრძანებ, ცრემლს ნუ მადენ,
ნამსახური კაცი არის მამით, ბიძით, თავით რამდენ,
გამორთმასა ნუღარ ბრძანებ, წყალობა ჰქმენ შენი ამდენ.
მამა-მისი პაპა-ჩემსა ძმიან ორნივ თავს დააკვდენ.

პასუხს გეტყვი მაგისასო, დაჯექ მანდა მამიცადე.
კარგიაო. არ მოგცემო, მართლა სთქვი თუ გამომცადე?
თუ გიყვარვარ, ვიცი მამცემ, წა, მომგვარე, გა მომც ადე!"
მაგრამ კიდევ არ წამოველ, კიდევ ხანი დავაცადე.

არაკი მითხრა მართალი, სიტყვა რამ დასაამიო:
„ერთს ხელმწიფესა ვეზირნი მუდამ გვერც უსხდეს სამიო,
ერთი გვარით და თვითანცა, და ორი არ საამიო,
უფროსი ყოვლის სიკეთით გულ-ქველი, ვით საამიო.

ერთმან მონამან შეჰკადრა ხელმწიფეს ღარიბობითა:
„ათასი მამეც თუმანი, არ მითქვამს სათნოებითა,
ასეთი რამე შეგიმკო, შენ იყო არ ქონებითა;
რა ის მოგართვა, გაჰკვირდე, ბევრი სხვა მამცე ნებითა".

ხელმწიფეს დიდად იამა, უბოძა დაუყოვნებლად.
ხანმა რამ წავლო, მოჰგონდა, რაც ჰქონდა საიმედებლად,
ბრძანა: „მომგვარეთ იმითურ, რბილს აკეთებს თუ სალებლად".
მივიდეს, წამოიყვანეს, პირი შეექმნა ნალებლად.

მივიდა მონა, უბრძანა: „რა ჰქენ, რა გამიკეთეო?"
მან მოახსენა: „ხელმწიფევ, გწადს თავი მე მამკვეთეო,
ღარიბობამ და შიმშილმა მირჩივა ეს უკეთეო,
ყველა დავხარჯე, შევსჭამე, გინდა ცეცხლს შემიკეთეო.

სანამდი მქონდა, ამ სოფელს ყველა რამ მე ვიამეო,
თუ ის არ მექნა, აქამდი ვერ მოვაწევდი სამეო;
ამისთვის ვჰქენი, მეფეო, თუ ღმერთი გიყვარს და მეო,
თვარე რაც გინდა, იგი ქმენ, შენ მანდ ზიხარ და ა მეო".

ერთხან დაფიქრდა, ვეზირთა უბძანა: ხედავთ ამასა,
რას არჩევთ, რისხვა რა უყო ერთსა თვალისა წამასა,
ეს მონამ ვით შემომბედოს, შვილმაც ვერ უყოს მამასა?
შიშით არა ძრწის, თავს იდებს მისის ტყუილით ჭამასა".

ხაბაზის შვილმან შეჰკადრა: „თორნეში გამოაცხეო",
მზარეულისამ ესა თქვა: „შეწვი, ზედ ნავთი წასცხეო".

კვლა გვარიანმა ურჩივა: „მწვეთ კარგად შეინახეო“, —
მას მიემოწმა ხელმწიფე, ეს უკეთ დავინახეო!

მეც მაგისთვის გთხოვ ამ ადამს, გვარად ვარგა და თავადა.
უგვარო კაცი ასე იქს, თუ ძირად არ ითავადა.
იმ ვეზირთ სიტყვა გასინჯე, რომელმან რამ თქვა ავადა?
ჩამომავლობით სიკეთე კარგია, ბევრად გავა და.

კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს,
თუ სიბრძნეშიგ გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს!
თვარ უგვარო გვარიანსა ცუდათ ვინმე შეუცარდოს,
უგვარო თუ არას იწვრთნის, სიკეთე ვით გაიმარდოს?“

რაზომ ვიტყოდი უარსა, მან უფრო დაიჟინაო,
ტკბილის სიტყვითა წამართვა, არ ბაქით შემაშინაო.
აღარ მაცალა პასუხი, სულ იმან დამიშინაო.
მივეც, რა მექნა, ვიტყოდი: ნეტამც დამეგდო შინაო!

გამომისტუმრა, წამოველ, კაცი თან გამომატანა,
მეც ნება დავრთე, დავასკვენ მე მისი აქ წამოტანა.
კიდევე მას მაბარებდა, სათუო არ დამატანა.
მოველ, ვემოყვრე მეფესა. პირად მზემ ალვა მატანა.

რა მოველ, მეფეს ლუარსაბს ვემოყვრე მისი ბრძანებით.
მან თურე სხვაფრივ არჩივა და საქმით კიდეგანებით,
ჩვენ სულ მართალი გვეგონა, ვიყვენით სხვის არ მგვანებით.
ვინ რას მიუხვდა, ლიქნით იქს, ან რასმე მონაგვანებით!

ავემზადე საქორწილოდ, მას ქალს ჩემად მოსაგვარად,
პირველისგან უკეთესზე თავითაც და მერმე გვარად.
ქორწილიცა ეგრეთი ჰქმენ, შესაფერი მის-მისგვარად:
ყოვლი ნივთი მრავლად იყო, არა მქონდა მოსაგვარად.

მას თურმე მაშინ უნდოდა, რაც ბოლოს ჰქონდა საქნელად
გუნებაშიგან ნარჩევი, პირად არ გამოსათქმელად:
მაგრამ ორნივე მეფენი ჩვენ უნდით მას დასანთქმელად,
არ სიყვარულით შეგვიტკბობს, ჩვენზედა გული ათქს ნელად.

ყაზახის ხანსა მოსწერა: „მეფე ლუარსაბ მოკალო,
თავი აქ გამომიგზავნე, ქართლი გალეწე ვით კალო!“
მეფეს სხვა წიგნი მოსწერა: „ეგ ხანი მალვით დაკალო,
შიშით დახეთქე ყაზახნი, შეაქენ თრთოლა-კანკალო“.

მას ეგონა, თუ ყაზახი ხერხით ამას აჯობებდა,
მოიგონის უცხო რამე, ლიქნით ამას გააგებდა.
მაგრა მეფე არ გაება, ის რომ საფრთხეს მოუგებდა;
მეფემ მოკლა, გაუგზავნა, თავსა შუბზედ აუგებდა.

თუ მე მაბრალებს პაპისას ძველს რასმე დანაშავებსა,
ლუარსაბ მეფეს რადღა ჰკლავს პირად მზეს, არ თუ შავებსა?
სვიმონ მეფემან მსახურა, ურუმებს სთხოვდა დავებსა,
ქართლი სულ ურუმთ ეპირა, გაუყრის მათ ფაშაებსა.

ურუმთ ეპირა ქართლი და ადრიბეჟანი, შირვანი,
ასრე მათ ეპყრა ციხენი, ვით შიგნით ბასრი, იქ ვანი,
უცილებლად და უომრად არვისგან ჰქონდათ მით ვანი.
არიგებდიან მათს წესზედ, მათი აქ სწერდა მდივანი.

ვინ არ მივიდეს მათთანა, ყაენთან მიელენ მჩივანი:
დაიპყრეს არდაველს აქეთ ერანელთ მოსაყივანი;
აქა-იქ დაიმალოდეს, ამაყად ველარ მყივანი,
ზოგნი განერეს, ივლტოდეს, შორს მყოფნი იყვნეს სვიანი.

ეს როდის იყო, დედასა მცირე ყრმა ჰყვანდა შაბაზს.
სვიმონ მეფესა უბრძანა: ტყვეს ხმალი უნდა შაბას.
ქართლს გამოგზავნა საომრად, ურუმთა უნდა შაბას.
არას ნაღლობდენ სვიმონის, თუ ბოლოს ვინმე დაბას.

ბეგუმა თქვა: მეფეს სვიმონს შეუძლია გაძებანი,
ამის მეტსა არვის ძალუც გურგასლანის ბაძებანი.
კაცით ჰკადრა: შინ გაგიშვებ, იქმენ ჩემი ძმა-ძებანი,
მრავალს მოგცემ, რა იქ მიხვალ, აღარ გინდა ჯართ ძებანი.

სვიმონ მეფემან შესთვალა: საქმე ვქმნა არ უკადრია,
რაცა გმსახურო, მოგესმას, მოწმად მყვეს თქვენი სადრია,

ღვთის ძალით ქართლში ურუმნი მოვსრნე, განვაძო ადრია.
გმსახურო, არ დამისწავლით, ეს თქვენი რა საკადრია?

ძველი რამ ვიცი ამბავი მე ვახტანგ გორგასლისაო,
სპარსთ მეფის ლაშქრად წაყოლა და ინდეთს მის მისვლისაო,
მისგან გოლიათთ დახოცა და მერმე ვინ მოშლისაო?
მასავით მიზამთ, მე ვიცი, მოდგმა გაქვს თქვენ ასლისაო.

დიდმან ვახტანგ სინდთ მეფისა გოლიათნი ამოსწყვიდა,
ციხე ხელში გამოუღო, მეფობისგანც გამოსწყვიდა;
მერმე უთხრა სინდთ მეფემან: ვახტანგ, შენთვის ავად ჰყვი და,
მისი ხელი დაგემართა, საქმესა იქს რას ყვავი და.

ერთმან ყვავმა ქორის ქულა ნახა სადმე დავარდნილი,
მიიყვანა თავის ბუდეს, რად შემცდარა ავარდნილი?
მოიზარდა, ყვავმა ნახა ბახალებზედ მივარდნილი,
დაუჭამა, ახლა დარჩა ყვავზედ დრო შემოვარდნილი.

რა ბახალები დაჭამა, გაშალა ბოლო მწვერვალი,
ახლა ყვავს გამოუვარდა, მან თავსა დასდვა ეს ვალი,
რად მოჰყევ ჩემზე ამასა, გრძლად გქონდა აქეთ სავალი,
მე გამათავა, აწ შენზედ მოიცლის, არ აქვს ზავალი.

მისი არ იყოს, მე ვიცი, ჯერ სამსახურსა დამაცლი,
ღვთით, მე მგონია, ურუმთა ქართლიდამ ადრე გაგაცლი;
ჩემზედ მოიცლით მას უკან, მათგან ციხეთა რა დავსცლი,
გამომიმეტებ ადვილად, წყალობა-პატივს ამაცლი.

მათ უთხრეს ფიცი საშიში და გამოგზავნეს ხლმიანი,
გამოისტუმრეს მებრძოლი ყაირათ-ნამუსიანი;
მოვიდა. ბევრჯელ შეება და ურუმთ უყო ზიანი,
მუდამ მას გაემარჯოდა, ბოლოდ ვერ არის სვიანი.

რაც ციხე ჰქონდათ, აიღო, არც ერთი არ დაანება,
ურუმნი ქართლით განდევნა, ყაენისა ქმნა მან ნება,
ქართლი იმათვე უშოვნა, თავის თავს უყო სავნება.
მისი არაკი ლუარსაბს მეფეს არ მოეგონება.

გორი, ქალაქი, სამშვილდე, აღჯაყალა და დმანისი
ურუმთ ეჭირა ერთპირად, ვით კარი, ანუ ანისი;
სულ სვიმონ მეფემ აიღო, რას გარდეკიდა ან ისი?
მალე ჩაივლის მათ წინა ნაქნარი ეს სვიმანისი.

მერმე ურუმთ დაიპირეს მეფე სვიმონ ალგეთს — ფარცხის,
ბევრჯელ ომი კარგად მოხნის, ხან დარჩის რომ ვერ დაფარცხის;
სისხლი იცხის მტერთა მისთა და თავისი მას გარდასცხის,
ბოლო ამით გარდაუწყდა, ჩაიყვანეს სტამბოლს მარცხ·ის.

ასრე იყო ნამსახური პაპითა და თვითან თავით;
მსახურებდის, აამებდა, არვის ახსოვს მაზედ დავით;
არასფერსა არ აწყენდა, მიჰყვებოდა ვით სადავით,
მათ რომ ბევრი კარგიც გიყონ, ბოლო მოაქვს ისრევ ავით.

ამას ნუ ბრძანებთ ნურავინ, მე მისთვის რამე მეწყინოს,
უარი მეთქვას რისამე, ან წყენა მე დამეჩინოს;
მაგრამ ესე სწადს, საკუთრად კახეთი მან დაირჩინოს,
ბაგრატიონნი გასწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს.

პირველ მიველ, ძმა მივართვი და მერმე დაც იქ ჩავგვარე,
რაც ყმა მთხოვა, ყველა მივეც, იმას რამცა წამოვგვარე!
არ შემჯერდა არას საქმით, ვერაფერი მოუგვარე,
თუმც უფროსი ავი მიყო, მაგრამ მეც სამ გავაჯავრე.

ამბავი პირველი შააბაზ ყაენისა. კახეთსა და ქართლს მოსვლა და ორთავ მეფეთა იმერეთს წასვლა — ქართველთ მეფის ბატონის ლუარსაბისა და კახთ მეფის ბატონის თეიმურაზისა, ბატონებისა და ქვეყნის ფყრომა, რბევა, ტყვეება და აოხრება მოუკლებელი და დაულევნელი

ოდეს შააბაზ ჩემზედა საქმე ქნა ეს მისეული,
აიწყო ჩემი მტერობა, ბოლომდის არ დალეული,
ქვეყანა ამომიწყვიდა, თავადნი მუნ ბევრეული.
არ გაძღა ჩემის სისხლითა, ვირემ არ მოკვდა წყეული.

განჯას მოვიდა მოპარვით, ამბავი ვერ ვსცანთ მოსვლისა,
სიტყვა რამ შემოეთვალა იქიდამ სხვაგან წასვლისა.

გამწარდა საქმე სოფლისა, მზე მიდრკა ქედად დასვლისა,
გვიპირებს ბნელი დაფარვას, ჟამი ჩანს ნათლის ჩასვლისა.

დაიწყო თხოვა შვილების, უფროსი ერთს, დედის ერთსა;
მივეც ყველა, რაცა მთხოვა, არა ვჰრიდე ცოდვას მათსა.
დედა-შვილთა გაყრისათვის მარისხებდეს ცათა ღმერთსა.
ჰგვანდა მაშინ კახეთშიგან მეგვიპტურსა რისხვას ათსა.

მაშინც არ იქნა, არ დასცხრა ზღვა ქარით იძულებული,
პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული,
მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალაღებული,
მომსრველი, ამომწყვეტელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული.

აწ ესეღა ვთქვა ამბავი, ვაი ამ დღისა მხსენესა!
რა დიდი მტერი ამკიდა, ბოლომდი არ მამხსენ ესა,
რაცა დანასკვე ჩემზედა, აროდეს არ გამხსენ ესა,
რომელიც დამრჩეს, ჰკითხევდეთ ამისსა თქვენ მომხსენესა.

დედა-მისმა ჩემთვის შობა იგი ასრე ჩანასხამი,
მუდმად ჩემის სისხლის მსმელი, გესლიანი ჩანასხამი;
ტახტზედ იჯდა სამესისხლოდ, არ ეხვია ჩან ას-ხამი,
ტანს იცვემდა სასალუქოს, სხვაგან ედგა ჩანას-ხამი.

სულ მოვიდა ერანითა, თურქ- ლორით და არაბითა,
ზახირა თან მოიტანა ურმებით და არაბითა;
ღვინოს სვემდა სისხლად ჩემდა, თრიაქს სჭამდა არ აბითა,
ჩემიმც ცოდვა თქვენ გკიდია, ვინც მოუშვით, არ აბითა!

სპანი ბევრი უამრავი ერანიდამ მან მოასხა,
ჩვილნი მოსრნა, ვით ჰეროდემ, მოწიფულნი თან წაასხა;
მან ძველითგან ჩათხეული გესლი მაშინ წარმოასხა,
ერთგულები დამიხოცა, ორგულთ ტყავი წამოასხა.

მოვიდა მძლავრი, უწყალო, არად არ შემიბრალებდა,
დამიწვა სრულად კახეთი, სახმილსა გამიალებდა;
ვერსად დაუდგა ციხემა, სიმაგრით თუმცა სალებდა.
მას ქურუმთაგან ნასწავლსა საქმესა მე მაბრალებდა.

შვილი ეთხოვნა: მამეცო, გავზრდიო შენებრ სათუთად,
სიტკბოთ და სიყვარულითა, არ მჟავედ, ვითა ხართუთად,
მოიწიფოს და ბალ მოგცემ ასპარეზსშიგან საბურთად.
მესროდა მწარეს სიტყვასა, წინ უჯე სრულად, ვით ბუთად.

ვიცოდი არასფერითა დაშლიდა აღარ მოსვლასა,
რაც ქნა, ეს სწადდა საქნელად, ტყუოდა სხვაგან წასვლასა.
მირჩევენ შვილის მიცემას, ჩემთვის მზის შუქთა დასვლასა,
შეხვეწნას, დედის გაგზავნას, უთუოდ მის წინ მისვლასა.

მივაგებე დედაჩემი, ალექსანდრე თან წაგვარა.
„ეს ცოტაა, არ მინდაო“, დაუწუნა, რა მიგვარა.
აწ უფროსი უნდა მივსცე, საქმე ასრე მამიგვარა.
ეს სწადიან, ამომწყვიტოს თავ-შვილიან, გვარის-გვარა.

ეთქვა თუ: „ასე ცოტასა რას ვაქნევ, არ ვარ ძიძაო,
რა გავათ მე გაგიზარდო, ვითამ ვპყოფილვარ ბიძაო“.
გულში სხვა უძევს, ენითა მან ჭლაკვი გააქინძაო.
მწარესაც ტკბილად იტყოდა, ბადენი დამიხინძაო.

მეორე კაცი მოვიდა მათის საფიცრით მტკიცითა:
ერთი ღმერთი და მეორე ჩვენ ფეღამბარი ვიცითა,
აქაც მყოფი და ყოველგან ქვეყნად და კვალად ვიცითა.
თუ ლევან მამცე, ეს მოგცე, ეს დამიჯერე ფიცითა“.

დედაჩემს შემოეთვალა: „კვლავცა მინახავს ესეო,
წამოსვლა ავად ვარჩივე, მოვიმკე დანათესეო,
უწინ რომ მაპატივებდა, არ არის მის მოწესეო.
— რა ჰქვიან ეგეც არ მოსცე? თვით არის უკეთეს ეო!“

ვიცოდი უსაცილობით, რაც იმას სწადდა საქნელად,
მასრულებს ამოსაწყვეტლად ამოდ, წყნარად და ნელ-ნელად;
მაშინ თამამად წახდენა მას ჰქონდა გულ-გასაძნელად;
ორთავე თვალთა სინათლე უნდა შემიქნას მე ბნელად.

უთხარ: „კახნო, დამეხსენით, თქვენი რჩევა არ ივარგსა,
რა ამასაც გამომართმევს, ჩვენ გავასწრებთ ვეღარ ბარგსა,

შემოგვიტევს მასვე წამსა, სრულ წარმოსცლის მისსა დარგსა.
ლევანსა და ალექსანდრეს რად მიკარგავთ ორსავ კარგსა?!“

გარდაიცვეს თავს საბელი, კახთ სულ ასრე დაიჟინეს.
„ქვეყნისა და თავისათვის რად არ დასთმო, თქვა ეს ვინ ეს?“
მერმე კიდევ უარი ვსთქვი, გამოჩენით მათ იწყინეს.
გამომართვეს, გაუგზავნეს, გაზაფხული მამიყინეს.

ორივ შვილი გამომართვა, მერმე მეცა დამიბარა.
თუ მეც მასთან მივსულიყავ, ჩემ წილ აქლა დამიბა რა?
რა არ მიველ, შემოვიდა, ბარი მთად ყო, მთა მიბარა,
სულ კახეთი ამიოხრა, საძირკველიც დამიბარა.

დამიჟინეს მეც ზოგ-ზოგმა: „თუ არ მიხვალ, თემი წახდა“.
შიში ათქმევს უქნელს საქმეს, თვარ გუნებას ვინ ვერ ჩახდა?
თუ მეც მასთან მივსულიყავ, კიდევ უფრო არ გაოხრდა?
აგვერია შიგნით საქმე, ღვთის რისხვითა ასრე მოჰხდა.

მაშინდელი საქმეები არ იმბობის სრულა წვრილად,
ასრე ვამბობ სრულ ნაკლულად, ვითამ იყოს რამე ჩრდილად.
წუნარა-წუნარა მოგვიახლა იგი სადმე სიტყვა-რბილად.
ვიდრე მართლა არ მოვიდა, მოსვლა ჰქონდათ ზოგთ საცილად.

აწ ეგების ეს გეგონოს, მაშინ ვერას ვერ შევსძლებდი?
თავს გავრჯიდი სასიკვდილოდ, ზოგს მასაც რას დავაკლებდი,
ქვეყანასა დანდობილსა არც სრულ ისრე ავაკლებდი.
დაგვამშვიდა ტკბილის სიტყვით, ჯებირს არსად არ ვავლებდი.

რა შევიტყევ მართლა მოსვლა, სხვა ვეღარა გავაწყევით,
მუკუზნიდამ გაღმა მთამდი სრულ ჯებირი წავავლევით,
გავჯებირეთ ორს მთას შუა, უკან რაზმი დავაწყევით.
რა შეიგნა, მოგვაშურა, ვითა შმაგი მოვა წყევით.

ზოგი კიდევ მისვლას მირჩევს და ზოგ-ზოგნი არჩევს შებმას.
რჯულისათვის სისხლთა დაღვრას, კვლავ საომრად ხმლისა შებმას;
ასე მოაქვს რჩევა შიგა ერთმანერთის სიტყვის აბმას.
ომი ვეღარ გაუმართეთ, რა ლამოდეს ჩემს იქ დაბმას.

ვინც ან ლმერთი შეიყვარა და ანუ მე მიერდგულა,
წამომყვეს და წამოვედით, ჯებირს კარი დაეგულა,
ვინც იქ დარჩა, სიავკაცით ზოგნი ავად განეგულა.
ამოსწყდეს და დაცატყვევდეს, დარჩეს დამწვარ-დადაგულა.

აქა ჟალეთს ჯარი გაუსივა, წინ დახვდნენ მეფესა, და მეფეს გაემარჯვა

რა შეიტყო ჩვენი წასვლა, ჯარი ჟალეთს გარდგვაგება;
მივედით და წინ დაგვიხვდეს რაც მათ უნდა, არ ეგება.
მივახლოვდით, შემოგვებნეს, ჩვენიც წინა მიეგება,
დავამსხვრიეთ ზედ შუბები, მერმე მათიც მათ ეგება.

გაგვემარჯვა უზიანოდ, შევანანეთ წინ დახდომა,
წავიქციეთ წინ მეოტნი, შევაქნენით კლდეთა ხლდომა.
თუ კაცი მხნედ დაუხვდებათ, აგრე იცის მათმან ტომა,
პირველ ესრე გაგვემარჯვა, მახალისა ამა ომა.

აქა მეფე ლუარსაბ და ქართველნი დარბაისელნი და მეფე თეიმურაზ და კახნი დარბაისელნი შეიყარნეს მუხრანს და არჩიეს თავისი და ქვეყნის საქმე, ზოგმან ზოგი თქვა და ზოგმან ზოგი

გავლეთ ერწო და არაგვი, შევეყარეთ მუხრანს მეფეს,
მომილოცა გამარჯვება და მუნ მათსა სისხლთა მჩქეფეს.
მერმე მითხრა სიცილითა: „არ უჯობდა შენსა სეფეს,
კარგს დროს დრო რამ ავი შეგვხვდა, ჩვენ ორთავე ვარდთა მკრეფეს.

მიბძანა თუ: „როგორ დახვდი მცირეს სტუმარს უცებ მოსულს?
პურადობას იჩემებდი, არ უჭერდი სტუმარსა სულს,
მხიარულად დახვდებოდი, აწ გეძებენ სადღაც წასულს,
პურად კარგს და გულად უხვსა, ახლა გხედავ შენ დანასულს“.

მოვახსენე: „შენც გეწვევა, გაგიჩნდება ვით დახვდები,
თუ შენ მაშინც ლხინს აჩვენებ, ჩემგან უფრო გაუხვდები,
ან გაიცდი თვალთა წინა ანუ ხელში მოუხვდები.
ნუ დამცინი, შენმა მზემან, გავს, რომ მარტო მე არ ვხდები“.

შეგვექნა იქაც რჩევა და ერთად რამ შეყრილობანი,
გაგრძელდა რჩევა ქართული, სიტყვა და ვაზირობანი,
ჩვენს ყმათა მასთან ყოფნა და ჩვენ მეფეთ მით შემცრობანი.
უცოდნი გვაბრალებდიან, გვიზრახეს მართ შემცდრობანი.

ქართველთა დიდებულთაგან უფროსი იმას ჰყოლოდა,
არაგვისა და თვით ქსნისა ერისთვებ კაამყოლოდა,
ანდუყაფარ და ფეშანგი, აღათანგც მას აჰყოლოდა,
ნოდარ და დავით კახი ჰყვა, მე ვინღა წამამყოლოდა?

მორავიდოდა, ესენი უწინვე მასთან წავიდენ.
ჩემნი ყმანი რომ ვახსენე, ჩემგან გაგზავნით ჩავიდენ.
ვსთქვი სიკვდილს ვერ ავსცილდები, სისხლს ვადენ, ანუ და ვიდეხ,
ხორცი აქ მიწად გარდიქცეს, სულები ზეცად ავიდენ.

ვერცა რა ერთად გავაწყვეთ, რადგან ეს სწადდა ღმერთსაო,
სხვაზედ რაზედამც ვიქადო, ვაბრალებთ ერთი-ერთსაო.
ვეღარც სად ქართლშიგ დავდეგით და ვეღარც ქვე ერეთსაო,
ავიყარენით, ვიარეთ, მივმართეთ იმერეთსაო.

გარდავლეთ ლიხი, მივედით ადგილსა იმერელთასა.
გიორგი მეფე მობრძანდა სამყოფსა წერეთელთასა,
წინ მოგვეგება, გვესალმა საჩხერეს, ადგილს ველთასა.
დავივანენით სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ქველთასა.

მიგვიპატიჟა ქუთაისს მუნ ტახტსა მეფეთ დგმულებსა,
გვიალერსებდა ვით შვილთა, გვანაცვალებდა გულებსა,
შეჭირვებისა სევდასა უკუგვყრის მუნ მისულებსა.
მასთანა მყოფნი მეფენი ვგვანდით მართ უფლისწულებსა.

აჟა შაბაზ ყაენისაგან გორს მოსვლა და მეფის გიორგის მოციქულობა

მაშინ შაბაზ თან მოგვყვა, მოვიდა, დადგა ში-გორსა.
მეფეს დაუწყო ელჩს გზავნა: „ნუ შეიხიზნავ შენს გორსა,
რაც გინდა, ფიცით აღგითქვამ, თუ ხელთა მამცემ მაგ ორსა,
თვალ-მარგალიტსაც ესეთსა, მოედანს ბურთებრ იგორსა.

თუ არ მამცემ, უსაცილოდ მთის ძირს მოვალ, სომანეთსა,
კარგი თურმე არ გნდომია, მაშ შევებნეთ ერთმანერთსა,
სხვა რაზმი რომ აქავ იდგეს, წინა მოვა სავანეთსა,
მანდ კი ვეღარ დამიდგები, წაბრძანდები თუ სვანეთსა“.

მეფეს ასმოდა მუნ მჯდომსა, ჭანდარს ქვეშ სდგმოდა სელია,
გაჰკვირვებოდა: „ამაზედ ელჩი რა მოსასვლელია?“
კაცი გაგზავნა. მობძანდენ დადიან-გურიელია, —
უმათოდ ელჩს არ შევიყრი, მათცა ცნან რა ყრიელია.

მოვიდენ გეგუთს, სამნივე მეფენიც მუნვე ჩავედით.
გიორგი მეფე მაშინლა მდიდარი იყო სვე-ბედით.
სხვას მისებრ მჯდომსა ხელმწიფეს ტყუის, ვინ აქებს გაბედით.
ჯავრი კაჟს ჰკრეევდა, ცეცხლს ჰყრიდა, ჩვენ მოგვიდებდა აბედით.

მერმე ელჩი მოიყვანეს, ჩვენ რამ საქმე ეს მოგვიხდა.
მოახსენა რაც იცოდა, მას სიტყვის თქმა არ მოუხდა.
უბრძანა თუ: „ვაჟო, რა სთქვი, მეფეს აგრე ვინ მოუხდა?
ნუღარ იტყვი მაგ სიტყვასა, ჯავრით გული შემიწუხდა.

ვით მოჰხდება ეგე აგრე, ძმა და შვილი ადვილ გავსცე,
ლიხს იქითი საქართველო ავიღო და პირქვე დავსცე?
ხელდაკრული არათ უნდა, ამათ ყმასა მე ვითა ვსცე,
სმა, ლხინი და გახარება უამათოდ მე თავსა ვსცე?“

არჩივეს, მეფემ დაასკვნა თავისის ელჩის გაგზავნა,
აფხაზთა კათალიკოზი, ვინ ანგელოზსა ეგვანა,
სხვა აბაშიძე ლევანცა, თვით სიტყვით მას შეეგვანა.
დილა გათენდა, ელჩიცა მოიხმეს სად დაევანა.

აბარებდა: „მოახსენე ხელმწიფესა მას მაღალსა,
სამართალი მეფეთ ეს არს, შენახვეწს კაცს შეიწყალსა.
თუ რამ ამათ დააშავეს, ვხედავთ თავსა დანაბრალსა,
რისხვა დიდი გარდაჰხდია, გეხვეწები აწ წამალსა.

თვით იცით, დიდო ხელმწიფევ, ჩვენცა კაცნი ვართ სეფენი,
გვარი გვაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი;

აწ უპატიოდ ნუ გაგვხდით, ხვეწნით ვართ შემომყეფენი:
უბოძე ორთავ თვის-თვისი, უცხო ჰქენ სიიეფენი.

აწ ეს შეიძღვენ ფეშქაშად ხვეწნა და მუდარებანი,
შენ, ბრძენო, კარგად ისმინე ეს ჩემი უმეცრებანი;
უხვად წყალობა მოჰფინე ხმა-ტკბილი, ვითა ებანი,
პატივი დამდე, წაბძანდი, ამათ ქნან მანდეთ რებანი".

დააბარა ესე სიტყვა, ფეშქაშიცა გაუგზავნა:
„ესე არის ჩემი ხვეწნა, ნულარ არის ძალით თხოვნა".
სულ არც რბილი შეუთვალა, ნება ძალსა დააგვანა.
„ესეც ჰკადრეთ ბოლო სიტყვა: «არ იქნების ძალად შოვნა».

მერმე უთხრა კათალიკოზს, ვის ეწოდა მალაქია:
„მიდი, სიტყვა გაუსინჯე, ბრძენი ხარ და მალ აქია.
ამათს ბაღსა ვარდი დარგე, მოგესწრების მალ აქია,
ჰკადრე, თუ კი არ უბოძებ, ოხრად გახდეს ქალაქია".

რა მოვიდა, კარგად დახვდა კათალიკოსს და ელჩებსა.
აწ უყურე მას გრძნეულსა ვით მოიხმარს მის ხლათებსა,
უალერსებს ტკბილად რამე, სიტყვას ეტყვის საამებსა.
ძალის საქმე გარდასწყვიტა, ხელს მიიყოფს ილათებსა.

მოახსენეს ელჩთ მათი და თვითან არის ამის მთქმელი:
„ლუარსაბის სამდურავსა, კათალიკოზო, ნუ მელი,
ჩემი არის თეიმურაზ ძველითგანვე სისხლის მსმელი,
პაპა-მისმა ქალი მამცა, რად წამართვა, რად შყო მელი?

რადგან ორნივ აღარ მამცა, მაშ ლუარსაბ შემარიგოს,
თეიმურაზს ნუ აჰყვები, მეფემ ასრე დაარიგოს.
ფიცი მივსცე საშინელი, გრძლად რაც სიტყვა წაარიგოს,
ქართლიც მივცე, სხვა წყალობაც, შევანატრო აწ არ იგ ოს".

აავსო საჩუქარითა ბერი და ერი ორივე.
ჰოი ბოროტო, მაცთურო, სიმართლეს ვითა ო რივე.
გული დამგვრიმე საკვდავად, ლახვარი ესრეთ ო რივე.
ამხანაგსა და მოყვარეს რადა მყრი, ხნით ვართ სწორივე.

ესენი გამოისტუმრა და აწ მიიხმო შადიმან
ბარათაშვილი, სუფრაჩი, უბრძანა: „შიგნით შადი“ — მან.
მეფე სახელით ახსენა, ცრემლად ადინა შადი მან;
„ეს რა ქნა ჩემმა ლუარსაბ, აღარ მახსენა შად იმან?“

უბძანა: „მისო გამზრდელო, რა უყავ ლუარსაბ-ხანო?
რად ააყოლეთ კახთ მეფეს, პირუტყვნო, დასაძრახანო!
ჩემი სევ გული მისი და, ჩემი გულისა საფხანო,
უბესა მივსებს ცრემლითა სამუდმოდ, არ ხანდახანო.

აწ, ამათ წაჰყევ, ამ ფიცით მაჰმადმცა მამითხრიაო,
ღორიმც მის საფლავს ჩამიკლავს და მის წილ ჩამიყრიაო,
იმ სახელმწიფოს წამართომს და ჭკვაზედ გარდამრიაო“.
სიტყვით ეს უთხრა, დაწერა, რაყამში განამრიაო.

მალ მისვლასა აბარებდა: „სხვასაც მივსცემ, ქართლს ვინ უჭერს?
პაპის მისის შვილის-შვილი აჰყოლია რად ის ჩემს მტერს?
მას არ ახსოვს, სვიმონ მეფემ თუ რა უყო ურუმთა ერს?
არა სჯერა ამ საფიცარს, იმას მივცემ, რას ის დასწერს“.

ერთი ხოჯა მუსაიბი, შანად ხმალი მურასობდა,
ამათთანვე გამოგზავნა, ერთმანერთთან ამგზავრობდა.
არა გვანდა გათავებას, ბოლოდა ჩანს რას აობდა.
დამაც წიგნი მიუწერა, ვინ ყაენსა ბაასობდა.

რა ეგონა შადიმანსა, კაცი თუ ცრემლს ტყუილად ღვრის?!
წამოვიდნენ მხიარულნი, თან სვლა იწყეს მათ წინამძღვრის.
გარდმოვიდნენ იმერეთსა დამგდებელნი ქართლის სამძღვრის.
ბოლოდა ცნა, ცრემლის წვეთა ჯავრით თურე მან აამღვრის.

რა მოვიდენ, ეს ბძანება ჩვენ და მეფეს მოგვიტანეს.
ლუარსაბის შეწუნარებას სათუო არ დააატანეს.
მალ დაჰპირდა ესეც წასვლას, სხვა სიტყვა არ გაატანეს.
მეფე უშლის ასე ძალზედ, მართ ხელებიც წაატანეს..

არ დაშალა იმან წასვლა მეფის თქმით და ჩემის ჭკვითა.
— „ამ საფიცარს ვით არ ვენდო, შეუშინდე ნეტარ ვითა?

ანუ ქართლი ავაოხრო დახოცით და მერმე წვითა“.
გვითხრა: „წავალ უსაცილოდ, აბა თქვენ კი აქა სვითა!“

ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯოჭდა ნაყოფი,
თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი,
უხვი, ზნე-სრული, მამაცი, ლახვრულებრ მტერთა ნაყოფი.
მაგრამ მას დაჟინებაზედ დაედგა მისი სამყოფი.

მეფე უშლიდა, უცხოდ რამ შვილებსა იმას არჩევდა,
მტერზედა ეხმარებოდა, მის წილად თავსა უსევდა.
თვით ლევან დადიანიცა წაუსვლელობას ურჩევდა,
და აძლია და მოყვრობა, მაგრამ ის კიდევ ურჩევდა.

რაღას უშველა ამ ამბის ვრცელად თქმა-გამოკიდება,
გული განფიცხა, მაშინ ყო ნავთმა ცეცხლ გამოკიდება;
არ დაიშალა ავად ქნა ჩვენგან მან გამო კიდება.
უთხრა: ჩემს ხმალსა უმისოდ აწ ვით გაამო კიდება?

რა ბრალია ბევრს კარგ შიგან მცირე ავი გაერიოს,
ანუ რჯულის სიმტკიცესა წვალება რამ შეერიოს,
ან რიტორად ლექსის მთქმელსა ზოგან სიტყვა აერიოს!
ზვაობა და ამაყობა სხვას სიკეთეს მოერიოს!

სიჩქარით კარგად ნაქმარი საქმე არ მოვა ბოლოსა,
ვინც აუჩქარდეს სოფელსა, აკომლდეს, აებოლოსა,
დაჟინებისა მოყვასი დაემხოს და ებოლოსა.
სჯობს ავის საქმის შემოცდა, კარგსა არ დაებრკოლოსა.

ზოგი სხვა რამ იმწვიტინა, მისგან იყო არ საწყენი,
მეფე გვიჯდა შუაშიგან, არ ზეზედ წამონაყენი,
ერთხან ქუდი მოიხადა, იქმნა ამით მონაწყენი,
თქვა: „თუ არის ამხანაგი, რად შემექმნა ეს ყაენი?“

მოვახსენე: თავის წინა არ სჯობს ეგრე გაიზიდო,
თუ სოფელი შენ არ მოგყვეს, შენ გიხმს მისკე მიიზიდო.
აქანამდი თუ მაღლოდი, ახლა ცოტად დაიზიდო,
გულიც გქონდეს ფოლადისა, ზოგჯერ მშვილდებრ მოიზიდო.

რა მომხდარა მაგისთანა სათუო შიგ თავი იგდო,
შენ წახდე და საბოლოოდ საძრახისი რამ დაიგდო?
დამიჯერე, აგრე გიჯობს გულიდაღმე გარდაიგდო,
ეგზომ მტერნი შენნი მოსწყდეს, ადრე შენ დრო შემოიგდო.

შიხი-შვილთ და ყიზილბაშთა ამბავი თუ შენ არ იცი,
მამისმინე, ყველას გითხრობ, თუ როგორ სწამს იმათ ფიცი;
ძველად უთქვამთ მათ ანდერძად, სიტყვა ესე დანამტკიცი:
„რითაც მტერი მოატყუო, ნუ უზოგავ და მე ვიცი“.

ამას ბძანებ: „თუ არ მივალ, ქართლს კახეთებრ წაახდენენ“, —
შენი მისვლით რომ წახდების, თუ არ მიხვალ, არ მაგდენენ.
რას წამს მიხვალ, თან წაგიყვანს თვალთა ცრემლთა დაგადენენ,
ქრისტიანეთ მეფეთა წილ კვლა ხანებსა დაადგენენ.

თუ შენს მეტი სხვა პატრონი ქართლს რამ უჩნდეს შენიანი,
ანუ ძმა გყვეს, ანუ შვილი, გიყვაოდეს შენ იანი,
არ დაგიშლი, მაშინ წადი სიტყვა-მჭევრი, ენიანი;
არა გყავს რა თავის მეტი, სოფელია სენიანი.

მართ ეგრევე მე გამხადა, რაცა მყვანდა, ხელთა მივე,
მაგრამ არათ შემიწყნარა, რაზომ მისკენ მივიზივე.
დავრჩომილვართ ორნივ მარტო, აწ შენც მისკენ გაიწივე,
თუ ეგ კარგად მოგივიდეს, მემც მოვჰკვდე და შენც კი მივე!

აწ მეფემან დადიანი, გურიელიც თან იახლა,
მოვიდეს და დაუშალეს, მის წინ იწყეს თავის დახლა:
„ბევრჯელ უწინც მოგახსენეთ, დაგვიჯერე, მოდი, ახლა
ნუ წახვალ და მოგვეხმარე“. მან ძველივე განაახლა.

მან მადლი ჰკადრა მეფესა წესისაებრ მართებული:
„ღმერთმან ადიდოს, ვით დიდ არს, სვე თქვენი დოვლათებული!
ვით შენს სიკეთეს შეჰფერობს, ეგრე ხარ ძმაზედ ძმებული,
მაგრა, რაღა ვქნა მას უკან, ქართლი ყონ ცეცხლ-მოდებული?!“

კვლაც უთხრეს: „ცუდი მიზეზი აიწყე დაყინებული,
შენს იქით ქართლს რას ხელსა ჰყრი, რა დარჩე სახლ-დავსებული?

მიხვიდე, მოგკლას, ან ტყვე გყოს, შენ იქმნე დანაღვლებული,
ნუ წახვალ, ეს სჯობს, ხმალი ვჰკრათ, გავაძოთ ვაგლახ-ვებული“.

რას უშველა გრძლად სიტყვის თქმა, თუ კაცი არ გაიგონებს?
კაცი ბრძენი, გონიერი ერთის წვრთნითაც შეიგონებს.
დაჟინების ეტლზე მჯდომი მისვე მისსა წაიგონებს,
დასჯერდება მის რჩევასა, სხვას აღარას მოიგონებს.

დაშლის სიტყვა არ ისმინა, ვერ დაჰყარეს დგომის ღონე.
წამოვიდა, თან გამოჰყვა მეფე, მისი წინამძღონე.
კვლავღა ჰკადრეს: „არ გვისმინე, შენის წასვლით დაგვაღონე,
რადგან წახველ, გაემჩვენე, თავი კარგად მოაწონე“.

გამოგვესალმა, წავიდა, დაგვყარნა ღვიძლ-დაკოდილნი.
ვინცა გვიპვრეტდეს, იტყოდეს: „ერთად ყოფილან დაზრდილნი“.
მზე გარდეფარა გორს სამე, ქვეყანა იქმნეს აჩრდილნი,
ეგრეთ დაბნელდა ჩემთვის დღე, ბინდად მჩნდა დილა-სადილნი.

მივიდა, გორს დგა ყაენი, შექნეს თურ შეყრის ცილება:
„არ მივეგებო ცხენითა, ვით შევქნათ ცივთა თბილება?
მივეგებო და არ ხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება“.
ეს თურმე გამოარჩიეს, იქეს მათ მათი ზრდილება.

დილას შევსხდეთ სამინდოროთ და მიზეზით ნადირობის,
ისრე ცხენზე შევიყაროთ, ჯარი შესხდეს ერთპირობის,
განით სითმე მოვიყვანოთ, ვითამ ზედა მოგვესწრობის,
მიგებებად ჩამოგართვამს და სხვათა თქვან არაობის“.

შეიყარა ამ წესითა, მიიჩნივა თავი სწორათ,
პირველ ყველა გაუგონა, სიტყვა მისი არ ყო ორათ,
მუსაიბად ლხინობდიან, არ დაისვის მისგან შორათ.
თურმე უნდა სასიკვდილოდ დასტურობით, არ თუ ჭორათ.

დაყვეს ხანი გორს მცირედი ლხინითა და დიდის შვებით,
მგოსნებით და მუშაითით, მწუხრი ქნიან გათენებით
ალერსით და ტკბილის სიტყვითა, ფერობით და მისის თნებით.
რაც იამის, აამებდის, ხელს უწყობდის მოსვენებით.

ეა, თუ თავი შეგაწყინე გრძლად სიტყვისა მოხსენებით!
აიყარა გორიდამე, მეფეც მიჰყავს ვითამ ნებით.
აწ შეიქნა მწუხარება, ბევრ-გზის ჭირი, ცხრო და სნებით.
უთხრა: „ქალაქს დაგაგდებო მტერთა წენთა მოყივნებით“.

ქალაქიდამც წაიტანა ყარაიის სანადიროთ,
უთხრა: „არ მით ვინადიროთ, მნათობთ წინა თავი ვგმიროთ;
რაც ვისროლოთ ჩვენ ორთავე, კარგ ადავეთ მხეცთა ვგმიროთ,
ნუღარ მოვშლით ამ რჩევასა, ესე ასრე დავაპიროთ“.

აიყარნეს და წავიდნენ, მათ შექნეს მინდორობანი,
გარ შემოერტყნეს ველებსა, ნადირთა უყვეს სწრობანი.
თვითან შუაზედ დაკარდეს, სროლით ქნეს მკლავთა შრობანი.
ქალნი ჩიხიდამ აჭვრიტნეს, ვინც ქნის ისრისა სობანი.

მათ მოსლოდა ჯოგი მრავლად და ესროლათ ქალთა ჭვრეტით.
უცხოდ თურმე მოიწონეს, შექმნილიყვნენ ცნობა რეტით.
მიემსგავსა, როსტენ მეფეს ენადირა როს სპასპეტით:
იმ ერთის დღის მეფის მოკლულს დასთვლიდიან ოცზედ კენტით.

უბძანა, თუ: მეფე, გხედავ ნანადირევს კარგ დამაღით,
ამ მინდვრისა შენ შექცევა დაგავიწყო ყარაბაღით.
იქამდიცა თან მიახელ, იქ ვისროლოთ კვლავ ნასაღით“.
რა ეს ესმა, ჩემი სიტყვა მოაგონდა გულსა-დაღით.

წაიყვანა. დაბრუნება აღარ მოხედა გამოშვებით,
აწ აშრაფი მაზანდარა უქო, ლხინზედ ისხდეს შვებით:
„ისიც ნახე, ვინადიროთ, იქ ვისროლოთ კვლავ დავებით“.
ამან სულთქვნა: „მე არ მინდა, მაგრამ ვიცი არ მეშვებით“.

ყარაბაღით ჩვენ წატანა გავიგონეთ დასტურობით,
ეთქვა: „მიკვირს, იმერეთსა რა მიმჭირდა მე სტუმრობით!
ღმერთმან იცის, კარგათ მითხრეს ზოგთ ჭკუით და ზოგთ მოყრობით,
მაგრამ რა ვქნა, წარსულს საქმეს ახლა რითღა მოვესწრობით?“

მიიყვანა მაზანდარას, მუნ შეიტყო მან სიკვდილი,
შომიტირეთ ცოცხალივე, ვირე გიჩნდეს ჩემი ჩრდილი,

უთხრა თურმე მისთა ყმათა: „სიკეთისა ვით ვარ ზრდილი,
გამიცუდდა ყოვლი კარგი და ძალისა მე ქადილი“.

დაჯდა, ყმათა მიუტირეს გამზრდელთა და ვინ ჰყვა ზრდილი:
„ყოვლთ ხელმწიფეთ უმჯობესო, აღგვისრულე ჩვენ წადილი,
უბინდოვ და მოწმენდილო, ვით ღამდები ძოღან დილი?
ოდეს მოჰსრენ თათარბანი ხელთ მახვილი გქონდა წვდილი“.

ეტირათ ვითა მართებდათ, უქეს საქებსა საქები:
„მშვიდო, მდაბალო, მოწყალევ, კვლავ ურჩს გალევდა ბაქები,
ვინ შენი მჭვრეტი, ეტყოდა მჭვრეტთა: «ნუ მიხვალ, აქ ები».
ყოვლის სიკეთის უკლებო, რაღა ვსთქვათ იქით-აქები?“

ეზიარა, გარდასწყვიტა სიცოცხლისა მან იმედი,
ემდუროდა დაჟინებას, დაიწყევლა ჭკვა და ბედი:
„ვინ მირჩიეთ აქ წამოსვლა, რა მწვე ავად დაიყბედი?“
ყმათ გაჰყარეს, მზეც ჩავიდა, დააჩრდილა აქეთ ქედი.

რაცა სწადდა, გაათავა, მტერობისა მანა დასო,
ხორცი ჩვენი მაძღრივ ჭამა და სისხლიცა ხარბად ასო,
მაგრამ ქაროლს და კახეთშიგან საპატრონოდ ვერვინ დასო.
ემდურვოდეს მას ქალები, ვით ნესტანჯარ მამიდასო.

აქა ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანის-შვილისაგან ბატონის თეიმურაზის კახეთსვე ჩაყვანა

კახეთი ნოდარს და დავითს მან მიაბარა სულობით,
მაგრამ მათ მისი ბრძანება მალ გაუცუდეს წბილობით;
მესამეს თვესა ორთავე მოგზავნეს კაცი ყრილობით:
„მობძანდი შენსავ ტახტზედა, მონა ვართ გვარისშვილობით“.

რა მოვიდენ მოციქულნი და ეს სიტყვა გაგვაგონეს,
ზოგთა შექნეს სიხარული, ზოგთ იჭვი რამ მოიგონეს.
მაგრამ მე ვსთქვი, ყმათა ჩემთა რად არ თავი დამამონეს?
აწ მეფესაც მოახსენეს, მათნი თქმულნი მოაწონეს.

მეფემ ბძანა: „კარგად ქმნილა ამ ამბისა ასრე მოსვლა,
მეცა თანა წამოგყვები, ადრე გვმართებს იქითა სვლა,

დადიანს და გურიელსა მალ ვაცნობოთ ჩვენი წასვლა“.
ორთავ კაცი გაუგზავნე, არ ვაცალე მზისა დასვლა.

იგინიცა მალ მობძანდენ მათის ჯარით დაკაზმულნი,
თავს შეედვათ ჩვენი სიტყვა, ვერა ვნახეთ ხანდაზმულნი,
შეიყარნეს მუნ სიმრავლე დიდებულნი ცხენთა სმულნი.
აღარ ვჰყოვნეთ, წამოვედით, ველარც გვნახეს მუნღა სმულნი.

გარდმოვიარეთ ლიხის მთა, ქართლისა სიგრძე ჩავლევით,
მოვისწრაფოდით მალ მისვლას, არ ხან-ყოვნებით, მალევით.
ყოვლგნით გაისმის მისვლის ხმა, მე მაშინ დავიმალე ვით?
დიდხანს ყოველი ორგული შიშითა მყვანდა გალევით.

თვით არაგვამდის თან მომყვეს მეფე და სხვა ბატონები,
იგინიც იქით გაბრუნდეს, მათიც ჯარ-მონატანები.
არაგვს გამოველ, გამომყვა მამია საროტანები,
მითხრა თუ: „მათზე მეტი ვჰქენ, მე არაგვს გამომყვანები“.

რა კახეთს ჩაველ, დამიხვდა დამწვარი, გამტვერებული.
ვჰკირობდი გუნებაშიგა, რად მექმნა ამტერებული?
რაც მორჩომოდეს, მოვიდეს მტირალნი, დაშტერებული,
ვერას ვარგებდით, თვარემ და ვიყვენით ვაგლახებული.

რაც ხამდა მაშინ რიგება ჩვენგან ქვეყნისა ჩვენისა,
გავარიგეთ და გათავდა მუნ სიმძიმილი წყენისა.
აწ არაგვისა ომზედა ხმარება გვიხამს ენისა,
მრავალთ ყიზილბაშთ გაწყვეტა, სისხლი რუდ მინადენისა.

აქა ერანის ხელმწიფემ ყაენმა გაიგონა მეფის თეიმურაზის იმერეთიდამ გარდმოსვლა და კახეთს ჩასვლა, და ალიყულიხან და სრულ ყიზილბაშნი გამოგზავნა და არაგვზედ წინ გარდუყენა. შეიბნეს და გოლოს ბატონს თეიმურაზს გამარჯვა

ესმა შააბაზს მუნ ჩასვლა, გარისხდა უსამართლობით,
ალიყულიხან მიიხმო დილას, არ თურე მთვრალობით:
„კვლა თეიმურაზ მოსულა, უყურე, თავის ძალობით!
სრულ ყიზილბაშთა გაახლებ, იარე მუხლად-მალობით.

მიდი და წინ გარდაუდეგ, შეუკარ კარგად გზებია,
იმერეთს არ გარდაგასწრას, დაცევ ტყე ან უგზებია;
მეც მოვალ ადრე, შევიპყრობთ, ცეცხლით ვჰყოთ ანაგზებია,
მის ყმას მას უკან სათქმელი რაღა აქვს მიზეზებია?“

გამოგზავნა ერანითა, არ დააკლო ყულის მეტი,
თოფხანა და ჯაბახანა მოემზადა მეტის-მეტი;
სხვას საომარს იარაღსა მოუმატა რკინის კეტი,
მაგრამ ღმერთი გაურისხდათ, არ ჰფარევდა ნათლის სვეტი.

ალიყულიხან არაგვზე მოვიდა, დაივანებდა,
კარავს და ოთაღს იდგემდა, სხვასა წინ მოივანებდა,
ვისი ეგონა «შევიპყრობ», ის უფრო დიდად ავნებდა.
ცოტა მაცალე, გიამბობ, მოსვლას ვით დაინანებდა!

რა შევიგნეთ მისი მოსვლა, ავემზადეთ ჩვენც საომრათ,
შეყრილთ მუნვე მივაშურეთ, არ გავყავით ჯარი ორათ;
ყარაული დაეყენათ მათ ახლორე, არ თუ შორათ.
მაშინდელი ჩვენი სიმხნე თუ ყველა ვსთქვათ, შენ თქმა ჭორათ.

შუადღისას მიუხედით მათ ცხენიდამ გარდამხდართა,
მაგრამ მაშინც ადრე იგრძნეს და გაეწყვნეს მარცხნივ მხართა,
ჩვენ მივედით, მეწინავე ზედან შეჰხდა დიდთა ჯართა.
ქისიყელთა გაუჭირდათ, მიკვირს, ან კი ვით შეჰმართა?

მიეშველნენ მემარცხნენი ენისნელთა დროშა მალე,
კვლავ შეიქმნა ცემა დიდი, ვეღარ პოვეს მათ წამალე;
ასწავლიდეს ერთმანერთსა: „მკვდარშიგ თავი მო წამალე“.
გულნი მათნი გავაცვილე, ჩემთა ყმათა გავასალე.

შეუზახე: ჩემნო ყმანო, თავნი თქვენნი ისაამეთ,
მოიგონეთ მოწამენი, თქვენც ეწამეთ, ისა ამეთ,
არ ისმინოთ ესე სიტყვა, მიჟამშიგან მეღადამეთ,
მათ რომ შუბი ჩვენთვის სწადის, ბარემ თქვენნი თქვენვე დამეთ.

მათ მიყივლეს: „ჰე, მეფეო, ნუ ეჰვ თავნი დავიზოგოთ;
ამოვსწყვიტოთ უმრავლესნი, არ წვრილად გამოვიზოგოთ;

თუ სრულ თავს ვერ აუვიდეთ, ღვთით მგონი რამ გან ვაზოგოთ,
მკვდართა მათთა მხეცნი სჭამდეს, არ საფლავი განუგოზოთ“.

პირველ შუბი მოვიქნივე, მერმე მივჰყავ ხმალსა ხელი,
ხმალმოწვდილი გავერიე, ვაქნევინე ომ-სახელი;
კვლაცა ლახტი დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი,
სრულ ლაშქარნი გაცაჰკვირდეს, თქვეს: „არისო ესე ხელი“.

მიმესივნეს ერთპირობით, ვითა ვეფხი კანჯრის ჯოგსა,
დახოცნეს და ამოსწყვიტნეს, არათ გვანდეს დანაზოგსა;
მოლებსაცა უწყლად ჰხოცდეს, თილისმიან მათსა მოგვსა.
ამის მთქმელი მართალს უბნობს, ნურვინ ჰგონებთ ცუდად ბორგსა.

რაც გარდაგვჩა, მალ გაგვექცნეს, ვინ-ვის წინა წაუსწრობდა.
ჩვენ შეგვექმნა ცა ულრუბლო, მათზედ მეხით ავდარობდა.
გაქცეულნი წიწამურის ღელეს ღრმასა აავსებდა,
ცხენით ზედა გარდვიარეთ, ვით ვაკეზედ ეგრე რბოდა.

ბინდამდისი არ მოვეშვით, ვხოცდით მეტად ჩვენ უწყალოდ,
არ შეგვწყალდათ ნაჯავრებთა, რაზომ ვსჭრიდით მათ საბრალოდ.
ცხენნი მათნი მუხლად-მალე დაუზანტდეს მათ სამალოდ,
იარაღსა გარდმოჰყრიდეს, გვითხრეს: „სიკვდილს აღარ მალოდ“.

ნაომართა და ნადევნთა გვეტყობის მაშვრალობანი,
ვის რა ენების, იშოვნის, ვის განძთა ჰქონდის ცნობანი.
შური იძიეს მტერზედა, ქმნეს მრავლად ლახვარ-სობანი.
გამარჯვებულთა გვიხარის, რადგან არ გვიყვეს ნდობანი.

მამილოცვიდეს, მასხმიდეს ქებასა, არ გინებასა:
„მგონი, მეფეო, ინანდეს ყაენი შენს გაძებასა.
აწ ამას იქით მებრძოლი, ნეტარ, ვსთქვათ, ვინ შეგებასა?
ნიადაგმც გაგმარჯვებია ასე, ნუ შეიქ ვებასა!“

მას დღესა მოყმე მართალი დამაკლდა არცერთი არა,
ჯახთ შეანანეს მათ ლაშქართ მოსვლა, თუ ადრე იარა,
დამწვართა, ამოწყვეტილთა მათ ჭირნი გაეზიარა.
ამოსწყვიტეს და დახოცეს, ვინ ზეით გამომიარა.

უწინ მოსვლას ყაენისას, ვსთქვი თუ, ომსა შეუძლებდით,
აქ გასინჯეთ თუ ვიკვეხდი, ან სიტყვასა ცუდად ვდებდით!
გალახულთ და ამოწყვეტილთ მარტო კახთ ქნეს, ვინ სხვა ჰკვდებით.
ყველა განვლით ამ სოფელსა, თქვენც სახელსა ეძიებდით!

აივსნეს სრულად ლაშქარნი საჭურჭლე, ცხენ-აქლემითა,
მეტყოდეს: „შებმა კარგად ჰქენ ჯავრითა შენ აქ ლემითა".
სხვა არ ვინდომე მის მეტი, სარდლის კარავი ჰემითა,
სრულ მისის გაწყობილობით ვერავინ დაეჩემითა.

მიუვიდა ეს ამბავი, საცა იყო ყაენს მყოფსა:
ამოსწყვიტა სრულ ლაშქარნი, თეიმურაზ შუა ჰყოფსა,
ხმალი ბასრი, მძიმე ლახტი, უფროს მახვილს შუბსა ჰყოფსა,
თუ გაგზავნი სხვას ლაშქარსა, კიდევ ხმალსა ხელს მიჰყოფსა.

გაგულისდა, წამოვიდა მასვე წამსა გულ-მესისხლე,
თქვა, თუ: „ჩემთვის, მისო ხორცო, ივაშლე და გინა ისხლე,
თეიმურაზ, თეიმურაზ, კახთა ჯარი აწ გაისხლე!"
ჰე, შაábაზ, გაგიჩნდება ყიზილბაშნი ვით ისისხლე.

რა მოვიდა, განჯას აქეთ გამოსცილდა, დაგვახლოვდა,
ვინც შეიძლო, აიყარა, წამოვიდა, მუხლ-მალოვდა.
ვინც იქ დარჩეს საბრალონი, თავთა, შვილთა მათთა გლოვდა.
ამოსწყვიტნა სამესისხლოდ, აჰყარა და დაბოლოვდა.

კიდევ ბევრი გადაურჩათ, ფეიქარხანს მიაბარა.
კვლავ ქართლზედა დაუთხანის-შვილი ბაგრატ, ვსთქვა, ა ბარა.
ორთავ ჩემის მტერობისა საქმე იმან დაუბარა.
თვით გაბრუნდა თავის გზასა, ჩემი იყო ვით უბარა.

მეორეთ მეფის თეიმურაზისაგან იმერეთს გადასვლა

წამოვედით იმერეთსა, ისრევ ჩვენსა სახიზარსა,
ჩვენად ღონედ იგივ გვქონდა, ვით ჭურს ქონი სახიზარსა.
მეფეც წინა მოგვეგების, ჩვენს მისვლასა არ იზარსა.
რა მივიდით, მოვისვენით, ვით ქორი ჯდის სახიზარსა.

რა დავჰყავით ხანი რამე, სასყიდელი დაგვიძვირდა,
ვერ ვიშოვნით დიდის ფასით, ნახევრად რომ არა ღირდა.
ხვანთქარს ელჩი გაუგზავნე და ფეშქაში, მნახავთ ჰკვირდა.
მას ებოძა სანჯახები, კიდევ სხვასაც ბევრს დაგვპირდა.

აქ გასინჯეთ იმერეთსა სასყიდლისა დაძვირება!
ვეღარ გავსძლეთ უღომობა, გურიისკენ ვიწყეთ რება.
რა მივედით, მუნ მამია გურიელი იფერება,
რაცა ჰქონდა, არა შურდა, ხელს გვიწყობდა, იფერება.

აქა გურიიდამ საათაბაგოს მისვლა და იქიდამ ხვანთქართან ნასვლა, ოლთის ამირგუნახანისაგან დედოფლის თავს დასხმა და ჯორჯაძის, დედოფლის სახლთუხუცისაგან, გამარჯვება მათზედა. უყურეთ განგებასა მოსამართლისას, თუ რას მცირედის კაცით გაიმარჯვა

მივედით ოლთისს, დავჰყარეთ მუნ დედოფალი ქალებით,
დიდროვანთ კაცთა ჯალაბნი დედამთილ-პატარძალებით,
წყნარნი, მშვიდნი და ტურფანი, საქციელ-განაკრძალებით.
ნოდარ დავაგდეთ სახლისა გამგებლად, გულით სალებით.

დედოფალი ოლთისს იდგა და ვინც ახლდეს ბანოვანნი,
თუმც ღარიბად ვის ვეგონეთ, მაგრამ არ გვყვეს უმცნობანნი,
ტურფანი და დარჩეულნი, ლამაზნი და არ სადაენნი,
მლოცავნი და ღვთის მოშიშნი, ცუდის საქმით არსად ავნნი.

ესე ყველაი შააბაზს მიესმა მართ დასტურობით,
ერევანს ამირგუნახანს მოსწერა მანაშურობით:
„იქ თეიმურაზ არ არის, მიუსწარ მტრად, არ სტუმრობით,
ქალები ვერ შეგებმიან, ვერც დაგხვდენ კაის პურობით“.

ესე ჟამი ზამთრის იყო, ჩვენ იმედი თოვლის გვქონდა,
ერევანს და ოლთისს შუა მთებს შეჰკრავსო, ვთქვით ოღონ და.
ჩვენ ამისსა მოიმედეს არც სრულ გული შეგვიღონდა,
მაგრამ თოვლის გასათხარათ ნიჩბები თურ თან მოჰქონდა.

გარდმოთხარა, სადაც დახვდა თოვლი ცხენთა დასაყენად,
მაგრამ ღმერთი მათვე შეიქს მხიარულთა მოსაწყენად.

უყურეთ თუ, ვითარ ხვდება მათ ჩემი ყმა სისხლთა მდენად,
მოგახსენებ ამ ამბავთა, ყური უგდე შენ მოსმენად!

დედოფალს სიზმარ ჩვენებით ენახა რაც იქნებოდა,
დაბლა ქალაქით ციხეში მას ასვლა მონებებოდა,
ვინც ახლდა, თან აეტანა, არვისთვის დაენებოდა,
ვაი, რომ იქ არ ვიყვენით, სცნობდით თუ რა ეენებოდა.

ნოდარ იყო სახლთუხუცეს დედოფლისა, განა ჩემი,
მისანდო და გულითადი, არ თუ ცუდი განაჩემი.
მართალია ეს ამბავი, ნუ გგონია განაჩემი,
იმასა მწვეთ გაემარჯვა, იგინი ქმნა განაჩემი.

გამარჯვებოდა მას ასრე, მათ მიჰყოლოდა კარამდი,
ურიათ ჯარიც მშველობდეს იგ რაბანანი კარამდი;
კვლა ზოგნი წინ გარდაუდგეს, გზა უყვეს განაკარამდი,
შუბი ვინ ნახის, გარდვარდის მისვლამდის, მინაკარამდი.

შვიდასი მოყმე ჯილითა და მარქაფებით თან ჩამყვა.
რა მიველ, იბრაიმ სულთან ყიზილბაშთ ბრძოლად არ ამყვა,
სხვის ქვეყნისაკე ლაშქრობდა, მაღალი დაბლა არ დამყვა.
გამოვბრუნდი და წამოველ, რაც ჩამყვა, თანავ გამამყვა.

მიბოძა, საათაბაგოს რაც მაშინ მისთვის ხასობდა:
გონია, ყარაისარი, სხვა სანჯახები ასობდა;
სხვა საბოძვარი ხალათი, თქვეს თუ, ძლივ დაიფასობდა.
მაგრამ კახთ კახეთის გაყრა გულსა ლახვარსა ასობდა.

წამოველ, გზაზედ ჯალალი შვიდჯერ შემებნეს ერთს დღესა,
შვიდჯერვე მე გამემარჯვა, ვამგზავსე ცუდს მებეგრესა,
ვერც ყმა დამაკლეს და ოდენ ვერცავინ დამიკოდესა,
თუცა მოეგდოთ კარები, იმათვე მალ გაეღესა.

მივედით ოლთისს, დაგვიხვდენ უჭირვლად ყოვლი საყოლი,
იქიც უნებლივ მოვიდეს სულ ჯარი ჩემი თანმყოლი,
გახარებულნი მადლობდეს, თქვეს: „მოგვყვა აქეთ წამყოლი“.
ადიდეს ქრისტე მოქენეთ, მსმენელთა მალ ჩამამყოლი.

რა მოვედით, კახთა გული არ დასჯერდა სანჯახებსა,
ემდეროდეს ამ სოფელსა: „აქა-იქი გვაჯახებსა,
ჩვენ კახეთს ვართ ლხინ-ნაჩვევნი, რას ხელსა ვჰყრით ჯავახებსა?“
გულდიდობა ძირად მოუთქს, ეს ასრე სჭირს ჩემს კახებსა.

წამოვედით ოლთისიდამ, ჩამოვედით გონიასა,
კიდევ ბევრი ყმა მიახლა, ნუ ეჭვ ოთხმოცს, გონ იასა,
რუსეთისკენ გავემზადე, ეს რა მოსაგონია, სა?
შავს ზღვაშიგან ნავში ჯდომა დიდად დასაღონიასა.

ამ ხანშიგან ბაგრატ მეფე სომხითს მოკვდა, გარდიცვალა,
ვით თავს ვინმე შემომავლო, ასრე ვითა მენაცვალა,
მოურავმან ქართველთ კითხვით ჩემი ჯობნა მან გაცვალა,
მემსახურა უსაზომოდ, ვა სოფელმან არ გვაცალა.

აჰა ყაენმა მოურავს და ზურაბ ერისთავს ბაგრატის შვილი
სვიმონ და ყარჩიხან და უსუფხან გამოატანა: კახთ ყათლავი
უყაო და ქართველნი აჰყარე და აქ ჩამამისხიო. და განგებამა
და უსამართლოდ ქვეყნის ამოწყვეტის მდომეგამ რა მოახდინა
ისიც ისმინეთ, და ყური მიუაყართ, სიტყვის მსმენელნო

ყაენმა სთქვა მოურავსა: „გული მართლა მე დამყარე,
წადი, კახნი ამოსწყვიტე და ქართველნი ამიყარე;
კახთა ცოცხალს ნუ დაარჩენ და ქართველნი აქ მოყარე,
მე ამისი აღვირი მიც, შენ გენუკავ ეს წამყარე.

პატარას სვიმონს გაგატან; ვითამ ქართლსა დაიპყრობდეს,
ჩემს შვილის-შვილს ყორჩიბაშის ქალს მივსცემ და მე მოყრობდეს;
ყარჩიხან და უსუფხანცა თან გაახლო, ვინ აზრობდეს,
ამ მიზეზით ვერას მიხვდენ, თქვან: „ესენი მათ მაყრობდეს“.

დაასკვნეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი.
აწ უყურეთ მოურავსა, ვით შეჰყაროს მძიმე სენი!
ზურაბს თურმე იქივ უთხრა: „ვერ სჭვრეტ არის რის მთესენი?
მე სხვა რამე გამიგია, ხმალი აქავ მოლესენი“.

რა მოვიდნენ ამ ჯარითა, თქვეს თუ: „ბევრი მაყარია“.
მაგრამ სიტყვით დაამაშეს, ეს საწყენი არ არია.

კახნი მუხრანს შეიყარნეს, ქართველებში არ არია.
უღალატეს, ამოსწყვიტეს, არ უთხარეს სამარია.

უთხრა თურმე მოურავმა: „ზურაბ, კარგად ყური მიგდე,
მტერობა და ამოწყვეტა მე ბოლომდის ვით დავიგდე?
— კახთა უყავ ყათლავიო, ქართველთზედა ცხენი იგდე —
რა ესენიც იქ ჩავგვარო, მაშინ ვისღა შეურიგდე?“

ზურაბს ეთქვა: „რას აპირებ, მითხარ, ბრძანე, გაამხილე,
საქნელია, თუ არა ვჰქნა, ჩემი საქმე მუნ იხილე,
მაშინ ჩემი სისხლი შესვი, ხორცი ზედან გაიხილე,
ხმალი ჩემი ბასრი არის, გაატყვიე, გამირბილე.

რასაც ვაპირებთ, ეს საქმე არ არის ჩვენგან საქნელი,
ამ სოფელს შემარცხვენელი და საუკუნოს დამნთქმელი,
მან დაგვატყუა, რად შეგვქნა, ჩვენ ჩვენის ხორცის ამქნელი,
დამამხობელი ქვეყნისა ჩვენის ბოლოსა დამქნელი?“

„კახეთი ხომ ამოვსწყვიტეთ, კვლა ქართველნიც იქ ჩავგვაროთ,
მონასტერნი ავაოხრნეთ, შერცხვენილთა ვგვარის-ვგვაროთ,
მაგას ნუ ვიქთ ნურას საქმით, სხვაფერ რამე მოვაგვაროთ!
ჯერ ამ ლაშქარს უღალატოთ, მერმე მეფე აქ მოვგვაროთ“.

ზურაბ უთხრა: „მართალია, მაგრამ რასთვის იქ არ მითხარ,
ცოლიც თანა მამეყვანა, ავმრჩეველი შენ ამით ხარ!
აწ რაღა ვჰქნა, ცოლის სირცხვილს თავს მადებ და სამარს მითხარ,
თვარემ ქართველთ სისხლს დავიდებ, არ ვიქნები გასაკითხარ!“

„მუნ ამისთვის არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოგატანდენ,
ვთქვი: თუ უთხრა და არა ქნას, ბოლოს რასთვის დავინანდენ?
იქ მივიყვან, საქართველოს წახდენაზედ ცრემლს დავადენ.
მე შვილს დავსთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს აზდენ“.

ტკბილის სიტყვითა ეხვეწა, თავს მას ადებდა ყველასა:
„საქართველოსთვის დაცასთმე, დამხსენ ღამესა ბნელასა!
ცოლს უკეთესსა გიშოვნი ბატონისშვილსა ლელასა,
აქ მოვჰკლავ ყარჩიხახანსა, კახეთს ფეიქარ მელასა“.

ზურაბ უთხრა: „შენ შვილს დასთმობ, მეც მოვითმენ ქართლისათვინ,
მაგრამ როგორ გაარიგებ, თქვი მართალი შენ ღვთისათვინ!“
უთხრა: „ზურაბ, შენგან მიკვირს, ეგ მიბრძანე მე რისათვინ?
გამიგონე, ყური მიგდე, ტკბილი გითხრა მწარისათვინ“.

აქა მოურავისა და ზურაბისაგან ყარჩიხანისა და უსუფხანის ღალატის გამორჩევა, ქართველთ განდოგა. ანდუყაფარ ამილახორის დაჭერა. ნახეთ, თუ როგორი გამარჯვება მოჰხდების და რას ძნელს განსაცდელს მორჩებიან კახნი და ქართველნი მოწყალის ძალითა და შეწევნითა

„ასრე ვჰქნათ, უთხრათ ქართველთა, რაცა ჩვენ დაგვბარებია,
ვაფიცოთ ღვთით, რომ არა ქნან საქმენი საზარებია;
ანდუყაფარ კი შევიპყრათ, უთხრათ: შენ არშას ებია!
ქართველთ რისხვისა ღრუბელი შეუქნათ ღვთით დარებია.

მე ლაშქარშიგან ვიქნები მარტო ოთხისა მოყმითა,
ვერას იაზრებს საქმესა, რა სუბათ მნახავს ამითა.
როს პაემანი დაგიდვა, თქვენ მოდით შუაღამითა,
ღმერთმან მას მისცეს, მოხვიდეთ, გავჰხადო რას სიამითა“.

სულ ქართველნი შეიფიცეს, რა ეს საქმე დააპირეს,
ანდუყაფარ არაგვზედა მიიყვანეს, დაიჭირეს.
მოურავი ლაშქარშიგან იყო, მათცა მუნით ირეს.
აწ უყურე მას ლომგულსა და ოთხთ მოყმეთ ვით იგმირეს!

პაატა ხერხეულიძე, ავთანდილ ძითა თვისითა,
ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყისითა, —
ოთხის კაცითა ესე ქნა, რას ეჭვ იქმოდა ასითა!
ამის მქნელს კაცსა სხვა ვინმე ვით შეუდარი ფასითა?!

მოურავი მასთან დადგა, ზურაბ ქართველთ წინ წაუძღვა,
მიახლოვდეს ლაშქარს, შავად იდგეს, ჰკვირდათ: ვით არს უ ზღვა?
ღვთით გვგონია მცირეთა ვსძლოთ, დრო მოვიდა კახთ სისხლთ მოზღვა.
რა ამათი ხმა შეიგნა, ყარჩიხახანს უწყო დაღვა.

გაიგონეს ყიზილბაშთა მათ კიეინა ქართველების,
უთხრა: ჰკადრეთ მოურავსა, ეს ხმა მასცა ეყურების?

თეიმურაზს გონიიდამ ასრე მალ ვით მოესვლების?“
ჩიუბრუნა მოციქული: „უთხარ, ასერ გიახლების“.

მოურავი შეკაზმული მივა ოთხის ცხენოსნითა.
რა მოვიდა სარდალთანა, შემოსძახა მან კვნესითა,
უთხრა: „მითხარ, რა ხმა არის, ან ამ საქმეს ვით დამხსნითა?“
ჰკადრა: „არის თეიმურაზ, არ გვეხსნების არას ხსნითა“.

შეერია რა ლაშქარი, მან შესძახა ყარჩიხანსა,
შუბი ჰკრა და მუნვე მოკლა, ჯარს ასმენდა მუნ ჩახანსა;
გულს დაასო სამესისხლოდ, არ თუ ცოტად ხორცსა ფხანსა,
გააქცივნა მან ლაშქარნი, არ აყოვნებს მუნვე ხანსა.

იმის შვილსა მოურავის შვილმა უყო საქმე ესევ:
„მამაჩემმა მამაშენი მოკლა, მე შენ სხვას არ გისევ,
საქართველოს ამოწყვეტის მდომნო, ბევრის ავის მთესევ!“
მანცა შუბი ძალიანი ჰკრა, შესძახა: „მაგრა ესევ“.

ხმალს ქვეშ დაავლეს, ლაშქარნი აივსნეს საშოვარითა,
უკან მისძახდეს მეოტთა: „თუ აქეთ გაიარითა,
კიდევ უარეს დაგმართებთ სიცოცხლე გასამწარითა,
მიდით, შაბაზს შესჩივლეთ, მალ ყაზმინს ჩაუსწარითა“.

აჰა ეს ომი რომ გარდასწყვიტეს, ფეიქარხანზედ წავიდნენ;
ბატონისშვილი ლელა უნდოდათ ეშოვნათ. მეჯის ლუარსაბის და,
ზურაბისათვის შეერთოთ. ველარ მიუსწრეს და გარდამდინ სდევეს,
და მრავალი ქვეყანა მოარბიეს, და დიდად გამარჯვებულნი და
ნაშოვარით სავსენი შემოიქცეს ქართლად

რა ეს ომი გაათავეს, გამობრუნდეს ლომნი მხნედა,
ფეიქარხანს, კახეთს მჯდომსა, მსწრაფლ მიუხდეს იმას ზედა;
ადრე ეგრძნათ, გასწრობოდეს, ვერ მიუსწრეს, დარჩეს ქვედა,
ზურაბს იგი ვერ უშოვნეს, ფეიქარხანს ვინ ჰყვა მზედა.

ვერ მიუსწრეს ფეიქარხანს, უკან სდევეს ბარდამდისა,
მოარბიეს არაზს აქათ, მოსრეს, თქვიან: „სისხლი გვდისა“.
მათ მტერობა ყაენისა თავს დაიდვეს მარადისა,
თავი კარგად მოიხმარეს, ვერ სცოცხლებდენ აქამდისა.

ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირვალი,
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი!
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქნა მრავალი,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!

სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდად სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?
აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!

აჟა მოურავმა და ზურაბ ქართველთ მეფე თეიმურაზ
ჩამოიყვანეს ფონიიდამე და ქართლი და კახეთი ორივ
დაამერინეს, გააბატონეს და დაემორჩილნეს, და მოურავმა
მრავალი სახელმწიფო იარალი ოქროსა და ვერცხლისა
და კარავ-ოთხოვანი და გედაურნი ცხენი უძღვნა

გარდასწყვიტეს რა ეს საქმე, გამოგზავნეს ჩემთან კაცი,
მობრძანდიო, გვიპატრონე ჩვენ ლომებსა, არ ვართ ვაცი;
ჩვენ მოგართვათ სალარო და საჭურჭლენი, თქვენ კი გასცი.
მოგვივიდა ღვთის წყალობა გახარება ხელ-სატკაცი.

წამოვედით მხიარულნი, რუსეთს წასელა მოიშალა,
დედოფლიან ქალებითა თმა გიშერი ჩაიშალა,
დაკაზმულნი განჩვენებით ტანსაცმელი არ იშალა,
ჩვენ ვიმღერდით ბულბულთაებრ, მაისს ვარდი გაეშალა.

მიველ მცხეთას, მამილოცეს, ღმერთს ვმადლობდი, მან მაღირსა.
მათ მომართვეს ბევრი რამე, თქვიან: „ქართლად ესეც ღირსა“.
მერმე მითხრეს: „მიგვისივე, ვინ სამტეროდ ხმალს გაღირსა“.
არ იქადდენ ცუდკაცურად, ათავებენ დანაპირსა.

შემომფიცეს დიდებულთა, თავადთა და გინდ მომცროთა:
„შენის მეტი, ხელმწიფეო, არ გვინდოდეს ჩვენ შენს დროთა,
ვირე გჭვრეტდეთ შენ ცოცხალსა პირად მზესა, ტანად ზროთა,
ჩვენი თავი მტერთა ზედა ვამსახუროთ დასაზროთა“.

დავიჭირე ორივ ტახტი სამეფო და ქვეყნის გარე,
უთხარ სოფელს: მუხანათო, გამითავე, მოდი ბარე!

ხან სიმაღლე, ხან სიდაბლე, ეს ზნედა გვირს მოსაგვარე,
ახლა ყველა დამავიწყე, რაც წამართვი, რაც წამგვარე!

გამოვიდა ხანი რამე სიმდიდრეს და სიხარულში,
ლხინს, ნადიმს და გახარებას, მოსვენებას, ძილს რ-ამ რულში,
ბურთობას და ნადირობას, აქა-იქი სიარულში.
ჩვენ კაცისა შეპოება რასა ჰქვიან გვქონდა გულში?

აქა შაბაზ ჯაეენისაგან ისაჯან ყორჩიბაშის გამოგზავნა
სულ ყიზილბაშის ლაშქრითა და გეკრის ხანებით.
ალგეთზედ მარაგდის თავს შეეგნეს ქართველნი
თვესა ივნისსა, და ორგნითვე მრავალი ჯარი დაიხოცა
და ამოსწყდა, და გოლოს ყიზილბაშთ გაემარჯვა.

მაგრამ კიდევ ჩვენ შაბაზ არ დაგვიშვრა მტერობითა,
ამ ყოფაზედ ყორჩიბაში ჩვენ მოგვიხდა მოსწრობითა,
სრულ ერანი შეეყარა სოფლებიან მას ობითა,
გაუჩნდების აწ შუბებსა, თუ არ გატყდეს დასობითა.

ის მოვიდა ალგეთზედა, ჩვენ ავედით ტაბახმელას,
მე გიამბობ, თუ მომისმენთ, ომის საქმეს საქებელას;
მოდი, დაჯექ, გაიგონე, ახლო გიდგამ მაღალ სელას,
რაც არჩივა ათაბაგმა, ქართველთ და კახთ გეტყვი ყველას.

აქა დავით ასლანისშვილისა და აღათანგის ხერხეულიძის
ყარაულად დაყენება, რომელნი იყვნეს კაცნი მეომარნი,
ორთავ თვითო თვალი აკლდა, მაგრამ გულსრულად
და მხნე-კაცად იბრძოდეს, და ორნივე ამ ომში
დაიხოცნეს მეფინაეში ბისვლითა

დავითსა და აღათანგის ორთავ აკლდა თვითო თვალი,
ყარაულად იგინი გვყვეს, რა ჭკვა იყო, თქვი მართალი?
შემოსთვალეს: „თუ არ მოხვალთ, ჩვენ შევებმით, არ ვართ მთვრალი“.
არ გიკვირსთ, რომ დავიჯერეთ ნახევარზედ დანათვალი?

აღათანგის ყორნელთა და დავითს ეთქვა გლდანელებით,
„შევებნეთო, რა გგონიათ, სიმრავლე აქვთ აქლემებით!“
დაეხოცათ მათ თათრები, გამოგზავნეს მკვდარ დილებით,
წამოდითო თქვენ ამათგან დაკოდილთა სადილებით.

შეიქნა რჩევა ომისა, იქ შებმისა და მოცდისა,
კაცსა მხნესა და ჯაბანსა დღე ამისთანა დასცდისა.
ზოგთა უცდურად არჩიეს და ზოგისა კი დასცდისა,
ზენა არს გამმარჯვებელი, თვარემ კაცთ რჩევა მოსცდისა.

რჩევა მოურავის გიორგისა საკაძე შიოშის-შვილისა

მოურავმა თქვა: „დრო არის მართლის თქმა ხანდახანისა,
გეტყვი, კახნო და ქართველნო, ხან ესე ვსთქვათ და ხან ისა,
მაგრამ იცით ხომ, ყაენთან ვარ დამყოფელი ხანისა,
სრულ ერანს გამოგზავნიდა, იქ არ დამჭერი ხანისა.

ქვეითობა იქ არ ვარგა, სიცხეა და მისჭირდება,
ღმერთმან ნუ ქნას, დაგვიმარცხდეს, სრულ ერთპირად ამოსწყდება.
მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიდ-მოდება,
ეს არ სჯობდეს, დაისწაელეთ, რჩევა ნურვის დაგვიწყდება.

მე ამას ვარჩევ, მინდორად ნუ ჩავალთ, ნუ შევებმითა,
ჩვენს აქ დგომასა ვერ სცნობენ, თუ აწვე არ წავებმითა;
ქალაქს შემოვლენ თავწვრილად, აქ დავხვდეთ, შევიქთ ენებითა,
მე ეს მითქვამს და აწ თქვენ თქვით, თუ იქ ომს არ ეშვებითა“.

რჩევა ზურაბ არაგვის-ერისთავისა, ნუგზარის შვილისა

ზურაბ უთხრა: „კარგად ბძანე, თუ იქ ხანი არ დაჰყოენოს,
მაგრამ იცით მათი საქმე, ხანგრძლივ დგომამ ვერ აღონოს,
არ მოვიდენ სიმაგრეთა, ჭკუა მათი მოგვეწონოს,
ეგ არ მინდა, თუღუნითა მინდვრად უკან არ მედევნოს“.

რჩევა ბარათასი ბარათაშვილისა, რომელი იყო ბარათიანთ სარდალი

ბარათა ბარათაშვილი მეწინავეთა სარდალი,
კარგ სარდლად იმას აქებდეს, მტერს მალ შეაქმნის ბანდალი:
„შეყრილის საქართველოსა ყოვნა არს არ სამართალი,
აქა-იქ დაგვეფანტვიან“. უქეს: „ამან თქვა მართალი“.

რჩევა მუხრანის ბატონის თეიმურაზისა და მისის ძმის ქაიხოსროსი და იესე ქსნის-ერისთავისა

თეიმურაზ, ქაიხოსრომ, ორთავ ძმებმა მუხრანს მჯდომთა,
კვლა იესე ერისთავმან, სხვათ ქართველთა ომის მდომთა:
„თუ შეგვაბამთ, შეგვაბითო, რას ხელსა გვხდით აქა მდგომთა?
დროა დასდგეთ ერთს რჩევაზედ, თვარემ წავალთ ჩვენ სადგომთა!“

რჩევა ბაადურ ციციშვილისა. და იქ გულოვნად შეიბა და მათვე შეაკვდა

ბაადურ თქვა ციციშვილმან, ამ რჩევაზედ არ დაუმუნდა:
„ყამი არის მუნ სიცხისა, მზემ ჰაერი დააბუნდა,
დაგვიმარცხდეს ქვეითობა, სადღა მორჩეს, თქმა არ უნდა,
თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“.

რჩევა ქახთ საბატიოს ქაცთა და დარბაისელთა

ქახნი მუნ ომსა ისწრაფდეს, უფროსი ჯავრიც ახსონდა,
თქვეს: „მათ იქიდამ რა დასძრავს, ვნახეთ ზახირი მოჰქონდა;
ორჯელ გალახულს თათრებსა საომრად ვინ შეუღონდა?
დილას შევებნეთ სიგრილით, ამას სხვა რჩევა არ უნდა“.

ქახთა არჩივეს ერთპირად, შებმა და მათი ომია,
თქვეს: „არსად წავლენ მუნითგან, ეს ადვილ მისახდომია;
ორჯელ გალახულთ შევებნეთ, ვინცა ხართ ომის მნდომია,
ზოგთა გვწადს ომი ახალი, ზოგს ბევრი გარდაგვხდომია“.

რჩევა მანუჩარ ათაბაგისა და მესხთ დარბაისელთა

თვით ათაბაგი მანუჩარ, ურუმთა გამოძებული,
ჩემთან მობრძანდა იმ ხანად ომ-ნახულ, სახელდებული,
ამ დღეებზედა ნაქები, მრავალჯერ გამარჯვებული,
სამასის მოყმით, არ ბევრით, რაც ახლდა მისებრ ქებული.

მოახსენეს ათაბაგსა: „რად არ ბრძანებ უმჯობესსა?
თქვენგან უფრო ნაომარი არვინ არის ჩვენში დღესა!“

მან უბძანა: „კარგად არჩევთ, მე რას ვიტყვი უკეთესა,
მაგრამ ძველად ნათქვამია, ომი სამზღვარს მესამზღვრესა.

მერმე არის ორი რაზმი, დაახლოვდეს ერთმანერთზედ,
ვინც მოუხდეს მეორესა არ ყოვნებით იმავ დღეზედ,
მისი ჯარი გათამამდეს, მდგომთა დადგეს ძლივღა ფეხზედ.
ხანგრძლივ რჩევა ცუდი არის, გამარჯვება არის ღმერთზედ“.

რჩევა კახთა და ქართველთა ვაჟკაცებისა და ომისა წადილი

ვაჟკაცები ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხვრევდიან:
„ჰე, რად ჰყოვნით მათზედ მისვლას, ისინი აქ არ მოდიან;
მეფის მზემა, უსაცილოდ ჩვენგან იმათ სისხლნი სდიან,
მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან?“

ამ რჩევაზედ ბარათიანთ წასვლის ეჭვი შეგვივიდა,
არ ჭორად თქვეს ეს ამბავი, მედასტურე მოგვივიდა.
თქვეს თუ: „ღვთის მადლს ამ ჯარშიგა არამც ეს ხმა გაგვივიდა,
ამად გვიჯობს ადრე შებმა, თუ ესენი წაგვივიდა“.

დავასკვნეთ ომი ალგეთზედ, მივმართეთ გულით მაგართა,
კაცთა სამების უცნობთა, მაჰმადიანთა, აგართა;
ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა ხორც-სისხლსა, მისთა ამართა,
რისხვით მოგვხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა.

ავიყარენით, რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა,
დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა
მხიარულად და თამამად, რას ჰქვიან დანასულობა?!
აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ-გულობა,

დღისით ჩავლევით ავი გზა, ღამე ჩავედით ვაკესა,
ცოტას ხანს შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამკესა,
კახნი ამბობდეს: „ვიაროთ, მოუხდეთ ფურებს მაკესა!“
რაზმი დავაწყვეთ, ვიარეთ, მეთოფემ ტალი დაკვესა.

რა ღამეს ბნელსა ნათელმან მომართა, ამან დარიდა,
მზე რა უღრუბლოდ აღმოჰხდა, ქვეყნად მოჰფინა დარი და,

ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ზნით ვინ შევადარი და?
არ სხვას ზნეობის დრო არის, ჟამი არს საომარი და!

გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიდამ,
დავაწყევით ორთავ რაზმი, ჩვენ აქათ და მათ იქიდამ.
მათი იდგა თვალუწდომი, სიმრავლე სჭირს მათ გვარიდამ,
მაგრამ ვერც სულ დაგვაღონა სიბევრისა ჩვენ არიდამ.

მან თურე ასრე გააწყო მეთოფე თოფხანიანად,
ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად,
მას ქვეშ მუხლ-მჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დგიანად,
მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად.

მივახლოვდით, კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა,
ჰგვანდა, თუცა ჩამოვარდა ცა ქვეყანად, ან დაიქცა;
მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენს წინ ღამედ გარდაიქცა,
ვირემ კვამლი არ განქარდა, მათკე ვერვინ ვერ გაიქცა.

რა განქარდა თოფის კვამლი, შეუტივეთ ერთპირობით,
გულ-სრულად და ჯავრიანად, ვინ ვის წინა წაუსწრობდით,
ვჰხოცდით, ვლეწდით, ჩამოვჰყრიდით, არ ცოცხალთა შევიპყრობდით,
არ მოსწროდა შაბანდახან, სულ გაწყვეტას უპირობდით.

გავაქციკეთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ,
მათს ურდოსა გავაცილვეთ, მოსვლა ერთხან შევანანეთ;
უკან ჩვენს რაზმს თავრიზელთა უწყეს ცემა, დიდად მავნეთ,
გაგვიქციეს უკან ჯარი, დაიზახნეს „გაათავნეთ“.

ამასზედა „თეიმურაზ, — ვინ მუხრანსა პატრონობდა —,
მოკლეს“ თურე დაიზახეს. ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა,
გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა,
გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბდაბ-ნობდა.

ორისავე პაატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად,
ასრე ჯარსა წინ მოგვიძღვნენ, დაიჯერე უსაცილად.
გაათავეს თვისი თქმული, სადგომსვე თქვეს დაქადილად,
ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ სიკვდილად.

ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთოდეს,
მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს.
დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე მოისროდეს,
სიცხისაგან ძალწართმულნი, ისარს ვეღარ მოისროდეს.

კვლავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრი,
აღათანგის სახლის კაცი შვიდი მოკვდა, კარგი ევრი,
სხვა ბაადურ ციციისშვილი, კახი დავით, გულად სვერი,
კიდევ ბევრი კარგი მოყმე დამიკაფნეს, ვითა ტევრი.

ჩოლაყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია,
სულ ვინ სთვლის აზნაურშვილთა, რაც მოკლეს, საქებელია;
სხვა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელია,
ძლივ მორჩა ალავერდელი, გარდაგდეს ხარჭაშნელია.

ათაბაგი ამირგუნხანს იმ დღეს შეხვდა ერევნისას,
შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ხლმისას,
სამი, თურე, ზედის-ზედა შემოჰკრის და შესძახისას:
„ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვფიცავ ყაენისას!“

მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა?
თუ დავირქვა ანჩხაბერი, ვეღარ მიცნან, ვინც წინ მიდგა,
არ დამიშვრეს ხელი ცუდად, სანამ პირში სული მიდგა“.

ზურაბ ადრე დაგვიკოდეს, თურე სისხლმან შეაწუხეს,
იმისმა ძმამ დათუნამა და ავთანდილ დაიქუხეს.
რაზმი განვლეს, უკან სდივეს მუნამდისი, სად დგა მუხეს,
ფრეწდეს მათსა საჭურველსა, ყოფილიყვნეს ვითამ უხეს.

თუ ჩემიც რამ მოგახსენო, მგონ არ ვიყავ უსუარი,
საკვეხურად თუ ჩამიგდოთ, ამად თქმისა მაქვს უარი,
არა ვთქვა და, ისრე დარჩეს, აღარ იყოს მახსუარი, —
„რა უქნია თეიმურაზს“ თქვან, რად არ თქვა ვით სა ვარი?

ამის მეტსა ვერას გეტყვი, რაცა მქონდა საომარი,
თუ ყველა ვერ დამემტვრიოს, ვიქნებიმცა მე ომარი,

შუბი, ხმალი, ლახტი გატყდა, მოვიხმარე კვლა ხანჯარი.
სომეხადმცა ჩაგიგდივარ, მათებრ ვიყო მეომარი.

მას დღეს მოკვდა ყიზილბაში ათოთხმეტი ათასიო,
ცხრა ათასი საქართველოს, ზურაბის ყმა ცხრაასიო;
მაშინდელთა დახოცილთა კაცთ ვითა ვთქვა საფასიო?
ამოგვწყვიტეს, მაგრამ კიდევ მინდა ვინმე მიუსიო.

რას ვაგრძელებ, დაგვიმარცხდა და ღვთის რისხვა მოგვეევლინა.
არ დაბრუნდეს ღვთის ბრძანება, ერთხელ თუ გამოავლინა.
მადლი მასვე, ადრე ხანად კიდევ მათზედ გაგვეევლინა.
აწ უყურე ქსანზედ მოსულთ, თუცა რაზომ გარდავლინა!

აჰა მოურავი გაბრუნდა მესამეს დღეს ნოსტიდამე. ლისს ჟალაქისა და ციხის თათრები გამოვიდეს. ლისი რომ დაარბიეს, მოუხდა და მოურავს გაემარჯვა

მოურავს ეთქვა: „ციხისა თათრები ლისს დამირბევენ,
ტყვეს წაასხმენ და სახლებსა ზოგს დასწვენ, ზოგს დააქცევენ;
არ უშველი, საბოლოოს თავს და შვილსა დამიწყევენ.
მივალ, ვნახავ მინბაშები მეთოფეებს რად მისევენ“.

მესამეს დღეს ნოსტიდამე ლისს გაბრუნდა, მიაშურა.
არ გიკვირს, რომ ამ დიდს ომსა ბრძოლისაგან არ დაუშვრა?
გარდახედა, ლისს არბევენ, ჯავრისაგან სისხლი უშრა.
რა გაჭირდეს, სიფიცხე სჯობს სიზანტესა, აჰა, მაშ რა?

დახოცა და გააქცივნა, კვლა მისდია ვერემდისა:
„რაც გიქნიათ, ის გეყოფის, მოვიდოდი ვირემდისა.
ასრე თქვენ ვით მიძაბუნეთ, კიდევ სული ამომდისა!
ყორჩიბაშმა გამაქცია, ციხის კაცნო, თქვენ რა გრჯისა?!“

აქა ყორჩიბაშმა ანდუყაფარ ამილახორის ცოლის გამოსაყვანად
არშიდამ ზურაბს საფიცარი სთხოვა და მისცა საფიცარი: ქალი
მოგცე და არცა რა ჩემს მამულში ლაშქარს დაუმარცხდესო და
მოის ჩემს მამულზედ ნუ წამოვა ლაშქარი, ქსანზედ ჩამოიარონო.
დასჯერდა ყორჩიბაში და გაგზავნა თორმეტიათასი კაცი. და
როსტომ რომ ქართლს გაბატონდა, დაუთ, სვიმონ მეფის
ძმისწული, მაშინ ხოსრო-მირზა ერქვა და ის უთავა. და
აწ უყურეთ, თუ რას ყოფით ჩამოივლიან

როს შეიპყრეს ანდუყაფარ, ცოლიც არშას დაუტყოეს,
ყაენისგან მოცემული იყო, ამით შეიტყოეს;
ეს ლაშქარი ამით უფრო გამოგზავნა, ის იპოეს.
აწ დაუწყეს ლაპარაკი ზურაბის ძმებს, დაუყოეს.

შეუთვალა ყორჩიბაშმა ზურაბსა და მისსა ძმებსა:
„რად არ იცით შეპყრობილსა ხანუმს ყაენი ეძებსა?
თვით შვილისა-შვილი არის, ურჩევნია თავის ძებსა,
ეგ მომეცით, გავბრუნდები, თორემ ვერვინ გამაძებსა.

ფიცსა მოგცემ, შენს მამულსა მე ვაწყინო არა რამე,
თქვენც აგრეევე შემომფიცეთ, საფიცარი მოგცე რა მე,
ჩემს ლაშქარსა თქვენს მამულში არა ევნოს თქვენიდამე,
მერმე დიდს ჯარს გამოვგზავნი, გამოვიყვან ციხიდამე“.

რა მოსლოდათ ეს ამბავი, ეთქვათ: „კაი რჩევა არის“.
მისცეს ამათ საფიცარი. თქვეს თუ: „ფიცად მგონიე კმარის,
ჩვენს მამულში არა ევნოს, მაგრა მოის გზა არ არის,
მოის ქსანზედ წამოვიდენ, შიში ნუ აქვთ ავის დარის“.

გამოგზავნილთა არაგვი შევლეს, მივიდენ არშასა,
გიორგი არჩევს სხვას თათბირს და ერიდება არ შასა,
ისარს დაუწყებს სროლასა, თოფსა დაუძრავს მაშასა,
ხანებს დაუხოცს ყაენსა, ხონთქარს არც ერთსა ფაშასა.

მივიდა არშას ლაშქარი, გამოიყვანეს ხანუმი,
საგძალი არ შეიტანეს, ხან მწვარი ჭამეს, ხან უმი.
ავს დღეს შეასწრო გიორგიმ ქალი გამდელი, ხადუმი.
რა გამოსცილდეს ლომისას, ხმა არის მო დასადუმი.

გამოსცილდენ ლომისასა, უკან მოჰყვა მათ გიორგი.
გამოიქცნენ, არ უყურეს, რაც მოსდევდა უკან ბარგი;
მოჰხოცდეს და მოსძახოდეს: „წინ დამხდომნო, აწ ივარგი!
ეს სახელი მე მიქნია, ნუგზარის შვილს, ჩემთვის დარგი“.

ეს ამად ქნეს, თუმცა ფიცი გასტეხოდათ ამათ არა,
მოსწეოდენ სხვის მამულში, დაეზახა იმათ არა.
ყიზილბაშთ ჭკვა დაეცდინათ, არ ხლებოდათ ი მათარა,
კარგად სჯობდა გაესინჯა, მოეხაზა, მოეთარა.

წინ დაუხვდა მოურავი და იასე, ქსნის მპყრობელი,
ქაიხოსრო, მუხრანისა ბატონია, ხლმის მსობელი,
ზურაბ, ქველი მეომარი და დათუნა საქებელი, —
წინ დაუხვდენ გამოქცეულთ, აწყევინეს მათ მშობელი.

ჩაიყარეს ორთავ შუა უკან მამყოლთ, წინ დამხდომთა.
ყორჩიბაშსა ამ რჩევისთვის აგინებდეს ვერ მიმხდომთა:
„ცოცხალს რაღა მოგვარჩენდა, არშას ციხის ჩვენ მიმხდომთა?“
უფროს ჰხოცდეს მახვილითა, სხვათ აქა-იქ კლდეზედ მხლტომთა.

წასვლის ღონე აღარ ჰქონდათ, მათ მოეღოთ სულ ხელ-ფეხი,
გაურისხდათ შემოქმედი, მოევლინათ ზეცით მეხი,
ველარც ხმასა იღებდიან, არ ისმოდა მათგან ჭეხი,
ქარქაშიდამ მათს ისრებსა ართმევდიან, ჰქონდისთ ჩეხი.

წინ შეუკრეს ასრე გზები, არსით კარი გაეღება,
იგინი დგეს უჩუმარად, ამათ ხმა არ შეეღება;
სისხლთა მათთა მინადენთა სამ დღე ქსანი შეეღება,
ცხენი, მათი საჭურველი ამათს სახლში შეიღება.

აქა ყორჩიბაში წავიდა და გაგრატ მეფის, როსტომ მეფის ძმისწული, პატარა სვიმონ ქალაქს ციხეში დასვა საბატონოდ

ამ საქმეებით გაბრუნდა, სვიმონ-ხან ქალაქს ღააგდო,
სხვა ვერა გაარიგა რა, ვერცა ვინ სხვაგან გააგდო,
ქართველთ და კახთა დაჭერა მართ ისრევ ჩემზედ მააგდო,
ისევ დავიპყარ ორივე, სვიმონ ქვა ველარ ჩააგდო.

აქა შააბაზ ყაენის სიკვდილი და შასეფის ტახტზედ დაჯდომა

აწ გარდიცვალა შააბაზ, ჯოჯოხეთს დაიმკვიდრებსა,
მის მტერობისა ბორიოს სიკვდილი მომიმყუდრებსა,
მის შვილის-შვილსა შაჰ-სეფის იმის წილ ამიყუდებსა,
პირველ წყალობით მომხედა, ბოლოს კი გამიცუდებსა.

აქა მოურავისა და ზურაბის დაქიშაება და მოურავის უკუდგომა

ასრე სჯირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“
დაბალს კაცს არ ახსენებენ, იტყვიან „დამიჭირეთა“.
კაცი სჯობს საქმე კეთილი ანგაარ, მოგულძვირეთა.

ზურაბ და შიოშის-შვილი იყვნეს სიძე-ცოლის ძმანი,
გაეზარდა მოურავსა, ყოფილიყვნენ ვით მამანი.
აწ დაქიშპდეს უსაზომოდ, შუა დასვეს მათ სამანი.
დაემტერნეს ერთმანერთსა, აღარ მისცეს წამსა მანი.

მოურავი უფროსობდა მასზედა და ქართველთაზე,
თუ ეტყოდა, დასხდებოდენ, თვარ იდგნიან სულ ყველა ზე.
ქეშიკშიგაც უწვებოდეს თავითაც და სხვა შუაზე.
ვინც შესცოდის, ყველამ უთხრის: დაჰკარგეო, გალალა ზე.

მე ზურაბსა მოურავმა დამამოყვრა, გამიერთა,
თქვა: „უბოძეთ ზურაბს ქალი, გაიგონეთ სრულ ამერთა“.
მოიყვანა, მუხლს მაკოცა და გამყარა იმიერთა.
მაშინდელთა იმათს საქმეს სულ ვერ დავსწერთ, ცუდათ ვსწერთა.

რას უშველა, გარდიკიდნენ, მე ზურაბსა მიმიყენა,
სულ ქართველნი შემომძარცვა, ერთიც აღარ მომიყენა;
ზურაბს უთხრა: „შინ წაბძანდი, ამ სიტყვასა ნუ მიწყენა“.
პირველ იგი გაისტუმრა და მეც უკან წამიყენა.

მე ეს მითხრა: „ღმერთმან იცის, ქართლი მოგეც, ჩემი თავიც,
მაგრა რა ვჰქნა, არ განდომეს ჩემი თავი, მით ვარ ავიც;

მაგით თავსა ვერ მოვიკლავ, ან გულს დანა როგორ დავიც?
თქვენც წაბძანდი ზურაბთანა, იქიც მოვალ მითქვამს დავიც“.

აღარ იყო გაცლის მეტი ღონე, სხვა რა მომეღონა?
გავეცალე ჯავრით სავსე, მისმა საქმემ დამაღონა.
მიველ დუშეთს ზურაბისას, იმანც თავი მომაწონა,
მითხრა: „ნახავ, ხელმწიფეო, მათ ყველაზე არ მოწონა?“

აქა მოურავმა იმერელთ მეფეს გიორგის შვილი სთხოვა ქართლს
საბატონოდ. და მეფემ მამუკა გოჟაულთუხუცესი, ამილღაბარა
აგაშიძე და ზემომხრის ლაშქარი მოსცა, და ათაბაგმა
საფარფაშამაც ლაშქარი აშველა; და ქართველნიც
მას ახლდენ, ზურაბ ერისთვისა და იოთამ
ამილახორის მეტი. მოუხდა მოურავი და
რაზმით შეიბნეს გაზალეთს

აწ დაუწყო მეფეს თხოვნა შვილს ქართლისა საბატონოდ,
აჰყვა მეფეც, დაიყოლა, ბრძანა, არ აქვს დასაღონოდ.
ათაბაგსაც ჯარი სთხოვა ქრთამით რასმე მოსაწონოდ.
ორთავ მოსცეს მას ლაშქარი ჩემად სამტროდ არ საყოვნოდ.

მოვიდა, დუშეთს მოგვიხდა ქართველთ და სხვას ამ ჯარითა,
საკვდავად გამოგვიმეტა გულითა საომარითა.
უთხარ ზურაბს და ჩემს კახთა: „ერთს ომად თქვენცა ჰკმარითა,
მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს, არ ვიბრძვი მე ომარითა“.

ზურაბ თქვა და ერთპირ კახთა: „ვიცით, ღმერთი გყავს მფარველად,
ყმას პატრონზედ გაემარჯოს, არ გვასმია ესე ძველად!
თქვენს წინ თავი სასიკვდილოდ დაგვიც, იდვას მძორი ველად,
ღმერთმან ქნას და სამართალმა, გაგემარჯოს ძოღანდელად“.

ედიშამ თქვა: „ღვთის მადლს, კახნო, ეცადენით, მას ვინ მოხვდეთ,
საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წავხდეთ?!
თუ ვინ მოხვდეთ მამაცურად, კარგად გმართებს, რომ მას დახვდეთ,
თუ ცოცხალი გარდგვირჩება, კიდევ გაგვრჯის, უნდა ვახდეთ.

თუმც არიან უმრავლესნი, ეგრე დგიან ვითა ტევრი,
ღვთის წინაშე სწორი არის შავი ზღვა და ისერ ძევრი;

ბევრს ხუვილსა მოერევის, ჟამერთ გალეწს ერთი კევრი,
ერთმან სძლიოს ასეულსა, ორმან მოსრას ბევრის-ბევრი“.

რა მოვიდენ, ბაზალეთსა დაუკიდეს მათ ცეცხლები,
ავი დარი დასცემოდა, დახუთოდათ მათ ხელები.
დავინახეთ, მსწრაფლ მივმართეთ ჩვენ სახლებსა ნათბილები,
შეჭურვილთა მეომართა ცხენი გვყვანდა ფიცხელები.

მე მახლდენ ქართლით ესენი: ზურაბ და ამილახორი,
ხან წამივიდის იოთამ, ხან დამრჩის მწვე ნამსახური,
ზნე-კეთილი და საჭვრეტლად სრულ კარგი, არ უსახური,
ხან ჯარით მახლდის, ხან ასრე, თუ შერჩის ორი მსახური.

მივედით, ორგნით შეიქნა შეტევა, შემოტივილი,
ხმის ბაიბური არ იყო, ზახილი, არცა კივილი.
დაუკოდელი ვერ მოვრჩით, იმ წამს არ იყო ტკივილი,
თუმც მაშინ ვერ შევიგნევით, მერმე შეგვექნა ჩივილი.

მოურავს რა დავენახე, შეჰბრალოდა ჩემი კახნი:
„ჩემი — ეთქვა — უღირსი ძმა, ამოსწყვიტნა მწიფით მკვახნი“.
ღვთით ამათვე მუზარადნი დაუმსხვრიეს, ვითა კვახნი“.
დახოცნეს და ხელთ დაიპყრეს, ის წავიდა ცუდ-მომკვახნი.

გოგორისშვილს დაუთბეგსა მისი კურტაკი ჩააცო,
თვისსავ ლურჯსა ცხენსა შესვა, უთხრა: „აბა, კაი კაცო,
ზოგი შუბით ჩამოაგდე, ზოგს ზუჩზედა ლახტი სტკაცო“.
ვინ მოგიხდეს, კარგად დახვდი, ვითა გმართებს შენ მამაცო“.

პირველზედვე შემეყარა ეს დაუთბეგ, შუბ ხელთ-მქონსა,
შუბი ვჰკარით ერთმანერთსა, მაგრამ ვერც ერთს დაგვიმონსა,
მერმე საამ კობიას ძე მოგანებით შუბს მოსწონსა,
მოვიდა და გვერდს შემოსცა მას, მორევის ჩემსა მგონსა.

ვეღარც იმან ჩამოაგდო და ცოტადრე გარდახარა,
მას კვლა ზურაბ შეუზახა: „მოურაო, თქვი თუ ხარა?“
— შიშველს ბარკალს ხმალი დაჰკრა — ეგრე მაგრად რად სდგახარა?“
სრულ მოჰკვეთა, გარდააგდო, იცოცხლაღა მან, გლახ, არა.

მერმე შემხვდა აბაშიძე, იგ ღონენა ქვიშხეთელი,
ცავი ფარში ჩამოეყო, მოეხარა ვითა თელი,
ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრამ ვერ მყო მიწის მთელი,
სამკლავეცა გამიტეხა და დამკოდა მე ნათელი.

ედიშას თქმული გათავდა, ეპოვნა მოურავია,
გულსრულად თურმე მოვიდა, მან აღასრულა დავია,
უმუზარადოთ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია, —
ამანც შუბი ჰკრა, მაგრამე მან კი გაუპო თავია.

რა ედიშა ჩამოაგდო, ადგა, უნდა მოეწვა და,
მან დაასწრო, თავსა დაჰკრა, ხმალი ძლივღა მოეწვადა,
შუა პირი მოეხვედრა, არ თუ მჯიღი მოეწვადა;
ეს მოკლა და გარდიხვეწა, გლახ, გრძლად წყლული არ ეწვა და.

ერთს ომს უფრო გასაჭირსა მართ აღარსად დავხდომივარ,
ჩემს ჯარშიგა დაუკოდი ძვირად მორჩა, და არც მე ვარ.
გამემარჯვა ღვთის ძალითა, არ მოვჰკვეხდი, სულ ომში ვარ,
ყმანი მყვანდეს ნაომარნი, ვით ამირანს მისი სავარ.

მამილოცეს იმერელნი, ქართველები, მერმე მესხით,
შეუზახე: „დიდებულნო, რას საქმეზედ თავს დამესხით?
თქვენგან იყო რა საქნელი, ჩემზედ იმას თქვენ მოესხით?“
ვბძანე: „მანდა ნულარ გიდგან, ასრე აქეთ წამოასხით!“

ხოსუა მაჭავარიანს, მიყურე, რა მოვაწიო,
ყურებს დავსჭრი შიგ ძირშიგან, ნუ ეჭვ ახლოს დავიწვიო,
შემეხვეწა: „სულ ნუ დამჭრი, ცოტა იქით მიიწიო“,
როდეს დასჭრეს, შემომზახა: „არ მეგონე გულპილწიო“.

მოურავი ველარ დადგა, ახლა ხონთქარს მიაშურა,
ვერ კარგად ქნა ორგულობა, ვერ ომი და ვერა შურა;
ხვანთქარმან სცა მწვედ პატივი და წყალობა არ უშურა,
ერთს თავს-ვეზირს გარდაისად მას წინ დგომით სხვად უშურა.

ქაიხოსრო და იესე, კვლა სხვა ბევრი ქართველები
თან გარდაჰყვნენ სააკაძეს, თავადები ძირ-ძველები;
იქაც ბევრი სახელი ქნა, მაგრამ თავს გარდავევლები,
იქ დახოცეს ქიშპობითა, ვეზირმა ქნა ეს ნავნები.

აქა ზურაბ ბატონს წაუვიდა და სვიმონს მოუვიდა. ქართლი დაუჭერინა, მერმე ეოქლა და თავი კახეთს ბატონს გაუგზავნა. და ისევ მეფეს თეიმურაზს დაუჭერინა ქართლი სრულიად

რა წაელეთ ხანი, ზურაბთან დამიწყეს ჩხუბს ჩამოგდება,
რად ვერ მოუხვდა, ეს მიკვირს, ცრუს კაცს თავისა აგდება?
სიძე იყო და შვილად მჩნდა, მახსოვს ვალისა დადება,
ადრე ამყოლი სიტყვისა მე აღარ მეიმედება.

გავეცალე, კახეთს ჩაველ, ის სვიმონ-ხანს მიუვიდა,
ფიცითა და თავდებითა ქალაქს ციხით გამოვიდა,
წამოუძღუნა ზემო-ქართლზე, თან მოჰყვა და წამოვიდა.
თუ მე ზურაბ მიორგულა, რად ვერა სცნა თავს მოსჭრიდა?

ცოტას ხანს სვიმონ ქართლითა ზურაბს ხელთ ჰქონდა ამარად,
ესეც მოსწყინდა, ასრე თქვა: „აწ ეს მაქვს მე საომარად“.
მამას უხმობდა სვიმონ-ხან და ფიცი არ იწამა რად?
მოკლა მან ჩემად უგრძნობლად, მიწა ძლივ მისცა სამარად.

თავი უფადარს მამწივა ყაენთან წასვლის მნდომელსა:
„ვით გაგიშვებდი ხელითა, ვირ გხედავ სულთა-მდგომელსა,
ყაენთან წასვლას ესე სჯობს, ქართლითგან შემომწყრომელსა,
ბოლო არ გაუთავდების ბატონის სისხლში მჯდომელსა!“

აღარ წაველ ყაენთანა, ისრევ ქართლსავ მოუბრუნდი,
აწ სრულ ერთპირ დავიჭირე სომხითიან, არ დავეშუნდი;
ხან სიმაღლეს, ხან სიმდაბლეს მიმცა ვინ მე, ასრე უნდი,
ორსავ კარგად ვიტვირთევდი, არცერთ არას შეუღონდი.

ამ დროს ვთქვი „ლეილ-მაჯნუნი“, „ზილიხან-იოსებისა“,
ქება, შვენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,
გაჭრა მინდორად, ხელობა, გულთა ლახვრულად სობისა.
ტკბილად რამ აღმოვმეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა.

გამოვარჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშვრა ენამეტყველი ტკბილად მათზედა მკობისა.
განმარტვითა ვთქვი ქართულად, თქმული სპარსთ არაკობისა,
არ დამორჩილდა მეძავსა იოსებ იაკობისა.

აღარა მყვა მტერი მოღმა, მეომარი შემომბმოდა,
დამმორჩილდა ყოვლი ურჩი, ყელსაბელი ვითა ბმოდა.
ყოვლგან ისმა ეს ამბავი და შეიქმნა საამბოდა,
შვება იყო სამუდამო, ლხინ-სობათი შეიმკოდა.

აქა ბატონმა თეიმურაზ ლეკის-წახეთის მიხდომა მოინდომა სარუბაშს, და ცხენი წაეჭცა, თვითან ველარ წავიდა და ზურაბ უთავა ქართველთა და კახთა, და მიუხდენ

გამიწყრა ოდეს ყაენი, მას მოჰყვა წახეთს ვინ ზისა,
ალიბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაშისა;
მისი მომინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა,
მალ შევანანე სიკვდილით მ̇ოყოლა შააბაზისა.

ალონში ცხენი წამექცა, თავს მტვერი გარდავიყარე,
ძალიან დამცა მიწასა, მაჯები ამოვიყარე;
ველარ შევიძლე ლაშქრობა, ვერ წაველ, ვერ ავიყარე,
ზურაბ, კახნი და ქართველნი მათად სამტეროდ წავყარე.

ევლოთ, მისლოდეს სარუბაშს, მას შეუტყობრად მყოფარსა.
ასრე შეპარვით მიუვლენ ძაღლებსა მათსა მყეფარსა.
ველარ გაუსწრეს, წახეთსა გარ ჯებირს შემოიფარსა,
ქვეითად შეუხდებიან, აგლეჯენ ხმალსა და ფარსა.

ზურაბ ცხენით გარდაუხდა, შეუზახა სრულ ლაშქართა:
„გარდმოხედით ყველა ცხენით, ვით ბრძანებით აქა ხართა!
ვითღა მიხვალთ მეფესთანა, თავს ვერ ნახავთ განახართა?
ვსძლევთ ომითა, ვერ დაგვიდგმენ ხმალ-მოწვდილთა, დანა ფართა

ამ სარდლობით მალ აეღოთ ჯებირი და სხვა სიმაგრე,
თავი მოსჭრეს ალიბეგსა, შეუზახეს: „იდევ აგრე,
ვით გმართებდა შექნილიყავ შააბაზის შენ მოსაგრე?
სარუბაშმა ვერ დაგვიდგა, წა, წახური გაამაგრე!“

მოვიდეს, თავი მომართვეს და საშოვრის ფანჯიაკი,
ექმნათ ბევრი საშოვარი, დაეცალათ ცხვართა ბაკი,
მომილოცეს, მოულოცე, თქვეს: „გათავდა თქმული აკი“.
აწ შეიქნა ნადიმობა, არ თუ ცუდი რამ ტაკ-ტაკი.

აჟა ზურაბ ერისთავის სიკვდილი

ენის ძალი შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოგახსენო,
ტკბილი ასპიტს მოამდოვრებს, მწარე ძირში გარდახსენო.
თუ კარგგვარად გაგასინჯო, მგონივ ავად არ მახსენო,
ავმა ენამ საქმე მიყო, ავი, ღვთის მადლს, ჩამომხსენო!

ენას აქვს გესლი ბოროტი უმწარე ასპიტისაგან,
თვით დამიცდია აგრეევე, ვითა მასმია სხვისავან.
წინასწარმეტყველთ ასე თქვეს და მტკიცედ თვის და თვისაგან.
მათი მესმინა, მიჯობდა, ეწვართა ავს ავისაგან.

ენა მლიქნელი გონებას მყუდროსა, მშვიდად დებულსა,
გულსა განმსჭვალავს და ღვიძლსა გააპობს, სიბრძნით ქებულსა,
ანაზდად აღსძრავს რისხვასა, შეიქს ცეცხლ-მოკიდებულსა,
აღდუღებს ნაღველს ცეცხლთაებრ, ცნობაზედ ზედ მიწებულსა.

ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს გრდემლ ნაკრავისა,
თვალსა აამღვრევს წმინდასა, ხედვიდეს ავს არ ავისა,
თმათ აშლის, ხელ-ფეხთ ფრჩხილებსა გასწვავს ცეცხლ-განაკრავისა.
შფოთს ააყოლებს ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა.

თუ ვინ ჩავარდეს წყალსა და აღმოხდეს დაუსველებლად?
წიაღში მკვრელი ცეცხლისა ვით დარჩეს დაუმწველებლად?
ან ბადეს ვინღა განერეს, აცლიდეს გამოსადებლად?
ვინ ისმენს მლიქნელს ენასა, არ უნდა ცუდად სადებლად.

ვისცა არ უნდა აყოლა სიტყვა ავისა. ცუდისა,
ვით ნაკვერჩხალი კალთასა დაგეცეს, შეშა უდისა,
ანაზდად თუ არ გარდაგდებ, ნატისუს ალი უდისა.
აგრეევე ენას თუ უსმენ, დაგრჩება, დაიბუდისა.

რადგან ეს ვიცი, რად ავყევ ენას ავისა მბობელსა,
ტლბილისა გამსალებელსა, ფოლადის დამადნობელსა,
ეცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლივ საცნობელსა,
ყელშიგან წამჭირებელსა, საბელსა დამარჩობელსა?

რას მიშველა, ვინანი და ღმერთს ვიაჯი მოტევებას,
მაგრამ ძნელად გაეძლების ყმის პატრონზედ აზვავებას.
ორივ ერთად შემეყარა, ამად ვერ ვიქ ჯავრთა ვსებას.
ავი ენა, იგ ამაყი, ასრე შემიქს მე დავსებას.

სჯობდა, თუ ორივ დამეთმო ღვთის წინ და ამ სოფლისადა,
ვირე ცოცხალ ვარ, ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდისა და...
რად მოვჰკალ, ვით შემოვიკალ, შვილის უმჯობე, ძმისა და,
ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოდგმისადა?!

ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა!
გული გაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა!
სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა?
იმ სოფელს ნუმც მეკითხები, გარდამხდეს ამავ სოფელსა!

ამისგან უგრძედ ამის თქმა ავია, ამად გაუშო.
გვერდს მიჯდა, ვბრძანე სიკვდილი, სისხლი მან ჩემს წინ გაუშო,
დედამ მისთანა თავადსა შვილი ვეღარ ვისღა უშო.
რადგან ის მოვჰკალ, ამაყი არ მმართებს სხვაღა აუშო.

ამას ზეით ლექსები სამისა ერთგვარი იმბიკოთ რომ თავბოლო ლექსად აქვს, ერთს კიდევ სხვის იამბიკოთ ზეითი-ქვეითი სტრიქონი და თავბოლო ლექსი აქვს; ცხრა ლექსი ანბანთ ქებისა ოსეთს არის ნათქვამი, ქრონიკონის ლექსით ორმოცს დღეს.

ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვეით ვიტყვი რუსეთს,
სოფლისაგან არას მიკვირს, მობალხენიც მივლენ მისრეთს.
კარგად მიყო, არ ვემდურვი, ასრე უნდა საქმეს ისრეთს.
კიდევ ღმერთი კარგად შესცვლის, მოწყალებით ისრევ იღმერთს.

ნაღვლის რასმე საქარვებლად მე ეს საქმე ვიმეგობრე,
ქვეყანაა მჭიდრო რამე სამესისხლო, სამეკობრე.
ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავის საქმის მე დამგმობრე.
აბე ამან შემიქცია, აღარა რამ ვისალმობრე.

აჭა მეფის თეიმურაზისაგან ულუკოსორის მიხდომა

ამას უკან გავილაშქრე და მიუხე ულუკოსორს,
თუ ამირან გაბედავდა, არ უქნია ეს არ ნოსორს.
სამ-დღე შევლე დაღისტანი, ოთხისაგან უფრო მოშორს.
რას ეჭვ ამის შემმართველი, შევებმოდი დვალს ან ოს ორს?

დავსწვი, დავსტეხე კოსორი, უწინ არვისგან ქნილიყო,
თუ არ ისევე ჩემგანვე, უთუოდ სხვისგან ძნელ იყო.
ნატყვენავი და ალაფი მოის მუხრანსა განიყო.
ველარ მემტერნეს მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო.

აჭა არეზს აქათის მოგებევა მეფის თეიმურაზისაგან

აწყა ჩაველ, არეზს აქათ მოვაოხრე, მოვარბივე,
ორგული და ურჩი ჩემი ვინც გამოჩნდა, დავაბივე.
ამ ორისავ ტახტის მჭერმა მეფეც მოყვრად მოვიბივე,
ურჩსა მივე არაფერი, ერთგულებსა ბევრი მივე.

დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილაძე ბეგლარბეგად.
წამოვიდა, შამივიდა, თვით ჩემთანვე იყო მდეგად:
სრულ ყაჯარი თან იახლა, იორზედა დადგეს ბეგად,
მერმე კახნი თავს დაასხა მოსასრველად, გარდაგებად.

ყაენმა მთხოვა ბევრითა წყალობა უსაზომითა:
დასწყნარდი, მამეც დაუთხან. გაძეღ ჩემითა ომითა.
წყალობა გიყო მრავალი არ ხერხად შემამდგომითა".
ამად ვერა ვქენ, ვერ მივეც. რომ ხმალზედ მამენდო მითა.

აჭა საკაძე როსტომხან სპასალარი გამოგზავნა შასეფიმ ყაენმა და როსტომ, გატონის სვიმონის ძის დავითის შვილი, გამოატანა ქართლს გასაბატონებლად და კახეთს სალიმხან

აქ საკაძე როსტომხან ერანზე ასპასალარა,
კვლა დაუთხანის შვილს მისცა, მას როსტომ ეთქვა სალარა,

ქართლი მისცა და სხვაც ბევრი საჭურჭლე მას ასალარა.
მოვიდენ, თუმცა გამაგდეს, მოისვენებდა მალ არა.

რა მოვიდენ, ბარათიანთ ფიცი სტეხეს, მიუვიდენ.
რა დათუნა ერისთავი მისის ძმებით შეთაბუნდენ,
ხმალი ვეღარ გაუმართე, ყმათ რა მიყვეს საქმე ესდენ!
მეც წაველ და ჩემნი ყმანი იმერეთსვე გარდმოვიდენ.

ქართლი როსტომ დაიჭირა და კახეთსა დასვეს სალიმ,
ჩემი ქრისტე ადრე მამრევს, გამიმაგროს ის ვერ ალიმ.
რა მიუხე, მოარჩინა ცხენმა მისმა მუხლად მალიმ.
ისრევ ფეხზედ დამაყენის გაბედვამ და ჩემა ძალიმ.

აქა როსტომ მეფისაგან დათუნა ერისთვის სიკვდილი. და საერისთოს შეხდომა და დამარცხება, და ზაალ ერისთვისაგან მეფის თეიმურაზის ანანურს დვალეთზე მოყვანა.

როსტომ მოკლა დათუნა და თავი ყაენს გაუგზავნა,
რა შეუხდა საერისთოს, სხვათ ძმათ აღარ დაეზავნა.
ზაალ, მისმა უმცროსმა ძმამ, გამოქცევით გამოგზავნა,
რომელიც რამ თან რამ ახლდა, ისიც დარჩა, დიდად ავნა.

გამოგზავნა ჩვენთან კაცი ფიცითა და თავდებითა:
„ვირ ვცოცხალვართ, მუნამდისი ჩვენ ამ პირზედ დავდგებითა,
არ გიტყუოთ არას საქმით, არას მიზეზ დადებითა,
არ სიტყვით და არა ტრელით, არ იქი-აქ მოდებითა“.

შემიჯერეს ფიცითა და, წაველ მთისკენ ანანურსა,
დვალეთზე გარდავიარე, რა გზა მექნა სადაურსა.
მამეგებნეს მხიარულად, აღარ გვანდეს დანამდურსა,
მერმე წვრილად მიამბობდეს მუნ ამბავსა იქიურსა.

სალიმისა თქვეს მოსაბრუნს დგომა, სახლისა აგება,
კვლავე როსტომის ტფილისსა სამუდმოდ სუფრის დაგება:
„გვმართებს როსტომის მტერობა, სალიმის მალ გარდაგება“.
„მაგრა სალიმის გაგდება“ — ზოგთა თქვეს — „სჯობდეს ეგება“.

თქვეს, თუ „როსტომ ციხესა ზის, სალიმ არის კახეთშია“
ესე მესმა გაჯავრებულს, ლომს ნადირზე მომემშია.
გარდუხე და გავისტუმრე ფეხშიშველა, უმაშია,
ჩემთა ყმათა წინ მიმასწრეს, პაღური ჰკრეს დუმაშია.

კახეთი იყო უკაცო კვერნაქიანად გალმართი.
ასე მოგვეპყრნენ თათრები, ვით ისრაელთა წარმართი.
ანანურს ვიდეგ სამს წელსა, ვიარე აღმართ-დალმართი.
მრავალი მტერი ამიტყდა, მართალი, არ უკუღმართი.

აქა ოხიაყორჩის დავით ასლანისშვილისა და გარსევან ბავბავაძის, გულგათის შვილის, ანანურით სათოფეთ წასვლა და ლეკების დახდომა

ანანურიდამ წავიდენ გარსევან და მამუკაი,
თუმც მამუკა უმჯობეა, მაგრამ არის ის-იც კაი,
თვითანც კარგნი მეთოფენი და იმათი საკაი,
აქათ მივლენ თვით ესენი, მთიულს დახვდა ბაკაკაი.

რა მოვიდნენ სანადიროს, ორნივ წავლენ ერთსა მხარეს,
ლეკნი თურე მზირად უსხდეს, ორმოცია არემარეს;
ბუსუნი ქნეს, ჩაცაუსხდენ, არ თუ შორით მოუარეს,
მათ ერთი ლეკი ხეზედ ჰყავს, ახლოაო, არ თუ შორეს.

ლეკი ნახეს ხეზედ მყოფი, მისმა ნახვამ გააცინა,
ერთმანერთსა დაჰპატიჟეს სროლა მისი, სისხლთა მდინა.
ჰგავს გარსევანს უსროლია, მგონი, კიდეც დაეცდინა:
რად ვერ მიხვდნენ სხვათაც ყოფნას, კარგნი კაცნი რამ აცდინა?

რა თოფის ხმა გაიგონეს, მზირთ ფარული გააცხადეს,
ორნი დარჩეს მოდაბლებით, ლეკნი ზეით წამოადგეს;
გამორიდეს, უკან მიჰყვნეს, ვინც დაეცა, ველარ ადგეს.
აწ უყურეთ მამუკასა, ჭკუა როგორ გამოადგეს!

გარსევანს თოფსა დაცლილსა ფეხი წაუბრკმა, დაეცა,
ერთი უძახის მეორეს: „კა მაგას, დანა დაეცა“.
მამუკა თოფსა აიღებს, არ ესვრის, ჭკუა მოეცა.
გიუნა ნატრობს: „მამუკას ვხლებოდი ნეტაი მეცა!“

მამუკასაც თუ ესროლა, მოეკლამცა მას ერთიცა,
მასც მოჰკლავდენ უსაცილოდ, ჩაიკლიდა იმათიცა,
კაცმან უნდა იმ დღეს ჭკუა მოიხმაროს და ღმერთიცა.
მოსულიყო სადგომს, ეთქვა დიდი რამე მას ფიციცა.

მამუკა ერთათ სიფიცხით და მერმე ჭკვითაც მოურჩა,
ესე სასირცხოდ დაიდვა, რისთვის გარსევან დაურჩა.
თქვა: „მივსდევ დაღისტანამდი, იმას ვეღარვინ დაურჩა,
სად მიიყვანენ, მივჰყვები, მე თეიმურაზ დამირჩა“.

გავიდა გაღმა სოფლებში, დავლო ფშაველი ართანა.
ვინც პოვა, არვინ დააგდო, მან არ იახლა ართანა,
უკან გაუდგა გარსევანს, ამხანაგს ნაომართანა.
იმ ტოლი კაცი იმ დროსა მე აღარ მყვანდა მისთანა.

ლაგოდახად წაეწივნენ, გარსევან ჰყვათ ხელშეკრული,
ნახა წინამ ამხანაგმა აუფეთქდა მწოვედ გული.
მამუკამ თქვა: „არ შესძახოთ, დაიღევით ასე სული,
თორემ იმას იქავ მოჰკლვენ, მეც დავრჩები დაკარგული“.

შეეპარნენ ტყის ბედითა, რა მოვიდენ, შეუზახა.
თვითან მივა ყველას წინა, სხვა არავინ წაუძახა.
ხლმით დახოცა მან ლეკები, აღარც სულთქვნა, აღარც ახა.
გარსევანც ლეკი შეიპყრა, რა ესენი დაინახა.

ზოგთა თქვეს, თუ: ესე საქმე მამუკამა ვერ ქნა კარგა,
განა თუ არ მოსწეოდა, მას უკან რადღა ევარგა.
შენ რას იტყვი, მე კი მამწონს, ჩემწინ იმან კარგა დარგა.
კაი საქმე წახდებოდა, თუ ლეკთ აქ არ დაებარგა.

აქა მეფის თეიმურაზისაგან კახეთში ჩასვლა და შენოგის დაგდება

რამდენჯერ ლეკთა შევები, არ მახსოვს მე სათვალავი,
ან რაზმით, ან წინ დახდომით, ან მდევრად დასაღალავი;
ვერ წაგვივიდის ჯარი და, ვერცა იქი-აქ მალავი.
უფროსი ერთხან უჩემოდ ყმანი მყვეს მათი მძალავი.

ხისიყის ნაცვალს ჯიმშიტას, ხისიყელთ არ მოურავსა,
ორჯელ ლეკთ რაზმის ომზედა უყურე სისხლში მცურავსა!
დიაღ სარდლობდა ჯიმშიტა, ომის ოფლს მოიწურავსა,
ორჯელვე გამარჯვებოდა მას სიხრდლის არ მიმწურავსა.

კახეთს ჩავედით ბატონყმით მემკვიდრე, არ თუ ახლები.
რასაც ვით გავწვდით, დავსახლდით, დავიდგით ყოვლგან სახლები.
არაგვისა და ქსანისა ერისთვებთანა ნახლები
იყვნეს კახნი და, ისინი ერთმანეთს მოყვარ-მძახლები.

ერთგნით ყაენის ლაშქარი მებრძოდა არ ხანდახანდა,
დაუმადლებდა ჩემს წყენას, ასე სულთნები დახანდა,
მეორედ როსტომ, ქართველი, ვინ კარგი, ან ვინ და ხანდა,
მესამედ ლეკი მტერობდა, სამუდმოდ ვინც გაშამხანდა.

მაგრამ ვერათ შემაწუხეს, ჩემგან იმათ ეშინოდეს,
ვლაშქრობდი და ვნადირობდი, ლხინს ვნახავდი მე შინ ოდეს.
„მოვიდაო თეიმურაზ“ — როსტომს კაცი მიურბოდეს,
ხან გორს იჯდის, ხან ქალაქსა, ციხეებში მწვე ლხინობდეს.

ქართველთა ჩემი ერჩია, მაგრა ყაენი მას ება,
არეზს აქეთი ლაშქარი ხან ნაცვლით ექეშიკება,
ციხეში იჯდა, ფრთხილობდა, გაძნელდა მისი გაძება.
რა საქმე დაგვიანდება, სხვაც რამე დაეწმასნება.

ხანდახან დავზავდებოდი, ყაენს შევსძღვნიდი ფეშქაშსა,
გამოგზავნიდა ხალათსა, მის შესაფერსა ზარქაშსა.
კვლავ რუსეთიდამც მოვიდის, ფლურით ავსებდნენ ბარქაშსა.
როსტომ მეფესაც გავრიგდი, უხარის ჩემსა დამაშსა.

აქა დიდოეთის მოსაქცევლად წასვლა მეფის თეიმურაზისაგან

დიდოთ ვსჭვრეტდი ყოვლთ წარმართზედ უღვთოთა, უუსჯულესსა,
ღვთისგან შორს და მის უცნობლად კვლავ ეშმაკთა მემსხვერპლესა;
არ უსმენდენ ებისკოპოზთ, რაც რომ მათთვის დაეწესა.
ვთქვი, აწ წავალ, ძალს უჩვენებ სულელთა და ჭკვამოკლესა.

ამად წაველ მათ წარმართზედ, მინდოდა რომ მამექცია,
მერმე, თუ არ დაეჯერათ, ციხეები მამეკცია,
ვამე, მათგან კარგთა ყმათა სისხლი კლდეთა მამექცია,
მათ ასეთი საქმე მიყვეს, დასარჩომლად მამე ქცია.

მიველ, ჩაუდეგ, ავიღეთ ზოგ-ზოგის კოშკებიანად,
უთხარ: „არ მოხვალ რჯულზედან, ყათლანს არ გიზამ გვიანად“.
მათ დაბალი თქვეს ერთხანად, ვთქვი, აწ არიან ჭკვიანად.
მერე მომიკლეს მამუკა, სარგებელი ვქენ ზიანად.

მამუკა მოკლეს თოფითა, ისროდეს შხამიანებსა
ისარსა მათებრ უკუღმა, უცდურად დასანანებსა.
რუსთველი მირჩევს წამოსვლას, მე ვიტყვი მას უარებსა,
მან მითხრა: „მეფევ, ესე სჯობს ამისგან უუარებსა“.

არ დაუჯერე, ავად ვქენ, მიჯობდა გაბრუნებანი.
მათ იხმეს ლეკი საშველად, მალ მოვლენ, ექნათ რებანი?
შეიქნა ომი სასტიკი, კარგთა ვინ შესძლოს ქებანი?
საგორვით გამოგვაქცივნეს, ხრდალს დაუკარგეს ცნებანი.

ალავერდელი, რუსთველი, მოკლეს ჩემს წინა და ახლო,
პაპუა აშრაპიშვილი, კაი ყმა, მუდამ საახლო,
სულხან ბაზიერთ-ხუცესი, ჟამ წარვლილ ვინღა აახლო?
მასთან ნათანელ მდივანი, მისთვის ვინ შეგკრას ნაახლო.

რევაზ დაჭრენ სახლთხუცესი, მე ცხენი ქვეშ გამომიკლეს,
კვლავ თამაზი, ჯაზდანისძე, მათ იმატეს, ჩვენთა იკლეს,
მე ცხენს შემსვა გიორგიმა უკეთესსა, არ მუხლ-მოკლეს,
რადგან ბევრი მტერი მყვანდა, რას ვებრძოდი ჭკუათ მოკლეს?

ებისკოპოზთ, დარბაზის ერთ ამოწყვეტილი შინ მოველ.
ისინი ღმერთსა ვერ სცნობენ, ვით გაუმარჯვა სამოველ?
დიაღ დავსუსტდი მას აქეთ, ცოცხალი რადღა წამოველ?
სხვაც ბევრი მოჰკლეს მსახური, მგონივ ერთს ერქვა იოველ.

მამუკა ბოქაულთხუცესს, ლაღობით ეოქვა „იშიო“,
იმ ძაღლთა ვით შეურჩიეს, ღაწვს მცირეს, კანჭსა წვრილშიო.
რევაზს ლოყას ჰკრეს ისარი და თამაზასა წვივშიო.
აგრე ისპანი ყოფილან, რად არა ჰქონდათ შიშიო?

აქა ამილახორი და ზაალ არაგვის-ერისთავი მეფეს თეიმურაზს ახლდენ და კათალიკოზი დიასამიძე ევდემოზ, გოჩაშვილი გიორგი და ნოდარ ციციშვილი შიგნით გაუორგულდენ როსტომ მეფესა და სანამდის გატონი თეიმურაზ მოასწროგდა, ნოდარ უკუუდგა როსტომ მეფესა. მიასწრო ნოდარზედ როსტომ მეფემა და გაემარჯვა

ამილახორი იოთამ და ზაალ მაშინც მე მახლდენ,
კათალიკოზი ევდემოზ და გოჩაშვილი გაახლდენ,
კვლავ ციციშვილი ნოდარ და სხვა ქართველები ვთქვა რამდენ? —
მიმიხმეს, ლაშქრით რა წაველ, ჩემად მისვლამდის გაცუდდენ.

ნოდარ ფიცეთს შეიყარა, ჩხეიძენიც მასთან იყვნენ,
როსტომს უთხრეს: ესე ასრე ნოდარზედ მალ წაიყვანენ,
ნუ შევჰყრითო, მივაშუროთ, თორემ ბოლოს შეინანენ,
ვინ მუხრანსა ჰპატრონობდი, ცუდ-მადები მოიხმარნენ“.

მივიდენ ფიცეთს ნოდარზედ, უვიცად, შეუტყობარად,
მას ყარაული არ ჰყვანდა, ნეტაა ზვართა საბარად?
ჩხეიძეებმა რა ნახეს ესენი მართ საშუბარად,
მოვიდენ, მოიქნიესცა, ზოგთა ჰკრეს მწვე გასამწარად.

მეც მუხრანს მიველ, მიმასწრო და გაემარჯვა ნოდარზედ,
ბექია დარჩა იორამს, მოურავის-შვილს, იმ ომზედ;
ოტია თვითან ოტიას რატიშვილს უჯდა გავაზედ;
საციციანო კაცები ცხენს სხედან მათს კვიციანზედ.

აქა მაღაროს მისვლა როსტომ მეფისაგან დიდის ლაშქრითა

ამ საქმემ გამითამამა როსტომ, წამოდგა საომრად
ქართველთა მეფე ქართველით, ჰყვანდა ხანებიც თან ლაშქრად.
მე ბაზარს ვიყავ გაზაფხულ სანადიროსა, მათ შორად.
მითხრეს: „მოვაო ლაშქარი“, არ დავიჯერე ნაჭორად.

ქალაქიდამ გამოვიდა, მოვიდაო მედასტურე.
მალ დავაგდე სანადირო კარგები და სხვა სატურე,
შვილი ზეით გამოვგზავნე, მუზარადი არ დავხურე,
ლაშქრისათვის შესაყრელად ვერ მამასწრეს მათ, უყურე!

მამაშურეს მათ ხისიყსა, ეგონათ თუ მამისწრობდენ,
მაგრამ კიდევ მე მიუსწარ ცოტას კაცით, ასიოდენ.
რა მე მიველ, იგინიცა კელმეშურში რაზმს აწყობდენ.
სულ ხისიყელთ ვერ მამისწრეს, რაზომ კაცი კაცზედ რბოდენ.

მოვიდენ რაზმ-დაწყობილნი ჭოტორის გზითა მაღაროს,
სრულ ერთს გზაზედა მოაწვეს, ჯარი სხვა გზაზედ არ აროს,
სცემდეს ქოსსა და ზურნასა, ჰგონებდეს მათ სანაღაროს,
გაბრუნდებიან იმგვარად, ამ გზაზედ მოვლენ აღაროს.

შეიქნა სროლა ორგნითვე უმცროთგან უფრო ფიცხადე,
მოკლეს და დაჭრეს ჩვენგანთა, სისხლი შენ გარდაიხადე;
ყაფლანს ჰკრეს ზუჩის საცხვირეს, ხმა გამოვიდა ჯახადე,
ჯაჭვმა დაუდგა სადგომსა, მიჰყავს და მალე აპხადე.

ბოვნელსა ეფისკოპოზსა ჰკითხე, რად მოჰყვა ჩემზედა?
მე ქრისტიანე მეფე ვარ, იგ არის თათრის რჯულზედა.
თუ უსამართლო ბერია, ღმერთი გამივლენს მას ზედა,
თოფი ჰკრეს, ორივ თვალები წააყრევინეს ქვაზედა.

ორი ქისიყელი კაცი, მსახურები რომ იქ იყვნეს,
გონასა მანგოსაშვილი, ერთად მსროლნი არ გაიყვნეს,
გლეხნი იყვნეს, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნეს,
იმ დღეს იმდენს მეომართა პირი მართ იმ ორთ დაუყვნეს.

გაბრუნდენ, ავად გაყარეს ბარგი და მაფრაშებია,
იმდენთ ლაშქართა ცოტათი ღვთითა მე მალ შევებია;
ქართველნი ახლდენ, სხვა ხანიც, აკლია თუ ფაშებია.
ნეტამც გეჰვრიტა, ვინ მახლდენ, შენ ვისმე იქ დაებია!

ვეღარც ლაშქარმა მამისწრა და ვეღარც შვილმა, თორემე
თუ მათ მოესწრო, ან აქა შემყროდა გლეხი მერე მე,
მათ ქალაქამდი მივსდევდი, მაგრა რა მექნა მორემე?
აქადამ გავაქციე და ვეღარ მივსდიე შორე მე.

აჰა კვალადცა პასუხი რუსთველისა. რომელი მოახსენა მეფეს. თამარ დედოფლისა და მეფედაც წოდებულის, მის უკმის ნაქმარნი ომნი და მის დროთ საქართველოს ღიდებულთ ნაქმარნი სრულნი, რომელნი სწერია ცროვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლექსად

პასუხი 03 [16]

ხელმწიფევ, თქვენი ამბავი ვისმინე, რაც გამიხსენე,
მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიყურე, თქვენც მამიხსენე,
შეჰირვებისა საკრველი ინებე, აწ მომიხსენე,
თუ ტყუილი რამ გიამბო, მაგინე, ავად მიხსენე.

მეფეო, გვიკვირს, ეგზომი თავს ღვაწლი აწამენითა,
არ თუ გვენახოს, ძველადცა ამბად ვართ ძლივ მოსმენითა,
მაგრამ მელექსეთ ჯობნება არა ვთქვა აწ ამ ენითა,
თვით მამკლა, ამიონარო სახლ-მარან აწა მენითა.

არც მეფედ შეგედარები და არცა ომ-სახელითა,
არც ძალად, გულად, სიფიცხით, რომე გკრა ხელსა ხელითა;
თუ მელექსედა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ-ხელითა;
მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევამკევ ხელი ხელითა.

ომნი ძლიერნი ნაქმარნი მიბრძანე სახელოვანი,
ჭირნი, სასჯელთა მოთმენა, მართ მსგავსი იობიანი,
ხან დამდაბლება ბედისა, ხან ამაღლება სვიანი,
მეც რამ მოგართვა პასუხი, მისმინე ვთქვა რამ ჭკვიანი.

როს თამარ, დიდი ხელმწიფე, სრულ ხელთა პირსა ნათობდა,
სხვათა მნათობდა უმჯობე, მზესა, მით ეკამათოდა,
ბროლ-მინა ერთად შეთხზნილი, გარშემ გიშერი სათოდა,
მძლეველი მტერთა მეფეთა, დამამხობელი მათო და.

ამხედრდა ჰუნეს მეფეთას, აღვირი იპყრა ძლიერად,
მან ტახტი ხელმწიფობისა შეამკო, კმა მის მიერად;
განბრწყინვებული განშვენდა სფერო, უღრუბლო აერად,
დაიპყრა შვიდივ სამეფო ლიხთ ამერითგან იმერად.

თორმეტს წელიწადს სიბრძნითა სამეფოს გაარიგებდა,
ურჩს შეიპყრობდა, ერთგულთა სვე-ბედით აამაღლებდა,

ლაშქართა სარდლებს უჩენდა, ერთს ამირ-სპასალარებდა,
მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა, ამაყთა მოამდაბლებდა.

მოესთლო შვება, სამოთხის სურნელთა სახეობანი,
მას მოეფუტკრა ვარდისა დაცვარულ-მობუტკობანი,
მცენარეობა ყვავილთა ასფადელ-ნარგისობანი,
ივლიოს ველის შვენება, სიტურფე ნამორვებანი.

აჩინა ყოვლი მოხელე, მის მის პატივსა უპყრობდა,
წინ-მდგომობისა პატივი ვის ჰქონდა, ვინ წაუსწრობდა,
ამპარტავანთა ღრუბელი განქარდა, ველარ ავდრობდა.
ახლა ისმინე, სამზღვარი საით სადამდის იპყრობდა.

პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერიდამ დარუბანდამდის,
ყოვლნი კავკასნი, იმერნი, ამერნი, ხაზარეთამდის,
მთით გელაქუნით, ჩრდილოთ-კერძ მპყრობელი სრულ ყივჩაყამდის.
ვაი, ვაება მამირთე, უმისოდ სული ამამდის...

აქა პირველი ლაშქრობა მეფის თამარისა ქვეყანასა კარისასა

პირველ ილაშქრა ქვეყანას კარის და კარნიფორისა,
სრულ მოარბია ერთპირად სამზღვრამდის ბასიანისა;
გამარჯვებულნი, ნაშოვნი მოვიდენ წინაშე მისა,
მაღალის, გულით მდაბლისა, მეფის ღვთივ განბრძნობილისა.

აქა ომი კახას-ძის გამრეკელისა და გამარჯვება

ამის პირველად მოვიდენ ლაშქარნი თურქთა ქვეყნისა,
მუნ ბევრეულნი თათარნი გელაქუნელთა არნისა,
ქვეყანას პალაკაციოს, ძაღლის-ხევ წოდებულისა.
ზედან მიუხდა კახას-ძე სვითა მით ძალ-ძლიერისა.

იქ გაემარჯვა გამრეკელს, მცირეთგან დიდნი იმძლივნეს,
იოტეს ბანაკი მათი, მომცროთგან ბევრნი იძლივნეს,
მათ არმაღანი მოიღეს, მეფეს წინ გამოაჩინეს,
კვლა სატურფალი ტურფასა თვით ნებით შემოაძლივნეს.

აქა თურქნი მიუხდეს შავშეთს და გუზან აბულის-ძემან შეიყარა ტბილნი, კლარჯელნი. აქათ შეებნეს მესხნი და გაემარჯვათ იმავ ჟამ

თურქნი მოვიდეს ამ ჟამად შავშეთს, გამრისნი, შამელნი,
კარელნიც თან მოიტანეს, მოარბიეს სრულ კლარჯელნი.
აქათ გუზან აბულის ძემ შეიყარნა ტაოელნი,
კვლა ბოცო და სხვანი მესხნი ზედ მიესწრნენ ომ-შემძლენი.

თურქთ მარბიელ გაშვებულთა შეებნენ და გაემარჯვა,
წარიქციეს წინ მეოტნი, რაღაც უნდა მოემარჯვა,
დაავიწყეს მათ იმათი მოისური, გზის დათარჯვა.
მოულოცა თამარ მეფეს, გუზან შავში მოეკლარჯვა.

მოიღეს კაცი მრავალი ცხენითურთ მეფეს წინაშე,
მხარ-დაკრულებთა წარმართთა უნახე მათი თამაშე.
ხმლით, ისრით, შუბით ვიბრძოდით, არა ვთქვით „თოფი დამაშე“,
ჩვენ ხარაჯაცა მოგვციან, თქვენ მტერიც ვერ დაამაშე.

აქა საღირ მხარ-გრძელის შვილთაგან, ზაქარია და ივანესაგან, დვინის ქვეყანას მიხდომა და გამარჯვება

ამის შემდგომად მხარგრძელნი, ძენი საღირ და ვარამის,
ზაქარია და ივანე და სარგის მნახი ვარამის,
ილაშქრეს დვინის ქვეყანას, ქალნი იშოვნეს არამის.
ჯერ ეს მითქვამს და სხვაცა ვთქვა, თქვენ გამხელა სთქვით ბარ ამის.

ალაფ-აღებულთ ეწივნეს უკან ლაშქარი მწვე ძნელი,
კმა იყო ვეფხის სიფიცხედ, რაც მათ ორთ ძმათ ქნეს საქნელი:
სძლიეს მხარგრძელთა მომწევთა, მათ ხორცთა ექმნეს ამქნელი
გამარჯვებულნი მოვიდეს, აქ თამარ დახვდა ნათელი.

აქა ზემო საქართველო ზემოთ, შუანი, შუათ ქვემონი ქვემოთ იბრძოდეს და ყოველგან ამათ გაემარჯვებოდათ სვითა თამარისათა

გამოსვლის ხანსა რამესა ლაშქრობდეს ქვემო-ზემონი,
შუანიც ბევრჯელ იბრძოდეს, არ შეყრის ცუდა მომგონი.

სხვასაც ბევრს ვიტყვი ომებსა, თუცა ვიპოვე გამგონი.
მაშინ თუ ბრძანებულიყავ, ვეჰვ, რომე თქუენც დაემონი.

აქა რუსთა მეფისა ძე, რომელი იყო პირველი ქმარი თამარისი, ილაშქრა პართის ქვეყანასა და მოარბია და ციხე აიღო

კვალად მეფემან რუსის ძემ, სპათა ჯარისა შემყრელმან,
ბრძანებით თამარისითა ქვეყნისა მაოხრებელმან,
მიმართა პართთა ქვეყანას, უყურე ამის მსმენელმან!
მან ამღებელმა ქალაქის, ვერ უდგნა სიმაგრემ ძნელმან.

მუნ შიგან მყოფთა საუნჯეთ და ტყვეთა მოგვრის თამარსა,
სულსა ნათელსა, ბრწყინვალეს, წინაშე მას მის ამარსა;
მას თაყვანისცეს, ვინ იპყრობს ყველასა მისსა დამარსა,
ესრეთ სვე-ბედთა უკლები თქვიან თუ „საიდამ არსა?“

ხანდახან მოისვენებდეს ლაშქრობისაგან საშვებად,
გარდავიდიან იმერეთს გულთა ნაღვლისა საშვებად;
აღჯდის ტახტზედა შუქითა მზე ლომს მაისში აშვებად,
მოვლის ქვეყანა აფხაზთა, სიმაღლით დაბლა დაშვებად.

აქა გელაქუნის მოოხრება თამარის ლაშქართაგან, მათგან უკან მოწევა და ამათგან გამარჯვება

აწ შეიყარა დიდ-ძალი სიმრავლე სპათ-მეომართა,
გელაქუნისა ქვეყანათ, მაგართა, ძნელ საომართა,
თურქმანთა, მაპმადიანთა, შიათა, გინა ომართა.
მოსწყვიტეს, მოიალაფეს, მან ასრე საკმე მომართა.

ნატყვენავ წამოღებულთა გვეწვინეს თურქმანობანი.
გელაქუნთ წინაძღომითა შეჰყარეს სრულადობანი,
შამელთ დიდებულთ როსტოვ და იალლაზ სულტანობანი.
უჯობდათ არ მოგვწეოდენ, დაეთმოთ სულადობანი.

თამარის სპათა ლომგულთა აღიმსთვეს იმათებურეს,
ზედან მოუხდეს კისკასად, ჩაფხუტი იმათ ებურეს;

უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, ვერ ქნა საბურ ეს
პატრონი ყმასა, ყმა პატრონს, უფროსი მოსამსახურეს.

ამოსწყვიტეს და გაფანტეს მხნეთა, ძლიერთა, ლომებთა,
ცხენთა სიფიცხე წაუხდათ თურქმანთა მუხლად მალებთა,
სხვა უმრავლესნი შეიპყრეს ზურგით-კერძ ლახტით მალებთა,
მოვედით მეფეს წინაშე, მოყმეთ გვიქებდეს ძალებთა.

აქა გრიგოლის ძე ასათ წავიდა ლაშქრითა განძას, მთასა მასისისასა. და დიდნი ომნი გარდაიხადნეს და გაიმარჯვეს ჰვრეტით თამარისათა

კიდევ წავედით წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა
განძას ზემო-კერძ, რახსისა პირსა, მთა მასისისათა;
მუნცა გარდაგვხდა ჩვენ ომი ძლიერი მათ ლაშქრისათა,
იქ ისახელეს ბუნ-ბერაზთ ჰვრეტითა თამარისათა.

ვარდან და ნამან ორთავე მათ უხუცესთა მსახურთა,
ორთავ მხარგრძელთა, ძლიერთა, მეფეთა მათ ნამსახურთა,
სხვათ დიდებულთ და აზნაურთ, მოყმეთ კარგ, არ უსახურთა.
გავაქციეთ და მივჰყევით სახლ-საჯინიბო-ახურთა.

აქა რუსთა მეფისაძე ექსორია ყვეს და სტამბოლს გაგზავნეს

მიჰბაძა რუსმან ევასა, განვარდა სამოთხისაგან,
შესცოდა მზესა მზეთასა სიტყვითა საკ-ოთხისაგან.
ეს სიტყვითა სცდა უცდომსა, ევა ნაყოფით ხისაგან,
ჰკუით-მყოფელსა, არ-თქმულსა ნათქვამსა ჰკვა-მოთხისაგან.

ექსორია ყვეს პატრიაქთ, ქვეყნის ერთ. სულა ქართველთა.
სიტკბო განმწარდა სოფლისა, ლხინთა ზედაზედ წამრთველთა,
რაღა გვმართებდა მის მეტი შვებაზედ ჭირთა დამრთველთა?
განაძეს რუსი სტამბოლსა შემოდგომისა თვე სთველთა.

აძა ოდეს რუსი განაძეს, თამარს შერთეს ოსთა მეფის ძე, თვით კაცი სრული სიკეთითა. ამისად შემდგომად იზრახეს გუზან, პატრონმან შავშეთისამან, სამცხის სპასალარმან ბოცო მისით მოკიდულით მესხით, ყვარყვარემ ციხისჯვარელმა და მოიყოლეს იმერნი. დადიან-გურიელი, აფხაზი და სვანი. და მოიყვანეს რუსი და შემოეგნეს დავითს და ამიერთა

აწ იქმნა საქმე ბოროტი, უშვერი, მოუწონარი,
არ ღვთის-მოყვარეთ საქნელი, მძიმეა, მოუწონარი,
ამის მოქმედსა ეკალი თვალსა ჰკარ, მოუწო ნარი.
აწცა თამარის ერთგულთა შეუმკო, მოუწონ არი.

გუზან განუდგა, პატრონი შავშეთის, სულა კლარჯისა,
კვლავ სპასალარი სამცხისა ბოცო, არ გიკვირს, რა რჯისა?
სხვა მათი მოკიდულობა ყვარყვარე ციხისჯვარისა.
მათ უაუგოთ, ორგულთა, ჯვარი ცხოველი გარჯისა.

წავიდეს გეგუთს, შეკრიბეს ლიხთ იქით, ვინ არს მყოფარი,
აფხაზნი, სვანნი, მრაჭველნი, სხვათ მთის კაცთ არ გამყოფარი,
აფიცეს რუსის სამეფოთ, რა ამის განაყოფარი.
გაგზავნეს, რუსი მოიხმეს, დააგდეს არ სამყოფარი.

მოვიდა რუსი, გარდვიდეს, გეგუთს შეჰყარეს ლაშქარი,
შემოიყარეს ყოველნი, დადიანიცა, შაქარი,
იგინი იქით წამოდგეს, თამარ ნათელი აქ არი.
მალ წაუხდებათ რჩევისა მინაქარ-მათ-მონაქარი.

მათ გარდმოვლეს მთა ლიხისა, ქართლი მოწვეს, მოარბიეს,
არვინ დახვდა მეომარი, ყოვლგან ცხენი მოარბიეს,
გარდიარეს რკინისჯვარი დასადგურდეს ციხისჯვარეს,
დაწვეს ქალაქი ოზურხე, ურჩისა თქვეს: „დააბი ეს“.

დაასკვნეს პირველ აღება ჯავახეთისა თმოგვისა,
თრიალეთს, ახალქალაქის, სომხითის მიწას მოგვისა.
ავად მოუვათ ბოლო-ჟამს წვა, ოხრობისა, დაგვისა.
მათ არ მართებდათ ღვთის მცნობთა, ეს საქნელია მოგვისა.

მეფეა მშვიდი სიბრძნითა, ძნელის საქმისა შემმართი,
ორგულთა რისხვით მპყრობელი და დრკუთა წამ-ერთ დამმართი.

უბძანა ერთგულთ ამერთა: „მალ წარვლეთ აღმართ-დაღმართი,
იქივ ჯავახეთს შეებით, ბედი აქვთ მათ უკუღმართი“.

კვლავ უბძანა გამრეკელსა, მაშინ ამირ-სპასალარსა,
მისთ ერთგულსა ოთხთავ მხარგრძელთ, საჭურჭლეთა მათა-ლარსა:
„მამაცობა პატრონთანა იცით, კაი მასალ არსა,
პატრონისა ერთგულება ყმისთვის დიდი წამალ არსა“.

დადვეს თავი პატრონისთვის თამამად და უშიშარად,
კარგსა კაცსა ერთგულება წინა უძეს უშიშ შარად,
მეცა მათი თანმხლებელი ვერ ამიგდო უშიშ არად.
ადრე დავსთმე თავი ჩემი პატრონისთვის მოსახმარად.

აიღეს ტროშა სვიანი, მაღალი, გორგასლიანი,
მის სპათა ღმერთსა ვედრებდა თამარ ნათელი მზიანი:
„უფალმან ჩემმან მიჩვენოს, ყმანო, ნუ თქვენი ზიანი“.
გაელეთ, მივედით ჯავახეთს, თამარ თბილისს დგა სვიანი.

ჩვენ იმედი გვაქვს სიმხნითა, მერმე თამარის სვისაგან.
შეიქნა ომი ფიცხელი იმერთა ამერისაგან,
იყო სროლა და ყივილი აფხაზთა, მეგრელისაგან.
იმ დღეს სიღამემ გაგვყარნა, ევნეს მათ ჩვენგანისაგან.

ნახეს სიქველე ჩვენ-კერძი, შეკრბეს იმ ღამეს, არჩიეს,
მუნ ომი ვეღარ გაბედეს, მთას ასვლა გამოარჩიეს;
ტორნაძად სახელდებულსა მიმართეს, ჯარი არიეს.
ძლევის მომჭირნეთ თამარის მონათა ხელი დარიეს.

გავედით ხიდსა მტკვრისასა, მივჰყევით, დევნა უყავით,
ლიანის ველსა ვეწიეთ, მათ ხორცთა შუბნი უყავით;
სინგარის წყალზედ მივედით, ჩვენ ჯარი არ გაუყავით.
ერუშეთსა და თმოგვს შუა ყრიალი იყო მუყა ვით.

შეიქნა ომი კისკასი, ვით მართებს იმერთ-ამერთას,
ქვეითნიც მწოვედ იბრძოდეს, სამების მიმნდო ამ ერთას,
მეხეთქებოდა ჰოროლი, ხრმალი ხორცთ სჭრიდა ამ ერთას.
ძველთ გოლიათთგანც კმაროდა, რაც ომი იქნა წამ-ერთას.

ომთა სიგრძესა მიეცა ძლევა ჩვენს ბუმბერაზებსა,
დახოცეს, დაიონრესცა, ტყვე ჰყოფდეს გულით ბრაზებსა,
ჩვენს არვის ევნო მის მეტსა, ივანე ცოტად ივნებსა.
მოვედით გამარჯვებულნი წინაშე, ვის მზე იმზებსა.

აქა ამგავი გუზან-ქარელნი შეიყარა თორმეტი დროშა კაცი და მოვიდა კოლას და დახვდა ფანასკერტელი ზაქარია და გაემარჯვა

გუზან წარმწყმედმა თავისა ავს ავი მოუმატოსა,
აწ ამტანელმან კარისამ ვაშლოვნის სახლის ტაოსა,
ქვეყანა შარემანისა დაწვა, სიბრიყვე აოსა.
რეგვენის კაცის წესია საქმე ბოლომდის აოსა.

შეჰყარა დროშა თორმეტი, მოვიდა მთასა კოლისას,
მუნ დახვდა ფანასკერტელი, სცნობ ზაქარიას ომისას;
ამან სძლო ცოტას ლაშქრითა მის ლაშქარს ჭკუა-მოკლისას,
ზოგი ხელთ დარჩათ, იტყოდეს: „უფროსი ერთსა მოკლის ასს“.

გამარჯვებაში ლაშქრისა ჰსუფევდა თამარ ნათელი,
უმაღლეს ყოვლთა მეფეთა, არვისგან არ განათელი,
არვის უნახავს დავსილი მისის დროშისა სანთელი,
სვიანი, გამდიდრებული, უტკივრად მყოფი, კვლავ მთელი.

აქა თამარს ძე მისცა ღმერთმან და მამის სახელი დასდვა გიორგი და ლაშა დაურთო ზედა, რომელი გამოითარგმანების ქვეყნის განმანათლებლად

მრეკელთ გამღებმა კარისამ, მიმცემმა სათხოვარისა,
მომფენმა წყალობისამან თამარ პირ-ბაკმულ-მთვარისა,
ძე მისცა დავითიანი, მსგავსი მისისა გვარისა;
ცა ნათობდა და ქვეყანა, იხარებს მოსაგვარისა.

სიმრავლე ქველის საქმეთა არ ითქმის ასე ადვილად,
გლახაკთ სიმდიდრე მიეცა, აეშვნეს ვინ „ჰყვა პყრობილად,
ქვრივთ შეშრათ ცრემლთა ნაკადი, ობოლნი იქმნნეს დაზრდილად,
ყრმაწული სახელ გიორგი, ალვისა ნორჩი ჯერ ჩვილად.

ლაშა დაერთო გიორგის სახელის მოსამატებლად.
გამოითარგმნა სხვას ენით ქვეყნისა განმანათლებლად.
საქართველო სად კმარიყო უფრორე ასამაღლებლად?
სიმტკიცედ გამამარჯვებლად, სხვათა საზღვართა წამღებლად.

მოვიდა მოსალოცავი სულტანთა, ათაბაგთაგან,
დიდთა ბერძენთა მეფეთა და სპარსთა ამირათაგან,
კმა-სამყოფელი ნიჭი და ტურფანი ძველთა განძთაგან,
ოქრო, მური და გუნდრუკი, ვითა ასმოდათ მოგვთაგან.

აქა ლაშას ბედზედ გალაშქრება და გამარჯვება

ლაშას ბედზედან ვილაშქრეთ და მოვარბიეთ ბარდავი,
ციხე-ქალაქი ავიღეთ, გამოგვითხოვეს არ დავი.
ამდენს ლაშქრობას დაუხვდი, მოყმე გგონივარ რად ავი?
გიორგის თავს შემოავლეს ბევრი ტყვე ჯავრის მდარდავი.

აქა კარსა და აზრუმელზედ გალაშქრება და ანადოლის მიშველება და ომი

ამას შუა არც თვე ერთი გამოსულა, ეს ვილაშქრეთ.
მსწრაფლ წავედით აზრუმზედა, კარისაკენ თავნი ვარეთ,
მოქალაქეთ ციხის მცველთა ყოფა დიაღ გაუმწარეთ,
მას შიგნითი ანადოლი ჩვენად სამტროდ შემოვჰყარეთ.

პირველ დღის ცისკრისა ომსა ულხინა ჟამ მწუხარისა,
დილას მოვიდა ლაშქარი, ვნახეთ გარდმდგომი კარისა.
ცხენ, ქვეითისა რაზმი ჩნდა, აბჯარი საომარისა.
დაჰკრეს ბუკსა და დუმბულსა, ხმა არს სახდელი ზარისა.

რა ნახა დავით მეფემან, ლაშქართა სპათა მისთამან
დასტეხა მსგავსად მეხისა, დაზვლოს მაღნარი ვით მთამან.
რაც მორჩა, ციხეს შეგვასწრეს, იკივლეს ცოლთა მათთამან.
აავსო გზა და სახლები ნაგლეჯმა მათთა თმათამან.

ველარც ციხემან დაგვიდგა, ავიღეთ, ავიალაფეთ,
ხმალ-შემოკრულნი იზახდეს: „ნუ მომკლავ, ხორცსა ნუ აფეთ!“
შერცხვენილნი და კდემულნი მათ ცოლთან გავათავლაფეთ.
გამარჯვებულნი მოვბრუნდით თამარის კვლავ სიიეფეთ.

აქა გელაქუნად განვიდეს, ჩაიარეს ხაჩიანი, ჩავიდეს ვიდრე ქვეყნად ყვარყვარისათა, ბალაყუნი მოარბიეს, ამოვლეს განძის კარი და დიდი ომი იხადეს და გაიმარჯვეს

ოდეს ჟამთა ერთსა შინა შეიყარნეს და გავიდეს
გელაქუნად, ჩაიარეს ხაჩიანი და ჩავიდეს
ქვეყანას ყვარყვარისასა, ბალიყუნამდის წავიდეს.
მომრბევნი, მოთამაშენი გამარჯვებულნი მოვიდეს.

ამოვლეს კარი განძისა, შეიქნა ომი ძლიერი;
გაღანამც გავაქციენით ჩვენ ღვთითა იმათი ერი,
საშოვრითა და ომითა არავინ დარჩა მშიერი.
მოვედით მზესა მეფესთან, ვის ჰქვიან სხვა შარიერი.

აქა მხარგრძელნი ივანე და ზაქარია, ძენი სარგის მხარგრძელისანი, წარვიდეს, რახსის პირი მოარბიეს, და დვანელნი ამგედარელნი სამეკობრედ წამოსულნი დახვდენ, და გაიმარჯვეს

კვალად ლორიდამ წავიდეს ძენი ორნივე სარგისა,
ზაქარია და ივანე, არ მქონე მძიმის ბარგისა,
მათ ჰქონდათ ყოვლი სიკეთის სისავსე ბევრის დარგისა.
ღვთის წყალობა გაქვს, ომის დღეს რამდენჯერ მათ ევარგისა.

რახსის პირი მოარბიეს, წამოსულნი იყვნეს შინა;
სამეკობროდ წამოსულთა ქარავნისად დაეშინა,
დვინელნი და ბაჯანელნი, ამბერდელნი მუნ მაშინა.
რა ესენი შემოჰყროდეს, ამათ ნახვას შეეშინა.

უგრძნობელად შემოჰყროდეს მუნ იგინი ურთიერთსა.
ვის მოწყალე ძალს უბოძებს, მალე მორევს ათსა ერთსა,
დიდს საქმესა ადვილად ჰყოფს და ხანგრძელსა წამსა ერთსა.
ომი დიდი გარდაჰხდოდათ, გაემარჯვა მათთვის ღმერთსა.

აქა ივანემ მსახურთუხუცესმა დავით მეფე აწვია გელაქუნს, სპარსიაზ ბოზორის გორალ ქვეყანასა; და მოარბიეს, აიღეს სიმრავლე ტყვისა და პირუტყვისა შემსგავსებული ქვიშისა

ივანე მსახურთხუცესმან დავით სალაშქროდ აწვია,
გელაქუნს, სპარსის ბოზორის გორლა ქვეყანას აწვია
მორბევად, წარსატყვენელად, უთხრა: „თუ გინდა, დაწვია“.
წავიდა. სრულყო ნათქვამი მუნ, ჩემმან სულმან, რა მწვია!

აიღეს ტყვე, ცხენ, აქლემი, ძროხა, სიმრავლე ცხვარისა,
სიმრავლით შემსგავსებული მდელოთაებრი ქვიშისა,
მათ დედაწულთა ვერ ბშველნი, მოსაგებ იყვნეს იმისა,
ქვეყანას ზარი დასტეხეს მეხებრ მათისა შიშისა.

მივიდნენ სპარსის ბოზორის მოედანს შიგან სულტანის,
ხელი ჰყვეს ასპარეზობას თავით თავამდის გატანის;
ესე არვისგან ქნილიყო ცოცხალთა, არც კვდართ ჩატანის.
ეს ასრე ქნეს და სხვა საქმე მას უკან მოამატანის.

აქა იგი გედკრული რუსი მაშინ, ოდეს ლტოლვილი ხელთ იგდო და არა ავნო და განუტევა, მივიდა ერანს ათაბაგთან და მან მისცა ქვეყანა არანისა; შეიყარა ლაშკარი და მოვიდა ქისიყს; კამბეჩოვანს შიგნით ზინდორი მოარბია, წაეწია მახატელის ძე ხორნაბუჯელი და გაემარჯვა

რუსი მაშინ გაქცეული ხელთ იგდო და არა ავნო.
სადღა მოვა კვლა საბრძოლად ან თქვენ მოსდევთ ავ სად ავნო?
უღურსიძო ბედო მისო, სვე-დოვლათო ერთად ავნო.
არა ხამს, რომ გაგემარჯვოს, ავის საქმის შენ მოდავნო.

მივიდა ერანს მყოფელთან, ათაბაგ წოდებულისა;
უბოძა არნის ქვეყანა, ხელმწიფეთ შემსგავსულისა.
მუნით შემყრელი ლაშქრისა, განძელთა თვით გრძნეულისა,
მოვიდა კამბეჩოანსა შემარცხვენელი სულისა.

მის გარეშემო ალაგი მოარბია და აიღო,
სიმრავლე ნაშოვარისა მუნით დიდძალი წაიღო,

ვეღარ წაბძანდა მშვიდობით, ვერც შინ ნაშოვნი მიიღო.
თუ ასრე გაემარჯოდა, ავად ქნა, ქრთამი გაიღო.

წაეწია მახატლის-ძე, ხორნაბუჯის მჭერი საღირ,
მცირეს ლაშქრით შეუზახა: „შენ ამ საქმეს როგორა ღირ?
ჩემის მეფის მაღლის სვისგან ხმალსა ცუდად არ დაგაღირ!“
რას ვაგრძელებ, სასახელოდ გაემარჯვა, დასო დაღირ.

სანატრელია თამარის მუდამ გამარჯვებულობა,
უხინჯო მისი სიტურფე, შვენება, კვლავ უსულობა.
მინახავს მისთა მჭვრეტელთა შორს ბნედა, შორს უსულობა.
მხეცთაგანც თავის დადება, ვით მონა გაერთგულობა.

აქა შარვაშეისაგან ლომის ბოკვერის მორთმევა თამარ მეფისა

შარვანშას ოდეს ბოკვერი გამოეგზავნა ლომისა,
დიდი შეიქნა ხარება არმაღნად მოსანდომისა.
ივლისის თვესა მოართვეს ლომი მზეს სამისო მისა.
ესრეთ დამონდა, ვით ვამბობ, არ ბრდღვინვით მნდომი ომისა.

მოაყვანინის დარბაზსა საქმისა მოცალებამან,
ჩაუდვის თავი უბესა, არ ბრჭყალით დასალებამან.
ჩვენ გაგვაკვირვა ესეთმან ლომისა მოდედლებამან.
რა გამოჰყრიდეს, ატირის გაყრისა იძულებამან.

ძლივ იპყრობდეს ძალის საქმით იქით-აქათ, ვის ეჭირა.
მყის მივიდეს მოშიშარად ლოშნად მისდა, ვთქვა მეტი რა?
რა მოშორდის, ცრემლთა სჩქეფდის, უნდოდა, რომ ჩვენც გვეტირა.
ლომიც ასრე დაემონა, ჩავაგდო ქალაქპეტი რა!

ძველად სასწაულთმოქმედთა ექნათ, იმათგანც კმარიყო.
არ მისწვდა მისი სახელი, ხმელზედ ქვეყანა სად იყო.
ლაშქრის სიმრავლე, სიდიდე, კმარა თუ ზღვასა არ იყო.
ოთხთა კიდეთა იპყრობდა, თუ ადრე არ მამკვდარიყო.

აქა ერანის მპყრობელი ბობოქარ მოვიდა შირვანს, შარვანშა ალსართან გამიაგდო, და თამარ მეფეს შემოეხვეწა. ამით ილაშქრა და გაიმარჯვა

სრულად ერანის მპყრობელად ჯდა ამირ-ბუბაქარია,
ალსართან შარვაშიანსა უთვალა მან მუქარია.
მოვიდა შირვანს, წაეღო, თან ახლდა სრულ ლაშქარია.
ვერას ავნებდა შარვანშა ლტოლვილი აწ აქ არია.

მოვიდა ხვეწნად თამართან სახლს მეფის დავითისასა.
მათ შეიწყალეს, უპყრობენ წყალობას პატივისასა,
მისცეს ბორჯალი ლაშქრისა, იმედს იდებდეს ღვთისასა.
ილაშქრეს. არვინ დაეძებს კითხვას მოსაათისასა.

სრულ საქართველო აწვიეს, შიკრიკი გაუფრინესა,
ლაშქარი იხმეს ყოველგნით, სასწრაფოდ მოაწვევინესა.
რა ხელი ჰქონდა მაცდურსა ბობქარს, ვინ ის და ვინ ესა?
ვირე შემოკრბა ლაშქარი, არც ერთს დღეს მოაწყინესა.

აცნობეს ბობქარს ნახჭევნელთ, მანც მოაწვია სპარსეთი,
ბაღდადელისა ხალიფას ლაშქარნი დას-და დასეთი.
წავა დავით და ქართველნი, ვით ისრაელნი მოსეთი.
ჯაბანს კაცს შიშით გახეთქდა, ომი შუნ ვნახე ასეთი.

შეკრბეს წინაშე თამარის ყოველნი მისნი ვაზირნი,
სარდალნი, ერისთავები, სპანი ლომ-გულნი და გმირნი,
ამირ-სპასალრის უწინ თქმის ზაქარიასა შემზირნი.
არჩიეს წასვლა; მიმართეს, სხვის არას არ დანაპირნი.

ითხოვეს სიტყვა, დალოცვა გამარჯვებისა, ძლევისა
პირისა მისგან ბრძენისა ტომ დავითისა ლევისა,
წარმძღვანებელი ჯვარისა, ცხოველსმყოფელის ძელისა,
კვლავ დროშა გორგასლიანი, ბაგრატოანთა ძველისა.

წარსრულთა დაიბანაკეს წყალზედა ელეკეციასა.
მუნით ვიარეთ, მივედით სიახლედ სახლ შანქორისას.
თვესა ივლისსა, ხუთშაბათს, თენებას პარასკევისას.
რომელსა შინა ქრისტე ჰყოფს ძლევას ორთავის გველისას.

რა ცნა მეფემ და მისთა სპათ მოსვლა ბობქარის ახლოსა,
გაჰკვირდნენ წინ მოგებებას, სირეგვნეს მის საახლოსა,
გამხიარულდენ მტერისას მალ პოვნას არმის სახლოსა.
სიმრავლემ, ლაშქრის სიდიდემ მტერი მტერს არ ამზახლოსა.

ერთად თურ ექნა აქ მოსვლა ლაშქრისა სიმრავლისაგან.
მეორედ ხევის შეზღუდვით ძალისა სიმაგრისაგან.
რა დაემართოს, ისმინე, რეგვენსა აქ მოსვლისაგან,
მეფის დავითის სიმხნით და სპათა მისთ ლომ-გულისაგან!

მაშინ აღჭურნა მეფემან, შეჯდა ზერდაგსა განთქმულსა,
ომი იხადა ძლიერი, მით ბობქარს შეიქს დანთქმულსა,
გმირთაგან სა [ა] მიანთა, ძველთაგან ამბად თქმულისა,
ჩვენ განვაახლებთ, ვიშოებთ საჯილდოოსა მამულსა.

შეჰკადრებდენ ურთიერთსა სიმხნეს, გამარჯვებულობას,
ძველთა მამათ და პაპათას მეფეთა მათ ერთგულობას,
მოწამეთ ღვაწლის თავსდებას, ტანჯვასა, დადაგულობას.
ქრისტესთვის გვიჯობს სიკვდილი ამაოს აქ სულდგმულობას.

სპასპეტნი სპათა ეტყოდეს, თავ-თავის თავის დამდებნი:
„ამხედრდით ბრძოლის ეტლზედან, მათზედა ცეცხლებრ მამდებნი,
ისტროს ქებისა შემსხმელთა წარვმატოთ ჩვენი საქებნი,
ხელი ხმალს მივსცეთ, სულნი ღმერთს, ვართ სხვის ნუღარას მომდებნი“.

მაშინღა დაჰკრეს სპერი-ჭურს, შეიქმნა რაზმთ წყობილობა,
წინ მბრძოლთა ერთმანერთისა შეტევა, მუნ სირბილობა,
ომი სასტიკი, ფიცხელი, მოყვსობა, არ ძმობილობა.
თავს ლაფი უნდა დაისხას, იმ დღეს ვის ჰქონდეს რბილობა.

გაგრძელდა ომი, მუნ ცხენი ბევრს კარგს მეომარს მოუკლეს,
მაგრა იბრძოდეს თამამად, ქვეითობითა არ უკლეს.
ზაქარიამ და ივანემ მხარგრძელთა გზა შეიმოკლეს,
მიმართეს ფრთოსანს ვეფხთაებრ, ნავარდი არ შემოუვლეს.

ცოტაღა აკლდა ჩვენს რაზმსა დიდის ვაჭირვებისაგან
გამობრუნვება, სირცხვილსა აგართ ერთ სიბევრისაგან.

ვნახეთ იგინი მოსულნი, იმ ხან დავდეგით ღვთისაგან.
ომი იხადეს ძლიერი, ხმა იყო ლომთ ლომისაგან.

მეფეც მოვიდა რაზმითა და დროშა გორგასალისა,
სინდეთს ნაშოვნი ვახტანგის, შემკული ძვირ მასალისა.
იყივლა ხმითა მაღლითა, ვით გული ჰქონდა სალისა.
გაიქცეს მაჰმადიანი, რა სიცხე მიხვდა ალისა.

ისარი სმიდა სისხლსა და ხრმალი შესჭამდა მათს ხორცსა,
მისდევდეს ალაღებულნი, ქართველნი თათრებსა ჰხოცსა,
ერთი იპყრობდა ათსა და ორი ცხრამეტსა, ან ოცსა.
მისებრი გამარჯვებასა სიზმრადცა ვერვინ იოცსა.

მისწვდა ერთის მხრის მდევარი კერძო განძისა შუამდი,
მეორეს რაზმის წინანი მთა-მაღალ გელაქუნამდი.
ჰხოცდეს, იპყრობდეს, მცემელნი ტანს მათსა სისხლთა ბანამდი.
ამაღლდა მეფის სახელი ამ ომით სვე სვიანამდი.

დროშა იშოვნეს ხალიფას ღაზოდრე გამოგზავნილი.
სამი ქალაქი ავიღეთ, სამივ დაგვხვდა კარ-გახსნილი.
ლარ სალარონი, საჭურჭლე ვნახეთ ნაბეჭდი, არ ხსნილი.
ეტლი თამარის ბედისა სიკეთეზე არს ახსნილი.

დაიბანაკეს იმ ღამეს, სად ბობქარ ლაშქრით მდგარიყო.
რდვა სიბევრე ჭურჭელთა, თუ ვსთქვა სიმრავლით არ იყო.
ჩვენი მებრძოლი ჩვენზედა თამამად არსად არ იყო.
ისრემც კარგად ხარ, ის ომი ერთ გამარჯვებად ქმარიყო.

განძას მოვიდა, ქალაქის მუნ მყოფნი მომგებელობდეს,
დიდებულნი და ვაჭარნი ფეშქაშსა მომღებელობდეს,
თაყვანი-სცეს და დალოცეს, თავს ოქროს გარდამყრელობდეს:
„ღმერთმან განაგენ მეფობა თქვენი, მრავალწელ გრძელობდეს“.

ცრემლით მოქენეთ შევედრნეს თავი და მათიანობა,
უფინეს სტავრა ფერხთ ქვეშე, სურნელნი ვარდიანობა.
შევიდა ლაღი ქალაქად, შვენოდა პირ-მზიანობა.
ბძანა: „არ წახდეს ქალაქი, ამათი თემიანობა“.

ავიდა, დაჯდა ტახტზედა, თავს თვალთა გარდაასხმიდეს,
ამირ-მირანს და შარვანშას მის-მის ალაგსა დასხმიდეს.
აწ დარბაზობა შეიქნა, ლხინი, და ღვინოსა სმიდეს.
მეფობისა და სულტნობის მუნ ერთად მქონი დაზმიდეს.

შარვანშას ყმათა ყოვლისა და ძისა ათაბაგისა
შესატყვი ჟამთა ლხინია, შვენის ღიმილი ბაგისა.
მახარობელი გაგზავნა თამარს წინ, მის დამდაგისა,
მანდატურთხუცის ჭიაბრის მის წინ წარგზავნად გამგისა,

საქმე გააგო აქეთი, მიმართა ეტლმან მის მზესა,
მეფედ ხმობილსა დედოფალს, მას ხელმწიფესა ზესთ-ზესა.
შეიყარნეს და ბაგენი ერთმანეთს გაუმაზესა.
იმათი მსგავსი ქალ-ყმანი არ მახსოვს, ვფიცავ მათ მზესა.

მოჰყვა საჭურჭლე ურიცხვი, მრავალი და ბევრჯელ ასი,
დროშა თხუთმეტი ათასი და ერთი თეით ხალიფასი,
იყო უებრო ნაქმარი, არ ითქმის იმისი ფასი,
მურასა გულქანდელთაგან ფრანგთა ნაქნარი მინასი.

ათი ათასი ავაზა, ორმოცი ცხენი ქებული,
არაბთა ჯადბაჯადობით ჩამოსვლით მუხლ ფიცხებული,
შვიდი ათასი ყათარი აქლემი ლარ-კიდებული —
მოართვა თამარს, ვინ არის დავითიანი ცხებული.

დროშა წარგზავნა ხახულის ღვთის-მშობლის სასოებისა:
„ოდეს დორბეზეს ყაისის მანიაკ ყელ-მოდებისა
ამძრცველი მამა ჩემი გძღნობს ცოდვათა დასავსებისა,
მეც ხალიფასა დროშასა შეგწირავ კართაგებისა“.

აჟა მხარგრძელი ივანე მსახურთ ხუცესი გელაქუნელთ მიუხდა, განძელი ლაშქარი დახვდა ვანს მიმავალი და გაემარჯვა

აწღა ივანე მხარგრძელი წავიდა ლაშქრით მცირითა,
მბრძოლი ფიცხელი შუბითა და მერმე ისარ-ხშირითა;
განვიდა გელაქუნელად გულითა მტერთა მზირითა,
ნახა ლაშქარი განძელი ვანს წასვლად განაპირითა.

ლაშქარი დახვდა უფროსი, უმცროსმან აღარ დახედნა,
ამად რომ, იყო გულ-მხეცი, უმრავლეს მისდა შებედნა,
გააქცია და ასწყვიტა, სადგომნი გაუმაედნა,
სილაღე მათი წაუღო, მოამშვიდნა და დახედნა.

აჰა ნუქრადინ საბერძნეთისა და პალესტინისა
სულტანმან ოთხასი ათასი კაცი შეიყარა და
ლაშქრად გამოგზავნა; ფინ ელჩი გამოუგზავნა
თამარ დედოფალს და ეს შემოუთვალა:

იჯდა სულტანი ნუქრადინ საბერძნეთს. პალესტინესა,
უმაღლეს ყოვლთა, ვით მაშინ მონებდენ კონსტანტინესა.
მიესმა საქმე თამარის, თქვა: „ვინ ქალი და ვინ ესა?“
ოთხ ასჯერ-ასსა-ათასსა სპათ შეპყრის მოსაყივნესა.

წიგნი მოსწერა, ეს იყო შიგან წერილი უშვერი:
„მე ვარ მპყრობელი ქვეყნისა, მაჰმადის თითის მიმშვერი;
დიაცთ სირეგვნე მოგიდგამთ, შენ მორჩე მარტო მაშ ვერი;
რად გითქვამს საქართველოსად, გაწყვიტონ მუსურმანთ ერი?

აწ ებძანე ლაშქრის წამოსვლა შენზე და შენს ქვეყანასა,
ვინც მოხვალთ ჩემსა რჯულზედა და მაჰმადს სცემთ თაყვანასა,
ოდენ ის დარჩეს ცოცხალი, სხვანი შეიქმენ ნანასა.
სულ მოსვრა მიბრძანებია, მომკიან ვითა ყანასა“.

მოვიდა ელჩი. გვიამბობს ავს ამბავს საკადრებელთა,
უყურე, სიტყვას რას იტყვის ჩვენ ჯავრით ასანთებელთა,
რაზომ უქნელთა საქმეთა, რა ცუდთა მოსადებელთა!
თქვა: „რჯულს დააგდებ, შეგირთავს, თვარ, უნდა ახლდე მხლებელთა“.

ამირ-სპასალარს რა ესმა, ზაქარიას სიტყვა ესე,
წარმოდგა და პირსა ხელით მწვე უხეთქნა დასაკვნესე,
ვითა მკვდარი ქვე დააგდო ავის მთქმელი, ავის მთესე.
რა მობრუნდა მოციქული, სიტყვა უთხრა უკეთესე:

„თუ არ იყო მოციქული, გიხმსო ენა ამოგართო,
მერმე თავიც გაგაშორო, შენ სულტანთან ვეღარ წართო;

ხორცი შენი დასაწველად ნავთ-მოდებულს ცეცხლსა დავრთო;
ვით იკადრეთ უკადრისი, ძაღლებო და თქვენა ვირთო“.

მერმე შემოსეს ელჩი და გაგზავნეს სიტყვა მწვავითა,
იხმეს ლაშქარი ყოველგნით დარუბან-ანაკოფითა.
შუა-მყოფნი და იმერნი, ამერთ არ განაყოფითა.
ღმერთმან მტერს მისცეს, ნუქრადინს შევიქთ რასაცა ყოფითა.

შემოკრბა ჯარი ჯავახეთს, ვარძიას მივლენ მეფენიც,
თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე, შუქ-მფენიც;
ღვთისმშობელს ლაშქარს ვედრებდა, იქმნა მოწყალე, მომსმენიც:
„ღვთისა დედაო, დამიცევ მე თამარი და ესენიც“.

გაისტუმრა ლაშქარი და ესენია მეწინავეთ,
ზაქარია სპასალარი და თორელნი არ სიავეთ,
ივანე და შალვა, ძმანი ახალციხით; მესხთ უთავეთ
ომზედ დიდსა გასაჭირსა, მოსვენებად არ, საავეთ.

იგინი იდგეს ბასიანს, ბოლოკე წოდებულისა.
ძლივღა იტევდა მინდვრები სიგრძე-განა გაკიდულისა.
დააწყვეს რაზმი ჩვენგანთა, მივლენ დამდებნი სულისა.
ვიხადეთ ომი ძლიერი ძველთაგან დადებულისა.

წინ მბრძოლად იყვნეს იგინი, პირველ ვთქვი მათ სახელები,
იმიერნი და აფხაზნი, მარჯვენი, ცხენ-ფიცხელები,
ამერნი დარუბანდამდინ, მარცხნივ-კერძ თვით კახელები,
შუა დავით დგა ლომგული, მებრძოლი ლომ-თათ-ხელები.

აწ იგინიცა წამოდგეს, ბარგ-კარვები დაუტევეს,
მოეგებნეს და საომრად ერთმანეთსა შეუტევეს.
ომი იყო პირველუმური, გმირული და მართ უდევეს.
გამოუკლეს ჩვენებურთა ქვეშ ცხენები კარგ სადევეს.

მოუკლეს ცხენი ივანეს, მსახურთხუცესსა მხარგრძელსა,
ახალციხელსა ივანეს, შალვას და ბევრსა თორელსა,
დაუდინს თორგველს მხნეს კაცსა, სხვათ თავადთ მუნ იმერელსა.
ქვეითად დარჩნენ რაზმთ შუა, უყურე მათს სიქველესა!

რა ნახეს ყმათა პატრონნი ცხენ-მკვდარ, ქვეითნი მობრძოლნი
გარდახდენ ყმანიც პატრონთან, ზოგთ ხელთ აქვს კიდევ ოროლნი;
გაწირეს თავი საკვდავად, არ ახსოვს ცოლ-შვილ, საყოლნი,
მოუდგენ მათთა უფალთა, იბრძოდეს ისართა მსროლნი.

დავით იხილა მეფემან მხნენი ქვეითად მსროლელი,
მორიდა კერძო მარცხენით ქვეითთა გარ-შემოვლელი.
მუნც ზაქარია მხარგრძელი მარჯვენით იქმნა მომსვლელი.
ქვეითი არ დაეთრგუნათ, ვერ ჰყოფდა კაცი სულელი.

მოუხდენ რაზმთა თათართას, სიმრავლეს მათსა შუასა;
სიფიცხე მათი ამსგავსეს, რა ბარი სცემდეს ბუასა.
ერთი ვით ლომი დავით არს, თათართ აძახებს „უასა“.
იქითკენ ზაქარიამაც მან თავი ერთი უასა.

ვითა მგელნი ცხვართა ჯოგსა, მსწრაფლ მიუხდეს მათ, თამამად
რაზმს აპობდეს სულტანისას, ძლევას ჰყოფდეს ღვთითა ამად,
ამათ ჯვარი სცავს ცხოველი, შერცხვენილი იმათ მაჰმად.
ძალსა მალ გაექცევიან, თათართა სჭირს გვარ-მოდგამად.

განხეთქეს რაზმი, იძლივნეს, სიმრავლით ჰგავდეს მაღნართა,
მუნ ხმა ისმოდა დავითის ვით ლომთა, არ თუ ნარნართა.
შავი ტყე მოსქდა მაღალს მთას, წარიქცევს შამბთა და ნართა.
ჰხოცეს უწყალოდ, უშრომლად, უსჯულოთ, ვით სოინართა.

რომელნი იყვნეს ქვეითნი, აწ ცხენს ასხდეს, დევნა უყვეს;
ღამემდისინ სდევდენ, ჰხოცდენ, ჯარი სულტნისა გააწყვეს;
მობრუნდნენ გამარჯვებულნი, მათ სადგომს ხანი რამ დაყვეს.
კარავსა, სალაფარდებსა შოობდენ, წილით არ გაყვეს.

თუცა არის საქართველო ღვთისმშობლისა წილხდომილი,
აქ გასინჯე საფარველი მარიამის მისი ტკბილი!
ვარძიიდამ წამოვიდენ, საომარად აქათ ვლილი.
არ მომკვდარა ამ ომზედა კაცი მეფეთ შესწავლილი.

აივსო სულად ლაშქარი, რომელ დაჰყარეს კარავთა,
საჭურჭლე პატიოსანთა, სამოსელთ სარა-სარავთა,

ცხენის ჯოგთა და აქლემის შოვნისას ვინა სწერავთა?
განმდიდრებულნი მდიდართა მ̣ოვლენ, ლხინთ ნახვენ არ ავთა.

ამახარობლეს თამარსა ნათელსა მას, უბინდოსა.
ვით სძლიოს მტერმან ბოროტმან წმინდის ღვთისმშობლის მიმნდოსა?
სხვა არვინ დარჩა უძლევი, მიჰმართოს აწღა ინდოსა.
მინახავს ძენი მეფეთა, მის სურვილს დაებნიდოსა.

გარდვიდენ ლიხსა, სუფევდენ, ნადირობდენ და ბურთობდენ;
ამაღლებულნი ღვთისაგან კიდით-კიდემდის ნათობდენ;
ქვრივთა, ობოლთა სწყალობდენ, მებრძოლთა მალ დაამხობდენ;
მონასტრებს აღაშენებდენ, ხატთა და ჯვართა ამკობდენ.

•

მიიცვალა სოსლან დავით მეფე, ქმარი თამარისი,
ცრემლი თვალთა დამიბნელებს, ადგილი ვთქვა სამარისი;
გლოვამ მოცო საქართველო, მწუხარებად მგონ კმარ ისი.
ძაძამ შიგნით მოიქცია ტანი ბროლი, ძარმარისი.

ვაჟი დარჩა, ლაშა ჰქვიან, და მისვე შვილს-ქალს რუსუდან,
ჩვენ ვიქმენით ყელ-დაჭრილნი უხლმოდა და მერმე უდან;
სანადირო ოხერ-იქმნა, უბურთალი მუნ მეიდან;
განიკიცხნეს დიდებულნი, ერისთავი რაჭის ბედან.

ამ დღეს ვინ დააკლდებოდა დიდთაგან მცირის მონამდი?
მეფევ, შენც გული იტკივნე, სულთქმიდი, ცრემლსა მონამდი,
მოსთქვამდი სიტყვა-მჭევრულად, თამარის მოსაწონამდი.
ზარი, ყვირილი ისმოდა გეგუთით მგონი ონამდი.

აქა თამარ დედოფალი გეგუთს იდგა და
მხარგრძელნიცა მუნ ახლდეს. მიუხდა არდავლის
სულტანი ანისს, რომელი გათენდებოდა აღვსებად,
და მოაოხრა, და მოსრა და წარვიდა

დგა თამარ მეფე გეგუთსა, მხარგრძელნიც მასთან ხლებოდენ,
სცნა არდავლისა სულტანმა, პაემანსა სცა ეგოდენ;
მხარგრძელთა ანის არყოფნა მისთ სპათ ეიმედებოდენ,
ანისს მიუხდა დიდ-შაბათს, არ ითქმის, რაც მათ ვნებოდენ.

აღდგომა გათენდებოდა ქრისტეს მეუფის მხსნელისა,
მოადგა ციხის გალავანს, კარის გაღებას ელისა;
დარეკეს ცისკრის ზარებსა შესაკრებელად ერისა,
გაახვნეს ყოვლგნით გალავნის, ვა ჯავრი, კართ გამხმელისა!

შეკრბა ერი ეკლესიად, ვით წესია ქრისტიანეთ,
ლაშქარიცა თანვე შეჰყვა, იზახოდეს: „მიატანეთ,
რჯულ-მყრალებო, ამოგვწყვიტეთ, ზოგი ცხენქვეშ დაგვატანეთ,
გაგემარჯვათ ვით გინდოდათ, ჩვენი სისხლი გაიტანეთ“.

ერთ-ბევრი და ორ-ათასი კაცი ეკლესიას დაკლეს,
ქალაქსა და ფოლორცს შიგან, ანუ გარეთ ვინცა მოკლეს,
ჰეროდემ რომ ჩჩვილნი მოსრნა, უფროსი ქმნეს, არ მოაკლეს.
მაგრამ ლომი ზაქარია პასუხს უზამს ჭკუა-მოკლეს.

ახალ-კვირასა აცნობეს მეფეს და მხარგრძელთ დასტურად,
დაჭმუნდა მეფეც, ყველანი, მაგრა იგინი მეტურად;
ამზადდენ მათზედ სალაშქროდ არ ცუდ-სომხურად, ტურტურად,
ზაქარიამ თქვა: „სულტანო, ვერ გნახო, შემქენ ცოლ-ტურად“.

მხარგრძელთა ჰკადრეს მეფესა: „გვეწივნეს საქმე ბოროტნი,
ჩვენის ცოდვის წილ მოისრნეს მუნ მყოფნი, ვერსად მეოტნი“.
თამამად გამოარჩივეს, არ სიტყვა მიროტ-მოროტნი:
„აწ სად წაგვივლენ არდავლით სულტანნი ხრდალნი და ბოტნი.

ვესავთ წყალობას ღვთისასა და მერმე ცხოველსა ჯვარსა;
აწ შენ, მეფეო, უბრძანე მზადება შენსა სულ ჯარსა,
მზას იყოს ყოვლი ლაშქარი, ჩვენი საჯო ეს არსა;
რაჟამს გაცნობოთ, გვიბოძეთ, როს დაგირეკოთ ჩვენ კარსა.

ნაცვალი ვაგოთ, სიცრუვე მათი მათზედა მიიქცეს;
თუ ბევრნი წავალთ, გვიგრძნობენ, ვაი თუ სხვაგნით გაიქცეს;
როს რამაზანი დაუდგეს, მთვარე სიახლედ მოიქცეს,
მაშინ გვიბოძეთ ლაშქარი, მეჩიტში სისხლი მოიქცეს“.

ისინი ანისს წავიდენ, აქ ლაშქართ იწყეს მზადება,
ასრე მზას დადგენ ყოველნი, უნდა თუ ლაგმის ადება;

წასვლა გვიხარის, არ გვინდა სირცხვილის თავსა დადება
დაუდგათ რამაზანი და ჩვენგან ცეცხლისა მოდება.

წარმოავლინეს მეფეს წინ კაცი ლაშქრისა მთხოველი
სომხითარნი და სრულ მესხნი, კახნი, არ დიდო ფრთხოველი;
ქართველნი არ გაიტანეს, იგრძნობსო, ამას მოველი.
რაც მათ ეთხოვნა, გაგვგზავნეს ჩვენ ჯარი იქით ყოველი.

მივედით ანისს, იგინიც დაგვიხვდენ მზას, და ვიარეთ.
ისწრაფდეს ადრე მოსვლასა და ჩვენცა არ ვიუარეთ,
გარდავვლეთ გელაქუნის მთა ჩვენის სამზღვრითა მათ არეთ,
განვედით ხაფურის ხიდსა, არ გარე შემოუარეთ.

რამაზნის მარხვა გავიდა, გათენდა მათი აიდი.
არეზს აქათს რომ არბევდი, გაბრძანდი, აბა, იქ მიდი!
ასრე მოვსწყვიტნე თათრები, ხანსაც იმდენსა დაზმიდი!
თუ ეს ჰქნა, ნაძლევი მოგცე, რასაც გინდოდეს, მიზმიდი.

ხმა ყო ქადაგმან ბილწისამ ქადაგებისამ მათისამ,
გახშირდა მუყრთა ყივილი, ბილწებო, ღმერთს რად არ ისამ?..
მუნ ვესტუმრენით ასეთ დროს, ვეღარ გააძღოს არისამ.
სისხლი ადინოს ღვარული, პასუხმან მათ საკმარისამ.

შემოუტიეს მხარგრძელთა და სრულ ერთპირად ლაშქართა,
ეცნეს ანაზდათ ქალაქსა, სიფიცხე გვქონდა ვით ქართა.
როს გაუსწორდათ დღე-ღამე, ამტვრევდენ, სჭამდენ შაქართა,
აუკრეს ხელი მონათა ლანგრებს, სინ — მათ — მინაქართა.

იგდეს ქალაქი ხელთა და თვითან სულტანი ცოლ-შვილით;
აივსნეს საშოვარითა და ოქროს სრულის საჭურჭლით;
აფთხოფდა ზარი ჩვენისა მაღლისა ხმისა ყივილით,
ზოგს ცრემლნიც ჩამოსცვიოდა მათის მოთქმისა ჩივილით.

სულტანი მოკლეს, ცოლ-შვილი ტყვე-ყვეს და წამოასხესცა;
მუნ ამოსწყვიტეს სიმრავლე, სისხლი მიზგითას დასცხესცა.
მათი საჭურჭლე, ცოლ-შვილი მათსავ ცხენებზედ ასცხესცა.
იქ საშოვრისა სრულად თქმა არ ძალუც ჩემს უხუცესცა.

აღივსო ჩვენის ქვეყნისა მცირეცა მონა ვერცხლითა,
შესამოსლითა ძვირითა, სტავრა, სარასალ, ნახლითა,
თვალითა, მარგალიტითა, ოქროს ხალასის ცეცხლითა.
მეფეს მოართმენ სამისოს, მადლს ბრძანებს ენა-მერცხლითა.

ციხე-ქალაქი მათ ბევრი უბოძა, მეფე უხვია,
ზაქარიას და ივანეს ხელთ მისცა, არ წაუხმია,
მხიარულითა პირითა, არ არის გულით წუხია.
სომხები თუ გამოექცეს, რას გიკვირს, თხისგან-უთხია.

აქა ზაქარია ამირსპასალარმა და მისმან ძმა ივანემ მსახურთუხუცესმან
და გაგელმან მეფეს თამარს ხორასანზედ ლაშქრობა გამოურჩევეს
და მეფემაც ალაშქრა ყოველნი და ერანი დაარბიეს

მოვიდნენ სამნივ მეფეს წინ, მათ მოახსენეს: „ძლიერო,
ხელმწიფევ მზის შარავანდო, უმჯობევ, უნათლიერო,
უფროსო ხმელთა მპყრობელთა, ღვთისაგან თქვენ მადლიერო,
გიხილავს თქვენ სპათ სიკეთე, მძლეველო შენ მათ მიერო.

იპოებიან შენს ჯართა არსად არ წინააღმდგომი,
ბძანე ხორასანს ლაშქრობა, უნახოთ მათი სადგომი,
სახელი შენი განვფინოთ, არ ვიყვნეთ ცუდად დამდგომი;
ვინ დაგემონოს, ვიყურნეთ და დაგიმონოთ გამდგომი“.

დაემორჩილა მეფეცა რჩევასა მასთა მონათა,
განათლდა პირი მთვარისა, სულ არე-მარე მონათა,
სიტყვა აღმოთქვა სიბრძნისა ყოვლთათვის გასაგონათა,
არ საწუნარი ბრძანება, ყოველთა მოსაწონათა.

მოუწოდა წარჩინებულთ და ყოველთა დიდებულთა.
ჰკითხა რჩევა მხარგრძელთაგან მათ მამაცად დადებულთა.
სთნდა ყოველთა მათი საქმე თავბოლომდის კიდებულთა.
დაასკვნეს წასვლა ყოველთა ჯერ ნუზლ არ აკიდებულთა.

შემოიყარა მეფემა თბილისს, არ საქულბაქეთა,
ანაკოფიას მოღმართი და დარუბანდთა აქეთა,
ხორასანსა და ერანზედ სარბევლად მუნ სალაშქრეთა.
თუ საქნელად კი კმა-იყო, თქვენც ჩემებრ კარგა აქეთა.

ხორასანს მეფემ ალაშქრა ზაქარია და ივანე,
მეც მათ თან ვახლდი, ვიშოვნე მრავალი, აწ გაგიმეღავნე.
ტყუილი მეთქვას, დამარქვი თქვენ დათო, თქვენი მდივანე!
თუ ხახლს ეძებ და წაბრძანდი, იქ მიდი, იქ დაივანე.

შემოკრბენ არეს სთვლისასა ყოველნი აბჯარ-კეთილად.
ნახა მეფემან, ეკეთა, ჰქონდა მას მისად წადილად.
უქო მის ყმათა სიმხნისა ვით ხმალი ებათ კეთილად.
უბძანა: „წადით ხორასანს, დღეს აემზადეთ სადილად“.

პირ-ბედნიერმან დალოცა დროშა, ლაშქარი ყოველი:
„შენ გაუმარჯვე ჩემს ჯარსა, მე ამ წყალობას მოველი,
დამიმხევ მტერი ხილული, უჩინო კვლავ სამოველი,
მე, ქვე მეთრევი, გონების თვალით წინ შენსა მოველი“.

შეევედრა მასვე ვარძიას ღვთისმშობელს დროშა, დალოცა:
შენ, სულგრძელისა მშობელო და მოწყალისა მალოცა,
შენ თუ მამხედო წყალობით, მტერი მყის დამიბოლოცა,
რა გინდ ძნელ საქმეს შევმართო, უცოდნი გამიკვალოცა“.

წავედით ნახჩუანის გზას, გავლეთ, მივედით ჯუღასა.
სხვაჯერ არვის რა აწყინეს, აზავრებს ჰხოცდეს ბუღასა.
ხან საქვეითო გზა მოგვხვდის, ფეხთა ვიცმევდით წუღასა.
სადაც მივიდით, იტყოდეს სიტყვას ცრემლთ ასადუღასა.

ხუთას რჩეულსა გვიჩინეს მთავრად თმოგველი თაყადინ:
„წინდაწინ ამბის შეტყობად ვირემ ჩვენ ვსცნობდეთ მანამდინ,
თუ ვინმე დაგხვდეს, რას ჰქვიან, შეებათ მოსვლათ ჩვენამდინ?“
თქვა ზაქარიამ: „უჩემოდ ცხვირთა სისხლთაცა ნუ ადინ“.

მარანდის ძთაზედ ავედით, მარანდელთ გვითვალწუნესა.
ხუთასი კაცი ვიყავით, გვიმცრეს, მით გვიძაბუნესა;
შემოგვიტიეს სასტიკად, მათს მუსაფს ჩაუსუნესა.
ხუთასთავ შუბი დავასვით კაცთა და ზოგმა ჰუნესა.

ვის შუბი ესვა, დავსეტყვეთ, სხვათ უკან ვსდიეთ ხოცადო,
ამოსულიყვნეს ჩვენნიცა ლაშქარნი იქ არ მოცდადო;

ენახათ მკვდარი, ზედ სმოდათ შუბი ოცდახუთ-ოცადო;
ჩვენ მკვდარი, ვერცა ცოცხალი ვერ გვპოეს, უჩნთ საოცადო.

გაჰკვირვებოდა ლაშქარსა ჩვენი ვერ პოვნა ვერც ერთის,
მუნ ზაქარია მხარგრძელი მწუხარებასა შეერთის.
რა ჩვენ მივედით ნადევნი, ჭირს სიხარული დაერთის,
ჯერ გვიწყინა და მერე თქვა: „წყალობა არის ესე ღვთის“.

მუნით წავედით: მივედით ქალაქსა თავრეზის კარსა.
განჰკრთეს და ზარმან აიღო, თრთოდეს, იტყოდეს: „ვინ არსა?“
დიდებულნი და ხოჯანი გვძღნობდეს ძღვენს დასამშვიდარსა,
ოქროს და ვერცხლსა გვიყრიდეს მათის სისხლისა მსყიდარსა.

ძვირფასი თვალი მოჰქონდათ და მარგალიტი მრავალი,
ცხენები ჯოგი-და-ჯოგი, შორის გზისათვის სავალი;
სხვა ფარჩა, შესამოსელნი მათი და სხვათა ნავალი,
საზრდელი კმა-საყოფელი, პირუტყვი ჩვენკენ ნავალი.

სხვა არა ავნეს, წავიდნენ, მცველნი დაუგდეს ქალაქსა,
მცველთა უბრძანეს: „ნუ უჭერთ სამართალთანა კვლა ბაქსა,
ანგარიშს გამოართმიდეთ ზარბაბებსა და საბაქსა,
ჩვენ წავალთ ხორასანზედა, მათ ჩვენი ხმალი მალ აქსა“.

წავედით და გავიარეთ ადარბეგი, მივალთ მანსა.
ცნა მელიქმა მანისამა, ვერ დავყოფო მეო ხანსა;
თავრეზელებრ მანც მშვიდობა მოითხოვა, ჰყოფს ხვეწნასა,
ოქრო-ვერცხლი, ქვანი ძვირნი მოუმატა მან წინასა.

მანიც დააგდეს მშვიდობით, მივედით ქალაქს ზანგანსა,
ალიზის ზღუდე მაღალი გარევლო არ ერთსა განსა.
გაგვიმაგრდენ და გვესროდენ ისარსა, ვითა საგანსა.
რაც რომ შეეძლოთ, ეცადნენ, თავს გარდმოგვკრევდენ არგანსა.

განყვეს თემ-თემად ქალაქი ზღუდე გარშემო სათხარად.
კვლავ ზაქარია გაჯავრდა: „მე გამიმაგრდა ეს თხა რად“.
სამ კერძო იმერ-ამერნი და მესხნი იყვნეს სამხარად.
უწინ მესხთ ზღუდე შევჰხვრიტეთ ნაშენი ხორად და ხორად.

ვიწყეთ ხოცა მოქალაქეთ, საშოვრითა დავიტვირთეთ.
კვლა სხვათაცა გადმოსტეხეს, ხოცა ხოცას ზედ დაურთეთ;
დავაქციეთ სრულ ქალაქი, ხორცი მათი უხვად ვფითეთ;
სხვაგან თუ სამ გაგვაჯავრეს, მათი საქმე დაუთითეთ.

აქათ ვიარეთ, წარსრულთა ყაზმინს მივედით დღე შვიდსა,
ვერ წინაღვიდგეს, ივლტოდეს, არც ჩვენ ვყოფთ მათ დასამშვიდსა.
ქარიზი ძაღლით აევსოთ, არ წყალსა ვსვემდით სახიდსა.
თვალ-მარგალიტსა შოებდენ მრავალსა, არვინა ჰყიდსა.

კაცს არ ავნეს, სრულა ტყვე ყვეს, აწ ხორასანს წარემართნეს.
გურგენისა ქალაქამდის, შენს მტერს მისცეს, რაც დამართეს;
მოაოხრეს, ამოსწყვიტეს, ასე საქმე მოუმართეს.
ქართველთაგან ძნელი არის ხონთქრისაგანც კმარა მართ ეს.

ასრე ვიარეთ, ეს გზობა ვერავინ წინა აღგვიდგა,
ვერ ხორასნისა სულტანი, ვერ ერაყისა მოგვიდგა;
ქალაქთა გამაგრებულთა და ვერცა ციხემ დაგვიდგა.
რა წამოვედით, უკანა მდევარი ვერ წამოგვიდგა.

იქითგამო წამოვედით ღვთითა ესრეთ, გამარჯვებით,
საშოვრითა ურიცხვითა, სიხარულით, ლხინით, შვებით.
კაცი ვინმე მოსულიყო მანს მელიქთან ხელ-ჩაშვებით:
„ამოსწყვიტეს ქართველნიო, აწ შეიქენ ცეცხლთა ვსებით.

მოვიდა დიდი სულტანი გილანით, წინ გარდაუდგა,
სულ ასრე მოსრნა ქართველნი, აღარც ერთს სული არ უდგა“.
რა მართალს ამბავს დასჯერდა, ორნივე თვალნი დაუდგა,
მან შეიჯერა მელიქი, წინარ და წინარ წაუდგა.

მელიქმა მცველნი დახოცნა, რომელნი ჩვენ დაუდგინეთ,
ერთი მათგანი გადურჩა დამალვით, აწ მას უსმინეთ.
აწ ჩვენ მივედით, მელიქი წინაშე წარმოვიდგინეთ,
თუ შევაჩნიოთ ტყუილი, სულ ყველამ მას შეაგინეთ.

ზაქარიამ მოიკითხა: „მცველნი თქვენნი სად არიან?“
თქვეს, თუ: „თავრეზს წავიდენო, ამად აქ აღარ არიან“.

მან მოართვა შუა-ზამთარ ყვავილები, ია, რიან:
„ამად ვჰპოვე ამ დროს ესე, დარი იყო აქათ მზიან“.

რომელი დამალულიყო, მოვიდა კაცი ჩვენთანა,
ამხილა მელიქს ნაქმარი, ვით დავითს მაშინ ნათანა:
„მცველნი დახოცნა ყოველნი, მე მოვრჩი ერთი მათთანა,
რად ამოგვწყვიტე, თათარო, რა იყავ შენ მაგისთანა?“

რა ისმინა ზაქარიამ, საზარელად შემოჰყვირა,
შეუზახა: „შენ ძაღლ-რჯულო, ესე ასე შენა ჰყვი, რა?“
— გაგულისდა ასრე გვარად, ყოვლი კაცი გააკვირა:
„აწვე მოგსრა სახლეულით, არ გადროო ერთი კვირა“.

ვეღარა თქვა რა შემცოდემ მელიქმა, ცრუმა, მანისა.
დაჰკიდეს ძელზედ, დაარჩვეს, მას უყვეს შესაგვანისა.
სრულ მოაოხრეს ქალაქი, უფრორე, რაც ვთქვით ანისა.
ყოვლს დამნაშავეს მეფეთას მაღალმან შეანანისა.

მუნით ლარ-წამონაღებთა არ იყო რიცხვთა შეგება.
ჩვენ სპარსნი ვერ შემოგვებნეს, თქვენ ლეკიც ბევრჯელ შეგება.
თავს მაშინ უფრო იქებდი, თუ ასე ხმალი შეგება.
მაშინდელს საქმეს ვერ სწორავ, ახლა კარგი ხარ ეგება.

მასვე გზასა წამოვედით, კვლავ გვძღნობდიან უურიცხვეს,
ძლივ მოჰქონდა სრულ ლაშქართა, გამორთმევა არ დაირცხვეს;
მასპინძლობის სიხარულით პური უწინ გამოიცხვეს!
ზოგთ მშვიდობა დაუტოვეს, უფროსთ სისხლი ხმალთ მოიცხეს.

რა მოვედით თბილისს-ქალაქს, მეფე დაგვხვდა მხიარული,
დაგვიმადლა გამარჯვება, ეგზომ გრძელი სიარული;
ბუკ-დუმბულთა ზარისაგან აღარ იყო თვალთა რული.
დაჯდა ტახტსა, მიულოცეთ ხმა-ნარნარი, კარგ-უსული.

მოვიდენ ყოვლნი თავადნი, დასხდეს მის წესით სელებსა.
მუნ არმაღანთა სიმრავლეს ვინ იტყვის მაშინდელებსა?
მიიღებდიან წინაშე უცხოსა თვალ-ნათელებსა
შუქნი ჰკრთებოდეს, ვით მზესა, მას პირსა არ ნაბნელებსა.

ღმერთსა ჰმადლობდეს გლახაკნი, ყოველი მუნ პოვნიერი,
ლაშქარი გამდიდრებული, აავსო მხნენი, ძლიერი;
უბოძა მის-მის საფერი, საქმე ქნა მან მის-მიერი.
შვება სამუდმო შეიქნა, მეფე ზის პირ-მშვენიერი.

აქა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის მხარგრძელისა, მიიცვალა და მის ძმას, ივანეს, მსახურთუხუცესსა, უბოძა ამირსპასალაროგა

ძე სარგის ამირსპასალრის, თვით ამირსპასალარია,
იგ ზაქარია მხნე კაცი მართალი, ვითა ლარია,
ზნესრული, საღვთოდ-საკაცოდ ყოვლითურთ უკლებარია,
გარდაიცვალა. კვლავ მეფემ ლაშქარი არა არია.

გაღანამც მეფეს ეწყინა, სრულ საქართველო იგლოვდა,
მისსავ ძმას·მისცა სარდლობა, ვინ მტერთა მისებრ სისხლს სწოვდა;
მან იუარა: „არ ღირსვარ, მე მის სახელსა ნუ მძღნოვ და.
ვინ მის სახელსა მიზახდეს, მე უნდა მისგან მრცხვენოდა.

მე მის სახელსა ار ვღირსვარ, პატივ მეც ათაბაგობით,
აქ არ ყოფილა, მაგრამე სულთანთ ჰყავს გამზრდელ-მამობით;
ამით განდიდე წყალობა შენ ჩემზედ, ბრძანე არ გმობით,
შენით სვე-ბედით ადრე ვყო მე შენი მტერი ხმალ-სობით“

აქა დიდონი გაუდგეს თამარ მეფესა, ივანე ათაბაგი გაუსივა, ხადის მთაზედ ავიდა; ისე მთა-მთა ჩაიარა, მიუხდა, და გატეხეს, დაამძევლა და გამარჯვებული მოვიდა

დიდონი არის მოსავი ეშმაკისა და ძაღლისა.
დაუწყეს რბევა ფხოველთა, უფროსთათ მქნელთა ძალისა.
განუდგეს მეფეს სიბრიყვით, აღარ მომცემნი მალისა.
იქ გაუსივეს ივანე, მათ დაიმონებს მალ ისა.

ათაბაგს ლაშქრად აახლო სახლი ყოველთა მთიულთა,
დვალნი, ცხრაზმელნი, მოხევე, ხადელნი, ცხავატიულთა,
ერწო-თიანელთ ყოველთა, არ ჩაუგდიათ იულთა.
აღვიდეს მთას ხადისასა მუნითგან იქით წასულთა.

წავლეს მაღლის მთის თავები აღმოსავლეთათ სიგრძეზე,
მარცხნივ დაურჩათ ძურძუკი, თუშეთი კვლავ მარჯვენაზე.
მოვიდა მეფე ძურძუკთა შემოსამატად ლაშქარზე;
დიდოთ მიუხდენ, მაღლიდამ თავსა წაადგა ესე ზე.

დაწვეს, ავად მოარბიეს, შიგ დაუყვეს მათ სამი თვე,
ივნის-ივლისი ორივე, მესამე აგვისტოსითვე;
მძევლები მოსცეს, ბეგარა პირველისავე წესითვე.
მოვიდნენ გამარჯვებულნი, აბა თქვენც ისე აღიმსთვე.

სხვას მორჭმა-დიდებულობას ქართველთ ცხოვრება მოგვითხრობს,
მისის ჟამისა შენობას და იმას აქათ ვით ოხრობს,
მუნ სიხარულსა მის დროსა, შემდგომად ვით გლოვს, ვით ოხრობს.
სასუფევლისა შოვნასა ქრისტეს წინ მას ვინ წაუსწრობს?

მას ვით მონდა საქართველო, ეგრე თავი ვინ გიხარა?
შიშიც ჰქონდათ, წყალობითაც ყოვლმან სულმან გაიხარა;
მის ჩამოის მის გვარშია უმჯობესი შენვე ხარა,
აქანამდის ჩემი სიტყვა ხამი იყო, აწ იხარა.

მზე უღრუბლო დაგვიბნელა მოწმენდილი, აწ ბინდ არი,
სვე-სვიანი გარდიცვალა, მწუხარება ჩვენზედ არი;
მაშინ მყოფთა ყოვლთ პატრონთა უმჯობესი, არვის მდარი,
აღარ დაჯდეს მის ტახტზედა იმისთანა, იმის დარი.

ვირემ ის მყვანდა ცოცხალი, მანამდის ვერ მითხარ ესა,
მუნ მყოფთა მასთან რად მეცა სამარე არ მითხარესა?
გული დაუბამს ურვასა, ნაღვლის სმას უმწუხარესა,
მხედავ ოხერსა, მით მიზამ საქმესა გასამწარესა.

გმართებს ჩემი სიბრალული იმისივე ამარისა,
მერმე ბინდად გარდაქცევა სხივ-შვენება სამ-არისა!
რა საჩინო დაგვიფარა, ვაი ჯავრი სამარისა!
ბრალი იყო წასახდენად პირი მნათი თამარისა!

პასუხი მეფისა მეჩვიდმეტე

კარგად ბძანე ყველაკაი, მაგრა თავი რით იმართლე,
ბევრი ვქენო საშოვარი, მოვარბიე მე საფართლე.
სიტყვა-ბრძენმან მელექსემან რა აანთე, რა განათლე?
შენ გითქვამს და აწ მეც ვიტყვი, ვინ გამოვჩნდეთ უუმართლე?!

მითა ვთქვი ჩემი დიდება, მერმე ჭირი და სარჯელი,
ორივ გონებას მისტაცებს კვლა მეფობის სჯა, სასჯელი.
შენ ვით განმართლდე მაგითა, მესხი ომობს და კლარჯელი?
თქვენ თამარს გვერცა ახლავხარ, იგ გიზის პირად ნათელი.

ბასიანის ომი რომ თქვი, იქ თქვენ სად იყავ მაშინა?
თამართან არ იბღუნძოდი ოძრიხესა, ვითა შინა?
რა გინდ ბევრი ყოფილიყვნენ, აგრე ვითა შეგეშინა?
ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა თუ სიხრდლემ აგაქშინა!

შენ ეგ რას გიშლის ლექსის თქმას, გვერთ უზი, ვინ მზეს სწუნარობს,
გავხარ ბულბულსა, ვარდისას ჩირგვს ზიხარ, ჭიკჭიკს მგონარობს,
იძახის ფერად-ფერადად, მისად სამკობლად ონარობს,
შეჰფრფინავს ყოვლი სასმენლად, იგ ასრე მოსაწონარობს.

ბევრი გითხარ ჩემი საქმე, აწ ამასაც ყური უგდე,
რადგან სიტყვა ამიშალე, ამად ესეც არ დაგიგდე,
სხვათ ნაქმარი საქმეები პასუხად სთქვი, თუ ამიგდე?
სხვას ღონესა ნულარ ეძებ, კარი მაგრა წამოიგდე.

პასუხი რუსთველისა

თქვენც არ ბრძანე მაგისთანა ომები, რომ თქვენ არ იყავ?
სხვასაც ბევრსა დავხდომივარ, დიდ ლაშქარსა ვითარ იყავ?
ამას ბრძანებ, რად არ მოჰკვდი ან ლახვარი რად არ იყავ, —
ეგ ვერა ვჰქენ, ბატონი ხარ, რაც გერჩიოს, მუქფად მიყავ.

პასუხი მეფისა მეთვრამეტე

ეს როდის გითხარ, არ მოჰკვდი, უღვთოდ ვინ თავსა მოჰკლევდეს?
ეგ ჭკვათმყოფელმა ვინა ქნა, თუ არ ეშმაკი დასძლევდეს?

მაგრამ ლექსის თქმას რას გიშლის, შენს შორს ვინ ვისმე აძლევდეს!
ბატონი ხარ თუ სარდალი, ეგ სხვას საქმესა ნაძლევდეს.

გამგონეთ გაბრჭონ მართალი, ვის მართებს, დარჩეს ნაძლევი,
არ გამოგართვა, რასა იქ, შენ ჩემი შემონაძლევი?
ეა თუ ზამთარმა მოგისწრას, შემოდგომა გაქვს დამლევი.
ვინ გვაბაასებს, ის არის შენის სისხლისა დამლევი.

ჩემნი ნაქნარი წინანი გითხარ სარჯელი ამადა,
გარჯა, ჯავრი და ნაღველი ცნობას წაუბვამს ავადა,
გულს ჯანგად ასრე მოეკვრის, ვით ოქროს შავი სავადა.
ბოლოსიც გითხრა ყოველი, საქმე ვინ გამითავა და.

მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს?!
მძლავრისა მტრისაც კიდევე ერთს რასმე გზასა გაიღებს.
თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მოიღებს,
ვინ გარდაჰკიდებს ამათა, ჩემთ სისხლით ხელსა შეიღებს.

სახლთხუცესი და სუფრაჯი, განაყოფი სახლეული,
კარგნი კაცნი, კარგნი ყმანი, ნამსახური და ერთგული,
ვინ იმათში ჩხუბს დასთესავს, წაუწყმდება იმას სული,
ამით წავხდი, ღმერთს გარდაის დავრჩი ასრე სახლ ეული.

სახლთხუცესი რევაზ იყო, კაცი სრული ყოვლის ზნითა,
სამღვთოთა და საკაცობოთ, მერმე ჭკვითა მწვე დამზნითა,
ბიძინაცა კარგი კაცი, გულმართალი, ტოლივ ხნითა.
მათ ოთხ-ოთხი შვილი ჰყვანდათ, ერთი დაკალ, მო დანითა!

ცუდი რამე სიტყვა ითქვა, ამად ჰკადრეს უკადრისი,
რევაზისგნით არა თქმული, სუფრაჯის შვილს მანდა რისი;
დილას ცხენით კარს მიუხდა, ავ საქმედ ა საკმარისი,
რევაზ გავა ახალუხით, უმჯობესი სავარისი.

უბრალომ კაცმან რა იცის, თუ ავს ვინ რასმე უზმიდეს?
ცხენი ჰკრა რევაზს ფარემუზ, სხვას ვერას ვერ მოურთვიდეს.
შეიგნეს ჯართა, საშველად ყველა იქ შეკრბა, მივიდეს.
აღარ მიუშვეს, გაჰყარეს, მოსული ისევ წავიდეს.

გავაბრჭევ, დავსხი სრულ კახნი, არ მარტო ეს პაატიო,
სუფრაჯს დაედვა სახლთხუცის არ სისხლი, საუპატიო;

უთხრეს ეს: „მოგცეს მამული და ზოგი ჩვენ გვაპატიო,
ჩვენ სულს ქვეშ ამას მიმხვდარვართ, აწ გინდა დასვი რატიო“.

აღარ იქნა გაშველება, უფრო ჩხუბი გაძლიერდა,
კახნიც შუა გაიყარნენ, დიდნი, მცირნი, სულა ერ და,
ზოგი მისკენ, სხვა ამისკენ, ვაჟკაცები, ან ვინ ბერდა.
რევაზ წუხდა მის საქმესა, მხიარული არვის მზერდა.

იოთამ და ზაალ ორნივ ხან აქ იყვნენ და ხან იქა,
მოვიდიან, წავიდიან, დაგმობდიან, ავად იქა,
გულმართალი კაცი ყველა უზრახევდა, უფრო მიქა.
ამ ჩხუბმა და მათმა წასვლამ საქმე ასრე გააქიქა.

როსტომ მეფე შეიყარა, საომარად მოვა უღლის,
ეს გზა იმან რა იცოდა, ან გაწევა ჩემის უღლის?
ვიცოდი, რომ არ შეეძლო მას შემართვა ისრე შუღლის,
ბოლოც ამან გამითავა, გაწყვეტა ხამს აწ საუღლის.

თიანეთს ვიდექ შეყრილი, რაღაც რამ ყმა დამრჩომოდა,
ბიძინამა თქვა: „ერწოზედ მოვლენ, აქ ვიყო მეო და,
მე ნახევარი ლაშქარი მიბოძე, მივეშველო და“.
ამბობს რევაზის ქიშპობით, მტერობა დაეჩემოდა.

უთხრეს ბიძინას: „რას ამბობ, რას ჭკუით მოგიყვანია,
ახლა ლაშქრისა გაყოფა რას ჭკუის შესაგვანია?
შენ ჭკვათამყოფი რად ამბობ მაგ სიტყვას, ვითა სვანია?
აქ კარზედა გვითქს ლაშქარი, ვერა ვართ ათისთავნია“.

მან თქვა: „აქ მოვჰკვდე რევაზთან, იქ წახდეს ჩემი სახელო,
რისთვის ვიქ მაგას, რა არის, დამრჩება არ სასახელო!
ეგ თავისას კი ინახავს, მე ჩემი რად გავათხელო?
ეგ თუ თიანეთს მოუარს, მე ერწოს წავალ მით ხელო“.

რაღას მიშველის, კარს მტერი მომადგა ჩემს უმძლავრესი?
წამართვა შვილი, ლაშქარი, საქმე ქნა ავს უარესი;
დავრჩით თუ კაცი ათასი, არა ვართ მტერთ საკმარესი.
რა კაი ვალი დამადვა, გაუწყრა საბა ლავრესი.

ესენი ერწოს წავიდენ, ისინი უღლის ჩოადგეს.
მოვიდა კაცი: „მოვიდნენ, თუ ბატონი ზის, მო ადგეს!“
შევსხედით, რანიც ვიყავით, მეთოფეები წინ წადგეს.
მუნ რევაზ არის სარდალი, თავს მუზარადი დაადგეს.

ყარაულმან თქვა: „ვიაროთ, თვარ მოვლენ უღლისს უწინა,
თუ მოგვისწრობენ, არ ვარგა“, — ეს სახლთხუცესმა უწყინა,
ეს ავადა ქნა, ჯებირზედ მეთოფე არ დაუდგინა.
წავედით, იმათ მოგვასწრეს, რევაზ რა ნახა, აგინა.

წადგა რევაზ მეთოფებთან, ასროლინებს, არიგებდა,
ბრუნავს ჯარშიგ ხმალმოწვდილი, ქარქაშიგან არ იგებდა,
ერთხანს ჯარი უკუფანტეს, ჩვენი შუბსა მათ აგებდა,
გათამამდეს და ისროდეს, ვირე ამას შეიგებდა.

გაგრძელდა ომი, რევაზს ჰკრეს ორი ფინდიხი ტყუბადა,
შვილებს უთხრა, თუ: „მაცალეთ, მე ბატონს ვნახავ სუბადა,
მივალ, წინ წამოვაყენებ, სისხლი ვადინოთ გუბადა,
ღვთით გამარჯვება ჩვენია, წინ წარვიქციოთ ჯგუფადა“.

მოვიდა რევაზ თამამად, მითხრა: „ძლევა შენიაო,
მაგას ჯარს ნუ დაახედვებ, უჩემობით შენიაო,
წინ წაუდეგ, ვარდი მათი მოუყინე, შენ იაო,
შენმც კახეთს ნუ მოეშლები, ოხერი თუ შენიაო“.

მოვიდა, ხელზედ მაკოცა, ვიდრეღა იყო სულდგმულად,
მითხრა: მინახავ პირ-ნათლად, როს ქრისტე დაჯდეს მსაჯულად,
შენ ღმერთმან დიდხანს გაცოცხლოს გამარჯვებული კარგრჯულად“,
გაბრუნდა, საცა თოფი ჰკრეს, მუნვე გარდახდა სიკვდილად.

რა ლაშქარმან დაინახა, რევაზ ცხენით გარდავარდა,
ვინცა ნახა, ერთმანერთსა უთხრეს, ყოვლგან ხმა დავარდა,
დაგვიმარცხდა, გამოიქცნენ, ერთი თოფიც არ გავარდა.
რა ზურგები დაგვინახეს, მათი ჯარი ზედ მოგვარდა.

ვეღარ დაუდეგ თიანეთს და ჩაველ შიგნით კახეთსვე,
მომყვეს უკანა ესენიც, მაშინ წამიხდა სრულა სვე.

ხისიყსაც ხმა დაგვივარდა, ამბობდეს ლაშქრის მოსვლასვე,
დათუნა იქით გავგზავნე, მტერს ხმალი ვეღარ დავასვე.

აქათ ესენი მოვიდენ, ხისიყს მოუხდეს ყაზახნი,
ამას ვინ ახლდენ მაგდენი სხვა, არ თუ ისევე კახნი?
მაგრამ რაც ახლდენ, ყველანი მამაცნი, გულითა მკვახნი,
სრულ ვაჟკაცები დაგროვდენ, არ იყვნენ ბევრ ომ-ნანახნი.

შეუტიევეს იმავ წამსა, ქვეითობას არ აცალეს,
ვინ ვის წინა გაასწრობდა, ან ცხენს ვინ ჯდა უმუხლმალეს,
ხევი დახვდათ შუაზედა, მათ თოფები ზედ დასცალეს,
ცოტა ვინმე გაუვიდა, სხვანი ცხენით გარდასცალეს.

ჩემი შვილი ხევს ასლოდა, სხვას მეთოფეს შემოჰყროდა,
შუბი ეკრა ამას მისთვის, იმას თოფი დაესწრო და,
ეკრა გულსა, ჩამოეგდო, ვაი, რას დროს შევესწრო და!
თვით მოკლეს და ყმანი კარგნი იმ დღეს მასთან მოესროდა.

ბიძინა დიასამიძე მიუძღვა მეწინავესა,
უცხოფრად თურმე შეიბა, ელიას გულად გავ ესა.
ერთი შვილი მყავს, რად ვჰხირი, უყურე ჩემს სიავესა?
რას სამზღვარზედან მამიკვლენ, სამართლით ვისა დავესა?

ქაიხოსრომ მაყაშვილმან, მან სუფრაჯმა დედოფლისამ,
წამოსულმა სხვასა ჰკითხა, მოიხოცა მან ოფლი სამ:
„ბატონისშვილი მორჩა, თუ მოკლა საქმემ ამ სოფლისამ?“
უთხრეს: „მოკლეს, ეს მოიღო უსაზომომ რისხვამ ღვთისამ“.

თქვა: „მოკლეს დავით თათართა, დედოფალს ვით გაუცხადო?
ამას იქით მე სიცოცხლე ჩემი ღმერთსა აღარ ვხადო;
მივბრუნდები, შევაკვდები, მგონ, სირცხვილი მოვიხადო“.
მიბრუნდა და შეცააკვდა, სასახელოდ თავი დადო.

იესეცა სახლთხუცესი ამასვე იქს მორჩენილი,
ვირემ იარაღთ დაუდგნეს, სცემენ არვის დარჩენილი.
ბევრი მოკლეს, სხვა დააგდეს, მათგან ლახვარ-დაჩენილი,
მერმე თვითანც ზედ შეაკვდენ, რაზომ იყვნენ თავჩენილი.

როსტომ მეფეა ძე მხევლის და არა აზნაურისა,
სვიმონ მეფის ძმის, დავითის, შვილი, გვარ ჩვენებურისა,
მას დედოფალი დათ ხვდება, სვიმონით მამეურისა,
მხევლის ნაშობმა მეფემან საქმე ქმნა ბედაურისა.

აღარ იყო სხვაღა ღონე, დედოფალი ნახავს ძმასა,
მოვიდა და შეეხვეწა, შეიხვეწებს ძმა მის დასა,
იმერეთის გზის მოცემას ემუდარა, არა სხვასა.
საქმე მან ქნა მოსაწონი, უქებდიან ყველა მასა.

უთხრა თურმე დედოფალსა: „ღმერთმან იცის, არ მინდოდა,
თუმც არ ვღირსვარ, მაგრამ თვით ვარ მე ძმა თქვენი და შენო და,
ჩვენსა შუა ჩხუბის მნდომთა თქვენგან უნდა, რომ შენოდა,
ამათთანას ღვთის მგმობართა ჭკუისმყოფი ვით ენდო და?

არა ქნეს იმ ღვთის მგმობართა, ურცხვინოთ ფიცის მტეხართა,
თქვენ აგიყოლეს ჩემზედა სამტეროდ, მათ განახართა,
აწ ზურგი შემოგაქციეს, გრქვიან „აქ ნუღარა ხართა“,
ესენი მხიარულობენ, ჩვენ გვხედვენ ორთავ მწუხართა.

ახლა რა გიყო მის მეტი, გზას მთხოვ და მომირთმევია,
ვინ გარდმოგყვების თქვენი ყმა, არავინ წამირთმევია,
არც შვილის-შვილებს გიხსენებ, არა ვარ ავ სადევია,
ქართველთა შემოგაფიცებ, სახერხო არ ურევია“.

ქართველნი წამოაყენა და შეაფიცა მტკიცეთა:
„ჩემგან აღარა ევნოს რა“ თქვენ ასრე დაუფიცეთა.
კათალიკოზი აახლა: წინ მძღოლად გზები მისცეთა.
ამ ყოფით წავალ იმერეთს, იქ უნდა თავსა ვიცეთა.

როსტომ ამტკიცებს შენს სიტყვას, მტრის მორეულის ყოვნებას,
არ სიკვდილს მორეულისას, სადაღაც უნდა გაშვებას;
საბოლოოდაც იხედავს, ვერ ხედავს კარგად ჩვენს ვნებას,
თუ ჩემთვის ბოლო მოეღო, ჰპოებდა ვერ მოსვენებას.

თუ დავესრულე სრულობით, ასრე ჩნდა საქმე ბოლოსი,
მასაც ხელს ჰყოფდა ყაენი, მოეხმაროდა არ ოსი;

ის ჩემდენს ვერ გაუძლებდა, ვით მოთხე ტანისამოსი.
ასრეა, მე დამიჯერე, მიხვდების კაცი სალოსი.

რა მივედით იმერეთსა, ჩვენი საქმე მათცა ნახეს,
მოვიდეს და მოგვიტირნეს, მათცა სულთქვნეს ჩვენთან, ახეს;
ცოცხალთ საზდო, მკვდართ სამარხი ყოვლიფერი მოგვინახეს,
დაგვიტირეს გულმწუხარედ, სასიცოცხლო შეგვინახეს.

დამრჩა ოთხი შვილისშვილი: სამი ვაჟი, ერთი ქალიც,
სულ უფროსი ხუთის წლისა, ცქვიტნი, კარგნი, მუხლად მალიც,
ყმაწვილურად თამაშობდეს, ხან საქციელ განაკრძალიც.
სულ უმცროსსა მეფემ შვილად ზრდა დაუწყო, არს ობოლიც.

ვიყავ გლოვაში წლამდისი, გათავდა წელიწადია,
დადიანს დაეპატიჟა, მეფემაც ბრძანა: „წადია“.
წაველ უფრორე ამისთვის, სხვა საქმეც რამე მწადია,
ბატონისშვილი მამუკა ხელთა ჰყავს, ვინ არს დადია.

ოდეს ლევან დადიანი აქ ლაშქრითა მოსულიყო,
თვით გიორგი მეფე ხელთა დაერჩინა, მგონ კმარიყო,
მას თავი დაახსნევინა, მობძანდა და მომკვდარიყო,
აწ მეფისა ალექსანდრეს საქმე მისგან წამხდარიყო.

იყო ამათში მტერობა, ყოვლთ მტერთა უბოროტესი,
მიხდომ-მოხდომა, ხმლისა კვრა პირისა, არა კოტესი.
აწ აქვს დადიანს მეფეზედ ძალი მწვე უუმეტესი,
დადიანსა აქვს ნარჩევი პაატა, წუწკი კუტესი.

აწყა კიდევ მოსულიყო და მამუკა დაერჩინა,
დაეშინა შუბი, მაგრამ სალამაზოს მოერჩინა,
არ მოეკლა, წაეყვანათ, ოდიშს კარგად დაერჩინა,
ჩემს მისვლაზედ დაეტყვევა, ეს წუწკ კუტანს გაეჩინა.

წაველ, მინდოდა მამუკას შუამავლობა, აშვება,
ამათი გარიგება და იქ ნადირობა, აქ შვება.
დადიანს ჩამოვიყოლებ, სულძაღლი არ მოეშვება,
წუწკი არ მისცემს თავს ხელთა: „რას ჰქვიან, არ გაიშვება!“

მიველ, ვნახე დადიანი, უტირე და მომიტირა.
მას ცოლ-მკვდარსა, მე შვილ-მკვდარმა, მიუმჩიენეთ მწარედ ვირა,
ჩვენმა შეყრამ, მოთქმის ხმამან მუნა მყოფნი გააკვირა,
სიტყვა ისმა იქით-აქათ, თქვეს: „რუსთველი გაავირა“.

რა გარდავსწყვიტეთ ტირილი, კვლა იმანც მოიფოქოლა,
წავედით სანადირროდა, ტყეები ვრეკეთ მუნ ჟოლა,
შემოლობილთა დადგომა, გრძლად ტყეთა ჯილგის მიყოლა.
ჩვენ და-ძმათ შვილთა გვიხარის ერთმანეთისა თან-ყოლა.

პაპა-ჩემსა ალექსანდრეს დავამსგავსე მშვილდოსანად,
მშვილდისა და ისრის სიგრძე სისხო ჰქონდა ვითა მანად;
სამამაცო ყოვლი საქმე ბევრი სჭირდა კიდეგანად,
მაგრა ვერცხლის-მოყვარება გულსა ესვა, ვითა დანად.

ლხინი მიჩვენა კარგები, სალაროს კარი გამიღო,
ვნახეთ ტურფანი ეგზომნი, მე ანგარიში წამიღო:
მურასა იარაღები უანგარიშო, საჯიღო.
გამოველ, ჯაზაირი და ერთი სამოგვე მამიღო.

ვეცადე მათს გარიგებას, გამეწყობოდა რითაცა,
ხვეწნით და შემუდარებით, კვლა ფიცით მისით რითა ცა.
ასეთი სიბრძნე უამბე, მოამშვიდებდა გმირთაცა,
წუწკი ეტყოდა პაატა: „ამდენი სიტყვა ვით აცა?“

მან მიზეზი უარისა მითხრა ცუდი ბევრი რამა,
რას უჯერა ერთს კუტს კაცსა, ან შეიპყრა ისრე რამა?
რა შესცოდა მაგისთანა, შვილს მოუკლავს მამიდამა?
საქართველოს დაასუსტებს, ასე უღვთო საიდამა?

თუ ისინი შემერიგა, რაც მინდოდა, მას ვიქმოდი:
ორთავ ბევრი ლაშქარი ჰყავს, გამივონე, ახლოს მოდი,
ვალაშქრებდი ჩემს მტერზედა და ბოლოსაც დავაქმოდი.
არ იქნა და მეც დავეხსენ, ვერ ავიღე ჩემი მოდი.

ამად მინდა მათი შეყრა, ის ძმა იყო და იგ სიძე,
ეს არი იცი, ვით ძმა არის დადიანი, ან ვისი ძე?

მე ძმის-შვილი ვარ, ის დისა, შუაზედ ღობე ისი ძე.
დარეჯან მამიდაჩემი და დავით მას გაუბიძე.

არ გაერთდენ არას საქმით, ორთავ ბევრჯელ შევეხვეწე,
მათი საქმე დაკორდვილი რაზომ წმიდად ჩამოვხვეწე,
გარდავსწყვიტე მათით ღონე, ახლა სხვაგნით გარდვიხვეწე.
ვაიმე თუ ვერც რამ იქ ექნა და ცუდადრე წავეწეწე!

თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართომს,
ბევრია რომ ღმერთსაცა ჰგმობს, პირში სულსაც ამოართომს;
მამუკასა თვალებს დასწვავს, კარგს ვაუკაცსა, არ თვალ-სადგომს.
მერმე მოჰკლავს დიდის სარჯლით ციხესა და ერთს ავს სადგომს.

არ მომიკვდა მე გიორგი, მეფე ზრდიდა რომელს შვილად!
ჯერ ყმაწვილი ხუთის წლისა, უსუარი, ისრევ ჩვილად.
კრულმცა არის ჩემი ეტლი, არ მამესწრო პაპას ზრდილად!
ჭირი ჭირზედ დამეტმასნა, თავს გარდავსდებ სასიკვდილად.

ვთქვი, თუ: ეტლი უკუღმართი ჩემი ბრუნავს მუდამ ასე,
არ მაჯერებს იმდონს ავსა, რომელ ათსა უფრო ასე.
რაღაც დარჩა სასიკვდინე, შენ ლახვარი მე დამასე,
რად არ მამკლავ, რად გინდივარ, დამაბერე, დამანასე!

ძნელი არის გამოშვება, რა შეიპყრობს კაცსა ჭირი,
უკუღმართის ჩარხის ბრუნვა მაგრა ექმნას მონაჭირი,
ლხინი, შვება, სიხარული მისთვის იქმნას გასაჭირი.
ასე ძნელად მოურჩება, გალამაზდეს ვით დუხჭირი.

თუ მოსავალი არ მოვა, კალო რით გაილეწება?
უბრალოდ ვინმე შემომკრავს ლოყას, გამიხდეს ლეწება,
მარჯვენეც უნდა მიუპყრა, საქმე ექნა შესახვეწება,
როდეს ის ბადე შეიპყრობს, მას ვერვინ გარდეხვეწება.

რასაც ვამბობ, კარგად სინჯავ და გაარჩევ, ვიცი, კარგ-ავს,
ეტლმან მიპყრა კირჩხიბისამ, ჩემთვის კარგი არასა გავს.
მას მოისთვლებს მემუშაკე, ძირად რასაც ნერგსა დარგავს.
თუ ვერ ვირგებ ამ სოფელსა, ღმერთი მუნ არ დამიკარგავს.

სვე და ბედი გარდმეხვეწა, ვხედავ სხვაგან განაქცევსა,
სახელმწიფო დამეკარგა, ვსვჭრეტ ოხერსა, მონაქცევსა;
თვალთა ჩემთა ცრემლთა ხშირად შიგან ვცურავ მონაქცევსა,
ჩემთ საყოლთა სიკვდილისგან არ მოველი მონაქცევსა.

ორნიღა დამრჩენ ძისწულნი, რამე ვქმნა, ამას ვგონობდი,
ვთქვი: ერთს რუსთ მეფეს მივართვამ, წინაშე მიუძღონობდი,
ეგება კარგად მომიხდეს, თათართ წილ იმას ვმონობდი;
თუ ორნივ ჩემთან ვამყოფო, ავად მომიხდეს, ვღონობდი.

რაც მყვანდა, ყველა თათართა წამართვეს, მივეც თუ ნებით,
იგ მეტად ავად მამიხდა, ჭკუითა ვქმენ თუ ცთუნებით.
ურჯულოთ წილად მორწმუნეს აწ ამას დავემონებით.
ერეკლე რუსეთს გავგზავნოთ, ხელმწიფეთ მოსაწონებით.

შვიდს წელიწადს მოვიცადე, კიდევ რასმე შევეცადე,
მაგრამ ბედსა უკუღმართსა ასე რიგად დავებადე:
ვერა ვირგე მე მათითა, ღმერთს ამ სვეზედ დავებადე.
აწყა რუსეთს გავემზადე, იქით წასვლა დავიქადე.

ახლა ვსთქვი შვიდის კრებისა, მამათა წმინდათ დასება,
სჯულის სიმტკიცე ნათლისა, მით მიერ შეიმოსება,
სარწმუნოება მართალი მუნითგან დაეთესება,
ჯერკვალთა, დრკუთა, მწვალებელთ ოდითგან ეყო დავსება.

ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კვლავ სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ, დადაგულსა.
ამ დროს ლექსი ვით გავაწყევ, ძლივღა მხედავ მე სულდგმულსა?!
მუნ „მაჯამას“ შეყრილს ხედავ, არ იქი-აქ დაკარგულსა.

ეს ვეჭობ შენცა იცოდე, კაცს რას დროს სიბრძნე უწესებს!
ოცდათს წელიწადს იმატებს ძალ-ჭკუას, ცოდნას დას-დასებს;
ორმოცამდისი დადგება, არ იკლებს, ამად ითავსებს,
მერმეღა წავა კლებაზე, ოდითგან ვეღარ ისავსებს.

დასტურ თქმულა, სიკვდილამდის კაცი ცოდნას ხამს იწვრთიდეს,
მაგრამ მოუძლურებული ჭაბუკისდენ'ს ვით შესმიდეს?

თუ უცოდნი დაიწვართოს, ზოგი წვრთნილი დაავიწყდეს.
მე ეს დრო და მწუხარება შემომესწრო, ცრემლი მდინდეს.

ვითხარ სალექსე დროები აროდეს არ შემომესწრო,
ან მოსვენება მენახა, ან ჯავრისათვის დამესწრო,
მაშინ მნახევდი თამამად, თუ შენთვის მე არ წამესწრო!
ხელმწიფეს ვნახავ, თანხლება ვის გმართებს, შეგრცხვეს, არ მესწრო.

პასუხი რუსთველისა მეთპრამეტე

მე მაგისთვის ვსთქვი სულ სრული, დროც კაი მქონდა, ხანიცა,
ვინ ბედმან დასცა მიწადა, მერმე სვისაგან ხანიცა,
სალხინო ანუ საჭირო გულისა მოსაფხანიცა,
ტარიელ თუცა ვარდსა ჰკრეფს, ეკალიც ხანდახან იცა.

შარგალიტი მაშინ სწორი შეიქნების, რა ეს მოჰხდეს,
სადაფს პირი გაჰპობოდეს, სწორად ცვარი მრგვალი მოხვდეს;
ავი ქარი წვეთს არ სწყვეტდეს, თუ გაწყვიტოს, ის კი წახდეს,
მრუდს იეფად სყიდულობდეს, ობოლს ვერვინ დააფასდეს.

პასუხი კვალადცა მეფისა

ხანგრძლად სხვათა კართა ყოფა კაცსა ცეცხლად მოედება,
მუდამ მოყვრის პურის ჭამა საყვედურად დაედება;
რა გინდ რომე არა აკლდეს, მაშინც გაუგემურდება,
ველარ გასძლებს შემოცდასა, ამად სხვაგან გარდეგება.

მამეწყინა ამდენს ხანსა მე მოყვრისას პურის ჭამა,
აწ მივმართე რუსთ ხელმწიფეს, ვინ მწერს „ხარო ჩემთვის მამა“.
განვლე ზღვა და ხმელეთიცა, მამაწყინა ხანთა ზმამა.
მისი სიტკბო, თავდაბლობა კაცს ვერ უყოს ვერა ძმამა.

მიველ, დამიხვდა ხელმწიფე დიდისა მოწყალებითა,
სამართლიანი, რჯულ-მტკიცე, სხვათ მეფეთ უმაღლებითა;
დიდად პატივმცა, შემიტკბო გულითა მუნ მდაბლებითა,
ვითა მართებდა მამასა, შვილურად ალერსებითა.

პირველს ნახვაზედ არ ადგა, ხელს ვჰკოცე, თავსა მაკოცა,
დამსვა მის ახლოს, ალერსით სიტყვები კარგად ამკოცა;
მამიკითხა და სიტყვითა თვალთ ცრემლი ტკბილად მამხოცა,
თუ ღმერთს სწადს შენი სასჯელი, არ წახდეს, არ დაგამხოცა.

მეორეზედ კვლა მიმიხმო. მიველ, იჯდა თავის წინა,
ადგა ტახტით, მამეგება მე ხელმწიფე კარგა წინა,
ხელი მიპყრა, მერმე ბრძანა: „ეს მმართებდა მე უწინა,
ამად ვერ ვჰქენ მაშინ, რომე დიდრონს რუსებს არ ეწყინა“.

ამიყვანა თავის ტახტზედ, დამსვა, შუღლი არ შეგვექნა,
დავითისა ნათესავსა ვიცი ბოლო არ დაექნა;
არ ვღირსიყავ, გული ჩემი შემიწუხდა, ვითა მექნა?
რადგან ისრე მოინდომა, ან მე რაღა ძალი მექნა?

მოაღებინა ვახშამი და შეჰყვა წვრილადა სმასა,
უცხოდ თავმდაბლად მამეპყრა, ვით ჰფერობს ტახტზედ დასმასა.
მუხლ-და-მუხლ უჯე, თუ ვღირსვარ პირსა მის ფეხთ-მტვერთა სმასა.
რაც გარდმხდომოდა, მკითხევდა, მე მოვახსენებ აწ მასა.

მიბძანა: იმედი გქონდეს, ილოცე, ღმერთს ეხვეწეო“.
მე ლაშქრის მოცემა მინდა, მით მისკე გარდვიხვეწეო,
არც დრო მაქვს საქმის მოცდისა, სიბერით დავიხვეწეო,
ვერ მოვიცადე, წამოველ, ვეღარ ვიშოვნე შემწეო.

ვნახე სიდიდე უფროსი, სხვა რაც ხელმწიფე მენახა.
მიბოძა ბევრი სალარო, რა უყო, რად შემენახა?
შენად სასმენლად გიამბე, რასთვის არ ისმენ შენ ახ ა?
აშთარხანს მოველ, მომირთე, სოფელო, ვაი შენ ახა!

სამოცდათის წლისა ვყავ, როს რუსეთსა გავემართე,
წაველ შორეს ქვეყანასა, ზღვა-ხმელეთსა დავემართე;
რაცა მწადდა ღონისძება, იგ ვერცერთი ვერ მოვმართე,
ცუდ-მაშვრალმა, დაღალულმა ისრევ იმერეთს მოვმართე.

აშთარხანს მოველ, საზარო ამბავი მაშინ მომესმა,
აწ ნულარც შენ შემიბრალებ, გულსა ლახვრისა მომე სმა,

მწუხარებისა საწდევსა სამსალით მმართებს მომე სმა!
ყოვლი იმედი გარდმიწყდა, რად, ღმერთო, ძისა მომე სმა?

შიამბეს, თუცა ძნელია აწ ჩემგან კიდე სათქმელად,
მაშინ მივჰქონდი ღელვასა უფსკრულთა მე დასანთქმელად;
ნათელი თვალთა დამიშრტა და გარდამექცა ცა ბნელად,
აწ ამას იქით მეშველმან მიშველოს მედა მწვე ძნელად.

პირველ ჩემს ყმათ გაეგონათ, დასტეხოდათ მწარე ზარი,
მოევაჭრათ ღვთის რისხვის დღე, გაეშალათ მათ ბაზარი,
ყოფა ექნათ საკვირველი, გაეკვირნეს მით ხაზარი.
რა მე მითხრეს, დასამხობი ამოუშვეს მაღლა ზარი.

მოცვიოდიან საზარლად, მაგრამ დავაზრდი ვერასა,
თავსცემით პირსისხლიანნი იგლეჯდეს თმათ და წვერასა:
„ვაი დაგვსია ნათელი, მზე არ ჩანს დანაწვერასა,
გული დარია ლახვარმა, არა გვჩხვლეტს დანა წვერასა“.

დამიჩოქეს, შემომზახეს მაღლის ხმით და ცრემლთ დათხევით:
„ჰე, მეფეო, მოგკდომია, ვის უჭვრეტდი სამოთხე ვით,
პაპას ბიჭი ახალ ნორჩი, ჯერ არ სრული მაღალს ხე ვით,
ზღვას დაუნთქმან პატრონ-ყმიან, არ დამრჩვალან მცირეს ხევით“.

გარდავიქეც მასვე წამსა, ამის სმენა ვით გამეძლო?
გულიც მქონდეს მაღნიტისა, მის ჩამოღმა ან გამეძლო?
მასვე წამსა მობრუნება ჩემი არვის არ შეეძლო.
გამოვემხვე ყოვლს ქეთილსა და დამეხშა ვითა სასძლო.

ცოტად რითმე მომაბრუნეს თვალ-ფახული, გულ-დნობილი,
ვთქვი: „რა რისხვა მამევლინა, ესდენ ვიქმენ მე ცნობილი?
კვლავცა მითხრეს საზარელი სიტყვა ერთად შეწყობილი.
ავიოხრე, მადლი ვჰკადრე, ვინ ქალწულის არს შობილი.

ვჰკადრე: ღმერთო, კურთხეულ არს გაგებული შენი ნება,
მაგრა მამხვდა სიბერის დროს უხოიშნო დიდი ვნება;
მით მეწია რისხვა შენი, ვერ ვათავე შენი მცნება.
სულს ნუ წარსწყმედ, ხორცს გაჰყარე, სხვაღა ღონე არ ექნება.

ეგზომ ცეცხლში გამომდნარსა, სთქვა თუ, რაღა დაეწოდა?
არ თუ ჩემი ყოფილიყო, სხვის ვისგანმე მომეწოდა,
შვილისშვილად არ მყოლოდა, შვილობილი დამეწოდა,
მაშინც ხამდა სიკვდილზედა ზე სიცოცხლე დამეწო და.

არ მინახავს მე მისთანა არც ჩემი და არცა სხვისა,
თვით მნახავი ბევრის კარგის ვარ, როგორცა დღის ავისა,
არსად მახსოვს იმისთანა მენახოს და ვჰკითხო ვისა?
თუ ეს ვისსა შესწრებოდა, შეჰნერწყვიდა მის რამინსა.

მისნი მნახნი მას იტყოდეს, ნაშობია მო ის რისა?
ხედავ, ჰკრთება სხივი მზისა, ვით ისარსა მოისრისა,
გულიც გექონდეს ალმასისა, დაჭრა მისგან მოისრისა.
ვარდი ვარდსა დაუჩაგრავს, ვითა ხელით მოისრისა.

სხვა მისებრი ცხენოსანი, ვის უნახავს მოისარე?
ვით წავიდის მხიარული, მჭვრეტელთ გულს ჰკრის მო ისარე,
ჯერ უწვერულს პირსა მზესა წარბ-წამწამი მოისარე,
ყოვლთ სულდგმულთა სატურფალო, მსწრაფლ გული რად მოისარე?

ხორცი უმანკო დაიცევ, სული მით გაგწრფელებია,
მკლავს ძალი ამჟამ ურკენი გულ-მაგრობ, გაგსალებია,
ფიცხელნი ფერხნი, კისკასნი, სიკეთე არსად გკლებია,
სხვა ამის მეტი რადა ჰყავ ოხერი პაპა-ბებია?

თუ პატიჟი სიკვდილს აწვევს, მაშ სად არის, რად არ მოვა?
რაც მყვა, ყველა დამიხოცა, მე, გლახ, მარტო მისთვის მპოვა;
ყმანი ჩემნი დიდებულნი შემომძარცვა, შემომძოვა,
მწიხნა ფიცხლად საწერტლითა, გაუძღომლად სისხლი მწოვა.

მეფეს ექნა საკვირველი გლოვა დიდი მეტის-მეტით,
გამცხადებელნი მოვიდენ, სულ იმედ-არ-გარდაწყვეტით.
ვიცი ჩემთვის ურგებია, მამიშინე თავსა კეტით,
აწ ერეკლე წამომგვარე, სულ არა ხარ ამოწყვეტით.

მეფის ელჩებიც გავგზავნე და ჩემიც თან გავატანე,
ხელმწიფეს ვსთხოვე ერეკლე, სათუო არ დავატანე.

მწუხარებისა კანკალი ჩემს გულსა ხორცსა ვატანე,
რაღაც წამომყვა რუსეთით სალარო, თან მოვიტანე.

მოველ იმერეთს, დამიხვდა კვლავ მკვდარი დედოფალია,
თუ გზას ვჰკითხევდი კამათელს, სულ მამდის ავი ფალია;
მართ დაჰკდომოდა ლუარსაბს, მიწათა დანაფალია,
დამტირებელთა ვიტირებ, ჭირისა მე უფალია.

აღარ ვიტყვი მაშინდელსა, ეგებ გული არ გეტკივნოს,
ვით გაუძლო ამ საქმესა, მიწაც ვინმე გამარკინოს?
წყეულმც არის ეს სოფელი, თუ კიდევე არ მერკინოს,
ნაძლევი ვარ, ამის უფრო თუღა ვინმე დამაკნინოს!

აჟა ლევან დადიანის სიკვდილი და მეფის ალექსანდრესგან ოდიშისა და გურიისა და აფხაზეთის დაპერა

დადიანი მომკვდარიყო, მეფეს ეპყრა ლიხს იქითი,
სულ აეღოთ ციხეები რუხ-ნაქალაქევ-ჭაქვითი,
სალარო თან წამოეღო ცუდ-მუდებსა მას იქითი.
აფხაზეთიც დაეჭირა, სრულ სვანეთი საქვეითი.

ვამიყ იყო დადიანის ბიძაშვილი, არ მის გვანი,
ის დაესვათ დადიანად, ვინ არს ლიპარიტიანი,
ბატონობის შეუფერი. ვითა დვალი, ანუ სვანი.
ვერ მოევლო ოდიშისთვინ, გლახას მართებს რცხვენოვანი.

კვლა დადიანსა ძმისწულნი ჰყვანდა მამუკა, ლიპარი,
წასრულიყვნეს როსტომ-ხანთან, მოეხმარა მას ლაშქარი,
როსტომ-ფაშას, ათაბაგსა, კვლა იმასაც მისი ჯარი,
ქაიხოსრო გურიელი და ერთპირად ოდიშარი.

შეყრილიყვნენ მეფეს ზედა, ამათ ექნათ ერთპირობა,
მოსულიყვნენ ბანძას, მაგრამ მეფე წყალს კი გაესწრობა.
მეფე მარტო იმერელთათ ხლმითა ავად მიეპყრობა.
გამარჯოდა სასახელოდ, საქართველო მით ეპყრობა.

უწინც ჰქონდა, ამ ომს უკან დაეპირა უფრო მაგრა,
დაეხოცა ორგულები და ზოგი კი დაეჩაგრა;
სამღრთო საქმეც ახლა ეწყო, სინანული მოესაგრა,
აწ მარგებდა უსაცილოდ, არ დასცალდა ხანი მაგრა.

როსტომ მეფეც მომკვდარიყო, ვახტანგს ეწყო ქართლის პყრობა,
ყაენმა სიყვარულითა უწოდა შანავაზობა,
კაცი მხნე, ზნეობიანი, სიფიცხით ვით ავაზობა,
მამაცი, კარგი სარდალი, კარგად იცოდა რაზმთ წყობა.

ამ ხანად მეფეც მამიკვდა, ვეღარ გასძლო წელიწადი,
ჭკუათმყოფი დიდად ტირან, ეძახოდეს, თუ: „სა წადი?
საქართველო დაემხობა, მტერთ მიხვდება სულ საწადი,
ჩვენ წახდენად ქვე დაგვყარენ, შენ სუფევის ტახტსა ადი“.

მეფე მოკვდა ლიხს იქითსა, საქართველოს თან ჩაიტანს,
ალაღდებიან თავადნი, ერთი-მეორეს აიტანს,
ერთი-მეორის სიკვდილად მოვა, ამხანაგს მოიტანს.
ერთმანერთს ხოცა დაუწყეს, თავს აშორვებენ მო ი ტანს.

წამოდგა მეფე ქართლისა და ვამიყ დადიანიცა,
იმერეთზედა ილაშქრეს, მთიდამ ალაღდა სვანიცა;
დამოყვრდენ, შუა გაიყვეს მთა-ბარი, შუაგანიცა.
მო, ისიც გითხრა, ვამიყის საქმენი შეუგვანიცა.

მე დავრჩი ყოვლგნით ოხერი არგვეთს, ციხესა სკანდისას,
ვამიყთან როგორ მივიდე, პურს ვსჭამდე უხლმოს კაცისას?
ქართველს ბატონსვე მივენდევ, მისივ ვარჩიე იმისას,
გზას ვსთხოვდი საფიცარითა ყაენის კარზედ წასვლისას.

მომცა მეფემ საფიცარი: „არ დაგიშლი მე მაგასა“.
ამად ვჰქენ, რომ ყაენი არ უმადლოდეს ამას სხვასა,
ჩემის ნებით მივენდობი, ვნახო, რას იქს მუქაფასა.
მაგრამ არას დამიმადლებს და დაარქვამს გაგზავნასა.

მიველ ვახტანგთან, ვით მართებს, დამხვდება ეგრე თავმდაბლად,
ხელი შემიწყო, კვლავ იყო ყოფაქცევითა საკრძალად;

ხმალი, ძალგული, ნამუსი მას ჰქონდა მისად მასალად.
ნებით გამგზავნა ყაენთან, მე მინდა, განა მან ძალად?

რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ დავაკელ სიკვდიმდი,
არ გავსტყდი, არც შეუზარდი, ვირე არ მოვჰკვდი, მანამდი;
მოსკოვს, სტამბოლს და ისპაანს, მას შიგნით მთა და ბარამდი,
ჩემის სახელის ძეგლები ყოვლგან დავასევ მანამდი.

რაც ვამიყ ქნა, ვის უქნია, სხვას კაცს ასე საქმე ცუდი?
აეშალა ამ კარგს კაცსა ეშმაკის გულს დანაბუდი,
მოყრობიდამ გაეყარა ცუდი, ავად დანაყუდი.
ამ ხლმიანსა ხელმწიფესა სამამაცო ბურავს ქუდი.

ასრე უნდა, მტერმა მტერის თუ სირცხვილი გარდიხადოს,
ჯერ ეს ჭკუა მოიგონოს, მისად შემწედ ღმერთსა ხადოს,
კვლა მიუხდეს ზედა მტერსა, ყოფა ავად გაუხადოს,
მტერი მისი შეარცხვინოს, სასახელოდ მისთვის დადოს.

მიუხდა, ყველა წაართვა სამეფო, სადადიანო,
გურია, აფხაზეთიცა, ჰე, კაცო, ხლმიან-სვიანო!
შვილი მან მეფედ აკურთხა, მოყმე, ჯერ ახალიანო,
ვამიყ და მისნი მიმდგომნი, უყურე, სად დადიანო?

ოდიშს ჩავიდა, იქ დასვა იესეს შვილი ზუგდიდსა.
მოყვარე იყო ამისი, მეცხედრე ე მამიდისა;
მუნ ინადირა ტყეები გარშემო დინაბოდისა.
აფხაზიც შემოიყარა, შიშით ამასთან მოდისა.

აქა ბატონი თეიმურაზ მეორე შაბაზ ყაენთან წაბძანდა ქალაქით, სიბერით მოუძლურებული

გამისტუმრა ყაენთანა. მიველ, დამხვდა დიაღ კარგა.
რას დღეს მიველ, მასვე ღამეს, ჯერ მართლაც არ დამებარგა,
მოვიდა და მიდარბაზა, ეს რასთვისღა დამიკარგა?
ძველის მტრისა სიკეთემა ბოლომდისი არ ივარგა.

ის ღამე და მეორე დღე ჩემს სადგომს სვა მხიარულად,
დაღალულსა, შორიელსა არ მაცალა ძილად, რულად;

მიალერსა მამასავით, თავმდაბლად და ტკბილად სრულად,
კვლავ მიბოძა უსაზომო, მას არ ექნა დაკარგულად.

რას ვაქნევ გრძლად მის ამბავსა, მარხვაა, განა აღება?
მოცემას ანუ პატივსა ძნელია ხელით აღება.
რას ხელს ვჭყრი ასეთს საქმესა, თუ ბოლო მალ მოეღება?
კლდოვან ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლია ბაღება?

დღე ერთ იყო ოთხშაბათი, როს ჯვარსმცმელთა ექნათ რჩევა,
ამ დღეს ერთი დიდებული ყაენს თურმე ენაძლევა:
„მას თუ ხორცი შენ აჭამო, ჩამოგართვას შენა ძლევა,
ნაძლევი ვარ, რაც მიბძანო, ჩემგან წამერთ მოგერთმევა“.

მიველ, ხორცი მომიტანეს, მითხრა: „ხანო, ესე ჭამე“.
მოვახსენე: „მარხვა არის, სად ეგ სიტყვა, სადიდამე?“
მიბძანა, თუ: „რა იქნება, დამიჯერე, მე მაამე“.
კვლავ ხმა-ძაღლა უარი ვსთქვი, ვჭამო, ღმერთი არ ვისამე.

გაგულისდა, თასი საესე ღვინო პირსა შემაქცია.
მეც მაღალი სიტყვა უთხარ: ვინც გნაძლეობს, თვალთმაქცია,
მე როგორ და მარხვის ჭამა, სხვას რჯულზე ვინ მიმაქცია?
მერმე მოტკბა, მიალერსა, კიდე რითმე შემაქცია.

აწ უყურე ხელმწიფობას, გაათავებს ლხინს რა, სობათს,
თვითან წავა აშრაფსა და მე გამგზავნის ასტარაბათს;
დამაშხამებს მის სიტკბოსა, შარბათის სმას, მერმე ნაბათს.
ამავ ზამთარ მივიცვლები, წელსღა დავჰყოფ ვეღარ აბ ათს.

გულსა სწადდა, თუცა კიდევ ვაქკაცობა მომეახლა,
ხანთ გამოსვლით დაცავბერდი, უძლურს ვითღა მომეახლა?
ჟამი ჩემი დაილია, სიკვდილის დღე მომეახლა.
ძოღან რომე ნაძლევი ვთქვით, დრო მოვიდა, მომეახლა.

სოფელი ჩემის ცემითა არ დაშვრა, რაზომ დამჯიღა,
ვეღარ გაგიძლებ სიცოცხლეს, რა მოვკვდე, იქაც დამრჯი-ღა,
ყოვლის ლახვრითა დამკოდე, ერთი გაკლია ბარჯი-ღა,
ჩოხა ჩამიცვამს, მივცვლილვარ, აღარ დამასვა თავს ჯიღა.

* * *

ამავ წელს მომცა კახეთი ყაენმა მე, ამის მთქმელსა,
წაველ გზაზედ, თქვეს სიკვდილი, ვინ ეახლების ნათელსა.
თათრებსაც ბევრსა ერწმუნა, მივლენ, უნთებენ სანთელსა,
თავპირს იცხებდეს მიწასა მის ნალახ, მის დანათელსა.

დადუმდა ენა რიტორი, ორღანო მზახი, წინწილი,
აქ გამოგზავნა ყაენმა იგ წმიდათ მსგავსი ნაწილი.
სამება მან აღიარა, იგ ერთღვთაება სამწილი.
მას კარ-განხმულნი დაუხვდა, სასძლო მზე მუნ საქორწილი.

ალავერდსა მოასვენეს, შეკრბეს სრულად მღვდელთ-მოძღვარნი,
კათალიკოზი დომენტი, მათ განახვნეს საყდრის კარნი.
მიასვენეს, მუნ დაკრძალეს მოწამეთა თანაკმარნი.
მოწამეთა აღიარეს, აღუვლნა ცისა კამარნი.

თავად ბატონი მეც ვნახე სიბერით მჯდომი კუბოსა,
ველარ ცხენს ჯდომის შემძლები, მტერზედა ვა უშუბოსა!
მისებრი სახელოვანი დედამ სხვა ვერვინ შობოსა.
კაცი რას გაიგონებდა მისის სიტყვისა უტკბოსა?

მეფეთ ამბავი მეფემა შევჰკრიბე საქართველოთა,
ვეჭობ გაამოს სასმენელთ, ვით კარგა მოისთველოთა;
ხან გაიხაროთ ლხინზედა, ხან თვალიც დაისველოთა.
გვედრივარ, სული საკოდი თქვენ ლოცვით გამიმთელოთა!

დიდება ყოვლი სოფლისა განქარდეს, ვითარცა ავლი.
თუ სოფლის საქმეს ავჰყვები, სასუფეველში ვერ ავლი,
ვითარ მოვსულვარ შიშველი, აგრევე აქადამ გავლი.
მიჯობს წამალი სულისა, საძებრად მისდა სამ დავლი.

არა განმართლდეს ყოველი ცხოველი წინაშე შენსა,
დღე ერთ იყოს თუ ცხორება, ნუ ხანგრძლად ვინმე მოშენსა,
აურაცხელი წყალობა გაქვს, ზოგჯერ რისხვაც მოშენსა,
რაღა ვთქვა, ტვირთი ცოდვისა მამძიმებს, ერთობ მაქშენსა.

უქმი სიტყვისა ჩემისა, ვამე, თუ პასუხი მთხოვო!
ვიცი, ნაცვალსა არ მაგებ, ბოდიში თუ მოვითხოვო.
მე ნუ განმანქრევ დაწვადა, შენ, პურო, ცხოვრების ხოვო,
რა მაქვს პასუხი მოგიგო, თანანადებნი მკითხოვო.

ცუდად ყოფნით ამის მეტი სხვა ვერარა ვიმუშაკე,
ორსა წელსა მთა ვიარე, ვერსად ვნახე ერთობ ვაკე.
ყველა ვინმე კარგად დამხვდა, ვის ბერწი ჰყვა, ან ვის მაკე.
მომიძიე შეცთომილი, ქრისტე, შენვე მომიბაკე.

ნათქვამია ესე ასრე, კაცს რომ მარტოობა ექნას,
წინ დაედვას ქუდი მისი, გაბრჭობოდეს, ასრე ექნას.
ერთი უნდა რამ მიზეზი სუბაობას შემოექნას.
იმას ესევ ვამჯობინე, ბოლოც ადრე არ დაექნას.

უნაყოფო არ დავაგდო მე სოფელი, თუმც ვინ მაქოს,
უგბილთაგან მოწონებას ეს დია სჯობს. ბრძენმან მაქოს;
ჩემს თქმულზედან ყიბარჩობდენ, გაიგდებდენ ვითა მაქოს,
იშვებდენ და იხარებდენ, ჰკრევდენ დაბდაბს ზედა მაქოს.

იცით, საუნჯეს უხმარსა სჯობს გაცემული ყოველი,
ვით ცის გამხმარსა ჰაერსა ზომიერ წვიმით სოველი.
მართ უტყვი ბრძენიც ცუდია, თქვენც დაგმოთ, ამას მოველი.
ვითა მცონარსა მოღვაწე, სჯობს უტყვსა გამომეტყველი.

ქვეყანა არის ნაყოფთა მომცემი, გამომღებელი,
ზოგი ერთს ბევრად მომცემი და ზოგი გამბიცებელი.
ეგრეთვე კაცი იქნების მართ კარგის შეუძლებელი,
სხვა ბრძენი, ტკბილად მეტყველი, წკრთილების მაუწყებელი.

მართებს ბრძენსა გონიერსა, რაც იცოდეს, არ მალევდეს,
ესრეთ ბრძანებს სახარება, აღორძინდეს, არ გალევდეს:
დაცადევით ტალანტიო, სავაჭროსა მოიძლევდეს,
სახიერი შესძინებდეს და მედგარი დამალევდეს.

ეთქვა: გამართე ლექსები, მომწყინდა სიტყვის ძებანი.
მას ეთქვა ტკბილად გაწყობით, ვის აქვს მეფისა ძებანი.

მწერალსა ვეღარ ევარგა დაღრმობილთ გამოძებანი.
სახლსა ვერ ამკობს სართული, სწორებით თუ არ ძე ბანი.

თქვა ვინმე ესე უგბილმან: რაღაცა მინდეს სხვისაო?
წვეთი მე სვისა არ მნებავს, ღრმა ჭური მებრ სიბრძნისაო".
სხვამ გონიერმან მიუგო: „არა ვარ მე მაგ ჭკვისაო,
ცვხარი სიბრძნისა ჩემდა და, თუ გინდა, შენ ზღვა სვისაო".

მწვირეშიგ მჯდომმან აყვედრა, ვიც ცვარი აჯდა ზედაო,
შესძახა: „დასველებულხარ, მე გხედავ ავ-სახედაო".
კვლავ თვალში ბეწვი უპოვნა, ვის თვითან ჰქონდა ხედაო,
მიუგეს: „შენსა ვერ ჰხედავ, საწყალო, ცრუ-სახედაო".

ბევრი საქმე უნდა სცადო, თუ გინდა გამოიცადო:
ბევრი უნდა მოითმინო, ავი კარგად მოიცადო,
ავი საქმე, ავი სიტყვა გულით აღარ გაიცადო.
რა ესე ჰქნა, დახალასდე, ნაწველმან გამოიცა დო.

ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდი სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით!
იესო ქრისტე ვის არ გრწამს, მიკვირს, სხვას ღმერთსა ესავით.
თუ იგ არ შეგწევს, ცუდია, მარტო ვერას ვიქთ ესავით.

ორს მელექსეს ჩამოისად სხვა მელექსე მე ამებით,
არა მძულხართ, ყველა გაქე, თქვენის თქმულით მეამებით.
რაც თქვენ დაგრჩა, მე ავჰკრიბე, ამას ნურვინ მედავებით.
სტუმარს დავხვდე ნახორხალით, თქვენით უკეთ მე ამებით.

რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,
ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანერთზედ დანათვლები,
სიმართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქმნა, ან ნათლები.
თუ შენდობას არ მიბრძანებ, წყევლას არვინ მემართლები.

ცხრა თვეს ყველა გავათავე, სულ ამაზედ არ მოცლილმა.
ოსეთს ვიყავ ფაიქომში, საქართველოს გამოცლილმა.
რად ამაზედ მამაცალა სოფლის ბრუნვამ, ვითა ჩრდილმა?
აქ აშთარხანს გავათავე არჩილ მეფემ ასრე ზრდილმა.

მიხმს, ესე ჩემი ნათქვამი ვთქვა ყოვლთა მოსაწონარად,
ფასად მომცემდენ ქებასა, სიბრძნესა მოსაწონარად;
დავაგდო ჩემად სახსოვრად, შენდობის მოსაგონარად,
თუ არვინ მითხრას შენდობა, ვერა მთქვან ცუდად მცონარად.

ეს ლექსი დასაბამიდამ ამ წიგნის გალექსვამდისინ რამდენი
წელიწადი ჩამოსულა, და ამის დაწყებაზე რამდენის
წლის ვიყავ, და აწ თქვენამდი რა მოვა სოფლის
დასასრულამდი, გაუწყებთ. ამის უწინ ქართულის ლექსით
არ თქმულა, ესეც იცოდით, ქორონიკონი ლექსად

ვიწყე ოდეს ესე წიგნი წლისა ვიყავ სამათოთხ-ტნით,
დასაბამით წელიწადი ეს წასულა ჩემ ,ერ ბასტნით,
შვიდიათასასოთხმოცცხრას, სათვალავს ნურას დასტმასნით,
ეს ჯდებოდა ქორონიკვნად სხვას ასოსა ნუ დამეტნით.

საქართველოს ზნეობანი

მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღმერთო,
გვამოვნებით სამხატედო, ღვთაებითა მხოლოდ ერთო,
ვინ თბე ჩვენი შეიმოსე, სხვას ნივთს არას არ იერთო,
რისხვაზედან სრულ სულგძელო, წყალობაზედ წამი ერთო.

ღმერთო, შენა ხარ კაცისა შემწედ დამხსნელი ჭირისა,
უძლურთა ძალის მიმცემი, მომჯაბნებელი გმირისა,
მაღალთა მამდაბლებელი, ამმაღლებელი მწირისა,
ავისა კარგად შემცვლელი, მარგალიტ მყოფი მწვირისა.

აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის
სამღვთო და ანუ სამხედრო, მშვებლის და მოვაგლახარის,
ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის,
საქციელ სამსახურისა ვინც იცის, ცოდნათაც კმარის.

თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე საქმე რაც არი.
სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამს, მაშა, მკითხველო, რაც არი!
აბა გაზაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაცარი,
ეგება კიდევ სხვაც რომ ვთქვა, სულ რუსთა ვნახო რა ცარი.

შესაყრელობა, ალერსი თვითოს ზნეს ყველას უდარსა,
მხიარულსა და ჯავრიანს მის-მისსა დანაყუდარსა,
სიტკბოებაცა იურავს, ვის გინდა, მის მემუდარსა,
თავს შეაყვარებს ყოვლს კაცსა, მოწყენილს ნისლსა უდარსა.

დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები,
მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ ფიცხელები,

რადაბრაგანს და გადრზედა მარჯვეთ იხმაროს ხელები,
წავლა, წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები.

სიმღერა და დასდებელი ესეც ასრე დავითვალოთ,
მასპინძლობა და ჩუქება ერთმანერთსა დავავალოთ,
კარგი ხმა და თან უსული შევიყვაროთ, და ვითვალოთ.
ვინც მემთვრალობს მარტო სადგომს, ავად უგდებ, დავავალოთ.

გარიგება მარაქისა, მის-მის ალაგს კაცის დასმა,
სუფრის ბარაქიანობა, საამოვნო ჭამა და სმა;
ბევრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ბეჭის გათლა, დანის მოსმა,
უფრო არის, ვერ მოთვალოს სამოცხუთმან, ვერც სამასმა.

ზმა და ხუმრობა, სიცილი, სხვის ზმისაც მალ გაცინება,
კარგის აზნაურშვილისა სიტყვისა არ გამგუნება,
დროიან გაჯავრებულმან კარგია, მოიგუნება,
მუნასიბისა ლექსისა უკეთ რა გაიგონება?

რაც საკრავია ყველა რამ, თვითო ზნეობად ჩავაგდოთ,
ზაპი, ცეკვა და სამაი, ჯუბანაც რასთვინ დავაგდოთ?
წმიდათ ჭამა და დიდი სმა, ვინ პირით აღარ წავაგდოთ,
კარგია ვინც კი შეირგებს, ვინც არწყევს, კარში გავაგდოთ.

ტანსა და ფეხსა გაწყობა კარგი რამ საცოდნი არის,
ქარქაშის კარგა მობორბლა, ჩექმა დეზითურთ კმა არის,
უჩირქოთ წმინდათ ხმარება, კვლავ გასცის და მოიხმარის,
სანდომ მიხედვა, მოხედვა, თვალი მახვილად მოარის.

მეჯინიბობა, მხედრობა, ცხენოსნობა სხვადასხვაობს,
მომტევლობაც ფრინვლებისა ცალ-ცალკეა, სულ ნუ მწყერობს;
მან კი იცის ეს ასრეა, ვინ ოსტატათ ბაზიარობს,
ძაღლიც კარგად მოუტიოს, ვინ კურდღლობს და მალე მწევრობს.

ცხენისა და ფრინვლის ცნობა, ძაღლისაც ზნე არიაო,
ამადა ვთქვი ესეები, არც ერთზედან არიაო,
ვისა გინდა, ეს არ გინდა, ასე რამ გარდაგრიაო?
თუ არ გიყვარს, მხედარს კაცსა მაშ აღარ შეგადრიაო.

აშფაშაქი და ყაბახი, ბურთის სროლა, მესეფქობა,
კარზედ ცხენის გაჭენება, ხელ-ძალიან ჯირითობა,
ახლა ესეც ზნედ დაიდვა მოუცდენი მეთოფობა,
ის უწინცა ვარგებულა ხელ-ფეხი და ქვეითობა.

მცურაობაც კარგი არის, მაგრამე სჯობს ნავთ ხმარება,
ვინც არ იცის, დიდროანს წყლებს ვერ ვინ მიეკარება;
გალმა კაცს თუ საქმე რამ აქვს, იმას სხვა ზნე არ ედრება,
მაშინ დია ვარგისია წყალწაღებულს ვინ ესწრობა.

მოტირლობა, გლოვის წესი, ზარი, ახა ზნედ დაიდო,
უსარგებლო მკვდრის და ცოცხლის ვინ ძმა იძმო, ან და იდო,
ერთმანერთის წაბაძვითა დაწესდა, ხიდად გაიდო,
წლამდინ ვინ ხორცი არ სჭამო, ბძანე წინა გიდგა ი დო?

ჭადრაკის მღერა, ნარდისა და სხვა რაც რამა ყუმარი,
ხარდიორდა და ჩალიჩი, სევდისა დასადუმარი,
ხტომა, ქვის გდება, რკინობა, მოგვერდი, ფანდიც რამ არი,
ის კაცსა ბევრჯელ უკუჰყრის, ვინც კარგი ხუმარი არი.

ვერ ხედავთ ფრიდონისასა, მოშაითობას ჩემულობს,
საბელზედ გავლა-ხტომასა თამამად, ართუ მოზარობს,
ტარიელსა და ავთანდილს ქაჯეთს მისვლაზედ უამბობს.
ვინ იცის, მის დროს იქმოდეს ცოდნასა, ნურვინ მცონარობს.

ჰინდიც არ ვნახეთ ჩვენს წინა, ოთხს აქლემს გარდახტებოდა!
ხელ-დაუკრავად ჰაერში მათზედ გარდაბრუნდებოდა,
იქით ფერხს დადგის, მის მჭვრეტელს თვალი არ მოუსხლტებოდა,
ორს ცხრას იქით-აქ ხელჭერილს შიშვლის ხმლით შიგ გახტებოდა.

წმინდას შალზედ გაირბენდა კაცთ ჰაერში დანაჭირსა,
მახვილების ბორბალშიგან შიგ გახტის და არა სჭირსა,
ფერხებს ქედზედ დაიწყობდა ხელით, ვსჭვრეტდით ნარონინსა,
თამაშობდა უცხოებსა, ამათ უფრო გასაჭირსა.

თავთან დაისვის ხანჯალი, გულაღმა წამოწვებოდა,
ანაზდათ ახტის პირდაღმავ, იქით თავს გარდევლებოდა,

მუნით გულდალმავ დაეცის, იმის წვრით თვის წვერს მყოფლობდა,
მნახავთ და გამგონეთაგან მუნ მაშინ საკვირველობდა.

ხეს დაიჭერდა კბილითა, თუ ექვსმა კაცმა აიღის!
ძელს დაიდებდა გულზედან, ძლივ ოთხმა ხარმან წაიღის,
ქვეშ დაისვემდა მახვილსა, ქვე ტანი აღარ დაიღის,
ხმელზედ თევზურად ცურევდა, კვლავ უცხო რამ შემოიღის.

ინატრეს ბევრმან ვაჟებმან: „ნეტა ვინ ეს მასწავლაო!
მისი სიფიცხე, სიმალე, ისე თამამად წავლაო“.
მაგრამ ის შავი არ დადგა, არავის არ ასწავლაო,
მიზეზი ეს სთქვა: „მწადიან სულ ხელმწიფების დავლაო“.

წყლის წურვა და ბადის სროლა, კარგად ესეც ჩაგდებულა,
წეროს გეზით დამჭერლობა ზნეობადვე სწავლებულა,
მეძებრისა ხალისიან სწავლებაც კი დადებულა.
ვინ ჯერდება მარტო ამას, ბევრჯელ კიდეც აგდებულა.

კვლევა, დანახვა კურდღლისა, მეხოხბეობა, მწყერობა,
სტვენა, წრუწუნი, ძახილი გავაზის, იხვის მზვერობა,
ბატონს ვაამო, ჩავაგდო ახლა ყავლი და წერობა,
მალე მიშველა ფრინვლისა, მუნ ადრე წამოწვერობა.

ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა,
მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა.
არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანერთს მიწყობა.
რა ზნეა, თორემ ქვეყანა არის, ვარგისობს ბრიყობა.

ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის ბურთისა გამოჭრა,
ცხენის მოხტომა უხელოდ, ომის დროს ფიცხლად გარდმოჭრა,
ცხენის მოხტომა უხელოდ, ომის დროს ფიცხლად გარდმოჭრა,
მოპაიტრობა სახმობის, ამორთმა, ხურდის ამოჭრა.

ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდირგა რა შეუბისა,
ისარი სხვილი და გძელი, ხელთ არ დადება უბისა,
ვისცა არა აქვს, უძრახვენ, სხვამან სხვას მიუუბნისა.

ჯაჭვის ცნობა, სხვათ საჭურველის კარგია და ძნელიაო,
გაწყობა და მორთულობა, ვერვინ თქვას ზენკალიაო,
მასცა კარგად მოუხდების ომამდინ ვინც ხდალიაო,
მაშინ შექმნას ცურცლა რამე, თრთოლა და კანკალიაო.

თუთხმეტის დღისა მთვარესა შეჭურვა ვინ სულ დაასწროს,
ვირე სრულ ამოვიდოდეს, ცხენზედაც შეჯდეს, მიასწროს,
ხელ-ფიცხმა კაცმან ხელბუკსა ასაღებელი აასწროს,
ფერხით მსუბუქმან ფერხმძიმეს დგენაზედ ადვილ წაასწროს.

ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად,
მაშ ერთად როგორ ვიტყოდეთ, იკითხონ სხვადასხვა ენად,
ვინ სხვას ვერ ასმენს, ის ისმენს, იქ დაიწყებენ მიდენად.

მწიგნობრობა ჭრელ-სადაგი, ჭრელ ძილისპირთა გარდათქმა,
მსმენელობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა,
ხუცურის და მხედრულისა სხვადასხვაობს თვითოსა თქმა,
კანანახი ხმამაღალი სჯობს, ყინჩვილად ნუ იქათმა.

მწერლობა ხუცურს და მხედრულს, იცით, უნდა სხვადასხვა, და,
მგრგლოვანს, ყვავისფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ თავადა,
მხატვრობას, მონახაზობას არვინ ჩააგდებს ავადა,
გარეშე წიგნის კითხვაზედ ხმა ავად ნუ იხავადა.

ლექსთ მთარგმნელობა, გარდმოვლით ჩუმრობის ადვილ შეტყობა,
კარგად ჩამორთმა სიტყვისა, წყენისა არას დატყობა,
თავის-გუნების კაცს გარდა სხვისაც ბევრისა გაწყობა,
ის ვერ მოგყვების, შენ მიჰყევ, მობრიყობს, რევს ამაყობა.

მოჩივრობა და სიმართლის მართლის ქმნა, კვლავ დიდი ბჭობა,
ანგარიში და რიცხვთცოდნა, ჩაგდება, მეკენჭაობა,
რამლის ყრა, მესტროლაბობა, ზნევეა მეკოჭაობა.
ისიც კი არის, მაგრამე, ცრუდ თქმულა მებეჭაობა.

მრჩევლობა, სიტყვის გაკვეთა, თავს ჩემობს ამისი სწავლა,
ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა,

სხვადასხვა არის ესენი, მე ასე ვინმემ მასწავლა,
დრო არის გვიანობისა საჩქაროზედან მალ წავლა.

მელექსობა, შაირის თქმა, უდარესი ამიცინა,
კარგის მთქმელმან გამაგონა სიტყვა მჭევრი, არ მაგინა,
საალერსოდ ვისდა მიველ, არ მიმიშო, თქვა, მაცინა,
გამოვბრუნდი, კელავ ვიახელ, უხუმრე, არ გამიცინა.

კარგკაცობაა შენახვა ყოვლისა ხოშიადისა,
ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდისა.
ჩხუბი და მეენაობა ვინც კაცმან დაიქადისა,
სასაცილოდ და საზრახად მან თავი გაიხადისა.

ვინ ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს,
მუსაიფს თუ სხვას, ვის გინდა, მისი რჩევა მიუტანოს,
მას პირს უნდა შეადუჟოს, ზედ თავსლაფი დაატანოს,
ძირში ენა ამოართოს, კლიტე თან ამოატანოს.

მუშაობაც კარგი ზნეა, ზედ-მდგომობა და სარქრობა,
ბარვა, წიდნვა, ხვნა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა.
კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა.
ვის მუშა ჰყავსთ, თვითან შვრება, ურეევია არზაქრობა.

კაცის სახელის დასწავლა და ცნობაც უნდა კარგაო,
მგზავრობის წესი და ნისლში ვინცა გზა არ დაჰკარგაო,
რაგინდა რამე წამხდარი კიდევ მალ მოივარგაო.
მზარეულობა, ჭაშნიგის ცნობასა მბობენ ვარგაო.

ბატონის დარბაზის კარი რაგინდ რომ მაღალი იყოს,
თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს;
უმცროსის კაცის უფროსმან ხელი საჭმელზედ წაიყოს,
შეფისგან მონაკითხავი ამხანაგებსა გაუყოს.

ნუ მომიწყინებ, მსმენელო, მოხსენებითა ამდენით,
არ მინდა იყვნეთ ზნეობის ავსაქციელად წახდენით,
წავლა, წამოვლა, ზე დგომა, ჯდომა, ადგომა მოხდენით,
მენუზლეობაც ვარგისობს, თან უკლებ სხვისაც მოდენით.

უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო,
ადგეს სჯობს, ისრე მჯდომელმან ქვემორე დაიწიოსო,
საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწიოსო,
არცა უხამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწიოსო.

ორმან ტოლმან ამხანაგმან დაიწვიოს რა მესამე,
ორთავ თავს არ გარდუარო და ჩაუჯე შუა სამე,
ეს შენ კარგად ჩამოგართონ და იმათაც ორთავ ამე,
უდროვოდ და უალაგოდ ნურც იმღერი, ნურც ისამე!

ჯდომაში ფერხი გარეთი ზეით არ უნდა დაიდო,
პირში რა გედვას, ნუ უბნობ, სიტყვის აღვირი აიდო;
მეორემ სიტყვა აცალე, თუ არ გთნდეს ლუკმა წაიგდო,
ხელს ნუ დაიბჯენ, ადგე რა, იქ ჯოხი მხარს არ გაიდო.

წინ ჯდომით, უკან უკუხრით ზურგს ნუ მიჰყუდებ კედელსა,
ნურც თავს დაჰკიდებ, არ გვანდე თვალნაკლებს ოქრომჭედელსა,
ცალს თეძოზედან არ დასჯდე, რად ეჭვ ძნელს მოსადებელსა.
ცხვირის გამოკრკნა არ წაგცდეს, ნუ ეძებ კბილის საჩრჩნელსა.

თუ რამ ბატონმა გიბოძოს, ორის ხელით ჩამოართვი,
აგრეე შენგან მისართმევი ორითავე მას მიართვი,
ამხანაგსა, მარჯვნით მჯდომსა, მარცხენათი გამოართვი,
მარცხენასა მონაცემი კვლავ აქათით წამოართვი.

ბატონს ზურგი ანუ გვერდი ვინ გინდა ვინ შეაქცია!
შინაყმასა თუ რამ მიაქვს საქცევი, ნუ დააქცია,
პატრონისა ბრძანებაზედ მონანი მალ გაიქცია.
ხამს იცოდეს ყველა რამე, ვინ არის კარგი კაცია.

კულით და ყანწით, სხვებითაც, სასმელს ვინ აწრუწუნებსა,
ვინ კბილებითა ბატონთან თხილს ამსხვრევს, ალაწუნებსა,
მცოდინარესა მეფესა უთუოდ გაამგუნებსა.
ავსაქციელი მარტვილი მამას მწვე დააჭმუნებსა.

ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გარდეყუდო,
ზეზე მდგომი ფერხს ნუ იკავ, ნურც ბოძს ხელს ხვევ, თუ არ ცუდო,

ნურც იცინი, ნურას უბნობ, არც ვინ ჯოხს ჩამოეყუდო.
თუ ვინ ასრე არა ზრდილობს, მაშ იქნება სვანი ყუდო.

მეფეს თუ რასმე ზრახევდე, ნუ ათამაშებ ხელ-ფერხსა,
ესეც ავია, ვინც მუდამ ულვაშს იკეთებს, იგრეხსა;
ხელ ქვე-მოჭდობით ეუბენ, თაყვანს ეც მერმე ნაფერხსა.
შენ არ მიწვრთნიხარ, ამაყო, ვე ჰგავხარ ჩაუქსა ვეფხსა.

ვინ ხელით აზნაურშვილობ, გამეცალე, წადი იქით,
რად გგონია, უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქით?
თუ არ დაშლით, მოწვრთნა გიჯობს ჯოხითა და გინდა ბაქით.
მაამებლად ვინცა ხუმრობ, მო, დაბძანდი, ზეით, აქით.

ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულებული,
ნურც შენ იცინი, მასთანა დუმენი სულდაღებული.
კადნიერება თუ გქონდეს, რა ნახო სუფრა დებული,
ეცადე ტკბილის სიტყვითა იხილო გაღიმებული.

თუ ვინმე ცხენით ან ქვეით თავისთვინ ლაპარაკობდენ,
გნახონ და შენკენ წარმოდგენ, შენც მიდი თუ კამათობდენ.
რა გაგიდრიკონ, დაეხსენ, სძრახევდენ თუ ვის ამკობდენ,
მათ მართებ გაგირიონცა, თუ გულით არ ამაყობდენ.

ყმისგან ბატონის სიტყვისა გაგონა, მოხსენებაცა,
ძნელია ცოდნა ამისი, ანაზდათ მოგონებაცა.
დია სჯობს, უპრიანეა ურჩებას დამონებაცა,
დასაშლელს ცალკე უშლიდეს, ათაოს მისი ნებაცა.

ბატონყმური ლაპარაკი სხვა არის და სხვისა სხვაა,
ჩამორთმა და მოხსენება, ზოგჯერ სიტყვის შენახვაა,
სწორ უმფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასახვაა;
ვინცა იცის ყველაკაი ბევრის საქმის მონახვაა.

ოდეს ბატონი ბძანებდეს სიტყვასა რასმე ქართულსა,
მოკლეს თუ გრძელსა ამბავსა, ერთმანერთზედან წართულსა,
ნუ ლაპარაკობ, დაჩუმდი, ნუ ჰგევხარ კაცსა ქურთულსა!
მწვედ გაეწყობა მეფენი ზნეკეთილს, ასრე მორთულსა.

სიწყნარეს და სიჩქარესა ორსავე აქვს მის-მისი დრო,
სიმშვიდეს და სიანჩხლესა, მდივანბეგო, განა სადრო!
ორზედ უნდა მუდამ იყო და იმ ორს კი უფრო ადრო.
სიჩქარე სჯობდეს სიწყნარეს, რუსთველს ეგე ვინ შეჰკადრო?

საქციელი და ზრდილობა, იცია, ბევრი სხვაცაა?
ნურავის გინდა ავადა გადუქვა, ცხვირის ხოცაა,
წინამავალს უკან მიჰყვე, ტალახი არ მოსცხოცაა,
უცხო მდიდარი მის სადგომს მალ-მალე არ ნახოცაა.

მეფეს ცხენით სერნობაზედ მარტო იქით ნუ მოუვლი,
საითაც რომ კარგი რამ ჩნდეს, და ნურც წინა გარდაუვლი,
ნურც ცხენის თავს დაუსწორებ, ნურც სულ სწორად წინათ უვლი,
ჯარისაკენც ნუ მოჰყვები, რასა ქვიან მასთან შუღლი!

სამსახურიც ბევრგვარია, საცოდნელადაც ძნელია,
ბატონს თავს მწვე შეაყვარებს, ვინც მისი მართლა მქნელია,
დაუზარლად და თამამად, ფიცხი უნდა, არ ნელია,
მალ ისმენდეს ბძანებასა, დღე იყოს თუ სიბნელია.

მღვიძარება და სიფრთხილე, სწრაფად აღდგომა ძილითა,
მალე ტანს-ჩაცმა დილაზედ ზორტით ჰქონდეს თუ ღილითა,
ადგილზე მოდარბაზობა აამდეს მისის მისვლითა,
წყნარი, მდაბალი, თამამიც შვენოდეს გაღიმილითა.

ზნეობა საქციელები არ ბნელობს, არის ნათელი,
კამკამებს დაუფარავად, ვითა წყვდიადში სანთელი,
ეს უნდა კაცმან იცოდეს, მის-მის დროს რაა საქნელი.
ნურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არის თქვენი მსწავლელი.

ვინ ამასა იქმს, მასცა იქს, რაც რომ არ დამიწერია,
ბევრის რამ ზნეობებისა კარგი რამ ანაწერია,
ზოგი რამ იცის წუმამა, მთავრობდა და აწ ერია,
მაშინც ეშმაკი ებძოდა, მორია, დააწვერია.

ამად ვთქვი ასრე გვიანად კარგები, ძნელად საცოდნი,
ძვირად მინახავს ამათი სრულად და კარგად ნაცოდნი,

ამათს მოქმედსა მოყმესა სიავის არა საცოდნი,
სხვა რომ ერთპირად შეჰყარო, იქმნება ყველა საცოდნი.

მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რომ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს;
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს.

რა სჯობს დაუკლის ლოცვასა, ჟამთა ზეპირად ცოდნასა,
საეროს გარდა დაფარვით არ აღვიძებდეს მონასა,
ჩურჩნით ბაგეს ქვეშ, იდუმალ არვისა გასაგონასა,
ამის უკეთესს ვინ რას იქმს, ვის გინდა მოსაწონასა?

პურადობა და გაცემა, მამაცობა სხვას ყველას სჯობს,
შეხვეწილზედა ნამუსი, ვინ თავმდაბლა მოაჯეობს,
სახელს ეძებს უზაკველად, ფიცს არა სტეხს, გამმარჯვეობს,
ამის მცოდნეს ესეცა სჭირს, სამღვთოზედანც განამრჯეობს.

სარდლობა, ზავთი სარჯლისა, დღე და ღამ დაუზარობა,
უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვისა მწვე მიმხედარობა.
საქმე საქმეზედ რა მიდგეს, კატათ სჩნდეს უზამბარობა,
შემართვა მებრძოლთ თამამად, წინ წადგომისა დასწრობა.

რაზმის გაწყობა კარგგვარად, აგრევე ნადირობისა,
სადავე პირ-ჩვილს სხვა უნდა და სხვაა გამზიდრობისა,
მოხშიროს ტყისა ეწრისა და კიდევ მინდორრობისა,
ყოველთა უკეთესია, ვახ, ცოდნა ერთპირობისა.

ყოვლი ცოდნა ზნეობაა, საბაითიც რადგან ზნეობს,
ისლარბეჩ მთვარეს კოჩები, ვინ ოხიჭურ ვარადაობს,
ხელ-ბუჩხობა, კულის გათლა, ვინ შალაფს ხმარობს, ხარატობს.
ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს.

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია.
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლათაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ გახლავს, ცათ კამარია.

უცოდნი კაცი სადა გინდ უხამსზედ გამამაცდება,
როს მართებს, ვეღარ ივარგებს, საქმესაც ბევრსა დასცდება,
მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცუდმუდი სიტყვა წასცდება,
ცოტახანს თუცა რამ იყოს, სიბრიყვით მალე წახდება.

სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია,
მოზღაპრეობაც ივარგებს, საძილოდ არაკაია,
მინდოდა სხვებიც რამ მეთქვა, მითხრეს: ეგ კმარა, კაია,
თუ გინდა ცოდნა ვინცა თქვა, დამშლელი მამუკაია.

სხვა ზნე ყველა მობრუკვილდება სენითა თუ დაშავებით,
მარტო დავრჩი უსაჭურვლო, სულ შიშველი ვის შევებით?
ეს დარჩების სიკვდილამდინ არც სულ დაუნაშავებით,
ვინც იცით და ვინც არ ვიცით, ცოდვას მაშინც არ ვეშვებით.

პურადი ხარ, შენ სხვასა სთხოვ, აბა რაღას იპურადებ?
ქვეითი ხარ, ცხენი არ გყავს, რით იგადრებ ან ირადებ?
დაბერდი და თვალს დაგაკლდა, მშვილდისარსა რად არ დასდებ?
სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ.

ცხენი არა გყავს, ვერა იქ რაც სხვაა ცხენთა ზნეობა,
ძალი გაქვს, მრკენალს ვერ შოებ, თუცა კარგია მხნეობა.
ეს უმჯობეა, ვინ იცის მღვთის ხვეწნა, მოქენეობა,
სიბრძნით მის ალაგს რაც ჰხამდეს, მის საქმის მომგონეობა.

სიბრძნისაც ეგებ ვინმე თქვას: მსმენი არა მყავს, რა ვქმნაო,
მაშინ სჯობს, თუ სულ მარტო ხარ, დაამოს შენი სულთქმნაო,
მას შეგავედროს შესაწყლად, ვინ ზღვა და ხმელი შექმნაო,
ამპარტავანის ვაჟისა იცის რამ კარგად მოქნაო.

სამღვთო საქმის უმეცარი ბევრს ავს საქმეს წაადგება,
ეშმაკს ვერას ვერ შეუტყობს, რა საცთომლად შეადგება,
მერმე მისად საპასუხოდ კარს მღვთის რისხვა მიადგება,
შერცხვება და წაცაწყმდება, ვეღაროდეს აუდგება.

ეშმაკს მარტო წასაწყმედათ არ უნდივართ, რად არ იცით?
აქაც უნდა შეგვარცხვინოს ავის ქმნით და ცრუის ფიცით,

მისის რჩევის ამყოლემან კარგი ვერა ვერ მოვიცით,
თუ ვტყუოდე, გამამტყუნეთ, ჩემს წინ თავი გარდაიცით.

ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ჟამში, რამდენი ავი რამ იქმნა?
რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა?
მღვთის შიშის გულით განვარდნა, ვისგან სულ არსი შეიქმნა,
ვეჭვ, აღსასრულიც მოვიდა, ავისაც ბოლო დაიქნა.

სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის,
სამების მცოდინარისა, არ ახუნების არდავლის,
გულს დაუდებს და ისწავლის, ბიჭურად კარზედ არ დავლის,
წარმართებრ წმასნას არ ჯერა მობედეთა და არ დავლის.

თუ ოსტატი ვერ იშოოს, ხელთა იგდოს სამღთო წიგნი,
უნდა ბევრჯელ წაიკითხოს, შეუიდეს შიგან შიგნი,
ღირღოვანი, ღრმად მეტყველი ეცადო, რომ სულ შეიგნი,
მაშინ სიბრძნის გზა და კვალი უსათუოდ მალ გაიგნი.

მე, ნუ გგონიათ, სრულ ბრძენთან თავს ვდებდე, ანუ თუ ვიყო,
არვინ მყოლია მსწავლელი, მეთქვას სხვაც, ვიწვრთნა თუ ვიყო,
რაც ვიცი, სამღრთოს წიგნთაგან მაქვს, სხვათ არვისგან გავიყო,
სადამ ცოცხალ ვარ, ვსწავლულობ, ეს მცნება არ დავივიწყო.

წმინდათა ბრძენთა წერილი არის ნათლისა ებგური,
სრულ ნათალ თვალთა ნაგები, არ ურევია აგური,
იქით გიზახის, მიგიწოდს: „ჰე, ძმაო, თქვენი სადგური,
სასუფეველი ზეცათა, ნუ გსურთ სრულ სტვირი, ჩოგური“.

ეს ზნე სჭირს მათსა წერილსა, ვინ ეცდება და ისწავლის,
მათი ნათქვამი დარჩება და სხვათა ცუდი ის წავლის,
მას ყურს ნუ უგდებთ ლიქნასა, ვინ სხვაცა ზაკვა წაავლის,
სხვის, ამ სოფლისა რიტორთა, მგზავსია მტვრისა, ის წავლის.

ყველას რამ ზოგი სრულად იქს და სიბრძნეს ვერავინაო,
ყველათ რითმ კაცი დაშვრება, იმით კი არავინაო;
ვის აქვს სადგურად მთაწმიდა, ეგრეთცა მთავე სინაო,
ვერცა იქ მყოფნი სრულ მისწვთენ, ვერც ბრძენი დეო-ჯინაო.

სხვას გარდა ეს ვთქვა, რაზედაც კაცსა გულს განუხურებსა,
ღმერთს დაამონებს, პატრონსა ერთგულად ამსახურებსა,
სიმართლესა სწვრთნის ყოველთა, სიცრუეს ვინ უყურებსა,
შფოთსა დაუშლის, დაათმობს ავპირად ვინ უხუმრებსა.

საფუძვლად ღვთის შიშს დაუდებს, ზედ სიყვარულსა აუგებს,
ღმერთსა ცხოველსა დაამონს, სხვას კერპსა არვის არ უგებს,
გზას აპოვნინებს შეცთომილს, სიბნელეს ნათლად გაუგებს,
კარგ საქციელად ამყოფებს, დააშლევინებს აუგებს.

უდებსა ლოცვად აღადგენს, მცონარსა გაამოღვაწებს,
ღვთის სათნოების ისარზედ ფრთედ მაგრა სწორად დააწებს,
ვის ჭირი იპყრობს, ტკბილადრე მოსასვენებლად დაარწებს,
ვინ დაუჯერებს, ამას ჰყოფს, თორემ დააყრის მას ბრაწებს.

ცოდვილს მოაქცევს მართალს გზას, ცდომილსა მის განდგომილით,
კაცს განსაცდელსა მადლობით მიათვლევინებს დუმილით,
მას დაანახვებს, ვინ არის ვერვისგან ვერ მიწდომილით.
პეშვით არ კმარა სასმელად, ვის გწყურის, მიდით, სუ მილით.

ჯაბანს გაამხნობს, ხდალს კაცსა მგონივარ გაამამაცებს,
ანჩხლს დაატკბობს და განსწავლის სულელსა კაცსა და უცებს,
ბრძენს კიდევ სიბრძნეს შესძინებს, ბევრს შეუმატებს ბრიყვს ხუცებს,
მოწყენილს დიაღ უკუჰყრის, სამუდმოდ არ გააბუცებს.

ამხანაგის სიყვარული კარგია და მოუმატებს,
დაამშვიდებს, დაამდაბლებს, აღარავის აამაყებს,
სიტყვა მცდარსა დაადუმებს, ვინ ეწყობა სიტყვა როყებს?
იმას დია მოუხდება, ყმაწვილობით ვინ იბრიყვებს.

ვინ ძნელ საქმეს დაბმულიყო, უადვილებს გასაჭირსა,
ცოდვის თოკით მაგრა შეკრულს მოცაუშვებს მოსაჭირსა,
სევდა-ნაღველს განუქარვებს, უმსუბუქებს სენს და ჭირსა,
ამას გარდა სხვა მრავალი კიდევ ბევრი კაი სჭირსა.

აწ სიბრძნეს უნდა ღვთის შიშის შემსჭვალვა, მაგრა ქონება,
ვინ უამისოდ აჰყვება, ეშმაკისაა მონება,

ქრისტე მოირთე მის მცველად, მას დაამონე გონება,
თორ უამისოდ ცუდია, იქნება მართ მამონება.

ნუ გეშინიათ, არ გიშლით, სოფელი ნურვის გინდაო,
ცოლი და შვილი, მამული, ძმა, სახლისკაცი გინ დაო,
აბრამსაც ყონდა და ჰქონდა, ღვთის სიტყვას მოისმენდაო,
თორემ უმისოს საქმესა რასაც იქ დაინანდაო?

რასაც შვრებოდეთ სიმართლით, ღვთის სადიდებლად იქმოდით,
სად კაი საქმე ისმოდეს, ცუდი გაუშვით, იქ მოდით,
რა შეიმატოთ, რა ირგოთ, სულ ხმით ყვირილით იქმოდით?
თვარა ყოველმან სიცრუვე იზღვიოთ, მწარის იქ მოდით.

იოსებ სააკაძე





დიდმოურავიანი

პროლოგი

მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთველისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი, შვება, სიამე, ხან ვარდი დანასრულობით:
სიბრძნე, ხმალი და ომები, სიკვდიდმე აღსასრულობით.

მეფის არჩილისადმი

მეფეე, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ შვილო,
ღრმის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადვილო;
„ცოტა სიტყვა განმიმარტე“ — გებძანა თუ: „ჩემო ჩრდილო,
შენ სიბრძნისა ვერ მიმწთომო, მაგრა რიტორთ კაცთა ზრდილო!“

ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება;
ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება;
საქართველოს დასუსტებას მით ბელიარ ექენება;
ამ ქვეყნისა შიგნით რევა ზოგს ოცნებით ეჩვენება!

ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერც ახლდა მოურავი,
იშვებენ და იხარებენ, ქარი უქრის მათ არავი,
მტერი ყველგნით შეაშინა, ომის იყვნენ არ მზარავი,
ავი ენა ამათ გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არ ავი.

სამნი კაცნი მოურავთან მოვლენ სიტყვის მოხსენებად,
პირველ ჰკადრეს: „სახელისა ჩვენ შენისა ვართო ქებად,
გაგიცხადებთ ხვაშიადსა, ჭირთა ჭირზე მოსავსებად,
მაგრა ფიცს გთხოვთ, არვის უთხრა, არ შევიქმნათ გაცხადებად“.

მან მიუგო: „რას ფიცსა მთხოვთ, ან რისა ხართ ნეტარ მთქმელი?
გამიცხადეთ, თუ რა მოჰხდა, ახლა რამ თუ ანუ ძველი,
კარგს მეტყვით თუ საზიანოს, ლხინით ვარ თუ ცრემლთა მღვრელი,
გულში არა ჩამაჩნია, მეფის მტრის ვარ მე მომსვრელი!“

მათ უთხრეს, თუ: „ვერ გიამბობ, თუ არ მოგვცე მართლა ფიცი,
წიგნი მოგვეც საფიცრისა, დაბეჭდე და დაამტკიცი,
თვარემ გითხრათ, მიგვცე ხელთა: «ამან მითხრა, მე ეს ვიცი!»
ჩვენ დაგვხოცონ, თუ გარდავრჩეთ, ვერ ვიშოვოთ ანამტკიცი!“

დაღონდა, გულში ესე თქვა, „ნეტარ შევჰფიცო რისათვი,
წიგნი მიმეცეს ფიცისა ცუდის სიტყვისა თქმისათვი,
მეფე ხომ არას მიწყრება, არც მოყვრის, არცა ძმისათვი,
ეგება მე სულ შორს ვიყო, მეუბნებოდენ სხვისათვი“.

ბევრი ეუბნა, არ უთხრეს, ვირემ არ მისცა ფიცია,
მაშინღა ჰკადრეს: „სიკვდილი შენი ხვალ დანამტკიცია!“
ერთმან თქვა: „მოღალატენი უთუოდ მართლა ვიცია!“
რა მესმა, იქივ შევსწუხდი, მე თავსა ხელი მიცია!

ჰკითხა: „ნეტარ რასთვის მამკვლენ, ანუ ჩემგან რა მომხდარა,
კაცს რომ ბევრი კარგი უყო, ჭირნახული ქვე წამხდარა,
რომ არ აგყვე, სიზმრის ნახვა ბევრჯელ სადმე კვლავ ამხდარა.
მზეჭაბუკ და გმირი როსტომ ღალატითა გარდამხდარა!“

ზოგს ყმას გაენდო, ზოგ-ზოგთან კაცი გაგზავნა მალები,
ქაიხოსროს და იესეს უთხრა: „გული გაქვთ სალები,
რასათვის მამკლავს, გასინჯეთ, თქვენგნით მქონია ძალები,
კარგისთვის კარგი ეს არის, იცით, რა დავსდევ ვალები?“

მათ უთხრეს: „ნუ დაიჯერებ, არა გავს სიტყვის მსგავსება,
ზოგთ უნდა გარდაკიდება, ქართლის ჩხუბითა ავსება;
შენ რომ არ იყო, დღეს ქართლსა მიხვდება სანთლის დავსება,
მთვარე დაცხრების ჩვენ კერძი, აღარ ყოს პირის გავსება!“

კვლავა ნახა ისივ კაცნი, იმავ სიტყვას მეტყველებდეს,
მოახსენეს: „დაიჯერე, ვირ შენს შუქსა დაავსებდეს,
მოგკვლენ, სისხლსა დაგიღვრიან, ზოგნი თასსა აავსებდეს,
რაკი მოგკვლენ, სოფელს გავლი, სიკვდილს შენსას ვინ ეძებდეს?“

თქვა: „ვერ ვხედავ ამ საქმესა ჩემთვის რასმე კარგა მხედად,
სამსახურის საპასუხოდ მე ეს მამცა ეტლმან ბედად,
შვილიშვილის დასადგინად, სანატრელად ან იმედად,
აწ რაცა ხამს, მე იმას ვიქ, თქვენ რა გითხრა სიტყვა ყბედად!“

ჰკითხა კიდევ: „რა სიტყვა თქვეს, რად სწრაფობენ ჩემად მკვლელად?“
მათ უთხრეს თუ: „ის შეიქნა ლუარსაბის სისხლთა მღვრელად;
კვლავ: მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორს ველად;
თავს არ გვიდებს საპატრონყმოდ, წყალობისა არმადლმხდელად“.

თქვა: „მამაცისგან ცუდია, თუ მუდამ რაცხავს შიშებსა,
ვინც რომე უწინ მირჩივა, ვიცი, მამიგებს იშებსა,
მითხრეს, გონიას რას ეძებ, შერთვია ზღვათა ქვიშებსა,
კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებსა?“

მეფემ შეგვიტყო ჩურჩური, გაყენ და გამოყენება;
ებძანა: „რა გაქვთ საქმენი, სიტყვას არ უნდა ყენება!“
ვჰკადრე: „ამჟამად არვისგან მკვდარი არ აეყენება,
თავს ღალატითა ვერ მოვჰკლავ, ამისი ნუ გაქვს წყენება!

მეფევ, თქვენ იცით, ტარიელს რამაზის სიტყვის თქმანია,
მან მოარჩინა სიკვდილსა, თვარ იყო დასანთქმანია,
რა წიგნი მისცა მას კაცსა, პირობა, რა აღთქმანია,
მეც მითხრეს ჩემი სიკვდილი, აწ რაღა უკუთქმანია?“

ავალიშვილი დომენტი, ჭკვიანი კაცი, ბროველი,
მას ვჰკადრე, „თქვენ დაისაჯე, მეფესთან ამას მოველი,
ეს ჰკადრე: რა დავაშავე, ვიყავ ხლმით ბევრის მშოველი,
თქვენც კარგა მაპატივებდი — ცა წყალობითა მთოველი!“

მივიდა, მეფეს შეჰკადრა: „ნუ გაქვს სიტყვისა წყინება,
მეფეო, ის ვჰქენ საქმენი, რაც თქვენმან გულმან ინება,
რისთვის გამხადე მტერთ გულად, რად მეც ცრემლისა დინება?
შენთვის რამდენჯერ ხლმის ვადა გლახ ჩემმან ხელმან ინება!“

მეფემ ბძანა: „ეგე საქმე არ გავლია ჩემსა გულსა,
ვინ მოგკვლევდა, რასა ჰქვიან მომდგომსა და ჩემს ერდგულსა,
ნამსახურსა თავგაწირვით, კვიპაროზსა სწორად რგულსა,
ვინც რომ გითხრა ეგ ტყუილად, შევიქ დამწვარ-დადაგულსა!

მაგის მთქმელი არ იქნების, იგი კაცი თუ არ მამცე,
მამული და სამყოფელი სრულ უკლებლად ახლავ გავსცე,
იავარჰყო სამყოფთაგან, თავსა ზარი მაშინ დავსცე,
შენით მინდა მე ლაშქრობა, ნაღარას და საყვირსა ვსცე!“

ესე სიტყვა მოუტანა, მეფე მართლობს მეტად თავსა!
„დამიჯერე, ასრე შორს არს, ვით არ შევა სპილო ნავსა!“
ერთხან ჩავჰყევ, არ დავჰკარგავ ჩემს ჭირნახულს, შევიქ ზავსა,
იგი კაცნი კვლავ მოვიდეს, მე მეტყოდეს სხვას იგავსა.

მითხრეს: „ერთხელ კიდევ მორჩი სიკვდილსა და ღალატობას,
ჩვენ ნუ გაგვცემ, თვარ დაგვსოცენ, შენ მიხვდები ფიცის ვმობას,
დაგვიჯერე, ნუ მოელი მეფისაგან ხვალ დანდობას,
ლუარსაბის სიკვდილს გადებს, სულ ამას იქს სიტყვის თხრობას“.

კიდევ გავგზავნე მროველი, ვაახელ მოციქულები:
„მე მთქმელთა კაცთა ვერ მოგცემ, გინდა რომ შემქნა წყლულები,
ლუარსაბ მეფის სისხლს მადებთ, გაქვთ სადმე სიტყვა თქმულები,
მაგრა თავიდამ შეგკადრო, თუ თქმადღა შემრჩეს სულები!“

მეფეს ებძანა: „აწ გითხრა სიტყვა უცთურად მთელია,
ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია,
მაგრა მას მიხვდა სუფევა, ანგელოზნი ჰყავს მცველია;
ამჟამად ისრე არვინ არს წამების გარდამხდელია!

მაგრა მე მის სისხლს არ ვეძებ, შენ იყავ შენთვის მჯდომარე!“
რა ესე მესმა, შევიგენ, ვჰთქვი: „არის ჩემზე მწყრომარე“,
მოციქულთ უთხარ: „ვყოფილვარ მე სადმე ცუდად მშრომარე,
მეფეთ ტახტისა მაქცევი, არათუ შემამკობარე!“

კარი მეორე

შევსთვალე: „მეფეე, ისმინე ეს სიტყვა გათავებამდი,
მეფეს ლუარსაბს რომ ვახლდი, ვით ვიყავ მისად ქებამდი;
ოცის წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდი,
უწინაც მაპატივებდა სამუდმოდ გვერცა ხლებამდი.

ხანი რამ გაჰხდა, მოვიდა ამბავი ლაშქართ ყრისანი,
თათარხნის შემოგროვება, თრიალეთს გარდმოსვლისანი,
მან იარალის უბძანა: „შენ იცი შეყრა გზისანი,
თან ზაქარია წამოგყვეს, ყმანი არ გინდა სხვისანი!

გზანი დაცევით, თქვენ ქენით კარგრიგად ყარაულობა,
თუ ჯარი ნახოთ, გვაცნობეთ, ნუმცა ჰქმნათ თავის წყლულობა!»
მათ ვერა უგრძნეს ლაშქართა, ქნეს სხვას გზას გაპარულობა,
ბოლოს მათგანვე მოიკლნეს, ქრისტეს შესწირეს სულობა!

მათ თრიალეთი გარდმოვლეს, თან აჰყვნენ მანგლისელები,
ზოგნი ნამგლითა მოსდევდეს, ზოგთ ხელთა ჰქონდა ცელები;
კველთა, ოძისი დადაგეს, არა ჰყვა შემნახ-მცველები,
მეფის სვიმონის ხლმის ქნევა, თურმე, არ ახსონსთ ძველები!

კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღდელია,
ლახტითა სცემეს: «წაგვიძეხ, გზა რომელ გარდამსვლელია?»
ერიქალზედან ავიდნენ, ხუცესი წინწინ მვლელია;
აწ ნახეთ, როგორ მოუა, რის ჭირის გარდამხდელია!

გოსთიბის თავს რომ მოვიდეს, ჯერ არ ჩაევლოთ სულებით,
უთხრეს: «მეფეზე მიგვიძეხ, უკან მოგყვებით სულებით».
ორს კაცს ეჭირა მხარ შეკვრით, ხელი ხელზედან სულ ებით,
მღდელმან გულში თქვა: «მე მამკლან, არ დავიკარგვი სულებით!»

ეს განიზრახა: «მეფეზე მიუძღვე ჩემის შიშითა,
თან დავიდევნო ლაშქარი, უმრავლე ზღვისა ქვიშითა;
ესენი ფაფარუჭობდენ გახარებით და იშითა,
არვინ დავრჩებით უკვდავათ, ვინც რომ დედითგან ვიშვითა!»

ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი,
ცხირეთზედ დიაღ შორს დარჩა, მხარი ვლო სხვის სამძღვრისანი,
მღდელს თავი გააგდებინეს, წამებით სისხლთა ღვრისანი,
მაშინ ერთ კაცად კმარიყო, რაც ვნახე ჩემის ძმისანი!

მეფე ცხირეთს ბძანდებოდა უგრძნაულად, მოსვენებით,
მეც გვერც ვახლდი, იგ მწყალობდა სიკეთით და თავის ნებით.
გარდმოვხედე, სულ მოიცვეს დაბლა მხარი, ვიქმენ ვებით,
გულსა უთხარ: «მე ქართველნი მათ შევაბა კაის ცნებით!»

მეფეს ვჰკადრე: «ნუ დაიძვრი, დამაცალე შვიდს ჟამს ჯერე,
რაცა გკადრო, ის ისმინე, სიტყვა ჩემი დაიჯერე,
შენს წინ მოვჰკვდე უსაცილოდ, ფიცი ჩემი ეს იჯერე,
სარდრობით და კაის საქმით, ნახავთ, ვითა შევაჯერე!»

დამიჯერა, მეფე დადგა, მე კავთისხევს ვიწყე რბენა,
ბარათიანთ ვის შეეტყო, მათ დაიწყეს კვლავ მოდენა,
ვინც ვიპოვე, შევაგროვე, ოთხასი ვჰთქვა ან რამდენა?
ღვთით მოხდომა დავანანო, მათ ცოლთა ქნან ცრემლთ მოდენა.

დელუმაჰმადხანს ვაცნობე: «წამოდი, მალე ირები,
მალ მოგვეშველე, შეგვექნა დღე რამე გასაჭირები,

ნუ გაგვიდრკები, აქამდი ჩვენ ერთად გვქონდა პირები!•
არვინ დავაგდე, საომრად მოდიან ჯოხით გზირები.

მეშვიდეს საათს მეფესთან მოველ, მოვხვიე ჯარია,
აწ ნახავთ, როგორ შევიქმენ თავისა გამსაჯარია,
ზაზა ციციშვილს იცნობდით, როგორ გულსრული არია,
მას გვერც ვიახელ, მრავალი კაცი შეეჰქმენით მკვდარია!

ნიაბთ ბოლოს სხერტა ჰქვიან, არის რამე მცირე ჭალა,
ზაზას ვახლდი, იქ წინ დავხვდით, გული გვაქვს და მცირე ძალა,
ზაქარიას იარალი მასთან მოსდევს, მოვლენ მალა,
მორწყულს ხნულში შემოცვივდეს, სისხლი მათი იქ გამშრალა!

ისინი ორნივ დახოცეს, ჩვენ დავრჩით, იყო ველია;
შუბებსა ხელი ვამაგრეთ, მოგვგონდა საქმე ძველია;
ჯიღოსანთ კაცთა უტყუბეთ, წინ იყვნენ, არ ჰყვა მშველია,
ზაზასი მიკვირს იმ დღესა, თუ რას საქმისა მქნელია!

ფაშები იყვნეს, რომ ვჰხოცეთ, გარდახლტა, მოსჭრა თავია,
სისხლით შეღება დოლბანდი, კაბა მწვანე თუ მავია,
მათ მოგვატანეს რაზმითა, არ ჰქონდა ჩვენზე ზავია,
წვერით კბილს თავი მიიცა, ცხენსა მოახლტა: „ჰაია!“

მაშინ მტკვარი მდიდროობდა, ჟამი იყო თიბათვისა,
მუხრანთ მპყრობს და ერისთვებსა ვჰკადრეთ: «გვინდით ამისთვისა!
ამილახორს მოახსენეთ, მტერი ცეცხლზე დაერთვისა!»
მალ ავლევით ზემო ქართლი, სად ფრონენი მტკვარს ერთვისა.

დელუმაჰმადხან მოვიდა, შვიდასი კაცი ხლებოდა,
გულსრულობასა ჩემობდა, მამაცად რასმე დგებოდა,
მგლისტყაოსანთა შეევბნეთ, ომი მწვე შეგვეძლებოდა;
ვიცი, რომ ხმალთა ჩვენთაგან მათ გული დალებებოდა!

აიყარნენ წასასვლელად, მათ პირი ქნეს ყარაღაჯით,
კაცი კარგად მოაგვარებს დიდს ლაშქარზე კარგის გარჯით!
მეფეს ვჰკადრე: «აწ ქართველნი მე ავავსო მათის ხარჯით,
ბძანება ქენ, ნურვინ აჩენს შეხვეწნით და ნურას აჯით“.

წყნარა მიდიან რაზმ-წყობით, ჩვენ უკან მივსდევთ ნელაო,
მათი შებმა და შეტევა არავინ გაიძნელაო,
მე სადავენი შევტაცი, ვინ შუბი წაიგრძელაო,
სამოციათას კაცზედა როგორ არ გვინდა შველაო?

ერთი ტერტერა გორიდამ მოვა უგრძნულად გზაზედა;
დოესის ბოლოს წინ დახვდეს, ვულს ელდა ეცა მაზედა;
გაფრინდა, ხიდის ფიცრები მან გარდაყარა წყალზედა,
თუ არ ენახა ტერტერას, ხიდს გაივლიდენ მზაზედა!

გმირთ ზღაპრულს წიგნში სწერია ჯეონის გავლა ადვილად,
მდევრისა ვეღარ მიწევა, ვერც ჯავრთ ამოყრა ადვილად,
გივისგან ქაიხოსროსი მორჩენა კარგა წადილად;
მათ დავაშხამებ ხვალ დილას, რაც რომ მომზადონ სადილად!

იმ ღამეს მართლმორწმუნენი იყვნეს სულ ღამე თევითა,
ზოგნი ხშირ-ხშირად ვდგებოდით, ზოგნი აქა-იქ თევითა,
ღირსნი კაცები გვიახლნეს, ვესევდით ჩვენ მათევითა,
არ იყო მათში ცთუნება გველისგან იმათ ევითა.

დილა გათენდა, ვახსენეთ ღმერთი და წმინდა ყოველი:
მარიამ, დედა ქალწული და მერმე ძელი ცხოველი,
კვართი და მკლავი მარჯვენა, ღვთივ ქმნული სვეტიცხოველი:
თქვენ დაგვიფარეთ, დაგვცევით, რა წყალში ვიქმნეთ სოველი!

გაღმა მტრის შიში არა გვაქვს, წყალს ხმალი არსით ეკვრისა,
ტანსა ჩავიცვით ჯაჭვები, ტალიკით აღარ ეკრისა,
ჩვენი სიკვდილი აღარ გვჩნდა იოტად, ანუ კეკრისა,
გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა!

შეევდით, წყალსა გავედით, გვეგონა თავი მცურავი,
ცხენები წყალში ფრტვინვიდა, უკუღმა აღარ მბრუნავი,
იმიერ ნაპირს გავედით უბე და კალთა მწურავი,
აწ თათარხნისას გაცნობებ, ვით შევჰქნა მოსამდურავი!

წყალს უზიანოდ გავედით, ეს დიდი სასწაულობა!
ივნისში მტკვარს ვინ გასულა, არ მიხდომოდეს რჩულობა?

არ მოგვრჩომია ერთიცა, იმდენი ერთა სულობა,
ცხენთ ცურვა გაუადვილდა, გასელა თუ გამოსულობა.

სურამის ბოლოს მოვიდნენ, ქართველნი შევიყარენით,
იმათაც დიდად იამა, ჩვენ ხომ მწვედ გავიხარენით,
ომსა ბედევდეს ყველანი, არვინ არ დავიზარენით,
ღმერთო, მოგვხედე, თათარხნის რომ სისხლი ხარბად ვღვარენით!

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

რჩევა შეგვექნა ომისა: რას დროს შევებნეთ, რაგვარა,
დაშურება სჯობს, სიჩქარე, ვირემდის აიბარგარა,
ხანძრად მოვედვნეთ, როგორაც ბალახი ცეცხლმან დაგარა,
ქართველთ ხმალს ქვეშე, ღვთის ძალით, თათრებმან ვერ იმაგარა.

ზოგმან თქვა: «ახლავ მიუხდეთ, თავს გარდვადინოთ მტვერია!
რაღას უდგავართ უომრად, რა ახლო ვნახეთ მტერია?»
ზოგმან თქვა: «ზეით მოუხდეთ, შეიქნან გასაშტერია,
მათ დავანანოთ აქ მოსვლა, არ ჰყვანდეს პატრონ-ტერია!»

ნუგზარ თქვა: «ღამით დავესხნეთ, მთის კაცთ ეს მიყვეს რჩევანი;
მრავალჯერ გაგვმარჯვებია, ასრე გვაქვს ომის ჩვევანი!»
სხვათა თქვეს: «დილას მიუხდეთ, შევქნათ ბედისა წყევანი,
ერთს წარექციოს ასი და ასს ათასისა ძლევანი!»

მე ვჰთქვი: «ძმანო, დამიჯერეთ, ესე ომი მე დამდევით,
ჩემი საქმე დღეის უკან ანდაზად და ხიდად დევით;
გული მტკიცედ დაიმყოვრეთ, მართლა თავი გარდადევით,
თვალი მიგდეთ ზოგ-ზოგებმან, მათში ვიქმნე, როგორ დევით!

დილაზედა რაზმი ვაწყოთ, მათკენ ვიქმნეთ ჩვენ წახრილი,
სადაც დგანან, აქეთ ნაპირს წაუვლია იმათ თხრილი,
იმას ასრე გარდავიდეთ, არვინ იქმნას განგ გახრილი,
გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც დოლაბს ედვას ხრილი!»

ერთი კაცი წამოსვლოდათ, ნიაბის თავს დაეჭირა,
მოსვლა მისი, გამოპარვა, ჩვენოვის ლხინი, მათთვის ჭირ ა!

ვჰკითხე: «ომსა როგორ ბედვენ, შებმისა აქვს საეჭვი რა?»
მითხრა: «უმძიმს მათ გარდმოსვლა, გზა და წასვლა გაეჭირა!»

ესე თქვა თუ: «გროვდებიან, ქვიშას რასმე პარკს ჩაჰყრიან,
ხან ისრებსა შესჭიდებენ, ხან ქურუმნი რამლსა ჰყრიან,
მესტროლაბე სტროლაბსა შლის, მიმსვლელს უკან უკუჰყრიან,
მოსწყენიათ უცხოთ რასმე, ვეჭობ, ყურებს ჩამოჰყრიან!»

ეს გავიგონე მათგანვე, თქვეს: «საქმე მოგვდის მარცხისა,
რაცა ნიშნები ვიცოდით, აღარ დგას, წყალი გარცხისა,
სრულ ჩამოცვივდა ბურჯები, ეტლებმან ქვე დანარცხისა,
თილისმთ ნაქნარი დაშალეს, რკინა ჰქონდათ თუ რაც ხისა!«

კარი მეოთხე

ესე ამბავიც გვიამა, ღმერთი უწყრების თუ რევდა,
იმ კაცსა ვჰკითხეთ, საბრძოლი მათში რა უფრო ურევდა?
გვითხრა თუ: «მშვილდით იბრძვიან, ფოლადი ისრის პირევდა,
თოფი და შუბი არა აქვთ, საყალნო მწვე ქვითკირევდა».

თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოფე, ქამანდარები,
ესროლეთ, თოფის კომლითა ვერ დაინახონ დარები!
აქათ ესენი ესროდეს, ზეით გზა განაკარები,
რა თოფის სროლა გათავდა, შუბთა ქნეს ჯაჭვზე ჩხარები!

რომე ვიწონეთ ჩვენზედა უფროსნი ექვსის ზომითა,
ვთქვით: «გამარჯვება ჩვენია, გავძლებით მათის ომითა!»
რაზმი გავაწყევ, მივმართე მკლავითა დაუშრომითა,
სისქეს ჯარს პირველ მიუხე, სისწრაფე, დიდის ნდომითა.

მეფე გულსრულად მობძანდა, შექნა შუბისა ძგერება,
ვისაც მიუხდის თამამად, იგ მისგან გაიმტვერება!
ფიცხად იბრძოდეს ქართველნი, რაღაა უფრო მტერება,
ხნაშახნუშისა ხმა არის, იმათ ვინ მიეფერება!

ომი გახშირდა, შეუქმნეს ცხენ-კაცთა თოფის სროლანი,
ზოგი ბორდღევდა ცხენს ქვეშე, ზოგთა აქვს მკვდართან წოლანი;

დარბაისელნი იბრძვიან, მეფისა კაამყოლანი,
ომში ისინიც მოგვესწრნეს, ვის ექმნა უკან ყოლანი.

ჩემი რა ვჰთქვა, დიდად მძულდა ტრაბახი და ცუდი კვეხა,
ველარ დადგის უნაგირზედ, ვისაც ჩემი შუბი ეხა!
სად მივმართი შევაძრწუნი, ლახტის თქვიან, არის ჭეხა!
სული მეც ხომ ამოვართვი, რას უზმიდა მეტსა მეხა?

ვჰხოცდით გულმყოვრად, ვიბრძოდი, სწორად რაზმს შუა ვბრუნევდი,
რომელსაც სისქეს ჯარს მოვხვდი, ერთმანერთს შიგ აურევდი,
რომელიც ჯიღით წამოდგის, იმის სისხლს უფრო ვსურევდი,
სიცხემან ძალი დამმართა, ოფლსა არ მოვიწურევდი!

ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე შუბია;
მასუკან ლახტით ვიბრძოდი, სისხლით ავავსი უბია,
ლახტიც რომ გატყდა, ხმალს ხელი მივჰყავ, ვაყენე გუბია!
პატრონსა ჩემსა სხვა მტერი ნიადაგმც ასრე უბია!

იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახაჩუხისა,
თათარხნის ჯარი გაწყვიტეს, მებრძოლნი შეაწუხისა,
მეფისთვის თავს ვინ დაზოგავს, ტანსარო გულად უხვისა?
მრავალთ აბჯრისა ცემისგან თქვეს თუ: «ხმა არის ქუხისა!»

ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმალ ისარია;
სითაც მეფემ ცხენი იგდის, დააშვენის ის არია;
ვისაც თავსა ლახტი დაჰკრის, არ ეგონის ი სარია,
ღმერთო, მიეც გამარჯვება, ვინ რომ რაზმი ის არია!

დილას შებმულთა ცხრას ჟმამდი ჰქონდათ სისხლისა დენანი,
მაშინდელს გამარჯვებასა მართლად ვერ მოსთვლის ენანი,
კვრისა და ცემის ხმა იყო, სხვისა არ გქონდა სმენანი,
მწარეს გვესროდეს ისარსა საყალნო ახ სარჩენანი!

ზოგს მოკლე შუბი ეჭირის, მარჯვედ ხმარობდეს სროლითა,
ვის დაგვაცდენდენ, მაშინღა მიუხდით ჩვენ ოროლითა,
ავს ჯაჭოსანსა ვის ჰკრიან, შექნიან ცხენს ქვეშ წოლითა;
თორმეტი მარტო მე მამხვდა, ვერა მქნეს ჩამოყოლითა!

ისრის სიხშირე რა გკადრო, თუ რამდენი რამ მამესო,
ჯაჭვშიგან მამხვდის ნამტვრევი, სადაც რომ ხელი მამესო,
ომი მწყუროდა მას დღესა, მწადს მათი სისხლი მამესო,
ამ ჭირნახულის მოქმედსა ბოლოდ აღარა მამესო!

გაგვემარჯვა, ამოვსწყვიტეთ, დავიპყრენით, დავჰხოცენით!
რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაკაი ისრე ვჰქენით,
თავი მოდის მეფეს წინა, თუ რამდენი, ვით ვჰთქვა ენით,
სხვა მისებრივ გამარჯვება არ მინახავს, არც ვარ სმენით!

მეფემ ბძანა: «დღეს, ქართველნო, ვით გმართებდა, ჰქენით ბრძოლა,
ვჰფიცავ, რომე ჩემისთანა არვისა ჰყავს ყმისა ყოლა,
თავნი ყაენს გაუგზავნოთ, გარასპიმ ქნას თან მიყოლა,
ძმათ და შვილად მიმაჩნიხართ, უფროსი ხართ კაამყოლა!»

ვინ რომ ტყეში შემძვრალიყო, მესამეს დღეს მოჰყავთ კრული,
რახტ-უნაგირ ვერცხლოსანი, ზოგი ოქრო გარდაკრული,
მე არ გავჰყვი საშოვარსა, ვინ ვჰქნი ხმლისა შემოკრული,
ვინც გამყარა მე მეფესა, არსმცა წყეულ, დასაკრული!

ომი გარდასწყდა, ვამოყვსეთ ხელი და გული ლხინებსა,
კვირით კვირამდის სმა იყო, ნეტარ ვინ მოიწყინებსა?
ყირმიზს ღვინოსა სურები თასზედან მოადინებსა,
რა ზარხოშობა შეგვექნის, ხან ხელი მივჰყვით მინებსა.

კარი მეხუთე

ხანი გარდაჰხდეს, ამაში მე დავჰპატიჟე მეფესა,
იგ მხიარულად მეწვია დარბაზსა, კარგსა სეფესა,
უხვსა, გულტკბილსა, ჯომარდსა, ნიადაგ ვარდთა მკრეფესა,
ბოლოს გესმოდესთ, რას უზმენ ამა ამბისა მყეფესა!

მესამეს წელსა გავმართე მე ლხინი, ერთა ჭამება,
და მყვანდა — ტურფა, შვენებით მჭვრეტელთა გულის ამება,
მეფემ თურ თვალი მიაპყრა, შექნა იმისთვის წამება!
გამარჯვება და ლხინთ ნახვა ყველა შემექმნა შხამება!

არს გარიგება კარგვარი მის მის ალაგსა დასხმანი,
ვის ღვინომ თავი მოსტაცა, შეექნა გარეთ გასხმანი.
მეფემან ბძანა ჩემის დის, მწადს მისგან ღვინის დასხმანი!
მე უთხარ: „ღვინო დაუსხი, ვეჭობ, ქნა არ გარდასხმანი!“

მეფემ თურ თვალი შემსჭვალა, მან მოინდომა მრუშება,
დედაჩემს თურმე აცნობეს, შექნა ვაი და უშება,
მეფემ შინ კაცი შეგზავნა, დაუწყო ქალს დაშუშება,
რასაც ეს საქმე გარდმახდევს, ვის ძალუც წყლულ დაშუშება!

რა შევიგენ, მე ესე ვჰთქვი: «არ მყოლოდა ნეტამც მე და!
რომე მეფემ ესე მიყოს, გამოვდგებით ისი მე და?
წყალობას რომ მპირდებოდა, თურმე იყო ეს იმედა?
შერცხვენა და ხლმის შემოხსნა ნეტარ როგორ გამიბედა?»

მეფეს კაცი მიუგზავნე: «ეს არ იყო თქვენგან ქნანი!
რომ ჩემი და გავაბოზო, სიტყვა ნუ გაქვს ამის თქმანი,
ნუ მიჰყვები ბოროტს საქმეს, ნუ გაქვსთ ცუდი ვულის თქმანი,
თვარემ თავი მოგაკვლიო, არ მაქვს სიტყვის უკუთქმანი!

ეს მინდოდა, შვილისათვის მე დამეგდო ხმლის სახელი,
აწ ესე თქვან: «მოურავის სახლი გახდა საბოზველი?»
ამ საქმესა ჩამომეხსნა, მე წყალობად ამას ველი,
რად დაგვიწყდა, აღარ გახსონს ომი შარშანწინანდელი?»

მეფემ ფიცი შეუთვალა: «მაგას მე შენ არ გკადრებდი,
მაგრა ცოლად იგ შევირთო, მხიარული ვიხარებდი,
ქართლს დაგიჯდეს და დედოფლად, გაიხარე, მით იშვებდი».
შევსთვალე თუ: «ნუ დამკარგავ, აგრე ადვილ ნურც დამთმობდი!

როდეს გნახვენ დიდნი კაცნი, შეგიკვეთენ დაგდებასა,
ჩემსა ცუდად დაჭერასა და სუბუქად აგდებასა,
შადიმან არს ჩემი ქიშფი, გეტყვის სიკვდილს, გაგდებასა,
ახლავ მიჯობს ჩამომეხსნა, ბოლოს ჭირში ჩაგდებასა!

შადიმან ამად დამქიშფდა, აქვს მამაცობის ძრახვანი,
ერთხელ ეს უთხარ: «შენს ხმალსა, არა აქვს კვეთა, ახვანი!»

თურმე შეექნა გულშია სევდა, კვნესა და ახვანი,
სხვას რას დამაკლებს ენითა, არამც მომიდგას მახვანი!

იმავ სიტყვას მოგახსენებ, ხელმწიფესა ზესთა ზესა,
ჭკვიანსა და გონიერსა, სხვათ ძალგულთა უფრო მხნესა,
სვიმონ მეფის შვილისშვილსა — ნუ მიჰყვები ნდომის ზნესა!
თქვენც ის ქენით, მამა-პაპათ რომ მოყრობა სითაც ქნესა!

კახთ მეფისა, ეს მეც ვიცი, არ გხვდების რა შესართავათ,
სხვა ბატონი ვინც არიან, თავმამწონე გვარათ, თავათ,
სიხარულით ქალს მოგცემენ, ტკბილის სიტყვის დასაზავათ,
ჩამომეხსენ, დას ვერ მოგცემ, სულ ნუ შემიქ გასათავათ!»

ებძანა თუ: «არას საქმით არ დავიშლი მაგის შერთვას,
ნეტავ რისთვის მიზარდები მოცემას და ნების შერთვას?
თუ ბოროტი მე რამ ვსძრახე, ახლა ხედავ წაღმა შერთვას?
ნუ უპირებ ცრემლთა ჩემთა ზღვათა შიგან სადმე შერთვას!»

მეფის დედას, დედოფალსა, შევეხვეწე მუდარებით:
«თქვენი შვილი ჩემს დასა მთხოვს, მე არ ვაძლევ ჩემის ნებით;
არა ვღირსვარ, დაუშალე გამორჩევის კაის ცნებით,
ძმა, შვილი და თავი ჩემი იმსახურე გვერცა ხლებით!»

ებძანა თუ: «არას მიჯერს, თვარ ვმოყრობდი დადიანსა;
შენ ხომ მაშინც ერდგული ხარ, ჩვენთვის დასდებ თავს და ჯანსა,
რომელიც სწადს, მაგან იცის, ნუ შემამთხვევთ ცუდს გარჯანსა,
ვეფხვსა ადვილ ვინ შეიპყრობს, ან ვინ შესწვდა ცას მარჯანსა!»

კვლავ მოვახსენე: «მოყვრობა თქვენგან დიდთ კაცთა წესია,
თქვენი ყმა არვინ არ არის სხვა ჩემგან უმრწემესია,
ჩემი და გაუთხოვებლად არ დამირჩების, ესია;
გაგემარჯვების, დამეხსენ, ნუ შემქმენ სევდით მკვნესია!»

გაჯავრდა, ესე ებძანა: «შეხოცა გინდა, ვიცია!»
მერმეღა ვკადრე: «მეფეო. მიბოძე მართლა ფიცია,
რომ არ დამიგდო მას უკან, ეს სიტყვა დაამტკიცია»;
მან საფიცარი მიბოძა: «არ მოვშლი, თუ ცა ვიცია!»

აღარ აგრძელა, მაშინვე იმან გაპირა ქორწილი,
სიხარულისა დღისაგან სევდა მაქვს უფრო ორწილი,
ზრუნვა და ფიქრი ბედისა ჩემი შეიქნა მოწილი,
ქალი პირბროლი შვენებით, ბაგე-კბილ ტურფა ძოწილი.

მეფე ქვათახევს წაბძანდა, ნოსტიდამ ახლო არია,
ჩემი დაც თან წაიყვანა, დღე ჰქონდა გასახარია;
წინ მოეგება მაზარით ნასიძე წინამძღვარია,
მან თქვა: «ქვათახევს ქორწილი მეფეთა გასაკმარია!»

მღდელი იქ დახვდა მცოდინე, იოსებ კანდელაკია,
მისგან იკურთხა გვირგვინი, არ თქვა თუ დღე რამ ნაკია!
სრულ შინაყმანი მირბიან, აღმართია თუ ვაკია,
ვინ იცის, დილა რასა შობს, თქმულა, თუ ღამე მაკია?

ხანი გამოჰხდა, შეიქნა თვები ხუთად თუ ექესადო,
კავთისხევს დადგნენ, რაცა ქნეს, სრულ ვერ გაუველ ლექსადო,
შემოკრბეს, უთხრეს მეფესა: «საცოლედ შენ ვინ, ეგ სადო?
არ გიზამთ, ეგ არ იქნების, ნუ შეგვიქ ქართველთ მკვნესადო!»

ჩემს მოყვრებს მწვე უხაროდათ, სხვანი ჩურჩურით მჩხუბევდეს,
მაშინღა უთხრის სუფრაჯმა, როდესაც მეფე სუბევდეს;
მე საფიცარი ხელთ მქონდა, შენახვით კარგა უბევდეს,
თუ მე უცილოდ შემეტყო, სუფრაჯის სისხლი გუბევდეს!

კარი მეექვსე

წავკისის თავს მეფე იდგა, რომ მაისი გახდა ოცათ.
მეფეს წიგნით დავებარე: «მოდი, ვიქმნეთ ნადირთ მხოცათ,
ყარაია ვინადიროთ, მშვილდი ჩვენ ვყოთ ხელთა მოცათ!»
შიგნით ღალატს მიპირებდეს, გზანი ექმნა გარეთ მოცვათ!

მეფე სიტყვით მოეტყუათ, მათ რჩევაზედ ჩაეყოლა,
ერთხელ ეთქვა: «ამის მეტად ნულარ მეტყვით მაგას ყოლა,
ნეტარ ყმაღა ამისთანა სხვას მეფესა ვის ეყოლა?
დიდს ომსა და გაჭირებას, ნეტარ ვინღა წამეყოლა?»

მეფემ უბძანა: «ამ სიტყვას არავის გეტყვით ფერობით,
მან მამარჩინა სიკვდილსა, მძლავრს ლაშქარს გასაშტერობით,
მე რომ იმისი და მედგას, თქვენ რა გრჯისთ იმის მტერობით?
თუ მცოდებს, დასაც დაუგდებ, მას გავჰხდი მიწა-მტვერობით!»

დაუჟინეს თუ: «რას გარგებს, აბა გყვანდეს მარტო ისი,
გვერცა არვინ მოგიდგებით, შემოგძარცოთ ძმა და თვისი!
თქმულა: სიტყვა სასარგებლო უკეთ იცის სხვამან სხვისი,
ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი!»

ბოლოს ეთქვა: „იმის დასა მე გაუშვებ, გავირიდებ“,
იმათ ეთქვა: «არ იქნების თუ არ მოჰკლავ, თავს არიდებ,
იმას ცოცხალს დას დაუგდებ, ჩვენსა დღესა ხომ აბინდებ,
არ იქნების, თუ არ მოჰკლავ, მართლა გულს არ გაიწმინდებ!»

დაესკვნათ ჩემი სიკვდილი, რა დილამ შექნას თენება;
ბააკა ხერხეულიძის მაქვს ფარეშთხუცის ხსენება,
მან გაიგონა: «ხვალ მოვჰკლათ», — ეს თურე ღმერთსა ენება;
გამომიარა, მან მითხრა: «აჩქარდი, გიჯობს ცხენება!»

ფიცით მითხრა: «უსაცილოდ ასერ მოელენ ჯარი მკვლელად!»
ახალუხზე ხმალი ვირტყი, ცხენისაკენ ვიქმენ მვლელად,
სახურვიანს ცხენს მოვახლტი, უძოსაკენ ვიქმენ მსვლელად,
უგრძნეს, მიმძიმს, ფარეშთხუცესს მას ცხვირისა ექმნეს მჭრელად.

სამადლო გარდმოვირბინე, გამოველ კლდესა ნეგოსა,
ლაშქარი უკან მომდევდა, ხელი ხმალს მაგრა ეგოსა.
შადიმან მოდგა კლდეს გაღმა, შემძახა: «მართებს, ეგოსა!»
დავბრუნდი, უთხარ: «მობძანდი, ვნახოთ, ვინ დაიბეგოსა?»

რბევით მოველ იმა კლდესა, სად რომ ჰქვიან გელიყარა,
იქ ქვეითი კაცი დამხვდა, თავი დაბლა დაეყარა,
ჩამოვხე და გამოვართვი, მშვილდ-ისარი აეყარა,
ჩახჩურს ვაძლევ ფეხიდამე, ქალმან წინდა წაეყარა.

სახურვიანს ცხენსა ვიჯე, მაგრამ იყო დიაღ კარგი,
მშვილდ-ისარმაც გული მამცა, ვჰთქვი: «ეგებ არ დავიკარგი?

თუ ცოლ-შვილი გარდავხვეწე, მე არ მინდა სხვა რამ ბარგი.
ნოსტეს ლეღვი აღმოვსთხარე, თაო ჩემო, სხვაგან დარგი!»

დიდგორი გარდმოვიარე, გზა ჩავლე გოსთიბისანი,
ცოლ-შვილი ტყეში ავასწარ, მე არ ვინაღვლე სხვისანი,
ცოტა რამ ყმათ წამოეღო ოქრო, თვალ-მურასისანი,
ასრე მომიხდა ქორწილი, მეფის რთვა ჩემის დისანი!

მთიდამ დავხედე, დაიწყო ქვეშედამ ჯარმა დინება,
სასახლეს ცეცხლი შეუდვეს, მით უფრო მამეწყინება;
ვინ ქიშფათ იყო ჩემზედა, გულსა მიეცა ლხინება,
აიფორაქეს ქონება, გარეთ იყო თუ შინ ება!

მამის განძიც ბევრი მქონდა, უფრო ჩემი ნაშოვარი,
ყველამ ერთ დღეს ჩაიარა, მას მოუხდა გრიგალ ქარი!
მაშინ დავგმე ეს სოფელი, ვჰთქვი თუ: «რა მწვე ცუდი არი,
გუშინ მქონდა სიხარული, დღეს ტირილი შესაზარი!»

მძებნიდეს მთასა, მაღნარსა, ჰქონდათ ყოველგან ჩხრეკანი,
დამაგდებინეს საყდრები, ვეღარ მესმოდა რეკანი,
კლდეებში ბორდღვა-სლვისაგან ფერხთ აღარ შემრჩა მე კანი,
გულსა ვეტყოდი: «გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი!»

ექვსი ყმა შემომეყარა, მარჯვე და ჩემი ზრდილია,
მითხრეს თუ: «სითაც აპირებ, გზის წასვლა სიადვილია,
კაცი ხარ მწვე ჭირნახული, ბევრს ომში გამოცდილია;
ზოგჯერ მზის შუქი მოგხედავს, ზოგჯერ დაგფარავს ჩრდილია!»

გზები შემიკრეს ყოველგან სამცხის მთისა და ბარისა,
კაცნი ჩავგზავნე შუაღამ, თქვენ ნუ გაქვთ შიში ჯარისა,
მათ შვიდი ცხენი დაჰპარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისა,
უნაგრიანად მამისხეს, ვჰთქვი თუ: «ეს კარგი არისა!»

წავკისს რომ ვიდექ, პაპუნა ჩივაძე თანა მხლებოდა,
ჯაჭვი და შუბი ეტაცა, ერთი თვით იმას სცმებოდა,
მომძებნა, მპოვა, მამართვა, მას სწადდა, მეცა მნებოდა,
იმხელი კაცი სიმარჯვით მართ უკეთ არ იქნებოდა!

გოსთიბეს იყო სხვა ჩემი ძოვნად ულაყი ცხენია,
ზოგ-ზოგი თოხარიკები, ზოგსა აქვს სიფიცხენია,
გულსა მდაღევდა სახმილი, ალისა მე სიცხენია,
ვაი სიკვდილი, დაკარგვა და საქმე შესარცხვენია!

ყმათ მითხრეს: «სითკენ წავიდეთ, ერთი გვხამს გასაბედია!»
მე უთხარ: «ყველგნით მაღონებს ჩემი წერა და ბედია,
გზები დავსჩხრიკო, სით მიჯობს, არა მყავს მოაბედია;
წავალ, ვინც დამხვდეს შევაკვდე, დავიწვა, ვით აბედია!»

მე არსით აღარ მეგონა უკვდავად გავლა გზებისა;
ცეცხლი მამიდვეს გარშემო ყოველგნით ანაგზებისა!
ყმათ უთხარ: «დიდგორს მივმართოთ, ვირ მოსვლა იყო მზებისა».
თავს ვეტყვი: «ნეტარ რა მოჰხდა გაწყრომა მიზეზებისა?!»

ქალი და კაცნი ვინცა ვართ, შევკრბით. დღემ რომ ქნა ბინდება.
რასათვის წავჰხე უბრალო? ცრემლი ამისთვის მდინდება!
მთის თავს ვჰთქვი: «ჩემთან მყოფელსა გული ნუ შეუშინდება,
ჩემთ მკვიდრთა ჩემთან სიკვდილი დასთმეთ, ნურავინ ჰმუნდება!»

იმ ღამეს წავლეთ დიდგორი, უგზოთ მთათ ბალახიანთა,
კოშკის თავს გზა გარდვუქციეთ, ჩავედით მაღნარს მთიანთა,
შენობას თავს წავადეგით, ვერ გვიგრძნეს თელავნიანთა,
ტყეში შევბრუნდით, სულდგმული ვერავინ გვნახავს ხმიანთა.

თელავნის თავსა ხშირს ტყეში მცირე დგა ტბისა გუბენი,
იქ გაგვითენდა, დავდექით, ვჰთქვით: ვართო მცირე სუბენი.
ცოტა რაც გექონდა, თან გვახლავს, ყველას სავსე გვაქვს უბენი,
გულს უთხარ: «ნეტარ აქ რა ვჰქნა, არ მოიხმარვის შუბენი!»

ფეხის მიწყნარვის დრო მოჰხდა, ღამეა მგონ ძილპირისა;
ჩემს სიკვდილს მსწრაფულ მოელიან, ცოლ-შვილი ამად ტირისა.
უთხარ: «ნუგეშისთ, ღმერთია მამალხენელი ჭირისა,
კიდევ წყალობით მომხედავს კვერთხი იესეს ძირისა!»

უთხარ: «წავიდეთ, ახლავ სჯობს, საქმენი მინაშურია»,
კარსანის თავი წავლევით, სად ახალქალაქურია,

ჩაველ, იქ საყდარს ჩამოვჰხე, ჩემთან მყოლთ ლოცვა სურია;
იქ მყოფნი არვინ დაგვიხვდა, მონათა ჭამეს პურია.

საყდარსა ღვთისმშობლისასა ჩვენ შევეხვეწეთ მუდარათ:
«ამ შეჭირვების მგზავრობას შენ ნუ გვიქ გასაცუდარათ,
გზა მოგვეც იორდანისა, ვინც რომ ხარ ნავთ საყუდარათ,
დამხსენ რყევას და სარჯელსა, ვიქმნე სამ დასაყუდარათ!»

იქიდამ კაცი ჩავგზავნე ხიდის გზის შემტყობარია:
«დავედრე ხიდის მცველები, ნახე, არ არის — არია?
მართლად გასინჯე, შეიტყევ, გზის მცველი ბევრჯელ მცდარია,
ეგების ძილსა შეეპყრან, მით თავსა დავსცეთ ზარია!»

ხიდზე ჩავიდა, გასინჯა, სამოცი კაცი ფთხილობდა;
მითხრა თუ: «დგანან ფეხზედა, ერთიცა არა ძილობდა;
ერთი ეშულლის მეორეს, სხვა თქვენს დაჭირვას ცდილობდა;
«რომ არ შევიპყრა, არ მოჰხდეს», ამას ის უსაცილობდა».

რა ეს მესმა, «ამისთანა, ვჰთქვი, მიქნია ინარები?!
ამათ დავჰხოც უსაცილოდ, აღარ მინდა ფონარები!
გავლოთ ხიდი, იარაღთა მათთა ვიქმნეთ მშონარები,
მომყევით და ნუ გადრკებით, ნუ შექნილვართ მცონარები!»

ყმათ მითხრეს თუ: «ზოგთა დაჰხოც, ზოგთ გარდიგდონ ფიცარია!
იმათ რა ქნან, ბძანება აქვთ, მეფის დანაფიცარია;
ხმას დაჰყრიან ძახილითა, გარეშემო ვინც არია;
ვეჭვ, არ შერჩეს მეზობელთა, სახლი შენი, ვინც არია!»

ერთი თასი სქლად მოდიდო ვჰქმენ სვეტს ცხოველს შესაწირად,
არც მწვე ბევრის ფასის იყო, სამოც მარჩილ იგ საღირად, —
შევეხვეწე სვეტს ცხოველსა: «გამიყვანე შენ ნაპირად,
ცოლ-შვილთ ცოდვას ნუ მაჩვენებ, დღე შემქნია გასაჭირად!»

რა შევსხედით წყნარა-წყნარა, ხიდის ბოლოს ჩაველ ნელა,
მტკვარი ნახეს, მდედრებრ შეკრთეს, ქალთა გასვლა გაეძნელა.
უთხარ: «გულსა შიში ნუ გაქვს, ღმერთი არის ჩვენი მშველა!»
ცხენს მივეცით სადავენი, უბე-ქალთა დაგვესველა!

ცხენნი ცურვით წყალს გავიდეს, მე ჩავიგდე სასწაულად;
ხიდის მცველთა ვერა იგრძნეს, ვერც შეიტყვეს ვერცა სულად,
ქალთ ღმერთს დიდი მადლი მისცეს, რა რომ იქნენ წყალს გასულად!
შენ დაგვიხსენ, შემოქმედო, მიწურვილნი აღსასრულად!

წავედით ნელა, მივედით მცხეთის სამრეკლოს ძირამდის,
გარდავეხე, თასი ავიღე, მე შევაწივე შინამდის;
პირჯვარი გამოვისახე, აღარ ვარ მოსაწყინამდის,
ცრემლი დავსთხივე ვედრებით, საყელოს ჩამომდინამდის!

კარიბრჭეშიგან ვილოცე, საყდარი დაკლიტულია,
თასი კარს წინა დაუდგი, მას შევავედრე სულია:
«გმონო, გმსახურო, მუნამდის ვიქმნე სულ ამოსულია!»
არვინ მაცალა მის მკობად, სხვაგნით მქნეს მე წასულია!

გამოველ, შევჯე, წავედით, მივედით მისაქციელსა,
ნუგზარ მოვიდა კარგ სიტყვით, უყურეთ მისაქციელსა,
მითხრა თუ: «ჩემს თავს რას ვაქნევ, ქვეყანა მისაქციელსა,
ჩემის ქვეყნიდამ თუ მეტყვი, აღარ გყოფ მისაქციელსა!»

დილაზე თვითან წაბძანდა, მივიდა ახალუბანსა;
იმ დღეს იქ დავშრით, ქალებსა ვერვის ვნახევდით უბანსა.
მე ისევ გაღმა მეძებდეს, მაღნართა უბან-უბანსა.
ლხინი შემექმნა ტირილად, ზარსა სოფელი უბანსა!

წავედით, დუშეთს მივედით, ვიჩივლე ჩემი ჭირები,
ნუგზარ ერისთავს უამბე, როგორც მითავეს პირები,
მან მისი ქალი რა ნახა ცრემლითა ანატირები,
მითხრა თუ: «საქმე გავხადო მეც შენთან გასაჭირები!»

მითხრა თუ: «ყმისგან პატრონის მოყვრობა არის ავები,
ბეზღობას ვერ ასცილდება, საქმე არს გასათავები,
შენ ხომ ზედ უნდა წააკვდე, მისთვის მოიჭრა თავები,
ან აგრე მოვა გულისა სევდითა დასაწვავები!

თვარე მეც შენთან მოვჰკვდები, რასაც იქ, მეც ვარ მქნელია,
«სჯობს საყვარელსა მოყვარე» — ესე ნათქვამად ძველია.

დასდგები აქა — გახლავარ, წახვალ — ვარ წამომსვლელია,
შენთან სიკვდილს და გვერც ხლებას არვინ მყავს მე დამშლელია!»

ვჰკადრე თუ: «დავსდგე, რას ხელს მყრი, სადამდი შემინახევდე?
ყმათ ხომე არც თქვენ მიახლებ, მუდმად სევდითა ვახევდე,
ჩემსა სახლსა და მამულსა თვალით ვერ დავინახევდე,
ჩემსა ბედსა და წერასა ვგმობდე და ავად ვძრახევდე!»

მოვახსენე: «ერანისა ხელმწიფესთან მე ვარ წამსვლელ,
სიკვდილს მაშინც გარდავრჩები, შევეხვეწო, ვიქმნე ჩამსვლელ,
უსამართლოდ მაბეზღართა ვეღარ ვექმენ თავის ამსვლელ,
აქანამდის შუქით ვიყავ, აწ, მზევ, იქმენ ჩემთვის ჩამსვლელ!»

წასასვლელად მოვემზადე, აღარა ვარ დასაღონად,
მითხრეს: «ჩახვალ შენ იმათგან, შეიქნები მოსაწონად,
რაღას გარგებს სიმძიმილი, რომ გაჰხადო ცრემლი ფონად?»
წავალ, რაღაც მომევლინოს, მოვიჭირვებ მე ამდონად.

ნუგზარ მითხრა ერისთავმან: «თქვი, თუ ჩემსას რასა ბძანებ?
მეც წამოგყვე უსაცილოდ, წავიდეთ და ნუ ახანებ;
მეფესა და სულ ქართველთა არას ვაწყენ, არას ვავნებ,
დიდს ხელმწიფეს შევისწავლი, ჯავრსა არას არ ვათაენებ!»

მე უთხარ: «მე წაუიდე, აწ სხვაცა დამებრალევდეს!»
მან მითხრა: «შენ წაგახდინეს, მე ვინღა შემიბრალევდეს?
იქიდამ დავრჩეთ ორნივე, ნება იყოს თუ ძალევდეს,
ისრევ გაწითლდეს სპილენძი, რაგინდ რომ ხშირად ჰკალევდეს!»

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

რაღას ვაგრძელებ, წავედით, მე ცოლ-შვილითა ვიარე;
გზა წავლეთ საგურამოსი და არე მათი ვიარე,
ლილოს პირს ჩავლე, ლოჭინის ხევები დაუტიარე,
ყურყუთას ფონი თხლად იყო, ჩვენ დაგვხვდა დასათქმიარე!

ესენი ღამე ჩავლევით, გათენდა იაღლუჯასა;
შეკაზმული ვარ, მივდივართ, თავი მოსწონდა ლურჯასა,

იტყოდეს ჩვენნი მნახავნი: «გვანანო მაგარს ბურჯასა!»
მე ეს დამმართა სოფელმან, ნეტარ ვის უშვებს ურჯასა?

ეს რა ვიცოდი, ცუდმუდი მე კაცი შემომბედევდა;
კოლოტაური წინ დამხვდა, თურმე ფონს გასვლას მხედევდა,
ადვილ შეპყრობა ინება, დავ გამოთხოვით მედევდა,
მან არ იცოდა სრულობით, ძალ გული როგორ მედევდა!

მან შემომძახა: «არ იქნა, ველარ ხარ ჩემგნით წასული!»
უკან მამდევდა წყალს აქეთ, არ ვიქმენ ფონსა გასული,
მითხრა: «არ იქნა, ვერ წახვალ, მზე იქმნა შენთვის დასული».
ვჰთქვი: «ეტლსა მოსძაგებია, სოფლით არს გაღმა გასული!»

გავჰკვირდი, უთხარ: «რას მამდევ, შენ რა გაქვს ჩემთან დავია?
ბატონიშვილმა გიბძანა, ვინ არის მუხრანთ თავია.
იგი არ მმტერობს, არ მამდევს, ჩვენ მოყვრობით გვაქვს ზავია,
ეს ჰკადრე, იცი, პატრონზე არა ვარ დამნაშავია!

როგორ? მე და შენებრ კაცი დასაჭერლად უკან მდევდეს,
ჩემსა ბჭობდეს დაჭერასა, ახლოს მოსვლას გაბედევდეს,
ჩემთვის ისარს მომახვედეს და სასროლად მშვილდსა ზევდეს?
მე რომ ხელიც არ შევახო, ცხენზე როგორ გარდამზევდეს?!»

დავბრუნდი, ცხენი შევჰქუსლე, არა ვჰკარ შუბის პირია!
იგი დიბლიგით გარდვაგდე, ვარქვი: «თავს უყავ ჭირია!»
მას მამის სული უხსენე: «მორბოდი, აწ რას სტირია?»
ორგნით გვერდები დაემტვრა, გათხარა ძეძვის ძირია!

ვჰთქვი: «მოვჰკლევდი, მაგრა ეს სჯობს, დამიგდია დაბნედილი,
ამაღამე აქა ეგდოს, გაუთენდეს თუ რა დილი!
გავს, ტარიელ სად ტიროდა, წყაროსთან დგა ხისა ჩრდილი,
წავა, მიმწევთ გზაზე დაჰხოცს, ველარ მისწვდა ავთანდილი!

ჩემგან სიკვდილს და დაბნედას ნურც ცახედ ნურას ჰკვირაო,
შენს ცოლთან დაგიკვეხნია, მოურავს დავიჭირაო!
წადი და სახლი მომზადე, როგორაც გაგიპირაო,
ვეჰვ, რომ თავბედი იტირო, დღენი გაქვს გასაჭირაო!»

ამისთანანი კაცები საჭერლად დამდევნებიან!
ბატონის წყრომა ძნელია, თვარ მამწევს უფრო ენებიან.
გაძლების მეტი რაღა ხამს, რაც ჭირნი გარდამხდებიან!
მეც დავაკლდები ქვეყანას ბოლოჟამ, თვარ მიხვდებიან!

ჩვენ არჯაყალას მივედით, სხვა არვინ დაგვხვდა გზაზედა,
რაც ნივთი იყო სარჩოსი, ჩვენ დაგვაყენეს მზაზედა;
ორს კვირას იქ მოვიცადეთ, იყვნენ ჩვენს სიტყვის თქმაზედა,
ჩვენს მერიქიფეს უბძანით: «წამოდექ ღვინის სმაზედა!»

ასრე მოგვეპყრნენ, გვმსახურეს, როგორაც ჩვენნი მონები,
რაცა ვინებით, გვანებეს, ძალი არ გვიყვეს ჩვენები,
ზოგი გრძნებითც რამ ივარგეს, უცხო რამ მოსაჩვენები;
ჩვენ ჩვენის ქვეყნით დაგვკარგეს, დასუსტდა გამომდევნები!

მათ მივაბარე ცოლ-შვილი, დადგნენ კარგ გარიგებითა,
წავედით, გზაზე მივდივართ ამოდ და ჩვენის ნებითა,
ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის ცნებითა;
დგომა და წასვლა ორივე შემქნია ბოლოს ვსებითა!

თურმე შაჰ-აბაზ ხემწიფე იყო მისვლისა მდომელი.
მიველ, დამიხვდა კეთილად, არა გუნებით მწყრომელი,
ხანი რომ დავჰყავ, მიბოძის, რისაც არ ვიყავ მდომელი;
მაგრამ სევდა მწვავს სახლისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი!

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ

მერმე ყანდაარს წაბძანდა, მტრად გამოუჩნდა ინდია;
თან წავჰყევ, კარგა ვიბრძოლე, მათ დღენი დაუბინდია!
გამარჯვებული დაბრუნდა, აწ ცრემლო, ნუღარ მდინდია;
მაშინც მოვჰკვდები, ბოლოჟამ, ნეტარ რას შეუშინდია?!

ბაღდადს წაბძანდა, თან ვახლდი, აღება ბძანა ციხისა,
ძმა მყავდა გულსრულ, მამაცი, ხმის ამომღები, რიხისა,
მან ერთი კაცი საბრძოლად ადვილად არ შეიხისა,
ის იქ მომიკლეს ომშიგან, კაცება შექმნეს თიხისა!

დაბრუნდა, ტახტზე მიბძანდა, რა ხანმა გავლო მცირენი,
მერმე ბძანება გამოჰხდა ქართლს წასვლის დასაპირენი,
წამობძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შეექმნეს ხშირენი;
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!

უწინ კახეთსა მობძანდა, იცით, რომ იქმნა რაები?
მეორედ ქართლსა მოვიდა, არვინ ჰყო შესაძრავები,
ორნივ მეფენი იქმენით სამკვიდროთ დასაძრავები,
თქვენ გარდაბძანდით იმერეთს, მე რა ვჰქენ დასაშავები?!

მოციქულები გაახლათ მოსვლის და შერიგებისა;
თქვენ არ მობძანდით, იცოდით მათი წყენა და რგებისა!
მეფე ლუარსაბ მობძანდა, აწ სიტყვა არ ეგებისა,
ვინც მოიყვანა, ამოდ ზის, ლახვარი არ ეგებისა!

შადიმან გარდმოიყვანა ტკბილის სიტყვით და ენითა,
მან საჯილდოო იშოვა, თქვა თუ: «ეს კარგი ვჰქენითა!»
იგ თავის უფლად შეიქნა, მე ვარ აწ ცრემლთა დენითა,
მის წილ მე ვჰკვდები, შექნილვარ ლახვართა დასაშენითა!

თუ სჯობდა, თქვენც რად არ მოხველ, არა ჰქენ შემოყრილობა,
თუ ის წყალობას ელოდა, თქვენც რად არ იდევ წილობა?
ის ერანელთა შეიპყრეს, თქვენ ჰქენით მოსვლის შლილობა,
თან წაიყვანა ხელმწიფემ, ქართლში მოჰფინა ჩრდილობა!

მეც ისევ თან წამიყვანეს, ძალი იყო თუ განება,
გულსა ვეტყოდი: «სოფელმან თავი აროდეს განება!
სრულად მომავლეს ერანი, სიგრძე სად იყო, განება!
ვეღარ დავეხსენ ადვილად, თავი მახესა განება!»

დღეს ერთს ლხინად ჯდა ხემწიფე, უხვს თავი ჰქონდა ლაღება,
მიბძანა: «გამხიარულდი, გულს ცეცხლი ნუ გწვავს, დაღება,
თეთრს მოგცემ ამდენს, კარამდი ვერ შესძლო მიტან-წაღება,
სხვის წყალობითაც დაგმართო სევდათა კარის გაღება!»

მოატანინა, დააწყვეს ტახტის პირს თეთრის გუდები,
მიბძანა: «ადეგ, აიღე, ნუ ხარ მცონარად, უდები».

ტახტის პირს მიველ, თეთრს ჰქონდა სულ ახალ-ახალ ბუდები;
წინ დამაჩოქეს, არ ითქმის აწ ტყუილი და მრუდები!

გულს უთხარ, ცოტას ავიღებ — დამძრახვენ, არ აქვს ძალები;
ბევრი ავიღო, არამც თქვან: «ხარბად შემსჭვალა თვალები!»
ვჰთქვი თუ: «მიძრახონ სიხარბე, გული მაქვს კლდეებ სალები»;
ბევრის აღებას ვეცადე, მით გავიმაგრე ძვალები!

თვითო მხარზედან გარდვიგდე, ერთი თავზე ვჰქენ დებული,
თვითო ღლიასა შევიგდე, ორი ვჰქენ ხელკიდებული,
ერთი კბილშიგან მივიეც, მით ვიქმენ აზიდებული,
ავდეგ, კარამდის წავიღე, არვისგან არ რიდებული!

ბძანა: «ნუ მოჰკლავთ ჯამუშსა, მის კაცთა მიუბარეთა!»
მე ჩემნი ყმანი დამიხვდეს კართან რომ მიველ, გარეთა,
ოთხასის თუმნის წამღებთა ვერ ვხედავ დამაზარეთა;
გვერცავ დამისვა ხემწიფემ, ბძანა თუ: «გაიხარეთა!»

ხოსრო მირზა მე გავჰხადე ხემწიფესთან გამოჩენით;
მოვახსენე: «შეიწყალე, თქვენ სიუხვე მაზედ ქენით!»
ვეხმაროდი, ბევრს ვაძლევდი, შევიტკბობდი ტკბილის ენით;
გავამდიდრე, მე ჩამოვხსენ ღარიბობას ცრემლთა დენით!

ამად ვჰქენი, მამით იყო ბაგრატოვანთ თესლი, გვარი,
დედას ვინლა იკითხევდა, გლეხი იყო თუ რა გვარი?
მე ხემწიფე ყურს მიპყრობდა, სიტყვა მქონდა მით მაგარი.
ყველგან წახდა ჭირნახული, ჭკუა მექმნა წასაგვარი!

ჩემთვის დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია,
ვიზედაც რომ კარგი ვჰქენი, მე შემექმნა ზიანია!
კლდე, კაპანი მტრით შეკრული მე გავჰხადი გზიანია!
ვერვინ ვერ ქნის ჩემზე მეტი თავის გასაზვიანია!

კარი მეცხრე

ბევრი რამ საქმე გამოჰხდა, ყველას აქ ვინ იქს წერასა?!
მას უკან ბძანა ქართლზედა: «მართლად ვერა ვიქ მზერასა!

ყარჩიხანს წინ გაგიძღვანებ, სინჯე, თუ იქსო მზე რასა?»
რაც მაშინ მოჰხდა, ამბითაც გული შეიქსო ძგერასა!

მოვიდა, ეს ვთქვი, ქვეყნისას ეს აოხრებას ბედავსა?!
ზურაბს გავენდეე, ერისთავს, უთხარ თუ ვერვინ ხედავსა,
ჩემის ხელითა ეკალსა მოგლეჯს, მიძახდენ: ბედავსა!
ვირემ დაგვხოცდენ, მე დავჰხოც, ვიტვირთებ სისხლსა ქედავსა!

ისიც დამპირდა მოსვლასა, ჩვენ პაემანი დავდეევით,
ქვეყანა იმ დღეს დადგინდა, ეს კაი ხიდი გავდეევით!
მე ჯარში დავდეგ, ჯაჭვები არ ამოვიღეთ, ჩავდეევით,
ქართლი ჩვენის ხლმით დამაგრდა, ჩვენ ესე დავიქადეევით!

ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი,
ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი,
წასვლის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯაშუშ-მცველი,
იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი!

მაშინ ზურაბ ბევრი მიმხრო, კაცი არის გამბედავი,
კაის ჯარით მამეშველა მტერთ მემუქრე და მედავი,
ომის დღესა წინ წამდგომი, დამშლელთ უთხრის: «დამე დავი!»
მოყვარე და ჩემთვის მკვდარი, ის ეტლსრული, მე ბედავი!

მან ცოლი დასთმო, ჩაიგდო სირცხვილად სრულად არათა!
ვჰკადრე: «უკეთესს შეირთავ შენთვის მწვე გასახარათა,
ხმალსა და სახელს აქ ჰპოებ, კვლავ მზე მოგფინო დარათა,
ლუარსაბ მეფის დის შერთვა, შენთვის არს ეს საკმარათა!»

ლოჭინის ბოლოს ქორითა დავიწყე ნადირობანი.
ერთი შათირი მორბოდა, «აქ მოდი», — უყავ ხმობანი;
არ მამეწურა, ესე თქვა: «არა მაქვს თქვენი ცნობანი».
ძალად შევიპყარ, იმ დღესა დასწყივა ჩისი შობანი!

გავჩხრიკეთ, თავდაბეჭდული წიგნი უპოვეთ უბითა,
ეწერა: «ქართლი აჰყარეთ, კაცთაგან დაასუბითა!
ერთპირად გამომიგზავნე, მკლავებს საბელი უბითა,
მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ვეღარა ქნას რა შუბითა!»

შათირი მოვჰკალ, ის წიგნი იქავე შევჰქენ ხეულად,
დავბრუნდი გაჯავრებული, ნახავთ რასა ვიქ წლეულად?
ლაშქარი ვიხმე, მოვიდეს, ჯარი გავხადე სნეულად;
სამკვიდროსაგან უმკვიდროდ ვიქმენ დაკარგულ, ეულად!

მარტო მე რაც ვჰქენ იმ დღესა, თუ ის შეეძლოს გმირებსა?
ჩემის შუბის წვერს ყარჩიხან გაწონით გულს იგმირებსა;
იმან ვერდიბეგ, მისი ძე აეგო შუბის პირებსა!
სისქეს რაზმს შიგან ვბრუნევდი, არათუ განაპირებსა!

ქართველნი გვიან მოვიდეს, რა გინდ რომ ფიცხლად ვლიდიან,
რა შემოვიდეს ჯარშია, სისხლსა უწყალოდ ღვრიდიან;
ქონებას ძვირფასს იღებენ, ცუდმუდსა გარდაჰყრიდიან,
მაშინ ვინც მნახის, სასალმოდ ყველანი თავსა ხრიდიან!

ის გამარჯვება გარდასწყდა, ვჰქენ ქალაქს ციხის აღება.
საშოვარი და ქონება მრავალი სხვაგნით წაღება;
ვინ გაგვიმაგრდა, მას მიხვდა საყელოს სისხლთა დაღება,
მაღლა ვინც მზერდეს ზვაობით, ასრე ხამს თავის დაღება!

მე ოთხი საქმე ერთს დღეს ვჰქენ, რა გესმას, ბძანოთ: «იშია!»
ყარჩიხანს რომე შევები, მის ჯარს რა დავსდევ შიშია,
იქ ახალციხე ავიღე, ქალაქს ვჰქენ იერიშია;
კახეთს რა ჯარი დავჰხოცე, სიმრავლით ვითა ქვიშია!

კაცს ამისთანა ყმა ჰყვანდეს, პატრონს რა უყოს მეტია!
მას აბეზღებდენ ცუდმუდი, კაცი შმაგი და რეტია,
იგ მუდამ შენთვის კვდებოდეს შენის მტრის სისხლის მხვრეტია
პატრონისაგან საკვდავად, ვით ადვილ გასამეტია?!

ეს ყველა მისთვის გავბედე, რომ მწადდა თქვენი დიდება,
კრძალვა და სათნო მწვე მჭირდა მე პატრონ-ყმობის რიდება;
თქვენს გარდაისად ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება,
თუ ჩემს უკეთესს ყმას ჰპოვებთ, თქვენც გმართებს ხელის კიდება!

თქვენ ყველა იცით, რად მართებს ამბისა წვრილად ხსენება,
სად ბძანდებოდი, რას საქმით, ან გქონდა რა მოსვენება,

ვით მოგიყვანე, ხემწიფევ, ან გკადრე რამ მოხსენება;
ერთპირად კახნი მის ალაგს მივასხი, როგორც ენება!

რა ყორჩიბაში მოვიდა, თქვენ იყავ მეფედ მჯდომია;
შებმა დავშალე მე მათი, არ სჯობდა მაშინ ომია,
არ დაიშალეთ, ომისა წილი მეც რამე მხდომია:
ცხენი მამიკლეს თოფითა, შევიქენ გარდამხდომია!

ცხენით გარდახლტა, მამართვა ლომან ჩრდილევნის ძემან და
მითხრა თუ: «მე ეს მიქნია, ეგ შენი ცხენი ძე მანდა!»
შევჯე, მეთოფეს გაუდეგ, უთხარ: «მიცადე მე მანდა!»
მივეწივე და გარდვაგდე, ვერ მიდგა, როგორც ბზე მანდა!

მე მისი ცხენი მოვგვარე, მაზე ლომი ვქენ შესმული,
იმა ცხენისა პატრონი შეიქნა შუბის შესმული,
მას ველარ არგებს მუმია, ანუ წამალი შესმული,
ცუდად დარჩების მოკვდავსა გარედამ ცხება შესმული!

იარაღს თავსა დავადეგ, მე ზარად პირაკეცილი,
შევხსენ, ავაჭერ რახტითურთ, არათუ კარგ დაკეცილი,
მტერს არ დავარჩენ, არიან ჩემგან დაჭრილი, კვეცილი,
სისქეს რაზმს სადაც მივმართე, შეიქნენ მუხლჩაკეცილი!

ტყუილს არ ვიტყვი, თქვენებრიე ვერკისი ენახე ბრძოლება,
ხან მამაშორვის ცემამან, ხან ახლოს გიყვი ყოლება,
შუბის და ხმლისა გატეხა, ლაბტის ტარ ხელთა ქონება,
გაგბაადურდი იმ დღესა, სიტყვა ეს იყო ხსონება.

რა მარცხი მოვა კაცზედა, ვის შეუძლია ბრუნება?
ძლევა მათ მიხვდა, უფალმან ჩვენზედ ივიწყა ბუნება,
აღარ მოგვშორდა ის ცოდვა, რომ თან გვდევს გველის ცთუნება,
ჭმუნვა და სევდა გარდგვერთხა, გული მით შემეძრწუნება!

წამოვედით, გამოვრიდეთ, ავკეთის თავს დავივანეთ,
ოღონ ძლევა იმათ დარჩა, თვარემ ჩვენცა ბევრი ვავნეთ;
ავთანდილ და დავით ორნივ იმა დღესა ვერ ვიპოვნეთ,
რაღას ვაქნევ საქონელსა, პირველს ომში რაც ვიშოვნეთ!

მეორეს დღესა მოვიდეს, გაევლოთ იქით რაზმია,
ზურაბს ძმა შემოეყარა, მე შვილი მონაკაზმია;
მე გკადრე: «გახსონს, მეფეო, თქვენ აქ ხანი რამ დაზმია?
ჩემსა ჭკუას და ძალგულსა, გაცნობებ მონახაზმია».

სამოცის კაცით წამოველ, არ ვერიდები ღამებსა,
თხილოვანს მოველ, ვაცნობე გაბაანთ შვილს და ძმანებსა.
ქალაქით ჯარი გამოდგა, ვეჭვ, შოვნას დაიშხამებსა,
აწ მოურავი გასინჯეთ, აწყენს თუ რას აამებსა?!

დათხარეს ლის, წოდორეთი, დაწვეს, ცეცხლს უყვეს კიდება.
რა მინდვრათ ჩამოვიცადე, მეც უყავ განაკიდება,
ფიცხელსა ომსა შევასწარ, ვეჭვ, უმძიმსთ გარდაკიდება,
მათ ნაშოვარი მოსძაგდათ, გაყარეს ანაკიდება.

შვიდას კაცს თავი მოვჭეეთე, გავსწყვიტე მე სამოცითა,
მკლავი დაგვიშვრა ხლმის ქნევით, გარდაყრითა და ხოცითა,
ხან შევიბმოდი ოცდათით, ხან ცოტას ჯარით, ოცითა,
ათს დღეს ლაშქარი დაგუბდა, ქართლი ვეღარ ყვეს მოცვითა!

ყველგნით წავიდა ხიზანი, რადგან ჩვენ გვექნა მარცხია,
რა ლისის ომი მიესმათ, საქმე ქნეს აღსარაცხია;
ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია,
სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი ერა ვარ ნარცხია!

ცოლ-შვილსა კაცი უჩინე, სამცხის გზას უყავ კეთება,
ვჰთქვი: ერთხელ კიდევ დავხვდები, ხმალმა ეგებ ქნას მკვეთება?
ღართის-კარს დავხვდი, სახმილი ჩემგან მათ წაეკეთება,
კარგიც რომ კაცმა ბევრი ქნას, მტერს მაშინც არ ეკეთება!

წიწამურის თავს დავხერგე, შეუკარ ღართის-კარია,
თხრილი უწინვე წამევლო და გზები განაკარია,
სადაც ვიწონი, ვიბრძოდი, მათ აჩნდა დანაკარია,
ავჭალით ახალციხემდი შეკრეს არაგვი, მტკვარია.

სიმრავლითა მოგვერივნეს, რადგან მიხვდა პირველ ძლევა,
შუბი გატყდის, ხელი მივჰყვით, მაშინ შევჰქმნით ხლმისა ქნევა,

იმ დღეს თავი ვინ დაზოგოს, ისიმც კაცი დაიწყევა,
რა გასჭირდის, უკეთ შევსძლი, ასრე მქონდა ომის ჩვევა!

რა იარაღი დავლიეთ, მაშვრალთ მიგვჭირდა ომია,
წეროვნისაკენ უკუვდეგ მოღალულ-დანაშრომია.
კარგად მიგდებდა პატრონი, მეფე არ იყვის მწყრომია,
მუხრანში დადგა ლაშქარი, სიმრავლით უსაზომია!

ავკეთს მიველ, იქავ დამხვდა მამაცი და მეფე ბრძენი.
მიბძანა თუ: «როგორ მოჰხდა, ვინღა შეგრჩა, ან რა ჰქენი?»
«ზოგნი ცოლ-შვილთ მიეშველნეს, ზოგნი მახლავს კიდევ მხნენი,
მაგრა თქვენი წასვლის დროა», ეს სიტყვანი მე ვით ვთქვენი!

მე დავდეგ, ხალხი გავგზავნე, შევიქენ ჯართგან სუბანი;
სამოცი კაცი კიდევ მყვა, გვეცვა შალისა ჯუბანი,
ზოგი მშვილდ-ისარ-თოფითა, ოცსა გვაქვს ცხენზე შუბანი,
კიდევ გიამბობ, ქსანზედა ვადინე სისხლის გუბანი!

სპარსთ ზურაბს სიტყვა აჰკიდეს: «მოგვეც მართალი პირია,
არშიდამ ქალს გამოვიყვანთ, მოგვცე, არ გვიყო ჭირია;
ხემწიფის შვილი, თვის ტომი, ძვირად და დიდ საღირია,
თვალად ტურფა და კეკლუცი, თმა მოგრძე, ამბარ ხშირია!»

ერისთავმა თქვა ფიცითა: «აქვს ჩემგან დაუშავება!»
ჯარი გაგზავნეს მრავალი, ზურაბ თქვა: «არა შევება!»
გიორგი გულში ამბობდა: «ხვალ ბევრი მე მეშოვება».
მეორეს დღესა ლაშქარმან, იცით, თუ რა იშოვება?!

მთიულნი ავლეს, არშასა მივიდნენ შიშნეულობით;
მათ ქალი გამოიყვანეს, წამოვლენ, ვით სნეულობით.
ქსნის გზაზე გამოემართნეს, შეიქნეს არეულობით.
რაც მოჰხდეს, ახლა ისმინეთ, დღეთიგან აწ წასულობით!

მათ ქალი მოჰყავს, გარდმოვლეს უწყინრად ხევი ხადანი,
უკან გიორგი მოსდევდა, — ვალს უნდა გარდახადანი, —
მეც მიველ, წინ გარდაუდეგ, ვიყავ იასეს ხადანი,
რომელსაც მოვხვდი, გუდურებ უყვი ტყავისა ხადანი!

მე ხუთი ქეში ისარი დავლიე მათზე სროლითა,
გზის ასაქცევი არ ჰქონდათ ქარჩოხით, არც ისროლითა,
ამოვსწყვიტეთ და დავჰხოცეთ, ქსანს სისხლი შევასწორითა.
ალაგს და უალაგოსა კაცი ეყარის გორითა!

სისხლი რუდ მოდის კაცისა, ქსნის წყლისა არის მღებელი.
როდეს ისარი დავლივე, ხლმისა ვარ ამომღებელი;
რაც რომე იმათ დათესეს, თავს ექმნა გამომღებელი,
კარგს იარაღთ და ცხენების ვიქმენით წამომღებელი!

ქსანი შეიქნა ორს კვირას სრულად სისხლისა ფერადო.
ხევები მძორით აივსო, კაცი ვერ მორჩა ვერადო,
რომელიც მორჩა ცოტა რამ, შეიქნენ გასაშტერადო:
უკვირდათ ჩემი საქმენი, ვის თვალნი ჰქონდა მზერადო!

ყაზახის ხანი შევიპყარ, არ მოვჰკალ, იქ დავაბია,
სამი სულთანი მასთანა ერთმანერთს გარდავაბია,
მათად სასროლად გსმენია, მშვილდსა თუ სად ავაბია,
ოქრო-შეკაზმულს ცხენს შევჯე, მაგარი სადავაბია.

აბა მიბძანეთ, სხვის კაცის ეს სამსახური მეფეთა,
ხლმის განაკვეთსა სინჯევდით, თუ ხორცი როგორ მეფეთა!
გზას დამიგდებდეს მებრძოლნი, პირისპირ ვერვინ მეფეთა,
ლხინს და გაცემას, ალერსსა, მიქებდეს სიიეფეთა!

უხვი მით მქვიან, ერთს დღესა ვარ ქართლ-კახეთის გამცემი,
საქონლის დაუშურვალი, მტერთა ლახვრისა გამცემი;
ძალს იგი მაძლევს, ვინ არის ყოველთა უხვად მამცემი,
ერთის ათასად გამხდელი და ბევრეულთა მამცემი!

სრულად ერანი მოვიდა, ქართლის ქვეყანა აიკსო,
კაცს და ტყეს ვერა ავნეს-რა, გლეხთ სარჩო დიაღ დაივსო;
მეც ავიყარე, გაბრუნდენ, ნახავთ რა უყო ჩაისო,
წლეულად ესე მივნია, ზოგი მიყურეთ გაისო!

მე სამძიმარი რაც მქონდა, ვსდებ თიკნაბერას ციხესა,
კაი მცველები დაუგდე, ხელი ვერავინ მიხესა,

იქ მდგომნი ყველა მიძრწოდა, მონებდა ჩემსა რიხესა,
ვერვინ შეუა მებრძოლი, კარები ჩაიმიხესა.

ალ, სურამი გავამაგრე, არ არს ადვილ ასაღები,
ფრთხილობდეს და გუშაგობდეს, არ არიან სულ დამღები,
ადვილ ძალად ვერ წაართმენ, ვერ არიან ბარგთ წამღები;
უთხარ: «ადრე მოელოდეთ, მალ გეწევა სისხლთა მღები!»

ქართლიდამ წაველ, ცოლ-შვილი მივასხი ახალციხესა,
მესხთ ბძანეს: «იმა ლაშქართა შენგან ლახვარი იხესა,
ჩვენს მოდგომასა გაცნობებთ, ბაქსა, ძალსა და რიხესა,
ამხანაგს, ვისც არ უნდოდე, მეფენიმც გაირისხესა!»

ზოგ-ზოგი ბარათიანი თან წამყვეს ცოლ-შვილიანად,
გიორგი ქავთარიშვილი, გერმანოზ მსახურ-ყმიანად,
სხვა მსახურ მარჯვე კაცები, მსვლელნი არათუ გვიანად,
იმ თემის აზნაურშვილნი მოვლენ თამამად, ხმიანად!

ახალციხე და აწყვერი, ხერთვის და ფარავანია,
ყიზილბაშთ ჰქონდა ციხენი, შიგ ჭანი ან საკანია;
ზოგი მე ძალად წავართვი, ვიხმარე კარგ რაკანია,
ზოგი იმათვე გაუშვეს, გასცვივდა თეთრ, დრაჰკანია.

გიორგი ქავთარიშვილი სიტყვა-პასუხის მთქმელია,
ხვანთქართან ამად გავგზავნე: «თქვენ იყავ ჩვენი მშველია!
ეს ციხეები ავიღე, თქვენ გამოგზავნეთ მცველია»;
ხემწიფემ ბძანა: «საქმენი უქნია კარგ საქნელია!»

ბძანა თუ: «ვერვინ წამართმევს, ჩემია სრულ სამცხენია!»
ხალათი გამოეგზავნა, კარგ ბედაური ცხენია!
ემბრი ებოძა: «გამაგრდი, არ გქონდეს სიმარცხენია».
გიორგის ბევრი ეშოვა ქონება ურაცხენია.

მეფემან პირად არ ბძანა, გულშიგან შექმნა წყენანი:
«როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი;
მე — მეფე, ამას — სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავთით შესაშენანი!»

როსიტა გედევანის ძე — ერდგული, თავდადებული,
დემეტრე საგინაშვილი — იყო ჩემთანა ხლებული,
მათარსი შიხაიდრის ძე — ჭკუისა მქონე, ცნებული,
პაპუნა ვაშაყაშვილი — ჩემთვის მკვდარ, თავწამებული!

სხვანიც ხომ ბევრნი მიახლნეს, ესენი გაუყრელია,
საათაბაგოს მივედით, მესხნი კარგ შესაყრელია,
მათი სიტკბო და სიამე სევდისა უკუმყრელია,
რომელიც გაწვევს სალხინოდ, ხელის ხელ ჩასაყრელია!

დაუთ-ბეგ გოგორიშვილსა მკვიდრად აქვს ციხისჯვარია,
მითხრა: «ხელთ მოგცემ ციხესა», მან დაიფიცა ჯვარია.
აფიეთს დავდეგ, მე მახლდა კიდევ კარგა რამ ჯარია;
მესხნი ყოფილან მოყვრისთვის თავისა გამსაჯარია!

ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია,
თანუნა დიასამიძე, კაცი ბრძენი და წყნარია;
მან მითხრა: «თრიალეთისკენ ასპინძა ახლო არია,
ყმა და ამბავი მოგწვდების, ავი თუ გასახარია!»

ხალხი ციხეში ავასხი, მე დაბლა — ძირსა ვდგებოდი;
რა იქ სადგურად დავდგინდი, მწადდა. რომ მეფეს ვხლებოდი!
ვნადირობდი და ვიშვებდი, ხან მთაზე ვიარებოდი,
სევდასა მოვიქარვებდი, კაეშანს გავეცლებოდი!

სრულ მესხნი ტკბილად მომეპყრნეს, ჩემთანა სადგურობდიან,
უფროსნი მიალერსებდენ, უმცროსნი კარგა მძღნობდიან;
რა ამბავს თავი ახსნიან, ხან ჩემს ქებასაც ჰხმობდიან,
მათაც წყალობა უყვიან, ერდგულნი ვინც მე მყმობდიან!

შალიკაშვილი როსტომ და ელისბარ თაქთირიძეო,
ყაენთან სწორად ვიყავით, ერთი ძმა, სხვა კი ვიძეო;
როსტომ თქვა, «იცი, აჭარას კარგა მამული მიძეო;
იქ დადეგ, რადგან ქართლითგან ჯერხანად გამოიძეო!»

მე ვჰკადრე: «იმერეთს ჩავალ, გიორგი მეფეს ვნახაო!
მათსა საქმესა ყველასა გულშიგან გამოვსახაო,

მას უკან იქით გარდმოვალ, ლხინი მაქვან თუ ვახაო!
ცდას არ დავაკლებ საქმისას, ქართლს კიდევ დავინახაო!»

მე ყიზილბაშნი მეგონა, გავლიდეს ჩვენსა ზღუდებსა,
რიდი არ მქონდა მტერისა, თავს მოვიხდიდი ქუდებსა,
ხან ზარზმამდისი ავიდი, ხან ჩამოვიდი უდებსა,
ამაში ჯარი მოგვიხდა, ვნახავთ, თუ ცეცხლს ვინ უდებსა?!

მე მთაზე ვიყავ სათოფეთ, ციხეს ვთქვი ასვლა ძისანი,
დავხედე, არე მოიცვეს საფარა-ასპინძისანი,
დიასამიძის დახდომა, ომი თქვეს ორთავ ძმისანი,
გავჰკვირდი, ნეტარ რა უნდათ კაცისა განაძისანი!

რა მოვიდენ, კარგა დავხვდით, ველარ გვიყვეს იმათ ბრძოლა,
დავჰხოცეთ და ამოვსწყვიტეთ, მათ შეექმნა ცხრო და თრთოლა,
ვინც ითავა, მანც ავად ქნა, ან ვის ექმნა წამოყოლა,
გზის ბელადი, ასრე გვესმა, მთას გარდვიდეს, ჩაექოლა!

ასპინძამდი ასრე ვდივეთ, მათ ეგონათ ხევი ვაკეთ,
ნაშოვრისა დანაცვივნით ჩემს ყმას კიდევ კარგა ვაკეთ;
ჩვენს სევდასა უკუ ვიყრით, მათთვის ცეცხლსა უგზნებ, ვაკეთ;
იმ თვის ჩვენთვის მათი მოსვლა არ შეიქნა მოკლე, ნაკეთ.

ბეჟან მითხრა, თაქთირიძემ: «იმერეთს ვარ ბევრჯელ მსვლელი,
მეცა თანა წამოგყვები, მეფესთან ხარ თუ მიმსვლელი!»
მიველ, მეფის სიკეთისა ვერ ვარ თავის მე ამსვლელი;
რაც მიბძანის, იმას ვჰყოფდი, ვინ არს მცნების გარდამსვლელი?

დამხვდა კარგა, თავდაბლურებ, მან შემიწყო ტკბილად ხელი,
პურადად და გულკეთილად მწვე გასლოდა მას სახელი;
დადიანსაც ეს ებძანა: «მეც ვარ მკვიდრად კაცი ძველი,
მიმცემი და მოალერსე, დაჭირვებულთ კაცთ მიმშველი».

მეფემ მიბოძა დასტური, ვლე არე ოდიშისანი,
იგიცა კარგა დამიხვდა, ქება არ ძალმიც თქმისანი;
ყმათ ორთავ მომიპრიანეს, ველარ ვჰქენ ყმობა სხვისანი,
ისევ მეფესა ვიახელ, დამხვდა, არ თქმულა ძმისანი!

სულ იმერელნი მომაკრფეს მეგობარ-ამხანაგებად,
მომგონდა ჯერნის სროლანი, როდეს ჩავიდი ნაგებად;
ცეცხლი მამედვის წყენისა, შემექნის გულსა დაგებად,
რაც რომ სახლები დამექცა, როდისღა შევსძლო აგებად?!

მეფესა ვსთხოვე დასტური, გარდმოვლე მთანი ოცხეო.
მთას აქათ წყალი გაუდის, დიაღ ცხელი და მოცხეო;
გულს უთხარ: «ისრევ გამაგრდი, ხმალს კიდევ სისხლი მოსცხეო,
გამოძებული რას ვარგხარ, ან იცხე, ან შემოსცხეო!»

ინაშვილი მყვა მსახური, მის დროს მტრის კარგა მცემელი;
ნახშირის გორით მოვიდა ციხისა გამომცემელი,
მიამა, შევჯე, წამოველ, არ ნაღარათა მცემელი.
სხალნარში მოველ დაფარვით, არ მაღლა გარდამცემელი.

ქალაქს ჯაშუში ჩავგზავნე, მწადდა ციხისა აღება,
შიგ მყოფთა ყველას დახოცა და საქონლისა გაღება;
გუშაგთა გვიგრძნეს, შეგვიტყვეს, ვეღარა ვჰქენ რა წაღება,
წაველ იმ ზამთარ სამცხესვე, იქ დავჰყავ მარხვა, აღება!

გაზაფხულ ქართლში ჩამოველ, მეფევ, თქვენც ჩამობძანდია,
როგორ გმსახურე, გაამე, ტახტზედა რა დაბძანდია,
თუ მაშინ ყმადა გყოლოდი, ხვანთქართან არ წაბძანდია!
ეზას დაგახვედრე ქვეყანა, გკადრე, თუ: მალ მობძანდია!

რაც ქართლისათვის მე ვჰქენი, ცოტა რამ გკადრო მცრობილი,
ტყუილს ვერ ვიტყვი, ამისთვის არს ბევრი კაცი სწრობილი;
მეც მემკვიდრე ვარ ამ ალაგს, არ შემოსწრებით ხმობილი,
ზოგჯერ უქნელი საქმე ვჰქნი, გავჰტეხი რაზმი წყობილი!

ეს ასრე იქნა, რაც მოჰხდა, თქვენ ყველა იცით სრულებით;
ვისცა ვხლებივარ პატივით, გვერცა ვსჯდომივარ სრულებით;
ჩემნო მებრძოლნო, შეგიპყრობ, აღარ აგიშვებ, სრულ ებით,
მე თუ გარადვჰხდე, პატრონო, თქვენმცა ნუ დაესრულებით!

თქვენთვის ვსძრევდი მე, მეფეო, თავსა, ხელსა, გულსა, ტანსა,
შამხალამდი მივაწივე, მე მიუხე დაღისტანსა,

მოვარბევდი ქვეყანასა, მოვიღებდი მოსატანსა,
უშიშარად მტერს ვებრძოდი, მაგრა უდეგ მე სატანსა!

ხმლითა გავჰტეხე ოსეთი, ავიღე მაგარ ციხები,
უფროსნი კაცნი გავბეგრე, გაუშვი ზავთი, რიხები,
ჩემის შიშითა შეწუხდეს, დაისვეს გულსა მიხები;
მტერნო, თქვენც იცით, ჩემის ხლმით მრავალჯერ დაიწნიხები!

მე შევაშინე, შეშინდეს სულა ქვეყანა ოსისა,
ვახტანგ რომ მოკლა თარაყან, ბაღათარ ორნივ დროსისა.
ვინ მომივიდნენ, ხალათით აივსნენ სრულად მოსისა,
ვით ისრაელთა არ შერჩა გარდაკიდება მოსისა.

პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ, ვინ ქარციძეობდა,
წინა მიმიძღვეს მამაცად, არ ვიც, რომელი ზეობდა,
კაცები დარჩა დიდგვარი, ესენი მათზე მძლეობდა,
თამაზს მაჩაბელს ისარი მიკრეს, ვინ მშვილდსა ზეობდა!

მელიქ ათაბეგ მჩხუბევდა, ენას ჰხმარობდა გველადო,
ლორის სიმაგრეს შემიდგნენ, ვერ მოვიხელე ველადო,
მელიქს და ზაქუმს ჯაშუში მე დავაყენე მცველადო,
ვიუხე, ვეღარ დამაგრდა, კლდეს ექმნა შიგ გამძვრელადო.

საქონელი და ცოლ-შვილი ყველა ხელთ დამრჩა სულობით,
იგი გარდმეჭრა, წავიდა, იარებოდა სულობით,
ვეჭვ, მათი ხმალი დაეანგდეს, პირი წაუხდეს სულ ობით,
შევსთვალე: «ძებნე ცოლ-შვილი, როდეს მოხვიდე სულობით!»

ქაიხოსროს ჰყვა მოყვარედ როსტომხან სპასალარია.
მრავალჯერ გამოუგზავნა ოქრო, ვერცხლი და ლარია,
მაგრა იმათგან შოვება ბოლოჟამ ერთობ მწარია,
არ დაადგრების სამკვიდროდ, აღუტყდეს სითმე ქარია!

ხუთასი კაცი მეთოფე მან გამოგზავნა ბირთვისსა,
ამან ციხეში შეუშვა, თვითან გარ კაზმით ირთვისა;
მათგან ამან ფეშქაში თავთავად კვლავ მიირთვისა,
გარ მოდგომილის მტრისაგან ადვილად არ წაირთვისა!

შემოუთვალე: «ნუ გვიზამ, ქართლს ნუ მოსტეხე ზურგია!»
ეს ეთქვა: «მათ მეტს სხვას ჩემთვის ნეტარ თუ ვის რა ურგია?»
ვჰთქვი: «სასახლეში მოვნახავ, სად რომე ცაცხვი ურგია,
რად გვიშვებს ამხანაგებსა, სამანი გარდაურგია?»

გორიდამ წაველ საღამოს, ტბისს მიველ, რომე ინათა;
სასახლეს გარ შემოვერტყი, გალავანს გარ და შინათა,
გარ გამოვიდა დილაზე ულვაშღებული ინათა;
შევსძახე: «კარგა დაგვიხვდი, ღვინო დაგვისხი მინათა!»

კვლავ უთხრა: «რაღას უშველის ხელისა გამოღებანი?
მოდი, შევრიგდეთ, ერთადვე ვჰქნათ ხმისა ამოღებანი;
ციხე კარგგვარად ამართვი, ვჰქნა იქ მდგომთ სისხლთა ღებანი,
იგინი მამეც, საქონლის შენვე ქენ კვლავ წაღებანი!»

რა ღონე ჰქონდა, არ ექნა იმ დღესა ჩემი ნებანი?
გამოიტყუა ერთპირად, იხმარა კარგი ცნებანი;
თოფები ყველას წავართვი, უყავ ერთ! ადგილს დებანი!
მათ მოუვიდა იმ დღესა დღე აღსასრულის, ვებანი!

სულ გამოვასხი ერთპირად, სიმაგრე დავაგდებინე.
ხუთასსა კაცსა იმ დღესა მე თავი გავაგდებინე,
ციხეს მეთოფე შევუშვი, მათ კარი მოვაგდებინე,
მძორები ხევში ჩავჰყარე, თავები გარდვაგდებინე!

იქ დავიჭირე ხოსია, არ უყავ ტკბილი ხმობანი,
თიკნაბერასა დავაბი: «იყავ, ვირ მოვლენ ცნობანი!»
მეფიცებოდეს ყოველნი: «აწყა ვჰქნათ მწვე დანდობანი,
აღარ გავიტეხთ ნამუსსა, თუ გვწამს აღდგომა, შობანი!»

სისხლის და ცოდვის — ორისავ მწვე დიდად ვიყავ კრძალული,
მაგრა ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული!
მათ მოჰფენოდა კეთილად, მზეს ემზო დარი დარული,
მათთან სიკვდილსა ვჯერვიყავ, როს ვიყავ გაუმწარული.

ქველს წერეთელსა ებძანა ადვილად ჩემი მუქარა;
მიუხე, დავსწვი, დავდაგე, ადვილ წაუხდა რუქა რა.

წამოველ, უკან მამდივა, ნიავმან ველარ უქარა,
შევსძახე: «ცუდათ გაგიცვდა გლახ შენი ბაქი-ბუქარა!»

ახლოს მომმართა საბრძოლად, იყო კარგისა ბედისა,
ორი ისარი გულსა ვჰკარ, ხსენება შექნა დედისა,
მამაცი იყო, გულსრული, საომრად შემომხედისა,
ისივ გაბრუნდა, შეტყორცა რა ნახა ზედიზედისა!

სად მოვსთვალო ჩემი ბრძოლა, ანუ ომთა ჭირნახული?!
მე, მეფეო, შენთვის დავდე თავგაწირვით ტკბილი სული,
რაღას მარგებს ცრემლთა დენა, ანუ საქმე გარდასული,
რას არგებდა მაბიზღართა ჩემი მოკვლა, აღსასრული?!

არვის მივსცემ თავს საკვდავად, რაცა გწადდა, იგი ქენით,
ამ საქმეთა გამბედავი როგორ მოვჰკვდე ცუდის ენით,
ერთს აზნაურს ვის უქნია ჩემოდენი ხლმისა შენით!
რად გამხადე ვალდებული მუდამ სისხლის ცრემლის დენით?

მე მეფეთა ორგულობა არა მთქმია არვისაგან,
რაცა შევსძლი, ერთს არ ძალუც, არ გამოვა არვისაგან;
ლომთა ვიყავ მე მებრძოლი, არა გვარი არვისაგან,
შუბის წვერთა რკინა ექმნის, გული ჩემი არვისაგან!

თუ სიკვდილი ჩემი გწადდა, რასთვის მტერსა არ მისივე,
მათ მოვეკალ, ხემწიფეო, იქნებოდი თქვენ ისივე,
ლაპარაკი, ცუდი ენა, ჭორის სიტყვა ამისივე,
გამიცუდე ნამსახური, ჯავრით გული გამისივე!

კარი მეათე

მეფემ შესთვალა: «რაც გითქვამს, სრულ მართალია ყოველი,
მაშინვე გითხარ ფიცითა, როს მოგეგზავნა მროველი,
არც არას სისხლსა გადევებ, არც რას ავს შენგან მოველი,
თავდებათ მოგცე, არ მოგკლა, უცილოდ ძელი ცხოველი!»

აღარად მოჰხდა, არ იქნა შეწება, ცუდად რიგება,
გაყრა შეექნათ, ველარ ქნეს ერთად სიტყვისა მიგება;

რა მოიშალა, ვინ იცის, რა წყობა, რა გარიგება?
ვინ მოაშორვა, მის გულსა ლახვარიმც ადრე იგება!

ბძანება არის, ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია,
ბატონი რომე ტყუოდეს, ისრევ ყმას დამარცხებია,
თვარ უხლმოდ როგორ დავდგები, რომ ვიყო სრულ ნარცხებია,
ბევრთა მებრძოლთა თავები მიწათა მინარცხებია!

რაცა დაწერეს პირველად, იქნების, არ ასცილდების;
პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი გაუცვილდების;
რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების,
ესე მსმენია, ამისთვის ცეცხლი წვად გამიხშირდების!

გამარჯვება ხომ მას ხვდების, ეს სიტყვა მწვე მართალია,
მამაცი არის, უებრო, არვინ არს ნაათალია;
ეგებ მაბეზღარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია,
ბატონისას კი არ ვღირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია!

ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონს სამსახურია;
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!
ვის რა გაოდა, ქართლშია მეც რომ მეჭამა პურია?!

როს ყმა გარდაჰყვეს პატრონსა, მსახუროს ღარიბობასა,
პატრონისათვის კვდებოდეს, იქმოდეს სახლის თმობასა,
მამულს და ალაგს განშორდეს თვისა ტომსა და ძმობასა,
მასზედან მისი პატრონი რად არ იქს იაფობასა?!

რა მეფე სვიმონ შეიპყრეს, კაცი მხნე, სახელ დიდითა,
ქართლს ხმალი იმან შეარტყა, მტერნი გახადა კიდითა,
სხვანი მებრძოლნი ყველანი თავს მდაბლად მოუხრიდითა,
მას აქათ თათარხნამდისი ომით სისხლს არვინ ღვრიდითა!

კაცი რომ ავად გახდების, აქიმს უქადებს მრავალსა,
უთუოდ მოგცემ, დამჯერდი, როს ფეხზედა მყოფ მავალსა,
მუდმად თავს შენთვის ვამყოფებ, მეც რასმე დაგდებ კვლავ ვალსა,
დამიხსენ სალმობისაგან, ნუ მყოფ სულ ამომავალსა!

აგრევ კიდევე, ვის სადმე რომ ჰქონდეს დაჭირებანი,
რგებას გაჰპირებ მაშინვე, დაგიწყოს შესხმა, ქებანი,
გეტყვის: «ვირემდის ვსცოცხალვარ, ვჰქნა შენი სიამებანი,
ბოლოჟამს დაავიწყდების საქმისა გარიგებანი».

აბა, რა ვჰქენი, მეფეო, რა დავსდევ თქვენზე ვალები?
თქვენისა ერდგულობისთვის ნება ვჰქენ, ზოგი ძალები,
რა შენ პატრონად შეგმზერდი, გამხიარულდის თვალები,
სადაც მიბრძანი გასევა, გული მიმქონდის სალები!

ესეცა თქმულა, რომელიც კაცი თუ მართლა კაცდება,
ხდალი, უღონო, რომელიც მიიწევს, მას ვერ ასცდება,
იარაღმოშლილ ჯაბანი რას ესვრის, ყველა დასცდება,
მამაცს და პურადს უძრახავს, იტყვის: «შალურებ გაცვდება!»

ამხანაგთ მისთვის მაბეზღეს, იტყოდეს: «კაცი ვარგია!»
ქართლ-კახეთისა მამრჩენი, მიკვირს, რად დავიკარგია?
პატრონის შემმატებელი, ამხანაგთათვის მარგია,
გვერც გისხდენ მაბეზღარები, ჩემთვის ეს როგორ კარგია?

ზურაბს შევსთვალე: «რაც იცი, სრულ ჩემი ნასწავლებია,
ოსტატის არ ჰხამს ჭიდება, ვისაც შეგირდი ხლებია,
როდესაც მე დავიკარგო, გაჩნდების, ვით დასდგებია!
ორთავე სწადდათ სიკვდილი, აწ მარტო გარდაჰხდებია.

მოყვარე ხარ გულითადი, რა მიქნია შენზედ ავი,
მამათქვენმა რა ქნა ჩემზედ, ვით გარდადვა საკვდად თავი!
მიკვირს, შენ რად გამიმეტე, რამ მოშალა ჩვენში ზავი?
მეც დამკარგავ, საქმეც ჰქენი შენის დღისაც გასათავი!

ვირ ცოცხალ ვიყო, შენც გქონდეს იმედი სიცოცხლისაო,
ესე სიტყვანი გახსონდეს სიძის მონახულ ბრძნისაო,
ვირემ სული მითქს, სიკვდილი შენი სხვამ ვერ იგრძნისაო,
შენი სადავე საკვდავად ჩემზედა ნუმც იძვრისაო!

რა მე მამკვლენ, ან დამკარგვენ, დაგიწყებენ მიზეზებსა,
სიტყვით თავსა ვერ აუხვალ, პასუხისას შეჰკვრენ გზებსა.

ახლა მგონი მუხრანს გაძლევს, შეიშურვებს მთას და ზეგსა,
როდესა რომ გიხელთებენ, აბნელებენ შენთვის მზესა!»

ზურაბს ეთქვა: «მოყვარეც ხარ, მერმე კარგი ამხანაგი,
ჩვენსა შუა არ ყოფილა წყენა რამე ერთი დანგი,
მაგრა ბატონს მოვდგომივარ, რაც რომ ძალ-მიც, მე ვარ მარგი.
მზის მამას რომ არ უშველო, მე რას მეტყვის პირი მანგი?»

ზურაბს რაღას შეუთვლიდი, ის მიუდგა მაგრა, ბურჯად,
ცოტა ხნისა სიძე არის, შეიტყობთ, თუ იქნას ურჯად,
დაუწყებენ ბეზღობასა, სისხლს წითლად ჰქმენ, ხორცსა ლურჯად;
ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზღობა უჩანს უნჯად!

სპარსთ ველარ ენახავ, მათზედა, იცით, ვარ დამნაშავია.
როდეს ლუარსაბ დამმოყვრდა, ისიმც დღე არის შავია!
კეისრის ტახტსა მივმართო, კარგი მექნას თუ ავია,
შუა ნულარვინ ჩამოვა, აღარ მოჰხდების ზავია!

კარი მეთერთმეტე

თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათასფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერდგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ-სტამბოლს დაკარგულო!

ვა, დაგაგდებ სახლ-სამყოფო, სად კარგო და სად ავებო?
შორგვარ დავრჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ სადავებო:
ავჟანდათა სიმაგრენო, მე სად გძრევდი სადავებო?
რამდენს მოვრჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სა დავებო?

ვინ იცის, თუ შენ რამდენჯერ მტერი შენი განაბია,
რომელიც რომ იწადინი, აღარ მოჰკლი, გან აბია;
ლხინობდი და იხარებდი, ხელთ გეჭირის განა ბია,
თუ გავარდი სამყოფთაგან, ქვეყნის სიგრძეს განაბია!

თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა?
რას დალახავ ქვეყანასა, იარები სამ არებსა?

მოშორდები მოყვარეთა, შენ ხარ ვისსა სამარებსა!
სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა!

ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა არის,
ვინც იყვენით, ძნელი საქმე მაშინ უყავ იცით არის;
აწ მეფეთა გაწყრომილმან თავმან ჩემმან სითკენ არის?
მე წავიდე, დავიკარგო, მტერმან ამით გაიხარის!

ვინ მაბეზღებს ენა ყბედი, მოაგონდა იმას ის რით,
რა მე მეფეს მომაშორვებს, მას დაამცრობს იმას ის რით?
ჩემნო მტერნო, თქვენი გადის, რაც რომ გინდა, იმას ისრით,
თუ ჩემიც რამ გავიდოდეს, სცნობთ, რას უზამ იმას ისრით!

ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა,
ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიგამს ბუდეებსა;
ვერ მიფერებს ვერას საქმეს, თავსა გაიცუდაებსა,
მეფეს ტყუილს მოახსენებს, უმგზავსოს და მრუდაებსა!

აქ სხვა სიტყვა შემოვიღო, ნუ გამკიცხავთ, მიგდეთ ყური:
კაცობასა მოვდგომოდი, გულში მქონდა არვის შური.
თუ ქორი ზედ აღარა ზის, კაცს რას არგებს მარტო თური,
ვერ დავსწყვიტე ცრემლთა მილი, თვალთა ჩემთა მონაწური.

რაც დავსწერე, მომიგონდეთ, განა თუ ვსთქვი საკვეხელად,
რად მოვიკლა ცუდათ თავი, ანუ სისხლი იქცეს ველად,
რაღას მარგებს, მოყვარეთა ღაწვი შექნან ცრემლით სველად,
რა ღალატით სიკვდილს ვესწრა, ვინ იქმნების ჩემად მშველად?

ნაბოთე მოკლეს უბრალოდ, ექმნეს სისხლისა მხვრეტადო,
იოსებ ძმათა გაყიდეს, თორმეტ ჰქმენ მეთერთმეტადო,
რაქაელ შვილსა სტიროდა, რომ ველარ არის მჭვრეტადო,
აგრევ დედაჩემს მოუვა ტირილი მეტისმეტადო!

ყოვლთ ხემწიფეთა უდიდე, ვინ რომ არს კეისარადო,
მაკედონელის ტახტსა ზის, ციხენი აქვან სარადო;
მებრძოლნი იცით, ვერ გავლის ახლო ან იმის არადო,
თუ წყენა ვინმე გაბედა, იტყვიან — იასარადო!

ჯაზაირ, ვლახი, ბუღდანი — უჭირავს — იამანია,
ურუმელი და მისრეთი, შავი და თეთრი ზღვანია,
ბასრა, ბაღდადი, მადინა, მაქა, აზრუმ და ვანია,
ვერ ავნებს რომე დაცოცხლდენ ამირან ძმობილ-ძმანია!

დასავლეთი და სამხრეთი არს სრულად იმის ხელადო;
ყაენიც, დიდი ხემწიფე, მაგრამ ეს უფრო ძველადო,
ინდთა საზღვრამდი ის იპყრობს, სად მზეა ამომსვლელადო,
მათი პატრონი, მეგონა, არსო ბაქაჯარ ქველადო!

სულთან მურად და შააბაზ ერთჟამად იყვნეს მჯდომია,
ორთავ ვიახელ, გარდამხდა მათთან ლხინი და ომია,
მაპატივებდეს, მაძლევდეს, რისაც რომ ვიყავ მდომია;
რიცხვს ვინ იქს, რაც რომ ომშია მე კაცი შემომკდომია?!

ესენი მისთვის ვახსენე, გასინჯოთ ჩემი თქმულები,
სიტყვის მალამა მიძებნოთ და გამიმთელოთ წყლულები;
კაცი ვინ იყოს, მიბძანეთ, ორისავ შესწავლულები,
ორთავ პატივსმცეს უღირსად, მათ გამიერთეს გულები!

ორთავ ახლდეს დიდი კაცნი: კახები თუ ქართველები;
ვინ გამოჩნდეს ჩემად სწორად, სიტყვით დამდვან იმათ ლები,
რა შააბაზს მე ვიახელ, არ გამიყვის ნატალები,
რა მიბოძის, რა მიბძანის ტკბილის სიტყვის სათქმელები!

მათი დავსთმე სიტკბოება, შენთვის დავდე თავი სულა,
შვილი პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა:
ბედმან მიყო, რაღა გკადრო, აწ თქმის ჟამი გარდასულა.
სადაური სად მოჰვკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა?

რა უკუღმა ჩარხი გადრკა, წაღმა აღარ დაბრუნდების,
რა დოვლათი კაცს მიადგა, აღარსაით გაბრუნდების!
მე რომ მესმის, თქვენი გული ჩემზე აღარ მობრუნდების,
გზა კაპნად მაქვს, ჩემი ფეხი დაღმა ვეღარ ჩაბრუნდების.

უჩემობით მებრალები, ვამე, ქართლო, სუსტობისთვის:
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის:

ეგზომ ჩემი ჭირნახული აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?
ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონდეთ ამა თქმისთვის!

ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი, შუბი, ლახტი, ხმალი მკვეთი
მით მიყვარდა, ბევრჯელ შევჰქმენ მტერი შუა განაკვეთი,
ამხანაგს და მიღმა მბრძოლსა ბევრჯელ სადმე მე ვეკვეთი,
გავამდიდრე სულა ქართლი, უღონო ვჰქმენ განაკეთი!

სად მიუხდი, სად ვებრძოდი, რას მთებს ვიქმნი გარდასული,
გაცემა და ლხინთა ნახვა აწ რა იქმნა გარდასული;
არ მინდოდა წასახდენად ხორცსა კიდევ გარდა სული;
სისხლს დავღვრიდი, ანგელოზნი რომ მომრტყმოდა გარ დასული!

თავს ვეტყოდი, ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება,
ვინ სჯულს. რყვნიდენ, გვისუსტებდენ, მათთვის მშვილდი აწ ამება,
მათგან ბევრი დავასუსტე, ავხსნი ზოგი აწ ამება,
ბოლოს ნახეთ ჩემი ბედი, თუ რა მამხვდა აწ ამებაᲐ!

მე არ მაკლდა ორღანონი, ბობღანი და წინწილები;
ახლა მაბამს ეს სოფელი, უწინ დამდვა წინ წილები,
კაცობის და სახელისა კარგად მამხვდა წინ წილები,
აწ აეშვით, ჩემნო მტერნო, ვინ რომ ჩემგან წინ წილ ები!

რაც რომ მრუდი ვსთქვა სიტყვანი, გამკიცხეთ, ნურვინ მაქებსა.
მწადდა წამება, სისხლთა ღვრა, არ თაყვანება მაქებსა;
ბატონს რა ვჰკადრო, თვარ მტერთა ადრე მოუშლი მაქებსა!
გამოვსცდი მათსა ძალგულსა და თავსა კარგად საქებსა!

ვის რას ვაბრალებ, ეს ყველა ჩემი წერა და ბედია;
უღთოთ არავის არ ძალუც გასწყვიტოს სუსტი მკედია,
დავსცადო, კიდევ გამაგრდეს ჩემი ავჟანდის ღვედია,
პატრონზე ხმალი არ გაჰკვეთს, ამით ვარ უიმედია!

როდეს გასჭირდეს, საქმისა კაცი ხამს გამაბედავად,
საქმეს მოახდენს კეთილად, თუ სულ არ არის ბედავად;
არც ნამეტნავად ის ვარგა, მირბოდეს დაუხედავად,
ლაღობით წახდეს ბოლო ჟამ, მტერს ვეღარ ექმნას მედავად.

კაცი რომ იყოს სიმაღლით გოლიათ, დიდად გორებით,
მრავალთ მებრძოლთა თავები მას ექმნას განაგორებით;
კიდევ მაშინც სჯობს საქმენი ჭკუით და მოსაგონებით,
თქმულა: მოცდა ხამს ჟამისა, არათუ განაგორებით.

თუ კაცი იტყვის გულშია: «მტერს რომ შევება ომებად,
ვაი თუ იმან მაჯობოს, მე ვიყო ცუდათ მშრომებად,
ის არის სპითა მრავლითა, მე ცოტა გვარ და ტომებად»,
ვერ ვემოწმები, იცოდეთ, არ არის ომის მდომებად!

მას ვემოწმები, რომელიც იტყვის: «გავსწირო თავი-და!
დღეს უომარი არ დავდგე, კარგი მოჰხდეს თუ ავი-და;
ანუ მტერს ვსძლიო, შევმუსრო, ან ვიქმნე გასათავი-და!
კარგს კაცს ვეძებდე საომრად, რომელმაც მთხოოს დავი-და!»

კაცობა გწადს, მზასა გქონდეს მიწყივ შენი საომარი,
რა ხმა გესმას რაზმთ წყობისა, მით არ იქმნა შესაზარი!
სიკვდილს ვერვინ ასცილდების, რომ არ ექმნას მოთქმა, ზარი,
ავს სიცოცხლეს სახელი სჯობს, გინდა ეპყრას რომ ხაზარი!

ზოგი კაცი დაღონდების, ვერ გაბედავს ვერას ვერა,
ვირემ მტერი არ წაახდენს, კაცთა რჩევას არას ჯერა.
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნუღარა გაქვს გულის ძგერა,
მას კაცობა ხელთ შერჩების, ვის აქვს მტრისა მალ შეძგერა!

გული ჩემი სევდით სავსე შეჭირვებას გავს ებასა,
მთვარე ბადრად აღარა ზის, აღარც ელის გავსებასა,
დაშრტა სანთელთ სინათლენი, მიეწურა გავს ებასა,
ქართლის ბაღი მოიკრიფა, აღარ ვეჭობ გავს, ებასა!

უჩემობა დააჩნდების, ბაღი იქმნას აბაღება,
ცრემლმან ჩემმან ღაწვი ჩემი ჩამოღარა, აბა, ღება;
მძლავრს მტერზედა გაგიჩნდების, ვის გაქვს ხმლისა აბა, ღება;
მარხვა მწადდა ვედრებითა, ლხინით მექმნა აბაღება!

მე მეფეთა გაწყრომამან, ნეტარ ვითარ დამასულა,
ბედმა მიყო უკეღმართმა, მერმე ჩემა დამა სულა:

ეტლი წაღმა აღარ წადგა, დახვანჯულა, დამასულა;
ქართლს შენახვა როგორც უნდა, გაგიჩნდებისთ დამა სულა!

აქანამდი სად მკვიდრობდი, თაო, აწ სად ილალები,
გახსონს, თავზედ ჯიღა გქონდის, ალმასი და ი ლალები,
შენ და შენი ამხანაგნი, ზოგ-ზოგები ილალები,
დაიჩაგვრი დანასული, დაილევი, ილალები!

სულ ქართველთა კარგად იცით, ქვეყნისათვის რა მიქნია:
ოთხგნით მტერი შევაშინე, ზოგი ფეხით გამიქნია;
დუშმანთ გული გაუტეხე, ხლმის ქნევითა ამიქნია,
ვერ დაუდეგ მეფის წყრომას, რადგან თავი დამიქნია!

აქამდის მტერთა ვერ მჯაბნეს, იგინი ჩემგან სულ ება;
ზოგთ გაქცეულთა მივსდევდი, ზოგთ ამოვართვი სულება,
მტერს როდეს რიხით შევსძახი, მან მე ვერ მითხრის სულება,
პატრონსა ვსჭვრეტდი ერდგულად, მაზედა მქონდა სულება!

გული არ მაძლევს უთქმელად, თვარ მწადს დუმილი ბაგისა,
მუდამ სახმილი მედების, ალი მეხვევის დაგისა,
მას უხარიან, რომელმაც ჩემი დაკარგვა აგისა,
წავალ, მივმართო სადგურად, სად თემი ათაბაგისა!

მას უნდა დიდად გარდაჰხდეს, ვინც ჩემი თავი წაგვარა,
არ მოაგონეს გარჯანი, მე მემსახურა რა გვარა,
ვეჭობ, დავაკლდე ბოლოჟამ, ვინ მე ჯარიდამ გამგვარა,
რადგან მათ დამთმეს, მოყვასნო, თქვენ ჩემი ნურა გაგვა რა!

მშვიდობით, თვისნო, მოყვრებო, გამოგესალმო სალამით,
მეგობარნო და შემცნენო, ცრემლი დავსთხიოთ სალამით,
თქვენ ნუ დაიჩნევთ გაყრასა, გული შემქნია სალა მით,
ვინ გაირჯების სიმხნითა, მან შეიდაროს სალა მით.

ყველას რამ გარგე, თქვენც იცით, ვირ ვიყავ თქვენი მჭვრეტია,
კარკაცობა და ნამუსი, ვისაც გიქნიათ მეტია,
იგი შემოგზღავს, ვინ მოსეს უძღვანა ნათლის სვეტია,
გული მწვე ღონობს გაყრასა და თვალნი განარეტია!

თქვენსა ვერ ვიტყვი, მოყვასნო, ძვირსა და ძრახვას ამ ენით,
რადგან მე დავრჩი შორ გვარად, თქვენ ხემწიფესა ამენით,
თუ ჩემთვის კარგი ვინმე თქვას, თქვენცა იყვენით ამენით,
ლხინსა ნახევდით, ღვინოსა, თქვენ მიიღებდით ა·მენით.

გაგიჩნდებისთ ქვეყანისა გაწყობა და გარიგება,
თქვენცა იცით, ჩემის გარჯის ანგარიში არ იგება,
რაცა დამრჩა უშენონი, ჩემგან ახლა არ იგება,
თუ კაცი კაცს აღარა სჭვრეტს, მტრისგან იში არ იგება!

რად, სოფელო, სამუდამოთ ჩემზედა იქ ას ავსავით?
არ დააცხრო ცთომის გველმან, კიდევ ენა ასავსავით,
ჭირნი ჭირსა დამისართა კვლავ ამიწყო, ასავსა ვით.
დამიშრიტა ბრწყინვალება და ნათელი ა სავსავით!

დამემოწმე, თუ მართლა ვჰთქვა, თქვენცა ბძანე, ეგ არია,
შინ რომ კაცი გამოარჩევს, არ მოჰხდების ე გარია,
რადგან უკვდავ არვის გინდა, დაუტეო ეგ არია!
ვარდი დაჭკნეს, ჩამოცვივდეს, რაც დაგრჩების — ეგ არია!

ერთს ალაგს რომ ერთი კაცი გამოვიდეს ჭირთა მხდელი,
რა გაგვათ, რომ მტერს შეაკლათ, ან ჰყოთ მისი სულთა მხდელი?
ინაპიროს, გარ გიაროს, ველთა იყოს ჩამომხდელი,
თავს ეხუროს მუზარადი, ძვირად იყოს პირამხდელი.

უმტრო კაცი არ იქნების, რომ არ ჰყვანდეს არა სითმე,
მემუქარეს ხამფოლადად მიპყრა ხამს და არა სითმე,
ჯაბანს კაცსა გულოვანი გაჰხდის, გვანდეს არა სითმე!
გულსა სევდით შეპყრობილსა აწ დამიჭრის დანა სითმე!

არ მომიგონებთ, რას იტყვით, როს მუზარადი ელევდეს,
რაზმი გასწორდეს დროშებით, ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვირთ ხმა იყოს, ცხენნი კაცთ ფეხით ქელევდეს,
მაშინ რას აქნევთ გიორგის, თუ მისებრ მოგეშველევდეს?

ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა მიკვირს, ვერავინ ხედავსა,
რაც საქმე შევსძელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუბედავსა?

ქართველნი დავხსენ მოსპოლვას, მით მიზმენ ზედიზედ ავსა,
რაგინდ რომ თავი ვაწამო, მეტყვიან კიდევ ბედავსა!

გული მქონდა მტერთ უშიში, გეგონა თუ მიდგა ისო,
სამსალასა, საწდეველსა, პირი ჩემი მიდ გაისო,
გულმან ხელმან, სევდიანმან, აწ ლახვარი მიდგა ისო,
თქვენ უჩემოდ რასაც შესძლებთ, მეცა ვნახავ მიდ გაისო!

ლხინი, ზმა, სიტყვის გაგონა, მქონდა მუდამად პურობა,
ამხანაგთ კარგ მეგობრობა, მიცემა, დაუშურობა;
კარგ კაცთა წყობა, ალერსი, მდიდართა მე უშურობა,
ვეპვ, ზოგს თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა!

რა ცისკრის ლოცვა გარდასწყდის, ვნახი მფრინველი ცხენია,
შევჯდი, მფრინვლით და ძაღლითა შევექცი, ვირ სიცხენია;
მოვიდა, წირვა ვისმინი, ან ლოცვით ცრემლთა მრცხენია,
დავჯდი და ლხინსა ვემოყვსი, არ მქონდა სიმარცხენია!

როს მოვიცალი მტერთაგან, მიყვარდა ნადირობანი.
ვის სამართალს ქვეშ დაუჯდი, მჭირს უთვალღებო ბჭობანი,
ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგის კაცისა ცნობანი;
დაბალს კაცს ბევრი შევმატი, არ უყვი დიაღ მცრობანი;

ვის რომ რამ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდის ხალისი,
ცხენ-იარაღით შევამკვი, ძველი ქნის მან ახალ ისი,
დღეს ერთი გამოვაჩინი, მოვჰკაზმი, მერმე ხვალ ისი,
კაცობის სწავლას ევლტოდეს, ვით ოქრო დავახალისი!

ვისაც სიჯაბნე შევატყვი, მასცა შევმატი გულია,
მემკვიდრე მკვიდრზედ მოვიდეს, ვინ იყვნეს დაკარგულია,
სიხარულისა დღე გვქონდის, ვით წყლისპირს ალვა რგულია,
ამ დღეებისა შემსწრობი სევდით ჭარ დადაგულია!

ჩემს სახლში იყვის მუდამად: წირვა, ლოცვა და გალობა,
უღონოთ ღონე, იმედი, გლახაკთ მიცემა, წყალობა,
ყმის სამსახური სიმართლით, არავის სჭირდა ძალობა,
აწყა დამიგზო სახმილი, სოფელმან შექნა ალობა!

სტუმართა სუფრა წინ ედგის, მის მის დროს აუღებელი,
ვინ დამეთხოვოს, წავიდის, არ დარჩის წაუღებელი,
მომღერალთ ლხინი, თამაში იყვის სულ დაუღებელი,
აწ რასთვის ვჰკვდები, ამისი მე ვარ კვალგაუღებელი!

ქართლში უფროსნი ვინც იყვნეს, ითქმევდეს თავადობასა,
ყველა მოყვრად მყვეს, ბძანებდეს ჩემს მეგობრობა-ცნობასა,
მეცა მივდევდი, მომდევდეს, ვიქმოდით კარგსა ძმობასა,
ბედსა ვემდურვი და მერმე, ვა, ჩემის დისა შობასა!

ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხლმითა დახსნილია,
თვარ შეიტყობთ ამას უკან, მტერი ისევ ახსნილია;
ჩემის ხლმისას ნაშოვრისას გუდის პირი წახსნილია;
ქვეყნის გზას ხომ ვერ 'მემიკრავთ, ჩემთვის მაშინც გახსნილია!

ერთი სიტყვა მამაგონდა, არ ვსთქვამ ამას საკვეხელად;
სად რომ საქმე გაგვიჭირდის, ამხანაგთა ვიყვი მშველად;
მე იმათთან ვერ მივაწევ, რომ მასმია კაცნი ძველად,
ერთის კაცის მემუქარის თავს სიხლის ვარ გარდამსხმელად!

ბაზალეთის ომსა შიგან მე მამეპყრა ედიშ ავით,
ამაყობდა იგ თამამად, შემომძახა: «მოდი, შავით!»
მას გაუპე თავი შუა, გინებით არს დამნაშავით,
მის ცოლს უთხრას დედამთილმან: «აწ მიბძანდი, შედი შავით!»

სხვაგან წერა დამწერელმან ხვანთქართანა წასვლა მისი,
სოხტაების ამოწყვეტა, სისხლთა დენა, ყათლა ვისი,
ბევრი ბრძოლა, ციხის რთმევა, ნებად, არა წართმევისი,
ან მოყვრების გამოჩენა, შესწავლილი ზოგან თვისი.

ხვანთქრისაგან როგორ ცნობა, ანუ დიდად პატივცემა,
მტერთ გავლენის დამადლება, წყალობა და კვლავ მიცემა,
მის დუშმანთა ამოწყვეტა, მისხის მისხად, რა მიცემა,
იტყოდა თუ: «სად მოჰვკვდები, ლახვრისა მაქვს სად მიცემა?»

ვით გაუძლებ კაეშანსა, გულო, ლახვრის აბა, სმითა,
ყოფა ჩემი ჩრდილად იქცა, იგ შეიქნა ა ბასმითა,

გახსონს, ოდეს ნოსტეს იყავ, ცაცხვს ქვეშ იჯდი აბა, სმითა!
უხვად გასცი საბოძვარი, წაიღებდენ აბაზს მითა!

ვინ იცის, თუ სოფლისაგან რა ლახვარი დამეშენა;
მიჯობდა, თუ სულისათვის გლახ სამყოფი დამეშენა,
ვინ მიმადლის ქვეყნისათვის, თუ რა მტერნი დამეშენა,
ვინ რომ ჩემთან ვერ შეიბა, ნურას მეტყვი და მე შენა!

თუ რამდენნი ჭირი შევსძლო, სოფლის მახე ამედგა რით,
სახლ-სამყოფნი სავანენი ჩემნი იყვნეს ამედგა რით.
ლხინში, გულო, მეფეთ მონე და მსახურე, ამედგარით,
კიდევ ხმალი მოიგონე, უშიშ, გულსრულ ა მედგარით!

ოდეს ლხინსა დავემოყვსი, აწ ეს სევდა მასა რევდა,
ჰმუნვა მრჯის და სევდა მაწვევს, მუშაკობს და მასარევდა,
ბოროტი და ავი ენა წყალს მღვრევს წმინდას, მას არევდა,
რაც სოფელმან ეტლად მამცა, ჩემთვის კიდევ მას არევდა!

უბრალოდ ჭირსა არ მიმცეს, მე ეტლსა ამას ველია,
თვალთა ნაკადი მომადლოს, ღაწვნი მით ამასველია.
მკლავნი რომ ცუდათ არ დაშვრეს, ფეხს ჰქონდეს ამას ველია,
მართალი ვიყო, ნუ დამსჯის, მუხლს არ ხვდეს, ამასვე ლია!

ჩემთა სასჯელთა აღრიცხვა ენას ვით ძალუც აგება,
ცუდათ შვრებიან მშენენი, ხელოვანთ ვისრ აქვს აგება,
მარტო რას ვმდურობ სოფლისგან, ვეჭვ სხვანიც ვინმე აგება,
რამდენს კაცს მიხვდა, ვერ ვრიცხავ, ჩემის შუბისა აგება?!

ვინც მიცნობთ, ბძანეთ, თუ ვიყავ ერთის კაცისა დარული?
ლხინი და შვება უღრუბლო მქონდა, მის შუქი დარული,
განსვენება და სიამე, სმა, ჭამა, ძილი და რული,
აწ ცრემლთა რად მდის ნაკადი, ღვარნი არ გასწყდა დარული.

ბრწყინვალება და ნათელი, თვალნო, სევდითა დაგევსა;
შენთვის სახმილი აღტყინდა, გულსა სამუდმოდ დაგევსა;
სიტკბო გამწარდა სოფლისა, სამსალა სასმლად დაგევსა,
გულო, ვით გასძლებ სევდასა, ან ჭირსა ნიადაგევსა?!

თავსა ვეტყოდი, სამუდმოდ ვის გვერც ახლავხარ, მას ამე!
ერთი არ მამეც, სოფელო, ჭირნი, მიორე, მასამე,
სევდა მიმატე წყენისა, აღარ მალხინე, მასამე,
ვერსით გაგისწარ, დამაბი, გარ შემომხვიე მასა მე!

ხანდახან მამცა სოფელმან, საწუთრო მიქმნა დარადა,
ზოგჯერ მიმუხთლა, მიხვია, იქით და აქათ დარადა,
ზოგნი მე მჯობდეს, ზოგ-ზოგნი იტყოდეს: «ვექმნათ დარადა»,
ბედსა ვეტყოდი: «სოფელმან ნეტარ შენ მოგცა და რადა?!»

ეტლმა მამცა ბედკრულობა, ნეტარ ყურსა ესმას ვისა,
ლხინი დამრჩეს განშორებით, აწ უყურებ ესმას ვისა?
არა მქონდა გარიდება მე ლახვრისა, ესმას ვისა,
რამინისებრ შევებრალდე, ჭირნი ჩემნი ესმას ვისა!

თუ გსმენოდესთ, მე ლახვარი თუ რამდენი დამეცა რა!
ბედი წაღმა წაგრეხილი აწ უკუღმა დამეცარა.
ვა, სოფელო, უხანოო, დრონი აღარ დამეც, არა,
ჩემთვის იქმენ გამომცდელი, ვით ბელიარ დამე ცა რა!

ამდენს ხანს ხომ ვეღარ გავსძლებ, რაც ხანი მაქვს განასული,
არ დავზოგე ქართლისათვის ძმა, ძენი და განასული,
თავი დავდევ საწამებლად, ხორცი საკვდად, განა სული?
თუ უბრალოდ სისხლს დამიღვრით, ვიქმნა ზეცად განასული!

თუ ამ სასჯლებს მოველოდი, მიმძიმს ჩემი დაბადება,
გლახ უბრალოდ განსაცდელი, სოფლისაგან ცეცხლთა დება,
რაები ვჰქენ ქვეყნისათვის, საკვდად თავის გარდადება;
თავი არვის მოვაკვლიო, არც ვჰქნა ხმლისა ჯერ დადება!

მეფეთ წინა სამსახური მე მინდოდის ყოვლთვის დიდად,
ამხანაგთა ვსათნოობდი, ვიყვი კრძალვით, მომარიდად;
მიღმა წყენა არვის ვჰკადრი, ვმთავდაბლობდი მყუდროდ, მშვიდად,
მე ეს მიყო ამ სოფელმან, თქვენცა გექმნას ბარგის მზიდად!

ჩემნი ჭირნი სხვათა საქმეს, არ ვეჭვ, ვისმეს განარევდეს,
სად დავჰთესე კარკაცობა, ახლა ისიც განარევდეს,

ვიცი, რომე სხვათა ძალი დღეს ჩემს მკლავსა განა რევდეს,
გახსონსთ, ოდეს ჩემნი ხმანი, თუ ჯარს როგორ განარევდეს?

წახდა ჩემი კარკაცობა, დაისწავლა არვინ არა,
როგორ დავგმო ამასწინათ მეფეთათვის ვინც მამკვდარა,
მოწმად მყვანან ბევრი სული, ჩემს თავს თუ რა გარდამხდარა,
წალმა სხენან ჟამნი დღეთა, მზე ჯერ სრულად არ დამხდარა!

ვერსით მოვრჩები სიკვდილსა, დღეს მოვა, ხვალე ისევ და;
უბრალოდ უნდა გარდაჰვხდე, ამით მაწუხებს ი სევდა,
თაო, ღალატად ვინ მოგკლავს, ცუდს კაცებს რასთვის ისევდა!
მან წამახდინა თავიდგან, აწ მომაგონდა ისევ-და!

სოფელს სჯირს პირველ სიამე, საწუთროს პყრობა, შვებანი,
რასაც ინებებ, განებებს, იტყვი თუ: «მიყო ნებანი»,
მაგრა არა ქნეს მიყოლა, ვის ჰქონდა ჭკვა და ცნებანი!
მივჰყევ სოფელს და სახელსა, კარგთ კაცთა მქონდა ხლებანი.

ხედავთ კაცთა დაბადებულს, არვისა აქვს ერთი სახე,
მე სოფელმან ოთხის კუთხით დამაბა და მიდგა მახე,
არ გავიდა სამსახური, რაგინდ ბევრი ჭირი ვნახე,
ცუდად წახდა გარჯილობა, ბედი ამად გავიჩმახე!

მეც შემეძლო ამხანაგთა მაბეზღართა მტერობანი,
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი,
ამისთვის ვჰქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი,
მაგრა ყველამ მოიჭირვა ჩემი გაჭრა, ხელობანი!

ერდგულობა — მე მგონია პატრონზედა სამსახური,
რომ ინდომო ამხანაგი, არა გქონდეს კარგთ კაცთ შური,
არ დაჰკარგო მეგობარი, არ ჰყო მეფის მოსამდური,
ჩემი იცით, ყველას გახსონსთ, რას ოფლთა ვარ მონაწური!

თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი,
ცეცხლი მისთვის მოდებული აგრევ იყოს შენთვის დაგი,
ამოსწოდო მისთვის ხმალი, ართუ ქარქაშს ადრე აგი,
თუ გაიჭრას სამყოფთაგან, თავი მისთვის გარდააგი!

რაც თვისთვის სწადდეს, მოყვსისთვის კვლავე მას აჯობინევდეს,
ცრემლთანა ცრემლი დაღვაროს, მოხარულთანა ლხინევდეს,
სწყუროდეს, მანცა იწყუროს, თუ დათვრეს — ისიც ღვინევდეს,
ჭირთანა ჭირნი იტვირთოს, სევდასთან მოიწყინევდეს!

კაცმა კაცს გული მიანდოს ერთპირად დასანდობელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად, გაუშრობელად,
მისთვის ხმალს ხელი ანებოს მტერზედა დასაშრობელად,
თავი გასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასადნობელად!

მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვჰქენ თავის გაწირვანია,
მოწამედ მყვანან მრავალნი, არათუ შვიდი, რვანია,
არა მაქვს ჟამი სიტყვისა, საჩივრის ცუდი თქმანია,
მაგრა მართლისა სიტყვის თქმა ჩემგან რა უკუთქმანია?

ბატონს ჰყვანდეს ერდგული ყმა, სიამოვნით თავს უდებდეს,
მტერს ებრძოდეს, დავსებულსა ცეცხლსა კიდევ აუნთებდეს,
რაც უჯობდეს, იმას ბჭობდეს, მებრძოლს მიღმა გაუგდებდეს,
საჭურჭლესა წარმოცლილსა სალაროსა დაუდებდეს!

რაცა სწადდეს, ის აამოს, დაერიდოს საწყინარსა,
ძმას და შვილსა თვით ხედვიდეს, მისთვის სთმობდეს ორსავ მკვდარსა,
მებრძოლს მიღმა მიეგებოს, იგ ჰხმარობდეს ხმალს და ფარსა,
დაფანტულსა წინ უძღოდეს, უგროებდეს კარგსა ჯარსა;

პატრონის წყენა წყენად სჩნდეს, ლხინისთვის გაიხარევდეს,
სახელსა გამოაჩენდეს, უკადრის საქმეს ჰფარევდეს,
საკვდავად თავი გარდადვას, როდეს რაზმშიგან გარევდეს,
რაგინდ სხვა რამ თქვან, მაშინცა მისსა ქებასა წარევდეს!

ცოტა მიცემა დიდად სჩნდეს, მწვედ იყოს მადრიელადო,
თუ საწყენი რამ შეატყოს, თვალნი ქნას ცრემლით სველადო,
გასჭირდეს — ადრე ინაღვლოს, მსწრაფლ იქმნას მისაშველადო,
ესრე მასმია პატრონის მე სამსახური ოველადო!

არ დაიშურო, რაც გქონდეს, შენ იყო მის მიმრთმეველი,
ცოტაც გიბოძოს — ხარობდი, მით იყავ გამომრთმეველი,

უსამართლოთ და ურიგოთ არვისი არ წამრთმეველი,
საწყენის წყენის რიდება, არრა ჰქნა უმართეველი!

პატრონყმობა განა ჩვენგან, იცით, ზეცით დასახულა,
სოლომონ და დავით — ორნივ თვალით მეფედ კვლავ ნახულა,
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონთგან შენახულა,
უბრალოს ყმის წახდენანი პატრონზედაც მწვე ძრახულა!

ეს ყველა მჭირდა, ისმინეთ, მეფეთა ერდგულობანი,
დიდად შევმატი, ვარგებდი, ეისიც რომ მქონდა ყმობანი,
ადრე მივმართი ბძანებას, სადაც მიყვიან ხმობანი,
ან მეფე ცუდათ გამიწყრა, ან მე აღარ მაქვს ცნობანი!

სად წავიდე, სად დავლახო აწ ქვეყნისა კიდით კიდე,
დედაწულნი, საუნჯენი წავიღო და რას ავჰკიდე,
მეფის მტერსა მე რამდენჯერ გულმესისხლედ წავეკიდე,
ვადა რყეულს ხმალს ნუ აგდებ, თაო, ხელი კიდევ ჰკიდე!

რადგან წახდა გარჯილობა, რადღა მმართებს თავის ტკენა,
რად ვიუბნა ძველი საქმე, ვით დავაშრო თქმადღა ენა,
აღარ მმართებს საჩივარი, ანუ ცუდად ცრემლთა დენა,
ვით მიქნია ერთგულობით მტერთა სისხლის გარდადენა!

რომ წამიხდა სამსახური, ცრემლი თვალთა მისთვის მდინდა,
ან სოფელმან ჩემი კერძი შუქი რასთვის დააბინდა,
გახსონსთ, უწინ მტერნი თქვენნი ჩემს ხმალს როგორ შეუშინდა?!
გაყრა მიმძიმს, თვარემ დავრჩე, მე რომ ვიყო, სადა გინდა!

არა მშურდა სასიკვდილოდ მე გარდმედვა თქვენთვის თავი,
აწ რად იქმენ, ხემწიფეო, დღეთა ჩემთა გასათავი?
რა გერგების, ეს არ ვიცი, მომიშალოთ რომ სათავი?
ეტლმან ჩემმან მე მამგვარა ბედკრულობა ასათავი!

რომ მასმია, ასრე თქმულა პატრონისა კვლავ სიამე,
რაც უბძანოს — აღასრულოს, არ იკვნესოს, არც თქვას: «ვამე!»
მოახსენოს: «ხემწიფეო, შენთვის დღენი გავიწამე,
რაც მიბძანო სამსახური, წავაკვდე და წავე წამე!»

გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვჰქნათ კვერთხის რგვანი,
სად გვიბძანოს, მივეესივნეთ, სიგრძის გზა ვვლოთ, ანუ განი,
თავს საზღვარი ეს დაუდვა, ვერვინ იყოს ჩემი მგვანი,
არ ავმაღლდეთ თავმდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი!

რაც გვიბძანოს, თავს შევიდვათ, ადრე გვმართებს დაჯერება,
მას ვმონებდეთ, არ გარდვიგდოთ პირიდამე მისი ქება,
წაუწყმედლად ყოვლის გზითა გავათაოთ პატრონთ ნება,
მეფის მტერთ რომ მე დავმართე, ნეტამც თქვენგანც ისრე ება!

სოფლის ჩარხთ ბრუნვა, ეტლთ ქცევა ხანდახან მოვა, ხან არა,
ხან ხელი ვარდით ავავსი სოფელმან, ზოგჯერ ხან არა,
დაყმუნდა, აღარ მომართა, ჩემზე განაგრძო, ხანა რა,
მტერმან იშები მამიგეს გულისა მოსაფხანარა!

ახლა მარყევს ეს სოფელი, უწინ მამცა, მაშინება,
მძლავრმან მტერმან ვერსად მიყო, იცით, გსმია მა შინება?
მეფის, ქვეყნის უნებელნი ავხსნი, ზოგი მაშინ ება!
სჭვრეტდეს თვალნი უდუხჭიროდ, კამკამებით მაშინ ება!

მიმძიმს ამხანაგთ მოშორვა, გულსა მაქვს მუდამ ზრუნვანი,
შეჭირვება და ოხრანი, მწუხარება და ურვანი;
სამკვიდროს გაცლა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი,
თუ რამდენრიგად მამიხდა სისხლის ცრემლისა წურვანი!

ვინ რომ ფეხსქვე'შ მელახოდეს, აწ მათ მე მქნეს დაცემული;
მაბეზღარნი უწინ მე მყვეს დატუქსული, დაცემული,
ზოგნი იყვნეს განაკეთნი, ზოგნი ბევრის მიცემული,
შენვე მიგაქვს, ეტლო ჩემო, რაც შენგნით მაქვს მოცემული!

სად მეგონა დამკვიდრება, აწ სადით ვარ განაჭერით,
მეფეს ტკბილად ვეღარ ვნახავ, თვარ არ ვრიდობ განა ჭერით,
ვის მომწევენ, შეიქმნების გაკვეთილ და განაჭერით,
ბედო, კრულო, უკუღმართო, თავი ჩემი განაჭე რით?

ზოგს კაცს რომე გაუჭირდეს, უსუსურად დაღონდების,
ვინც რას ეტყვის, არას ჯერა, კარგს რჩევასა გარდაჰხდების;

ვირემ კაცი ცოცხალიყოს, ადვილ მტრისგან ნუ წახდების,
ბედი, სვე და გამარჯვება იქნას, კაცზე რაც მოჰხდების!

გაჭირვების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჭკვა და გონება,
ვისაც რომ ახლდეს უტყუვრად სიამე, ტკბილად მონება,
რომ მოშლით იყოს, ცუდია, რას არგებს მწვე დაღონება?
აღარ დაზოგოს მის დროსა სალარო, ანუ ქონება!

კაცი გაბედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა,
მეც მქონდა დარბაზს წინ დგომა და ამხანაგთა წილობა,
მე არა მჭირდა ტყუილი, არც ცუდი სიტყვის ცილობა,
აწყა სოფელმან ნაკადი და მამცა ცრემლთა მილობა!

ზოგჯერ მეც მითქვამს თავისა, თუ რასთვის დავიბადეო,
ანუ მტერები გარშემო ვიხვივე, რად ვიბადეო,
მაშ ხომე ცუდათ გაქრების, მაქვს რამე ან ვიბადეო,
გულმკრთალნი მტერნი, ჯაბანნი რასათვის აიბადეო?

ყველამ გასინჯეთ შეტყობით, თქვენ ჩემნი სამართლობანი,
როგორ ვჰქენ თავის დადება, მეფის ტახტისა მკობანი,
აწ ვისღა უთხრა ლიქნითა, ფერობით სიტყვის ლმობანი,
ზოგნი შევფრფინავთ სოფელსა, ზოგთა დავსწყივეთ შობანი!

რომე კაცმა ბევრი რამ თქვას, ხოტბა გრძელი, სიტყვის თხრობა,
თვისტომს თავსა მოაძაგებს, მას მიხვდების ცუდი შრობა,
არც ის ვარგა, არვინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა,
გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა!

ვჰთქვა, არა ვჰთქვა ერთი საქმე, ორსავ ვღონობ დიაღ ძნელად,
პატრონის ხამს გამარჯვება, პირველვე ვჰთქვი სიტყვა ძველად;
ბევრი კაცი მოვიხმარე მწედ, იმედად, ჩემად მშველად;
მაგრა მევე დამიმარცხდა, მით შევიქმენ ცრემლით სველად!

ლაშქრად მამყვეს იმერელნი, მამეხმარნეს ზოგნი სამცხით,
ზოგს ქართველთაც გვერც ვიახელ, კაის ჯარის აღსარაცხით,
მაგრა ეტლმან არ გვიბედა, მით ვიქმენით იმ დღეს მარცხით,
გამარჯვება მეფეს მიხვდა, ზოგი ჩვენც ვჰქნით მიწას ნარცხით!

შეწეულთა ლაშქართ მიყვეს, ვერ უჭერდი იმა თავსა,
სტუმართა და თვით მოსრულთა, რას ვეტყოდი იმათ ავსა,
დგომასა და გაძლებასა მე ვჰკადრებდი თუ მეთავსა,
ზოგმა მეც მწვე დამიმარცხა, მათი სახლი ავა თავსა!

ეგრე მითხრეს: «ან შეგვაბი, ან გაგვიშვი ჩვენსა, შინა!»
მე მათ დაბლა მოველოდი, მას ვზრახვიდი გულსა შინა;
ვჰკადრე: «ომსა გაპოვნინებ, თქვენთან არც მე შემეშინა»,
შუბი გატყდა, ედიშასა, იცით, ხმალი ვით ეშინა?

ბაზალეთის ომი მოჰხდა, მეფეს მიხვდა გამარჯვება,
იმათ დიდი გახარება, ჩვენ ჭმუნვა და ბევრი ვება;
ბატონიშვილს გვერც ვიახელ, ერისთვისაც მქონდა ხლება,
უღონობას ღონევე სჯობს, ცდა საქმისა ბევრ შეძლება!

რაცა მოჰხდა, სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომი,
ყმა არ უნდა პატრონისა ბრძოლისა და შებმის მდომი!
თავს მოღალავს, ან მოკვდების, ცუდათ არის მკლავის მშრომი;
ქვეითი ხომ მუხლს დაღალავს, ვერც იქნების ცხენს შემჯდომი!

სამცხეს წაველ, წამოვიდნენ ესე კარგნი დიდებულნი,
ყველაკასა მრავლად მივეც, რაცა მქონდა მუნ დებულნი,
საქონელნი, ბარგნი ჩემნი, არ დავჰკარგენ კიდებულნი,
გაეხარდათ მაბეზღართა, ვინც მყვეს გარდაკიდებულნი!

ცოლ-შვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევდეს,
ბატონიშვილსა მე ვახლდი, იესე ჩემი მარევდეს,
ხვანთქრის კარზედან წავედით, გზად ჩვენთვის დარნი დარევდეს,
ყაზახ მეკობრე ჯალალი ჩვენს ვერას მოიპარევდეს!

ადრევ ვაცნობეთ ვეზირსა ხემწიფის ტახტს წინ რებანი,
ყაფუჩიბაში ებოძა, მით ექო ჩვენნი ცნებანი,
გვითხრა ხემწიფემ: «იცოდეთ, თქვენ გიყოს გულის ნებანი»;
მე უთხარ: «მის ხმალს მოვენდევ, მით ვჰქენ შორის გზით რებანი!»

ჩვენ მიგვიყვანეს, ებძანათ: «მოჰფინეთ კარგა სახლები»;
ასრე გვსმენია, ეგენი არიან კარგნი სახლები!

ჩვენთან მოვიდეს ფაშები, აქვსთ ფართოდ ტყავის სახლები,
ძველით ვერავის ვნახევდით, ტანს ეცვა ყველას ახლები!

ულუფა მრავლად გვიბოძეს, სიუხვე ჰქონდა ზღვებისა,
ურჩისგან ხმლით და ძალითა, მას არა არ ეზღვებისა,
არვის არ ძალუც ძალითა გარდავლა იმის მზღვრებისა,
მასწინ არ ძალუც მთქმელებსა, ამხანაგთ დაბეზღებისა.

მეორეს დღესა მიგვასხეს, შეგვავლეს კარნი სრისანი,
გავჰკვირდით მორთულობასა — ნეტარ ქნილია რისანი?
ხემწიფეს მუხლსა ვაკოცე, სიტყვა მიბძანა თქმისანი,
ვჰკადრე: «თქვენს ხმალსა მოვენდევ, ყმობა ვერა ვჰქენ სხვისანი!»

მიბძანა: «ჩემი წყალობა შენზედა უშურველია,
სამცხეს რაც ციხე აიღე, მთქმია, არც ხანი ძველია,
რაცა გწადს, იმას დაგმართებ, მე ვით ვარ შენი მშველია,
მოგცე ციხე და ქალაქნი, ქვეყანა აზრუმელია!»

რაც ხანი დავჰყავ, მამაპყრა პატივი დიდ საფერია,
ცხენსა შებძანდის, გვიბძანის, შევსხდით, ჩვენც ვნახით ერია;
მიბძანის: «ნუ შეგწყინდებათ, აქ არვინა გყავსთ მტერია»,
ვკადრი: «რომ გიჭვრეტთ, ის გვალხენს; ვართ თქვენი ფეხთა
მტვერია!»

ენგიჩარ აღას უბძანა, აჩვენე თოფხანანია!
წაგვიძღვა, ყველა დაგვავლო, რა უცხო, რა ხანანია!
გვითხრა: «ხემწიფე გაგიშვებს, გამოვა რა ხანანია»,
აწ ვისღა ახსონს, რა ვნახეთ, ბეგლარბეგ, რა ხანანია?

თიქმატაშ, აისოფიო, გვიჩვენა ზღვისა ზღუდები,
ზღვის პირს ალაგი არსად ჩნდა ზარბაზნებისგან უდები,
მათ კაცთ ყაუხი ეხურა ბერძენთა, ჩვენებრ ქუდები,
მისსა მებრძოლსა შიშითა, როგორ არ ჰქონდეს რიდები?

ბევრი რამ უცხო გვაჩვენეს, ლომ-ვეფხთა სადგურიაო,
გასინჯეთ, ვისცა გენახოს, სად ისი, სად გურიაო?

სრულ მარმარილოთ ნაშენი, არსად ჩნდის აგურიაო,
ზოგს კარგს სახლებსა მივადგით, გვეტყოდეს აგურიაო!

პატრიაქთანა მივიდით, ვისმენდით წირვა-ლოცვასა,
ერი მოვიდის ურიცხვი, ალაგს ჰყოფდიან მოცვასა;
იქ ღირსნი კაცნი დაგვხვდიან, იქმოდენ ცრემლთა ხოცასა;
მიტრაპოლიტნი გვერც უდგნენ, ხან უფრო, ხან ვჰთქვამ ოცასა.

ხანი დავჰყავით ზამთრისა, ზაფხული იქცა ჟამებად,
ხემწიფემ ბძანა: «თქვენ თავი არა გშურსთ ჩემთვის წამებად,
ერთი ქვეყანა სოხტათა აქვს, არ არიან ამებად,
მაზედ გაგისევ, შარბათი თქვენ შეუქმენით შხამებად!

კარგად უნდა მოაგვაროთ, ნურც ადვილ გჩანსთ მათი ბრძოლა:
ქვეყანა აქვთ მწვე მაგარი და მეომართ კარგთა ყოლა;
მწვე ფთხილობენ ღამე თევით, სრულ არა აქვთ მუდმად წოლა,
გუშაგები იძახიან, როგორც მწუხრს და ცისკარს მოლა!

თემს თქვენ მოგცემ ოჯახობით, გარეშემოც თქვენი იყოს,
მათი განძი, საქონელი, არა მშურს რა ვინც გაიყოს;
ჩემი ყმა რომ გამიმაგრდეს, ნეტარ რა ვჰქნა, ეს რა იყოს?»
აწ გიორგიმ ძველ ნაქნევსა კიდევ ხმალსა ხელი მიჰყოს!

სხვაც გვიბოძა მამულები, სარჩო, კარგი სანჯახები,
საქონელი აურაცხი, ხმალ, ლახტ, აფთ და ნაჯახები,
მაგრა ვისაც მიგვისივა, იგ არიან ანჯახები,
მტრისა ადვილ წინ მიმგები, შემძგერი და დამჯახები!

წამოვედით, ყაფუჯები ჩვენ თან მოგვდევს მთად და ბარათ;
სადაც მოგვცეს მამულები, ჩვენად საყმოდ, მოსაბარათ,
რადგან კაცი თან გვიახლა, შენ რას გაქნევ წიგნობარათ,
ვის სამძღვარზედ ბრძოლა შევჰქენ, გამისინჯეთ თქვენ აბა, რათ?

მოვედით სოხტას, გვითხრობდეს თუ: «კვამლი შვიდ ათასია,
სახლი ასეთი არ არის, არ ჰქონდეს სურა, თასია;
მათ ყარაულად გარ უვლის სამუდმოდ კაცი ასია»;
ზოგთ მითხრეს: «რომ დავიხოცნეთ, რა ვჰპოოთ თავის ფასია?»

ვჰთქვი, ჭკუით საქმე მოგვარდეს, სარდლობა ამას ჰქვიანო,
დავდგეთ აქ, ყური მიუგდოთ, რაც რომ იმათა თქვიანო,
ფრთხილობას გარდაიგდებენ, უფრო და უფრო გვიანო,
თვარემ თუ ახლავ შეუტევთ, მებრძოლნი დადაგვიანო!

ბოლოს დავდექით, დავიწყეთ ჩვენ მათში ვაჭრობანია,
ზოგნი მეგობრად ვიჩემეთ, ზოგთ ძმობილ, ვითა ძმანია,
დაწყნარდეს, იარეშოდეს მათში სულ ჩვენი ყმანია,
მიხდომის აზრი გარდაგდეს, არ დავიყარეთ ხმანია.

ხესა ფურცელი გასცვივდა, მთაზე თოელმან ქნა დებანი,
ხემწიფეს წიგნი ებოძა: «მაქვს შენგან იმედებანი,
ნულარა ჰყოვნი, მიუხე, ქენ თავის გარდადებანი!
ჯავრს ნუ შემარჩენ მაგათსა, ცეცხლურებ უყავ დებანი!»

იგი კაცი გავისტუმრე, მე ესენი დავამაშე,
პირველს ღამეს შევეკაზმე, მშვილდს ეუბი, თოფი ვმაშე.
დავის სიტყვა გაუთავე, გულსა ჩვენსა «ვაშა, ვაშე!»
მე დავიპყარ, დავიმონე, იქ აღარვინ გავაფაშე!

შეუხედით დანდობილთა, ოთხგნით გზანი შეუკარით,
გარდუედით სიმაგრესა გალავნისა ციხის კარით,
მხრით თეძოსა ხმალი ვასვით, ვინ ფეხ დადგმივ შემოვჰკარით,
ვირემდისი არ გავსწყვიტეთ, განძს არვინ ვჰყავ მინაკარით!

შიგ დავდეგით, იქ ვიზამთრეთ, საქონლითა ავივსენით.
ხემწიფესა მოვახსენეთ წიგნითა და კაის ენით:
სიტყვა თქვენი გავათავეთ, რაც გვიბძანეთ, ისე ვჰქენით,
განდგომილნი ამოვსწყვიტეთ, ჩვენ შეეჰქენით სისხლთა დენით!

ოცს არაბაზე დავაწყევ იქ თოფი ნაშოვარია,
ხემწიფეს წინა გავგზავნე: «ამათი მჭერი მკვდარია!
ქვეყანა გაუტიალე, აღარ აქვთ მოსაფარია,
დავჰხოცე, ზოგი დავჰფანტე, ვეღარ შეგროვდენ ჯარია!»

წყალობის წიგნი ებოძა მწვე დიდად გახარებისა:
არ გაგაკეთო დიდებით — ჩემგან ეგ არ იქნებისა!

ხალათი კარგი ებოძა, ტკბილ სიტყვა, ენა ქებისა:
«ჩემნი მტერნი და ორგულნი ყველანიმც აგრე კვდებისა!

შენ ყოფილხარ მამაცურად, მოგხდომია გამარჯვება,
ეგრე თქმულა, ზეცასა რბის, მეფეთათვის ვინცა კვდება;
რასაც კაცი პატრონზედ იქს, სადაც წავა, წინ დახვდება,
კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდაჰხდება!»

დავისადგურეთ იმ ზამთარ, ჩვენ ლხინი გვქონდეს ამონი,
ვლხინობდით გამარჯვებულნი, რომ გვეპყრა ალაბ-შამონი:
მებრძოლთ გაუხდა შარბათი სასმელად მწარე შხამონი,
შეიტყვეს ჩვენთა მებრძოლთა, არა ვართ უთამამონი.

თქვენცა იცით, სამუდამოდ არ მინდოდა აქა ყოფა,
მამული და სამყოფელი რა კაცს შუა გაეყოფა,
კაცის გული ვერ გაძღება, ბევრი ვის აქვს, არ ეყოფა,
ცოტას ქონა მწვე მერჩივნა, რაც რომ მქონდა უწინ ყოფა!

თუ კაცი დასჯერდებოდეს იგ მისსა საყოფინარსა,
მას უმადლებდეს, რაც მისცეს, პირველ ქვეყანა ვინ არსა,
იგია მიმცემ-წამრთმევი, სხვა იმას გარე ვინ არსა,
ვინ ცხოველად ჰყოფს მოკვდავსა, ანუ ვინ შეიქს მძინარსა?!

რანი მამიხდეს, ვინ იცის სოფლისა საცთურებია,
რამდენჯერ გახდის დალებით ჯაჭვისგან ბეჭი, მხრებია,
ხან მარტო დავრჩი სადა გინდ, ხან მყვანდეს მე მომხრებია,
სამყოფინარი გამიხდეს ვერანად, ნაოხრებია!

რაცა გარდამხდეს სოფლისგან, ყველას ვერ ვიტყვი მა სულა!
მას ვმონებ, ვაქებ, ვადიდებ, ვინ რომე მიწა მასულა,
სრულ განსაცდელმან შემიპყრა, მახე მამხვია, მასულა,
მიწითგან ცხოვლად შემზილა, ისრევე იმან მა სულა!

შურითა მოჰხდა, ცთომისთვის სამოთხეს შევა გველია,
პირველმან მამამ უსმინა, ჩვენ შვება ამად გველია,
მან ძველმან მტერმა მიუთხრო: «არ მოგცე მე ეგ ველია!»
ცეცხლი აანთო სასარჯლო ხორცისა დამდაგველია!

იმავ შურმა გამოჰხადა სამოთხიდამ მამა ჩვენი,
სარჯლად მოგვცა ეს სოფელი, სარკის მსგავსად მააჩვენი,
კაცთა ბოლოს არ გამთავი, დასაგმობ და შესაჩვენი,
სწრაფულ წაგვართვა ფეროვნება და ნათელი თვალთა მჩენი!

ეს სიტყვები რად მოვიღე, გასინჯეთ და ყურად იღეთ,
კარგნო კაცნო, საანდაზოდ ჩემი საქმე გარდაიღეთ!
ჩემგან ქნილი რაცა სჯობდეს, ზოგნი დევით, ხან აიღეთ,
ავი შორად განუტევეთ, კარგნი თქვენკენ წამოიღეთ!

აწ გიამბო ჩემზე შურით, თუ რა მოჰხდა გულის ზრახვა,
რაც სახელი მე სადმე ვჰქენ, შექნეს კვნესა, ზოგთა ახვა,
ზოგთა კარგა შეიწყნარეს, ზოგთა შექნეს ჩმახვით ძრახვა,
ვჰთქვი, დავჰკარგე სამკვიდრონი, აღარ მამხვდა თვისთა ნახვა!

ვეზირ აზამი ხემწიფის თავს დაიწერდის სიძობით,
სულთან მურადის და ედგა, არ მეყვისობდა ბიძობით,
ქალთან ქებინის დალოცვით, ართუ მრუშობა მსიძობით,
ვეზირსა ცოლმან მოსწერა: «მეფეთგან თქვენ გაიძობით!»

ცოლს მოეწერა ვეზირთან: «სად არის შენი სახელი?
აქ მოურავის ქება არს, თქვენნი არიან მძრახველი!
ხემწიფე ბძანებს: «ყმა არ მყავს უკეთეს, ან მის მსახველი»,
მაგას რამ საქმე უგვარე, თუ თვალნი გქონდეს სახელი!»

ის იაზაბელ შეიქნა, ნაბოთეს ბაღის წამღები,
ან იროდიას ემსგავსა, სისხლთ ნათლისმცემლის დამღები,
ევდუქსიასა ტახტს იჯდა, ეროდეს კარის გამღები,
რჯულისა შემარყეველი, მრავლის ცოდვისა წამღები!

ვეზირმან თქვა: «სხვათ აქებდენ, მე სახელი გამიქარდეს,
ჩემი საქმე არ გამოჩნდეს, სხვის სახელზე მეფე ხარდეს!
სიკვდილი და ხმლის გაბედვა მისი მეცა დაღი მზარდეს,
თუ ეს ბედი წაღმა მესხნეს, ვჰთქვი: მიწათა რად გამზარდეს?»

კაცი ვნახე, რომ მოვიდა ჩემთან წიგნით ვეზირისა,
ებძანა თუ: «შეგვეყარე, აქ ჰაერი კარგი ქრისა!

ტკბილად ვნახოთ ერთმანეთი, არ სიტყვა ვჰთქვათ მუქარისა!»
ხმობა, შეყრა, ალერსობა, ვერ შევიტყვე, იყო რისა?

მე შევჰთვალე: «უხემწიფოდ ვერა გნახავ, არ იქნება!
ხემწიფე თუ წიგნს მიბოძებს, ძალია თუ ან იქ ნება,
მაშინ გვერცა გიახლები, მტერი ფეხქვეშ გაიქნება,
ხემწიფეზე დამნაშავე ასო-ასოდ აიქნება!»

რა არ ვნახე, მწვე ეწყინა, გულში იქნა ნაღვლიანად,
შემოსტუქსა მოციქული პირქუშად და ჯავრიანად:
«ჩემს ხმას მონებს საკეისრო, სიგრძე სად აქვს განიანად!
მე არ მნახა მოურავმა, ესე იყოს, თქვა, ჯერხანად!»

ხემწიფესთან ჩაფრად კაცი მან გაგზავნა მეტად ჩქარად,
ცოლს მისწერა: «შენ მაცნობე აწ ამბები დასაფარად»;
მან მოსწერა: «ეს ხემწიფე შენზედ არის გულში მწარად,
მოურავის გამარჯვება მწვედ იამა გასახარად!»

მოსწერა თუ: «ორისაგან ერთი წინ გიც, იყავ მქნელი!
მოურავის ხმლით სიკვდილი, გვესმის, არის დიაღ ძნელი,
ან შეაკვდი, თავი დადევ, შენს ლაშქართა იყავ მსვრელი,
ან მოკალ და მოერიე, მისის სისხლით იყავ მსვრელი!

შენს ხელთ იყოს მისრ-ბაღდადი, ალაპ-შამი ბასრამდისა,
ისპა უღლანს, რაც უბრძანო, ენგინჩარნიც იქ მიდისა,
ნილოსს მყოფნი შენ გიძრწიან ანუ შადი სადა დისა,
შენს ხელთ არის ვეზირობა და ქმარი ხარ მეფის დისა!»

ვეზირმან თქვა: «მოურავთან მე არა მაქვს მტერობანი,
მაგრა რა ვჰქნა, ხემწიფის დის მმართებს სიტყვის ჯერობანი.
რაცა ბძანოს, მე ისი ვჰქნა, მას დაუწყო ფერობანი,
მაგრა მიკვეთს, ბორცვ-გორათა შენ ქენიო ძგერობანი!»

კიდევ წიგნი გაუგზავნა, შიკრიკს მისცა, მალე ვლიდე!
მიეწერა: «ხემწიფისას წყალობასა ვერ დავსთვლიდე,
მაგრა ძნელსა საქმეს მიკვეთ, თავი ამად გავაფლიდე,
რა ღონე მაქვს, ამა სოფლით ან ის გავა, ან გავლიდე?

ეს გასინჯე, ყური უპყარ, იყავ კარგი მომსმენელი,
მტერნი მყვანან, ხემწიფესთან იქნებიან დამსმენელი,
ხმა გამოვა მოურავის სიკვდილისა გამსმენელი,
რა ხემწიფე გაიწყრომოს, რაღა უთხრა მასმენელი?

ხემწიფესა დიდადა სჩანს, მისთვის არის დიდად კარგი,
ხაზინადარ სიძეთა ჰყავს, ხემწიფისა დიდად მარგი,
რომ შევაკვდე, ანუ მოვჰკლა, ვის მივართვა მისი ბარგი?
ბძანეთ, რომე ჩამოვეხსნა, მშვიდობისა ნორჩი დარგი!»

მან მოსწერა: «სიჯაბნითა ვერ აპირებ მორევასა,
მაგით უფრო ჩავარდები სიღრმის უფსკრულს, მორევასა,
ერიდები ქვეყნისასა აშლასა და მორევასა,
მე გვერც აღარ მოგეწურვი, მალმალ გეტყვი მორევასა!»

ხემწიფის დობით თამადობს, თვარ როგორ სტუქსოს ქმარია?
ცოლმა ქმარს: «მოკვდი!» ეს უთხრას, იგ მიწას დასანთქმარია!
ვეჭობ, რომ სძულდეს ვეზირი, თვარე ვჰთქვათ, რა საქმარია?
ამ რჩევა-ვეზირობისთვის საკვდავი ასაქმარია!

ცოლმან კვლავ კიდევ მოსწერა სიტყვა ცხარი და მწარია:
«ერთის ქართველის კაცისა სახელი დიდათ არია!
შენი ხსენება დადუმდა, თქვეს: ცოცხლივ ანუ მკვდარია?»
მწვე გაუჭირდა ვეზირსა, საქმე აქვს შესაზარია!

ვეზირის გულსა დამკვიდრდა რჩევითა ღალატობანი,
თუ მათი საქმე სადმე სჯობს, არა აქვს კაცთა ნდობანი,
ერთს კაცსა არვის შეეძლო საქმენი ჩემოდნობანი,
მე უყვი მტერთა მრავალჯერ დაწვა და ჩამოდნობანი!

რა მოვა კაცზედ განგება, ეტლი არ ბრუნავს ბედადო,
შუქურ მასკვლავი დახვდების პირდაპირ შემომხედადო!
ჩარხებსა ფრთანი დასცვივის, ზე მყოფი იქმნას ქვედადო,
დღე მოეწურვის სვისაგან, გახდების უიმედადო!

ამა სოფელმან მაბრძოლა აღმოსვლით დასავლეთამდი,
ბაბილოვანს და სამხრეთსა ბრძოლილ მყო ხლმისა კვეთამდი;

ჩრდილოთ ლეკთა და ოსეთსა, კიდით სრულ ჩერქეზეთამდი;
ლხინიც მამცა და წუხილი, ურვა და სევდა კვნესამდი!

კაცსა გასცდის და აღორებს სოფლისა ნივთთა წესია;
ხან იშვებს, იტყვის, «რა მიშავს», ხან ტირის ცრემლთა მთესია;
ხან ეს გონია «უკვდავ ვარ», ხან სნეულ არს და მკვნესია,
თუ სულსა რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია!

რაც მე გარდამხდა სოფლისგან, წერით ვინ გაათავებსა?
ანაზდათ კაცთა გვიმუხთლებს, მოშლის კარგს ტანს და თავებსა,
არ შეგვიწყალებს სიკვდილი, ძოწეულს შეიქს შავებსა,
არ მოგვცემს დროსა ჟამამდი, არცა გვთხოვს დასაზავებსა.

ბევრი მსაჯა, სად მამავლო, მამიყვანა სადამდისა;
სად მშართებდა მე ტირილი, აწყა ცრემლი სადა მდისა?
ცეცხლმან კვამლი შემომხვია, აწ უყურეთ, სად ამდისა,
მეფემან და სიძემ მკარგა, მდურვა მქონდეს სად ამ დისა?

ყანდაარს ბრძოლა და ბაღდადს, მე ვინ მიწურვა მისრისა,
სტამბოლს ხანისა დაყოფა, ნახვა, გასინჯვა მისრისა;
არაბისტნისა ჭაბუკნი მაჯამან ჩემან მისრისა,
აწყა სევდისა ლახვარი გულსა მიწყლულებს, მისრისა!

გავათავე ჩემი სიტყვა, წავალ თქვენგან სალამითა,
ვისცა გესმას ჩემი გავლა, ცრემლი ჭენით, სალა მითა;
უკანასკნელს ანდერძს მოგცემ, საქმეს იმას ალამითა,
აწ საფლავად თან მიმყევით, მამაყარეთ სალა მითა!"

ეპილოგი

ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომმან მისმან ეს ვიწყე წერებად,
ამად მეშინის მოშურნე პირველივე მყავს მტერებად,
რომ უქმი სიტყვა მამხადოს, არ იყოს ჩემზე ფერებად,
ვის არს ცოდვილთა შემწყნარე, ვედრივარ, მექმნას ტერებად!

ქართლის ცხორება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ ბრალევად,
რომ დამეკარგა ამბავი, ქნილიყო შესაბრალევად!

წყარო ტკბილი და ამონი ქნილიყო გასამშრალევად;
ეგებ ვერ მეთქვას გაწყობით, მაშინც ნურვინ ხართ მწყრალევად!

სიკდილი ამად არ ვსწერე, არ ვაჯობინე ხოცანი,
ვის გესმით მისი დაკარგვა, იქნებით ცრემლთა მხოცანი,
ნაქნარსა მისსა გასინჯავთ, ჰთქვათ, ცხადია თუ ოცანი,
რაც ექნა, ვეჭვ ძლივ დავსწერე, ათისთავად ვჰთქვა ოცანი!

თქვენ გეეედრები, ვინცა ხართ სიტყვისა გამსინჯავია,
სიტყვა ყბედ ძრახვა არა ხამს, რაგინდ რომ მეთქვას ავია,
სოფლის ზღაპრისა წერისთვის შევიქმენ დამნაშავია!
მას დარჩა ჭკუის საუნჯე, ვინც ცრემლით ავსო ნავია!

უქმი სიტყვა ცუდსა ჰქვიან, მეც ვარ მუდმად უქმის მთქმელი,
კაცი რომე უქმს ამბობდეს, ვით მორჩების დაუნთქმელი?
ჭკვა მათ ჰპოვეს, საღთოს წიგნის ვინცა იყვნეს გარდამთქმელი,
მე შევიქმენ ენაყბედი, სოფლის სიტყვის სამ წამთქმელი!

ესეთი სიტყვა არა ხამს, თუ ბერი წესზე ბერევდეს,
სინანულისა სვიფონსა საკუთრად მისთვის ბერევდეს,
ჭაბუკნი მხეცთა ერთოდეს, მხცე გასრულებით ბერევდეს,
ვინ სწვრთიდეს, ყურსა უპყრობდეს, არათუ გულსა ბერევდეს!

მე სოფლისა საქმეს მივჰყევ, მე ვინა და ამის წერა?
ის მიჯობდა, მოციქულთა რაც თქვეს, ყველა დამეჯერა,
სულის ღვწით და სინანულით ანგელოზნი შემეჯერა,
თაო ჩემო, შენთვის რა ჰქენ, ანუ კარგად გასინჯე რა?!

მეფის არჩილისადმი

ეს არის ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა,
ზოგი რა საღმთოც დავსწერე, სიტყვა ვჰთქვი წმინდათ ქებისა.
საღთოს ქებისა მთარგმნელი სული რჯას აღარ ებისა,
მე ამის წერით მეშინის, ვათუ ხმა მესმის ვებისა!

სარჩევი

გამომცემლობისაგან 5

ჩახრუხაძე

თამარიანი 7

იოანე შავთელი

აბდულმესიანი 36

შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი 64

თეიმურაზ პირველი

წამება ქეთევან დედოფლისა 287

ვარდბულბულიანი 299

შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა 312

სოფლის სამდურავი 328

არჩილი

გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა 332

საქართველოს ზნეობანი 496

იოსებ სააკაძე

დიდმოურავიანი 510

ГРУЗИНСКАЯ ПОЭМА

Книга I

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5, 1983

სბ. 1854

რედაქტორი ზ. აბესაძე, მხატვარი ჯ. ყავლაშვილი, მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა, ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა, კორექტორები: ნ. თავაძე, თ. ტურიაშვილი, გამომშვები ზ. წივწივაძე.

გადაეცა წარმოებას 1/IV-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/I-83 წ. საბეჭდი ქაღალდი №1, 60×84 1/16, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 33,48, პირობითი საღებავ გატარება 33,67, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,29. ტირაჟი 20.000, შეკვ. № 2735.

ფასი 8 მან. 80 კაპ.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, пр. Дружбы, № 7